ელფრიდე
იელინეკი

პიანისტი ქალი



ნობელის პრემიის ლაურეატები

ინტელექტი

სარჩევი

ნაწილი I 3
ნაწილი II 131

ნაწილი I

მუსიკის მასწავლებელი ერიკა კოხუტი ქარივით შეიჭრა ბინაში, სადაც იგი დედასთან ერთად ცხოვრობს. დედას მოსწონს, როცა ერიკას ასე უწოდებს ხოლმე – „ჩემი პატარა ქარივით გოგო“ – ბავშვი ხომ ზოგჯერ დაუოკებელი და ჩქარია. ბავშვს უნდა, რომ დედას ხელიდან გაუსხლტეს. ერიკა მალე ოცდაათს გადააბიჯებს. დედა, მისი ასაკით თუ ვიმსჯელებთ, ერიკას ბებიადაც კი ერგება. ერიკა მან ხანგრძლივი და მძიმე ცოლქმრული ცხოვრების შემდეგ მოავლინა ამქვეყნად. მამამ დაუყოვნებლივ გადასცა ქალიშვილს ესტაფეტა და სცენიდან გაუჩინარდა. ერიკა გამოჩნდა, მამა კი გაქრა. ერიკა ძალაუნებურად გახდა მარდი. იგი შერბის ბინაში ისე, თითქოს ქარმა დაუბერა და ფოთლები მიფანტ-მოფანტა; ის ცდილობს შეუმჩნევლად შეიპაროს თავის ოთახში, მაგრამ დედიკომ უკვე დაიკავა პოზიცია ღია კართან და ეძახის ერიკას, რათა პასუხი აგებინოს მას. იგი პასუხს სთხოვს და კედელთან იმწყვდევს: ინკვიზიტორი და დამსჯელი რაზმი ერთ პიროვნებაში, რომელსაც ოჯახმა, კერძო საკუთრებამ და სახელმწიფომ ეჭვმიუტანელი დედობრივი უფლება უბოძა. დედა დაკითხვას უწყობს ერიკას, რატომ მოხვედი მხოლოდ ახლა, ასე დაგვიანებითო. ერიკას ბოლო მოწაფე, რომელსაც წილად ხვდა არაერთი შეურაცხმყოფელი დაცინვა, სახლში სამი საათის წინ წავიდა. – შენ გგონია, ვერ გავიგებ, თუ სად იყავი, ერიკა, – ეუბნება დედა. შვილი ცდილობს, პასუხი გასცეს უსიტყვო შეკითხვაზე, მაგრამ არ უჯერებენ, – მან ხომ უკვე ბევრჯერ თქვა ტყუილი. დედა ერთხანს ელოდება, თუმცა, არც ისე დიდხანს, შემდეგ კი ხმამაღლა ითვლის სამამდე.

უკვე თვლაზე „ორი“, ქალიშვილი დედის შეკითხვაზე ისეთ პასუხს იძლევა, რომელიც შორს სცილდება საქმის ნამდვილ ვითარე-

ბას. დედა ხელიდან გლეჯს მას ჩანთას, რომელიც სავსეა ნოტებით და პირდაღებულ ჩანთაში პოულობს მწარე პასუხს თავის შეკითხვაზე. ბეთჰოვენის ოთხ ნოტების რვეულთან ერთად ჩანთაში ჩატენილია ახლახან ნაყიდი ახალი კაბა, ეს წამსვე ჩანს. დედა აღშფოთებას ვერ მალავს ახალშეძენილი კაბის გამო. იქ, მაღაზიაში, საკიდზე ჩამოკიდებული გაშლილი კაბა ისე მიმზიდველი იყო, ისე თვალისმომჭრელი, ისე კარგად ადგა ტანზე, ახლა კი ის ჰგავს დაჭმუჭნილ ჩვარს, რომელსაც დედა თვალებით ჭამს. კაბაში დახარჯული ფული შემნახველი სალაროსათვის იყო განკუთვნილი; ის კი წინასწარ დახარჯეს. კაბის ნაცვლად მათ უნდა შეეტანათ ფული ავსტრიულ შემნახველ სალაროში მომავალი სამშენებლო სესხის ანგარიშზე, ერიკას რომ არ დაზარებოდა გადაედგა რამდენიმე ნაბიჯი კარადისაკენ, რომელშიც თეთრეულის დასტის ქვეშ მოჩანს სალაროს წიგნაკი. მაგრამ ახლა წიგნაკი იქ აღარ არის, სასეირნოდ გავიდა, ის ფულისაგან დააცარიელეს და შედეგიც სახეზეა: ერიკას აიძულებენ ჩაიცვას ეს კაბა ყოველთვის, უნდა თუ არა, რათა მან იცოდეს, თუ სად დაიხარჯა ფული. დედა ყვირის:

– შენ გაფლანგე ფული, რომელიც ჩვენ ასე ძალიან გვჭირდება! ჩვენ შეგვეძლო შევსულიყავით ახალ ბინაში, მაგრამ შენ ხომ მოთმინება არ გყოფნის, სამაგიეროდ გაქვს ახალი ჩვარი, რომელიც მალე გავა მოდიდან.

დედა ყველაფერს შემდეგისათვის დებს. მას მაშინვე არაფერი უნდა, თუმცა კი ქალიშვილი ყოველთვის სჭირდება; მას მუდამ სურს იცოდეს, სად იმყოფება იგი, რადგან, ვინ იცის, იქნებ დედიკოს გულის ინფარქტი დაემართოს. დედა ახლა ეკონომიას სწევს, რათა შემდეგ თავისი სიამოვნებისათვის იცხოვროს. ერიკამ კი ადგა და კაბა იყიდა, რომელიც უფრო მალე მოძველდება, ვიდრე თევზიან ბუტერბროდზე მოსხმული მაიონეზი. ის მოდიდან გავა არათუ ერთი წლის, არამედ უკვე ერთი თვის შემდეგ. ფული კი არასოდეს გავა მოდიდან.

ისინი ფულს აგროვებენ საერთო, დიდი, საკუთარი ბინის შესაძენად. დაქირავებული ბინა, რომელშიც ახლა ცხოვრობენ, იმდენად ძველია, რომ, როგორც იტყვიან, გადასაგდებია. სანამ გადავლენ, ისინი შეუკვეთავენ კედლის კარადებს თავიანთი გემოვნებით და თვითონ გადაწყვეტენ, როგორ მოეწყოს შიგა გამყოფი კედლები, მათი ახალი ბინისათვის ხომ მშენებლობის სრულიად ახალი სისტემაა გათვალისწინებული, ყველაფერი ზუსტად დამკვეთის პირადი მითითებების მიხედვით გაკეთდება. ვინც ფულს იხდის, ის განსაზღვრავს და წყვეტს ამა თუ იმ საკითხს. დედა, რომელსაც ძალზე მცირე პენსია აქვს, შეკვეთას მისცემს, ერიკამ კი უნდა გადაიხადოს. ამ ახალთახალ ბინაში, თანამედროვე მეთოდით და სტილით რომ არის აშენებული, ყველას თავისი სამფლობელო ექნება: ერიკას აქ, დედას იქ და ეს სამფლობელოები აკურატულად იქნება ერთმანეთისაგან გამოყოფილი. მათ ექნებათ საერთო სასტუმრო ოთახი, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან ხოლმე, თუკი მოისურვებენ, არადა, დედა და შვილი, ბუნებრივია, ამას მოისურვებენ, რადგან ისინი განუყოფელი არიან. აქაც კი, ამ საღორეში, ნელ-ნელა ხუხულასავით რომ ინგრევა, ერიკას თავისი საკუთარი ტერიტორია აქვს, სადაც იგი მოძრაობს, მიმოდის ფხიზელი ზედამხედველობის ქვეშ. ეს დროებითი სამფლობელო ტერიტორიაა, დედას ხომ ნებისმიერ დროს შეუძლია შემოსვლა. ერიკას ოთახს საკეტი არა აქვს, ბავშვს არ უნდა ჰქონდეს საიდუმლოებები. ერიკას საცხოვრებელ სივრცეს შეადგენს პატარა საკუთარი ოთახი, რომელშიც მას შეუძლია თავისუფლად გააკეთოს ყველაფერი, რასაც მოისურვებს. მას არავინ ზღუდავს, ეს ხომ მისი ოთახია. ყოველივე დანარჩენი ამ ბინაში დედის საკუთრებაა. დიასახლისი სახლში, რომელიც ყველაფერზე ზრუნავს, აკონტროლებს კიდეც ყოველ კუთხე-კუნჭულს, ხოლო ერიკა მხოლოდ იმკის საშინაო შრომის ნაყოფს, დედა რომ ასრულებს. ერიკა არ ასრულებს შინაურ მძიმე სამუშაოებს, პიანისტი ქალის ხელები დაცული უნდა იქნეს საშინაო ქიმიისაგან. სუ-

ლის მოთქმის იშვიათ წუთებში დედის განსაკუთრებულ საზრუ-ნავს მისი მრავალსახოვანი საკუთრება შეადგენს. განა მიადევნებ თვალს, სად იმყოფება ის? სად დაიკარგა კვლავ ეს მოუსვენარი სა-კუთრება? ვის სახლებში, ვის ოთახებში დაქრის ის ქარივით, მარ-ტოა თუ ვინმესთან ერთად? ვერცხლისწყალივით მოძრავი ერიკა შეიძლება ახლა სადღაც ანცობს, ვინ იცის, სად არის და რას აკე-თებს?!

მაგრამ ყოველდღე, წამი წამზე, ქალიშვილი მუდამ კვლავ იქ გამოჩნდება ხოლმე, სადაც მისი ადგილია - სახლში. დედას მოუს-ვენრობა იპყრობს, ყოველი მესაკუთრე ხომ, უპირველეს ყოვლისა, თავისი მწარე გამოცდილებით სწავლობს: ენდე, მაგრამ შეამოწმე! დედიკოს მთავარი ამოცანა ისაა, შეინარჩუნოს საკუთრება ერთსა და იმავე ადგილას, შეძლებისდაგვარად უძრავ მდგომარეობაში, რათა ის ხელიდან არ გაუსხლტეს. ამ მიზანს ემსახურება ტელევი-ზორი, რომელიც მას პირდაპირ სახლში ლამაზ სურათებს აწვდის, რომლებიც წინასწარ არის გამზადებული და ლამაზად გაფორმე-ბული. სწორედ მის გამო ატარებს ერიკა აქ თითქმის მთელ დროს, და თუკი მაინც სადმე მიდის, დედამ ზუსტად იცის, სად არის იგი. ზოგჯერ საღამოობით ერიკა კონცერტზე მიდის, მაგრამ ეს სულ უფრო და უფრო იშვიათად ხდება. ის ხან პიანინოსთან ზის და კლა-ვიშებში თავის საშემსრულებლო კარიერას აქსოვს, კარგა ხნის წინ და საბოლოოდ დასამარებულს, ხან კი როგორც ბოროტი სული, დაქრის რომელიმე ოპუსის თავზე თავის მოწაფეებთან ერთად. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება მისი ტელეფონით გამოძახებაც. ზოგჯერ ერიკა თავის კოლეგებთან - თანამოაზრეებთან ერთად ეს-წრება საშინაო კონცერტებს, ტკბება, უკრავს და აღფრთოვანებუ-ლია. იქაც შეიძლება მასთან ტელეფონით დაკავშირება. ერიკა ცდილობს თავი დააღწიოს დედის მარწუხებს და ხანდახან სთხოვს, ტელეფონით ნუ დამეძებო, მაგრამ დედა ადვილად ძლევს ამ დაბ-რკოლებას, წესებს ხომ მხოლოდ იგი ადგენს. დედა წყვეტს, ვის შე-

იძლება ჰქონდეს ურთიერთობა მის ქალიშვილთან, და ეს კი იმით თავდება, რომ სულ უფრო და უფრო ნაკლებ ხალხს სურს შეხვდეს და ესაუბროს მის შვილს. პროფესია ერიკასათვის - ეს მისი ჰობია, მუსიკის ზეციური ძალა. მთელი მისი დრო მუსიკას ეკუთვნის. ყოველივე დანარჩენზე კი დრო არ უნდა დაიკარგოს. მას არაფერი ახარებს ისე ძალიან, როგორც ყველაზე უფრო გამოჩენილი მუსიკოსების მიერ შესრულებული ცნობილი ნაწარმოებების მოსმენა. როდესაც ერიკა თვეში ერთხელ კაფეში მიდის, დედამ ყოველთვის იცის, რომელ კაფეშია ის და როგორ დარეკოს იქ. ამ უფლებით იგი სარგებლობს ისე, როგორც მოეპრიანება. ჩვევებისა და უსაფრთხოების წესების კრებული დამზადებულია შინაური რეცეპტის მიხედვით. დრო ერიკას გარშემო ნელა ქვავდება, როგორც თაბაშირი. დრო მაშინვე იწყებს ფშვნას, თუკი დედა ანაზდად უხეშად უთავაზებს მუშტს. ერიკა ზის იქ მყოფთა დამცინავი მზერით გარშემორტყმული, გრძნობს რა დროის თაბაშირისეულ ნამცეცებს, თითქოსდა ორთოპედიული საყელოს დაშლილი ნარჩენებიაო და თავს უტყდება: დროა, სახლში წავიდე, დროა წავიდე. როდესაც ხვდები ერიკას სადმე ქუჩაში, ის მუდამ შინ მიიჩქარის.

დედა ქადაგებს: კაცმა რომ თქვას, მე ერიკა ისეთი მაწყობს, როგორიც სინამდვილეშია. იგი უკეთესი ვერ გახდება. თუმცა იგი გახდებოდა ცნობილი პიანისტი, რასაც ადვილად მიაღწევდა თავისი ნიჭიერების წყალობით, მხოლოდ ჩემზე რომ იყოს მონდობილი, თავის დედაზე. მაგრამ დედის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ იგი ზოგჯერ სხვისი გავლენის ქვეშ ხვდებოდა; სულელური ოცნებები სიყვარულზე მას სწავლისგან მოწყვეტას უქადდა, თავს წამოყოფდნენ ხოლმე ისეთი ფუჭი გატაცებები, როგორიცაა კოსმეტიკა და ტანსაცმელი, და კარიერა თავდება ისე, რომ არც დაწყებულა, როგორც საჭიროა. და მაინც, რასაც მიაღწია, ვერ წაართმევ, - ფორტეპიანოს კლასის მასწავლებლის ადგილი ვენის კონსერვატორიაში. მას არც კი დასჭირვებია დაეკარგა წლები სწავლაზე და ეხეტიალა

ფილიალებში, რაიონულ მუსიკალურ სკოლებში, სადაც ასე ხშირად დუნდება და ხალისს მოკლებულია ახალგაზრდული სისხლი და სადაც ბატონი დირექტორის გარშემო უწესრიგოდ ირევიან მუსიკალური ახალგაზრდების ჯგუფები თავიანთი წელში მოხრილი ზურგებით.

ოჰ, ეს პატივმოყვარეობა რომ არა! ეს წყეული პატივმოყვარეობა! ერიკას პატივმოყვარეობა საფიქრალს უჩენს დედას და ეკალივით ჩხვლეტს თვალში. ახლა ერიკას მოუწევს, უარი თქვას თავის პატივმოყვარეობაზე. და რაც უფრო ადრე, მით უკეთესი. სიბერეში, რომელიც არცთუ ძალიან შორსაა, პატივმოყვარეობა ხომ განსაკუთრებულად უფრო დამამძიმებელია. სიბერე ხომ ისედაც მძიმე ტვირთია. ოჰ, ეს ერიკა! განა დიდი პიროვნებები მუსიკის ისტორიაში შეპყროობილი იყვნენ პატივმოყვარეობით? სრულებითაც არა. ერთადერთი, რაზეც ერიკას უარის თქმა მოუწევს, ეს პატივმოყვარეობაა. თუკი საჭირო იქნება, დედა მიიღებს ზომებს, რათა შვილს არაფერი შეხვდეს ისეთი, რაც ზედმეტი და უსარგებლოა. და აი, ახლა დედიკო ცდილობს, გამოგლიჯოს შვილს მოკრუნჩხული თითებიდან ახალი კაბა, მაგრამ ეს თითები საკმაოდ კარგადაა გავარჯიშებული.

– ხელი გაუშვი, - ამბობს დედა, – ახლავე მომეცი! უნდა დაისაჯო, ჭკუაზე აღარ ხარ ამ ზიზილ-პიპილებისგან. ადრეც გსჯიდა ცხოვრება ისე, რომ ყურადღებას არ გაქცევდა და ახლა კი დედა დაგსჯის, რომელიც არც გამოიხედავს შენსკენ, თუნდაც ყველგან ჩამოიკიდო ჩვრები და კლოუნივით მოიხატო სახე. ახლავე მომეცი კაბა!

უეცრად ერიკა ტანსაცმლის კარადას მივარდება. მას იპყრობს უსიამოვნო ეჭვი, წინათაც რომ არაერთხელ დადასტურებულა. აი, იგი დღესაც ვერ პოულობს თავის ერთ-ერთ ნივთს: ადგილზე არ არის მუქი ნაცრისფერი საშემოდგომო კოსტიუმი. რა მოხდა? იმავე წამში, როცა ერიკა ამჩნევს, რომ ნივთი იქ არ არის, მან უკვე

იცის, ვინ არის ამაში დამნაშავე. ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთ ადამიანზე.

– ახ, შე წუნკალო, წუნკალო! - უყვირის ერიკა ზემდგომ ინსტანციას და დედას თმებით ითრევს, ჩალისფერი და მთლად გაჭაღარავებული რომ არის. პარიკმახერი ძვირი ჯდება, სჯობს მასთან არ წახვიდე. თვეში ერთხელ ერიკა დედას თმას უღებავს, რომლის დროსაც პატარა ფუნჯს და საღებავ „პოლიკოლორს“ ხმარობს. და ახლა ერიკა დედას თმებით ათრევს, რომელთაც თვითვე ალამაზებდა. იგი გაშმაგებით ქაჩავს თმას. დედა ბღავის. როდესაც ერიკა მას თავს ანებებს, ხელში თმის ბღუჯა რჩება, რომელსაც უსიტყვოდ და გაკვირვებით უყურებს. ქიმიური საღებავისაგან თმები ფუჭდება, მაგრამ დედამისის თმები არც თავისი ბუნებრივი ფორმით არის მაინცდამაინც ბრწყინვალე. ერიკა უცებ ვერ ხვდება, რა უყოს ამ ბღუჯა თმებს. ბოლოს იგი სამზარეულოში მიდის და მუქ ჩალისფერ, უხეიროდ შეღებილ თმებს ნაგვის ყუთში ყრის. დედა ქაჩვისაგან შეთხელებული თმებით, უნუგეშოდ ტირის სასტუმრო ოთახის შუაგულში, სადაც ერიკა ხშირად მართავს საშინაო კონცერტებს; ამასთან, იგი ყველაზე უკეთ თამაშობს, ამ ოთახში ხომ მის გარდა, ფორტეპიანოზე სხვა არავინ უკრავს. დედას კვლავ უჭირავს ახალი კაბა აკანკალებული ხელებით. თუ იგი მის გაყიდვას აპირებს, მაშინ უნდა იჩქაროს: ფასონი ნახატზე, რომელზეც გამოსახულია კომბოსტოს თავისოდენა ყაყაჩო, წლის ბოლომდე გავა მოდიდან, და არასდროს აღარ დაბრუნდება. ამოგლეჯილი თმებისაგან დედას თავი სტკივა.

შვილი ბრუნდება და აღელვებისაგან ტირის. იგი დედას ბილწ არამზადას უწოდებს, თან იმედოვნებს, რომ დედა მას ახლავე შეურიგდება, და დაამტკიცებს ამას ალერსიანი კოცნით. დედა წინასწარმეტყველებს, რომ ერიკას ხელი გაუხმება, მან ხომ გაბედა, დედიკოს ხელი დაარტყა და თმებითაც ათრია. ერიკა უფრო და უფრო ხმამაღლა სლუკუნებს, იგი უკვე ნანობს, რაც მოხდა, დედიკო ხომ

მისი გულისთვის არავითარ მსხვერპლს არ ერიდება. ერიკა ძალიან მალე ნანობს თავის საქციელს; მას უყვარს თავისი დედიკო, რომელსაც სულ პატარაობიდან იცნობს. ბოლოს, ერიკა, როგორც მოსალოდნელი იყო, მიდის შერიგებაზე, აგრძელებს რა ხმამაღლა ტირილს. დედაც სიამოვნებითა და ხალისით მიდის შერიგებაზე, მასაც არ ძალუძს, სერიოზულად გაჯავრდეს თავის ქალიშვილზე.

– ყავას მოვადუღებ, დავსხდეთ ერთად მაგიდასთან.

ნაშუადღევს მირთმეული ყავის შემდეგ ერიკას კვლავ ებრალება დედა და სიბრაზე ქრება ნამცხვრის ბოლო ნაჭერთან ერთად. იგი ყურადღებით ათვალიერებს ამობდღვნილ ადგილებს დედის თავზე. არ იცის, რა თქვას ამის შესახებ, ისევე როგორც არ იცოდა, რა ექნა ამოგლეჯილი ბღუჯა თმებისათვის. ბოლოს იგი კიდევ ცოტას წაიტირებს, დედა ხომ უკვე საკმაოდ ხნიერია და ოდესმე საერთოდ აღარ იქნება ამქვეყნად. და კიდევ იმიტომაც, რომ უკვე თვითონ ერიკაც აღარ არის ახალგაზრდა და საერთოდ კიდევ იმიტომ, რომ ყველაფერი ჩაივლის ხოლმე და იშვიათად თუ დაბრუნდება უკან.

ახლა დედა უხსნის შვილს, რატომ არ უნდა ჩაიცვას გამომწვევად მიმზიდველმა გოგონამ. შვილი ეთანხმება. ერიკას კარადა ტანსაცმლითაა გატენილი. მერედა, რისთვის? იგი მათ არასოდეს იცვამს. კაბები იქ ტყუილად კიდია, მხოლოდ კარადის დასამშვენებლად. დედა ყოველთვის ვერ ახერხებს ხელი შეუშალოს ყიდვაში, ხოლო, რაც შეეხება იმას, როდის და რა ტანსაცმელი ატაროს შვილმა, აქ მას განუსაზღვრელი უფლებები აქვს. დედა წყვეტს, რა ტანსაცმლით გავიდეს ერიკა სახლიდან.

– ასეთი მორთულობით გარეთ ვერ გაგიშვებ, - აცხადებს დედა, რადგან შიშობს, ვაითუ ერიკა ასე ჩაცმული წავიდეს უცნობ სახლებში უცნობ მამაკაცებთან. და თვითონ ერიკამაც გადაწყვიტა, აღარ ჩაიცვას ეს კაბები.

დედის მოვალეობაა - განუმტკიცოს მას ეს აზრი და დაიცვას იგი მცდარი გადაწყვეტილებების მიღებისაგან. სამაგიეროდ, შემდეგ მას არ მოუწევს მოიშუშოს იარები, რომელთაც მას მიაყენებენ უცხო ადამიანები. სჯობს, დედამ მიაყენოს ერიკას ჭრილობები და შემდეგ თვალყური ადევნოს მათი განკურნების პროცესს. საუბარი საზღვრებს სცილდება და მიემართება იმ წერტილისაკენ, საიდანაც ბოღმა ინთხევა ყველას მისამართით, ვინც მოუვლის ან შეიძლება მოუაროს ერიკას მარჯვნიდან და მარცხნიდან.

– ეს ჩვენ სრულიადაც არ გვჭირდება, არ შეიძლება მათ დავრთოთ ყველაფრის ნება, რაც კი თავში მოუვათ! თვითონ ხარ დამნაშავე! თვითონ შეგეძლო მათი შეჩერება, მაგრამ შენ ხომ ასეთი მოუქნელი ხარ, ერიკა. თუკი მასწავლებელი პრინციპულად შეეწინააღმდეგება, ვერც ერთი ამ ახალგაზრდა გოგონათაგანი, ყოველ შემთხვევაში ისინი, ვინც მასთან სწავლობენ, ვერ წაიწევენ წინ და ვერ გაიკეთებენ პიანისტის კარიერას, არასასურველ და დადგენილი წესის საწინააღმდეგო კარიერას. ეს შენ თვითონ არ გამოგივიდა, რატომღა უნდა დართო ნება სხვებს, შენს ხარჯზე გააკეთონ ეს და ისიც საკუთარ მოწაფეებს?

ერიკა კვლავ სლუკუნებს, შემდეგ იღებს თავის საბრალო კაბას და უხალისოდ, დუმილით ჰკიდებს კარადაში სხვა კაბების, შარვლიანი კოსტიუმების, პალტოს, ქვედატანისა და პიჯაკების გვერდით. იგი არასოდეს იცვამს მათ. დაე, უცადონ აქ, ვიდრე იგი საღამოს სახლში დაბრუნდება. მაშინ მათ იღებენ, აწყობენ გარშემო, ტანზე იზომებენ, ათვალიერებენ. ყველაზე მთავარია ის, რომ ისინი - მისი საკუთრებაა! დაე, დედამ ამოარჩიოს ისინი და გაყიდოს, მაგრამ თვითონ კი მათ ვერასოდეს ჩაიცვამს, დედა, სამწუხაროდ, მეტისმეტად სქელია ამ ვიწრო ტანსაცმლისათვის. ისინი მას არ მოერგება. აქ ყველაფერი მხოლოდ მისთვისაა, ერიკასათვის. მხოლოდ მას ეკუთვნის. ახალმა კაბამ ჯერ კიდევ არ იცის, რომ ასე ერთბაშად შეწყდა მისი კარიერა. მას ინახავენ ისე, რომ არც კი ჩაუცვამთ

და არც აღარასოდეს გამოიღებენ. ერიკას სურს მხოლოდ ფლობდეს და უყურებდეს მას შორიდან. მას კაბის მოზომვაც არ სურს, საკმარისია ხელში ეკავოს ცოტა ხანს ქსოვილისა და ფერების ეს ნაზავი და გრაციოზულად მიმოატაროს თვალწინ გაშლილი ხელებით. სახლში თითქოს შემოდგომის ქარი იჭრება. ერიკამ უკვე მოიზომა კაბა მოდურ მაღაზიაში და მეტად მას აღარასოდეს ჩაიცვამს. ერიკას უკვე აღარ ახსოვს ის ხანმოკლე, წარმავალი ხიბლი, რომელიც გამოიწვია მასში ამ კაბამ ყიდვის დროს. ახლა კაბა მისთვის მხოლოდ უსულო საგანია, და მაინც ის - მისი საკუთრებაა. ღამით, როცა გარშემო ყველას სძინავს და მხოლოდ ერიკა ფხიზლობს თავის მარტოობაში, და როდესაც ფრაუ დედა, უძვირფასესი მეორე ნახევარი ამ წყვილისა, სიყვარულით რომ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ხედავს უშფოთველ სიზმრებს ტანჯვა-წვალების ახალ ხერხებზე. ქალიშვილი ზოგჯერ, ძალზე იშვიათად აღებს კარადის კარებს და ნელა ეხება თავისი საიდუმლო სურვილების მოწმეებს. მისი სურვილები არც ისე საიდუმლოა, ისინი ყვირიან მთელი ხმით იმაზე, თუ რამდენი დაუჯდა მას ეს ოდესღაც, და რისთვისაა საჭირო ახლა ყოველივე ეს? მათ ერწყმის შეხამებული ფერებისა და მოხატული სახეების მეორე და მესამე ხმები. სად შეიძლება წასვლა ასეთი ტანსაცმლით ისე, რომ არ გეშინოდეს, იქიდან პოლიცია გამომიყვანსო? ჩვეულებისამებრ ერიკას აცვია ქვედატანი და პულოვერი, ზაფხულში კი ბლუზას ატარებს. დროდადრო დედა უცებ იღვიძებს, შეშინებული, და ინსტინქტურად გრძნობს: საკუთარ თავზე შეყვარებული ეს გომბიო კვლავ თავის კაბებს ათვალიერებს. დედა ამაში სრულიად დარწმუნებულია, ი თუნდაც კარადის კარებმა არ გაიჭრიალოს.

მთელი უბედურება ისაა, რომ უმიზნო და გაუთავებელი საყიდლები შორს სწევენ ახალ ბინაში შესვლის ვადას, ერიკას კი გამუდმებით ემუქრება საფრთხე, რომ სიყვარულის მახეში გაებას. მოულოდნელად აღმოაჩენ შენს ბუდეში მამაკაცს გუგულის მიერ

დადებული კვერცხივით. დილით, საუზმის დროს საჭიროა მისთვის მკაცრი საყვედურის თქმა ქარაფშუტობისათვის. გუშინ ხომ დედა კინაღამ მოკვდა შოკისა და თმების ამოგლეჯით მიყენებული ტკივილისაგან. ერიკასთვის დაწესებული იქნება მკაცრი გადასახდელი ვადები და დაე, მან მეტი კერძო გაკვეთილები ჩაატაროს.

საბედნიეროდ, ამ უსიხარულო კოლექციაში არ არის საქორწინო ტანსაცმელი. დედა არ აპირებს გახდეს პატარძლის დედა. მას სურს ჩვეულებრივ დედად დარჩეს, ამ მდგომარეობით იგი სავსებით კმაყოფილია.

მაგრამ დღევანდელი დღე დღევანდელი დღეა. ახლა უკვე ძილის დროა. დედა ორსაწოლიანი ციტადელიდან წესრიგისაკენ მოუწოდებს ერიკას, მაგრამ ქალიშვილი კვლავ სარკის წინ ტრიალებს. დედის ნების მაგარი ნისკარტი ქალიშვილს ზურგში ესობა. ბოლოს იგი სწრაფი მოძრაობით ისინჯავს ელეგანტურ კაბას, რომლის კალთა დამშვენებულია მოხატული ყვავილებით. ეს ყვავილები არასოდეს სუნთქავენ სუფთა ჰაერით, ისინი არასოდეს ისრუტავენ ტენს. ერიკა ამტკიცებს, რომ კაბა ნაყიდია ქალაქის ცენტრში მდებარე ქალთა პრესტიჟულ მაღაზიაში. ხარისხი და მოდელი შესანიშნავია და კარგა ხანს არ გამოვა მოდიდან. კაბა კარგად არის მორგებული ერიკას ტანზე. საჭიროა მხოლოდ თავი შეიკავოს ცომეულისა და ტკბილეულისაგან. კაბის პირველი დანახვისთანავე ერიკას ასეთი აზრი დაებადა: შემიძლია ვატარო ეს კაბა ზედიზედ მრავალი წელი და ის სრულიადაც არ გამოვა მოდიდან. ეს კაბა წლების მანძილზე მოდაში იქნება! ერიკა თავის არგუმენტებს დედასაც უმტკიცებს. კაბა არასოდეს იქნება ძველმოდური! დაე, დედამ მკაცრად ჰკითხოს თავის თავს, ხომ არ ატარებდა იგი თავის ახალგაზრდობაში ასეთი მოდელის კაბას, ა, დედიკო? იგი პრინციპის გამო უარყოფს მსგავს ფაქტს. ამის მიუხედავად, ერიკა აკეთებს დასკვნას, რომ ამ კაბის ყიდვამ გაამართლა, ჯერ მარტო იმიტომ,

რომ ის არასოდეს დაძველდება; ერიკა ოცი წლის შემდეგაც ჩაიცვამს მას ისევე, როგორც ახლა აცვია.

მოდა სწრაფად იცვლება. კაბა მაინც ჩაუცმელი დარჩება, თუმცა ის კვლავინდებურად ახალთახალივით გამოიყურება. მაგრამ არავინ მოდის და არ ითხოვს მის ნახვას. მისმა საუკეთესო წლებმა უმიზნოდ ჩაიარა და არასოდეს დაბრუნდება, ანდა მხოლოდ ოცი წლის შემდეგ.

მოსწავლეთა ნაწილი მტკიცედ იცავს თავს ერიკასაგან, რომელიც მათ ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლის. მაგრამ მათი მშობლები მოითხოვენ მეცადინეობის გაგრძელებას. აქედან გამომდინარე, ფროილაინ კოხუტს, მათ პედაგოგს, შეუძლია ხელი უფრო მაგრად მოუჭიროს მათ. უმეტესობა მუსიკის ენთუზიასტებისა, დამჯერენი და ხელოვნებით გატაცებული არიან, რომელსაც ისინი ეუფლებიან. ისინი აფასებენ ამ ხელოვნებას მაშინაც კი, როდესაც მას სხვა ადამიანები ქმნიან, იქნება ეს მუსიკალურ საზოგადოებასა თუ საკონცერტო დარბაზში. ისინი ადარებენ, წონიან, ანგარიშობენ. ერიკას მრავალი მოწაფე ჰყავს სხვა ქვეყნებიდან და მათი რიცხვი ყოველ წელს უფრო და უფრო იზრდება. ვენა მუსიკის ქალაქია! ის, რაც ამართლებდა აქამდე, გაამართლებს მომავალშიც. ვენის თეთრი, სქელი მუცლიდან, კულტურით რომ არის გატენილი, ტკაცუნით ცვივა ღილები, და ეს მუცელი წლიდან წლამდე საშინლად იზრდება, როგორც წყალში დარჩენილი დამხრჩვალი ადამიანის გვამი.

კარადა კიდევ ერთ კაბას შთანთქავს. კიდევ ერთს! დედას არ მოსწონს, როდესაც ერიკა სახლიდან გადის. ეს კაბა მეტად გამომწვევია, ბავშვს არ უხდება. დედა ამბობს, საჭიროა სადღაც სამანის გავლებაო. მან არ იცის, თუ რას გულისხმობდა დედა. აქედან იქამდე, და მეტი არა, - აი, რა ჰქონდა მხედველობაში.

დედა არწმუნებს ერიკას, რომ ის, ერიკა, სხვებს არა ჰგავს, რომ ის თავისებურად ერთადერთია, განსაკუთრებულია. დედის ვარაუ-

დი ყოველთვის ამართლებს. ერიკა დღეს უკვე ამბობს თავის თავზე, რომ იგი ინდივიდუალისტია. ის აცხადებს, რომ არასოდეს და არავის დაემორჩილება. იგი ადამიანებსაც ძნელად ეგუება. ისეთი მოვლენა, როგორიც ის, ერიკაა, არსებობს მხოლოდ ერთხელ, და არასოდეს განმეორდება. მას, ერიკას, ყველასაგან გამოარჩევ. ის ვერ იტანს ვერავითარ გათანაბრებას, ავიღოთ, მაგალითად, სასკოლო რეფორმა, რომელიც სრულიად არ ითვალისწინებს ბავშვის ხასიათის თავისებურებებს. ერიკა არ დაუშვებს იმას, რომ იგი გაუტოლონ სხვებს, თუნდაც ეს ადამიანები მისი თანამოაზრეები იყვნენ. მისი განსხვავება მათგან მკვეთრად თვალში საცემია. ის - ის არის. იგი ისეთია, როგორიც არის და იგი თავის თავთან ვერაფერს გააწყობს. დედა გრძნობს ცუდ გავლენას ერიკაზე იქ, სადაც იგი ამას ვერ ხედავს და სურს დაიცვას, უპირველეს ყოვლისა, მამაკაცის ზეგავლენისაგან, რომელიც ხელს შეუშლის მას იყოს თავისთავადი, თვითმყოფადი. ხომ ნათელია - ერიკა ფლობს ინდივიდუალობას, თუმცა კი წინააღმდეგობებით აღსავსეს. ეს წინააღმდეგობა უბიძგებს მას მტკიცე პროტესტისაკენ, რათა იგი არ გაითქვიფოს სხვებში. ერიკა - გამოკვეთილი ინდივიდუალობაა, იგი მარტო უპირისპირდება თავის მოწაფეთა ფართო მასებს, ერთია ყველას წინააღმდეგ და მტკიცედ უპყრია ხელთ პატარა ხომალდის საჭე, რომელიც მუსიკალური ხელოვნების ტალღებზე მიცურავს. მას არ აკმაყოფილებს განსხვავებული აზრი, მსჯელობა, რომელიც სხვებთან გაათანაბრებდა. როცა მოსწავლე ეკითხება მას მიზნის შესახებ, რომლისკენაც იგი მიისწრაფვის, ის ლაპარაკობს ხელოვნების ჰუმანიზმის შესახებ და ამ გაგებით მოკლედ გადასცემს მოწაფეებს ბეთჰოვენის საღვთო წერილის შინაარსს. ზოგადად, მხატვრული და ინდივიდუალური ადამიანური ხასიათის მოსაზრებიდან გამომდინარე, ერიკა აკეთებს დასკვნას: იგი ვერასდროს შეძლებს დაექვემდებაროს მამაკაცს მას შემდეგ, რაც ამდენი წლის განმავლობაში დედას ემორჩილება. დედა წინააღმდეგია იმისა, რომ ერიკა

ოდესმე გათხოვდეს. იგი ამბობს, რომ ერიკა ძნელად უახლოვდება ადამიანებს და ვერ აიტანს იმას, რომ სხვაზე იყოს დამოკიდებულიო. მართლაც, იგი ასეთია. ერიკას არ შეუძლია აირჩიოს ცხოვრების თანამგზავრი, რადგან მას უდრეკი ხასიათი აქვს. და თანაც იგი კარგა ხანია, მთლად ნორჩიც აღარ არის. როცა ერთი მხარე არ დაუთმობს მეორეს, ცოლქმრობა სწრაფად და ცუდად მთავრდება.

– სჯობს, ისეთი დარჩე, როგორიც ხარ, - ეუბნება დედა ერიკას. ბოლოს და ბოლოს დედამ ერიკა ისეთი გაზარდა, როგორიც თვითონ არის.

– თქვენ ჯერ არ დაოჯახებულხართ, ფროილაინ[1] ერიკა? - ეკითხება მერძევე ქალი და ხორცის გამყიდველიც იმავე შეკითხვას აძლევს.

– თქვენ ხომ იცით, მე არავინ მომწონს, - პასუხობს ერიკა.

საერთოდ იგი სასიგნალო ანძას უფრო ჰგავს, მარტოდმარტო რომ კიდია გაშლილ სივრცეში. ასეთები ბევრი როდია. ისინი ძნელად და ძალზე იშვიათად მრავლდებიან, მძიმე და ხელმომჭირნე ცხოვრებას ეწევიან. ერიკა დაიბადა მხოლოდ მას შემდეგ, როცა დედამისი უკვე ოცი წლის გათხოვილი იყო: ამ ცოლქმრობამ მამა ჭკუიდან შეშალა და ახლა ის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფება, რათა გარშემო მყოფთ საფრთხე არ შეუქმნას.

იცავს რა წესისამებრ დუმილს, როგორც ეს მიღებულია ხოლმე, ერიკა ყიდულობს მეოთხედ ფუნტ კარაქს. ეყოფა მისგან მშობელ დედას, არ სჭირდება მას არავითარი საქმრო. როგორც კი ამ ოჯახის შთამომავალი სიმწიფის ასაკს მიაღწევს, მას მაშინვე უკუაგდებენ და უარყოფენ. მასთან ყოველგვარ ურთიერთობას წყვეტენ, მას შემდეგ, რაც იგი თავის უმაქნისობასა და უვარგისობას გამოავლენს. დედა თავიდან იცილებს ოჯახის წევრებს - მათ ერთიმეორის მიყოლებით სახლიდან აძევებს. იგი გამოყენების თვალსაზ-

---

[1] ფროილაინ - ქალიშვილი.

[2] მესიანი, ოლივიე - ფრანგი კომპოზიტორი, რომლის მუსიკაც

რისით აწონ-დაწონის თითოეულ მათგანს და პარაზიტებს, რომლებიც მუდამ რაღაცას ითხოვენ, თავიდან იცილებს.

– ორნი დავრჩებით, ხომ ერიკა? ჩვენ სხვა არავინ გვჭირდება. დრო გადის, ჩვენც თან მივყავართ, და ვითქვიფებით მასში. ერიკა, მისი რჩეული ტანსაცმელი და დედამისი ერთად არიან მომწყვდეული მინის ხუფში. ხუფი მხოლოდ მაშინ გაიხსნება, როცა ვინმე გარედან ხელს მოჰკიდებს მის შუშის თავს და ზემოთ ასწევს მას. ერიკა თითქოსდა მწერია ქარვაში, დროის გარეშე, ასაკის გარეშე. ერიკას არ გააჩნია ისტორია და იგი არ ერევა არავითარ ისტორიაში. ამ მწერმა სრულიად დაკარგა სირბილისა და ცოცვის უნარი. ერიკა ცოცხლობს უსასრულობასთან თანაზიარი, ჩაწნულია მასში. მას უხარია, ეს უსასრულობა გაინაწილოს თავის საყვარელ მუსიკოსებთან ერთად, მაგრამ პოპულარობით მათ ხომ ვერ შეედრება. ერიკა იბრძვის თავისი პატარა ადგილისათვის მზის ქვეშ, რათა მხედველობიდან არ გამორჩეს მუსიკალური ხელოვნების შემოქმედნი. ამ ადგილისათვის ბრძოლა მთელი ძალების დაძაბვას მოითხოვს, რადგან თითქმის მთელ ვენას სურს, აქ ააშენოს პატარა აგარაკი თავისი ხილის ბაღით. ერიკა გულმოდგინედ აგებს აქ გალავანს და იწყებს საფუძვლის ჩაყრას. მან ეს ადგილი პატიოსნად დაიმსახურა თავისი სწავლითა და საშემსრულებლო უნარ-შესაძლებლობებით. ბოლოს და ბოლოს მიბაძვა ხელოვანისათვის შემოქმედების ფორმაა. იგი პიანინოზე დაკვრას მუდამ უმატებს რაღაც საკუთარს, რაღაც თავისას. მასში თავის გულის სისხლს აწვეთებს. შემსრულებელსაც აქვს თავისი მოკრძალებული მიზანი: დაუკრას კარგად. - და მაინც იგი უნდა დაექვემდებაროს ნაწარმოების ავტორს, მის შემქმნელს, - ამბობს ერიკა. იგი ნებაყოფლობით აღიარებს, რომ ეს მას პრობლემას უქმნის, რადგან მას შეუძლია და თან არ შეუძლია დაქვემდებარება. და მაინც, ერიკასა და სხვა შემსრულებლებს ერთი მთავარი მიზანი აქვთ - აჯობონ სხვებს!

იგი ტრამვაიში ვაივაგლახით ადის, მუსიკალური ინსტრუმენ-ტებით დამძიმებული, წინ და უკან რომ კიდია მხრებზე, რასაც ემა-ტება აგრეთვე ნოტებით გაძეძგილი ჩანთა. ის პეპელაა, ვეებერთე-ლა ტვირთი რომ აუკიდებია. მწერი გრძნობს, რომ მასში თვლემს ის ძალა, რომლისთვისაც მხოლოდ მუსიკა არ არის საკმარისი. იგი ხელს უჭერს ვიოლინოს, ალტისა და ფლეიტის ფუტლარებს. იგი სიამოვნებით წარმართავს თავის ძალებს ნეგატიურად, თუმცა მას არჩევანის შესაძლებლობა აქვს. არჩევანს დედა სთავაზობს – მეწ-ველი ძროხის ჯიქანს, რომელსაც მუსიკა ჰქვია.

იგი თავისი სიმიანი და სასულე ინსტრუმენტებითა და მძიმე ნოტების ჩანთით ხალხს ზურგიდან და წინა მხრიდან ეჯახება. ეჯა-ხება იმ გაქონილ ადგილებს, რომლებზეც მისი ინსტრუმენტები უკანვე სხლტება, როგორც რეზინის ბუფერებზე. ზოგჯერ, სურვი-ლისამებრ, იგი ფუტლარსა და ინსტრუმენტს ერთ ხელში იჭერს, ხოლო მეორე თავისუფალი ხელის მუშტით მზაკვრულად ჰკრავს მუჯლუგუნს სხვის პალტოებს, მოსასხამებს, შალის წყალგაუმტარ ქურთუკებს. იგი შეურაცხყოფს ავსტრიულ ეროვნულ ტანსაც-მელს, რომელიც ირმის რქის ღილებითაა გაწყობილი. კამიკაძეს მსგავსად საკუთარ თავს იარაღად იყენებს. იგი თავისი ინსტრუმენ-ტების წაწვეტებული ბოლოებით, ხან ვიოლინოთი, ხან კიდევ მძი-მე ალტით კვლავ უბიძგებს მუშაობისაგან გასავათებულ და გას-ვრილ ადამიანებს. როდესაც ტრამვაი გატენილია, დაახლოებით ექვს საათზე, მკვეთრი მოძრაობით შეიძლება მრავალი ადამიანი დააზიანო. ვერ შემობრუნდები ისე, როგორც გინდა, ძალიან სივიწ-როვეა. იგი გამონაკლისია ამ საზიზღარი წესებისა, მის გარშემო რომ სუფევს და მორიგი შეხლა-შემოხლის დროს დედამისი ხალი-სით უხსნის მას, რომ ის გამონაკლისია, რადგან დედის ერთადერთი შვილია, რომელიც ღირსეულად უნდა მოიქცეს. ტრამვაიში იგი ყოველდღე ხედავს, თუ როგორი არ უნდა გახდეს ის. იგი მიარ-ღვევს ბილეთიანი თუ უბილეთო ხალხის ნაცრისფერ ნაკადს, ახ-

ლახან რომ ამოვიდნენ, ან გასასვლელისკენ მიეშურებიან, იმათ, რომელთაც, საიდანაც მოდიან, იქ ვერაფერი მიიღეს, და იქ, სადაც მიდიან, ვერაფერ საიმედოს ნახავენ. მათში ვერაფერი მოგხიბლავთ. ზოგიერთი უკვე ჩავიდა, ვიდრე აქ რიგიანად მოეწყობოდა.

როცა ხალხის რისხვა აიძულებს მას, იმ გაჩერებაზე ჩავიდეს, მისი სახლიდან ჯერ კიდევ საკმაოდ მოცილებული რომ არის, იგი მართლაც მორჩილად ტოვებს ვაგონს, იოკებს რა ბრაზს, მის შეკუმშულ მუშტებსაც რომ მოსდებია და მოთმინებით უცდის მომდევნო ტრამვაის, რომელიც უეჭველად გამოჩნდება და გამოცხადდება, როგორც „ამინ“-ი ლოცვაში. ეს ჯაჭვის რგოლები არასოდეს გაწყდება. შემდეგ იგი კვლავ ახალ შეტევაზე გადადის. ინსტრუმენტებით დატვირთული, გაჭირვებით მიიკვლევს გზას მგზავრებში, სამუშაოდან რომ ბრუნდებიან და უეცრად თითქოს ყუმბარასავით იფეთქებს. ის განზრახ ყოვნდება და იჩხირება, ამბობს, უკაცრავად, აქ უნდა ჩავიდეო. გარშემო მყოფნიც მაშინვე დაფაცურდნენ. მან ახლავე უნდა დატოვოს ეს სუფთა საზოგადოებრივი ტრანსპორტი! ისეთებს, როგორიც ის არის, აქ ადგილი არა აქვთ! წესიერი მგზავრები ასეთ რაღაცებს ვერ მოითმენენ. ისინი უყურებენ მოსწავლეს და ფიქრობენ, მუსიკამ მას უკვე ადრე გაუღვიძა ამაღლებული გრძნობებიო, მაგრამ ეს მხოლოდ მის მუშტად შეკრულ ხელში იგრძნობა. – ზოგჯერ უსამართლო ბრალდებას მგზავრები რომელიმე ახალგაზრდა კაცს უყენებენ, მაგალითად, აი, იმ ყმაწვილს, რომელსაც ზურგზე გაცვეთილი ტილოს ჩანთა კიდია, რადგან ეჭვი მის მიმართ უფრო გაუჩნდებათ. იგი უნდა ჩავიდეს და თავისი მეგობრებისკენ მოუსვას, ვიდრე ეს მატყლის ხეშეშ ქურთუკში გამოწყობილი მუტრუკი სახეში ჩააფარებდეს.

ხალხის რისხვა, ხალხისა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ზუსტად გადაიხადა მგზავრობის ხარჯი, თავისი სამი შილინგი, მუდამ მართალია და ამის დამტკიცება კონტროლიორთანაც შეუძლია. იგი ამაყად აძლევს მას კომპოსტირებულ ბილეთს და მთელი

ტრამვაი თავისი ჰგონია. ამით იგი რამდენიმე კვირის განმავლობაში თავს იზღვევს ყოვლად უსიამოვნო და შიშით აღსავსე ფიქრებისაგან, ვაითუ კონტროლიორი გამოჩნდესო.

რომელიღაც ქალბატონი, ისევე როგორც სხვები, ტკივილს გრძნობს და ბღავილს იწყებს: მას კარგა მაგრად მოხვდა წვივში, ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ადგილას, რომელსაც ნაწილობრივ მისი სხეულის წონაც აწვება. ამ სახიფათო ჭყლეტაში კაციშვილი ვერ გაიგებს, ვინ არის დამნაშავე და ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი. ხალხში გაისმის დამადანაშაულებელი სიტყვები, ლანძღვა, ხვეწნა-მუდარა, ჩივილი. დაღებული პირებიდან იფრქვევა წუწუნი და ჩივილი საკუთარ ბედზე, წყევლა-კრულვა სხვათა მისამართით. ისინი მჭიდროდ ეკვრიან ერთმანეთს, როგორც თევზები ქილაში, მაგრამ ჯერ ზეთი არ აქვთ მოსხმული, ჯერ საღამო არ დამდგარა.

იგი ბოლმით არტყამს ფეხს კაცს და თანაც პირდაპირ მაგარ ძვალში ახვედრებს. მისი ერთ-ერთი მოსწავლე გოგონა, რომლის საუცხოო მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზეც ორი მუდმივი შუქი ანათებს და რომელიც უახლესი მოდის ბეწვისსარჩულიან ტყავის პალტოშია გამოწყობილი, ერთხელ მას მეგობრულად ეკითხება: რა არის, რომ დაატარებ და რა ჰქვია მას? მე ვგულისხმობ ამ ყუთს და არა შენს თავს, რომელიც მხრებზე გადგას. – ეს ეგრეთ წოდებული ალტია, - თავაზიანად პასუხობს იგი.

– რა არის ალტი? – ეს უცნაური სიტყვა არასოდეს გამიგონია, - მხიარულად ამბობენ შეღებილი ტუჩები. დადის აქ ვიღაც და დაქვს რაღაც, ალტი რომ ჰქვია და გაურკვეველია, რისთვის გამოიყენება. ყველამ თავი უნდა მოარიდოს, რადგან ის ირგვლივ იმდენ ადგილს იკავებს. იგი თავისუფლად გადის ამ ალტით და არავინ იჭერს მას დანაშაულის ადგილზე.

ტრამვაის სახელურზე მთელი სიმძიმით ჩამოკიდებული მგზავრები და ის რამდენიმე ილბლიანი ადამიანი, დასაჯდომი ადგილი რომ ხვდა წილად, რომელთაც შურით შეჰყურებენ სხვები, ამაოდ

იგრძელებენ კისერს თავიანთი დაუძლურებული სხეულიდან. ისინი ვერ ახერხებენ დაინახონ ვინმე თავიანთ გარშემო, რომელსაც პასუხს მოსთხოვდნენ იმის გამო, რომ რაღაც მაგარი საგნით ფეხები ატკინეს. – ვიღაცამ ახლა ფეხზე დამაბიჯა, – ცუდი ლიტერატურული ენით ილანძღება ერთ-ერთი მგზავრი. – ვინ ჩაიდინა ეს? იხსნება ყბადაღებული ვენის პირველი სატრანსპორტო სასამართლო სხდომა, რათა გამოიტანოს ვერდიქტი და განაჩენი. ყოველ ფილმში, რომელიც ომს ეხება, ერთი ადამიანი მაინც გამოჩნდება მოხალისე, რომელიც მზად არის შეუერთდეს სიკვდილმისჯილთა (სასიკვდილოდ განწირულთა) რაზმს. ეს მხდალი ფინია კი ჩვენს ზურგს უკან იმალება. მთელი ჯგრო ვირთხის მსგავსი ხელოსნებისა, საპენსიო ასაკს რომ უახლოვდება, ზურგზე თავიანთი სამუშაო ჩანთებით, ერთი ვაი-ვიშით ჩადიან ვაგონიდან ბიძგებითა და ხელის კვრით. ახლა ეს ხალხი ერთი გაჩერება ფეხით გაუყვება გზას. როდესაც ვინმე სიმშვიდეს არღვევს ვაგონში, სასწრაფოდ სუფთა ჰაერია საჭირო, რაც საკმარისად არის გარეთ. თუ არადა ტრანსპორტში დაგროვილ სიბრაზეს სახლში ცოლზე გადაანთხევენ. გაურკვეველი ფერისა და ფორმის ფიგურა ირყევა, ცურდება, სხვა კი დაჭრილივით ბღავის. ვენური შხამის სქელი ნისლი ედება ტრამვაიში მყოფ ხალხს. ერთი მათგანი უშვერი სიტყვებით ილანძღება, რადგანაც მას საღამო ჩაუშხამეს. ასე ძალუმად იპყრობთ მათ ბრაზი. მათი დასვენება საღამოს, უკვე ოცი წუთის შემდეგ რომ უნდა დაწყებულიყო, დღეს უკვე ვეღარ მოხერხდება. ეს დასვენება უეცრად შეწყდა, ისე, თითქოს შეფუთულ ნივთს ჭრელი ინსტრუქცია აახიეს და რომელსაც უკან ვეღარ შედებ თაროზე. მსხვერპლს აღარ შეუძლია ახალი და დაუზიანებელი შეფუთული ნივთის შეუმჩნევლად აღება, მას, როგორც მაღაზიის ქურდს, წამსვე ხელს ჩაავლებს გამყიდველი ქალი. – უხმაუროდ გამომყევით უკან! ყოველგვარი ხმაურის გარეშე! მაგრამ კარი, რომელსაც მაღაზიის დირექტორის კაბინეტში შევყავართ, გვგონია, რომ ცრუ კარია, და

სრულიად ახალი სუპერმარკეტის კედლებს უკან თქვენ არავინ შემოგთავაზებთ კვირის სიახლეებს, – იქ არაფერი არ არის, სრულიად არაფერი, მხოლოდ სიბნელე და მყიდველი, რომელიც არასოდეს ყოფილა ძუნწი და ხელმომჭირნე, უკვალოდ ქრება, თითქოს უფსკრულმა შთანთქაო. ამ დროს ვიღაცა აქ მიღებული დახვეწილი ლიტერატურული ენით ამბობს: ახლავე დატოვეთ სალონი! მას კეფაზე მოუჩანს გარეული თხის ფაფუკი ბეწვის ბღუჯა, – კაცს თავზე მონადირის ქუდი ახურავს.

მაგრამ იგი დროულად იხრება წელში და ახალ მზაკვრულ ხრიკს მიმართავს. ჯერ ირგვლივ იწყობს თავის მუსიკალურ ინსტრუმენტებს. ისინი ერთგვარ ზღუდეს ქმნიან მის გარშემო. იგი თავს ისე აჩვენებს, თითქოს ზონარს იკრავს ფეხსაცმელზე, მაგრამ ის თავისი თანამგზავრისათვის მარყუჟს კრავს. იგი ისე, სხვათა შორის, ღონივრად ჩქმეტს წვივზე ერთსა და მეორე ქალსაც, ზუსტად ერთნაირად რომ გამოიყურებიან. ამ ქვრივ ქალს ნამდვილად ექნება ტანზე ლურჯი ლაქები. ამგვარად დასახიჩრებული ქალი წამოხტება, თითქოს მბრწყინავი, ღამით განათებული შადრევნის ნაკადიაო, საყოველთაო ყურადღებას რომ იპყრობს და შემდეგ მოკლედ და ზუსტად დაახასიათებს რა თავის ოჯახურ მდგომარეობას, იმუქრება – ეს ყველაფერი (უპირველესად კი მისი გარდაცვლილი მეუღლე) საშინელ დღეში ჩააგდებს მის მტანჯველს. იგი შემდეგ პოლიციას უხმობს! პოლიცია არ მოდის, ის ხომ ყველაფერს ვერ გასწვდება.

მას სახეზე უდანაშაულო მუსიკოსის უწყინარი გამომეტყველება ეხატება. თავი ისე უჭირავს, თითქოსდა რომანტიკული მუსიკის იდუმალ ძალთა ტყვეობაშია, სრულ ემოციურ დატვირთვას რომ მოითხოვს და სხვა არაფერი არ აინტერესებს. ამის შემდეგ ხალხი ერთსულოვნად ღაღადებს, ეს ტყვიამფრქვევით შეიარაღებული ქალი ნამდვილად არ არის დამნაშავეო. როგორც ადრე, ხალხი ახლაც ცდება.

ზოგჯერ რომელიმე მგზავრი უფრო მეტ მიხვედრილობას ავლენს და ნამდვილ დამნაშავეზე მიუთითებს: ეს შენ იყავი?! მას ეკითხებიან, თუ რას იტყვის იგი თავის გასამართლებლად ამ მოკაშკაშე მზის სხივებით განათებულ დღეს, როგორც უკვე ზრდადასრულებული ადამიანი. იგი დუმს. დუმილი, რომელიც მას ერთ დროს მშობლებმა ასწავლეს, ახლა ეფექტურად გამოიყენა, რათა მან უნებურად არ გასცეს საკუთარი თავი. იგი თავს არ იცავს. რამდენიმე მგზავრი ერთმანეთს ეჩხუბება, რას ერჩი ამ ყრუ-მუნჯ ქალსო. ვიღაცა გონებას უხმობს და ამტკიცებს, – ის, ვინც ვიოლინოზე უკრავს, არაფრით არ შეიძლება ყრუ-მუნჯი იყოსო. შეიძლება ის მხოლოდ მუნჯია, ან ვიოლინო ვინმე სხვასთან მიაქვსო. მგზავრები ერთმანეთში ვერ თანხმდებიან და თავიანთ განზრახვაზე ხელს იღებენ. მათ თავში უტრიალებთ აზრები ღვინის სარდაფში მხიარული და ხმაურიანი საღამოს შესახებ და ამაზე მთელი მათი ინტელექტუალური მსჯელობა იხარჯება. აზროვნების ნარჩენს ალკოჰოლი ანადგურებს. ალკოჰოლიკების ქვეყანა. მუსიკის ქალაქი. ამ გოგონას მზერა მიმართულია გრძნობათა სამყაროს შორეული სივრცეებისაკენ. მისი მომჩივანი უკეთეს შემთხვევაში ხშირად ეძალება ხოლმე ლუდს და იგი მოკრძალებულად დუმს მისი მზერის წინაშე.

ხელის კვრით ხალხში გაძრომა, ამგვარად გზის გაკვლევა, მის ღირსებას არ შეეფერება, რადგან ამას აკეთებს ბრბო და არა მევიოლინე და ალტისტი. ამ პატარა სიამოვნებების გულისათვის იგი იმასაც კი ბედავს, რომ სახლში გვიან მივიდეს, სადაც მას დედა ელოდება წამზომით ხელში და საყვედურებით ავსებს. ასეთ სიძნელეებს იგი ჯერ კიდევ უძლებს, თუმცა კი დღის მეორე ნახევრის განმავლობაში მუსიკას უკრავდა, უკრავდა ვიოლინოს და თავისზე უარესებს დასცინოდა. მას სურს ჩაუნერგოს ხალხს შიშისა და საშინელების გრძნობა. ასეთივე გრძნობებითაა აღსავსე ფილარმონიის საკონცერტო პროგრამის ფურცლები.

ფილარმონიის მაყურებელი პროგრამის შესავალ სიტყვებს საბაბად იყენებს, რომ აუხსნას სხვა დამსწრეს, თუ როგორ შეძრა მთელი მისი არსება იმ ტკივილმა, რომლითაც ეს მუსიკაა აღსავსე. სწორედ ახლახან წაიკითხა ესა და ამის მსგავსი რამ. ბეთჰოვენის ტკივილი, მოცარტის ტკივილი, შუმანის ტკივილი, ბრუკნერის ტკივილი, ვაგნერის ტკივილი. ეს ტკივილები მისი ერთადერთი ქონება, ამასთანავე, ის არის პიოშლის ფეხსაცმლის ფაბრიკის ან კოტცლერის სამშენებლო მასალების სავაჭროს მფლობელი. თითქოს ბეთჰოვენი შიშის ბერკეტს აწვება და ისინიც შიშისაგან ახტუნავებენ მთელ კოლექტივს.

ეს სწავლული ქალბატონი უკვე კარგა ხანია გადავიდა „შენ“-ობით ლაპარაკზე. იგი ათი წელია ხსნის მოცარტის რეკვიემის ბოლო საიდუმლოს. აქამდე მას ჯერ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ, რადგან ეს ნაწარმოები აუხსნელია. ჩვენ ეს არ გვესმის, ჩვენთვის ეს მიუწვდომელია. სწავლული ქალი ამბობს, რომ ეს მუსიკის ისტორიაში ყველაზე გენიალური ნაწარმოებია, რომელიც კი დაკვეთით დაწერილა, ამაში ის და კიდევ ზოგიერთი სხვაც დარწმუნებულია. სწავლული ქალბატონი იმ მცირერიცხოვან რჩეულთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც იციან, რომ არსებობს ისეთი რამეები, რასაც ვერ ჩავწვდებით ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად. რაღაა აქ სხვა სალაპარაკო? გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი რამ. ეს ეხება აგრეთვე ზოგიერთ ლექსს, რომელიც აგრეთვე ანალიზს არ ექვემდებარება. რეკვიემის ავანსი მეეტლის შავ წამოსასხამში გახვეულმა საიდუმლოებით მოცულმა უცნობმა მოგვცა. სწავლულმა ქალმა და სხვებმა, რომლებმაც ფილმი ნახეს მოცარტზე, იციან: ეს თვითონ სიკვდილი იყო! ამ აზრით შეპყრობილი, ის კბილებით ღრღნის და აკეთებს ნახვრეტს გარსში, ერთ-ერთ უდიდეს ადამიანს რომ ფარავს და შიგ იკუნჭება. იშვიათ შემთხვევაში ამ დიდ ადამიანთან ერთადაც იზრდებიან.

ეს ადამიანები მუდამ მის გარშემო ტრიალებენ. ვიღაც აბეზარი მუდამ ცდილობს მისი შეგრძნების სფეროში მოხვდეს. ბრბო არა მხოლოდ თრგუნავს და ეუფლება ხელოვნებას ისე, რომ არავითარი უფლება არ აქვს მასზე, არამედ თვითონ ხელოვანსაც ავიწროებს, მასში მიძვრება. იგი საცხოვრებელს იწყობს ხელოვანში და წამსვე ფანჯრებს ჭრის, აკეთებს, რათა თვითონ გამოჩნდეს გარედან და თვითონაც დაინახოს. თავისი ოფლიანი თითებით ეს ვიღაც ყეყეჩი იჩხრიკება, ხელებს აფათურებს იმაში, რაც მხოლოდ მას ეკუთვნის. ისინი თვითნებურად და დაუკითხავად მღერიან კანტილენებს, სიმღერებს. ისინი დანერწყვილი საჩვენებელი თითით ცდილობენ გამოძებნონ თემა, თანაც რაიმე შესაბამისი და არაძირითადი, თანამდევი და ვერ პოულობენ რა მას, თავის ქნევით კმაყოფილდებიან იმით, რომ ხელახლა იმეორებენ მთავარ თემას, თან ფარისევლურად იგრიხებიან, აქაოდა, კარგი მცოდნეები ვართო. უმეტესობისათვის ხელოვნების მთავარი ხიბლი იმის კვლავ ძიებაშია, რაც, მისი აზრით, მან კარგად იცის. გრძნობებითაა შეძრული ბატონი საყასბოს მფლობელი. მას არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა, თუმცა კი მიჩვეულია სისხლიან საქმეს. იგი შეშდება გაოცებისაგან. იგი არ თესავს, არ ხნავს, ცუდი სმენა აქვს, მაგრამ საკონცერტო დარბაზში მას შეიძლება სხვები დააკვირდნენ. მის გვერდით არიან მისი ოჯახის წევრები – ქალები, რომელთაც სურთ აგრეთვე დაესწრონ კონცერტს.

ის ფეხს კრავს მოხუც ქალს მარჯვენა ქუსლზე. იგი ახერხებს ყოველი ფრაზა შესაბამის მიზანს და ადგილს დაუქვემდებაროს. მხოლოდ მას შეუძლია ყოველივე მოსმენის შესაბამისი ადგილი მიუჩინოს. იგი ზიზღით უყურებს ამ პეტელა ბატკნების უმეცრებას და ამით სჯის ბატკნებს. მისი სხეული ერთადერთი დიდი მაცივარია, რომელშიც ხელოვნება კარგად ინახება.

მისი ინსტინქტი სისუფთავისადმი უჩვეულოდ მგრძნობიარეა. ჭუჭყიანი სხეულები გარშემო წებოვან ფისის ტყეს ქმნიან. აქ არის

არა მხოლოდ სხეულის ჭუჭყი და ყოვლად საზიზღარი სიბინძურე, რითაც იღლიის უბეები და ქვედაწელის ორგანოები ყარს, არა მხოლოდ მოხუცი ქალის ოდნავ საგრძნობი შარდის სუნი და მოხუცი კაცის კანის სპორებიდან გამოსული ნიკოტინის მყრალი სუნი, უზომო ოდენობის ყველაზე იაფფასიანი საჭმლის ანაორთქლი მათი კუჭებიდან. მისი ყნოსვის ორგანოებს აღიზიანებს და ტანჯავს არა მხოლოდ გაქონილი კანისა და ქერტლის სუნი, ძლივს შესამჩნევი, მაგრამ ფაქიზი ყნოსვისათვის საგრძნობი სიმყრალე ფრჩხილებქვეშ დაგროვილი ჭუჭყისა – ეს ნარჩენები უგემური საჭმელი ნივთიერებებისა, ორგანიზმმა რომ გადაამუშავა, იმ უფერული, უხეში სასუსნავი საკვებისა, ისინი რომ ჭამენ, – თუკი შეიძლება ამას სასუსნავი ვუწოდოთ, – დიახ, ყოველივე ეს აღიზიანებს მის ყნოსვას, მის პირის გემოს; მაგრამ ყველაზე უფრო აღიზიანებს იმის დანახვა, თუ როგორ არიან ისინი ერთმანეთს გადაფსკვნილნი, გადახლართულნი, რა ურცხვად ჩაჰკვრიან ერთმანეთს. ერთი მათგანი მეორის აზრებში იჭრება, მის სულში ძვრება. ამისათვის ისინი დაისჯებიან. მაგრამ ის ვერასოდეს აღწევს თავს მათ. იგი გლეჯს და წეწავს მათ, როგორც ძაღლი თავის ნადავლს. და მაინც, – ისინი დაუკითხავად ფუთფუთებენ მასში, ათვალიერებენ და სინჯავენ მის შინაგან არსს და ბედავენ ამტკიცონ, რომ მათ ეს არ სჭირდებათ და რომ ეს სრულიადაც არ მოსწონთ. ისინი იმასაც კი ამტკიცებენ, რომ მათ ვებერი და შუბერტი არ მოსწონთ.

დედა ყოვლად გაუფრთხილებლად ხდის მას თავის ქალას, დაუკითხავად აფათურებს შიგ ხელებს და რაღაცას ეძებს. იგი ყველაფერს თავდაყირა აყენებს და არაფერს აღარ დებს თავის ადგილზე. ის რაღაცას არჩევს, იღებს იქიდან, აკვირდება გამადიდებელი შუშით და შემდეგ აგდებს. სხვა რამეებს დედა ასწორებს, ენერგიულად ხეხავს ჯაგრისით, ღრუბლითა და ჩვრით. შემდეგ მას ენერგიულად ამშრალებს და კვლავ ჩახრახნის, როგორც დანას ხორცის საკეპ მანქანაში.

აი, ეს მოხუცი ქალი ახლახან ჩაჯდა ტრამვაიში, ისე ზის, რომ კონდუქტორისაგან თავი შორს უჭირავს. იგი ფიქრობს, რომ შეუძლია დამალოს, რომ აქ ამოვიდა, ამ ვაგონში. კაცმა რომ თქვას, იგი კარგა ხანია უკვე მიუახლოვდა „გასასვლელს“ და თვითონაც კარგად უწყის, გადახდას აზრი აღარ აქვს. იმქვეყნის ბილეთი მას უკვე ხელჩანთაში უდევს. ეს ბილეთი ტრამვაიშიც გამოადგება.

ახლა ვიღაც ქალი ეკითხება, ამა და ამ ადგილზე რა გზით მოვხვდებიო და ერიკა პასუხს არ აძლევს. იგი არ ეხმაურება, თუმცა კი ეს გზა კარგად იცის. ქალი არ ჩერდება, მთელ ვაგონს აფორიაქებს და აწუხებს მგზავრებს, ოღონდაც კი თავისთვის სასურველი მისამართი დაადგინოს. იგი ჰგავს პირქუშ მოხეტიალეს ტყის ბილიკებზე, რომელსაც ჩვეულებად აქვს, თავისი წვრილი ჯოხით სიმშვიდე დაუფრთხოს უდანაშაულო ჭიანჭველებს. იგი იწვევს იმას, რომ გაღიზიანებულმა მწერებმა თავიანთი სიმჟავე შეაშხეფონ. ის ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ყოველ ქვას ამოაბრუნებს ხოლმე, რათა ნახოს, ხომ არ იმალება მის ქვეშ უხსენებელი. ეს ქალი ჩხრეკს ყოველ კორდს თუ მოტიტვლებულ ადგილს ტყეში, რაც უნდა პატარა იყოს ის, რათა მიაგნოს სოკოებსა და კენკრას. ასეთები არიან ეს ადამიანები. ხელოვნების ყოველი ნაწარმოებიდან მათ ყველაფერი ბოლომდე უნდა გამოწურონ და შემდეგ ყოველივე ხმამაღლა, ხმაურით განმარტონ. პარკში ისინი სკამებს ცხვირსახოცით ასუფთავებენ, მტვერს აცილებენ, ვიდრე მასზე დაჯდებიან. რესტორანში დანა-ჩანგალს ხელსახოცით აპრიალებენ; ახლო ნათესავის კოსტიუმს ჯაგრისით აცილებენ თმებს, ბეწვებს, ქონიან ლაქებს, ჯიბეებიდან იღებენ წერილებს. ეს ქალი ახლა ხმამაღლა გამოთქვამს აღშფოთებას იმის გამო, რომ ვერავინ ვერაფერს უხსნის გასაგებად. იგი ამტკიცებს, რომ არავის სურს მისთვის გზის სწავლება. ეს ქალი უმეცარი უმრავლესობის წარმომადგენელია, უმრავლესობისა, რომელსაც ერთი თვისება ჭარბად მომადლებია: ბრძოლის ჟინი. იგი ყოველ მათგანს შეებმება და წინ დაუდგება, თუ საჭირო გახდა.

ის სწორედ იმ შესახვევთან ჩამოდის, რომლის შესახებაც ქალმა იკითხა და თან შემკითხველს დამცინავად უყურებს. სახეზე ბრაზი ედება. მალე ის ამ ამბავს მოუყვება თავის მეგობარ ქალს, მას ძროხის ხორცითა და ლობიოთი რომ უმასპინძლდება, და შეეცდება გაახანგრძლივოს ცხოვრება ცოტა ხნით, ამბის მოსაყოლად რომ არის განკუთვნილი, მაგრამ დრო, ვიდრე ის ამბავს ჰყვება, თავის მხრივ, ძალიან სწრაფად გარბის. და ქალი კარგავს სივრცეს ახალი თავგადასავალისათვის.

ერიკა რამდენჯერმე მიბრუნდება სრულიად თავგზააბნეული ქალის მხარეს, ვიდრე ჩვეულებისამებრ სახლისკენ მიმავალ ნაცნობ გზას დაადგება. ის უცინის ქალს და ავიწყდება, რომ რამდენიმე წუთში დედის მიერ ცეცხლშენთებულს, ჭირის ოფლში გაწურვა მოუწევს, რადგან სახლში გვიან ბრუნდება. ამასთან ერთად, ის ვერ მიიღებს ნუგეშს ხელოვნებისაგან, თუმცა მასზე ხშირად ამბობენ, რომ ის დიდი ნუგეშისმცემელია. ზოგჯერ კი თვითონ ხელოვნება იწვევს ტანჯვასა და ვნებებს.

ერიკა - მინდვრის ყვავილი. ამ ყვავილის მიხედვით ჰქვია ქალს ეს სახელი. დედამისს გოგონას დაბადებამდე მშვიდი და ნაზი ზმანებები ჰქონდა. როდესაც მან თავისი სხეულიდან გამოსული თიხის გუნდის მსგავსი არსება დაინახა, იგი იმწუთიდანვე ენერგიულად შეუდგა მის „ზელვასა“ და დამუშავებას, რათა მისთვის სისუფთავე და სინატიფე შეენარჩუნებინა. დედა მუდამ ასე ამბობს: აქ უნდა მოვაშოროთ ეს, ზედმეტია, და ასევე იქაც. ყოველი ბავშვი ინსტინქტურად ეტანება ჭუჭყსა და სიბინძურეს, თუკი მას იქაურობას არ მოაშორებ. დედამ თავიდანვე შეარჩია ერიკასათვის გზა ხელოვნების სფეროში, რათა შეუპოვარი შრომით მიღებული სინატიფე-დახვეწილობიდან ფული გამოედნო მაშინ, როცა საშუალო ნიჭის ადამიანები, აღფრთოვანებულნი ხელოვანი ქალის ნიჭით, მის გარშემო იტრიალებდნენ და მას ტაშს დაუკრავდნენ. ახლა

ერიკას უკვე აქვს საჭირო პეწი და მომზადება, ახლა მან თავისი მუსიკალური ვაგონი რელსებზე უნდა შეაყენოს და დაუყოვნებლივ შეუდგეს ხელოვნების შესწავლას. ასეთი გოგონა არ არის გაჩენილი ძნელი საშინაო საქმეებისათვის. იგი დაბადებულია დახვეწილი კლასიკური ცეკვების, სიმღერისა და მუსიკისათვის. მსოფლიოში ცნობილი პიანისტი ქალი – აი, იდეალი, რაზედაც დედა ოცნებობს; ბავშვმა რომ ამ ინტრიგებით სავსე ქვეყანაში გზა გაიკვლიოს, დედა ყოველ მოსახვევთან გზის მაჩვენებელს არჭობს მიწაში, და ერიკას ცუდი დღე ელის, თუ მეცადინეობას გული ვერ დაუდო. დედა აფრთხილებს ერიკას, თავი მოარიდოს შურიან ხალხს, ბრბოს, რომლებიც მუდამ იმის ცდაში არიან, გაანადგურონ, წყალში ჩაყარონ სხვისი ნაშრომნაღვაწი, – იმ ბრბოს, რომლის უმრავლესობას კაცები შეადგენენ. ფხიზლად იყავი! არც ერთ საფეხურზე, რომელსაც გაივლის, ერიკას არ აქვს დასვენების უფლება, არა აქვს საშუალება სული მოითქვას, მან წამსვე უნდა განაგრძოს საქმე შემდეგ საფეხურამდე. ტყის ცხოველები სახიფათო მანძილზე უახლოვდებიან და სურთ ერიკაც ცხოველად აქციონ.

კონკურენტებს სურთ ერიკა დამრეც საფეხურთან მიიტყუონ იმ საბაბით, აი, რა კარგი ხედი ჩანსო. მაგრამ რა ადვილია ქვევით ჩავარდნა! დედა დაწვრილებით აღწერს უფსკრულს, რათა ბავშვმა სიფრთხილე არ დაკარგოს. მწვერვალზე მსოფლიო სახელი სუფევს, რომელსაც უმრავლესობა ვერასოდეს მიაღწევს. იქ ცივი ქარი ქრის, ხელოვანი იქ მარტოა და გრძნობს კიდეც ამას. ვიდრემდის დედა ცოცხალია და ერიკას მომავალს ქსოვს, ბავშვს შეიძლება მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდეს: უმაღლესი მსოფლიო მიღწევა.

დედა მას ქვემოდან აწვება, რადგან ის ორივე ფეხით მიწას დაჰკვრია და აი, ერიკა უკვე აღარ დგას მშობლიურ მიწაზე, არამედ სხვის ზურგზეა, რომელიც მან ინტრიგების საშუალებით თავიდან მოიცილა. მერყევი დასაყრდენია! ერიკა თითის წვერებით დგას დედის მხრებზე, გაწაფული თითებით ეჭიდება ზემოთ მწვერვალს,

რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ისე ჩანს, როგორც კლდის ქიმი. იგი ძაბავს კუნთებს და მაღლა და მაღლა იწევს. ახლა მისი ცხვირი უკვე ზემოთ ჩანს, კლდის პირას, მაგრამ იგი მხოლოდ ახალ კლდეს ხედავს, კიდევ უფრო შვეული რომ არის, ვიდრე წინა. მაგრამ დიდების მწვერვალს უკვე თავისი ფილიალი აქვს, რომელიც თავის პროდუქტს ცალკეულ დიდ ნაწილებად ინახავს – ბლოკებად – და ამგვარად, საწყობის ხარჯები ისე ძვირი აღარ ჯდება. ერიკა ლოკავს ყინულის ნატეხს და მონაწილეობას იღებს სკოლის კონცერტში შოპენის კონკურსის პრემიის მოსაპოვებლად. მას სჯერა, კიდევ რამდენიმე მილიმეტრი და მიზანიც მიღწეულია!

დედა გესლიანად საყვედურობს ერიკას ზედმეტი თავმდაბლობის გამო. – შენ მუდამ კუდში მიჩანჩალებ! თავაზიანი თავდაჭერა არაფერს გარგებს; მუდამ პირველ სამეულში უნდა იყო; ვინც შემდეგ მოდის დაგვიანებით, ის ვერაფერი შვილია. ასე ამბობს დედა, რომელსაც საუკეთესო სურს და ამიტომ თავის შვილს ქუჩაში არ უშვებს, რათა მან მონაწილეობა არ მიიღოს სპორტულ შეჯიბრებებში და თავისი საქმე – მუსიკაში მეცადინეობა – არ უგულებელყოს.

ერიკას არ უყვარს, როცა თვალში ეჩრება ვინმეს. – იგი მორიდებით დგას განზე და უცდის, რომ სხვებმა გააკეთონ რაიმე მისთვის, – მოთქვამს განაწყენებული ძუ დედა. დედა მწარედ ჩივის, რომ მას ყველაფერზე თვითონ უხდება თავის შვილზე ზრუნვა და ზარ-ზეიმით ერთვება ბრძოლაში. ერიკა თავმდაბლად დგას თავისთვის, თვალში არავის ეჩხირება, რისთვისაც სულ მცირეოდენ ფულსაც არ აძლევენ საჩუქრად, თუნდაც წინდების და საცვლების ფულად.

დედა მეგობრებსა და ნათესავებს, – და ისინი კი ბევრი არ არიან, რადგან იგი მათ კარგა ხანია სრულიად ჩამოსცილდა იმ მიზეზით, ჩემს ბავშვზე ცუდი გავლენა არ მოახდინონო, – დაბეჯითებით არწმუნებს, რომ მან გენიოსი არსება შვა. – ამას სულ უფრო

და უფრო ცხადად ვგრძნობ, – ისმის დედის ბაგეთაგან. ერიკა გენიალურია იმაში, რაც ფორტეპიანოზე მეცადინეობას შეეხება, უბრალოდ ის ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი სპეციალისტების მიერ. ეს რომ არა, ერიკა კომეტის მსგავსად უკვე კარგა ხნის წინათ აიჭრებოდა მაღლა. მასთან შედარებით ყრმა იესოს დაბადების ფასი გროშ-კაპიკია.

მეზობლები თანხმობის ნიშნად თავს უქნევენ. ისინი სიამოვნებით უსმენენ, როცა გოგონა უკრავს. თითქოს რადიოში უკრავენო და თან კაპიკიც არ არის გადასახდელი. საჭიროა მხოლოდ ფანჯრის ან კარის გაღება და ხმები თავისით იჭრება ოთახში, თითქოსდა მომწამლავი გაზიაო, ვრცელდება ყველა კუთხესა და კუნჭულში. ხმაურისაგან აღშფოთებული მეზობლები ყველგან უსაფრდებიან ერიკას და სიწყნარეს მოითხოვენ. დედა ეუბნება მას, შენი ვირტუოზული შესრულებით მეზობლები აღფრთოვანებული არიანო. ერიკას, თითქოს სქელი ნერწყვიაო, წინ მიაქანებს დედობრივი აღტაცების თხელი, პატარა ნაკადული. შემდეგ მას უკვირს, როდესაც მეზობლების ჩივილი და საყვედურები ესმის. დედას მისთვის არასოდეს არაფერი უთქვამს ამ საყვედურების შესახებ!

წლები გადის და ერიკა უკვე სჯობნის კიდეც დედას სხვა ადამიანებისადმი ქედმაღლურ დამოკიდებულებაში. – რა გვესაქმება ჩვენ, დედა, ამ დილეტანტებთან, მათი აზრები მოუხეშავი და ტლანქია, მათი აღქმა და შეგრძნებები მოუმწიფებელი, ჩემს პროფესიაში კი მე მხოლოდ სპეციალისტები მჭირდება. დედა ედავება: – ნუ თაკილობ უბრალო ხალხის ქებას, იმ ხალხისა, რომელიც გულით უსმენს მუსიკას და უფრო მეტ სიამოვნებას ღებულობს, ვიდრე გააზიზებული, განებივრებული და დიდგულა ადამიანები. თვითონ დედას მუსიკისა არაფერი გაეგება; დედასა და შვილს შორის პატიოსანი და შურისძიებით აღსავსე შეჯიბრია, რადგან შვილისთვის მალე ცხადი ხდება, რომ მან დედას მუსიკაში გაუსწრო. დედა თაყვანს სცემს შვილს და მას სამაგიეროდ მხოლოდ მცირე საფა-

სურს სთხოვს: მის სიცოცხლეს. დედას სურს თვითონ განაგებდეს თავისი შვილი ცხოვრებას.

ერიკას ნებას არ რთავენ ურთიერთობა ჰქონდეს უბრალო ადამიანებთან, მაგრამ მათი ქების მოსმენა კი შეიძლება. სპეციალისტები, სამწუხაროდ, მას არ აქებენ. დილეტანტურმა, არამუსიკალურმა ბედმა რჩეულთა შორის მოახვედრა გულდა და ბრენდელი, არგერიხი, პოლინი და სხვები, მაგრამ აი, ერიკა კოხუცს ბედი ჯიუტად აქცევს ზურგს. ბედს სურს ბოლოს და ბოლოს მიუდგომელი დარჩეს და თავი არ შეაცდენინოს ლამაზ სახეს, მშვენიერ ნიღაბს. ერიკა არ არის ლამაზი. მას რომ სდომებოდა ლამაზი ყოფილიყო, დედა ამას წამსვე აუკრძალავდა. ერიკა ამაოდ იშვერს ხელებს ბედისკენ, ბედს არ სურს მისი პიანისტობა. ერიკა ძირს ვარდება, როგორც ბურბუშელა დაზგიდან. ერიკამ არ იცის, რა მოსდის, ის ხომ უკვე დიდი ხანია ისეთივეა, როგორც სხვა ცნობილი ხალხი.

და ერთხელაც ერიკა სრულ მარცხს განიცდის მუსიკალური აკადემიის მნიშვნელოვან დასკვნით კონცერტზე. ეს მარცხი კი მან განიცადა დარბაზში შეკრებილ კონკურენტთა ნათესავებისა და თავისი განმარტოებით მჯდარი დედის წინაშეც, რომელმაც თავისი უკანასკნელი ფული გაიღო ერიკას საკონცერტო კაბისათვის. ამას მოჰყვა ის, რომ დედამ ერიკას სილა გააწნა, – თვით მუსიკაში გაუთვითცნობიერებლებმაც კი შენიშნეს ერიკას სახეზე იმედგაცრუება და ეს მის ხელებზედაც ამოიკითხეს. ამასთანავე, ერიკამ აირჩია არა რომელიმე ნაწარმოები, რომელიც გასაგები იქნებოდა დარბაზში შეკრებილი ბრბოსათვის, არამედ მესიანი;[2] დედა მკაცრად აფრთხილებდა მას, თავი შეეკავებინა ამ არჩევანისაგან. დედის აზრით, შვილი ამ გზით დარბაზში მყოფი ხალხის გულს ვერ მოიგებდა, რომელიც დედასა და შვილს მუდამ სძულდა; პირველს

[2] მესიანი, ოლივიე - ფრანგი კომპოზიტორი, რომლის მუსიკაც დამყარებულია რთულ რიტმულ სტრუქტურებზე.

იმიტომ, რომ თვითონ იყო მუდამ ამ ბრბოს მცირე, შეუმჩნეველი ნაწილი, მეორეს კი იმიტომ, რომ მას არასოდეს უნდოდა ყოფილიყო ეს პატარა, შეუმჩნეველი ნაწილი.

არეული ნაბიჯითა და სალანძღავი სიტყვების თანხლებით ერიკა სცენიდან ჩადის და სირცხვილნაჭამს იქ თავისი „ადრესატი“ დედამისი ხვდება. მისი მასწავლებელი, წარსულში ცნობილი პიანისტი ქალი ასევე მკაცრად საყვედურობს მას კონცენტრაციის უქონლობას. მან ვერ გამოიყენა ის დიდი შანსი, რომელიც მას აღარასოდეს ექნება. მალე დადგება დღე, როდესაც ერიკასი აღარავის შეშურდება და ის არავისთვის სასურველი აღარ იქნება.

მას სხვა აღარაფერი რჩება, გარდა იმისა, რომ მუსიკის მასწავლებლობა დაიწყოს. ძნელი ნაბიჯია ვირტუოზი პიანისტისათვის, უეცრად რომ აღმოჩნდება დამწყებსა – რომლებიც ხშირად წაიბორძიკებენ ხოლმე ნოტების აღების დროს – და უკვე დახელოვნებულ, მაგრამ უსულგულო პიანისტებს შორის. კონსერვატორიებში, მუსიკალურ სკოლებში, ასევე მუსიკის კერძო გაკვეთილებზე მოთმინებით ეუფლებიან და სწავლობენ იმ მასალას, რომლის ადგილიც, კაცმა რომ თქვას, ნაგავსაყრელზეა, უკეთეს შემთხვევაში კი საფეხბურთო მოედანზე. როგორც ძველ დროს, მრავალ ახალგაზრდა ადამიანს ახლაც იზიდავს ხელოვნება, მათ უმეტესობას კი ამას აიძულებენ მშობლები, რომელთაც ხელოვნებისა არაფერი გაეგებათ, მხოლოდ იციან, რომ ის ამქვეყნად არსებობს. და ეს მათ ძალიან დიდ სიხარულს ანიჭებს! მრავალ ადამიანს კი ხელოვნება უკუაგდებს, რადგან ადამიანს ზომიერების გრძნობაც უნდა ჰქონდეს მომადლებული. განსხვავებას ნიჭიერსა და უნიჭო მოსწავლეს შორის ერიკა თავის გაკვეთილებზე განსაკუთრებული სიამოვნებით ადგენს, ასეთი დახარისხება მას მრავალი რამის კომპენსაციას აძლევს, თვითონ იგიც ხომ ერთ დროს, როგორც ვაცი, – ცხვრებს ჩამოაშორეს. ერიკას მოსწავლე გოგონებიც რაღაც უხეშ ნაზავს წარმოქმნიან, რომლებიც ჯერ კიდევ არავის გაუსინჯავს. წითელი

ვარდი მათ შორის იშვიათობაა. ზოგიერთ მათგანს ერიკა უკვე პირველ სასწავლო წელს წარმატებით შეასწავლის კლემენტი-სონატინას მაშინ, როცა სხვები ღრუტუნით და ხვნეშით იქექებიან ჩერნის ეტიუდებში, დამწყებთათვის რომ არის განკუთვნილი და გაიცხრილებიან ხოლმე გამოცდებს შორის, რადგან ვერ პოულობენ ვერც თესლსა და ვერც მარცვალს. არადა, მათ მშობლებს მტკიცედ სჯერათ, რომ მათი ბავშვები მალე პაშტეტით ჩაიკოკლოზინებენ ყელს.

ერიკა სიხარულით მუშაობს წარმატებულ მოწაფეებთან, რომლებიც ბეჯითად მეცადინეობენ. ისინი ახერხებენ შუბერტის სონატების, შუმანის „კრაისლერიანას“, ბეთჰოვენის სონატების დაკვრას, რაც უმაღლესი მიღწევაა ფორტეპიანოს კლასის მოსწავლეთა ცხოვრებაში. სამუშაო ინსტრუმენტი, ფირმა „ბიოზენდორფერის“ როიალი ახარისხებს უხეში სხვადასხვა ნაჭრის ქსოვილს, გვერდით კი დგას მასწავლებლის „ბიოზენდორფერი“, რომელზე დაკვრაც მხოლოდ ერიკას შეუძლია, როდესაც მოსწავლეები სწავლობენ პიესას ორი ფორტეპიანოსათვის.

სამი წლის შემდეგ მოსწავლე უნდა გადავიდეს მომდევნო, უფრო მაღალ კლასში. ამ მიზნით იგი აბარებს გადასასვლელ გამოცდას. ამ გამოცდისათვის მოსამზადებელი მთავარი სამუშაო ერიკას წილად მოდის, რომელმაც მოსწავლის დუნედ მომუშავე ძრავა გაზის ძლიერი დაჭერით მაქსიმალური სიჩქარით უნდა აამოქმედოს. ზოგჯერ ამგვარად დამუშავებული მოსწავლე არასწორად იმართება, არასწორად მოძრაობს, რადგან მას ურჩევნია სულ სხვა რამ გააკეთოს, რაც იმდენადაა მუსიკასთან კავშირში, რამდენადაც ის სიტყვების მუსიკასავით ჩაესმის ყურში გოგონას. ასეთი რამ ერიკას არ სიამოვნებს და რამდენადაც შეუძლია ეწინააღმდეგება. ერიკა გამოცდის წინ ხშირად უქადაგებს მოსწავლეებს, თუ რა მნიშვნელოვანია დაუკრან საჭირო განწყობით და ეს გაცილებით უფრო ფასეულია, ვიდრე წვრილი ხარვეზების უქონლობა. იგი

უქადაგებს ყრუ ყურებს, რომლებიც შიშისაგან დახშულია. მრავალი მისი მოსწავლისათვის მუსიკა არის ასვლა მუშათა დაბალი ფენებიდან წმინდა ხელოვნების დიდ სიმაღლეებზე. მოგვიანებით ისინი ასევე მუსიკის მასწავლებლები იქნებიან. მათ ეშინიათ, რომ გამოცდაზე მათი შიშისაგან დადამბლავებული, გაოფლიანებული თითები, აჩქარებული გულისცემით ამოძრავებული, სხვა კლავიშს არ შეეხონ. – ერიკას შეუძლია, რამდენიც სურს, ილაპარაკოს ინტერპრეტაციაზე, იმათ კი მხოლოდ ის სურთ, რომ ბოლომდე სწორად დაუკრან.

ერიკას აზრს იზიარებს ბატონი ვალტერ კლემერი, სიმპათიური გარეგნობის ქერა ყმაწვილი, რომელიც ბოლო ხანებში ყველაზე ადრე მოდის და საღამოს კი ყველაზე გვიან მიდის. ერიკა აღიარებს, რომ იგი ბეჯითი, ფუტკარივით გამრჯე მოსწავლეა. ის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტია, სადაც იგი ელექტროობასა და მის სასარგებლო თვისებებს სწავლობს. ბოლო ხანებში იგი უცდის, ვიდრე ყველა სტუდენტი წავა, სახელდობრ კი, კლავიშების პირველი ფრთხილი შეხებიდან შოპენის ფანტაზიის ბოლო ჟღერადობამდე ფ-მინორი, ოპუსი 49. მას თავი ისე უჭირავს, თითქოსდა ძალიან ბევრი თავისუფალი დრო აქვს, რაც ბოლო კურსის სტუდენტისათვის ნაკლებად დასაჯერებელია. ერთხელ ერიკა მას ეკითხება, ხომ არ გსურს წაივარჯიშო შონბერგის ნაწარმოებზე, იმის ნაცვლად, რომ აქ ტყუილად იჯდეო. – სასწავლადაც არაფერი მოგცეს? არც ლექციები გაქვს, არც სავარჯიშოები ან რაიმე სხვა? იგი პასუხს აძლევს, ახლა არდადეგები მაქვსო, რაც ერიკას არც გახსენებია, მიუხედავად იმისა, რომ ერიკა ბევრ სტუდენტს ასწავლის. სამუსიკო არდადეგები არ ემთხვევა უნივერსიტეტის არდადეგებს, მკაცრად რომ ვთქვათ, ხელოვან ადამიანს საერთოდ არა აქვს არდადეგები და ეს მას სიამოვნებს.

ერიკა გაკვირვებას ვერ მალავს: რატომ მოდიხართ კვლავ ასე ადრე, ბატონო კლემერ? როდესაც შონბერგის 33ბ ოპუსს ვსწავ-

ლობთ, ისევე როგორც, მაგალითად, თქვენ, ვერ განიჭებთ სიამოვნებას მუსიკა სიმღერათა კრებულიდან – „მხიარული ტონი, მხიარული ხმები“. მაშ, რატომღა უსმენთ ამას? გულმოდგინე კლემერი ტყუის და ამბობს, რომ სარგებლობის მიღება შეიძლება ყველგან და ყოველთვის, თუნდაც მცირეოდენის. – ყველაფრისაგან შეიძლება რაღაც ისწავლო, ამბობს ეს მატყუარა, რომელსაც სხვა საქმე არაფერი აქვს. იგი ირწმუნება, ჩემი ყველაზე უფრო პატარა ძმისგანაც კი, თუკი მოინდომებ, შეიძლება რაღაც ისწავლოო. – მხოლოდ ეს მალე უნდა დაძლიო, რომ წინ წახვიდე. მოსწავლე არ უნდა დაკმაყოფილდეს მცირეოდენით, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეში უფროსები ჩაერევიან.

გარდა ამისა, ახალგაზრდა კაცი სიამოვნებით უსმენს თავის მასწავლებელს, როდესაც იგი უკრავს, იქნება ეს უბრალო მელოდია თუ რთული აკორდები სი-მაჟორში. ერიკა ამბობს: – ნუ ეუბნებით კომპლიმენტს თქვენს მოხუც მუსიკის მასწავლებელს, ბატონო კლემერ, – რაზედაც ყმაწვილი შეესიტყვება, რომ მოხუცებულობაზე ლაპარაკი ზედმეტია და ეს არც კომპლიმენტია, რადგან ეს ჩემი სრული, წმინდა და უგულითადესი შეხედულებაა! ზოგჯერ ეს სიმპათიური ყმაწვილი დამატებითი მეცადინეობის ნებართვას ითხოვს, ის ხომ ესოდენ გულმოდგინე და მოწადინებულია. იგი მასწავლებელს მოლოდინით აღსავსე თვალებით უყურებს და პასუხს უცდის, ელოდება მის ჟესტს. მასწავლებელი, რომელიც მიუწვდომელ სივრცეებში ნავარდობს, აოკებს ახალგაზრდა კაცს, რომლის დროსაც მძაფრად ამბობს შონბერგთან დაკავშირებით: თქვენ კვლავ ვერ ახერხებთ ამას ისე, როგორც საჭიროა. რა სიამოვნებით ემორჩილება მოსწავლე ასეთ დამმოძღვრებელ ძალას, თუნდაც იგი მას ზემოდან უყურებდეს, მტკიცედ უჭირავს რა ამ დროს აღვირი.

– მგონია, შენ ამ ლამაზ ბიჭს შეუყვარდი, - გესლიანად ეუბნება დედა, როცა მის სანახავად კონსერვატორიაში შედის, რათა შემ-

დეგ ხელიხელჩაკიდებულებმა და ურთიერთგადაჭდობილებმა ქალაქის ცენტრში გაისეირნონ. მაღაზიის ვიტრინებში მრავალი სხვადასხვა ნივთია გამოფენილი, რაც ერიკამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ნახოს, სწორედ ამიტომ გამოუარა მას დღეს დედამ. ელეგანტური ფეხსაცმელები, ჩანთები, ქუდები, სამკაულები. – ყველაფერი ეს არ უნდა დაინახოს პიანისტმა ქალმა. დედას მოგონილი საბაბით ერიკა შემოვლითი გზებით მიჰყავს, დღეს მშვენიერი ამინდია და ფეხით ცოტა მეტი გავიაროთო. პარკებში უკვე ყველაფერი ყვავის, პირველ ყოვლისა კი, ვარდები და ტიტები, რომელთაც ასევე არ სჭირდებათ ტანსაცმელი. დედა ელაპარაკება ერიკას ბუნებრივი სილამაზის შესახებ, რომელსაც არ ესაჭიროება არავითარი ხელოვნური მორთულობა. ის თავისთავად ლამაზია, ერიკა, ისევე როგორც შენ. რაღა საჭიროა ეს სამშვენისები და ზიზილ-პიპილოები?

ისინი უკვე უახლოვდებიან მერვე რაიონს, რომელიც იზიდავს ადამიანს თბილი შინაური საპირფარეშოს სუნითა და ნედლი თივის სურნელით, ბაგაში რომ ტრიალებს. დედა შვებით ამოისუნთქავს და შემდეგ მაღაზიების გავლით ერიკა იოზეფ შტედტერის ქუჩის დასაწყისთან მიჰყავს. დედას უხარია, რომ გასეირნებამ ამჟამადაც ყოველგვარი დანახარჯის გარეშე ჩაიარა, მხოლოდ ესაა, სიარულისას ცოტათი ფეხსაცმლის ძირი გაცვდა. დაე, გაცვდეს ფეხსაცმლის ძირები, ვიდრე ვიღაცამ ამ ქალბატონებზე, დედაშვილ კოხუტებზე ფეხები შეიწმინდოს.

ეს საცხოვრებელი რაიონი, თუ საქმე ეხება მის მუდმივ მოსახლეობას, სრულიად ხანდაზმულია, უპირველეს ყოვლისა, კი აქ ხანშიშესული ქალები ბინადრობენ. საბედნიეროდ, ამ მოხუცმა დედა კოხუტმა გამონახა ახალგაზრდა ქალი, რომლითაც მას შეუძლია იამაყოს და იზრუნებს მასზე, ვიდრე სიკვდილი მათ ერთმანეთს დააშორებდეს. მათ მხოლოდ სიკვდილი დააშორებს, და სიკვდილი როგორც დანიშნულების ადგილი, წერია ერიკას ცხოვრებაზე.

ზოგჯერ ამ რაიონში სიკვდილის მთელი სერია მეორდება, და რამდენიმე მოხუცი ქალი ერთმანეთის მიყოლებით ტოვებს მელიის სოროებს. ღმერთმა უწყის, სად ქრება მათი შემნახველი სალაროს წიგნაკები, მხოლოდ მხდალმა მკვლელმა იცის ეს, რომელიც ლეიბქვეშ იქექებოდა. სამკაული, ცოტაოდენი სამკაულიც, გაქრა. და ერთადერთი ვაჟი, რომელსაც ეს დანა-ჩანგალი მემკვიდრეობით უნდა გადასცემოდა, ვეღარაფერს მიიღებს. ვენის მერვე რაიონი ყველაზე ცნობილი რაიონია მკვლელობათა თვალსაზრისით. არასოდეს არ არის ძნელი იმის გაგება, სად ცხოვრობს ესა თუ ის მოხუცი ქალი. ფაქტობრივად, ყოველ სახლში ცხოვრობს ასეთი მოხუცი ბებიკო და მორჩილად უღებს კარს კაცს, თავს გაზის ხელოსნად რომ ასაღებს. ისინი ბევრჯერ გააფრთხილეს, მაგრამ ამის მიუხედავად, კვლავ აღებენ ხოლმე თავიანთ გულსა და კარს, ისინი ხომ მარტოხელა ადამიანები არიან. ასე უყვება ამ ამბავს ხანშიშესული ქალბატონი კოხუტი ფროილაინ კოხუტს, რათა მას შეეშინდეს და დედამისი მარტო არ დატოვოს.

აქ ცხოვრობენ აგრეთვე წვრილი ჩინოვნიკები და წყნარი მოსამსახურეები. ბავშვები ცოტანი არიან. წაბლი ყვავის, პრატერში[3] კი კვლავ ყვავიან ხეები. ვენის ბაღში კვლავ მწვანედ იფერება ყურძენი. სამწუხაროდ, კოხუტებისთვის ოცნებად რჩება, თავიანთ გემოზე განიცადონ ყოველივე ეს, რადგან მათ მანქანა არა ჰყავთ.

მიუხედავად ამისა, ისინი ხშირად მიემგზავრებიან ტრამვაის ბოლო გაჩერებამდე, სადაც ისინი სხვებთან ერთად ჩამოხტებიან და ხალისით სეირნობენ. დედასა და ქალიშვილს ჩარლი ფრანკენშტაინის მხიარული დეიდების მსგავსად, ზურგჩანთები კიდიათ. ე. ი. მხოლოდ ქალიშვილს მიაქვს ზურგჩანთა, რომელშიც დედის ბარგი-ბარხანა აწყვია და მას ცნობისმოყვარე თვალისაგან იფარავს. მათ უბრალო ფეხსაცმლები აცვიათ მაგარი ძირით. არ ავიწყდებათ აგრეთვე საწვიმარი ლაბადები, როგორც მათ მეგზური ურჩევს

[3] პრატერი - პარკი ვენაში.

ხოლმე. მანამდე ჯობს ზომების მიღება, ვიდრე გვიან არ არის. ახლა ორივე ქალი ფეხშიშველია და ხალისიანად მიაბიჯებს. ისინი არ მღერიან, რადგან მათ მუსიკის რაღაც გაეგებათ და არ სურთ მუსიკა თავიანთი სიმღერით შებღალონ. – ყოველივე თითქოს ისეა, როგორც აიხენდორფი[4] წიგნებში, – ჟღურტულებს დედა, – მთავარია სული, ბუნებისადმი დამოკიდებულება! ბუნებისადმი განწყობა და არა თვითონ ბუნება. ამ სულისკვეთებით არიან ქალები გაჟღენთილი, რადგან მათ შეუძლიათ დატკბნენ ბუნებით, სადაც კი ჭვრეტენ მას. როდესაც გზად მოჩხრიალე ნაკადული ხვდებათ, იმწამსვე მის სუფთა და ცივ წყალს სვამენ: იმედია, შველ-ირემს შიგ არ მოუშარდავთ! თუ მსხვილ ხეს მიადგებიან ან მსხვილ ბუჩქნარს, თვითონაც შეუძლიათ მოშარდონ და ერთი მათგანი მეორეს დარაჯობს, რათა ვინმე არ მოვიდეს და თავხედურად არ დაუწყოს ყურება.

ამ საქმიანობისას კოხუტები იმარაგებენ, აგროვებენ ენერგიას ახალი კვირისათვის, რომლის განმავლობაშიც დედას ბევრი არაფერი აქვს საქმე, შვილს კი მოსწავლეები სისხლს სწოვენ. – ისევ აგიშალეს ხომ ნერვები? – კვლავ ეკითხება დედა უიღბლო პიანისტ ქალს ყოველ საღამოს. – არა, არა, არაფერია, – ეუბნება შვილი, ჯერ კიდევ რომ შერჩენია იმედი, რომელსაც დედა მონდომებით და გულდაგულ აქუცმაცებს. დედა ჩივის იმის გამო, რომ შვილს პატივმოყვარეობა არ გააჩნია. ამ ყალბ ტონებს იგი უკვე ოცდაათი წელიწადია ისმენს. ქალიშვილს თავი ისე უჭირავს, თითქოს ჯერაც არ დაეკარგოს იმედი, თუმცა კი იცის, თუ კიდევ რაიმეს არგუნებენ, ეს პროფესორის ტიტულია, რომლითაც უკვე ცოტაცოტაობით სარგებლობს კიდეც და რომელსაც თვითონ ქვეყნის პრეზიდენტი ანიჭებს. ეს უბრალო ზეიმის დროს – მრავალწლიანი სამსახურისათვის. როდისმე, არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ, საპენსიო ასაკიც მოაწევს. ვენის მმართველობა, საერთოდ, დიდსულოვანია,

[4] იოზეფ აიხენდორფი (1788-1857) - გერმანელი პოეტი და რომანტიკოსი.

თუმცა ხელოვნების სფეროს მუშაკს ცნობა პენსიის შესახებ თავზარს სცემს და გაოგნებაში მოჰყავს. ვისაც ეს შეხვდება, იმას თავისი ემართება. ვენის მმართველობა უბოდიშოდ წყვეტს ხელოვნების ესტაფეტის გადაცემას ერთი თაობიდან მეორე თაობაზე. ორივე ქალი ამბობს, თუ როგორ ძალიან გაუხარდებათ მათ, როცა ერიკას პენსიაზე გაუშვებენ! ისინი დიდ გეგმებს აწყობენ იმ დროისათვის. ამჯერად მათ უკვე მოწყობილი ექნებათ თავიანთი საცხოვრებელი და სესხსაც გადაიხდიან. სადმე ქვემო ავსტრიაში მიწის ნაკვეთსაც იყიდიან, სადაც სახლს აიშენებენ. ეს მათი, კოხუტების პატარა სახლი იქნება. ვინც გეგმავს, ის იხეირებს. ვინც წინასწარ იზრუნებს, მას შემდეგში არ გაუჭირდება. იმ დროისათვის დედა უკვე ას წელიწადს მიაღწევს, მაგრამ კვლავაც ყოჩაღად იქნება.

ვენის ტყეში მზის სხივები აციმციმებს მცენარეთა ფოთლებს ფერდობზე. აქა-იქ თავი ამოუყვიათ გაზაფხულის ყვავილებს, დედა და შვილი მათ წყვეტენ და ქაღალდის პარკში ინახავენ. კიდევაც დაიმსახურეს! ისინი ძალიან მოუხდება აი, იმ გმუნდენის ღია მწვანე მრგვალ ვაზას, არა, ერიკა?

მოზარდი გოგონა კარგა ხანია ცხოვრობს რეზერვაციაში. მას იცავენ ცუდი ზეგავლენისა და ცდუნებისაგან. დედა და ბებია, ქალთა ბრიგადა, მას იარაღით დარაჯობენ, რათა დაიცვან მამაკაცი მონადირისაგან, გარეთ რომ არის ჩასაფრებული და, თუ საჭირო იქნება, ძალასაც გამოიყენებენ მის მიმართ. ორივე მოხუცი ქალი, თავიანთი კარგა ხნის დაჩლუნგებული და დამჭკნარი სხეულებით, მზად არიან ფეხებში შეუვარდნენ მას, რათა მათ ბეკეკას არავინ არაფერი ავნოს. აი, ისინი მჭიდროდ ეკვრიან თავიანთი ქალიშვილისა და შვილიშვილის ახალგაზრდა სხეულს და ნელ-ნელა გლეჯენ მას ნაწილებად, ხოლო სხვებისაგან კი ჯავშნით იცავენ, რათა არავინ მოვიდეს და გოგონა არ მოწამლოს. მათ გარშემო ჯაშუშები ჰყავთ, რომლებიც აკვირდებიან, თუ როგორ იქცევა გოგონა სახლის ფარგლებს გარეთ და შეექცევიან რა ფინჯან ყავას, ისინი

ხალისით უყვებიან ყოველივეს ქალებს, მის აღზრდაზე რომ არიან პასუხისმგებელნი. ისინი ყველაფერს ჰყვებიან და თან სახლში გაკეთებულ ნამცხვარს მიირთმევენ. შემდეგ ენაჭარტალა ქალები ამბობენ: – ეს ჩვენი ძვირფასი ბავშვი ძველი კაშხლის მახლობლად გრაცელ[5] სტუდენტთან ერთად ვნახეთო! ახლა ბავშვს აღარ გამოუშვებენ სახლიდან, სანამ იგი არ გამოსწორდება და იმ სტუდენტს თავიდან არ მოიცილებს.

საკუთარი სოფლური ყაიდის სახლის ფანჯრები ქვემოთკენ ველს გასცქერის, სადაც ეს ენაჭარტალა ქალები ცხოვრობენ, რომლებიც თავიანთი ჩვეულების თანახმად საველე ბინოკლით ათვალიერებენ მიდამოს. ისინი არ ფიქრობენ იმაზე, რომ დაგავონ თავიანთი სახლის პარმაღი და თავს ანებებენ საშინაო საქმეებს, როცა ზაფხულში ქალაქიდან, ბოლოს და ბოლოს, ჩამოდიან დამსვენებლები. მდელოზე ნაკადული მირაკრაკებს. უზარმაზარი თხილის ბუჩქი გვიკეტავს მზერას ნაკადულისკენ და გაუჩინარებული ნაკადული მეზობელ მდელოებზე აგრძელებს დინებას. სახლიდან მარცხნივ მკვეთრად იწევს მაღლა მთის მდელო და ტყეში მთავრდება, რომლის ერთი ნაწილიც მათ ეკუთვნით, დანარჩენი კი სახელმწიფოს საკუთრებაა.

გარშემო სქელი წიწვოვანი ტყეები მკვეთრად ზღუდავენ ხედს, მაგრამ, რასაც მეზობელი აკეთებს, ის კარგად ჩანს, და ისიც კარგად ხედავს, თუ რას საქმიანობ შენ: გზებზე მოჩანს საძოვარზე მიმავალი ძროხები. უკან მარცხნივ მიტოვებული კოცონის დასანთები ადგილია ნახშირის გამოსაწვავად, უკან მარჯვნივ - ტყის ნაკრძალი და ტყესაკაფი, მარწყვებით მოფენილი. ზემოთ ღრუბლები, ჩიტები, ასევე ძერა და ქორები...

ძერა-დედა და ქორი-ბებია უკრძალავენ მათზე მინდობილ ბავშვს ბუდის დატოვებას. ისინი ზღუდეს ავლებენ მის ცხოვრებას, და მეზობელი ქალებიც ხელს არ აკლებენ ჭორაობასა და ლაქ-

[5] გრაცი - ქალაქი ავსტრიაში.

ლაქს. ყოველი შრე და უჯრედი, სადაც სიცოცხლე სუნთქავს, უვარგისად არის მიჩნეული და მისი ამოძირკვა ხდება. ზედმეტი სეირნობა და სიარული აფერხებს მუსიკის მეცადინეობას. ქვევით, კაშხალთან, ყმაწვილები შეკრებილან, მას გული იქითკენ მიუწევს. ისინი ხმამაღლა იცინიან და ერთმანეთში ირევიან. იქ, იმ სოფლებში, ის იბრწყინებდა, თავს გამოიჩენდა, ამაში იგი გაწაფულია. მას ჩაუნერგეს, რომ იგი მზეა, რომლის გარშემოც ყოველივე ბრუნავს, ის მხოლოდ წყნარად უნდა იდგეს და შემდეგ მალე მოვლენ თანამგზავრები და მას თაყვანს სცემენ, გააღმერთებენ. მან იცის: ის ყველაზე უკეთესია, რადგან მუდამ ამას ეუბნებიან. ამის გადამოწმება საჭირო არაა (ან რა საჭიროა ამის გადამოწმება?). ბოლოს იგი უკმაყოფილოდ იდებს ვიოლინოს ნიკაპქვეშ და ხელაპყრობით უჭირავს თავისი ინსტრუმენტი. გარეთ მზე იცინის და საბანაოდ უხმობს. მზე იზიდავს და უნდა, რომ სხვების თვალწინ გაიხადოს, მაგრამ მოხუცი ქალები სახლში ამას უკრძალავენ. მარცხენა თითები მტკივნეულად უჭერენ ფოლადის სიმებს დეკისკენ[6]. ინსტრუმენტის სხეულს მოცარტის წამებული სული აღმოხდება წვალებითა და ოხვრა-ხვნეშით. მოცარტის სული ჯოჯოხეთიდან ხმიანობს, რადგან შემსრულებელი ვერაფერს გრძნობს, მხოლოდ გაუთავებლად აჟღერებს საკრავს. გამყინავი და ღრჭიალა ხმები გამოდის ინსტრუმენტიდან. მას კრიტიკის შიში არ უნდა ჰქონდეს, მთავარია რაღაც ჟღერდეს, რადგან ეს იმის ნიშანია, რომ ბავშვი ამ აკორდებით აიჭრება მაღალ სფეროებში, მისი სხეული კი, როგორც უსულო გარსი, ქვევით დარჩება. ქალიშვილის დაჭიმულ კანს ყურადღებით აკვირდებიან, ათვალიერებენ, მამაკაცის კვალი ხომ არ ატყვია ზედო და შემდეგ ენერგიულად გამობერტყავენ მას.

დაკვრის შემდეგ მას შეუძლია კვლავ ჩაიცვას ახლები, კარგად გამომშრალი და გახამებული; სხვათათვის უგრძნობელი და სხვათა გრძნობებისთვის მიუწვდომელი. დედა გესლიანად შენიშნავს, რომ

[6] დეკა - სიმებიანი საკრავის კორპუსის ნაწილი ხმის გასაძლიერებლად.

ის, თუკი ნებას დართავენ, უფრო მეტს იფიქრებს ახალგაზრდა კაცზე, ვიდრე მუსიკაზე. ეს როიალი ყოველ წელს კვლავ სწრაფად კარგავს თავის საუკეთესო თვისებებს. როიალის ამწყობი ვენიდან მატარებლით ჩამოდის, ხვნეშით მოღოღავს მთაზე, სადაც, როგორც ზოგიერთი შემლილი ამტკიცებს, დგას როიალი, ზღვის დონიდან ათას მეტრზე! ამწყობი წინასწარმეტყველებს, რომ ამ ინსტრუმენტზე შეიძლება დაუკრას კაცმა ერთი ან უკეთეს შემთხვევაში ორი წელი, შემდეგ კი მას ჟანგი შეჭამს, შეეპარება ლპობა და ობი. დედა ზრუნავს იმაზე, რომ ინსტრუმენტი კარგ მდგომარეობაში იყოს, და უფრო და უფრო გესლავს თავის ქალიშვილს, არ აინტერესებს როგორ ხასიათზეა იგი, - მას აინტერესებს მხოლოდ ის ჭირვეული, - ადვილად რომ ფუჭდება - ცოცხალი ინსტრუმენტი.

დედა მოითხოვს, რომ ამგვარი „კონცერტის“ დროს, იღებს რა მისი ქალიშვილი ტკბილ ჯილდოს სამაგალითო მეცადინეობისათვის, ფანჯრები ოდნავ იყოს გამოღებული, რათა მეზობლებიც დატკბნენ ამ საუცხოო მელოდიით. დედა და ბებია, შეიარაღებულნი თავიანთი ბინოკლებით, დგანან და აკვირდებიან, ზის თუ არა მეზობელი ქალი თავის ნათესავებთან ერთად მშვიდად თავისი ქოხის წინ და უსმენს თუ არა მუსიკას?! მეზობელმა ქალმა უნდა მიჰყიდოს მათ რძე, ხაჭო, კარაქი, კვერცხები და ბოსტნეული და ამიტომ უნდა დაჯდეს სახლის წინ და მუსიკას მოუსმინოს. ბებია კმაყოფილია, რომ მოხუცმა მეზობელმა ქალმა, ბოლოს და ბოლოს, მოიცალა, ხელები მუხლებზე დაიდო და მოსასმენად მოემზადა. ამას იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში ელოდებოდა. სიბერეში ის ამას ეღირსა. რა მშვენიერი ჰანგებია. დამსვენებლებიც იქ სხედან და ბრამსს ყურს უგდებენ. დედა სიხარულით აცხადებს, რომ ისინი ნამდვილი ახალი რძის სანაცვლოდ, მშვენიერ, ახალ მუსიკას მოისმენენ. დღეს სოფლელი დიასახლისი და მისი სტუმრები გოგონას მიერ შესრულებული შოპენით დატკბებიან. დედა ახსენებს შვილს,

რომ მან კარგა ხმამაღლა დაუკრას, რადგან მეზობელ ქალს, ცოტა არ იყოს, ყურს აკლია. მეზობლები ისმენენ ახალ მელოდიას, რომელიც მათთვის აქამდე უცნობი იყო. მათ შეეძლებათ უსმინონ მას კიდევ არა ერთხელ, ვიდრე მას დახუჭული თვალებით არ გამოიცნობენ. ჩვენ კარებსაც გამოვაღებთ, რათა მათ უკეთ გაიგონონ. კლასიკური მუსიკის ნაკადი ედება სახლის ყველა კუთხე-კუნჭულს და ფერდობებიდან ველზე გადადის. მეზობლებს ისეთ შეგრძნება აქვთ, თითქოს აქვე, გვერდით, დგანანო. მათ მხოლოდ პირი უნდა გააღონ და შოპენის თბილი რძე მაშინვე პირში ჩაუვათ. შემდეგ კი ბრამსი, დაუკმაყოფილებელთა ეს მუსიკა, განსაკუთრებით კი ქალთათვის.

იგი მთელ ძალებს იკრებს, ძაბავს ფრთებს და უეცრად წინ გაიჭრება, პირდაპირ კლავიშებზე, რომლებიც მისკენ მოისწრაფვიან ძალუმად, როგორც მიწა - თვითმფრინავისკენ, ძირს რომ ეშვება კატასტროფის დროს. ნოტებს, რომელთაც იგი ვერ იღებს პირველივე ცდით, უბრალოდ ტოვებს. ეს სუბტილური[7] შურისძიებაა თავისი მუსიკალურად გაუნათლებელი მწვალებლებისადმი. ნოტების ეს გამოტოვება მას მცირეოდენ კმაყოფილების გრძნობას ჰგვრის. გამოტოვებულ ნოტს მოყვარული მსმენელი ვერ შენიშნავს, მაგრამ არასწორად აღებული ნოტი კი დამსვენებელს შეზლონგიდან წამოაგდებს. რა ხმები ისმის იქ, ზემოდან? ისინი ყოველ წუთს საკმაო ოდენობის ფულს უხდიან დიასახლისს სოფლის სიწყნარისა და დასვენებისათვის, იქ კი გორაკიდან რაღაც ხმამაღალი მუსიკა ისმის.

ორივე მწვალებელი ქალი ყურადღებით ადევნებს თვალს თავიანთ მსხვერპლს, რომელსაც ამ ობობებმა თითქმის მთლად გამოსწოვეს სისხლი. ეს ქალები სოფლურ ტანსაცმელში გამოწყობილან, ზემოდან ფერად-ფერადი წინსაფრით რომ დაუფარავთ. ისინი ტანსაცმელს უფრო ზოგავენ და იბრალებენ, ვიდრე თავიანთი

[7] სუბტილური - დახვეწილი, ნატიფი, სუფთად შესრულებული.

ტყვის გრძნობებს. ისინი მზეზე ნებივრობენ და თავი მოაქვთ ტრაბახით, თუ რა თავმდაბალი იქნება მათი ბავშვი, იმის მიუხედავად, რომ ის მსოფლიო კარიერას გაიკეთებს. შვილსა და შვილიშვილს ჯერჯეროობით უმალავენ ქვეყანას, შემდეგ კი იგი უკვე დედიკოს და ბებიკოს საკუთრება კი აღარ იქნება, არამედ მთელი მსოფლიოსი. ისინი მოთმინებისკენ მოუწოდებენ ქვეყანას... შემდეგ ხომ ეს გენიოსი მათი საკუთრება გახდება.

კვლავ რამოდენა პუბლიკაა შენს წინაშე! შეხედე, სულ ცოტა შვიდი ადამიანი მაინც მოჩანს იქ, ჭრელ შეზლონგებში. ეს ნამდვილი გამოცდაა. მაგრამ ეს რა ესმით მათ, როცა ბრამსის მუსიკა მთავრდება? თითქოსდა ყოველივე იმის საპასუხოდ, მათ რომ მოისმინეს, ამ დამსვენებელთა პირიდან გაისმის გამაყრუებელი სიცილის ხმები. რაზე იცინიან ისინი ასე უაზროდ? ნუთუ არავითარი პატივისცემისა და მოკრძალების გრძნობა არა აქვთ? დედა და შვილი, შეიარაღებულნი სარძევე ბიდონებით, ქვემოთკენ მიეშურებიან, რათა ბრამსის სახელით სადამსჯელო სვლა მოაწყონ ამ უგვანი სიცილის გამო. დამსვენებლები ჩივიან ხმაურის გამო, რომელიც არღვევს ბუნების სიმშვიდეს. დედა მძაფრად ეპასუხება მათ და ამბობს, რომ შუბერტის სონატებში უფრო მეტი ტყის სიმშვიდე და სიწყნარეა, ვიდრე თვით ტყის სიწყნარეშიო. დამსვენებლებს ეს არ ესმით. დედა ქედმაღლურად აქცევს მათ ზურგს და სოფლის კარაქითა და თავისი შვილის თანხლებით კვლავ განმარტოებულ გორას მიუყვება ზემოთკენ. გვერდით ამაყად მიაბიჯებს მისი ქალიშვილი და ბიდონით რძე მიაქვს. ისინი მხოლოდ მომდევნო საღამოს გამოჩნდებიან ხალხში. დამსვენებლები კი კვლავ დიდხანს საუბრობენ თავიანთ საყვარელ თემაზე – სოფლურ არაყზე.

იგი ყველაფრისგან გამოთიშულად გრძნობს თავს, რადგან მას ყველაფრისგან თიშავენ. სხვები წინ მიდიან, წინ მიაბიჯებენ, ხან მასაც გადააბიჯებენ ხოლმე. ასე პატარა დაბრკოლებაა ერიკა მათთვის. მგზავრი მიდის, იგი კი გაქონილი ბუტერბროდის ქაღალდი-

ვით ადგილზე რჩება, ზოგჯერ ოდნავ ქარი თუ შეარხევს ხოლმე. ქაღალდი შორს ვერ წავა, ის ადგილზევე ყვითლდება და ჭკნება. ეს წლობით გრძელდება, მუდმივად.

ამ ერთფეროვნებას ცვლის მისი სტუმრად ჩამოსული დეიდაშვილი ბიჭი, რომელიც სიცოცხლით ავსებს სახლს. და არა მარტო თავისი სიცოცხლით, არამედ აგრეთვე სხვა, უცნობი სიცოცხლითაც, რომელიც ყველას იზიდავს, როგორც ფარვანას ცეცხლი. იგი მედიცინას სწავლობს და სოფლის ახალგაზრდებს თავისი თავმომწონე სიცოცხლისუნარიანობით, სიმკვირცხლითა და სპორტული ამბების ცოდნით ხიბლავს. იგი ჰყვება სამედიცინო ანეკდოტებს, როცა მოეხასიათება, და მას ბიჭუნას უძახიან, რადგანაც იგი ბიჭუნაა, იუმორით აღსავსე. იგი მკვეთრად გამოირჩევა სოფლის ახალგაზრდებს შორის, რომელთაც სურთ ყველაფერში მას მიბაძონ. სახლში უეცრად სიცოცხლე შემოიჭრა, რადგან კაცს ხომ ყოველთვის შეაქვს სიცოცხლე სახლში. ქალები მოწყალე ღიმილით, მაგრამ ამაყად შეჰყურებენ ახალგაზრდა კაცს, რომელმაც თავისი ვნებები უნდა დაიცხროს. ისინი მხოლოდ აფრთხილებენ მას, მოერიდოს ქალებს – იმ საზიზღარ არსებებს, რომლებიც მარტო იმაზე ფიქრობენ, რომ მომავალში როგორმე გათხოვდნენ. ეს ახალგაზრდა კაცი ამჯობინებს იანცოს და თავისი ძალები გამოავლინოს საზოგადოების თვალწინ, მას პუბლიკა სჭირდება და ჰყავს კიდეც. მისი მკაცრი დედაც კი იღიმება. ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა კაცი უნდა გავიდეს შორეულ და მისთვის ჯერ კიდევ უცნობ ცხოვრების გზაზე, ცხოვრებისეულ ასპარეზზე, ქალიშვილმა კი თავი არ უნდა დაზოგოს, მუსიკის დაკვრით წელი უნდა მოიწყვიტოს.

ბიჭი სიამოვნებით ატარებს ვიწრო საბანაო ტრუსებს; გოგოების დუნდულებზე კი მოსწონს მჭიდროდ შემოტმასნილი ბიკინი[8], რომელიც ახლა შემოვიდა მოდაში. თავის მეგობრებთან ერთად

[8] ბიკინი - ქალის ორნაწილიანი საბანაო კოსტუმი, რომელიც ოდნავ ფარავს ქალის სხეულის ზოგიერთ ნაწილს.

იგი გულმოდგინედ ზომავს იმას, რაც შეიძლება გოგონამ შესთავაზოს, და დასცინის იმას, რასაც ის არ სთავაზობს. სოფლელ გოგოებთან ბიჭი ბადმინტონს თამაშობს. იგი ძალიან ცდილობს დაახელოვნოს გოგონები ამ თამაშში, რაც, უპირველეს ყოვლისა, კონცენტრაციას მოითხოვს. იგი ხალისით აჩვენებს გოგოებს, როგორ დაიჭიროონ ხელში ჩოგანი, ამ დროს გოგოს რცხვენია თავისი ვიწრო ბიკინის გამო. ეს საცურაო კოსტიუმი მაღაზიის გამყიდველმა გოგონამ თავისი ხელფასის დანაზოგით იყიდა. გოგონას სურს გათხოვდეს ექიმზე და აჩვენებს თავის სხეულს, რათა მომავალმა ექიმმა იცოდეს, რა ხვდება მას წილად. მას არ მოუწევს იყიდოს კატა ტომრით. ბიჭის გენიტალიები[9] ძლივს ეტევა ტომსიკაში, ქსოვილის პაწია პარკში, რომელზეც მიმაგრებულია ორი ზონარი, ბარძაყებს რომ მიჰყვება და გვერდზე ორ ნასკვადაა შეკრული, მარცხნივ და მარჯვნივ. ისინი დაუდევრადაა განასკვული. იგი ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ზოგჯერ ზონრები იხსნება და ბიჭი მათ ხელახლა იკრავს. ეს მინი-საცურაო ტრუსებია.

ყველაზე დიდი სიამოვნებით კი ახალგაზრდა კაცი აქ, გორაკზე უახლესი საჭიდაო ილეთების დემონსტრირებას ახდენს, რაც დიდ აღფრთოვანებას იწვევს. იგი ძიუდოს რამდენიმე რთულ ილეთსაც ფლობს. იგი ხშირად აჩვენებს ახალ საჭიდაო ხერხს. ამ ილეთებს ვერ უძლებს დილეტანტი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს სპორტის ამ სახეობაზე და სწრაფად ეცემა მიწაზე. ისმის ყიჟინანარევი სიცილი და ძირს დაცემულიც გულკეთილად იცინის, რათა დაცინვის საგანი არ გახდეს. გოგოები ფეხქვეშ უვარდებიან ბიჭს, როგორც მწიფე ნაყოფები, ხიდან რომ ცვივა. მას, ამ ახალგაზრდა სპორტსმენს, ისღა რჩება, რომ ისინი წამოაყენოს და „შეახრამუნოს“. გოგონები გამყინავი ხმით წივიან, თან ფხიზლად არიან, რათა ხელსაყრელი სიტუაცია გამოიყენონ. ისინი ბორცვებზე გორდები-

[9] გენიტალიები - სასქესო ორგანოები.

ან, ხითხითებენ, ეცემიან გორაკის ხრეშზე და ორვანდზე[10] და გაჰკივიან. მათ ზემოთ დგას ახალგაზრდა კაცი და ზეიმობს. გოგონას, რომელიც ამაზე თანახმაა, იგი მაჯებზე ჰკიდებს თავის ხელებს და ქვემოთკენ ხრის და ხრის. იგი რაღაც ფარულ ხერხს მიმართავს, ვერ ხვდებიან, რა ხერხია ეს, მაგრამ მის ძალასა და ხრიკებს დამორჩილებული გოგონა მუხლებზე ეშვება ბიჭის ფეხებთან. ნახევრად მან აიძულა გოგონა, ნახევრად კი თვითონ დაეშვა მიწაზე. ვინ გაუწევს წინააღმდეგობას ახალგაზრდა სტუდენტს? თუ ის ძალიან კარგ ხასიათზეა, მაშინ იგი ნებას რთავს გოგონას, მის წინ რომ გართხმულა, ფეხზე აკოცოს მას, რადგან ისე არ გაუშვებს. მას კოცნიან ფეხებზე და მორჩილი მსხვერპლი იმედოვნებს, რომ ეს კოცნა გაგრძელდება და იგი უფრო ტკბილი იქნება, რადგან სხვა თვალისათვის შეუმჩნევლად მოხდება.

მზის სხივები თავებს დასციმციმებს. პატარა ბრტყელი აუზიდან წყალი ჩქეფს და ბრწყინავს. იგი როიალზე უკრავს და ყურადღებას არ აქცევს ხმაურიან სიცილს, ზემოთ რომ ამოდის. დედამისი დაჟინებით ეუბნება, ყურადღებას ნუ აქცევო. დედა ვერანდის საფეხურებზე დგას და იცინის. იგი იცინის და ხელში უჭირავს ნამცხვრიანი თეფში. დედა ამბობს, ახალგაზრდები მხოლოდ ერთხელ ვართო, მაგრამ ამ გამკივან ხმებსა და ხმაურში მისი არავის ესმის.

იგი ცალი ყურით ხმაურს უსმენს, მის დეიდაშვილსა და გოგონებს რომ აუტეხავთ გარეთ. მას ესმის, როგორ ატარებს დროს მისი ნათესავი, როგორ ტკბება ყოველი წუთით. მას კი დრო ყოველ წამს უფრო და უფრო ძლიერ ტკივილს აყენებს, მისი თითები, თითქოს საათის მექანიზმიაო, წამებს კლავიშებში ასობს. ფანჯრები ოთახში, სადაც იგი მეცადინეობს, გისოსებიანია. გისოსების ჩრდილი ჯვარს ჰგავს, თითქოსდა ვამპირის თვალწინ რომ გამოაქვთ, რომელსაც სისხლის გამოწოვა სურს.

---

[10] ორვანდი - ორწლიანი ბალახი, აქვს პატარა, მომრგვალებული მოწითალო ბალახები.

ახალგაზრდა კაცი აუზში გასაგრილებლად ხტება, წყალი ახალი ჩასხმულია, ეს ყინულივით ცივი წყაროს წყალია და მხოლოდ გულადი კაცი თუ გაბედავს შიგ ჩახტომას. ხალისიანი ფრუტუნითა და ქშენით, თითქოსდა ვეშაპიაო, ბიჭი კვლავ წყლის ზედაპირზე ჩნდება. - ერიკა ამჩნევს ამას ისე, რომ არ უყურებს მას. ხმამაღალი ბრავოს შეძახილებით, მომავალი ექიმის ახალგამომცხვარი მეგობარი გოგონები, აუზში შერბიან. არის ერთი წიოკობა, ერთმანეთისთვის წყლის შეშხეფება და ოროომტრიალი. დედა იცინის, გოგოები ყველაფერში ამ ბიჭს ბაძავენო. იგი ლმობიერად უყურებს ამ ამბებს. მოხუცი ბებიაც აქეთკენ მოიჩქარის, რათა სტუდენტის ოინებს უყუროს. ღრმად მოხუცი ბებიაც გაიწუწა, რადგან ბიჭისთვის არაფერია წმინდა, მათ შორის არც მოხუცი ადამიანი. მაგრამ ბებიაც იცინის კაცობაში შესული შვილიშვილის ხალისიან ოინებზე. დედა მას მკაცრ შენიშვნას აძლევს, რადგან გახურებული ბიჭი არ გაგრილდა, როგორც საჭიროა, და ისევ შედგაფუნდა წყალში, მაგრამ ბოლოს თვითონაც გულიანად ეცინება, თავისდა უნებურად, თანაც უფრო მაგრად ეცინება, ვიდრე სხვებს. იგი თრთის, სიცილისაგან ცახცახებს, როდესაც ბიჭი მარჯვედ გამოსახავს სელაპის მოძრაობას. დედა ირყევა და ცახცახებს, თითქოს მის სხეულში შუშის ბურთულები მიმორბიანო. ბიჭი ზემოთ ისვრის უკვე გაცვეთილ ბურთს და ცდილობს ის ცხვირზე გაიჩეროს, მაგრამ ჟონგლიორობასაც ვარჯიში სჭირდება. ყველანი გულიანად იცინიან, წელში მოხრილები, ცრემლმორეულნი სიცილისაგან იჭაჭებიან. ვიღაც ხმამაღლა რაკრაკებს, ვიღაც კიდევ შეძახილებით იქცევს თავს, როგორც ჩვეულებრივ მთაში იციან ხოლმე. მალე სადილიც იქნება. გამოცოცხლება, გაგრილება მანამდე სჯობს, ვიდრე სადილის შემდეგ, რაც ჯანმრთელობისთვის ცუდია.

როიალის ბოლო ხმები წყდება, ერიკას ძარღვები უდუნდება, რეკავს მაღვიძარა, დედამ საკუთარი ხელით რომ მომართა. იგი მაღლა ხტება, წყვეტს რა დაკვრას ნახევარ ფრაზაზე და თავისი შმაგი

ახალგაზრდული გრძნობებით აღსავსე, გარეთ მირბის, საერთო მხიარულების, სიმღერისა და ხტუნვა-ცეკვის ბოლო მცირე ნაწილს რომ მაინც მიუსწროს. დეიდაშვილს გარეთ თანაგრძნობით ხვდებიან: კვლავ ამდენხანს მეცადინეობდი? ახლა მაინც დაგანებოს დედამ თავი, – არდადეგებია. დედა არ დაუშვებს, რომ მის შვილზე ცუდი გავლენა მოახდინონ. ბიჭი, რომელიც არ ეწევა და არ სვამს, ძეხვიან ბუტერბროდს კბეჩს. თუმცა სადილი ახლავე მზად იქნება, ქალები თავიანთ საყვარელ ბიჭს ნაჭერ პურზე უარს არ ეუბნებიან. შემდეგ ბიჭი გულუხვად ისხამს ჟოლოს სიროფს – ჟოლო თვითონ მოკრიფეს – ნახევარლიტრიან ჭიქაში, უმატებს მას წყაროს წყალს და პირში ისხამს. ახლა იგი მომაგრდა, ძალა მოემატა. იგი სიამოვნებით იტყაპუნებს ხელისგულს დაკუნთულ მუცელზე. შემდეგ სხვა კუნთებსაც ისინჯავს. დედასა და ბებიას საათობით შეუძლიათ ილაპარაკონ ბიჭის მშვენიერ მადაზე. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან კულინარული დეტალების ცოდნაში, მთელი დღე კამათობენ იმაზე, თუ რას უფრო სიამოვნებით მიირთმევს ბიჭი – ხბოს თუ ღორის შნიცელს. დედა ეკითხება თავის დისწულს, თუ როგორ მიდის სწავლის საქმე, რაზეც იგი უპასუხებს, რომ ახლა ერთხანს სწავლის დავიწყება სურს. მას სურს დატკბეს თავისი ახალგაზრდობით და თავის ენერგიას გზა მისცეს. როდისმე შემდეგაც ექნება სანაღვლებელი – ახალგაზრდული ასაკი კარგა ხანია გავიდაო.

ბიჭი ერიკას მზერას ავლებს და ურჩევს, ცოტა გამხიარულდიო. რატომ არის იგი ასეთი სერიოზული? მას ურჩევენ, მისდიოს სპორტს, რაც სიცილის საბაბს იძლევა და მხიარულებას იწვევს. დეიდაშვილი სპორტის სიხარულის შეგრძნებით ისე ხმამაღლა იცინის, რომ ძეხვის ნამცეცები დაღებული ხახიდან საფანტივით უცვივა. იგი სიამოვნებისაგან კვნესის. შემდეგ წელში იმართება. ადგილზე ბზრიალასავით ტრიალებს და მდელოზე მოცელილივით ეცემა. მაგრამ წამსვე კვლავ ფეხზე ხტება, – ნუ გეშინიათო. ახლა კი დადგა დრო პატარა დეიდაშვილის გასამხიარულებლად, უნდა ერთი

საჭიდაო ილეთი უჩვენოს; გოგონას ეს უხარია, დეიდა კი ბრაზდება.

აბა, ნახვამდის, – იგი უეცრად სადღაც ქვემოთ მიქრის. მოგზაურობა დაბრუნების გარეშე. ლიფტი ქვემოთკენ ეშვება. მათ თვალწინ სისწრაფით მიქრიან ხეები, პატარა კიბის მოაჯირი ველური ვარდის წნული ღობით, გარშემომდგომი ხალხი. შემდეგ ყოველივე ქრება. შემდეგ მას ერთბაშად მაღლა სწევენ. ნეკნებზე აწვებიან, მისი თავი ჩამალულია ბიჭის თმით დაფარულ გულმკერდში, ხედვის ჰორიზონტი იცვლება და ახლა მისი მზერის არეში სხვა საგნები ხვდება: ზედა ბარძაყების გრძელი, ღია ფერის რბილი ბეწვები. ლიფტი უეცრად ჩერდება. პირველი სართული. სადღაც უკან ზურგზე მკვეთრად ტკაცუნობენ მისი ძვლები, სახსრებს ჭახაჭუხი გაუდით, ისე მაგრად მოუჭირეს მათ. იგი უკვე მუხლებზე დგას, ვაშა. ბიჭმა კვლავ მოახერხა ეჯობნა გოგოსათვის. საზაფხულო არდადეგებზე იგი დგას მუხლებზე თავისი დეიდაშვილის წინ, ერთი „საარდადეგებო ბავშვი“ მეორე „საარდადეგებო“ ბავშვის წინ. ამ შლეგმა, ყაჩაღანა ბიჭმა ადვილად იგდო იგი ხელთ, იოლად დაიმორჩილა და ეს თავისი გამარჯვება მას ძალიან ახარებს. იგი ჩატკეპნეს მიწაში, – მთის მდელოში. დედა იწყებს ყვირილს იმის გამო, რომ ასე ექცევიან მის შვილს სოფლელი ახალგაზრდების თვალწინ, მის ნიჭიერ ქალიშვილს, რომლითაც ყველანი აღტაცებული არიან.

წითელი პატარა პარკი, მამაკაცის ორგანოთი გამობერილი, მოძრაობაში მოდის, მაცდურად ირხევა აქეთ-იქით მის თვალწინ. ის იმ მაცდურთაგანია, რომელსაც ვერავინ უძლებს. ერთი წამით იგი ლოყით ეხება მას, თვითონაც არ იცის, როგორ. ეს მისდა უნებურად ხდება. ბიჭმა არ იცის, რომ მან თავის ნათესავში ასეთი დაუცხრომელი ვნება და ლტოლვა წარმოშვა. იგი უყურებს და უყურებს. ტომსიკა იმ პრეპარატს ჰგავს, მიკროსკოპის ქვეშ რომ მოუთავსებიათ. ეს წამი უნდა შედგეს, ის ისეთი მშვენიერია!

არავის არაფერი შეუნიშნავს, ყველანი საჭმლის გარშემო შეგროვდნენ. ბიჭი სწრაფად უშვებს მას ხელს და ერთი ნაბიჯით უკან იხევს. გარემოებათა გამო დღეს საქმე არ მიდის ფეხის კოცნამდე, რითაც ეს ვარჯიში უმეტესად მთავრდებოდა ხოლმე. იგი ცოტათი ძაბავს ტანს, იძაგრება, რათა შემდეგ მოეშვას, ადგილზე მაღლა ხტება და მოზრდილი ნახტომითა და ხმამაღალი სიცილით იქიდან სწრაფად გარბის. იგი მინდორში უჩინარდება, ქალები კი მას სადილად ეძახიან. ბიჭმა იქიდან მოუსვა, იგი ბუდიდან ამოხტა. ის არც ძახილზე არ უპასუხებს. მალე სულ მთლად მოეფარება თვალს და რამდენიმე ამხანაგი ბიჭი მას უკვე დაუზარებლად მისდევს უკან. მიდის ველური ნადირობა. მის არყოფნაში დედა მსუბუქად კიცხავს ვაჟს თავისი სიშლეგის გამო. დედა იმდენს ეცადა, საჭმელი დაამზადა და ახლა წვიმაში დგას.

ბიჭი მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გამოჩნდა. ირგვლივ ყველგან საღამოს სიჩუმეა, მხოლოდ ნაკადულებთან ბულბული უსტვენს. ვერანდაზე ყველანი კარტს თამაშობენ. პეპლები დაუოკებლად ფრენენ ნავთის ლამპის გარშემო. მას არ იზიდავს სინათლე. იგი მარტო ზის თავის ოთახში, სხვებისგან მოწყვეტილი, რომელთაც ის დაავიწყდათ, რადგან მათ იგი არ აინტერესებთ, მას დიდ ყურადღებას არ აქცევენ. ის არავის არ ავიწროებს. იგი ფრთხილად ხსნის პაკეტს და სამართებელს იღებს. მას იგი ყოველთვის თან დააქვს, სადაც არ უნდა წავიდეს. სამართებელი უღიმის მას, როგორც საქმრო საცოლეს. ფრთხილად სინჯავს მის პირს, იგი მჭრელია, როგორც მჭრელია ხოლმე საპარსი სამართებელი. შემდეგ რამდენჯერმე ისვამს სამართებელს ფხიანი პირით ღრმად ხელის ზურგზე, მაგრამ ისე ძლიერ ღრმად არა, რომ ძარღვები გადაიჭრას. ტკივილს საერთოდ ვერ გრძნობს. ლითონი რბილად შედის შიგ. იმწამს მანამდე დახურულ ქსოვილში პატარა ხვრელი ჩნდება, ყულაბის მსგავსად, შემდეგ კი გარეთ გამოდის ძლივს შეკავებული სისხლი. სულ ოთხ ადგილზე აქვს ხელი გაჭრილი. ეს საკმარისია, თორემ

სისხლისაგან დაიცლება. იგი წმენდს სამართებელს და კვლავ ინახავს პაკეტში. მთელი ამ ხნის განმავლობაში მოედინება ჭრილობებიდან სისხლი, ღია წითელი ფერის სისხლი და ყველაფერს სვრის. სისხლი მოედინება პატარა თბილ და უხმო ნაკადად და სასიამოვნოდაც კი. ის ძალზე თხევადია. სისხლი განუწყვეტლივ მოდის, ყველაფერს წითლად ღებავს. ის შეუჩერებლად მოედინება ოთხი ჭრილობიდან. იატაკზე და ლოგინზეც ოთხი პატარა ნაკადული სწრაფ ნაკადად ერთდება. მიჰყევი ჩემს ცრემლებს, ნაკადულთან მიგიყვანს მალე. დგება სისხლის პატარა გუბე და ის სულ დის და დის. ის დის და დის, დის და დის.

მუდამ სიმპათიური მასწავლებელი ქალი ერიკა დაუნანებლად ტოვებს დღეს თავისი მუსიკალური საქმიანობის ადგილს. მის შეუმჩნეველ წასვლას მიაცილებს ფანფარებისა და ჰორნის[11] ხმები, დროგამოშვებით ვიოლინოს წრიპინიც; მათი ხმა ერთდროულად მოისმის ფანჯრიდან მის გასაცილებლად. ერიკა მსუბუქად ჩადის კიბის საფეხურებზე. დღეს მას დედა არ ელოდება. იგი წამსვე მიზანმიმართულად დაადგა იმ გზას, რომელიც უკვე მრავალჯერ გაუვლია. ეს გზა პირდაპირ სახლისკენ არ მიდის; შეიძლება იქ სადმე ტელეგრაფის ბოძზე მიყრდნობილი „მშვენიერი“ მგელი, ბოროტი მგელი ელოდება, და კბილებს იჩიჩქნის თავისი ბოლო მსხვერპლის ხორცის ნაგლეჯებითა და ნარჩენებით. ერიკას სურს დიდი სიახლე შეიტანოს თავის საკმაო სწორხაზოვან და უფერულ ცხოვრებაში და მგელი მზერით აცდუნოს, მიიზიდოს. იგი მას უკვე შორიდან შეამჩნევს, და მოისმენს, როგორ იხევა, იფლითება ქსოვილი და სკდება კანი. ეს გვიან საღამოს მოხდება. მუსიკალური ნახევარჭეშმარიტებების ბურუსიდან გამოკრთება ნამდვილი განცდა, თავგადასავალი. ერიკა მიზანდასახულად მიაბიჯებს წინ.

---

[11] ჰორნი - სპილენძის სასიგნალო ჩასაბერი (ბუკი).

იხსნება და კვლავ იხურება ქუჩის კანიონები, რადგან ერიკა არ აპირებს მათ გავლას. იგი უძრავი, უსიცოცხლო მზერით იყურება წინ, როცა ვინმე კაცი შემთხვევით თვალს ჩაუკრავს. ის მგელი არ არის და ქალის ტანი არ რეაგირებს, ის ფოლადივით ცივი და შეუვალი რჩება. ერიკა თავს იქით-აქეთ ამოძრავებს, როგორც დიდი მტრედი, ისე რომ, კაცი წამსვე აგრძელებს გზას და მეტხანს აღარ ჩერდება. კაცი შეაშფოთა მეწყერმა, რომელიც თვითონვე წარმოქმნა. იდეას, – ისარგებლოს ამ ქალით ან დაიცვას იგი, კაცი თავიდან იშორებს, წამსვე უკუაგდებს. ერიკა სახეს ქედმაღლურ გამომეტყველებას აძლევს, მისი ცხვირი, პირი და ყოველივე სხვა თითქოსდა მაჩვენებელ ისრად იქცევა, რომელიც მიანიშნებს: წინ მივდივარ. მოზარდების ერთი ჯგუფი არათავაზიანი სიტყვებით მიმართავს ერიკას. მათ არ იციან, რომ მასწავლებელ ქალთან აქვთ საქმე და უტაქტოდ ექცევიან მას. მისი უჯრედებიანი, დაპლისული ქვედატანი ზუსტად ფარავს მუხლებს, – არც ერთი მილიმეტრი ქვემოთ, არც ერთი მილიმეტრი ზემოთ. ამასთანავე, ერიკას აცვია აბრეშუმის ბლუზა, რომელიც, რაც მის სიმაღლეს შეეხება, სრულიად ფარავს მის ზედატანს. ნოტების საქაღალდე, როგორც ყოველთვის, იღლიის ქვეშ აქვს ამოჩრილი და წესიერად შეკრული. ერიკას ყველაფერი შეკრული აქვს, რისი შეკვრაც კი შეიძლება.

გავიაროთ ცოტა მანძილი ტრამვაით, მას ქალაქის გარეუბნებში მივყავართ. აქ საქალაქო ბილეთი არ მოქმედებს და ერიკამ დამატებითი ბილეთი უნდა შეიძინოს. საერთოდ ის აქეთ მხარეს არ მგზავრობს. ეს ისეთი ადგილებია, სადაც არ დადიან, თუკი საჭიროება არ მოითხოვს. მისი მოსწავლეებიც ნაკლებად ცხოვრობენ აქეთ მხარეს. აქ არ არის ისეთი მუსიკა, უფრო მეტხანს რომ ჟღერდეს, ვიდრე ფირფიტა, რომელიც ფირსაკრავზე დევს.

ქუჩის კუთხეებში მდებარე ტრაქტირებიდან სინათლე უკვე ეცემა ტროტუარზე. ფანრების ქვეშ, ერთი ციდა ადგილებზე მოჩხუბართა ჯგუფები ჩანს, ეტყობა, ვიღაცამ ვიღაცას რაღაცა აკად-

რა. ერიკა ბევრ ისეთ რამეს ხედავს, რაც მისთვის ჯერაც უცხო და უცნობია. ხან აქ, ხან იქ ქოქავენ მოპედებს, და მათი ძრავების მოულოდნელი ტკაცატკუცი იქაურობას აყრუებს. შემდეგ ისინი სწრაფად ტოვებენ იმ ადგილებს, თითქოს მათ სადღაც ელოდებიანო, რომელიღაც საზოგადოებაში, სადაც ტარდება კულტურული ღონისძიება და საიდანაც მოპედების მფლობელებს მალევე გააძევებენ, რადგან ისინი სიწყნარეს არღვევენ. უმეტესად მოპედებზე ორი კაცი ზის, რათა ადგილი ტყუილად არ გაცდეს. ყველას როდი შეუძლია ჰქონდეს მოპედი. მცირელიტრაჟიანები აქ, ქალაქგარეთ, ჩვეულებრივ, მრავლადაა. ხშირად დიდედა ამაყად ზის ნათესავებს შორის და იგი გასასეირნებლად სასაფლაოზე მიჰყავთ.

ერიკა ტრამვაიდან გადმოდის. ახლა ის ფეხით აგრძელებს გზას. არც მარცხნივ იყურება და არც მარჯვნივ. მოსამსახურეები კეტავენ სუპერმარკეტის კარებს, მათ წინ კი თითქოს ბოლო მსუბუქად მომუშავე ძრავებიაო, ისმის დიასახლისების მოზუზუნე ხმები. დისკანტის მქონე ქალი არწმუნებს ბარიტონის მფლობელ ქალს, დღეს ყურძენი საკმაოდ დაობებული იყოო. განსაკუთრებით კი ისინი, პლასტმასის საფუთავის ძირში რომ ელაგა. – ამიტომაც აღარ იყიდეს ყურძენი, – ამცნობს ქალი იქ მყოფთ თავისი გამკივანი ხმით, აფრქვევს რა მათ წინაშე თავის ბრაზითა და ჩივილით აღსავსე სიტყვებს. დაკეტილ მინის კარს უკან მოლარე ქალი თავის სალაროს აპარატს „ებრძვის“. იგი ვერა და ვერ პოულობს შეცდომას. ერთი ბავშვი მიაგორებს თვითგორიას,[12] მეორე კი გვერდით მისდევს ტირილით, – ხომ მოვილაპარაკეთ, ახლა ჩემი ჯერიაო. პირველი ბავშვი უგულებელყოფს თავისი ნაკლებად პატივსაცემი ამხანაგის თხოვნას. – სხვა რაიონებში ასეთ თვითგორიებს ველარც ნახავს კაცი, – ფიქრობს ერთხანს ერიკა. ერთხელ მასაც აჩუქეს ასეთი თვითგორია და იგი ძალიან გახარებული იყო. თუმცა მაშინ ნე-

[12] თვითგორია - თვითმგორავი, რომელზეც ბავშვები დგანან და დააგორებენ.

ბა არ დართეს იმით ესეირნა, რადგან ქუჩა ბავშვებისათვის სახიფათოა, უთხრეს.

ოთხი წლის ბავშვს დედა ისეთ ძლიერ სილას გააწნავს, რომ პატარას თავი უკან უვარდება და ერთხანს უმწეოდ ქანაობს ადგილზე, ბიჭმა წონასწორობა დაკარგა და ძალზე გაუჭირდა კვლავ წელში გამართვა. ბოლოს ბავშვის თავი კვლავ ვერტიკალურ მდგომარეობას იღებს და საშინელ წივილს იწყებს, რაზედაც მოუთმენელი და სულწასული ქალი კვლავ ხელახალი სილით უპასუხებს. ბავშვს ახლა უკვე უჩინარი საფრთხე ელის, უფრო უარესს რომ მოასწავებს, ქალს მძიმე ჩანთები აქვს სათრევი და არ ენაღვლება, გინდაც ეს ბავშვი საკანალიზაციო ცხაურში გაუჩინარდეს. ბავშვს რომ გაუსწორდეს, იგი იძულებულია მძიმე ჩანთები ყოველთვის მიწაზე დადოს, რაც მისთვის დამატებითი შრომაა. მაგრამ ეს პატარა ძალისხმევა, ეტყობა, მას რაღაცად უღირს. ბავშვი ძალადობის ენას სწავლობს, მაგრამ სწავლობს ძალზე უხალისოდ და ვერაფერს ვერ იმახსოვრებს. რამდენიმე სიტყვა, ყველაზე უფრო საჭირო, მან უკვე იცის, თუმცა ამ ტირილსა და ზლუქუნში მათი გაგება ადვილი როდია.

მაგრამ მალე ქალი და მტირალი ბავშვი ერიკას ზურგს უკან რჩებიან. სულ მუდამ იქ ხომ ვერ დარჩებიან! ისინი ვერასოდეს აუწყობენ ფეხს სწრაფმავალ დროს. ქარავანი – ერიკა – გზას აგრძელებს. ეს საცხოვრებელი რაიონია, მაგრამ ცუდი. დაგვიანებული ოჯახის მამები კარებზე აბრახუნებენ და გუნებაწამხდარნი ატყდებიან თავზე თავიანთ ოჯახის წევრებს. ჯახუნით იკეტება ბოლო ავტომანქანის კარები, ამაყად და თვითდაჯერებით, რადგან მცირელიტრაჟიანები ამ ოჯახების გამორჩეულად საყვარელი მანქანებია და მათ უბრალოდ ყველაფრის ნება აქვთ. მეგობრულად მანათობელნი, ისინი ტროტუარის ნაპირას რჩებიან, მათი მფლობელნი კი ვახშამზე მიიჩქარიან. ვისაც ახლა სახლი არა აქვს, ის ნატრობს სახლს, მაგრამ ვერასდროს ვერ ააშენებს რაიმე მსგავსს,

ვერც სამშენებლო შემნახველი სალაროს დახმარებით და ვერც გრძელვადიანი კრედიტებით. ვისაც აქ, სწორედ აქ, სახლი აქვს, ხშირად უფრო გზაზეა, ვიდრე სახლში.

ერიკას უფრო და უფრო მეტი მამაკაცი ხვდება გზაზე. ქალები თითქოსდა სოროებში შეიყუჟნენ, რომელთაც აქ ბინას უწოდებენ. ამ დროს ისინი მარტო არ გამოდიან ქუჩაში. ზოგჯერ ოჯახის წევრთან ერთად თუ დალევენ კათხა ლუდს ანდა მოინახულებენ ნათესავებს, ისიც მხოლოდ მოზრდილთა თანხლებით. ყველგან იგრძნობა მათი შეუმჩნეველი, მაგრამ უაღრესად საჭირო მოქმედება და საქმიანობა: სამზარეულოს ოხშივარი, ზოგჯერ – ქვაბების ნელი, უხმაურო დაწკარუნება და დანა-ჩანგლის წკრიალი. ლურჯად ანათებს ტელევიზორის ანარეკლი – აჩვენებენ საღამოს პირველ საოჯახო სერიალს, რაც ჩანს ჯერ ერთ, მერე მეორე, შემდეგ კი სხვა მრავალ ფანჯარაში. ნაპერწკლოვანი, მოციმციმე კრისტალები მოახლოებულ ღამეს ამშვენებს. ფასადები ემსგავსება ბრტყელ თეატრალურ კულისებს, რომელთა უკან არაფერი იმალება. აქ ყველაფერი ერთნაირია და მსგავსი მსგავსისაკენ მიიწევს. მხოლოდ ტელევიზორის ხმებია რეალური, ეს არის ნამდვილი ამბავი და მოვლენა. ყველა ადამიანი გარშემო ერთდროულად ერთსა და იმავე შთაბეჭდილებას იღებს, გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როცა ესა თუ ის მარტოხელა ადამიანი ტელევიზორს გადართავს მეორე პროგრამაზე, რათა ნახოს გადაცემა – „ქრისტიანული სამყარო“. ამ ინდივიდუალისტებს აწვდიან ცნობებს ევქარისტული კონგრესის შესახებ, რომელსაც თან ახლავს სტატისტიკური მონაცემები. თუ არ გსურს ისეთი იყო, როგორც სხვები, დღეს ამის გადალახვაც მოგიწევს.

აქვეა მყეფარე თურქული ხმები. მას წამსვე უერთდება მეორე ხმა – ხორხისმიერი სერბულ-ხორვატული კონტრატენორები, ადამიანთა პატარა-პატარა ჯგუფები, – თითქოს მშვილდიდან გამოისროლესო, – ცალ-ცალკე რომ მოდიოდნენ და ახლა შეერთდნენ:

ისინი ქალაქის რკინიგზის თაღისკენ მიდიან, რომელშიც „პიპ-შოუს“ დარბაზია მოთავსებული. ის მდებარეობს ერთ-ერთი ვიადუკის ქვეშ, რომლის ზემოთაც მატარებლები დაგრიალებენ. ამისთვის გამოიყენეს ყოველი, თვით ყველაზე პატარა სათავსი, არ დაუკარგავთ სულ მცირე, პაწია ადგილიც კი. თურქებისათვის ეს ფორმა, ჩანს, უცხო არ არის, მათი მეჩეთის ფორმიდან გამომდინარე. შეიძლება ყოველივე ეს მათ ჰარამხანას აგონებდეს. ვიადუკის თაღებქვეშ მოწყობილია პატარა ოთახები, შიშველი ქალებით რომ არის სავსე. ერთი და მეორე, ერთი და მეორე, ყველა მათგანს თავისი რიგი აქვს. მცირე ფორმის ვენერას მთა. მინიატიურის ფორმატის. ტანჰოიზერი სულ ახლოსაა და ქვას თავის ჯოხს დაარტყამს. თაღი აშენებულია აგურით და იქ, შიგნით ზოგიერთი უკვე ტკბებოდა ლამაზი ქალების ყურებით. ეს პატარა დაწესებულება ზუსტად ჩაუშენებიათ თაღში, სადაც იჭიმებიან და იგრიხებიან შიშველი ქალები. ისინი ერთმანეთს ცვლიან. ისინი ახორციელებენ როტაციას უკმაყოფილების გარკვეული პრინციპის შესაბამისად პიპ-შოუს მთელი რიგი საფეხურების მიხედვით, რათა კლიენტმა და მუდმივმა სტუმრებმა გარკვეული ინტერვალით იხილონ ახალი სხეულები. თუ არადა, ისინი აქ აღარ მოვლენ. აბონენტი: ბოლოს და ბოლოს მას მოაქვს თავისი ძვირად ღირებული ფული აქ და მონეტას მონეტაზე აგდებს გაუმაძღარ, პირდაფჩენილ ხვრელში. რადგან მუდამ ზუსტად მაშინ, როდესაც ყველაზე საინტერესო იწყება, მან ახალი ათშილინგიანი უნდა ჩააგდოს შიგ. ერთი ხელი აგდებს, ფულს ისვრის, მეორე კი უაზროდ ამოტუმბავს მამაკაცურ ძალასა და ენერგიას. სახლში კაცი სამი კაცისოდენას ჭამს, აქ კი უბრალოდ ყველაფერი ძირს უცვივა.

ყოველ ათ წუთში ზემოთ გრიალით ჩაიქროლებს ხოლმე ვენის საქალაქო რკინიგზის ელმავალი. იგი არყევს მთელ თაღს, მაგრამ ქალები ურყევად განაგრძნობენ რხევასა და გრეხას. ეს მათთვის უცხო როდია. ისინი მიეჩვივნენ, რომ ზოგჯერ ყრუდ დაიგ-

რუხუნებს. მონეტები ცვივა ხვრელში, ფანჯარა იღება და გამოჩნდება ვარდისფერი სხეული, – ეს ტექნიკის სასწაულია. არ შეიძლება ამ სხეულის ხელით შეხება, ეს არც გამოვა, რადგან შუაში კედელია. ველოსიპედის სავალ გზაზე გამავალი ფანჯარა მთლად დაწებებული შავი ქაღალდითაა დაფარული, გასალამაზებლად; ყვითელი საღებავით მასზე დაუმაგრებიათ ყვითელი ორნამენტი. აქვე ვხედავთ შავქაღალდშემოკრულ პატარა სარკეს, რომელშიც შეიძლება ჩაიხედო და თავიც შეათვალიერო. არავინ იცის რისთვის, შეიძლება იმიტომ, რომ შემდეგ კაცმა თმა დაივარცხნოს. აქვე მიერთებულია პატარა „სექს-შოპი“. იქ შეიძლება იყიდო ყველაფერი, რასაც კი მოისურვებ. ქალებს აქ ვერ იყიდის კაცი, მაგრამ საკომპენსაციოდ შეიძლება მიიღოს ვიწრო ნეილონის საცვლები, მრავალ ადგილზე რომ არის ჩაჭრილი და ამოჭრილი წინა თუ უკანა მხარეს. ამ საცვლებს სახლში ცოლს ჩააცმევენ და შემდეგ შეუძლიათ ხელი ისე შეუყონ შიგ, რომ მთლიანად არც გაჭირდეს მისი გახდა. ამასთანავე, აქვე იყიდება შესაფერისი მოკლე პერანგები, რომელთაც ზემოთ აქვთ ორი მრგვალი ამონაჭერი და რომლებშიც ქალს გამოჩრილი აქვს ძუძუები. სხეულის დანარჩენი ნაწილი კი გამჭვირვალე ქსოვილშია გახვეული. საცვლებს შემოვლებული აქვთ პატარა არშიები. აქ ასარჩევად არის მუქი წითელი და შავი საცვლები. ქერა ქალს შავი ფერი უფრო უხდება, ხოლო შავგვრემანს – წითელი. არის აგრეთვე წიგნები და ბროშურები, ვიწროფირიანი ფილმები და ვიდეოკასეტები, სხვადასხვა სისქის მტვრით დაფარული. ეს საქონელი აქ არ საღდება. მყიდველს სახლში არ აქვს შესაბამისი აპარატურა. სხვადასხვა მოხატულობის დაღარულზედაპირიანი ჰიგიენური რეზინის ნაკეთობები გაცილებით უკეთ საღდება, ასევე გასაბერი ქალის იმიტაცია. ისინი ჯერ ნამდვილ ქალს უყურებენ, ხოლო გარეთ იმიტირებულ საგნებს ყიდულობენ. ეს იმიტომ, რომ მყიდველს, სამწუხაროდ, არ შეუძლია თან წაიყვანოს ლამაზი შიშველი ქალები, რათა ვიდრე გასკდებიან, დამუშავება მა-

ინც მოასწრონ. ამ ქალებს ხომ არ შეხვედრიათ ჯერ ცხოვრებაში ისეთი რამ, მათ ღრმად რომ შეძრავდა, თორემ ასე არ გამოეფინებოდნენ აქ ყველას თვალწინ, წავიდოდნენ მაშინვე კლიენტთან ერთად და არ დაიწყებდნენ მანჭვა-გრეხას, თითქოსდა სასიამოვნო მოვალეობას იხდიანო. ეს პროფესია ხომ არაფერია ქალისათვის. ყველაზე უკეთესი იქნებოდა, რომელიმე მათგანის თან წაყვანა, სულერთია რომლის, პრინციპულად ისინი ყველანი ერთნაირი არიან. არსებითად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, შეიძლება მხოლოდ თმის ფერით, და ეს მაშინ, როცა მამაკაცები უფრო ინდივიდუალურები არიან, რომელთაგან ამას უნდა ეს, იმას კი ის...

ერიკას ჩანთა, რომელსაც იგი ნოტების საქაღალდესთან ერთად ატარებს, გამობერილია დახურდავებული ათშილინგიანი მონეტებით. სხვა ქალი აქ ფეხს არ დადგამდა, მაგრამ ერიკას მუდამ რაღაც განსაკუთრებული სურს. სწორედ ასეთია. როდესაც, მაგალითად, უმრავლესობა ასეთი და ასეთია, იგი პრინციპულად ამის საწინააღმდეგოს აკეთებს. თუ სხვები ამბობენ ერთს, ის ამბობს მეორეს და ამით ამაყობს კიდეც. მხოლოდ ასე თუ მიიქცევს ერიკა ყურადღებას. ახლა მას სურს, შიგ შევიდეს. თურქი და იუგოსლავი ანკლავები და მათი ენობრივი ჯგუფები უფრთხიან უცხო სამყაროს ამ მოვლენას. მათ სამამდე დათვლაც კი არ შეუძლიათ, მაგრამ სიამოვნებით წაბილწავდნენ ქალს, რომ შეეძლოთ. ისინი ერიკას ზურგსუკან ისეთ სიტყვებს გაიძახიან, რომელთა მნიშვნელობაც მას, საბედნიეროდ, არ ესმის. ერიკას თავი მაღლა აქვს აწეული. მას არავინ ეპოტინება ხელებით, მთვრალებიც კი. გარდა ამისა, ერთი ხანშიშესული კაცი ყოველივეს თვალს ადევნებს. ვინ არის ის, მფლობელი თუ მოიჯარადრე. ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც ცალ-ცალკე მოდიან, კედელს ეკვრიან. მათი თვითდაჯერება არ ემყარება ჯგუფის ავტორიტეტს და, გარდა ამისა, ისინი აქ ეჩეხებიან, აწყდებიან ისეთ ხალხს, რომელსაც ჩვეულებრივ გვერდს უვლიან ხოლმე.

ისინი აქ იღებენ არასასურველ სხეულებრივ კონტაქტს, აი, სასურველი კონტაქტი კი აქ არ ხდება. ადგილობრივები ვიადუკის კედელს ებჯინებიან. თაღქვეშ, დიდი შოუს წინ, არის მაღაზია მოთხილამურეთათვის, ხოლო მომდევნო თაღის წინ კი – ველოსიპედების ბაზრობა. ახლა ყველას სძინავს, შიგნით სრული სიბნელეა. ამ კარებიდან კი სასიამოვნო ლამპის შუქი გამოდის და იზიდავს მათ, ამ ღამის პეპლებს, ამ თავხედ პეპლებს, რომელთაც თავიანთი ფულით რაღაცის ნახვა მოუწადინებიათ.

კლიენტები მკაცრად არიან დაცილებული ერთმანეთისაგან. ფანერის პატარა კაბინები ზუსტად შეესაბამება მათ ზომებს. კაბინები პატარა და ვიწროა და მათი დროებითი ბინადარნიც პატარა ხალხია. გარდა ამისა, - რაც უფრო ნაკლებია ზომები, მით უფრო მეტია კაბინები. მაშასადამე, შედარებით მეტი კლიენტი შედარებით უფრო მოკლე დროში შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს. ყოველი მათგანი, რომ ჰკითხო, თავის თავს სრულფასოვან მამაკაცად თვლის, რომელსაც შეუძლია ჩასახოს მრავალი არსება. კაბინები უმეტესწილად დაკავებულია. ეს ადგილი ოქროს საბადოა, საუნჯით სავსე კოლოფი. უცხოელი მუშები პატარ-პატარა ჯგუფებად მოთმინებით დგანან რიგში. მათ დრო გაჰყავთ ქალებზე ლაზღანდაროობასა და მათზე ხუმრობაში. კოლოფის თუ ყუთის მცირე ზომები პირდაპირ პროპორციულია მათი კერძო საცხოვრებლებისა, სადაც მათ განკარგულებაში ზოგჯერ მხოლოდ ერთი კუთხეა. მაშასადამე, ისინი შეჩვეული არიან სივიწროვეს და შეუძლიათ სხვებს ტიხარითაც კი გამოეყონ. ყოველ კაბინაში მხოლოდ თითო-თითოდ შეიძლება შესვლა. იქ თითოეული მარტო რჩება თავის თავთან. ლამაზი ქალი გამოჩნდება სარკმელში, როგორც კი ფულს ჩაუშვებენ. ინდივიდუალური მომსახურების ორი კაბინა უფრო მომთხოვნი კლიენტისათვის თითქმის ყოველთვის ცარი-

ელია. ეს იმიტომ, რომ აქ ნაკლებად მოდის კაცი, რომელსაც განსაკუთრებული სურვილების გამოხატვა შეუძლია.

ერიკა მასწავლებელი ქალის სერიოზული გამომეტყველებით შიგ შედის.

ვიღაც ხელს მისკენ სწევს, მაგრამ კვლავ უკანვე მიაქვს. იგი სასამსახურო განყოფილებაში კი არ მიდის, არამედ კლიენტების განყოფილებაში. ეს უფრო მნიშვნელოვანი განყოფილებაა. ამ ქალს სურს ნახოს აქ რაიმე, რასაც იგი მუქთად ნახავდა შინ, სარკის წინ. კაცები ხმამაღლა გამოხატავენ გაკვირვებას, რადგან მათ ეკონომია უნდა გასწიონ, რათა თავი მოუყარონ ფულს ქალების სანახავად. ისინი კოშკურაზე დგანან, ეს მონადირეები. კაცები იყურებიან სარკმლის ნახვრეტებში და მათი დაზოგილი ფული სწრაფად იფლანგება, ყურების დროს ისინი ყველაფერს გულმოდგინედ აკვირდებიან, არაფერი გამოეპარებათ.

ერიკასაც სხვა არაფერი უნდა, გარდა ყურებისა. აქ, ამ კაბინაში, იგი არაფერს წარმოადგენს. არაფერი თავსდება და რჩება ერიკაში, მაგრამ იგი ზუსტად თავსდება ამ სავანეში. ერიკა ადამიანის ფორმიანი კომპაქტური მოწყობილობაა. ეტყობა, ბუნებამ არ დატოვა მასში არც ერთი ღია ადგილი, არც ერთი ნასვრეტი. ერიკა ხის მკვრივ მასას გრძნობს იქ, სადაც ხუროს ხელმა ნამდვილ ქალს ღია ადგილი დაუტოვა.

ეს არის გამოფიტული და ლპობაშეპარებული ხე მაღალ ტყეში და ამ ხის ლპობა და ხრწნა უფრო და უფრო მატულობს. სამაგიეროდ ერიკა კარგი მბრძანებელი ქალივით მიდი-მოდის; შინაგანად მას ლპობა ეპარება, მაგრამ თავისი მკაცრი მზერით უკუაგდებს თურქებს. მათ სურთ იგი გამოაცოცხლონ, მაგრამ ქალის ქედმაღლური და ზვიადი გამომეტყველება მათ აქტიურობას ახშობს. მბრძანებელი ქალბატონი ერიკა ვენერას გროტში[13] შედის. თურქები არ გამოხატავენ მისადმი თავაზიანობას, მაგრამ არც უზ-

[13] გროტი - გამოქვაბული, ეხი.

რდელობას ავლენენ. ისინი არ უშლიან ხელს ერიკას შევიდეს შიგ თავისი ნოტების საქაღალდით. იგი ურიგოდაც თავისუფლად შედის. ხელთათმანებიც უკეთია. შესასვლელთან მდგარი კაცი მას თამამად უწოდებს „მოწყალე ქალბატონს“. – გაიარეთ წინ, გეთაყვა, – ეპატიჟება კაცი მას ოთახში, სადაც ელექტრონათურების შუქი შიშველ მკერდსა და ბოქვენებს ანათებს. თმიანი, ბალნიანი სამკუთხედები, მკვეთრი შუქი რომ ეცემა ზედ, – ეს არის უპირველესი, რასაც კაცი უყურებს, ეს ასეა. კაცი თავდაპირველად სიცარიელეს უყურებს, სრულიად არაფერი რომ არ არის შიგ. შემდეგ კი ყოველივე თვალწინ ეშლება.

პირადად ერიკას ლუქს-კამერას სთავაზობენ. მას, ქალბატონ ერიკას, რიგში დგომა არ უწევს. ამიტომ სხვები მეტხანს იცდიან. ფული უკვე გამზადებული აქვს ისევე, როგორც მარცხენა ხელი აქვს ხოლმე გამზადებული ვიოლინოზე დაკვრის დროს. დღისით ზოგჯერ ანგარიშობს, თუ რამდენჯერ ახერხებს შეხედოს თავის დაზოგილ ათშილინგიანს. იგი აგროვებს ფულს სამხრობის დროს. ახლა პროჟექტორების ლურჯი სხივები საჩვენებელ სხეულს ეცემა. ფერებსაც კი საგანგებოდ არჩევენ!

არსებობს ასევე ისეთი კლუბები, სადაც ფოტოგრაფირებაც შეიძლება. იქ ყოველი შემსვლელი თავისი გემოვნებისა და განწყობილების მიხედვით ირჩევს მოდელს. მაგრამ ერიკას არ სურს რაიმეს გაკეთება, მას მხოლოდ ყურება სურს. სურს, უბრალოდ წყნარად იჯდეს და უყუროს. ერიკა უყურებს ისე, რომ არ ეხება. ერიკას არ გააჩნია შეგრძნება და საშუალება მოეფეროს, მოეალერსოს თავის თავს. დედა გვერდითა საწოლში წევს და თვალს ადევნებს, თუ სად უდევს ერიკას ხელები. ამ ხელებმა უნდა ივარჯიშონ, გაიწაფონ და არა ჭიანჭველებივით საბანქვეშ შეიმალონ და მურაბიან ქილას წაეტანონ. მაშინაც კი, როცა ერიკა სხეულს იჭრის ან ნემსს ირჭობს, იგი ვერაფერს გრძნობს, მაგრამ, რაც შე-

ეხება მხედველობით შეგრძნებებს, ეს მას ძალზე განვითარებული აქვს.

ერიკა უბრალოდ ზის და უყურებს. ის ხელთათმანებსაც არ იძრობს ხელიდან, რათა ამ მყრალ სათბურში შემთხვევით არაფერს შეეხოს. ფარდა ზემოთ იწევა, ახლა ერიკა გამოდის, ხედავენ, სცენის უკან როგორ ეწევა ის ძაფს.

ყოველივე ეს მხოლოდ მისთვის ეწყობა! ფიზიკური ნაკლის მქონე ქალს აქ არ იღებენ, აქ სჭირდებათ ლამაზი და მოხდენილი ტანის ქალები. ყველა ლამაზმანმა წინასწარ ზუსტი და საფუძვლიანი შემოწმება უნდა გაიაროს, არავინ იყიდის კატას ტომარაში. რასაც ერიკამ ვერ მიაღწია საკონცერტო სცენაზე, ახლა აქ ამას აღწევენ ეს ქალები. შეფასება ხდება ქალთა მომრგვალებული ადგილების ზომების მიხედვით. ერიკა თვალმოუშორებლივ აკვირდება მათ. ერთი წუთითაც რომ მოადუნოს ყურადღება, რამდენიმე შილინგი ტყუილად დაიკარგება.

შავთმიანი ქალი იღებს „შემოქმედებით“ პოზას, რომლის დროსაც მას ყოველი მხრიდან ათვალიერებენ. იგი აკეთებს წრიულ მოძრაობებს მეთუნის დისკოს მსგავსად. მაგრამ ვინ ამოძრავებს ბორბალს? ჯერ იგი კუმშავს ბარძაყებს ისე, რომ არაფერი ჩანს, მაგრამ მაყურებელს უკვე მოუთმენლობა იპყრობს. შემდეგ იგი ნელ-ნელა შლის ფეხებს და სარკმლებს ჩამოუვლის. ზოგჯერ, მიუხედავად იმისა, რომ აქ ცდილობენ სამართლიანი იყვნენ ყველა კლიენტისადმი, ერთი სარკმლიდან უფრო მეტი ჩანს, ვიდრე მეორიდან, რადგან ეს დისკო, წრე, განუწყვეტლივ მოძრაობს. ნერვიულად აკაკუნებენ სარკმლებზე, სარკმლის ნახვრეტებზე. ვინც გაბედავს, იმარჯვებს, ვინც კიდევ ერთხელ გაბედავს, შეიძლება კიდევ ერთხელ გაიმარჯვოს.

ერიკა უყურებს. მისი ობიექტი ბარძაყებს შორის ამოძრავებს ხელებს, რითაც სურს აჩვენოს, რომ ეს სიამოვნებას ანიჭებს და თან ამ დროს მისი პირი პატარა ოვალს ქმნის. ქალი, აღფრთოვანე-

ბული იმით, რომ ამდენი თვალი უყურებს, თვალებს ხუჭავს, შემდეგ აღებს და პირდაპირ შუბლქვეშ თვალებს იტრიალებს. იგი ხელებს სწევს და ძუძუს კერტებს ისრესს, რათა ისინი ზემოთ აიჭიმოს. ქალი მოხერხებულად ჯდება და განზე შლის ფეხებს, რათა ახლა „ბაყაყის“ პოზით გამოჩნდეს. შემდეგ მთელი თავისი სახის გამომეტყველებით გამოხატავს, რა საუცხოო იქნებოდა, მხოლოდ შენთან ერთად რომ ვიყოო, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, შეუძლებელია მრავალთა მოთხოვნილების გამო. ასე კი ყველა რაღაცას იღებს აქედან, და არა მხოლოდ ერთი.

ერიკა ყურადღებით უყურებს არა იმიტომ, რომ ისწავლოს. იგი კვლავ არაფერს გრძნობს და არაფერს განიცდის, მაგრამ სურს, რომ უყუროს საკუთარი სიამოვნებისათვის. ყოველთვის, როცა წასვლას აპირებს, რაღაც ზემოდან მის მშვენიერ ვარცხნილობიან თავს კვლავ ენერგიულად სარკმლისკენ აბრუნებს და ისიც ცქერას განაგრძობს. მბრუნავი დისკო, რომელზედაც ლამაზი ქალი ზის, წრიულად მოძრაობს. ერიკა ამას ვერაფერს უხერხებს. იგი უყურებს და უყურებს. იგი თვითონ თავისივე თავის ტაბუა. შეხება არ შეიძლება. მარცხნივ და მარჯვნივ კვნესა და მხიარული ხორხოცი ისმის. ამაზე ერიკა კოხუტი უარყოფითად რეაგირებს: – პირადად ეს ამბები არ მესმის. მეტს მოველოდი.

წითელი დრაკონივით შეღებილი ლედი ამზეურებს თავის ცოტა არ იყოს მსხვილ დუნდულებს. მის მოჩვენებით ცელულიტზე მარავლწლიანი მუშაობით იაფფასიან მასაჟისტებს თითები გადაეყვლიფათ. მაგრამ კაცები თავიანთი ფულით ამ ქალისგან მეტ სიამოვნებას იღებენ. მარჯვენა კაბინებმა იგი უკვე იხილეს, ახლა მარცხენა კაბინებიც უნდა დატკბნენ მისი ყურებით. ზოგიერთი ამჯობინებს ქალის წინა ნაწილებს უცქიროს, სხვები კი უკანას აძლევენ უპირატესობას. წითელთმიანი ამოძრავებს კუნთებს, რომლებიც ჩვეულებრივ სიარულის ან ჯდომის დროს მუშაობს. დღეს იგი ამით აკეთებს ფულს. თავისი მარჯვენა ხელის სისხლივით წი-

თელი ფრჩხილებით იგი მასაჟს იკეთებს სხეულზე. მარცხენა ხელით იგი მკერდს ისრისავს. თავისი წვეტიანი ხელოვნური ფრჩხილებით იგი ძუძუებს სხეულიდან განზე სწევს, – თითქოს რეზინის ლენტიაო და შემდეგ კვლავ ხელს უშვებს. ძუძუს თავები უცხო სხეულივით ირხევა. ამ დროს წითელთმიანმა თავისი გამოცდილებით იცის: კანდიდატმა 99 ქულა დააგროვა! ის, ვინც ახლა ვერ შეძლებს, ვეღარასოდეს შეძლებს. ის ვინც ახლა მარტოა, დიდხანს დარჩება მარტო თავის უსიამოვნო ყოფაში.

ერიკა გარკვეულ ზღვარს მიადგა. აი, აქამდე და არა მის იქით. – ეს უკვე მეტისმეტია, – ამბობს იგი ისე, როგორც არაერთხელ უთქვამს ადრე. იგი დგება. მან კარგა ხანია დაადგინა საკუთარი საზღვრები და მათი უსაფრთხოება დაურღვეველი ხელშეკრულებებით უზრუნველყო. სამაგიეროდ იგი ზემო სფეროებიდან დაჰყურებს ყველაფერს და ამის შესაბამისად შორ მანძილზე ჭვრეტს მოვლენებს. შორ მანძილზე ხედვა, შორსმჭვრეტელობა აუცილებელი პირობაა. რაც მის საზღვრებს მიღმა ძევს, ამის ცოდნა ერიკას არ აინტერესებს. იგი სახლში მიდის.

იგი თავისი მზერითა და გამომეტყველებით განზე სწევს გარეთა რიგში მდგომ მამაკაცებს. ვიღაც კაცი წამსვე გაფაციცებით იკავებს ერიკას მიერ გათავისუფლებულ ადგილს. გამოჩნდა გასასვლელი ადგილიც, რომელსაც ერიკა გაივლის და თავის გზას მიუყვება. იგი მიდის და მიდის, სრულიად მექანიკურად, ისევე, როგორც მანამდე უყურებდა და უყურებდა. რასაც ერიკა აკეთებს, იმას ბოლომდე აკეთებს. - არასოდეს გააკეთო საქმე ნახევრად, - მუდამ მოითხოვდა დედა. არავითარი გაურკვევლობა. ხელოვანი ვერ მოითმენს რაიმე მოუმწიფებელს, რაიმე ნახევრად გაკეთებულს თავის საქმიანობაში. ზოგჯერ ნაწარმოები დაუმთავრებელი რჩება, რადგან ხელოვანი ნაადრევად კვდება. ერიკა გზას მიუყვება. არაფერი არ დარღვეულა და არც არაფერი გაუფერულებულა. არაფერი არ გახუნებულა. მან ვერაფერს მიაღწია. აქ არაფერია ისეთი, რაც ად-

რე არ ყოფილა, და არაფერი მოსულა აქ ამასობაში, რაც აქ მანამდე არ იყო.

სახლში, თბილი ინკუბატორის კედლებში, რომელშიც ორივენი ცხოვრობენ, დედის მსუბუქი საყვედურები ისმის. იმედია, ერიკა არ გაციებულა მგზავრობის დროს. დედასთან ლაპარაკში სიცრუეც გამოურია. ერიკა მაშინვე თბილ ხალათს იცვამს. ერიკა და დედამისი მიირთმევენ წაბლითა და სხვა რამეებით ფარშირებულ იხვს. ეს არის სადღესასწაულო საჭმელი. წაბლი გარეთ გამოდის იხვის ნაკერებიდან, დედას ზედმეტი მოუვიდა, რაც მისთვის დამახასიათებელია. სამარილე და წიწაკის ჩასაყრელი ნახევრად ვერცხლისაა, დანა-ჩანგალი კი – მთლიანად ვერცხლისა.

დღეს ბავშვს ჯანმრთელი, წითელი ლოყები აქვს, რაც დედას ახარებს. იმედია, მას ლოყები მაღალი ტემპერატურის გამო არ აქვს შეწითლებული. დედა ტუჩებით ამოწმებს ერიკას შუბლს. დესერტის დროს მას დამატებით უსინჯავენ თერმომეტრით სიცხეს. საბედნიეროდ, სიცხე არ აღმოაჩნდა. ერიკა სრულიად ჯანმრთელია. ამ თევზს კარგად კვებავდნენ დედის მუცლის სანაყოფო წყალში.

ნეონის შუქის ნაკადი მძაფრი სიცივით ავსებს კაფე-სანაყინეებს და საცეკვაო დარბაზებს. მინი-გოლფის მოედნებზე გაკეთებულ ანძებზე კიდია მოზუზუნე ნათურების მტევნები. მოციმციმე სიცივის ნაკადი. მისი თანატოლები, მათთვის ჩვეული სასიამოვნო სიმყუდროვით რომ ტკბებიან, ოვალურ მაგიდებს უსხედან, წინ შუშის ჭიქები უწყვიათ, რომლებშიც გრძელი კოვზები დევს, თითქოს ყვავილების ღეროებიაო. ყავისფერი, ყვითელი, ვარდისფერი. შოკოლადი, ვანილი, ჟოლო. შუქი, ჭერიდან რომ იღვრება, ნაცრისფრად აფერადებს ორთქლიან, სხვადასხვა ფერის ბურთულებს. მობრჭყვიალე კოვზები ელოდება მსურველს მისთვის განკუთვნილ წყლის სავსე ჭურჭელში. წყალში ტივტივებს ნაყინის ნარჩენები. სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდების სილუეტები თავიანთი ნაყინის კოშკებს უსხედან, საიდანაც მოჩანს ჭრელი ქაღალდის

ქოლგები. ქოლგების ქვეშ იმალება ნაყინში ჩაწყობილი კოკტეილის ალუბლები, ანანასის თხელი ნაჭრები და შოკოლადის ნამცეცები. ზოგი განუწყვეტლივ ამოძრავებს პირს და მიირთმევს თავის ცივ ულუფას, ზოგი კი საერთოდ არ აქცევს ყურადღებას იმას, რომ ნაყინი დნება, რადგან ერთმანეთისთვის რაღაც-რაღაცები აქვთ სათქმელი, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ცივი სიამოვნება.

იგი უყურებს ყოველივე ამას და სახეზე დამცინავი გამომეტყველება ეხატება. მას თავისი გრძნობები შეუდარებელი ჰგონია და როცა, მაგალითად, ხეს უყურებს, იგი ნაძვის საოცარ სამყაროს ჭვრეტს. პატარა ჩაქუჩით იგი სინამდვილეს კაკუნით ურტყამს, სინჯავს, როგორც სამეტყველო ენას ბეჯითი კბილის ექიმი. ყოვლად უბრალო ფიჭვის კენწეროები მისთვის ზეაღმართული არიან, როგორც განმარტოებული თოვლიანი მწვერვალები. სხვადასხვა ფერი ჰორიზონტს ასხივოსნებს. შორს მოჩანს თითქმის შეუმჩნეველი, ძალიან დიდი მანქანები, მათი რბილი გუგუნი არც კი ისმის. ისინი მუსიკისა და პოეზიის გიგანტები არიან, რომლებიც ახლა სრულიად შენიღბულან რბილი გარსით. მის გავარჯიშებულ ტვინში გაიელვებს უამრავი ინფორმაცია, ერთ მომენტში მთვრალივით ადის ზემოთ სოკოსებური კვამლის ღრუბელი, და შემდეგ კვლავ მიწაზე ეშვება ნელა და მძიმედ. თხელი, ნაცრისფერი მტვერი სწრაფად ედება აპარატებს, ყველა კაპილარულ მილსა და კოლბას. მისი ოთახი სრულიად ქვად იქცევა. ნაცრისფერი, არც ცივი და არც თბილი. საშუალო. ნეილონის ფარდა შრიალებს ფანჯარაზე, რომელსაც ქარი არ არხევს. შიგნით ფაქიზი სუფთა გარნიტურია. ახალთახალი. ხელუხლებელი.

როიალის კლავიატურა თითებქვეშ მღერას იწყებს. კულტურის ნაგავ-ნარჩენების გიგანტური კუდი, ბოლო ჩუმი შრიალითა და შარიშურით მიცოცავს ყველა მხრიდან წინ, - და მილიმეტრობით იხურება წრე. ჭუჭყიანი კონსერვის ქილები, საჭმლის ნარჩენე-

ბიანი დასვრილი თეფშები, გაჭუჭყიანებული დანა-ჩანგალი, ობმოკიდებული ხილისა და პურის ქერქები, გატეხილი ფირფიტები, დაფლეთილი და დაჭმუჭნილი ქაღალდი. სხვა საცხოვრებლების სააბაზანოებში ხმაურობს ორთქლიანი ცხელი წყლის ნაკადი. ერთი გოგონა თავდავიწყებით ცდილობს ახალი ვარცხნილობის გამოგონებას. მეორე არჩევს შესაფერის ბლუზას ქვედატანისათვის. აქვე აწყვია ახალი ჩაუცმელი, ძალზე ცხვირწვეტიანი ფეხსაცმელი. ტელეფონი რეკავს. ვიღაც ყურმილს იღებს. ვიღაც იცინის. ვიღაცა რაღაცას ამბობს. ნაგვის გორა ფართო ზოლად იჭიმება და მას სხვებისაგან გამოყოფს. ვიღაცას თმის ხანგრძლივ, ექვსთვიან დახვევას უკეთებენ. ვიღაც ირჩევს პომადის შესაფერის ლაქის ფერს ფრჩხილებისათვის. ფოლგის სახვევი მზეზე ციმციმებს. ჩანგალი ჩანგალია. დანა დანაა. მსუბუქი ბრიზისაგან ჰაერში ფრინავს ხახვის ფურცელი და თხელი პაპიროსის ქაღალდი, ტკბილი ჟოლოს სიროფით დაწებებული.

დედა ღონივრად ეწევა თოკს, რომელსაც შვილი მოჰყვება. აი, უკვე ჩანს ორი წინ გამოწეული ხელი, რომელიც იმეორებს ბრამსს და ამჯერად უკეთესად. ბრამსი ძალიან ცივი ხდება, როცა იგი გადაიქცევა კლასიკურ მემკვიდრეობად, მაგრამ ის ძალზე ამაღლებული და გულში ჩამწვდომია, როცა ოცნებობს ან ნაღვლიანობს, დედაზე ამით ვერ იმოქმედებ და შთაბეჭდილებას ვერ მოახდენ.

მეტალის კოვზი გამდნარ მარწყვის ნაყინში რჩება, რადგან ერთ გოგონას ეჩქარება, რაღაც უთხრას მეორეს, რომელიც პირველი გოგონას სიტყვებზე მხიარულად იცინის. კიდევ სხვა გოგონა ისწორებს მაღალ ვარცხნილობას უზარმაზარი სადაფის თმის სამაგრით. ორივეს ძალიან ქალური მოძრაობები აქვს! ქალურობა გამოსჭვივის და იღვრება მათი სხეულებიდან, როგორც პატარა, სუფთა ნაკადულები. იხსნება ბაკელიტის[14] საპუდრე. ერთი გოგონა

[14] ბაკელიტი - ხელოვნური ფისი, გამოიყენება მრეწველობის ზოგიერთ დარგში.

სარკეში იყურება, ტუჩებზე პომადას ისვამს და წარბებს შავი ტუშით იღებავს. იგი დაღლილი დელფინია, უხალისოდ რომ ემზადება დამამთავრებელი საჩვენებელი ილეთისათვის. უკვე მოქანცული, იგი შეჰყურებს სასაცილო ჭრელ ბურთს და შემდეგ ჩვეული მოძრაობით მას ცხვირზე იჩერებს. ცხოველი ღრმად ამოისუნთქავს და თავის ინსტრუმენტს წრიულად ამოძრავებს. ბუნუელის „ანდალუზიურ ძაღლში“ ორი საკონცერტო როიალი დგას. შემდეგ ორი ვირი, ნახევრად გახრწნილი, გასისხლიანებული თავებით, კლავიშებზე ჩამოკიდებულნი. მკვდრები. გახრწნილები. ყოველივეს მიღმა. სრულიად უჰაერო სივრცეში.

ხელოვნური წამწამების ნამდვილ წამწამებზე დაწებება. ცრემლები სცვივა. წარბები სქლად იღებება. იგივე წარბის ფუნჯი შავ წერტილს სვამს ხალზე, ნიკაპთან. შემდეგ თმაზე კვლავ თმის სამაგრს იკეთებენ. ზემოთ სწევენ წინდებს, ისწორებენ ნაკერს. იღებენ გალაქულ ჩანთას და მიდიან. თავთის ქსოვილქვეშ შარიშური გააქვს ქვედატანს. მათ უკვე გადაიხადეს ნაყინის ფული და გარეთ გადიან.

მის წინაშე იხსნება სამყარო, რომელიც სხვათათვის უცნობია. ეს ბავშვთა კონსტრუქტორების სამყაროა, სამყარო მინიატურული, მთლიანად წითელი, ლურჯი და თეთრი პლასტმასის დეტალებისგან რომ არის შექმნილი, საიდანაც, ამ მინიატიურული სამყაროდან - ისმის მუსიკის ხმები. მისი მარცხენა ხელი, განუკურნებელი მოუქნელობით პარალიზებული, სუსტად ფხაჭნის კლავიშებს. მას სურს აფრინდეს მაღლა რაღაც ეგზოტიკურ სფეროში, - გრძნობის გამაბრუებელთან, განსჯისუნარიანობის მომშლელთან. მაგრამ იგი სულ უბრალო, სულ მცირეოდენი რამის გაკეთებასაც ვერ ახერხებს, მიუხედავად იმისა, რომ საამისო ინსტრუქციები ხელთა აქვს. იგი მხოლოდ მოუქნელი მოწყობილობაა. იგი ძალზე მძიმედ, ზოზინით აზროვნებს, მკვდარი, ტყვიასავით მძიმე ტვირ-

თია. მუხრუჭის ბუნიკი საკუთარი თავისკენ მიმართული იარაღია, არასდროს რომ არ გაისვრის. თუნუქის გირაგია.

ისმის ორკესტრის ხმა, თითქმის ასი ბლოკ-ფლეიტისგან რომ შედგება. ეს ფლეიტები სხვადასხვა ზომისა და სახისაა. ხმები ბავშვური სუნთქვით იბადება. დახმარებისკენ არ მოუწოდებენ კლავიშიან ინსტრუმენტებს. პლასტმასის ფუტლარები ფლეიტისათვის დედებმა შეკერეს. ფუტლარებში დევს აგრეთვე პატარა მრგვალი საწმენდი ჯაგრისები. ფლეიტებს თბილი სუნთქვის ორთქლი ეფინება, მრავალი ხმა პატარა ბავშვების სუნთქვის მეშვეობით წარმოიქმნება. ამ მუსიკას ფორტეპიანო თან არ ახლავს!

მთელი კვირა კამერული კონცერტი იმართება მუსიკის მოყვარულთა ნებაყოფლობითი დასწრებით ძველ სათავადაზნაურო ბინაში დუნაის არხთან, მეორე რაიონში, სადაც ერთ-ერთი ემიგრანტი პოლონური ოჯახის წარმომადგენლებმა, ამ ოჯახის მეოთხე თაობას რომ განეკუთვნებოდა, ღონისძიებისათვის ორი როიალი და პარტიტურების მდიდარი კოლექცია გამოყვეს. გარდა ამისა, ისინი იქ, სახლის იმ ნაწილში, სადაც სხვებს ჩვეულებრივ ავტომანქანა უდგათ, მათ გულთან ძალიან ახლოს რომ არის, ძველი ინსტრუმენტების კოლექციას ინახავენ. მათ არ ჰყავთ მანქანა, სამაგიეროდ, აქვთ რამდენიმე შესანიშნავი მოცარტისეული ვიოლინო და ალტი, ასევე სრულიად გამორჩეული, კედელზე ჩამოკიდებული ვიოლა დ'ამური, რომელსაც მუდმივად დარაჯობს ოჯახის ერთ-ერთი წევრი, როდესაც სახლში ატარებენ კამერულ კონცერტს ან კედლიდან სავარჯიშოდ ჩამოიღებენ ხოლმე ანდა ხანძრის დროს.

ამ ადამიანებს უყვართ მუსიკა და სურთ მისი სიყვარული სხვებსაც ჩაუნერგონ, საჭიროების შემთხვევაში – ძალდატანებითაც. მათ სურთ მოზარდებიც აზიაროონ მუსიკას, რადგან ამ მდელოებზე განმარტოებით ბალახობა დიდ სიამოვნებას არ იძლევა. როგორც ალკოჰოლიკებსა თუ ნარკომანებს, მათაც სურთ თავიან-

თი ეს სიყვარული და გატაცება აუცილებლად რაც შეიძლება მეტ ადამიანს გადასცენ. ბავშვები აქ სხვადასხვა ხერხით მოჰყავთ. აქ არის ყველასთვის ნაცნობი მსუქანი დედიკოს ბიჭი, რომელსაც სველი თმები თავზე მისწებებია და ყოვლად უმნიშვნელო საბაბიც თუ მიეცა, მაშინვე შველას ითხოვს, აქ არის აგრეთვე დროებით თავის თავის ამარა დარჩენილი ბავშვი, შეუპოვარ წინააღმდეგობას რომ სწევს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ნებდება. კონცერტის დროს საუზმეს არ იძლევიან. ჰოდა, ამ საზეიმო სიჩუმეში საკვებად ვერაფერს მიიღებ. მსუბუქ ავეჯზე არ ყრია პურის ნამცეცები და არ ამჩნევია ცხიმის ლაქები, როიალის შალითებზე ვერ ნახავთ წითელი ღვინის ნაკვალევს. არავითარი რეზინის საღეჭი! ბავშვებს კარგად სინჯავენ, უყურებენ, რაიმე ჭუჭყი ხომ არ შემოაქვთ ქუჩიდან. უფრო ძნელად მოსავლელ ბავშვებს კი იქ არ უშვებენ და ისინი თავიანთი ინსტრუმენტით ვერც ვერაფერს გააკეთებენ.

ეს ოჯახი ზედმეტი ხარჯების მოყვარული არ არის და აქ მოსულნი მხოლოდ მუსიკის სიყვარულით უნდა განიმსჭვალონ. დაე, მუსიკამ გაიკვლიოს გზა მათი გულებისაკენ. მასპინძლები თავიანთთვისაც დიდ ხარჯებს როდი სწევენ.

ერიკამ აქ თან მოიყვანა მოსწავლეები. ამისათვის ქალბატონი მასწავლებლის მიერ ნეკა თითით ნიშნის მიცემაც საკმარისი გამოდგა. ყველაზე პატარები აქ მოიყვანეს ამაყმა დედებმა, ამაყმა მამებმა, ან დედებმა და მამებმა ერთად და ეს სრული შემადგენლობის ოჯახის წევრები მთელ სახლს ავსებენ. მათ იციან, რომ ფორტეპიანოს გაკვეთილში ცუდ ნიშანს მიიღებენ, თუკი აქ არ მოვლენ. მხოლოდ სიკვდილია ერთადერთი მიზეზი, თავი აარიდო ხელოვნებას. პროფესიონალი ხელოვნების მოყვარულისათვის სხვა მიზეზები სრულიად მიუღებელია. ერიკა აქ მთელი თავისი სიდიადით მოჩანს.

იწყებენ იმით, რომ წარმოადგენენ ბახის მეორე კონცერტს ორი როიალისათვის. ერთ-ერთ როიალზე უკრავს პატივსაცემი მო-

ხუცი კაცი, რომელიც ადრე თავისი წარსული ცხოვრების ერთერთ პერიოდში ერთხელ უკვე გამოსულა ბრამსის საკონცერტო დარბაზში და თანაც – სოლო კონცერტით. ის დრო წარსულს ჩაბარდა, მაგრამ უფროსი თაობების წარმომადგენლებს ეს ჯერ კიდევ ახსოვთ. მოხუცი, მიუხედავად ასაკისა, ვიდრე ერთობლივ კონცერტს დაიწყებდნენ, ხელზე გალანტური კოცნით ესალმება თავის პარტნიორს, მასწავლებელ ქალ ერიკა კოხუტს, მეორე როიალთან რომ ზის.

– საყვარელო მუსიკის მოყვარულებო და სტუმრებო! - ესალმებიან დამსწრე საზოგადოებას. ერიკას მოსწავლეები დასაწყისშივე ფეხსაცმელებს აბრახუნებენ, ერთ ფეხსაცმელს მეორეზე არტყამენ ხმაურით; კონცერტისთვის ხელის შეშლაც აქვთ განზრახული, მაგრამ ამას ვეღარ ბედავენ. ისინი არ გარბიან ამ მუსიკალური საზეიმო საღამოს მომწყობი საქათმიდან, თუმცა კი მისი ფიცრული კედლები საკმაოდ თხელია. ერიკას აცვია იატაკამდე დაშვებული შავი ხავერდის ქვედატანი და აბრეშუმის ბლუზა. ერიკა მკაცრი, გამყინავი მზერით ზომავს ჯერ ერთ და შემდეგ მეორე მოწაფეს და თან ოდნავ აქნევს თავს. ეს სწორედ ის ჟესტია, რომლის მთელი სიმძიმე ერთხელ დედამ დაატეხა ერიკას თავზე კონცერტზე განცდილი მარცხის შემდეგ. ორივე ეს მოსწავლე მათი ლაყბობით ხელს უშლიდა მასპინძელს შესავალი სიტყვის წარმოთქმის დროს. მეორედ მათ აღარ გააფრთხილებენ. ყველაზე წინ, პირველ რიგში, სახლის პატრონის ცოლთან ერთად ზის ერიკას დედა სპეციალურად მისთვის დადგმულ სავარძელში და მარტო ტკბება ყინულკარამელით და საკუთარი თავით, აგრეთვე იმ იშვიათი ყურადღების შეგრძნებით, მის ქალიშვილს რომ ხვდა წილად. სინათლეს ძალდატანებით ამცირებენ, საამისოდ როიალის ნათურაზე ბალიშს აფარებენ და ეს ბალიში ირხევა კონტრაპუნქტის დარტყმებისას. ბალიში შემსრულებლებს რაღაცნაირ დემონურ წითელ სხივებში ხვევს. სერიოზულად ჟღერს ბახის მუსიკა. მოს-

წავლეებს აცვიათ საკვირაო სადღესასწაულო ტანსაცმელი ან კიდევ ის ჩასაცმელი, მათ მშობლებს ამ დღის შესაფერისად რომ მიაჩნიათ. მშობლები თავიანთ შთამომავლებს ამ პოლონური სახლის კორიდორში ერეკებიან, რათა მოისვენონ ბავშვებისაგან და ბავშვებიც დაეჩვიონ, ისწავლონ მოასვენონ მშობლები. პოლონელთა ვესტიბიულს ამშვენებს უზარმაზარი, სადღესასწაულოდ მორთული სარკე, რომლის ჩარჩოშიც გამოსახულია დუმფარებიანი შიშველი გოგონა, სადაც მუდამ ჩერდებიან პატარა ბიჭები. მოგვიანებით, ზემოთ, მუსიკალურ სალონში, უმცროსები სხედან წინ, უფროსები კი – უკან, რადგან ისინი პატარების თავსზემოდანაც კარგად ხედავენ ყველაფერს. უფროსები ეხმარებიან სახლის პატრონებს, როცა საჭიროა უმცროსთა დაშოშმინება.

ვალტერ კლემერს აქ ჯერ კიდევ არ გამოუტოვებია საღამო მას შემდეგ, რაც თავის საუცხოო ჩვიდმეტი წლის ასაკში იგი სერიოზულად და არა მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის შეუდგა ფორტეპიანოს შესწავლას. იგი აქ შთაგონებას პოვებს თავისი დაკვრისათვის შესაბამისი ანაზღაურების ფასად.

ბახის მუსიკა სწრაფ ფაზაში გადადის და კლემერი მოულოდნელად თავისთავად გაღვიძებული გრძნობით ხარბად ათვალიერებს უკნიდან თავისი მასწავლებლის მოშიშვლებულ სხეულს საჯდომქვეშ. მეტს აქედან იგი ვერ ხედავს. სასურველი ადგილი დაკავებული აქვს ერთ-ერთი მოსწავლის მსუქან დედიკოს. მეცადინეობაზე ერიკა მუდამ მასთან ერთად ზის მეორე როიალთან. დედის გვერდზე მისი პატარა ბიჭი ზის, მუსიკის ანაბანას რომ ეუფლება. მას შავი შარვალი, თეთრი პერანგი აცვია და თეთრ-წითლად დაწინწკლული ბაფთა უკეთია. ბავშვი ზის ახლა თვითმფრინავის მგზავრის პოზაში, რომელიც ცუდად გახდა და რომელსაც, ბოლოს და ბოლოს, მიწაზე დაშვება სურს. ხელოვნებით შთაგონებული ერიკა ზეცაში დაფრინავს. ვალტერ კლემერი მას შიშით შეჰყურებს, რადგან ქალი მას შორდება. და არა მხოლოდ ის ეჭიდება ხე-

ლით უნებურად ერიკას, არამედ ასევე დედაც ეწევა თოკით თავისკენ ამ ფრანს – ერიკას. ოღონდ ხელიდან არ გაუსხლტეს თოკი! დედა უკვე თითის წვერებზე დგება. ქარი ხმამაღლა ღმუის, როგორც საერთოდ ღმუის ხოლმე ამ სიმაღლეზე.

ისმენს რა ბახის ნაწარმოების ბოლო ნაწილს, ბატონ კლემერს სახეზე ალმური ედება. მას ხელში წითელი ვარდი უჭირავს, რათა შემდეგ ერიკას მიართვას. იგი გულწრფელად არის აღტაცებული მისი დაკვრის ტექნიკით და იმით, თუ რა რიტმულად მოძრაობს მისი ზურგი. იგი თვალს ადევნებს, როგორ იხრება მისი თავი, აფასებს რა ამ დროს იმ ნიუანსებს, რომელთაც ის ასრულებს. იგი უყურებს, როგორ უთამაშებს ქალს მკლავის კუნთები, რაც სხეულისა და მოძრაობის შერწყმის გამო მას ძლიერ აღელვებს. სხეული ემორჩილება მუსიკის მეშვეობით შინაგან მოძრაობას და კლემერი ნატრობს იმ დროს, როცა, ერთხელაც იქნება, მისი მასწავლებელი მასაც დაემორჩილება. მოსწავლე კლემერი გაჭირვებით იყვანს თავის თავს ხელში და გონებაში აფასებს მის მთელ სხეულს. იგი ადარებს ქალის ზედა ნაწილს ქვედა ნაწილთან, რომელიც, ალბათ, ცოტათი უფრო სქელია, რაც მას, კაცმა რომ თქვას, კიდევაც მოსწონს. იგი კვლავ განაგრძობს თვალთვალს. ზედა ცოტათი უფრო თხელია. ქვედა: აქ შეიძლება მას პლუსი დაუწეროს. საერთოდ კი ერიკას გარეგნობა მოსწონს. პირადად ის ასე მიიჩნევს: ფროილაინ კოხუტი გამორჩეული, დახვეწილი ქალია. და, თუ კიდევ იმასაც გავითვალისწინებთ და ქვემოთა ზედმეტს ზედას დავუმატებთ, მაშინ ყოველივე შეხამებული იქნებოდა. ცხადია, პირიქითაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს კლემერისთვის ნაკლებ სასურველი იქნებოდა. ქვემოთ რომ მას ცოტა რამ ჩამოეცილებინა, მაშინ ყველაფერი ჰარმონიაში მოვიდოდა. მაგრამ მაშინ ქალი ერთობ გამხდარი გამოჩნდებოდა! ეს მცირე არასრულყოფილება ქალბატონ ერიკას მოზრდილი მოსწავლისათვის კიდევ უფრო სასურველს ხდის, რადგან ის ასე უფრო მისაწვდომია. შთაუნერგავ რა ქალს მისი სხეულის

არასრულყოფილებას, შეიძლება ყოველი ქალის შენსკენ მოზიდვა. გარდა ამისა, ეს ქალი აშკარად უფროსია, თუმცა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. მოსწავლე კლემერს მუსიკასთან ერთად კიდევ სხვა განზრახვა აქვს, რომლის ბოლომდე გააზრებასაც იგი ახლა ახდენს. გიჟდება მუსიკაზე. იგი ფარულად ჭკუას კარგავს თავის მუსიკის მასწავლებელზე. კლემერი პირადად იმ აზრისაა, რომ ფროილაინ კოხუტი სწორედ ის ქალია, რომელიც ახალგაზრდა კაცმა შეიძლება თავის ცხოვრებისეულ მეგობრად ისურვოს. ახალგაზრდა კაცი იწყებს მცირედან და შემდეგ სწრაფად უმატებს ტემპს. ერთხელაც ყოველ ადამიანს თავიდან დაწყება უწევს. იგი მალევე დაასრულებს საწყის საფეხურს ისევე, როგორც ის ახალბედა, ჯერ ნახმარ პატარა მანქანას რომ ყიდულობს, შემდეგ კი, როცა ტარებას ისწავლის, ახალ და მოზრდილ მანქანაზე გადაჯდება. ფროილაინ ერიკა მთლიანად მუსიკისაგან შედგება და იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, – უფრო მაღალ შეფასებას აძლევს ახლა თავის საცდელ მოდელს მოსწავლე კლემერი. იგი ერთი საფეხურით მაღლა იწყებს, არა „ფოლკსვაგენით“, არამედ „ოპელკადეტით“. ფარულად შეყვარებული ვალტერ კლემერი ფრჩხილებს იკვნეტს. მას ახლა სახე მთლად გაუწითლდა – მუქი ქერა საშუალო სიგრძის თმებით შემოსილი თავი, ლამის არის, – გაუწითლდეს, რადგან ალმური უფრო და უფრო ედება. იგი მოდის ზომიერად მიმდევარი ზომიერი ინტელიგენტია. მას არაფერი აქვს თვალში საცემი და არაფერი აქვს გადაჭარბებული. მან თმები ცოტა უფრო გაიზარდა, რათა არ იყოს ზედმეტად მოდური და არც ძალიან ძველმოდური. იგი წვერს არ იყენებს, თუმცა ხშირად ჰქონდა ამის მცდელობა; სურს, გული იჯეროს თავისი მასწავლებლის ხანგრძლივი კოცნით და ხელებით ეფეროს მის ტანს. კლემერს სურს, რომ ქალმა იცოდეს მისი ცხოველი ინსტინქტების შესახებ. მისი სურვილია, – თითქოსდა შემთხვევით, – ხშირად და მაგრად ეხებოდეს მას, თან სურს ისე ჩანდეს, თითქოს ვიღაც უგერგილომ ერთმანეთს დააჯახა ისინი. მაშინ უფ-

რო მაგრად ჩაეკვრება მას და თან ბოდიშს მოუხდის. შემდეგ განზრახ ჩაეხუტება ქალს და, თუ ის ნებას დართავს, ძალუმად სრესას დაუწყებს მას. ის გააკეთებს, რასაც ქალი ეტყვის და ისურვებს, რათა შემდეგ უფრო სერიოზული სიყვარული გააჩაღოს მასთან. თავისზე ბევრად უფროს ქალთან ურთიერთობით, – რომელიც დიდ მზრუნველობას აღარ საჭიროებს, – მას სურს ისწავლოს, როგორ მოექცეს ახალგაზრდა გოგონებს, ბევრად უფრო მომთხოვნები და წუნიები რომ არიან. აქვს კი ამას ცივილიზაციასთან რაიმე საერთო? ახალგაზრდა კაცმა ჯერ კარგად უნდა მოინიშნოს საზღვრები, რათა შემდეგ წარმატებით გადალახოს ის. ერთი ისეთი უნდა აკოცოს თავის მასწავლებელს, რომ კოცნით დაახრჩოს. იგი ყველაფერს გააკეთებს, ყველანაირად ასიამოვნებს ქალს, რის ნებასაც კი იგი მისცემს. ბოლოს კი სრულ ინტიმურობას მიაღწევს მასთან. კლემერი მისგან დაიწყებს და შემდეგ უფრო ზემოთ გადაინაცვლებს. იგი ასწავლის ქალს შეიყვაროს თავისი საკუთარი სხეული, თუ არადა, დააფასოს მაინც, რომელსაც ის აქამდე უარყოფდა. იგი ყველაფერს ასწავლის ქალს, რაც მისი სიყვარულისათვის იქნება აუცილებელი, მაგრამ შემდეგ იგი დაისახავს საჭირო მიზნებსა და უფრო რთულ ამოცანებს, ქალის გამოცანასთან რომ არის დაკავშირებული. მუდმივი გამოცანა. როდისმე იგი მისი მასწავლებელი გახდება. მას არ მოსწონს ეს გაუთავებელი მუქლურჯი ნაკეცებიანი ქვედატანი და ბლუზები, მას რომ მუდამჟამს აცვია და თანაც ნაკლები თავდაჯერებით ატარებს მათ. მან უფრო ახალგაზრდული და ღია ფერის ტანსაცმელი უნდა ჩაიცვას. ფერები! იგი აუხსნის მას, თუ როგორ ესმის ეს ფერები, აჩვენებს, თუ რას ნიშნავს იყოს ნამდვილად ახალგაზრდული, მრავალფეროვანი და უნდა უხაროდეს ეს. და როდესაც შემდეგ გაიაზრებს და ეცოდინება, თუ მართლაცდა რა ახალგაზრდა ყოფილა, იგი მიატოვებს მას სხვა უფრო ახალგაზრდა ქალის გულისთვის. – ქალბატონო მასწავლებელო, მე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ თქვენ უგულებელყოფთ თქვენს

სხეულს და მხოლოდ ხელოვნებას სცემთ პატივს, – ამბობს კლემერი. – თქვენ მხოლოდ საარსებო, აუცილებელ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებთ, მაგრამ მხოლოდ ძილი და ჭამა არ კმარა! ქალბატონო კოხუტ, თქვენ ფიქრობთ, რომ გარეგნობა თქვენი მტერია და მხოლოდ მუსიკაა თქვენი მეგობარი. აბა, ჩაიხედეთ სარკეში, იქ თქვენს თავს დაინახავთ და მასზე უკეთეს მეგობარს ვერასოდეს იპოვით. ჰოდა, ცოტა უფრო მეტი იზრუნეთ თქვენს გარეგნობაზე, ფროილაინ კოხუტ, თუკი შეიძლება, ასე მოგმართოთ.

ბატონ კლემერს დიდი სურვილი აქვს ერიკას მეგობარი გახდეს. – ეს უფორმო გვამი, ეს მუსიკის მასწავლებელი ქალი, რომელსაც პროფესიამ ასეთი კვალი დაამჩნია, ასეთი დაღი დაასვა, შეიძლება ჯერ კიდევ გამოსწორდეს, რადგან ჯერაც ახალგაზრდაა ეს მომჩვარული ტომარა. რელატიურად ის უფრო ახალგაზრდაც კია დედამისთან შედარებით. ეს ავადმყოფურად მოკრუნჩხული, იდეალებით შეპყრობილი სასაცილო არსება, ეს გაიდიოტებული, მეოცნებე, მხოლოდ სულიერი ცხოვრებით მოარსებე ქალი! ახალგაზრდა კაცი მას კვლავ გამოაცოცხლებს და ამქვეყნიურ ცხოვრებაში დააბრუნებს. იგი დატკბება სიყვარულისგან მონიჭებული სიხარულებით, ცოტაც მოიცადე! ვალტერ კლემერი ზაფხულობით და უკვე ადრე გაზაფხულზეც ბაიდარათი[15] სეირნობს სწრაფ მდინარეებზე. იგი იმორჩილებს სტიქიას და თავის მასწავლებელ ერიკა კოხუტსაც დაიმორჩილებს. ერთ მშვენიერ დღეს იგი მას უჩვენებს, როგორ არის მოწყობილი ნავი, ასწავლის, როგორ ატაროს ის წყალზე. იმ დროისათვის კლემერი მას უკვე სახელით მიმართავს, სახელს დაუძახებს: ერიკა! ეს ჩიტი ერიკა მალე იგრძნობს, თუ როგორ ეზრდება ფრთები, ამაზე კაცი იზრუნებს. ვიღაცას მოსწონს ეს, ბატონ კლემერს კი – ის.

ბახის მუსიკა მიყუჩდა. მისი დინება შეწყდა. ორივე მაესტრო – ბატონი მაესტრო და ქალბატონი მაესტრო დგებიან თავიანთი ტა-

[15] ბაიდარა - ორაქდგილიანი მსუბუქი სპორტული ნავი.

ბურეტებიდან და თავს დაბლა ხრიან, ისევე როგორც თვინიერი ცხენები ყოფენ თავს შვრიით სავსე ტომარაში. ისინი განმარტავენ, რომ თავს ხრიან ბახის გენიის წინაშე და არა აქ დამსწრეთა წინაშე, კანტიკუნტად რომ უკრავენ ტაშს, არაფერი გაეგებათ და იმდენად შტერები არიან, რომ შეკითხვების დასმაც არ შეუძლიათ. მხოლოდ ერიკას დედას სტკივა თითები ტაშის დაკვრისაგან. იგი ყვირის – ბრავო! ბრავო! მას ღიმილით უერთდება მასპინძლის ცოლი. ნეხვის გროვისგან შერჩეული და შეკოწიწებული ბრბო, აჭრელებული საზიზღარი ფერებით, თავის მხრივ, ერიკას აშტერდება. მაყურებელს სინათლეზე თვალები ეხუტება. ვიღაცამ ნათურას ბალიში მოაცილა და ახლა ის შეუფერხებლად ანათებს. ასეთი გახლავთ ერიკას პუბლიკა. რომ არ იცოდეს, კაცი ძნელად დაიჯერებდა, რომ ესენი ადამიანები არიან. ერიკა მაღლა იწევა, თითოეულ მათგანზე მაღლა, მაგრამ ისინი უკვე მისკენ მიიწევენ, ებრძვიან მას და რაღაც სისულელეებს როშავენ. ეს ახალგაზრდა პუბლიკა ერიკამ თვითონ გამოზარდა თავის საკუთარ ინკუბატორში. მან მოიყვანა ისინი აქ შანტაჟით, უპატიოსნო ხერხებით, ძალდატანებით, საშიში მუქარით. ერთადერთი, ვინც აქ ძალადობის გარეშე მოვიდა, ალბათ, ბატონი კლემერია, მონდომებული და მუყაითი მოსწავლე. სხვები უპირატესობას მიანიჭებდნენ ტელევიზორს, მაგიდის ჩოგბურთს, წიგნებსა და სხვა სისულელეებს. ისინი ვალდებულნი იყვნენ, მოსულიყვნენ აქ. მათ, ალბათ, ახარებთ კიდეც თავიანთი საშუალოობა და უფერულობა. მაგრამ ისინი ბედავენ ახლოს მივიდნენ მოცარტთან, შუბერტთან. ისინი დროებით საზრდოობენ მუსიკით, მაგრამ არ ესმით, რას იწოვენ და ისრუტავენ მისგან. ჯოგის ინსტინქტი ხომ საერთოდ დიდად აფასებს საშუალოობას, საშუალო დონეს. იგი მასში დიდ ფასეულობას ხედავს. მათ ჰგონიათ, ძლიერები ვართო, რადგან უმრავლესობას წარმოადგენენ. საშუალო ფენაში არ არის შიში და ძრწოლა. ისინი ერთმანეთს მჭიდროდ ეკვრიან და ამით სითბოს ილუზიას იქმნიან. მათ შორის თუ მოხ-

ვდი, ვერაფერთან დარჩები მარტო, მით უმეტეს საკუთარ თავთან. მერედა, რა კმაყოფილი არიან ამით! თავიანთ ასპარეზობაში მათ არაფერი მიაჩნიათ სათაკილოდ და არავის აქვს უფლება მათი გაკიცხვისა. ასევე ერიკას საყვედურები, – ესა თუ ის შესრულება არ გამოგივიდათო, აისხლიტებოდა ამ მომთმენი, რბილი კედლიდან. იგი, ერიკა მარტო დგას მეორე მხარეს და იმის მაგივრად, რომ ამით იამაყოს, მათზე ჯავრს იყრის. მას სამ თვეში ერთხელ შემოჰყავს ისინი ამ გისოსებით გარშემორტყმულ ეზოში, რომლის კარებიც ღიაა, რათა ცხვრები თავისუფლად შეილალონ შიგ. ისინი კმაყოფილი სახით შეპეტელდებიან შიგ, თან ერთმანეთს ხელს კრავენ, თუკი ვინმემ ისინი შეაჩერა იმიტომ, რომ მან თავისი პალტო, სულ ქვემოთ, ყველაზე შორეულ საკიდზე ჩამოჰკიდა და ახლა ვეღარ პოულობს. თავიდან ყველას შიგ შესვლა სურს, შემდეგ კი, რაც შეიძლება სწრაფად – კვლავ გარეთ გამოსვლა; თანაც ყველას ერთად. ისინი ფიქრობენ, რომ, რაც უფრო სწრაფად მოხვდებიან სხვა საძოვარზე, მუსიკის საძოვარზე, მით უფრო სწრაფად შეეძლებათ კვლავ მისი დატოვება და იქიდან წამოსვლა. – მაგრამ ახლა, პატარა პაუზის შემდეგ, რომელსაც ვაკეთებთ, მოვუსმენთ ბრამსს მთლიანად, ჩემო ქალბატონებო და ბატონებო, საყვარელო მოსწავლეებო და მოსწავლე გოგონებო. დღეს ერიკას განსაკუთრებულობა დანაშაული კი არა, არამედ უპირატესობაა, რადგან ახლა ყველა მას აშტერდება, თუმცა ფარულად სძულთ იგი.

ბატონი კლემერი, რომელმაც მოახერხა და მისკენ გზა გაიკვლია, მას მოზეიმე, გასხივოსნებული ცისფერი თვალებით შეჰყურებს. მას ორივე ხელით უჭირავს პიანისტი ქალის ხელი და ეუბნება: გიკოცნით ხელებს, ქალბატონო! მე აღფრთოვანებული ვარ, სიტყვებს ვეღარ ვპოულობ, ქალბატონო მასწავლებელო. ერიკას დედა იმწამსვე ეკალივით ამოყოფს თავს მათ შორის და უკრძალავს მათ ერთმანეთისათვის ხელის მაგრად ჩამორთმევას: არ არის საჭირო მეგობრული განწყობილების მძაფრად გამოხატვა, რადგან

ხელის მაგრად ჩამორთმევის დროს შეიძლება მყესები დაგეჭიმოს, რაც ზიანს მიაყენებს დაკვრას; ხელი კი ბუნებრივ მდგომარეობაში უნდა იყოს. მაგრამ მეტისმეტად სერიოზულად ხომ არ ვუდგებით და აღვიქვამთ ჩვენ ამ მესამეხარისხოვან პუბლიკას, ბატონო კლემერ? საჭიროა მათი ტირანიზება, ტანჯვაწამება და დამონება, რათა რაღაცა გრძნობა აღეძრათ მუსიკისადმი. კეტი უნდა ურტყა მათ! მათ სურთ, გაწკეპვლა და დიდი ვნებათაღელვა, რაც შემდეგ კომპოზიტორმა უნდა განიცადოს პუბლიკის ნაცვლად და გულმოდგინედ ჩაწეროს სანოტო ნიშნებით. პუბლიკას მოსწონს ყოველივე მყვირალა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოწყენილობისაგან თვითონ მოჰყვება განუწყვეტლივ ყვირილს; ყრუ ბგერებს, ფაქიზ შუალედურ გადასვლებს, შესაბამის დიფერენცირებას ისინი უამისოდ ვერ შეძლებენ. ამასთანავე, მუსიკაში, ისევე როგორც მუსიკის სფეროში, ბევრად უფრო ადვილია გამოიყენო მკვეთრი კონტრასტები, მძაფრი დაპირებები. ყოველივე ეს მდარე, დაბალი ხარისხის ხელოვნებაა და მეტი არაფერი! ამ კრავებმა ეს არ იციან. მათ საერთოდ არაფერი იციან. ერიკა მეგობრულად ჰკიდებს კლემერს ხელს მკლავში, რომელიც მაშინვე თრთის. თრთის არა იმიტომ, რომ იგი გარშემორტყმულია ამ ჯანმრთელი მოზარდების ჯგუფის წევრებით; ეს გამძღარი ველურები ცხოვრობენ იმ ქვეყნებში, რომელშიც საერთოდ კულტურული თვალსაზრისით ბარბაროსობა ბატონობს. ჩაიხედეთ ერთი გაზეთებში: ისინი უფრო ველურები არიან, ვიდრე სხვები, ვისზედაც წერენ. კაცი, რომელიც ცოლისა და ბავშვების სხეულებს აკურატულად ჭრის და მაცივარში ინახავს, რათა შემდეგ თავი გამოიკვებოს, ნაკლები ბარბაროსია, ვიდრე ის გაზეთი, რომელიც ამას აღწერს. და აქ, ასეთ ქვეყანაში, ვინმე ანტონ ქუმ[16] ხმა აღიმაღლა მაიმუნი ზარატუსტრას წინააღმდეგ! დღეს გაზეთი „კურიერი“ გამოდის გაზეთ „კრონენცაიტუნგის“ წინააღმდეგ. – კლემერ, ერთი კარგად გაიაზრეთ ეს! ახლა კი, ბატონო

[16] ქუ - გერმანულად ძროხას ნიშნავს.

კლემერ, მასწავლებელი, – ქალბატონი ვიორალი უნდა მოვიკითხო; შემდეგ კვლავ თქვენთან დავბრუნდები.

დედამ ერიკას მხრებზე მოახურა თავისი ხელით მოქსოვილი ცისფერი ანგორის ჟაკეტი. ჟაკეტი თბილია, როგორც ჩაიდნის სათბურა. მას ფეხი უსხლტება პრიალა პარკეტზე, – რომელიც დღეს ზოგიერთ ადგილას დაფარულია იაფფასიანი ხალიჩით და უახლოვდება უფროს კოლეგას, რათა მიიღოს მილოცვა თვით პროფესიონალისაგან. დედა მას უკნიდან მსუბუქად უბიძგებს. დედა ხელს ადებს მას ზურგზე, მარჯვენა მხარეს, ანგორის ჟაკეტზე.

ვალტერ კლემერი ჯერ კიდევ არ ეწევა და არ სვამს, მიუხედავად ამისა, მას საოცარი ენერგია აქვს. იგი გზას იკვლევს ამ მოყაყანე ბრბოში მასწავლებლის უკან, რომელსაც წურბელასავით ეკრობა; თითქოს მიეწებაო. როცა ქალს იგი დასჭირდება, ის მის გვერდზე უნდა იყოს; მაგალითად, როცა მხარდაჭერა სჭირდება მამაკაცის მხრიდან. საკმარისია ერიკა შემობრუნდეს და შეეჯახება კიდეც მას. იგი განზრახ ეძებს ამ კონტაქტს. პატარა პაუზა მთავრდება. ერიკას იქ ყოფნას, მის სიახლოვეს, კლემერი გაფართოებული ნესტოებით ისრუტავს, თითქოსდა მაღალმთიან ველზე იმყოფება, სადაც იშვიათად მიდიან და ამიტომ უფრო ღრმად სუნთქავენ, რათა ქალაქში თან წაიღონ რაც შეიძლება მეტი ჟანგბადი. იგი აცილებს თმას ღია ლურჯი ფერის ჟაკეტის სახელოდან და ამისათვის მადლობას იღებს, ჩემო საყვარელო გედო! დედა რაღაცას ბუნდოვნად გრძნობს, მაგრამ არ შეუძლია არ დააფასოს მისი ტაქტიანობა და მოვალეობის გრძნობა. ეს მკვეთრ წინააღმდეგობაშია ყოველივე იმასთან, რაც ამჟამად მიღებული და საჭიროა ორი სქესის წარმომადგენელს შორის. ბატონი კლემერი დედისთვის ახალგაზრდა კაცია, მაგრამ იგი ძველი ყაიდის ადამიანია.

ისინი ცოტას კიდევ ლაპარაკობენ, სანამ ბოლო ნაწილი დაიწყება. კლემერს სურს იცოდეს, თანდათანობით რატომ ეცლება საფუძველი შინაურ კონცერტებს, რასაც ის ძალიან ნანობს. ჯერ

კომპოზიტორები დაიხოცნენ, შემდეგ კი კვდება მათი მუსიკა, რადგან ყველას მხოლოდ შლაგერების, პოპისა და როკის მოსმენა სურს. ასეთი ოჯახები, როგორიც ეს არის, აღარ არსებობს. ადრე ისინი მრავლად იყვნენ. დღეს უმაღლესი განათლების მქონე ხალხს შეუძლია ფეხები აბრახუნოს ბრუკნერის სპილოს საყვირების ტაქტზე და ქების სია ყვებს არ იშურებენ ამ ზემო ავსტრიელი ხელოსნის მიმართ. – გძულდეს ბრუკნერი, ეს ყმაწვილური სისულელეა, რაც ბევრს სჭირდა, ბატონო კლემერ. მას მხოლოდ გაცილებით გვიან იგებენ, მერწმუნეთ. თავი შეიკავეთ მოდური მსჯელობებისაგან, ვიდრე მას კარგად არ გაიგებთ, ბატონო კლემერ. ახალგაზრდა კაცი ბედნიერია მოისმინოს სიტყვა „კოლეგა“ პროფესიონალისგან და მაშინვე იწყებს ლაპარაკს შუმანის ზმანებებსა და გვიანდელ შუბერტზე გულში ჩამწვდომი პროფესიული გამოთქმებით. ის ლაპარაკობს ფაქიზ ნახევარტონებზე, ამასთანავე, მისი საკუთარი ტონი ჩრჩილითაა შეჭმული.

ამას მოჰყვება კოხუტ-კლემერის Molto vivace.[17] დუეტი, რომელიც ეხება ქალაქის საკონცერტო ცხოვრებას. ეს დუეტი მათ კარგად მოამზადეს. თვითონ ისინი, ორივენი, საკონცერტო ცხოვრებაში არ მონაწილეობენ, მათ ნება ეძლევათ მონაწილეობის მიღებისა მხოლოდ როგორც მომხმარებლებს, თუმცა მათი კვალიფიკაცია გაცილებით უფრო მაღალია! მაგრამ ისინი მხოლოდ მსმენელები არიან და ილუზიებს იქმნიან თავიანთი ცოდნის შესახებ. მათგან ერთ-ერთს კინაღამ დართეს მონაწილეობის მიღების უფლება. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. და აი, ისინი მსუბუქად დაცურავენ ნახევარტონების, შუალედური სფეროებისა და სამყაროს მტვრიან ფენებზე, რადგან ამაში საშუალო ფენა შესანიშნავად ერკვევა. ეს ფერხული იწყება შუბერტის ზმანებებით, ანდა, როგორც ადორნო აღწერს, შუმანის ზმანებით – C დო-მაჟორი ფანტაზია. ის მიცურავს შორს, ინთქმება არაფერში და ეს არის ზმანება, რომელიც არათუ

[17] ძალიან ცოცხლად (იტალიური მუს. ტერმინი).

არ შეიცნობა და არ გაიაზრება, არამედ მას ვერ შეუხამებ და ვერ შეუსაბამებ საკუთარ თავს. ორივე მათგანი ამ მომენტში დუმს, რათა დატკბნენ იმით, რასაც უადგილო ადგილას ხმამაღლა გამოთქვამენ. თითოეული მათგანი ფიქრობს, რომ მას უკეთ ესმის ყოველივე ეს, ვიდრე მეორეს, – კლემერს თავისი ახალგაზრდული ასაკის გამო, ერიკას კი თავისი მომწიფებულობისა და გამოცდილების გამო. ორივე ერთმანეთს ეჯიბრება იმაში, რომ მძაფრად და გულმოსულად კლავენ და აკრიტიკებენ ამ უმეცარ ხალხს, რომელსაც არაფერი არ გაეგება, ამისთანები კი აქ ბლომად შეგროვილან. – ერთი შეხედეთ მათ, ქალბატონო მასწავლებელო! ერთი კარგად შეხედეთ მათ, ბატონო კლემერ! აქ შეკრებილთა მიმართ ზიზღი აერთიანებს მასწავლებელსა და მოსწავლეს. მომენტი, დროის ის მონაკვეთი, როცა ხდება შუმანისა და შუბერტის სიცოცხლის შუქის გაქრობა, დაბნელება, მკვეთრი წინააღმდეგობაა იმისა, რასაც ეს ჯანმრთელი ბრბო ფიქრობს, როდესაც ტრადიციას ჯანსაღს უწოდებს და მასში თავს არხეინად გრძნობს. ჯანმრთელობა, ფუი, ეშმაკს! ჯანმრთელობა არის იმის გაცხადება, გასხივოსნება, რაც არის. მსმენელები, ფილარმონიაში საკონცერტო პროგრამებს რომ სვრიან და აბინძურებენ, თავიანთი საზიზღარი კონფორმიზმით ამ ხსენებულ ჯანმრთელობას შერაცხავენ, – აბა, ერთი წარმოიდგინეთ, ბატონო კლემერ, – სერიოზული მუსიკის მთავარი კრიტერიუმი. ჯანმრთელობა მუდამ გამარჯვებულთანაა; რაც სუსტია, იფანტება და იცხრილება. ბეთჰოვენი, მათი აზრით, ჯანმრთელი მხატვარი გახლდათ, მაგრამ ეგ კი არის, რომ ის, სამწუხაროდ, ყრუ იყო. აგერ კიდევ ეს განსაკუთრებულად ჯანმრთელი ბრამსი. კლემერი ბედავს შეპასუხებას (და ახვედრებს კიდეც ნიშანში), რომ მას ბრუკნერიც ასევე ძალიან ჯანმრთელ ადამიანად მიაჩნია. ამისათვის მას სერიოზულად მიუთითებენ. ერიკა მორიდებით ლაპარაკობს თავისი ჭრილობების შესახებ, რომელიც მას მიაყენეს ვენისა და პროვინციის მუსიკალურ ცხოვრებასთან დაპირისპირების

დროს. შემდეგ მას ყოველივე ამის გამო გული გაუტყდა. მგრძნობიარე ადამიანი, ეს ნაზი ფარვანა, აუცილებლად დაიწვება ცეცხლზე. – და ამიტომ, – ამბობს ერიკა კოხუტი, – ეს ორივე უკიდურესად ავადმყოფი ადამიანი, სახელდობრ კი, შუმანი და შუბერტი, რომელთა გვარებიც ერთნაირი მარცვლით იწყება, ყველაზე ახლოს დგანან ჩემს დაჭრილ გულთან, არა ის შუმანი, რომელსაც უკვე წაერთვა აზროვნების უნარი, არამედ ის შუმანი, ვიდრე ამ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა! სულ ცოტა ხნით ადრე ამ მდგომარეობამდე! იგი უკვე გრძნობს, რომ გონება ღალატობს, უკიდურესად იტანჯება ამის გამო, ემშვიდობება თავის შეგნებულ, ცნობიერ ცხოვრებას და მიმართავს ანგელოზებისა და დემონების გუნდს, მაგრამ ბოლო, სულ ბოლო მომენტში იკრებს ძალებს, ვერ უწევს რა კონტროლს თავს, უკვე ამ მდგომარეობაში იგი მონატრებით უსმენს მას, – რის გამოც ის ნაღვლობს, და რაც მისთვის ყველაზე ძვირფასი დანაკარგია: თავის თავს. ეს ის ფაზაა, როდესაც ჯერ კიდევ გესმის, თუ რას კარგავ, ვიდრე მთლად დაიღუპები.

ერიკა მგრძნობიარე ტონით ამბობს, რომ მამამისი, რომელმაც მთლად დაკარგა განსჯის უნარი, შტაინჰოფში გარდაიცვალა. ამიტომ, პრინციპულად, საჭიროა ერიკას გაუფრთხილდნენ, მან ხომ საკმაოდ ძნელი ცხოვრება გაიარა. ამ ყოველმხრივ ჯანსაღ ატმოსფეროში ერიკას აღარ სურს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ იგი ზოგ რამეზე მაინც ამახვილებს ყურადღებას – მინიშნებით. ქალს სურს კლემერს გამოსძალოს, ამოჰკვეთოს გარკვეული გრძნობები და უყოყმანოდ მიმართავს საჭრისს. ეს ქალი გადატანილი ტანჯვა-წვალების გამო იმსახურებს მამაკაცის კეთილგანწყობას, რომელიც მან უნდა მოიპოვოს. ახალგაზრდა კაცს კვლავ იმწამსვე ხელახლა აღეძვრება მძაფრი ინტერესი.

შესვენება დამთავრდა. დაიკავეთ კვლავ, გეთაყვა, თქვენი ადგილები. ახლა მოისმენთ ბრამსის სიმღერებს ახალგაზრდა მომღერალი ქალის – სოპრანოს შესრულებით. ახლა კონცერტი მალე

დამთავრდება, სულერთია, სხვა მაინც ვერვინ გამოვა უკეთესად, ვიდრე დუეტი კოხუტ-ჰაბერკორნი. აპლოდისმენტები ძლიერდება, ტაშის ხმა ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე შესვენებამდე, რადგან ყველა შვებას გრძნობს, რომ კონცერტი მთავრდება. გაისმის შეძახილები „ბრავო“, ამჯერად ყვირის არა მხოლოდ ერიკას დედა, არამედ მისი საუკეთესო მოსწავლეც. დედა და ეს საუკეთესო მოსწავლე გვერდულად უყურებენ ერთმანეთს თვალის კუთხეებიდან, ორივენი ხმამაღლა და ენერგიულად გაჰკივიან და თან ეჭვით არიან შეპყრობილი ერთმანეთის მიმართ. ერთ მათგანს რაღაც სურს, მეორეს კი ამის მიცემა არ უნდა. ყველგან ანთებენ სინათლეს, აბრიალდა ჭაღი ჭერზე, ამ ლამაზი მომენტისათვის არაფერს იშურებენ, არაფრის ეკონომიას არ ეწევიან. სახლის პატრონს თვალები ეცრემლება. ერიკამ დამატებით ისევ შოპენი დაუკრა და სახლის პატრონს გაახსენდა ღამის პოლონეთი, რომელიც მისი სამშობლოა. მომღერალ ქალსა და ერიკას, ამ მომხიბლავ აკომპანიატორ ქალს, უზარმაზარი ყვავილების თაიგული მიართვეს. შემდეგ მოდიან ორი დედა და ერთი მამა, რომლებიც ასევე თაიგულს უძღვნიან მასწავლებელ ქალს, რომელიც მათ ბავშვებს ამეცადინებს. ახალგაზრდა ნიჭიერ მომღერალ ქალს მხოლოდ ერთადერთ თაიგულს აძლევენ. ერიკას დედა ხალისიანად ეხმარება მათ და ისინი ერთად ახვევენ თაიგულებს პაპიროსის სიფრიფანა ქაღალდში. – ჩვენ ეს მშვენიერი ყვავილები მხოლოდ გაჩერებამდე უნდა მივიტანოთ, იქიდან კი ტრამვაი თითქმის სახლის კარამდე მიგვიყვანს. ტაქსის ეკონომიას ეწევიან, ბინაზე კი – არა. იქვე ჩნდებიან მეგობრები და დამხმარეები და სთავაზობენ მათ საკუთარი მანქანით სახლში მიყვანას, მაგრამ დედა აცხადებს, რომ ეს საჭირო არ არის. – დიდი მადლობა. ჩვენ არ ვიღებთ სხვის სამსახურს და არც სხვას ვუწევთ მას.

მოდის ვალტერ კლემერი და ეხმარება თავისი მუსიკის მასწავლებელს ზამთრის პალტოს ჩაცმაში, მელიის საყელო რომ ამშვენებს, და რომელიც ნაცნობია მისთვის მუსიკალური სკოლიდან.

პალტოს წელზე ქამარი აქვს შემორტყმული, ბეწვის საყელო კი ძალიან ფაფუკია. იგი ეხმარება ასევე ერიკას დედას და აცმევს მას შავი კრაველის პალტოს. კლემერს სურს განაგრძოს საუბარი, რომელიც, იძულებული გახდა, შეეწყვიტა. იგი მაშინვე ამბობს რაღაცას ხელოვნებასა და ლიტერატურაზე იმ შემთხვევისათვის, რომ ახლა ფროილაინ კოხუტი სრულიად დაცლილია მუსიკისგან იმ ტრიუმფის შემდეგ, რომელიც მას ჰქონდა. ის თითქოს აფრინდება ერიკას კბილებით, თავისი კბილის წვეტებს ასობს ქალს. იგი ეხმარება მას პალტოს ჩაცმაში, და ბედავს კიდეც ამოუწიოს ნახევრად გრძელი თმები ბეწვის საყელოდან და აკურატულად დაუწყოს ზემოდან. კლემერი სთავაზობს ქალებს, რომ გაჩერებამდე მიაცილებს.

დედას რაღაც ეჭვი უჩნდება, რომლის ხმამაღლა გამოთქმის დროც ჯერ არ დამდგარა; ერიკა ერთგვარ სიამოვნებას განიცდის იმ ყურადღების გამო, მის მიმართ რომ გამოიჩინეს. იმედია, ეს კვერცხისოდენა სეტყვად არ გადაიქცევა და მას თავს არ გაუხეთქავს. გარდა ამისა, მას მიართვეს მოზრდილი შეკვრა კონფეტებისა, ახლა რომ ვალტერ კლემერს მოაქვს, რომელმაც თავაზიანი ძალდატანებით გამოართვა ის ქალს. კიდევ მას მისცეს ნარინჯისფერი შროშანების თაიგული. ამ სხვადასხვა ტვირთით დამძიმებულნი, რომელთა შორის მუსიკა ყველაზე მცირე ტვირთი როდია, სამივენი, – გულითადად გამოემშვიდობნენ რა პოლონელ მასპინძლებს, ტრამვაის გაჩერებისაკენ მიდიან, ახალგაზრდები ცოტათი უფრო წინ მიაბიჯებენ, დედა ისე სწრაფად ვერ მიდის, წინ მიმავალ წყვილს ხომ უფრო მარდი ფეხები აქვს. სამაგიეროდ, დედა უკნიდან უკეთ ხედავს და ისმენს ყველაფერს. ერიკა ფეხს ითრევს, რადგან მისი საწყალი დედიკო უკან მიჩანჩალებს, სრულიად მარტო. ქალბატონი კოხუტები ხომ, საერთოდ, ერთად დადიან ხოლმე ხელიხელჩაკიდებულნი, ტკბებიან ხოლმე ერიკას წარმატებებზე ლაპარაკით, რომლის დროსაც უსინდისოდ აზვიადებენ ამა თუ იმ ამ-

ბავს. დღეს იმ ადგილზე, ჩვეულებრივ დედას რომ ეკავა ხოლმე, მოდის, ვინ იცის, საიდან მოსული ახალგაზრდა კაცი. მოხუცი ქალი კი, უგულებელყოფილი და მობუზული, უკან მოჰყვებათ. დედა უჩინრად, – ასე გრძნობს ერიკა, – უკან თავისკენ ეწევა მას, ერიკა რაღაცნაირ უხერხულობას განიცდის იმის გამო, რომ დედა უკან მარტო მოდის, არადა, ეს მან თვითონ მოინდომა, რაც უფრო მეტ უხერხულობასა და უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს. ბატონი კლემერის აქ ყოფნა ასე აუცილებელი რომ არ ჩანდეს, ერიკა თავისი მშობლის გვერდით იქნებოდა და ერთად წამოვიდოდნენ გზაზე ყოველგვარი უხერხულობის გარეშე. მაშინ ისინი ისაუბრებდნენ დღევანდელ ამბებზე, კონცერტზე რაც განიცადეს და ნაჩუქარ კონფეტებსაც გემოს გაუსინჯავდნენ. მას ეუფლება სასიამოვნო გრძნობა, რომ მალე სახლში დახვდებათ სითბო და სიმყუდროვე. შეიძლება გვიან ღამით სატელევიზიო ფილმის ნახვაც მოასწრონ. ეს იქნებოდა საუკეთესო ბოლო აკორდი ასეთი შესანიშნავი დღის შემდეგ. მოსწავლე კი მას უფრო და უფრო ეკვრის. განა არ შეუძლია დისტანცია დაიცვას? რაღაცნაირად უხერხულია გვერდით ასეთ ახალგაზრდულ, გახურებულ სხეულს გრძნობდე. ეს ახალგაზრდა კაცი ისეთი ჯანმრთელი და უდარდელი ჩანს, რომ ერიკას მღელვარება იპყრობს. ხომ არ სურს მას, თავს მოახვიოს ქალს თავისი ჯანმრთელი და ახალგაზრდული სხეულის მღელვარება? ისინი ორნი არიან სახლში და ახლა მათს სიმშვიდესა და მყუდროებას საფრთხე ემუქრება. ვის შეუძლია, თუ არა დედას, უზრუნველყოს საკუთარ კედლებში სიმშვიდე, წესრიგი და საკუთარი თავის რწმენა? ერიკა მთელი არსებით მიისწრაფვის სახლისკენ, სადაც ის თავის რბილ სავარძელში ზის ხოლმე და ტელევიზორს უყურებს, კარი კი საიმედოდ დაკეტილია. მას თავისი მუდმივი და საყვარელი სავარძელი აქვს, დედას - თავისი და იგი ხშირად აწყობს თავის შესიებულ ფეხებს რბილ, მრგვალ სპარსულ ტაბურეტზე. სახლის სიმყუდროვე და კეთილდღეობა ირღვევა, რადგან ეს კლემერი მათ არ

ეშვება. მათ სახლში შეჭრაც ხომ არა აქვს განზრახული? ერიკას სურს კვლავ დედის სხეულში შეძვრეს და მის ნაყოფსაფარ წყალში იწვეს და ირხეოდეს. გარეთ ისევე თბილა და სინოტივეა, როგორც სხეულის შიგნით. ერიკას უსიამოვნო გრძნობა ეუფლება დედის გამო, ვინ იცის, რას ფიქრობს იგი, როცა ეს კლემერი მჭიდროდ ეკვრის მის ქალიშვილს.

კლემერი ლაპარაკობს და ლაპარაკობს. ერიკა დუმს. ქალს თავში გაუელვა მისმა იშვიათმა ექსპერიმენტმა საპირისპირო სქესთან, მაგრამ წარსულის გახსენება მას არ სიამოვნებდა. ერთხელ მას შეხება ჰქონდა ერთ მამაკაცთან, რომელთან ერთადაც კაფეში იჯდა და რომელმაც იმდენი უმღერა და უჩიჩინა ყურთან, რომ ერიკა მას დანებდა, ოღონდ კი ის გაჩუმებულიყო. ფერმკრთალი შინაყუდა მამაკაცების კოლექციას ემატება ახალგაზრდა იურისტი და ახალგაზრდა გიმნაზიის მასწავლებელი. მაგრამ მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. საერთოდ ერიკას ყოველთვის მხოლოდ ერთი რამ სურდა, – რაც შეიძლება მალე დაბრუნებულიყო ხოლმე დედასთან. დედა ვერაფერს ხვდებოდა. იგი რამდენიმეჯერ იყო ახალგაზრდა უცოლო კაცების ბინებში, რომლებშიც პაწია ჩაშენებული სამზარეულოები და ჩასაჯდომი აბაზანები იყო მოწყობილი. მუსიკის ასეთი გურმანისათვის ცოტა შეუფერებელიც კი იყო ეს გარემო.

თავიდან მას ერთგვარ სიამოვნებას ანიჭებდა წარმოესახა საკუთარი თავი პიანისტ ქალად, რომელიც დროებით თავის საქმეს არ შესდგომია. არც ერთი ამ ახალგაზრდა კაცის სახლში არ მჯდარა კანაპეზე[18] პიანისტი ქალი. მამაკაცი წამსვე იქცევა ხოლმე რაინდად, ქალი კი ტკბება მის წინ გადაშლილი სურათით ისე, რომ ვერც ამჩნევს კაცს. მაგრამ სიყვარულის აქტის დროს ვერც ერთი ქალი დიდხანს ვერ ინარჩუნებს თავისი დიდი ზეგავლენის ძალას. ახალგაზრდა კაცები საკმაოდ მალე პოულობენ გემოს სასურველ

[18] კანაპე - ძველებური დივანი.

თავისუფლებაში, რომელიც სახლის გარეთაც გრძელდება. მას ავ-ტომობილის კარს აღარ უღებდნენ და აბუჩად იგდებდნენ თავისი მოუქნელობის გამო. მას შემდეგ, რაც მოხდა, ქალს ატყუებენ, აწ-ვალებენ და ხანდახან კიდეც ურტყამენ. მას განზრახ ტოვებენ გა-ურკვეველ მდგომარეობაში, ყველა წერილზე არ უპასუხებენ, ქა-ლი კი იცდის და იცდის, მაგრამ ამაოდ და შეკითხვას ერიდება, თუ რატომ იცდის, რადგან პასუხისა უფრო ეშინია, ვიდრე მოლოდინი-სა. კაცი კი ამასობაში სხვა ქალთან იჭერს კავშირს, სხვა ცხოვრება-შია.

ახალგაზრდა კაცები აღუძრავდნენ ხოლმე ერიკას სურვი-ლებს, მაგრამ შემდეგ კვლავ აფერხებდნენ მათ. ისინი ონკანს უკე-ტავდნენ მას. ერიკას მხოლოდ სულ მცირეოდენი აირის ყნოსვა შეეძლო. იგი ცდილობდა, ვნებითა და გრძნობებით დაეტყვევებინა ისინი. თავდაუზოგავად ურტყამდა მუშტებს მის ზემოთ მყოფ უძ-რავ, მკვდარ სხეულს, ტვირთს, აღტაცებისაგან ყვირილიც აღმოხ-დებოდა ხოლმე. მონდომებით უკაწრავდა ზურგს ფრჩხილებით თა-ვის პარტნიორს. თვითონ არაფერს გრძნობდა. იგი გამოსახავდა შმაგ, ჭარბ ვნებას, რათა კაცი ბოლოს გაჩერებულიყო. კაცი, თუმ-ცა კი ჩერდებოდა, მაგრამ შემდეგ კვლავ მოდიოდა. ერიკა არა-ფერს გრძნობს და არც არასდროს არაფერი უგრძნია. იგი უგრძნო-ბია, როგორც სახლის სახურავი კრამიტი წვიმაში.

ყოველი ეს ვაჟბატონი მალე ტოვებდა ერიკას და მას აღარ სურს ჰყავდეს ბატონი. მხოლოდ სუსტი გამღიზიანებელი გამოს-ჭვივის კაცისგან და იგი არც მაინცდამაინც ცდილობს გააღვიძოს ქალში გრძნობა. ისინი არცთუ ძალიან იწუხებენ თავს ისეთი არაჩ-ვეულებრივი ქალის გულისათვის, როგორიც ერიკაა. ისინი ამისთა-ნა ქალს ვეღარასოდეს შეხვდებიან, რადგან ის განუმეორებელი ქალია. ისინი ინანებენ, მაგრამ მაინც გააკეთებენ ამას. კაცები ხე-დავენ ქუჩაში ერიკას, მიბრუნდებიან და მიდიან. ისინი არ ცდილო-ბენ დაინახონ ამ ქალის იშვიათი ნიჭი და უნარი ხელოვნების დარ-

გში, არამედ ურჩევნიათ დაკავებული იყვნენ თავიანთი ზერელე საქმეებით და დაკმაყოფილდნენ თავიანთი მწირი გამოცდილებითა და შანსებით. იგი საკმარისად მოზრდილი და მაგარი მიწის ბელტია ამისთანა ბლაგვი თოხებისათვის. თავი ისე უჭირავთ, თითქოს შემდეგს გამოხატავდნენ: ეს ქალი მალე გახმება და დაჭკნებაო. ამის გამო ისინი უძილობას არ უჩივიან. ახალგაზრდა კაცები განაგრძობენ თავიანთ მოსაწყენ საქმიანობას და ვერ ხვდებიან, რომ ამგვარ იშვიათ ყვავილს მორწყვა სჭირდება.

ბატონი კლემერი, რომელმაც არაფერი უწყის მსგავს რამეებზე, ცოცხალი თაიგულივით მიჰყვება უმცროს ქალბატონ კოხუტს, უფროსი ქალბატონი კოხუტი კი მათ კილვატერში[19] მიაბიჯებს. კლემერი ერთობ ახალგაზრდაა. მას წარმოდგენაც არა აქვს, თუ როგორი ახალგაზრდაა. იგი აჯილდოებს თავის მასწავლებელს მოკრძალებული და თან რაღაცნაირი შეთქმულების გამომხატველი მზერით. ის იზიარებს მასთან ერთად ხელოვნების წვდომის საიდუმლოებას. ალბათ, ეს ქალიც, ისევე როგორც კლემერი, ფიქრობს, როგორ დააღწიონ ახლა თავი დედას. როგორ შესთავაზოს, როგორ უთხრას ერიკას, რომ მისი დაპატიჟება სურს ერთ ჭიქა ღვინოზე, რათა ეს დღე საზეიმო ელფერით დააგვირგვინოს? სხვა რამეზე კლემერი არ ფიქრობს, მხოლოდ ამაზე ფიქრითაა შეპყრობილი. მასწავლებელი მისთვის ფაქიზი არსებაა. დედა უნდა მოიცილოს და ერიკა წაიყვანოს. ერიკა! კლემერი მის სახელს წარმოთქვამს. ქალს თავი ისე უჭირავს, თითქოს ვერ გაიგო მისი სახელი და ნაბიჯს უჩქარებს, რათა მალე მივიდნენ დანიშნულების ადგილას და ახალგაზრდა კაცს თავში უცნაური აზრი არ მოუვიდეს. მისი წასვლის დროც მოვიდა! აქ იმდენი გზაა და რომლითაც სურს, შეუძლია წავიდეს. როგორც კი წავა, ერიკა და დედა მას ერთი კარგად გაკილავენ. იგი ხომ ფარულად ეტრფის მას. – უნდა ვუყუროთ დღეს ფილმს ფრედ ასტერის მონაწილეობით? – მე კი ამ ფილმს

[19] კილვატერი - უკან მიყოლებით, უკან მიდევნებით.

ვერ გამოვტოვებ. ახლა უკვე ხვდება ბატონი კლემერი, თუ რა ელის მას, სახელდობრ კი – არაფერი.

გაუნათებელ ვიადუკზე კლემერი გაბედულად მოქმედებს, – იგი მოულოდნელად მასწავლებელ ქალს ხელს ხელზე ჰკიდებს. – მომეცით თქვენი ხელი, ერიკა! ამ ხელს შეუძლია ისე კარგად დაუკრას ფორტეპიანოზე. ერიკას ხელი უკან მიაქვს. პატარა ნიავმა წამოიქროლა და შემდეგ კვლავ ყოველივე მიწყნარდა. ქალი ისე იქცევა, თითქოსდა დაახლოების ეს მცდელობა არც შეუმჩნევია. პირველი უხეირო ცდა. მან ხელი თავად აამოძრავა იმიტომ, რომ დედიკო გზის მოკლე მონაკვეთში მათ გვერდით მოცუნცულებდა. დედა გვერდითა მისაბმელად გადაიქცა, რათა ახალგაზრდა წყვილი ფასადიდან გააკონტროლოს. ამ დროს მანქანა არ ჩანს და ტროტუარი ამ ადგილას ვიწროა. ქალიშვილი საშიშროებას გრძნობს და თავის უშიშარ დედიკოს იმწამსვე კვლავ ტროტუარზე აბრუნებს. კლემერის ხელი ადგილზევე შეშდება.

ახლა კლემერის ჯერიც დადგა. მისი პირი არ იხურება, ტუჩის კუთხეებში ის ნაოჭები არ უჩნდება, ასაკს რომ ამჟღავნებს. ლაპარაკობს თავისუფლად და ძალდაუტანებლად. მას სურს, ერიკას ერთი წიგნის შინაარსი უამბოს. წიგნის ავტორია ნორმან მაილერი, რომელსაც კლემერი დიდად აფასებს, როგორც ადამიანს და როგორც ხელოვანს. მან წიგნი ასე და ასე გაიგო, ჰოდა, როგორია ერიკას აზრი ამის თაობაზე? ირკვევა, ერიკას ეს წიგნი არ წაუკითხავს და თემაზე საუბარი ამით წყდება. ასე საქმე არ გამოვა, ამგვარად ვაჭრები ერთმანეთში ვერ რიგდებიან. ახალგაზრდა კაცის ახალგაზრდული სახე ნარნარად ციმციმებს ფარნებისა და მაღაზიების განათებული ვიტრინების შუქზე, გვერდით კი მობუზულა – როგორც ანთებული ქაღალდის ფურცელი ვნების ცეცხლში. იგი ვერ ბედავს შეხედოს მამაკაცს. დედა, ალბათ, მოინდომებს ერთმანეთს დააცილოს ეს წყვილი, თუკი ეს საჭირო გახდა. ერიკა ლაპარაკობს მოკლედ და უინტერესოდ, საუბარს პირი არ უჩანს და ამა-

სობაში ტრამვაის გაჩერებას მიუახლოვდნენ. დედა ხელს უშლის ახალგაზრდებს საუბრის დაბოლოებაში, ვაითუ რაიმეზე შეთანხმდნენო და ლაპარაკობს გაციებაზე, რომლის სიმპტომებსაც დაწვრილებით აღწერს. ქალიშვილი მას ეთანხმება. თავიდანვეა საჭირო სიფრთხილე, ხვალ შეიძლება გვიან იყოს. ბატონი კლემერი კიდევ ერთხელ და საბოლოოდ შეუპოვრად ცდილობს, თავისას მიაღწიოს და ხმამაღლა აცხადებს, ამ ავადმყოფობის საწინააღმდეგო კარგი საშუალება ვიციო – დროული წრთობა. იგი ქალს საუნაში სიარულს ურჩევს. ურჩევს ასევე აუზში ცურვას. იგი საერთოდ სპორტულ ვარჯიშს ურჩევს, განსაკუთრებით კი მის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ სახეობას - ბაიდარაზე ცურვას. – ახლა ამაში ყინული შეგვიშლის ხელს, ამიტომ დროებით ეს შეიძლება სპორტის სხვა სახეობებით შევცვალოთ, მაგრამ მალე, უკვე ადრე გაზაფხულზე, იქაურობა მეტად ლამაზია, – მდინარეები ივსება ყინულისაგან გამდნარი წყლით და ყველაფერი თან მოაქვს, რაც კი მთაში მოხვდება. ამის შემდეგ კარგია კვლავ საუნაში წასვლა. იგი ურჩევს ქალს ტყეში სირბილს, ასევე ძალიან კარგია გრძელ მანძილზე სირბილიც. ერიკა არ უსმენს, მაგრამ მისი მზერა შეჩერდება ხოლმე კლემერის სახეზე და შემდეგ, დარცხვენილი, წამიერად კვლავ აირიდებს ხოლმე თვალს მის მზერას. ქალი თითქოსდა უნებლიეთ იყურება თავისი სიბერეშეპარებული სხეულის სატუსაღოდან. იგი ამ გისოსების ხერხვას არ დაიწყებს. დედა როდი მისცემს ნებას ერიკას, შეეხოს გისოსებს. კლემერი, რომელიც არ ეთანხმება მას, რაც არ უნდა თქვას ერიკამ, ეს გულმხურვალე მებრძოლი ახალგაზრდა კაცი, კვლავ გაბედულებას იჩენს ისე, როგორც მოზვერი, ღობეს რომ მიანგრ-მოანგრევს და გადააყირავებს: ძროხისკენ მიიწევს იგი თუ ახალი საბალახო მდელოსაკენ? ეს გაურკვეველია. იგი ურჩევს მას სპორტს იმიტომ, რომ მისი წყალობით შეიძლება სიხარული და სიამოვნება მიანიჭოს საკუთარ თავს, საერთოდ, და კერძოდ კი, თავის სხეულს. – არ დაიჯერებთ, ქალბატონო მასწავლებელო,

რა სიხარულს იგრძნობთ ზოგჯერ თქვენივე საკუთარი სხეულისაგან! ჰკითხეთ თქვენს სხეულს, რა სურს მას და იგი ამას გეტყვით. თავიდან სხეული შეიძლება თითქოს უმნიშვნელო და უჩინარია, მაგრამ შემდეგ: ოოო! ის მოძრაობს და ავითარებს კუნთებს, იმართება, სწორდება და იშლება სუფთა ჰაერზე. ცხადია, მას აქვს თავისი საზღვრებიც. და აქ უნდა შევნიშნოთ: ყოველივე ამის მიღწევასა და განცდაში დაგვეხმარება ბაიდარა, ეს ჩემი საყვარელი სპორტის სახეობა.

ერიკას ბუნდოვნად ახსენდება, რომ რაღაც ამის მსგავსი ტელევიზიით ნახა: ბაიდარისტები სწრაფ მდინარეზე. ისინი აჩვენეს გრძელ ტელეგადაცემაში კვირის ბოლოს, ვიდრე სატელევიზიო ფილმი დაიწყებოდა. მას ახსენდება ეს სპორტსმენები, ნარინჯისფერი საცურაო ჟილეტი რომ ეცვათ და თავზე სპორტული საცურაო ქუდები ეხურათ. ისინი ისე ჩანდნენ პატარა ნავებში, როგორც ჩაშაქრული მსხლები ლიქიორის ბოთლში. ვარჯიშის დროს ხშირად გადაბრუნდებოდნენ და ტრიალდებოდნენ ხოლმე. ერიკას ეღიმება. იგი იხსენებს ერთ-ერთ ბაიდარისტს, რომლის გამოც მან მაშინ შიშისაგან შეჰყვირა, მაგრამ სწრაფადვე ავიწყდება იგი. მასში რჩება ერთი სუსტი სურვილი, რომელიც ასევე სწრაფად ავიწყდება. ასე. აი, თითქმის მოვედით კიდეც! ბატონ კლემერს პირში სიტყვა უწყდება. იგი კიდევ რაღაცას წაილაპარაკებს თხილამურების თაობაზე რაკიღა, თხილამურით სრიალის სეზონიც ახლა იწყება. – საჭირო არ არის ქალაქიდან შორს წასვლა, იქვე, ახლოს, არის სხვადასხვანაირი, შესაფერისი ფერდობები. ხომ საუცხოოა? წავიდეთ ერთხელ ერთად, ქალბატონო მასწავლებელო, რადგან ახალგაზრდები ახალგაზრდებისკენ მიისწრაფიან. ჩვენ იქ შევხვდებით ჩემს თანატოლ მეგობრებს, რომლებიც ყველანაირად იზრუნებენ თქვენზე, ქალბატონო მასწავლებელო. – ჩვენ არცთუ ისე სპორტულები ვართ, – აწყვეტინებს მას ლაპარაკს დედა, რომელსაც ახლოდანაც არ უნახავს სპორტული სანახაობა, – მხოლოდ ტელევი-

ზორით უხილავს. ზამთარში ჩვენ სიამოვნებით განვმარტოვდებით ხოლმე და საინტერესო დეტექტივს ვუყურებთ. საერთოდ, იცით, ჩვენ განმარტოება გვიყვარს. „საიდან“, – ეს ვიცით და „საით“, – ჯობს, არ ვიცოდეთ.

ბატონი კლემერი აცხადებს, რომ მას შეუძლია მამამისს თითქმის ყოველთვის გამოართვას მანქანა, თუკი მას ამის შესახებ დროულად ეტყვის. მისი ხელი სიბნელეში ფათურობს და კვლავ ვერაფერს ხდება. ერიკა სულ უფრო და უფრო მეტ ანტიპათიას გრძნობს. – ერთი მალე წავიდეს! ფიქრობს იგი. – ხელი გააჩეროს და წავიდეს! კლემერი არის ცხოვრების საშინელი გამოწვევა, ერიკასადმი მიმართული, და იგი, ერიკა, გამოწვევას მხოლოდ მაშინ იღებს, როცა ის მუსიკალური ნაწარმოების ინტერპრეტაციას ეხება. ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა გაჩერება, განათებული და მინით გადახურული, თავისი პატარა სკამით. გარშემო არავითარი ავაზაკი არა ჩანს, და კლემერს კი ორნი, – თვითონ და დედამისი, – ადვილად მოუვლიან. ფარნის შუქი. გაჩერებაზე კიდევ ორი კარგად შეფუთნული ქალი იცდის, რომელთაც არავინ აცილებს და არც არავინ იცავს. ახლა გვიანია და ამ დროს ინტერვალები ტრამვაებს შორის საკმაოდ დიდია, ეს კლემერი კი, სამწუხაროდ, არა და არ მიდის. ავაზაკები არ არიან, მაგრამ, დავუშვათ და გამოჩნდნენ, მაშინ კი გამოადგებათ კლემერი. ერიკას საძაგელი გრძნობა ეუფლება, მათ ასე ახლო ყოფნას წერტილი უნდა დაესვას. აი, ტრამვაიც მოდის! კლემერი ახლა წავა და ის დედასთან ერთად იმსჯელებს ამაზე. იგი ჯერ უნდა წავიდეს და მერე კი დაწვრილებით ილაპარაკებენ მასზე. მას მსუბუქი ღიტინის შეგრძნება აქვს, თითქოს კალმის წვერს უსვამენ კანზეო. მოდის ტრამვაი და თან სწრაფად მიჰყავს ქალბატონი კოხუტები. ბატონი კლემერი ხელს უქნევს, მაგრამ ქალები მთლიანად თავიანთი საფულეებითა და სამგზავრო ბილეთებით არიან დაკავებული.

საშინლად უსუსურად ვარდება ძირს ბავშვი, წამოჰკრავს რა ფეხს ქვემოთკენ დაჭიმულ მავთულს, ბავშვი, რომლის ნიჭიერებაზე კვლავ ყველა ლაპარაკობს, მაგრამ, რომელსაც მხოლოდ ისე შეუძლია გაინძრეს, თითქოს ყელამდე პირმოკრულ ტომარაში ზისო. ინძრევა შიგ და უმწეოდ აფართხალებს ხელებსა და ფეხებს. ბავშვი ხმამაღლა ჩივის, რომ მავთული, რომელსაც ფეხი წამოჰკრა, მას გზაზე დაუდეს სხვების უყურადღებობისა და გაუფრთხილებლობის გამო. თვითონ იგი კი არასოდეს არ არის დამნაშავე. მასწავლებლები, რომელთაც ეს შენიშნეს, აქებენ და ანუგეშებენ მას, მუსიკალური წნეხის ქვეშ მყოფს, მას, ვინც, ერთი მხრივ, მთელ თავის თავისუფალ დროს მუსიკას სწირავს და, მეორე მხრივ კი, სასაცილო მდგომარეობაში იგდებს თავს სხვების წინაშე. და მაინც მასწავლებლები გრძნობენ ფარულ ზიზღსა და ანტიპათიას, როდესაც აცხადებენ, რომ თითქოს ის ერთადერთია, რომელსაც სკოლის შემდეგ მხოლოდ სისულელეები როდი უტრიალებს თავში. უაზრო დამცირებებით ამძიმებენ მის გულს, რის გამოც იგი სახლში დედას შესჩივის. დედა აჩქარებით გარბის სკოლაში და ხმამაღლა ადანაშაულებს სხვა მოსწავლე გოგონებს, რომლებიც ცდილობენ გააფუჭონ მისი შესანიშნავი ბავშვი. აი, მაშინ კი გარშემო მყოფნი თავიანთ შეკავებულ ბრაზსა და რისხვას ველარ იკავებენ და სეტყვასავით ცვივა საყვედურები, ჩივილი და მკვეთრი საბაბი ჩივილისათვის. სკოლის ბუფეტში მას ფეხქვეშ ედებიან რძის ცარიელი ბოთლებით სავსე მეტალის ყუთები და მისგან ყურადღებას ითხოვენ, მას რომ არ გააჩნია. სკოლაში მისი ყურადღება ფარულად არის მიპყრობილი თანასკოლელი ბიჭებისადმი, რომელთაც იგი მათთვის შეუმჩნევლად თვალს ადევნებს; თვალს კი ადევნებს, მაგრამ მისი გონება ამ დროს სულ სხვაგან არის და არ აქცევს ყურადღებას ბიჭების დავაჟკაცებას, ანდა იმას, რომ ისინი ცდილობენ ვაჟკაცებად წარმოაჩინონ თავი.

აყროლებულ საკლასო ოთახებში ყველგან დაბრკოლებებია ჩასაფრებული. დროებით იქ ოფლს ღვრის ხოლმე ერთი მოჩერჩეტო, ყოვლად საშუალო ნიჭის მოსწავლე, ძლივს რომ ასრულებს თავის დავალებებს; მშობლები კი მთელი ძალით აძაბვინებენ ტვინის უჯრედებს, რათა მან როგორმე საშუალო შედეგებს მაინც მიაღწიოს, მოსწავლეთაგან რომ მოითხოვენ სკოლაში. ნაშუადღევს საკლასო ოთახი ერთი არაჩვეულებრივად ნიჭიერი მოსწავლის განკარგულებაშია, რომელიც ემზადება უჩვეულო წარმატებების მოსაპოვებლად მუსიკალურ ასპარეზზე – იგი საგანგებო პროგრამით მეცადინეობს. აქ არიან ნებისმიერი ასაკის მოსწავლეები, უფროსკლასელები და სტუდენტებიც კი! ყველა მათგანს ერთი მიზანი აქვს – ააჟღეროონ მუსიკალური ხმები ცალ-ცალკე, ან ერთდროულად.

მას სულ უფრო და უფრო იზიდავს შინაგანი ცხოვრების მიუწვდომლად მიმქროლავი ჰაერის ბუშტები, იმ შინაგანი ცხოვრებისა, რომელზეც სხვებს არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. თავისი საფუძვლით იგი რაღაც არაამქვეყნიურად ლამაზია და ეს საფუძველი თავისთავად მასში არსებობს. სხვები ამ სილამაზეს ვერ ხედავენ. იგი თავის თავში ქმნის საკუთარ სილამაზეს და წარმოისახავს თავის სახეს, დაბეჭდილს ილუსტრირებული ჟურნალის ფურცლებზე. დედამისი ამას, ცხადია, აუკრძალავდა. მას შეუძლია ეს სახეები სურვილისამებრ შეცვალოს, - ხან ქერაა, ხან შავგვრემანი, - ასე უყვართ მამაკაცებს უმეტესწილად ქალები. და ცდილობს უკეთ გამოიყურებოდეს, მასაც ხომ სურს, რომ უყვარდეთ. თვითონ ერიკა კი ყველაფერია, მხოლოდ არა ლამაზი. იგი ნიჭიერია, თავაზიანი, ზრდილობიანი, მაგრამ არა ლამაზი. იგი უფრო შეუმჩნეველია, არ გამოირჩევა, რასაც დედამისი მუდმივად ახსენებს და აგრძნობინებს, რათა მან თავისი თავი ლამაზად არ ჩათვალოს. მხოლოდ თავისი უნარშესაძლებლობითა და თავისი ცოდნით თუ შეძლებს ის მამაკაცის მიზიდვას, – მას დედა მუხანათურად და ყოვ-

ლად უკადრისად ემუქრება. იგი ემუქრება ბავშვს, – არ დაგინდობ, თუკი ვინმე კაცთან დაგინახეო. დედა ზის კართან, აკონტროლებს, ეძებს, ანგარიშობს, აკეთებს დასკვნებს, სჯის.

იგი ყოველდღიური საზრუნავის ქსელშია გახვეული, როგორც ეგვიპტური მუმია, მაგრამ არავინ იწვის სურვილით, მოვიდეს და შეხედოს მას. უკვე სამი წელიწადია, იგი მოთმინებით ელოდება, როდის უყიდიან პირველად ერთ წყვილ მაღალქუსლიან ფეხსაცმელს. მას ეს არასოდეს ავიწყდება. სურვილი მოთმინებას მოითხოვს. ეს მოთმინება მან შეიძლება მოახმაროს, - ვიდრე ფეხსაცმელს შეიძენს, – იმავდროულად აგრეთვე ბახის სოლოსონატებს, რომლის დაუფლებასთანაც მზაკვარი დედა იმ ფეხსაცმელს უკავშირებს. იგი ვერასოდეს მიიღებს ამ ფეხსაცმელს. ოდესმე თვითონ უნდა იყიდოს, როცა ცოტაოდენ ფულს გამოიმუშავებს. მას მუდამ ახსენებენ და მუდამ თვალწინ უდგას ეს ფეხსაცმელი, როგორც მადისაღმძვრელი საჭმელი, სატყუარა; იყენებს რა ამ სატყუარას, დედამ მას ჰინდემიტის კიდევ ერთი ნაწარმოები გამოსტყუა, სამაგიეროდ დედას უყვარს თავისი შვილი, რასაც ფეხსაცმელი ვერასდროს შეძლებდა.

ყოველივე დანარჩენს იგი ყოველთვის დაძლევს, ამაღლდება მათზე; დედა ცდილობს, ის ყოველთვის სხვებზე მაღლა დააყენოს. ისინი ყველანი შორს და უკან რჩებიან, უკან და ქვევით. მისი უწყინარი და გულუბრყვილო სურვილები წლების განმავლობაში დამღუპველ სიხარბედ და გაუმაძღრობად იქცა, განადგურების სურვილად. ის, რაც სხვებს აქვთ, სურს მანაც ძალით მოიპოვოს. რაც არ შეუძლია, რომ ჰქონდეს, რისი მიღებაც არ შეუძლია, ის სურს გაანადგუროს. იგი ნივთების მოპარვას იწყებს. ატელიეში, ყველაზე ზედა სართულზე რომ მდებარეობს, სადაც ხატვის გაკვეთილები ტარდება, ქრება წყლის საღებავები, აკვარელები, ფანქრები, ფუნჯები, სახაზავები. იკარგება აგრეთვე პლასტმასის მზის სათვალეები, რომლის შუშები – მოდის სიახლე – ნაირფეროვნად ციმციმებს!

ზოგჯერ მოპარულ ნივთებს, – არასოდეს რომ სარგებლობა არ მოაქვთ, – შიშისგან მაშინვე პირველივე შემხვედრ ნაგვის ყუთში აგდებს, რათა მას არ აღმოუჩინონ. დედა ეძებს ხოლმე და მუდამ პოულობს, – იქნება ეს მალულად ნაყიდი შოკოლადი თუ დაზოგილი ტრამვაის ფულით ნაყიდი ნაყინი.

მზის სათვალის ნაცვლად ჯობდა სხვა გოგონას ნაცრისფერი ფლანელის კოსტიუმი აეღო. მაგრამ კოსტიუმის მოპარვა თუ მოტაცება ძნელია, როცა ის მის პატრონს განუწყვეტლივ აცვია. ამის სანაცვლოდ იგი ჭეშმარიტად დეტექტივურ მცდელობამონდომებას იჩენს და ადგენს, რომ ეს კოსტიუმი მოპოვებულია საკუთარი სხეულის ვაჭრობის შედეგად. იგი რამდენიმე დღის განმავლობაში დასდევდა უკან კოსტიუმის მფლობელის რუხი მგლის ჩრდილს; – კონსერვატორია და ბარი „ბრისტორი“ – თავისი შუასაუკუნეობრივი ასაკის სტუმრებთან ერთად, რომლებიც დღეს ასე მარტონი არიან, იქვე, მეზობლად, მდებარეობს. მისი სკოლის ამხანაგი მხოლოდ თექვსმეტი წლისაა და მის საქციელზე არსებული წესისა და ინსტრუქციის მიხედვით რეაგირებს. იგი ელაპარაკება დედას იმის შესახებ, თუ რომელ კოსტიუმს ნატრობს და იმაზე, თუ როგორ შეიძინოს, უშუალოდ თვითონ. იგი მოჩვენებითი ბავშვური უზრუნველობით წარმოთქვამს სიტყვებს, რათა დედა თავისი საკუთარი ბავშვის გულუბრყვილო უცოდინრობით დატკბეს და ის ამისათვის შეაქოს. დედა მაშინვე დეზსა ჰკრავს თავის ცხენს, გაანჩხლებული და პირზე დორბლმორეული ქალი სკოლაში გარბის და აღწევს იმას, რომ მისი შვილის ამხანაგს სკოლიდან აგდებენ. ნაცრისფერი კოსტიუმი თავის პატრონთან ერთად სკოლიდან ქრება, ეს კოსტიუმი ქრება თვალთაგან, მაგრამ არა ერიკას გონებიდან, რომელსაც ის შემდეგშიც კარგა ხანს ახსოვს, კოსტიუმის პატრონი დასჯის მიზნით ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე მაღაზიაში გადაიყვანეს გამყიდველად, სადაც ის მთელი თავისი ცხოვრება დარჩება ისე, რომ აღარ ექნება ის ბედნიერება, რასაც ადამი-

ანს სიმწიფის ატესტატის მიღება ანიჭებს. რაც შეეძლო, რომ გამ-ხდარიყო, იგი ვეღარ გახდება.

საშიშროების სწრაფი შეტყობინებისათვის მას აჯილდოებენ იმით, რომ ნებას რთავენ იაფფასიანი ტყავის ნაჭრებისაგან საკუთა-რი ხელით შეიკეროს ექსტრავაგანტული სასკოლო ჩანთა. ამასთა-ნავე, ყურადღება ექცევა იმას, რომ ერიკამ შინაარსიანად გაატა-როს თავისუფალი დრო, რომელიც მას არა აქვს. გადის ძალიან ბევრი დრო, ვიდრე ჩანთა მზად იქნება. სამაგიეროდ ისეთი რამ გა-კეთდა, რასაც ვერავინ უწოდებს თავის საკუთრებას და არც ისურ-ვებს უწოდოს. მხოლოდ მას, ერთადერთს, აქვს ასეთი არაჩვეულებ-რივი ჩანთა და ამ ჩანთით ქუჩაში გასვლასაც ბედავს!

ახალგაზრდა კაცები და მოზარდი მუსიკოსები, რომლებთანაც ერთად იგი კამერულ მუსიკას ასრულებს და ორკესტრში უკრავს, აღვიძებენ მასში ძლიერ სურვილ-მისწრაფებას, რომელიც მასში მუდამ ღრმად თვლემდა ხოლმე. ამიტომ ავლენს იგი თავის დაუც-ხრომელ სიამაყეს, მაგრამ რითი იამაყოს? დედა ევედრება შვილს და აფიცებს მას, გაუფრთხილდეს თავის ღირსებას, რადგან ამას შემდეგ საკუთარ თავს აღარასოდეს აპატიებს. მას არ შეუძლია აპა-ტიოს საკუთარ თავს იოტისოდენა შეცდომაც კი, რომელიც თვე-ების განმავლობაში აწვალებს და მოსვენებას არ აძლევს. ხშირად მას ტკივილს აყენებს ჯიუტი აზრი იმის გამო, რომ ის უნდა მოქ-ცეულიყო ასე და არა სხვანაირად, მაგრამ ახლა ეს უკვე გვიანაა. ამ პატარა, მისთვის სანუკვარ ორკესტრს პირადად ხელმძღვანელობს ვიოლინოს მასწავლებელი, პირველი ვიოლინო კი განასახიერებს მასში აბსოლუტურ ძალას. მას სურს დაეყრდნოს ძლიერებს, რათა მათ იგი ზემოთ აიყვანონ და აამაღლონ. იგი მუდამ ძალის ზეგავ-ლენას განიცდის, მას შემდეგ, რაც დედამისი პირველად იხილა. ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სხვა ვიოლინოები ცდილობენ გა-უსწორდნენ, როგორც ქარი ფლიუგერს კოშკზე, კითხულობს სა-ყურადღებო წიგნებს, ემზადება გამოცდისათვის სიმწიფის ატესტა-

ტის ასაღებად. ის ამბობს, რომ მის ცხოვრებაში იწყება სერიოზული ხანა, სახელდობრ კი, სწავლის პერიოდი. იგი აწყობს გეგმებს და გაბედულად გამოთქვამს მათ ხმამაღლა. ზოგჯერ იგი დაბნეულად შეჰყურებს მას, უყურებს გამჭოლად, რომლის დროსაც, შეიძლება, მათემატიკურ ფორმულებს ან შეიძლება დახვეწილი, ტაქტიანი საქციელ-მოქმედების ფორმულებს იმეორებს. იგი ვერასდროს ახერხებს დაიჭიროს მისი მზერა, რადგან ქალი კარგა ხანია ზვიადად შეჰყურებს ჭერს. იგი მასში ვერ ხედავს ადამიანს, არამედ მხოლოდ მუსიკოსს. ქალი მას ვერ ხედავს, და მან უნდა შენიშნოს, რომ მისთვის ის ჰაერია, ცარიელი ადგილია. იგი შინაგანად იწვის. ერთხელ, მისი ყურადღება რომ მიეპყრო, მან ვიოლინოს ფანერის ფუტლარის სახურავი მარცხენა ხელზე დაირტყა, იმ ხელზე, რომელიც მას ასე ძალიან სჭირდება. ქალი ტკივილისაგან ხმამაღლა ყვირის, რათა მისი ყურადღება მიიქციოს. შეიძლება მან მის მიმართ გალანტურობა გამოიჩინოს, მაგრამ მას სურს წავიდეს ჯარში, რათა თავისი მოვალეობა მოიხადოს. გარდა ამისა, მას სურს გიმნაზიაში ბუნებისმეტყველება, გერმანული ენა და მუსიკა ასწავლოს. მუსიკას, ერთადერთს ამ საგნებიდან, იგი უკვე საკმაოდ კარგად ართმევს თავს. რომ მოიპოვოს მისი აღიარება, როგორც ქალმა, რათა მას გონებაში ჩაებეჭდოს როგორც ქალი, იგი მეცადინეობებს შორის შესვენებებზე უკრავს. როიალზე მარჯვედ უკრავს, მაგრამ იგი საშინელი მოუქნელია ყოველდღიურ ცხოვრებაში. მოუქნელობის წყალობით მას არ შეუძლია გაიკვალოს გზა მისი გულისაკენ.

მან გადაწყვიტა, რომ ვერავინ და ვერასდროს დაუფლებოდა. მას სურს ყველაფერი შეინარჩუნოს და, თავადვე თუ შესაძლებელია, რაიმე მიიღოს. ჩვენ ვართ ის, რაც გვაქვს. მისი ცოდნა და უნარი წარმოქმნის მწვერვალს, რომელიც დაფარულია დატკეპნილი თოვლის საფარით. მხოლოდ ყველაზე უფრო გაბედული მოთხილამურე დაძლევს აღმართს. ახალგაზრდა კაცი შეიძლება ყოველ წუთს დაცურდეს ფერდობებზე და გადაეშვას ყინულის უძირო

ნაპრალში. მან ვიღაცას ანდო თავისი ძვირფასი გულის გასაღები და შეუძლია ის ყოველ წუთში კვლავ უკან წაიღოს.

იგი მოუთმენლად იცდის, როცა მისი, როგორც მუსიკის ვარსკვლავის, ფასი და მნიშვნელობა მაღლა აიწევს. ის ელოდება წყნარად, უფრო და უფრო წყნარად და მშვიდად, რომ ვინმე აირჩევს მას და შემდეგ თვითონ იგიც იმწამსვე გააკეთებს არჩევანს მის სასარგებლოდ. ეს იქნება მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული, განსაკუთრებული ადამიანი, პატივმოყვარეობით დაუმძიმებელი. მაგრამ ამ კაცმა უკვე გააკეთა არჩევანი: მთავარი სპეციალობა ინგლისური, ან მთავარი სპეციალობა გერმანული. მისი სიამაყე გამართლებულია. გარედან მას რაღაც ხელს უქნევს, ანიშნებს, რაშიც იგი განზრახ არ მონაწილეობს, რათა შემდეგ დაიკვეხოს, რომ ამასა და ამაში მონაწილეობა არ მიმიღიაო. იგი ოცნებობს მედლებსა და სამახსოვრო ნიშნებზე წარმატებით დამთავრებული არამონაწილეობისათვის, რათა არ იყოს გაზომილი და აწონილი.

მას ენატრება და მიისწრაფვის იმ კაცისკენ, რომელმაც ბევრი რამ იცის და ვიოლინოზე უკრავს. მაგრამ ამ კაცს უფლება ექნება მოეფეროს მას მხოლოდ მაშინ, როცა ქალი მას ძირს დასცემს. ეს გასაქცევად გამზადებული არჩვი მიძვრება, მიცოცავს ქვიან ფლატეზე, მაგრამ მაინც არ აქვს ენერგია, იგრძნოს მისი ქალურობა, ქვებით რომ არის დაფარული. იგი იმ აზრისაა, რომ ქალი ქალია. შემდეგ იგი ცოტაოდენი ხუმრობით იხსენიებს ყბადაღებულ ქალთა სქესს და ამბობს: ეს ქალები! როდესაც ის უკრავს მისთვის შესავალს, რათა ქალიც ჩართოს ამაში, იგი უყურებს მას ისე, რომ მთლიანად ვერც აღიქვამს. მას არაფერი აქვს ქალის საწინააღმდეგო. უბრალოდ მას ქალი არ ჰყავს მხედველობაში.

იგი არასოდეს აღმოჩნდება ისეთ სიტუაციებში, რომლის დროსაც სუსტი ან ვინმეზე დაქვემდებარებული იქნება. ამიტომ ის რჩება იქ, სადაც იმყოფება. იგი გადის მხოლოდ სწავლებისა და მეცადინეობის ჩვეულ სტადიებს და არავითარ ახალ სფეროებს არ

ეძიებს. ჭრიალებს წნეხი ხრახნში, წნეხი, რომლითაც სისხლს სწურავენ მისი თითების ფრჩხილებიდან, სწავლა მისგან უკვე გონიერებას მოითხოვს, რადგან, სანამ ის მიისწრაფვის, ცხოვრობს კიდევაც, – ასე უთხრეს მას. დედა მისგან გაგონებასა და დამჯერეობას მოითხოვს. და კიდევ: ვინც თავს საფრთხეში იგდებს, მისი საქმე ცუდად დასრულდება, - ამ რჩევასაც დედა აძლევს. როდესაც სახლში არავინ არ არის, იგი განზრახ იჭრის საკუთარ ხორცს. ყოველთვის დიდხანს უცდის მომენტს, რომ შეუმჩნევლად შეეძლოს გაიჭრას კანი. როგორც კი დედა კარებს გაიხურავს, იგი იმწამსვე იღებს მამისეულ სამართებელს, თავის პატარა თილისმას. სამართებელს იგი მარჯვედ ხმარობს, იგი ხომ მამამისს პარსავდა ხოლმე, პარსავდა მამის რბილ ლოყებს, რომლის ზემოთაც ახლა სრულიად ცარიელი შუბლია და რომელსაც აღარ ასევდიანებს არავითარი აზრი და სურვილი. ეს სამართებელი განკუთვნილია მისი ხორცისათვის. მას აქვს თხელი, ნატიფი პირი მოცისფრო ფოლადისა, მოქნილი, ელასტიკური. ფართოდ გაშლილი ფეხებით იგი ჯდება გამადიდებელი სარკის წინ და იჭრის, კანს, რომელმაც უნდა გაადიდოს ხვრელი და რომელიც შედის მის სხეულში. მას უკვე აქვს გარკვეული გამოცდილება, იცის, რომ სამართებლით გაჭრილი სხეული არ ეტკინება, რადგან მას ხშირად გამოუყენებია საკუთარი ხელები და ფეხები ამ მიზნით, როგორც ცდის ობიექტი. საკუთარი სხეულის გაჭრა სხვადასხვა ადგილას - ეს მისი ჰობია. ეს შესასვლელი და გამოსასვლელი ხვრელი სხეულში, როგორც პირის ღრუ, არც ისე ლამაზია, მაგრამ საჭიროა. იგი მთლიანად ეკუთვნის საკუთარ თავს, რაც გაცილებით უკეთესია, ვიდრე ის, რომ მთლიანად სხვის განკარგულებაში იყო. მას ეს ხელში უჭირავს, ხელი კი ძალიან მგრძნობიარე აქვს. ზუსტად იცის, რამდენჯერ და რა სიღრმით. ხვრელს იგი განზე სწევს სარკის დამამაგრებელი ხრახნით და ჭრის სწრაფად, ვიდრე ვინმე მოვიდოდეს. მას შეჰყავს და გამოჰყავს ცივი ფოლადი ისე, რომ ნაკლებად ერკვევა ანატომიაში და ახლა კიდევ უფრო ნაკ-

ლებად ახლავს თან წარმატება – შეჰყავს იქ, სადაც, როგორც იგი თვლის, გამოჩნდება ხვრელი. ხვრელის კიდეები იშლება, და მას ეშინია ამ ცვლილებისა; სისხლი გარეთ გამოდის.

სისხლის დანახვა მისთვის უჩვეულო სანახაობა როდია, მაგრამ ეს ჩვევა ახლა საქმეს არ შველის. მას, როგორც ყოველთვის, არ სტკივა. იგი იჭრის არასწორ ადგილას და ერთმანეთისაგან აცილებს იმას, რაც უფალმა ღმერთმა და დედაბუნებამ უჩვეულო ერთიანობით შეაკავშირა. ადამიანს ამის უფლება არა აქვს და ამის გამო ისჯება. იგი არაფერს გრძნობს. სხეულის ორი ნაწილი, გაჭრით რომ ერთმანეთს დააცილეს, ერთმანეთს შეცბუნებული უყურებენ, რადგან მათ შორის მოულოდნელად წარმოიქმნა მანძილი, რომელიც მანამდე არ ყოფილა. მრავალი წლის განმავლობაში ისინი ინაწილებდნენ სევდასა და სიხარულს და აი, მათ ერთმანეთს აშორებენ. სარკეში ეს ნახევრები იცვლება, სხვანაირად ჩანს ისე, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცის, რომ ელი რომელია. და შემდეგ სისხლიც ძალუმად გამოდის. სისხლის წვეთები დის, მოედინება, ერთიმეორეში ირევა, ნაკადულად მოედინება. შემდეგ კი წითელი ნაკადი, თანაბრად და დამამშვიდებლად რომ მოედინება, ცალკეულ პატარა ნაკადად ერთდება. სისხლი მოდის და იგი ვერ ხედავს, რა გაიჭრა. ეს მისი საკუთარი სხეულია, მაგრამ მისთვის უცხოა. მას მანამდე არც უფიქრია, რომ ვერ შეძლებდა ჭრილობის ხაზის გაკონტროლებას, როგორც ამას აკეთებდა კაბის ქსოვილის გამოჭრის დროს, გამოჰყავდა რა ქსოვილზე წინწკლოვანი, დაშტრიხული და წყვეტილი ხაზები, რომლის დროსაც ყოველთვის ინარჩუნებდა ქსოვილის სისწორესა და მასზე კონტროლს. მან ახლა ჯერ სისხლის დენა უნდა შეაჩეროს და ამ დროს შიში იპყრობს. მისი ქვედა ნაწილი, სხეულის ქვედაწელი და შიში მისი ორი ახლო მოკავშირეა, – ისინი თითქმის ყოველთვის ერთად წარმოჩნდება ხოლმე. თუ ერთი ამ ახლობელთაგანი დაუკაკუნებლად მოადგება, მაშინ ის დარწმუნებულია: მეორეც იქვე ახლოსაა. დედას შეუძლია გა-

აკონტროლოს, შეამოწმოს მის ქალიშვილს ღამით ხელები საბანსზემოთ აქვს თუ არა, მაგრამ შიში რომ კონტროლქვეშ აეყვანა, მას თავისი შვილისთვის ჯერ თავის ქალა უნდა გაეხსნა და იქიდან შიში თავადვე გამოეფხიკა.

სისხლი რომ გააჩეროს, მას საიდანღაც გამოაქვს თავისი საყვარელი ცელულოზის პაკეტი, რომლის სარგებლობას დიდად აფასებს ყოველი ქალი – ეს პაკეტი განსაკუთრებით გამოსადეგია მაშინ, როცა სპორტით ხარ დაკავებული ან, საერთოდ, როდესაც აქტიურად მოძრაობ...

იქვე თავისი სახლის კარის წინ ერიკა კოხუტს ფართოდ გახსნილი სამყარო ელის, რომელსაც სურს აუცილებლად თან ახლდეს მას. რაც უფრო და უფრო იცილებს ერიკა მას, რაც უფრო მეტად სურს განმარტოება, მით უფრო სწრაფად ეხვევა სამყარო მას თავს, მით უფრო ითქვიფება მასში. ყოველი მხრიდან უბერავს ძლიერი და მძაფრი გაზაფხულის ქარი, რომელიც კაბის ქვემოდან შეუფრინდა ქალს, გამოუბერა ტრაპეციის ფორმის კაბის ქვედა ნაწილი და შემდეგ ის წამსვე კვლავ ჩაფუშა. ბენზინის გამონაბოლქვით გაჟღენთილი ჰაერი სულს უხუთავდა მას. ქარმა რაღაც ხმაურითა და გრიალით მიანარცხა კედელს.

პატარა მაღაზიებში ნაირფერ ტანსაცმელში გამოწყობილი, უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული დედები, სერიოზულად რომ ეკიდებიან თავიანთ საქმეებს, სავაჭრო საქონლისკენ იხრებიან და ყურადღებით ათვალიერებენ. გრძელ გამოსაბმელზე გამობმული ბავშვები იქვე იცდიან, ვიდრე ახალგაზრდა ქალები თავიანთი ჟურნალებიდან ამოკრეფილი ცნობების საფუძველზე შეძენილ ცოდნას, – რჩეულ სამზარეულოსა და ნუგბარ კერძებს რომ ეხება, – ბადრიჯანსა და სხვა ეგზოტიკურ ნაყოფებზე ცდიან და ამოწმებენ. ცუდი ხარისხის სავაჭრო საქონლის დანახვაზე ქალები კრთებიან და თრთოლა იპყრობთ, თითქოს უხსენებელი შენიშნესო, მწვანე

ყაბაყებიდან[20] რომ ამოუყვია თავისი უგვანი თავი. ამ დროს არც ერთი ნორმალური, მოზრდილი კაცი არ დადის ქუჩაში, იქ მას არაფერი ესაქმება. ბოსტნეულის გამყიდველებმა გამოიტანეს ყუთებში ჩაწყობილი სხვადასხვა სახის პროდუქტი და დააწყეს მაღაზიის შესასვლელებთან; ეს ვიტამინებით სავსე პროდუქტები უკვე ლპობისა და გახრწნის სტადიაში იყო შესული. მყიდველი ქალი საქმიანად არჩევს სასურველ ხილსა და ბოსტნეულს. იგი ყველაფერს ზიზღით სინჯავს, რათა დაადგინოს, რამდენად ახალი და ხარისხიანია ეს პროდუქტები. იგი ცდილობს დაადგინოს კანზე ქიმიური კონსერვანტების არსებობა და მავნებლების საწინააღმდეგო ბრძოლის საშუალებები, რაც ახალგაზრდა და განათლებულ ქალში ზიზღს იწვევს. აი, ამ მტევანზე აშკარად ჩანს სოკოსებრი მომწვანო ნაფრქვევი კვალი, ძალზე შხამიანი, – ეს მტევანი უხეშად და უხვად შეწამლეს. იგი ზიზღით მიუტანეს ცხვირთან გამყიდველ ქალს, მუქი ლურჯი ფერის წინსაფარი რომ უკეთია, იმის დასამტკიცებლად, რომ ქიმიამ კვლავ გაიმარჯვა ბუნებაზე და რომ ბავშვმა დედის რძესთან ერთად შეიძლება კიბოს უჯრედიც შეიწოვოს. ამ ქვეყანაში ფაქტია ის, რომ საკვებ პროდუქტებს ამოწმებენ მასში მავნე ნივთიერებების არსებობის მიხედვით და ეს ფაქტი უფრო ცნობილია, ვიდრე მავნე და მოხუცი კანცლერის სახელი, – როგორც ამას ადასტურებს გამოკითხვის შედეგები. ეს შუახნის ქალბატონიც დაინტერესებულია ნიადაგის ხარისხით, რომელშიც კარტოფილი მოიყვანეს. მყიდველი ქალი, სამწუხაროდ, უკვე ხანშია შესული და მას საშიშროება ემუქრება, რომელიც უფრო და უფრო მატულობს. ბოლოს და ბოლოს, იგი ფორთოხლებს ყიდულობს, რადგან მათ გაფცქვნის და ამით გაცილებით შეამცირებს მავნე ნივთიერების ზემოქმედების საშიშროებას. დიასახლისს არაფერ სარგებლობას არ აძლევს ის, რომ იგი ინტერესდება და თავის

[20] ყაბაყი - მცენარე, რომელიც ისხამს საჭმელად გამოსადეგ ნაყოფს, კიტრივით.

ცოდნასაც ავლენს მაღაზიაში შხამქიმიკატებთან დაკავშირებით, რადგან ერიკამ უკვე ჩაუარა მას ისე, რომ ყურადღებაც არ მიუქცევია; საღამოს კი მას ყურადღებას არ მიაქცევს საკუთარი ქმარი, – იგი შეუდგება ხვალინდელი გაზეთის კითხვას, სახლში წასვლის დროს რომ შეიძინა, რათა წინ გაუსწროს დროს. არც ბავშვები დაიფასებენ წესისამებრ მზრუნველობით მომზადებულ სადილს, რადგან ისინი უკვე დიდები არიან და მშობლებთან აღარ ცხოვრობენ. ისინი კარგა ხანია დაოჯახებულნი არიან და ახლა თვითონაც ყიდულობენ მოწამლულ ხილ-ბოსტნეულს. ოდესმე ისინი დადგებიან დედის საფლავთან და დაღვრიან რამდენიმე წვეთ ცრემლს, შემდეგ დრო მათაც შეახებს მსახვრალ ხელს. ისინი ახლა თავისუფალი არიან დედისადმი ზრუნვისაგან და უკვე შვილებს მოუწევთ მათზე ზრუნვა, – ასე მსჯელობს ერიკა.

სკოლისკენ მიმავალ გზაზე ერიკა თითქმის იძულებულია დაინახოს ადამიანებისა და საჭმელი პროდუქტების კვდომის კვალი, და იშვიათად თუ შენიშნავს, რომ რაიმე ხარობს და ყვავის. ეს მხოლოდ ქალაქის თვითმმართველობის შენობას და სახალხო ბაღში თუ იგრძნობა, სადაც ვარდები და ტიტები დიდებულად გაშლილან. მაგრამ მათაც ნაადრევად უხარიათ, რადგან ჭკნობა უკვე მათშიც შეპარულა. ერიკას ასე წარმოუდგენია. მას ყველაფერი ამას უდასტურებს. მისი აზრით, მხოლოდ ხელოვნებაა მარადიული. ერიკა მასზე ზრუნავს, საყრდენს უკეთებს, ამაგრებს, მარგლავს და ბოლოს მოსავალს იღებს, მაგრამ, ვინ იცის, რამდენი რამ გაქრა და თავისი აღსასრული უკვე ხელოვნებაში პოვა? ყოველდღე კვდება თითო მუსიკალური ნაწარმოები, ნოველა თუ ლექსი, რადგან მათ დღევანდელ დღეს არავითარი გამართლება აღარ გააჩნიათ. და თითქოს წარუვალი, კვლავ მაინც ქრება, ის არავისთვის არ არის ცნობილი. თუმცა კი ის ხანგრძლივ არსებობას იმსახურებდა. ერიკას საფორტეპიანო კლასში უკვე ბავშვებიც კი „ახლაფორთებენ“ მოცარტსა და ჰაიდნს, ხოლო უფრო დახელოვნებულნი ბრამსსა

და შუმანსაც არ ეპუებიან, ფარავენ რა თავიანთი ლოკოკინისებური ლორწოთი მუსიკალური ლიტერატურის ტყიან ნიადაგს.

ერიკა არ ეპუება გაზაფხულის ბობოქარი ქარების ქროლვას და თამამად მიიწევს მათკენ, იმედოვნებს რა, რომ უვნებლად გავა ბოლოში. მან უნდა გადაჭრას ეს ცარიელი მოედანი რატუშის წინ. მის გვერდით მყოფი ძაღლიც ასევე გრძნობს გაზაფხულის პირველ სუნთქვას. ყოველივე პირუტყვულ-სხეულებრივი ერიკას სძაგს და მის მიერ დასახული მიზანს გზაზე დაბრკოლებად წარმოუსახავს. იგი ისე უძლური როდია, როგორც ინვალიდი, მაგრამ მაინც შეზღუდულია. უმრავლესობა ხალისით მიმართავს „შენობით“ ფორმას. ესაა ყოველივე, რაზედაც ისინი ოცნებობენ. თუ კონსერვატორიაში კოლეგა მას მკლავში ხელს გაუყრის, იგი შეშფოთებას განიცდის ამ მოურიდებელი ქცევის გამო. არავინ არ უნდა შეეხოს და მიეკაროს ერიკას, – მას შეიძლება დაეუფლოს მხოლოდ მუსიკა, ბუმბულივით მსუბუქი, რომელიც მზად არის, ჰაერში აფრინდეს და სადმე სხვა ადგილას დაეშვას. ერიკა ისე მჭიდროდ აწვება და მიიჭერს ხელს სხეულზე, რომ მისი კოლეგა მუსიკოსი ქალის ხელი ვეღარ უძლებს ამ დაწოლას და უღონოდ ქვემოთ ეშვება. ამისთანა ადამიანებზე, როგორიც ერიკაა, ამბობენ, უკარებაოო. და არავინ ცდილობს მასთან დაახლოებას. მას ყველა გვერდს უვლის. ნაცნობები და კოლეგები მოთმინებით იცდიან და დროს აჭიანურებენ ხოლმე, ოღონდ კი ერიკას არ შეეჩეხონ. ზოგიერთი ყურადღებას იქცევს იმით, რომ ხმამაღლა ლაპარაკობს, – ერიკა კი არა. ასეთებიც არიან და ისეთებიც. ზოგიერთი ადგილზე ხტის, კრინით მღერის, ყვირის, – ერიკა არა; რადგან მათ იციან, რაც სურთ, ერიკამ კი – არა.

ორივე მოსწავლე გოგონა, ფაბრიკის ან ქარხნის შეგირდი გოგონები ხმამაღალი ლაპარაკითა და ხითხითით უახლოვდებიან მას, ერთმანეთს მჭიდროდ ეკვრიან და თავი თავზე აქვთ მიდებული. ერთმანეთს ეჯახებიან და ისე მოხტუნავენ. მათი ეს მჭიდრო სიახლო-

ვე, ალბათ, იმწამსვე დაირღვევა, როგორც კი ვინმე მეგობარი ვაჟი მიუახლოვდებათ. ერთმანეთს ჩახვეული გოგონები წამსვე მოსცილდებიან ერთურთს, თავიანთი ათქვირებულ გულმკერდს ბიჭისკენ მიაბრუნებენ და მჭიდროდ მიეტმასნებიან მას. ოდესმე მოგვიანებით, იფეთქებს უკმაყოფილება, ქალი გაშორდება კაცს, რათა გასაქანი მისცეს თავის დაგვიანებულ ტალანტს, რომელიც აქამდე უქმად იკარგებოდა.

ადამიანებს არ შეუძლიათ მარტო სიარული ან დგომა, ისინი დადიან ჯგუფ-ჯგუფად, დას-დასად, თითქოსდა ისინი ცალცალკეც არ წარმოადგენენ მძიმე ტვირთს დედამიწის ზედაპირისათვის, – ფიქრობს ეულად მოსეირნე ერიკა. უფორმო, პირწავარდნილი შიშველი ჭიები, უხერხემლონი, ყოველგვარ აზრს მოკლებულნი! მათ არასდროს შეხებია მუსიკის ხიბლი და ჯადო. ერთმანეთს არიან ჩაკრულ-ჩახმახნული და მიწებებული და ირგვლივ ვერაფერ ამაღლებულს ვერ შეიგრძნობენ.

ერიკა ხელის მსუბუქი, ხშირი მოძრაობით იფერთხავს ქვედატანსა და პიჯაკს. ასეთ ქარიან ამინდში, ცხადია, ტანსაცმელიც დამტვერიანდა. გამვლელებს ერიკა გვერდს შორიდანვე უვლის, სანამ ისინი მიუახლოვდებოდნენ.

გაზაფხულის ერთ-ერთ საძაგელ და უამურ დღეს ქალბატონმა კოხუტებმა უკვე ჭკუასუსტი და ორიენტაციადაკარგული მამა ქვემო ავსტრიის სპეციალურ სანატორიუმში მიაბარეს, ვიდრე მას სახელმწიფო ფსიქიატრიულ საავადმყოფო „შტაინჰოფში“ მიიღებდნენ, – ეს სახელწოდება უცხოელებისთვისაც კი ცნობილია, – და იქ დატოვებდნენ. მიაბარეს იმდენი ხნით, რამდენსაც თვითონ მოისურვებდა! დიახ, მთლად მისი სურვილისდა მიხედვით. მათმა ძველმა ნაცნობმა ძეხვის ვაჭარმა, იმით ცნობილმა, რომ მუდამ თვითონ ხოცავდა საქონელს, თუმცა არასდროს მოუვიდოდა თავში აზრად, საკუთარი თავი დაეკლა, თავს იდო (იკისრა) მათი წაყვანა თავისი ნაცრისფერი მიკროავტობუსით, „ფოლკსვაგენით“, რომელ-

შიც, ჩვეულებრივ, დაკლული ხბოების ნახევრები იყო ხოლმე ჩამოკიდებული. მამა მიემგზავრება, გარშემო გაზაფხულის სურნელი და ლამაზი პეიზაჟებია. იგი ღრმად სუნთქავს გაზაფხულის ჰაერს. მას თან მიაქვს აკურატულად მონოგრამირებული ტვირთი, ყოველ წინდაზე აკერია ასო „კ“, – რუდუნებით შესრულებული ნახელავი, რომლით მოხიბვლა ან მხოლოდ მისი შეფასება მას კარგა ხანია აღარ ძალუძს, თუმცა ეს მარჯვე ნაქარგი მას სარგებლობას მოუტანს, რადგან საშუალებას არ მისცემს მასავით გამოთაყვანებულ ბატონ ნოვოტნის, ან კიდევ ბატონ ვიტვარს, ისარგებლონ მისი წინდებით, თუნდაც ავი განზრახვით. მათი გვარები სხვა ასოზე იწყება, მაგრამ რა ვუყოთ ღრმად მოხუცებულ ბატონ კელერს, რომელიც ლოგინში ისვრის? ის სხვა ოთახშია მოთავსებული, როგორც კმაყოფილებით რწმუნდებიან ერიკა და დედამისი. ისინი მგზავრობენ, მგზავრობენ და მალე დანიშნულების ადგილზე იქნებიან. მალე ჩავლენ. ისინი მიემგზავრებიან რუდოლფის მაღლობისა და ფოიერშტაინის ციხე-კოშკის გასწვრივ, ასევე ჩაუვლიან ვინერვალდის ტბას, კაიზერბრუნბერგის, იონგრაბენბერგისა და კოლრაიტბერგის მთებს, – ამ უკანასკნელზე ერიკა და მამამისი ასულან ადრე კიდეც, არცთუ ისე მოსაგონარ დროს, – და მგზავრობენ თითქმის ბუხბერგის მთამდე და აქ კი უკვე უნდა გადაუხვიონ. მთების მიღმა მათ ფიფქია ელოდება! ის შემოსილია მოხდენილი სამოსით და სიხარულისგან იცინის, რომ ვიღაც კვლავ გამოჩნდა ამ არემარეზე. ორი ოჯახისათვის განკუთვნილი, მთლიანად გადაკეთებული სოფლის სახლი, რომელიც ერთ სოფლელ კაცს ეკუთვნის, მოწყობილია ნევროზით დაავადებულთა მოსავლელად. ამით გარკვეულ შემოსავალსაც იღებენ. ამგვარად, სახლი ემსახურება არა მხოლოდ ორ ოჯახს, არამედ მრავალ სულით ავადმყოფს, რომელთაც აძლევს თავშესაფარს და საკუთარი თავისა და სხვებისგან თავდასაცავ საშუალებას. პაციენტებს ნება ეძლევათ, გააკეთონ წვრილმანი რაღაცები, იჩხერკედელაონ, ან გაისეირნონ. ამ შემ-

თხვევისათვის მათზე დაწესებულია ზედამხედველობა. როდესაც რაიმე წვრილმანს აკეთებენ, საქმიანობენ, გარშემო გროვდება სამუშაოს ნარჩენები და ნაგავი, ხოლო, როდესაც სეირნობენ, შეიძლება თავი ხიფათში ჩაიგდონ (გაქცევა, ცხოველის ნაკბენი, დაშავება); აი, ჯანსაღი სოფლის ჰაერი კი პრობლემა არ არის, აქ ის უფასოდაა. ყოველ მათგანს შეუძლია ისუნთქოს ეს ჰაერი, რამდენიც სურს და რამდენიც სჭირდება. ყოველი პაციენტი თავისი ოფიციალური მეურვის მეშვეობით იხდის სოლიდურ გადასახადს, რათა იგი აქ მიიღონ და დარჩენის უფლებაც მისცენ. არის დამატებითი ხარჯებიც, მაგალითად, მომსახურებისათვის სასაჩუქრე ფულის მიცემა და სხვა; ამ თანხის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძნელი მოსავლელია ავადმყოფი და რამდენად იცავს სისუფთავეს. ქალები მოთავსებული არიან მესამე სართულზე და მანსარდაში, ხოლო კაცები – მეორე სართულზე და გვერდითა ფლიგელში. ეს უკანასკნელი გადაკეთებული ფლიგელია, თუმცა ახლა ნამდვილი პატარა სახლივით გამოიყურება. აქვს საკუთარი წყალგაყვანილობა და სახურავი. მსუბუქ მანქანებს ამ ობსა და შმორში არ აყენებენ, არამედ ღია ცის ქვეშ, ეზოში. პაციენტი, რომელიც შეღავათით მიიღეს, სამზარეულოში პოულობს ხოლმე თავშესაფარს და ჯიბის ფარანის შუქზე წიგნს კითხულობს. ამ სახლზე მინაშენს იმხელა ფართობი აქვს, რომ იქ შეიძლება „ოპელ-კადეტი“ დაეტიოს, მაგრამ აი, „ოპელ-კომოდორი“ კი გაიჩხირებოდა და ვეღარც წინ წაიწევდა, ვეღარც უკან. ყველაფერი გარშემორტყმულია მავთულხლართიანი ღობით; ოჯახს ხომ არ შეუძლია კვლავ უკან წაიყვანოს ამდენი წვალებით მოყვანილი პაციენტი, რაშიც თან უზარმაზარი თანხა გადაიხადა. იმ ფულით, რომელსაც სახლის პატრონები სტუმრებისაგან იღებენ, მათ, ალბათ, აიშენეს სადმე კარგი სახლი, სადაც ამ იდიოტებს ვეღარ დაინახავენ და იქ მხოლოდ ოჯახის წევრებთან ერთად იცხოვრებენ, რათა სხვა საზრუნავისა და დავიდარაბისაგან მოისვენონ და გათავისუფლდნენ.

მამა თითქმის ჩამქრალი თვალებით, – იგი საიმედო ხელს მიჰ-ყავს, – მიეშურება თავისი მომავალი სამყოფისაკენ, ახლახან და-ტოვა რა მშობლიური სახლი. მას გამოუყვეს მშვენიერი ოთახი, რომელიც უკვე უცდის. ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად ვინ-მე უნდა მომკვდარიყო, რათა ახალი პაციენტი მიეღოთ. და ერ-თხელ მასაც მოუწევს ადგილის გათავისუფლება. სულით დაავადე-ბულთ მეტი ადგილი სჭირდებათ, ვიდრე ნორმალურებს, - მათ მი-ზეზებით ვერ დააპურებ და იმდენივე ფართობი ესაჭიროებათ, რამ-დენიც საშუალო ზომის ნაგაზს. სახლის პატრონები აცხადებენ: ჩვენთან ყოველთვის ყველა ოთახი დაკავებულია და საწოლების რაოდენობა შეიძლებოდა კიდეც გაზრდილიყო! მაგრამ ცალკეუ-ლი პაციენტი, უმეტესწილად წოლით რეჟიმს იცავდა, რადგან ამით ნაკლებ ჭუჭყს ტოვებდა და ადგილის ეკონომიასაც ეწეოდა. იგი მალე შეიძლება სხვა პაციენტს შეეცვალა. სამწუხაროდ, შეუძლე-ბელია ერთ ადამიანზე ორმაგი საფასურის გადახდევინება, თორემ ამასაც გააკეთებდნენ. ყველა, ვინც აქვე წევს, ფულს იხდის. ვინც აქ წევს, ის აქ რჩება კიდეც, რადგან ასე ნებავთ მათ ახლობლებსა თუ ნათესავებს. მდგომარეობა, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება მხოლოდ გაუარესდეს. „შტაინჰოფი! გუგინგი! ოთახში აკურატუ-ლადაა განლაგებული ცალკეული საწოლი, ყოველ პაციენტს თა-ვისი საწოლი აქვს; ეს საწოლები ძალიან პატარა ზომისაა, სამაგიე-როდ ოთახში მეტი საწოლი ეტევა. საწოლებს შორის მანძილი და-ახლოებით ოცდაათი სანტიმეტრია, და ეს იმიტომ, რომ საჭიროე-ბის შემთხვევაში მწოლიარე ადგეს და მოისაქმოს, რისი გაკეთებაც ლოგინში არ შეიძლება, რადგან ეს დამატებით საშრომ-საზრუნავს გაუჩენდა მომსახურე პერსონალს. თუ ასე მოხდა, მაშინ პაციენტი უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე მისი ლეიბი, და მას უფრო საშინელ ად-გილებზე გააგზავნიან. ზოგიერთს უჩნდება კითხვა, თუ ვინ იწვა მის ლოგინში, ვინ ჭამდა მისი თეფშიდან და ვინ იქექებოდა მის ყუთში. აჰ, ეს ქონდრისკაცები! აი, გაისმის გონგის ხმა, მათთვის

ესოდენ სასურველი სადილობის დაწყებას რომ ნიშნავს და ქონ-დრისკაცებიც უწესრიგოდ, ერთმანეთის ხელის კვრით შედიან სასა-დილოში, სადაც ფიფქია მისთვის დამახასიათებელი სინაზით ელო-დება თითოეულ მათგანს. მას ყველა უყვარს, ყველა მათგანს გულ-ში იკრავს – იგი დიდი ხნის წინ დავიწყებული ქალურობის განსა-ხიერებაა თოვლივით თეთრი კანითა და კუპრივით შავი თმებით. მაგრამ ეს არის მხოლოდ უზარმაზარი სამონასტრო ტრაპეზის მა-გიდა, საგანგებოდ დამზადებული ამ ღორებისათვის, მაგიდა, რო-მელზედაც გადაკრულია ისეთი მასალისგან დამზადებული გადასა-ფარებელი, რომელიც მჟავაგამძლეა, ადვილად ირეცხება, დაცუ-ლია მექანიკური დაზიანებისაგან, – მათ ხომ არ იციან, როგორ უნ-და მოიქცნენ მაგიდასთან; ჭურჭელიც პლასტმასისაა, რათა ერთმა იდიოტმა არ ჩაირტყას იგი თავში ან სხვა იდიოტს არ უთავაზოს. მათ არა აქვთ არც დანა, არც ჩანგალი, მხოლოდ პატარა კოვზები. ხორცი რომ ჰქონოდათ, რასაც მათ საერთოდ არ აჭმევენ, მაშინ ის წინასწარ იქნებოდა დაკეპილი პატარა ნაჭრებად. მათი სხეულები ერთმანეთს ეკვრიან, ცქმუტავენ, ერთმანეთს ხელს კრავენ, ჩქმე-ტენ და ყოველი მათგანი ცდილობს, დაიცვას თავისი პაწაწინა ად-გილი და უფლება ამ ადგილზე.

მამა ვერ ხვდება, თუ რატომ მოიყვანეს იგი აქ, რადგანაც ეს ადგილი არასოდეს ყოფილა მისი სახლი. მას ბევრ რასმე უკრძალა-ვენ, იმასაც, რაც ნებადართულია და უკმაყოფილოდ უყურებენ. რასაც ის აკეთებს, ყველაფერი მცდარია, ამას იგი უკვე მიჩვეულია თავისი ცოლისაგან, რომლის ყოველდღიური ლაპარაკის მიხედ-ვით, მან ხელში არაფერი არ უნდა აიღოს, ხელი არაფერს არ უნდა ახლოს, არ უნდა ინერვიულოს; უნდა დამშვიდდეს, წყნარად იწვეს – ეს სეირნობის მოყვარული კაცი. თავის ახალ სახლში მან გარე-დან ჭუჭყი არ უნდა შემოიტანოს და სახლიდან არაფერი არ უნდა გაიტანოს, რაც ოჯახის პატრონებს ეკუთვნით, რაც მათ პირად სა-კუთრებას შეადგენს. გარეთა და შიდა ერთმანეთში არ უნდა

აურიოს, რადგან ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. და გარდა ამისა, გარეთ გასვლისას მან ტანსაცმელიც უნდა გამოიცვალოს ან კიდევ დამატებით რაღაც ჩაიცვას; მაგრამ ეს ტანსაცმელი მას გვერდითა მეზობელმა მოპარა, რათა მამას გარეთ გასეირნების სიამოვნება მოუსპოს. მამა მაინც გარეთ მიისწრაფვის, მაგრამ მას მაშინვე იჭერენ და აიძულებენ, ადგილზევე დარჩეს. სხვანაირად როგორ მოიცილებდა ოჯახი თავიდან მისი სიმყუდროვისა და სიმშვიდის დამრღვევს და სახლის პატრონები როგორღა შეიძენდნენ თავიანთ სიმდიდრეს?! ზოგიერთს სურს, რომ ის მისგან მოშორებით იყოს, ზოგიერთს კი – რომ ის მასთან უფრო დიდხანს დარჩეს. ზოგიერთი ცხოვრობს იმის ხარჯზე, რომ ის მათთან არის და სხვები კი იმის ხარჯზე, რომ მან ისინი დატოვა და თვალში აღარ ეჩხირება. ნახვამდის, ყველაფერი მშვენიერი იყო! მაგრამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. მამამ, რომელიც ეყრდნობა თეთრ კიტელში ჩაცმულ დამხმარე პერსონალს, ხელი უნდა დაუქნიოს თავის ორ ქალბატონს, როცა ისინი გასამგზავრებლად მოემზადებიან. მაგრამ მამა, იმის ნაცვლად, რომ ხელი დაუქნიოს, ხელს თვალებზე იფარებს და იხვეწება, არ სცემონ. ეს ჩრდილს აყენებს გასამგზავრებლად გამზადებულ ოჯახის წევრებს, კაცისათვის ხომ თითიც არავის დაუკარებია. ყასაბი უკან დაბრუნებისას უფრო სწრაფად მიდის, ვიდრე ადრე, თავი დააღწია რა საშიშ ადამიანებს. მას სურს დროულად მივიდეს სახლში და ბავშვებთან ერთად ითამაშოს ფეხბურთის მოედანზე, – დღეს ხომ კვირაა, დასვენების დღე. იგი წინასწარ მოფიქრებულ დამამშვიდებელ სიტყვებს ეუბნება ქალებს, შერჩეული სიტყვებით თანაუგრძნობს მათ. ყასაბი ისე ლაპარაკობს, თითქოსდა საუბარი ფილესა და რამშტექსის არჩევაზეა. იგი ლაპარაკობს თავისი ყოველდღიური პროფესიული ენით, თუმც კი დღეს კვირაა, დასვენების დღე. მაღაზია დაკეტილია. მაგრამ ნამდვილი ყასბისათვის უქმე დღე არ არსებობს. ამ ყასაბს თავისი მტკიცე ფასები აქვს დაწესებული და იცის, რა შესთავაზოს მომხმარებელს. ხარის კუ-

დი[21] ამდენი და ამდენი ღირს, ნეკნები - ამდენი, ხოლო ბარკლის ქვედა ნაწილებს სულ სხვა ფასი ადევს. აი, ძეხვისა და შებოლილი პროდუქტების ყიდვისას კი ქალები უფრო გულუხვი უნდა იყვნენ, რადგან ახლა ისინი ძეხვის გამყიდველის მოვალენი არიან, – ვაჭარი ტყუილად და უფასოდ როდი დადის კვირა დღეს სასეირნოდ. უფასო მხოლოდ სიკვდილია და ისიც სიცოცხლის ფასი გიჯდება. – ყველაფერს ერთი ბოლო აქვს, მხოლოდ ძეხვს აქვს ორი ბოლო, – ამბობს დაუზარელი და თავაზიანი ვაჭარი. ხმამაღლა იცინის. კოხუტები ნაღვლიანად ეთანხმებიან მას, მათი ოჯახის ერთი წევრი ხომ ახლა მათთან აღარ არის, მაგრამ მათ იციან, როგორ უნდა მოიქცნენ და როგორ ეკადრებათ მოქცევა დიდი ხნის მუდმივ მომხმარებლებს. ეს გარემოება უფრო თამამ სიტყვებს ათქმევინებს ხორცის ვაჭარს, რომელიც ამ ქალებს თავის მუდმივ კლიენტებად თვლის: არ ძალგიძს სიცოცხლე აჩუქო ცხოველს, მაგრამ მისი სწრაფად მოშთობა კი შეგიძლია. ეს სისხლიანი ხელობის კაცი კვლავ სერიოზული ხდება. ქალბატონი კოხუტები ამაშიც ეთანხმებიან. მაგრამ იგი უფრო ყურადღებით უნდა იყოს გზაში და წინ იყუროს, თორემ მისი გამონათქვამი გამართლდება, – თანაც ყოვლად საშინელი ფორმით, ისე, რომ ვერც გაიგებენ, რა მოხდა და როგორ. გზაზე შაბათ-კვირა ინტენსიური მოძრაობაა. ამაზე ხორცის გამყიდველი პასუხობს, რომ ავტომანქანის ტარება უკვე ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. კოხუტები ვეღარაფერს ამბობენ, მხოლოდ თავიანთ ხორცსა და სისხლზე ფიქრობენ, რომლის დაღვრაც მათ არ სურთ. ბოლოს და ბოლოს, მათ სულ ახლახანს დატოვეს თავიანთთვის ძალიან ძვირფასი სისხლი და ხორცი და, – თანაც ძვირად, – პაციენტებით გაძეძგილ საძინებელ პალატაში. ამ ვაჭარს ნუ ჰგონია, რომ ეს ქალებისთვის ადვილი საქმეა. მათ თავი-

[21] გერმანელები და ავსტრიელები ხარის კუდისაგან წვნიან საჭმელს ამზადებენ.

ანთი ნაწილი თან წაიღეს და იქ დატოვეს ნოილენგბახის პანსიონატში. – მაინც რომელი ნაწილი? – კითხულობს ყასაბი.

ცოტა ხნის შემდეგ ისინი უკვე თავიანთ, ცოტა არ იყოს დაცარიელებულ ბინაში შედიან. ახლა ქალებს უფრო მეტი ადგილი აქვთ თავის გასართობი საქმიანობისათვის, ვიდრე აქამდე; ბინა ყველას ვერ მიიღებს, ყველას არ შეესვლება მასში, მხოლოდ იმას, ვისაც აქ ადგილი ეკუთვნის! ქარმა ხელმეორედ ძლიერად დაუბერა და გოლიათის უჩვეულოდ დიდმა და რბილმა ხელისგულმა კოხუტი-უმცროსი თითქოს ოპტიკური მაღაზიის ვიტრინას მიაკრა, რომლიდანაც სათვალის მინები ციმციმებდა. მაღაზიის შესასვლელის თავზე ეკიდა იისფერშუშებიანი უზარმაზარი სათვალე, რომელსაც სამხრეთის ქარი მძაფრად არხევდა, რის გამოც სათვალე ტროტუარის მხარეს იყო გადმოწეული და საფრთხეს უქმნიდა გამვლელებს. შემდეგ უეცრად სიჩუმემ დაისადგურა, თითქოსდა ჰაერი სულს ითქვამს და თან ამ დროს რაღაცამ შეაშინაო. დედა ახლა, ალბათ, მყუდროდ მოკალათდა სამზარეულოს კუთხეში და ქონში რაღაცას წვავს საერთო ვახშმისათვის, რომელსაც შემდეგ გაციებულს მიიტანს სუფრაზე; ბოლოს კი მას ელოდება ხელსაქმე, – იგი ქსოვს ხოლმე თეთრ მაქმანებიან გადასაფარებელს.

ცაზე დაცურავს ცალკეული, მკვეთრად გამოხატული ღრუბლები, კიდეებში წითლად შეფერადებულნი. ღრუბლებმა, ეტყობა, არ იციან, საითკენ აიღონ გეზი, უმისამართოდ იფანტებიან აქეთ-იქით. ერიკამ მუდამ რამდენიმე დღით ადრე იცის ხოლმე, თუ რა ელის მომდევნო დღეებში, სახელდობრ კი – მუსიკისადმი სამსახური კონსერვატორიაში; ის უხილავი ძაფებით დაკავშირებულია, მუსიკასთან, ამ სისხლისმწოველთან, რომელსაც ერიკა საკვებადაც ხმაროობს – დაკონსერვებულად ან შემწვარს, ფაფის სახით ან როგორც მშრალ საკვებს.

მუსიკალურ სასწავლებლამდე კიდევ რამდენიმე ქუჩაა დარჩენილი და ერიკა ჩვეულებისამებრ აქეთ-იქით დაკვირვებით იყურება

ყნოსვასაც ამახვილებს, როგორც გამოცდილი მონადირე ძაღლი, რომელიც გეშს იღებს. დღესაც გამოიჭერს ერიკა მოსწავლე ბიჭს ან მოსწავლე გოგონას, არცთუ ძალიან რომ არიან დაკავებული მუსიკალური მეცადინეობებით, ძალიან ბევრი თავისუფალი დრო რომ აქვთ და საკუთარი პირადი ცხოვრებით რომ არიან გართული? ერიკას სურს შეიჭრას ამ შორეულ მხარეებსა თუ სამფლობელოებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან რა მის კონტროლს, მაინც გადაშლილია გარშემოჯარულ აკრებად.[22] მასწავლებელს ამის სრული უფლება აქვს, რადგან იგი ახლა მშობლებს ცვლის. მას აუცილებლად სურს იცოდეს, რა ხდება სხვის ცხოვრებაში. როგორც კი დააპირებს მოსწავლე დაემალოს მას, ჰგონია რა, აქ ვერავინ მხედავსო, ქალბატონი კოხუტი წამსვე იქ გაჩნდება და მზად არის, ფეხდაფეხ მისდიოს მას. იგი გამოხტება ხოლმე კუთხიდან, შეუმჩნევლად გამოჩნდება კორიდორის სიღრმიდან, ხან საიდან გამოყოფს თავს და ხან – საიდან, ეს ბოთლში მოქცეული ენერგიით დატენილი სული, თავისი მუსიკალური გემოვნება რომ განივითაროს და შემდეგ ის თავის მოსწავლეებს მოახვიოს თავზე. ერიკა ზოგჯერ კონცერტებზე დადის. იგი ადარებს ერთ შემსრულებელს მეორეს და მოსწავლეებს თავისი შეფასების საზომით ანადგურებს. ეს საზომი მიესადაგება და შეეფერება მხოლოდ ხელოვნების დიდი წარმომადგენლებს. იგი კვალში უდგას მოსწავლეებს მათი მხედველობის არეს გარეშე, მაგრამ ისინი მუდამ თავისი მხედველობის არეში ჰყავს მოქცეული. იგი უყურებს თავის გამოსახულებას ვიტრინის მინაში და თან ვიღაცას უთვალთვალებს. ხალხი მას კარგ დამკვირვებლად ჩათვლიდა, მაგრამ ერიკა ხალხს არ მიეკუთვნება. იგი მიეკუთვნება მათ, ვინც ხალხს მართავს და ხელმძღვანელობს. იგი მოქცეულია საკუთარი სხეულის აბსოლუტური ინერტულობის ვაკუუმში და როდესაც ბოთლი ხმაურით იხსნება, იგი გარეთ გამოვარდება და თავს დაატყდება ვიღაც სხვას, წინასწარ შერჩე-

[22] აკრი - მიწის საზომი ერთეული.

ულს ან შემთხვევით შემხვედრს. არასოდეს შეიძლება იმის დამტკიცება, რომ იგი განზრახ ჯაშუშობს. და მაინც, ხან ერთს, ხან მეორესს უჩნდება ეჭვი ამის თაობაზე. ის მოულოდნელად გამოჩნდება ხოლმე იმ მომენტში, როცა არავითარი მოწმე საჭირო არ არის. მოსწავლის ნებისმიერი ახალი ვარცხნილობა ერიკას საბაბს აძლევს ნახევარსაათიანი გაცხოველებული საუბარი ჰქონდეს დედასთან, რომელსაც იგი საყვედურობს, რომ დედა განზრახ არ უშვებს ხოლმე თავის ქალიშვილს სახლიდან, რათა მან თავისუფლად არ იაროს და არაფერი შეემთხვეს. ბოლოს და ბოლოს ქალიშვილს აუცილებლად სჭირდება ახალი ვარცხნილობა. მაგრამ დედა, რომელიც ველარ ბედავს შვილის მკაცრად დატუქსვას, ტკიპასავით ეკვრის და წურბელასავით ეკიდება მას; დედა ძვლებიდან წოვს მას ტვინს. ეს ერიკამ ფარული დაკვირვებით იცის, ეს იცის მან და რასაც ერიკა სინამდვილეში წარმოადგენს, – გენიოსს, არავინ იცის უკეთესად, ვიდრე მისმა დედამ, რომელიც შვილს კარგად იცნობს შინაგანადაც და გარეგანადაც. ვინც ეძიებს, ის პოულობს რაღაც აკრძალულს, რომელზედაც ის ფარულად იმედოვნებს. კინოთეატრ „მეტროს“ წინ იოჰანესგასეზე ერიკა ზედიზედ მთელი სამი დღეა მას შემდეგ, რაც რეპერტუარი შეიცვალა, დაფარულ განძს პოულობს, რადგან მისმა ერთ-ერთმა მოსწავლემ, რომელიც თავის თავში და თავის ბინძურ ფანტაზიებშია ჩაფლული, დიდი ხანია ყოველგვარი სიფრთხილე დაკარგა.

მისი გრძნობები და ყურადღება დაკავებულია კინოკადრებით, რომლებიც აფიშაზეა წარმოდგენილი. კინოთეატრში ახლა მსუბუქ პორნოგრაფიულ ფილმს უჩვენებენ, მიუხედავად იმისა, რომ აქ ახლოს მიდი-მოდიან ბავშვები, რომლებიც მუსიკის მეცადინეობაზე მიეშურებიან. ერთ-ერთი მოსწავლე, ვიტრინის წინ რომ დგას, დაწვრილებით მსჯელობს ყოველ ფოტოზე, რომელსაც იქ ხედავენ, მეორე მოსწავლეს გამოფენილი ქალების სილამაზე უფრო იზიდავს, ხოლო მესამეს ძალიან აინტერესებს ის, რასაც ვერ ხედა-

ვენ – ქალის დაფარული სხეულის ნაწილები. ორმა მოზარდმა სწორედ ახლა ცხარე კამათი გამართა ქალის მკერდის ზომებთან დაკავშირებით და იმწამსვე, თითქოს სამხრეთის თბილმა ქარმა გადმოაგდოო, იქვე გაჩნდა ქალბატონი მუსიკის მასწავლებელი და ხელყუმბარასავით იფეთქა. მას სახეზე პირქუში და ოდნავ ნაღვლიანი გამომეტყველება ეხატება და ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი და ფოტოაფიშებზე გამოსახული ქალები ერთსა და იმავე, სახელდობრ კი, მშვენიერ სქესს განეკუთვნებიან, ხოლო გაუთვითცნობიერებელი ადამიანი მათ ადამიანის გვარის ორ სხვადასხვა კატეგორიასაც კი მიაკუთვნებდა, საქმე მხოლოდ გარეგნობა რომ იყოს, მხოლოდ გარეგნულ იერსახეს რომ ეხებოდეს. მაგრამ ფოტოსურათი შინაგან ცხოვრებას ვერ გვიჩვენებს და, მაშასადამე, ასეთი შედარებები უსამართლო იქნებოდა ფროილაინ კოხუტის მიმართ, რომლის შინაგანი ცხოვრება ახლა ყვავის და იფურჩქნება. ისე, რომ სიტყვასაც არ ამბობს, ქალბატონი კოხუტი იქაურობას ტოვებს. იქ არ იმართება საუბარი, არ ხდება აზრის გამოთქმა, მოსწავლემ ისედაც იცის, რომ არ იმეცადინა ისე, როგორც საჭირო იყო, რადგან მისი ინტერესები და ფიქრები, სამწუხაროდ, სხვაგან ქროდა და არა მუსიკის სფეროში.

მოსწავლე, რომელსაც დანაშაულზე წაასწრეს, საპატიო მანძილზე მისდევს ქალბატონ კოხუტს. იგი საკუთარ თავს კიცხავს იმის გამო, რომ თავისი ქალური სიამაყე შელახა, რაკიღა შიშველ ქალებს შეავლო თვალი. ალბათ, ერიკა კოხუტიც თავის თავს ქალად თვლის და იგი ღრმად შეურაცხყოფილია. შემდეგში უფრო ფრთხილად უნდა იყოს, როდესაც მასწავლებელი მას თავზე დაადგება.

მოგვიანებით, მუსიკის გაკვეთილზე, ერიკა განზრახ არიდებს თვალს თავის მოწაფეს, ავხორცობით რომ არის შეპყრობილი. ბახის დაკვრის დროს, გამებისა და თითების ვარჯიშების შესრულებისთანავე, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობის გრძნობა მთელ

დარბაზს ედება. ბახის რთული მუსიკის ეს ნაზავი მოითხოვს მამაკაცის მტკიცე ხელს, რომელიც მსუბუქად ეწევა აღვირს. მთავარი თემა გამოკვეთილი არ არის, მიფუჩეჩებულია, დამატებითი ხმები ზედმეტად წინ წამოწეულია, და ყოველივე გამჭვირვალობას არის მოკლებული, თითქოსდა ზეთით გაპოხილი მანქანის ფანჯარაა. ერიკა ახლა ბახის ნაწარმოებს უფრო ზუსტად განმარტავს: ეს არის ციკლოპისებური ნაგებობა, რაც შეეხება ვნებებს, ეს არის მელიის სორო, როცა ლაპარაკია კარგად ტემპერირებულ და სხვა კონტრაპუნქტულ ნაწარმოებებზე, კლავიშებიანი ინსტრუმენტებისათვის რომ არის დაწერილი. ერიკას ბახის ნაწარმოები განზრახ ცაში აჰყავს, რათა დაამციროს მოსწავლე; ერიკა ამტკიცებს, – ბახი, მუსიკალური თვალსაზრისით, გოთურ ტაძრებს ხელმეორედ კვლავ იქ აგებს, სადაც მისი ნაწარმოებები ჟღერსო. ერიკა ფეხებში მსუბუქ აღგზნებას გრძნობს, რაღაც ჟრუანტელისმაგვარს, მხოლოდ მოწოდებით ხელოვანი ადამიანი რომ განიცდის, როდესაც ის ხელოვნებაზე ლაპარაკობს და ცრუობს, იგონებს: – ფაუსტის სწრაფვამ ღვთისადმი განაპიროობა როგორც შტრასბურგის ტაძრის, ასევე გუნდის შექმნა „მათეს ვნებების“ შესავალშიო.. ერიკა დასცინის მოსწავლეს: – ისე, როგორც ის უკრავს, ამას ტაძარს ვერაფრით ვერ ვუწოდებთო. ერიკა ვერ იკავებს თავს იმის მინიშნებისაგანაც, რომ ღმერთმა, ბოლოს და ბოლოს, ქალიც გააჩინა ამქვეყნად. ერიკა პატარა მამაკაცურ ხუმრობასაც მიმართავს, – მან ეს მაშინ გააკეთა, როცა თავში აზრად უკეთესი არაფერი მოუვიდაო. ქალს კვლავ უკან მიაქვს თავისი ხუმრობა, ეკითხება რა ამ დროს მოსწავლეს სრულიად სერიოზულად, იცის თუ არა მან, თუ როგორ უნდა დაათვალიეროს ქალის ფოტოსურათი. ამას ერიკა მოწიწებით წარმოთქვამს, რადგან მისი დედიკოც, რომელმაც იგი გააჩინა და ამქვეყნად მოავლინა, ასევე ქალია, არც მეტი და არც ნაკლები! მოსწავლე ჰპირდება იმის შესრულებას, რასაც ქალბატონი კოხუტი მისგან მოითხოვს. მადლობის ნიშნად მოსწავლე

შეიტყობს, ინფორმაციას იღებს იმის შესახებ, რომ ბახის ტალანტი ვლინდება ხელობის ფლობის ტრიუმფით, მისი უმრავალფეროვანესი კონტრაპუნქტული ფორმებითა და სინატიფით. ხელობა კი ერიკას ესმის, და ეს რომ ვარჯიშითა და მონდომებით განისაზღვრებოდეს, იგი ქულებით დაამარცხებდა სხვებს და შესაძლოა, ნოკაუტითაც კი! – მაგრამ ბახი ბევრად უფრო მეტია, – საზეიმო ტონით ამბობს ის, - ეს ღვთაებასთან ზიარებაა და აქ გავრცელებული მუსიკის ისტორიის სახელმძღვანელო, – პირველი ნაწილი, ავსტრიის ფედერაციის გამომცემლობა, – ერიკასა და მის სწავლებაზე უფრო მაღლა დგას; იგი არ იშურებს საქებარ სიტყვებს და უმტკიცებს მოსწავლეს, რომ ბახის ნაწარმოები არის აღიარება და რწმენა განსაკუთრებული ნორდული[23] ადამიანისადმი, რომელიც ღვთაების ამ წყალობის მოსაპოვებლად იბრძვის.

მოსწავლე გადაწყვეტილებას იღებს და გამოთქვამს მზადყოფნას, რომ მას ვეღარ ნახავენ და წაასწრებენ შიშველი ქალის ფოტოსურათით.

ერიკას თითები უთრთის, როგორც კარგად გაწვრთნილი მტაცებელი ცხოველის კლანჭები. მეცადინეობაზე იგი მუდამ თავისუფალ ნებას ავლენს, სრულიად თავისუფლად გრძნობს თავს; მაგრამ თავის არსებაში, შინაგანად ის მორჩილების დაუძლეველ სურვილს გრძნობს. ამისათვის კი მას სახლში დედა ჰყავს. მაგრამ მოხუცი ქალი უფრო და უფრო შედის ხანში. რა იქნება, როდესაც იგი მთლად დაუძლურდება და საჭირო გახდება მისი მოვლა-პატრონობა? იგი იძულებული გახდება დაემორჩილოს მას, ერიკას. ეს ახალგაზრდა, საკუთარი სისხლის ძახილით დათრგუნული კაცი მისი მოწინააღმდეგე არ არის, მან ხომ უკვე ფარ-ხმალი დაყარა ბახის საუცხოო ნაწარმოების წინაშე. როგორ არ დაყრის იგი ფარხმალს, თუ მას ცოცხალ ადამიანს სათამაშოდ მისცემენ? ის ხომ ვერც გაბედავს, რომ ხელი ჩაავლოს მას? ყალბი ბგერების აღება მისი შერ-

[23] ნორდული, ნორდიკული - ადამიანთა კატეგორია, ჯგუფი (რასა).

ცხვენაა. ერთი შენიშვნით, ერთადერთი წინადადებით მას შეუძლია დააჩოქოს იგი ისე, რომ მას სირცხვილი შეიპყროობს და ლაპარაკს დაიწყებს თავის გეგმებსა და მათი განხორციელების შესაძლებლობებზე. ის, ვინც მიაღწევს იმას, რომ ერიკა მის ბრძანებას დაემორჩილოს, – იქნება მბრძანებელი, რომელიც დედამისთან არ იქნება დაკავშირებული - და იგი მისგან მიიღებს ყველაფერს. მას სურს მიეყრდნოს მტკიცე კედელს, რომელიც არ შეირყევა! რაღაც ეწევა და ექაჩება მას, იდაყვზე ავლებს ხელს, მძიმედ ეკიდება მისი ქვედატანის ქობას, – პატარა ტყვიის ბურთულა. მან არ იცის, რას იზამდა ეს გაწვრთნილი ძაღლი, ჯაჭვი რომ გაეწყვიტა, ძაღლი, რომელიც კბილებს აღრჭიალებს და გისოსებს გასწვრივ მიიპარება ბალანაშლილი, ყელში მოწოლილი ბრაზიანი ღმუილით, თვალებში წითელი ნაპერწკლებით, მუდამ ერთი სანტიმეტრით რომ არის დაშორებული თავის მსხვერპლს.

იგი ელოდება ამ ერთადერთ ბრძანებას...

ერიკა ერკვევა სონატის ფორმისა და ფუგის აგებულებაში. იგი ასწავლის ამ საგანს და მაინც: მისი თითები თრთოლვით მიიწევენ, მიისწრაფვიან უკანასკნელი, საბოლოო მორჩილებისაკენ. უკანასკნელი თოვლის ნამქერები, მაღლობები, უკაცრიელი ადგილები თანდათან თანაბრდება და გადაიქცევა გაუვალ და უკვალო სარკისებურ ყინულოვან ზედაპირად. სხვები გაიმარჯვებენ თხილამურებით სრიალში, დაიკავებენ პირველ ადგილს მამაკაცთა შორის სწრაფდაშვებაში, პირველ ადგილს ქალთა შორის და შესაბამისად პირველ ადგილს კომბინაციაში!

ერიკას არ შეერხევა არც ერთი თმის ღერი, არ აუფრიალდება სახელოები, არ დააჯდება მტვრის არც ერთი ნაწილაკი. დაუბერა ყინულივით ცივმა ქარმა და იგი გარბის მინდორში - საციგურაო, მოკლე კაბითა და თეთრი ციგურებით. სრულიად გლუვი ზედაპირი იშლება ერთი ჰორიზონტიდან მეორე ჰორიზონტამდე და ასე შემდეგ! მოციგურავე იღებს სტარტს, იკრებს ენერგიას, აკეთებს ორ-

მაგ ბრუნიან ნახტომს და ზუსტად განსაზღვრულ ადგილზე ეშვება. ნახტომის ძალა კვლავ წნეხის ქვეშ აქცევს მას. იგი თითქოს საკუთარი სხეულის ორმაგ დაწოლას განიცდის და ამ წონით ყინულის ზედაპირს პრესავს, რომელიც სრულიად მთელი და დაუზიანებელი რჩება, თითქოს არავინ შეხებიაო. და ახლა მჯდომელა პირუეტი[24] სრულდება. შემდეგ: უკანასკნელი თავის დაკვრა მუხლმოყრით ტრიბუნების წინაშე მარჯვნივ და მარცხნივ და იგი ხელისა და თაიგულის ქნევით ტოვებს ყინულის მოედანს. მაგრამ ტრიბუნები უხილავია; შესაძლოა, მოციგურავე გოგონამ მხოლოდ წარმოისახა და ჰგონია, რომ იქ ტრიბუნებია, რადგან მან გარკვევით გაიგონა აპლოდისმენტები. გოგონა სწრაფი ნაბიჯებით ტოვებს იქაურობას. მისი ფიგურა თანდათანობით პატარავდება და სივრცეში სულ უფრო უფრო უჩინარი ხდება...

დედა სამზარეულოში ზის, ამაყად სვამს ყავას და წამდაუწუმ ბრძანებებს იძლევა. შემდეგ გოგონა სახლიდან გადის, დედა კი ტელევიზორს რთავს და დილის პროგრამას მშვიდად უყურებს; იგი მშვიდად არის, რადგან იცის, სად წავიდა და სად იქნება მისი ქალიშვილი. რას ვუყურეთ ახლა? ალფრედ დიურერს თუ ქალთა სლალომს? სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ შინ დაბრუნებული ქალიშვილი დედას უყვირის, – თავი დამანებე, მომეცი საშუალება, ბოლოს და ბოლოს, ჩემი საკუთარი ცხოვრებით ვიცხოვრო. ჯერ მარტო ჩემი ასაკის გამო მაქვს უკვე ამის უფლება, – ღრიალებს ქალიშვილი. დედა ყოველთვის ერთსა და იგივეს პასუხობს: ეს დედამ უკეთ იცისო, ვიდრე ბავშვმა, რადგან დედა ყოველთვის დედად რჩება.

მაგრამ ამ ნანატრმა საკუთარმა ცხოვრებამ ყოველგვარი შესაძლო მორჩილების უმაღლეს წერტილში უნდა პოვოს თავისი გამოხატულება და აღსრულება, ვიდრე პაწაწინა, ვიწრო შუკა გაიხსნება, რომელზეც მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლება გავლა, და

[24] ცალი ფეხის თითებზე შემოტრიალება.

რომლისკენაც იგი მიისწრაფვის. დარაჯი თუ მეთვალყურე, გზას ათავისუფლებს. სწორი, გულმოდგინედ გაპრიალებული კედლები მარჯვნივ და მარცხნივ, ზემოთკენ რომ აღმართულან, არავითარი გვერდითა განტოტვა, ან სავალი, არავითარი ნიში ან ღრმული, - აქ მხოლოდ ეს ვიწრო გზაა, რომელმაც იგი მეორე მხარეს უნდა გაიყვანოს, მას იქ, ჯერ კიდევ არ იცის, სად – ზამთრის ლანდშაფტი ელოდება, შორ მანძილზე რომ გადაჭიმულა, ლანდშაფტი, სადაც არ ჩანს ადამიანის დამხმარე და მხსნელი კოშკი, რომლისკენაც საიმედო ბილიკი წაიყვანდა; ანდა მას სხვა არაფერი უცდის, გარდა ერთი უკარო ოთახისა, – ესაა ავეჯით გაწყობილი კაბინეტი, რომელშიც ჩანს ძველებური პირსაბანი, დოქი და პირსახოცი. სახლის პატრონის ფეხის ნაბიჯების ხმა ახლოვდება და ახლოვდება, ოღონდ ისე, რომ ვერასოდეს ვერ მოდის და ვერასოდეს აღწევს იქამდე, რადგან იქ კარები არ არის.

ერიკა თავის თავს ერევა მანამდე, ვიდრე შინაგან ბიძგსა და სტიმულს გრძნობს, – შემდეგ იგი აცხრობს, აოკებს თავის სხეულს, რადგან არავინ აკეთებს პანტერასებურ ნახტომს მისკენ, რათა მისი სხეული ძალუმად მიიკრას მკერდზე. იგი იცდის და დუმს, თითქოს დამუნჯდაო. იგი თავის სხეულს რთულ მოთხოვნებს უყენებს და შეუძლია ეს სიძნელე კიდევ უფრო გაზარდოს იმით, რომ მას კიდევ დაუგოს ფარული მახეები და ხაფანგები. იგი არწმუნებს თავის თავს, რომ ამ სტიმულს შეიძლება დაექვემდებაროს ყოველი არსება, პრიმიტიულიც კი, რომელსაც არ ეშინია ის თავისუფლად განახორციელოს.

ერიკა კოხუტი ასწორებს ბახს, აუმჯობესებს და ყოველი მხრიდან კემსავს მას. მოსწავლე მისჩერებია თავის გულზე დაკრეფილ ხელებს. მასწავლებელი მას გამჭოლი მზერით უყურებს, მაგრამ მის უკან მხოლოდ კედელს ხედავს, რომელზეც შუმანის ცხედრის ნიღაბი კიდია, ერთი წამით ერიკას უჩნდება სურვილი, მოსწავლეს თმებში სტაცოს ხელი და თავი როიალის შიდა ნაწილებზე არ-

ტყმევინოს, რათა ინსტრუმენტის გასისხლიანებული სიმები წივილით ამოცვივდეს სახურავიდან. „ბიოზენდორფერი“ ამის შემდეგ ხმას ვეღარ გაიღებს. ეს სურვილი მსწრაფლ აღეძრება მასწავლებელ ქალს და შემდეგ უკვალოდ უქრება.

მოსწავლე ჰპირდება, რომ გამოსწორდება, თუნდაც ამისთვის დიდი დროც დასჭირდეს. ერიკაც იმედოვნებს, რომ ეს ასე მოხდება და მისგან მოითხოვს, ბეთჰოვენი დაუკრას.

ამასობაში კინოთეატრ „მეტროს“ ვიტრინებში ვარდისფერი სხეული დაუბრკოლებლად ახდენს თვითდემონსტრირებას სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა პოზითა და ფასით. ხორცი ღუის და ღვივის შმაგი ფერებით და ნაპირებიდან გადმოდის, რადგან ერიკა კოხუტი კინოთეატრის წინ ახლა სადარაჯოზე არ დგას. ყველა ადგილი დაკავებულია, წინა ადგილები უფრო იაფია, ვიდრე უკანა, თუმცა წინა ადგილები უფრო ახლოა და იქიდან უკეთ შეიძლება სხეულის სხვადასხვა ნაწილის დანახვა. ერთერთი ქალის სხეულს ჩაფრენია ძალიან გრძელი, სისხლივით წითელი, ლაქით შეღებილი ფრჩხილები, მეორე ქალის სხეულს კი მჭრელი საგანი - ეს არის მხედრის მათრახი. ის იჭრება სხეულში და მაყურებელს აჩვენებს, თუ ვინ არის აქაურობის ბატონ-პატრონი და ვინ არა. და მაყურებელიც თავს ბატონკაცურად გრძნობს. ერიკა ნათლად წარმოიდგენს, როგორ იჭრება ეს საგანი მის სხეულში. ის დაჟინებით უთითებს მის ადგილს მაყურებელთა დარბაზში. ერთ-ერთ ქალს სიამოვნებისაგან სახე დაებრიცა, რადგან კაცი მხოლოდ მისი სახის გამომეტყველებით ხვდება, თუ რა ტკბობას ანიჭებს იგი მას და რამდენი ვნება ფუჭად დაიკარგა. მეორე ქალის სახე ეკრანზე ტკივილისაგან იმანჭება, რადგან იგი ეს-ესაა სცემეს, თუმცა არც ისე ძალიან. ქალს არ შეუძლია წარმოაჩინოს თავისი ვნება, როგორც რაღაც მატერიალური, ამიტომ კაცი ორიენტირებას მხოლოდ მის პირად მონაცემებზე აკეთებს. იგი ქალის სახეზე ვნებას კითხულობს. ქალი კრთება, რათა მისთვის კარგი სამიზნე არ აღმოჩნდეს. მან და-

ხუჭა თვალები და თავი უკან გადააგდო. თუ თვალები დახუჭული არ არის, მაშინ გარკვეული გარემოებების დროს შეიძლება მათი გადატრიალებაც. ისინი მხოლოდ იშვიათად უყურებენ კაცს; ამიტომ მით უფრო საჭიროა მცდელობა და მონდომება კაცის მხრიდან, რადგან მას არ შეუძლია გააუმჯობესოს შედეგი და დააგროვოს ქულები მხოლოდ ქალის სახის გამომეტყველების მეშვეობით. ქალი კაცს მარტო ვნებით არ უყურებს. ხეებს უკან ტყეს ვერ ხედავს. ერიკა მხოლოდ თავის სიღრმისეულ „მეს" ჭვრეტს. მამაკაცი, ეს პროფესიონალი მექანიკოსი, დაზიანებული ავტომობილის შეკეთებაზე მუშაობს, – საგანზე, ქალი რომ ჰქვია. პორნოფილმებში საერთოდ უფრო მეტს მუშაობს, ვიდრე ფილმში შრომის სამყაროს შესახებ.

ერიკა გაწაფულია და განწყობილია საიმისოდ, რომ ჭვრეტდეს ადამიანებს, შეუპოვრად და მონდომებით რომ შრომობენ, რადგან მათ შედეგი სურთ. ამ თვალსაზრისით, ის საერთოდ დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს მუსიკასა და ვნება-სურვილს შორის, სრულიად უმნიშვნელოა. ბუნებით ერიკა ნაკლებად ტკბება. იგი არასოდეს მიემგზავრება ვალდფირტელში,[25] სადაც სხვა ხელოვნების წარმომადგენლები გლეხთა კარმიდამოების რესტავრაციას ახდენენ. ერიკა არასოდეს ადის მთაზე. ის არასოდეს არ ჩაყვინთავს ხოლმე ტბაში. იგი არასოდეს წევს ზღვის ნაპირას, არასოდეს მისრიალებს სწრაფად თოვლზე. ერიკამ ეს ფილმი უკვე კარგა ხნის წინათ ნახა ქალაქის გარეუბნის კინოთეატრში, თანაც ორჯერ, სადაც მას არავინ იცნობს (მხოლოდ მოლარე ქალი ცნობს, რომელიც თავაზიანად და მოკრძალებით ესალმება); პორნოფილმს რაც შეეხება, ამ ფილმის სანახავად იგი მეტად აღარ წავა. ის უფრო მძაფრ და ძლიერ სანახაობას ამჯობინებს. ადამიანური კატეგორიის ეს ელეგანტური ეგზემპლარები ცენტრალურ კინოთეატრში უმტკივნეულოდ მოქმედებენ, ან კიდევ ტკივილზე მიუნიშნებ-

[25] ვალდფირტელი - სოფლის ტყიანი ადგილები.

ლად. სრული-რეზინა. თვითონ ტკივილი ნების გამოხატულებაა, შედეგია ვნებისადმი, ნგრევისადმი, განადგურებისადმი მიდრეკილებისა და თავისი უმაღლესი ფორმით ის ვნების ერთგვარი სახეობაა. ერიკა სიამოვნებით გადააბიჯებდა საკუთარი თავის მოკვდინების ზღვარს. ეს შეუხედავი, საწყალი და ცუდად ჩაცმული დილეტანტი მსახიობები გაცილებით უფრო კარგად მუშაობენ და უფრო მადლობელიც არიან, რადგან არის შესაძლებლობა, რომ ისინი ნამდვილ ფილმში ათამაშონ. მათ ძალიან მგრძნობიარე კანი აქვთ, რომელზეც ეტყობათ ლაქები, მუწუკები, ნაიარევი, ნაოჭები, ცელულიტი, ცხიმოვანა და სხვა. ცუდად შეღებილი თმები. ოფლი. ჭუჭყიანი ფეხები. ესთეტიკურად პრეტენზიულ ფილმებში, ძვირფასი სავარძლებით დამშვენებულ კინოთეატრებში რომ უჩვენებენ, მაყურებელი მამაკაცსა და ქალს მხოლოდ ზედაპირულად თუ ხედავს. ორივე არსებას მჭიდროდ აქვს შემოჭერილი ნეილონის გარსაკრავი, – მჟავაგამძლე, სიცხე გამძლე, ჭუჭყმიუკარებელი. ამასთან, სიხარბე, რომლითაც მამაკაცი ქალის სხეულს ეხება, მსუბუქ პორნოფილმებში უფრო ცხადად ჩანს. ქალი არ ლაპარაკობს და თუ რამეს ამბობს, მხოლოდ ამას: – კიდევ! კიდევ! ამით მთელი დიალოგი ამოწურულია, მაგრამ მამაკაცი – ჯერ კიდევ არა, რადგან ის ხარბად ესწრაფვის მიაღწიოს უმაღლეს წერტილს, კიდევ და კიდევ.

აქ, მსუბუქ პორნოში, ყოველივე გარეგნულზეა დაყვანილი. მომთხოვნი ერიკასათვის, ქალთა სქესის წარმომადგენელი ამ გურმანისათვის, ეს ნამდვილად არასაკმარისია, რადგან უყურებს რა ამ ერთმანეთს ჩაფრენილ ადამიანებს, სურს გაარკვიოს, მაინც რა იმალება იმ ძალის უკან, რომელიც ისე ძლიერად ზემოქმედებს გრძნობებზე, რომ ყველას სურს გააკეთოს ეს ან არადა, ნახოს მაინც. სხეულში შეღწევა ამას მთლად ნათლად ვერ ხსნის, თან ეჭვებსაც ბადებს. ადამიანებს ხომ არ გამოვფაშვავ და მუცელს ხომ არ გამოვუფატრავ, რათა იქიდან ნარჩენები გამოვიტანო. იაფფასი-

ან ფილმებში უფრო ღრმად ხედავენ იმას, რაც ქალს შეეხება. მამაკაცში ასე ღრმად ვერ შეაღწევ. მაგრამ სულ ბოლო ნაწილს, ბოლო საიდუმლოებას ვერავინ ხედავს. თუნდაც ქალი გაფატრონ, იქ ნაწლავებისა და შინაგანი ორგანოების გარდა, ვერაფერს ნახავენ. ცხოვრებაში აქტიურად მოქმედი ადამიანი სხეულებრივად უფრო გარეთკენ, გარეთ იზრდება. ბოლოს იგი აღწევს მოსალოდნელ შედეგს, ან ვერა, მაგრამ, თუ აღწევს, შეიძლება მისი ყოველმხრივი საჯარო განხილვა და მწარმოებელს ახარებს თავისი ფასეული პროდუქტი. – მამაკაცს უნდა ჰქონდეს, – მიიჩნევს ერიკა, – იმის შეგრძნება, რომ ქალი თავისი ორგანოების ამ დომხალიდან მას რაღაც მთავარს უმალავს. სწორედ ეს უბიძგებს ერიკას, დაათვალიეროს ყოველივე ახალი, ღრმა, მუდამ აკრძალული და დამალული რამ. იგი მუდამ ახალი, ჯერ არნახული სანახაობრივი შთაბეჭდილებების ძიებაშია. მის სხეულს არასოდეს გაუმხელია, არასოდეს გამოუმჟღავნებია თავისი უტყვი და მდუმარე საიდუმლოებები, მაშინაც კი, როცა ერიკა თავისი სტანდარტული პოზით ზის ფეხებგაშლილი საპარსი სარკის წინ, – მას არ გაუმხელია საიდუმლოება თვით საკუთარი პატრონისთვისაც კი! და სხეულებიც ეკრანზე თავიანთ საიდუმლოს თავიანთთვისვე ინარჩუნებენ: იცავენ საიდუმლოს კაცისაგან, რომელსაც სურს ნახოს, როგორი ქალები არიან თავისუფალ ბაზარზე, რომელთაც იგი ჯერ კიდევ არ იცნობს, და ერიკასგანაც, – ამ თავის თავში ჩაკეტილი ადამიანისგან.

დღეს ერიკა თავმოყვარეობას ულახავს, ამცირებს თავის მოსწავლეს და ამით სჯის კიდეც მას. ერიკა ზის, დაუდევრად გადაჯვარედინებია ფეხი ფეხზე და სარკასტულად ლაპარაკობს მოსწავლის მიერ უნდილად და უფერულად შესრულებულ ბახის ინტერპრეტაციაზე. მეტი არც არის საჭირო – მოსწავლე, სადაც არის, ტირილს დაიწყებს.

დღეს ერიკა საჭიროდ მიიჩნევს არ დაუკრას მისთვის შესაბამისი ადგილი, რომელიც მას მხედველობაში ჰქონდა. დღეს მოსწავ-

ლე თავისი მუსიკის მასწავლებლისგან ვეღარაფერს მოისმენს. თუ იგი თავის შეცდომებს თვითონ ვერ შეამჩნევს, მაშინ ერიკა მას ვერაფრით დაეხმარება.

უყვარს ცხოველს თავისი წინანდელი თავისუფლება, მაგრამ უყვარს თუ არა თავისუფლებააღკვეთილ ცხოველს, მანეჟზე რომ გამოდის, თავისი მომთვინიერებელი? სრულიად შესაძლებელია, მაგრამ არა აუცილებელი! ერთს ძალზე სჭირდება მეორე. ერთს სჭირდება მეორე, რათა მისი ფოკუსების მეშვეობით პროჟექტორების შუქზე და მუსიკის ქვეშ სიამაყისგან ბაყაყივით გაიბეროს, მეორეს კი სჭირდება ვინმე, რათა ჰქონდეს საყრდენი წერტილი საერთო ქაოსში, რომელიც მას დააბრმავებს. ცხოველმა უნდა იცოდეს, სად არის „ქვემოთ“ და სად არის „ზემოთ“, თუ არადა, შეიძლება, უეცრად ყირაზე დადგეს. მწვრთნელის გარეშე შეიძლება ცხოველი ქვემოთ უსუსურად ჩავარდეს ან არენაზე ტრიალი დაიწყოს, ან კიდევ, ვერ გაარჩევს რა საგნებს, ყველაფერი დაფლითოს, დაგლიჯოს ან შეყლაპოს, რასაც კი წააწყდება. აქ კი ყოველთვის არის ვიღაც, ვინც მას უკარნახებს, რა არის საჭმელად ვარგისი. ზოგჯერ სასუსნავი, რომელსაც ცხოველს აძლევენ, წინასწარ არის დაღეჭილი და წვრილ-წვრილად დაკეპილი. ცხოველი აღარ საჭიროებს საკვების ძებნასა და შოვნას, ესოდენ დამღლელი რომ არის, აღარც ფათერაკები და თავგადასავლები მოუწევს ჯუნგლებში. იქ ხომ ლეოპარდმა ჯერ კიდევ არ იცის, რა არის მისთვის კარგი და განურჩევლად ნადირობს ცხოველსა თუ ადამიანებზე, ანტილოპა იქნება ეს თუ თეთრი მონადირე, რომელმაც სიფრთხილე ვერ გამოიჩინა. ახლა კი ცხოველი, შეგნებული ცხოვრებით ცხოვრობს, კონცენტრირებას ახდენს რა იმ ილეთებზე, საღამოს რომ უნდა შეასრულოს. ცხოველი დგას ტაბურეტზე, ყბას მომთვინიერებლის ყელის გარშემო ისე ამოძრავებს, რომ არ ფლეთს მას, ასრულებს საცეკვაო ნომრებს ტაქტის მიყოლებით სხვა ცხოველებთან ერთად ან იმ ცხოველებთან, რომელთაც გარეთ ყელში ეძგერებოდა ან

კიდევ გაექცეოდა მათ, თუკი ეს შესაძლებელი იქნებოდა. თავზე და ზურგზე ცხოველს მაიმუნის სამოსი აცვია. ზოგ ცხოველს ცხენის გაჭენებაც ასწავლეს, რომელსაც ტყავის დამცველი ჩული აქვს დაფარებული, და მისი ბატონი, მომთვინიერებელი, მათრახს ატყლაშუნებს! იგი აქებს ცხოველს ან სჯის, გააჩნია, როგორ მოიქცევა ის, იმისდა მიხედვით, თუ რას დაიმსახურებს. მაგრამ თვით ყველაზე დახელოვნებულ მომთვინიერებელსაც კი არ მოსვლია თავში იდეა, რომ ლეოპარდი და ძუ ლომი ვიოლინოს ფუტლარით გზაზე გაეშვა. დათვი ველოსიპედზე, – ეს ის ზღვარია, რისი მოფიქრებაც კი შეძლო ადამის ძემ.

ნაწილი II

დღის ბოლო მონაკვეთი ნამცეცებად იფშვნება და იფანტება, როგორც ნამცხვრის ნარჩენი მოუქნელ თითებში. საღამოვდება და მოსწავლეთა ჯაჭვი სულ უფრო და უფრო თხელდება. შესვენებებზე მასწავლებელი ქალი ტუალეტში შედის, სადაც ჩუმად ჭამს ბუტერბროდს, რომლის ნარჩენს შემდეგ ისევ საგულდაგულოდ ახვევს ქაღალდში. საღამოს მასთან მოდიან მოზრდილი მოსწავლეები, რომლებიც დღისით მუყაითად და ბევრს მუშაობენ, რათა ახლა, საღამოს, მუსიკაშიც იმეცადინონ. ისინი, რომელთაც მომავალში მუსიკოსობა და საგნის სწავლება სურთ, - ჯერ თვითონ რომ ეუფლებიან, - დღისით მოდიან, რადგან სხვა არაფერი საქმე აქვთ, გარდა მუსიკისა. მათ სურთ შეძლებისდაგვარად სწრაფად, სრულიად უხარვეზოდ დაეუფლონ მუსიკას, რათა შემდეგ სახელმწიფო გამოცდა ჩააბარონ. ისინი რჩებიან, რათა მოუსმინონ სხვებს და მათ ქალბატონ მასწავლებელ კოხუტთან ერთად კარგა მაგრად და საფუძვლიანად აკრიტიკებენ. მათ არ რცხვენიათ, მიუთითონ სხვებს იმ შეცდომებზე, თვითონვე რომ უშვებენ. მართალია, ისინი, კარგ სმენის უნარსაც ავლენენ, მაგრამ ამას ვერც გრძნობენ და ვერც მასწავლებლის ახსნილის გამეორებას ახერხებენ. ღამით, როდესაც ბოლო მოსწავლეც სახლში მიდის, ჯაჭვი უკუმიმართულებით მოძრაობს, რათა დილის ცხრა საათიდან, ახალი კანდიდატებით შედგენილი და შევსებული, კვლავ წინ დაიძრას. ისმის ჯაჭვის კბილანების რაკუნი, დგუშის ხმაური, თითები უკრავენ და შემდეგ წყვეტენ დაკვრას, ისმის მუსიკა.

ბატონი კლემერი დიდხანს იჯდა თავის სავარძელში და ელოდებოდა, როდის დაამთავრებდა დაკვრას მის წინ რიგში მყოფი სამი კორეელი მოსწავლე; იგი ფრთხილად, სანტიმეტრობით უახლოვ-

დება თავის მასწავლებელს. მან ეს არ უნდა შეამჩნიოს, მაგრამ კლემერი ერთხელაც უცბად მასთან აღმოჩნდება. სულ მოკლე ხნის წინ იგი ჯერ კიდევ ქალის ზურგსუკან იდგა. ამ კორეელებს გერმანულად მხოლოდ ყველა საჭირო რამე ესმით და ამიტომ მსჯელობა, განსჯა თუ საყვედურები ინგლისურ ენაზე ხდება. ბატონი კლემერი ფროილაინ კოხუტს საერთაშორისო ენაზე – გულის საერთაშორისო ენაზე ელაპარაკება. დაკვრა მიმდინარეობს შორეული აღმოსავლეთის წარმომადგენელთა თანხლებით – მათთვის ჩვეული აუღელვებლობით რომ რეაგირებენ არაპერიოდულ რხევებზე, რომლებიც კარგად ტემპერირებულ მასწავლებელ ქალსა და მოსწავლეს შორის წარმოიქმნება, მას მაქსიმუმის მიღწევა სურს. ერიკა უცხო ენაზე ლაპარაკობს იმ ცოდვებზე, რომლებიც ეწინააღმდეგება შუბერტის სულს – კორეელებმა უნდა იგრძნონ და არა ბრმად მიბაძონ ალფრედ ბრენდელს, რომელიც ჩაწერილია ფირფიტაზე, ვინაიდან ამ შემთხვევაში ბრენდელი მაინც მათზე გაცილებით უკეთ ითამაშებს! კლემერი, თუმცა კი მას არ ეკითხებიან, გამოთქვამს თავის მოსაზრებას მუსიკალური ნაწარმოების სულზე, მის არსზე, რომლის განდევნა ძალიან ძნელია. თუმცაღა არიან ისეთები, რომლებიც ამას მაინც ახერხებენ! ისინი სჯობს, დარჩნენ, თუ ვერ გრძნობენ და ალღო არ გააჩნიათ. – კორეელი ოთახის კუთხეში სულს ვერ იპოვნის, – დამცინავად ამბობს კლემერი, სამაგალითო მოწაფე. იგი თანდათან მშვიდდება და ნიცშეს ციტირებას ახდენს, რომლის მიმართაც სულიერ სიახლოვეს გრძნობს: იგი არ არის საკმარისად ბედნიერი და საკმარისად ჯანმრთელი მთელი ამ რომანტიკული მუსიკისათვის (ბეთჰოვენის ჩათვლით, რომელსაც ის აგრეთვე ამავე კატეგორიას მიაკუთვნებს). კლემერი აფიცებს თავის მასწავლებელს, – ამოიკითხეთ და შეიგრძენით მისი უბედობა და ავადმყოფობა მის შესანიშნავ თამაშში. – რაც საჭიროა და აუცილებელი – ეს მუსიკაა, რომელიც ტანჯვას გვავიწყებს. ცხოველური ცხოვრება! აი, სადაა ცხოველმყოფელი

და მაგიური ძალა! გვსურს ვიცეკვოთ, ვიზეიმოთ, განვიცადოთ ტრიუმფი! მსუბუქი, თავისუფალი რიტმი, ოქროს ჰარმონია, ნაზი ჰარმონია, არც მეტი და არც ნაკლები, – მოითხოვს ფილოსოფოსი და ვალტერ კლემერი უერთდება ამ მოთხოვნას. – როდის ცხოვრობთ, კაცმა რომ თქვას, თქვენ, ერიკა? – ეკითხება მოსწავლე და მიუთითებს იმაზე, რომ საღამოს საკმაოდ ბევრი დრო რჩება შინაარსიანი ცხოვრებისათვის, თუკი თადარიგს დავიჭერთ და სწორად გამოვიყენებთ მას. ნახევარი დრო ვალტერ კლემერს ეკუთვნის, დროის მეორე ნახევარი კი ქალბატონ ერიკას განკარგულებაშია. იგი მთელ საღამოებს დედასთან ატარებს! ორივე ქალი ერთმანეთს უყვირის. კლემერი ცხოვრებაზე ისე ლაპარაკობს, როგორც მუსკატის ჯიშის ყურძნის ოქროს მტევანზე, რომელსაც დიასახლისი ჯამით დგამს სტუმრის წინ, რათა მან ის თვალებითაც შეჭამოს. სტუმარი გაუბედავად იღებს ერთ მარცვალს, შემდეგ კი – მეორეს, ვიდრე მისგან გაშიშვლებული მტევნის ღერო და წიპწების[26] პატარა გროვა დარჩებოდეს.

შემთხვევითი შეხება ელის ამ ქალს, რომლის გონებასა და ხელოვნებას პატივისცემით ეკიდებიან. შეიძლება შეხება ემუქრება თმებსა ან მხრებზე, რომელზეც დაუდევრად მოუსხამს ნაქსოვი ჟაკეტი. მასწავლებლის სავარძელი ოდნავ წინ იწევა, სახრახნისი ღრმად შედის შიგ და გამოაქვს შინაარსის ბოლო ნარჩენი ვენის სიმღერების მეფისაგან, რომელიც დღეს კვლავ ამეტყველდება ფორტეპიანოს მეშვეობით – კორეელი თავის ნოტების რვეულს ჩაშტერებია, რომელიც მან ჯერ კიდევ თავის სამშობლოში იყიდა. შავი წერტილების ეს დიდი რაოდენობა კორეელისთვის სრულიად უცხო კულტურის სფეროა, რომლითაც იგი სამშობლოში იამაყებს. კლემერმა სიტყვა „მგრძნობელობა“, „ვნებიანობა“ თავის დროშას წააწერა. მას „ვნებიანობა“ მუსიკაშიც კი შეხვედრია! მასწავლებელი ქალი, ეს სულის ჩამკვლელი, რჩევას იძლევა, რომ სო-

[26] წიპწა - ყურძნის პატარა კურკა.

ლიდური ტექნიკა განავითაროონ. მოსწავლის მარცხენა ხელი ჯერ კიდევ ვერ მიჰყვება მარჯვენას. ამისათვის არსებობს თითების საგანგებო სავარჯიშოები, მას კვლავ მიაქვს მარცხენა ხელი მარჯვენასთან, აჩვევს რა მას ამ დროს დამოუკიდებლობას. მისი ერთი ხელი მუდამ უთანხმოებაშია მეორესთან ისევე, როგორც ყოვლისმცოდნე კლემერი უთანხმოებაშია სხვებთან. დღეს კორეელ მოსწავლეს მეცადინეობიდან ათავისუფლებენ.

ერიკა კოხუტი ზურგზე ადამიანის სხეულს გრძნობს და მას საშინელი გრძნობა იპყრობს. იგი არ უნდა მოვიდეს ისე ახლოს, რომ მას შეეხოს. მოსწავლე მის ზურგსუკან მიდი-მოდის. იგი აქეთ-იქით დადის, სრულიად უმიზნოდ. როდესაც იგი ბოლოს ისევ უახლოვდება და გვერდითა მხრიდან ქალის მხედველობის არეში ექცევა, აქნევს რა თავს გაბრაზებით და მტრედისებური მკვეთრი მოძრაობით, რომლის დროსაც მისი სრულიად ნორჩი სახე ნათურის შუქზე მოჩანს, ერიკას შიგნით ყველაფერი უშრება და ეძაბება. მისი სხეული წყვეტს იმას, რომ ხორცი იყოს, და რაღაც მიემართება მისკენ, რაც ასევე საგნდება. ცილინდრისებური ლითონის მილი. ძალიან მარტივად დამზადებული აპარატი, რომელიც იმისთვის გამოიყენება, რომ შიგნით შეაღწიოს. ამ საგნის, ანუ კლემერის გამოსახულება გადადის ერიკას სხეულის სიღრმეში, ეხება მის შინაგან კედელს. ეს გამოსახულება ყირამალა დგას; და ამ მომენტში, როცა კლემერი მისთვის სხეულად გადაიქცა, რომელსაც შეიძლება ხელით შეეხოს, იგი იმავდროულად სრულიად აბსტრაქტული გახდა, სრულიად უხორცო. უკვე იმ მომენტში, როცა ორივენი ერთმანეთისთვის სხეულებრივი გახდნენ, მათ ერთმანეთის მიმართ ყოველგვარი ადამიანური ურთიერთდამოკიდებულება გაწყვიტეს. აღარ არსებობენ ახლა პარლამენტარები, რომელთაც გაუგზავნიდნენ ცნობებს, წერილებს, საიდუმლო ნიშნებს. ერთი სხეული ვეღარ სწვდება, ვეღარ ეხება მეორეს, არამედ მისთვის მხოლოდ საშუალება, თვისება ხდება სხვაგვარად ყოფნისა, რომელშიც ცდილობ,

ტკივილით შეხვიდე, ტკივილით შეაღწიო და, რაც უფრო ღრმად შედიხარ, მით უფრო ჭკნება კანი, მით უფრო ბუმბულივით მსუბუქდება, შორს მიდის, მიფრინავს ორივე ამ უცხო და მტრული კონტინენტისაგან, რომლებიც ხმაურით ეჯახებიან ერთმანეთს და შემდეგ ერთადვე ცვივიან ძირს, გადაიქცევიან რა მოგრიალე და მორახრახე კარკასად,[27] – კინოეკრანის რამდენიმე ნაჭრით თუ ნაფლეთით მასზე უმცირესი შეხებისთანავე რომ ჩამოცვივდება და მტვრად იფანტება.

კლემერის სახე სარკესავით გლუვია და უღრუბლო, ერიკას სახეზე ემჩნევა მოახლოებული ჭკნობის კვალი. მისი სახის კანს ნაოჭები ეპარება, თხელი, ნაზი კანი თვალებქვეშ პაწია მოლურჯო ნაკეცებად იშლება. ცხვირის ფუძეს ორი მკვეთრი ხაზი გასდევს, აღარასოდეს რომ აღარ გასწორდება. სახე შესამჩნევად გასდიდებია და ეს პროცესი წლების განმავლობაში გაგრძელდება, ვიდრე ხორცი კანქვეშ არ დანაოჭდება და დაიჭმუჭნება, ბოლოს კი კანი მჭიდროდ გადაეკვრება თავის ქალას, რომელიც მას ვეღარ გაათბობს. კლემერს მძაფრი ლტოლვა უნდა ჰქონდეს მისადმი, მას უკან უნდა დასდევდეს, მის ფეხქვეშ უნდა იყოს გართხმული; იგი გამუდმებით მასზე უნდა ფიქრობდეს, მუდამ ის უნდა უტრიალებდეს გონებაში, მის იქით და მის გარდა სხვა გზა არ უნდა ჰქონდეს. ერიკას ნაკლებად ნახავ ხალხში, საზოგადოებაში. დედამისიც მთელი თავისი ცხოვრება განმარტოებით იყო, მასაც იშვიათად თუ ნახავდა კაცი. ისინი თავიანთ ოთხ კედელში რჩებიან და სტუმრებიც იშვიათად თუ მოინახულებენ ხოლმე. ასე უფრო კარგად ინახავენ თავს. ჰოდა, როცა ქალბატონი კოხუტები იშვიათად გამოჩნდებიან ხალხში, მათ მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევენ.

ერიკას თანდათანობით ემატება სუსტად გამოხატული დაავადებანი – სისხლის შედედება ფეხებში, რევმატული მოვლენები, სახსრების ანთება (ბავშვს, ჩვეულებრივ, ეს დაავადებები არ აწუ-

[27] კარკასი - რაიმე ნაკეთობის ნა ნაგებობის ჩონჩხი (ლითონისა ან ხისა).

ხებს ან ძალიან იშვიათად. ესენი აქამდე ერიკასათვის უცნობი იყო). კლემერი, როგორც გამაჯანსაღებელი საბაიდარო სპორტის სარეკლამო აგენტი, გამომცდელად უყურებს თავის მასწავლებელს, თითქოს სურს, იგი ახლავე გაახვიოს, შეახვიოს რაიმეში და თან წაიყვანოს, ან არადა, იგი იქვე, ფეხზევე შეჭამოს, პირდაპირ მაღაზიაში. – შეიძლება ის უკანასკნელია, რომელსაც მე სურვილს ვუღვივებ, – ფიქრობს ბრაზმორეული ერიკა, – და მალე მოვკვდები, კიდევ ოცდათხუთმეტი წელი თუ დამრჩა. იჩქარე, შეახტი მატარებელს, რადგან, როცა მოვკვდები, ველარაფერს გავიგებ, აღარც ყნოსვა შემეძლება, აღარც შეგრძნება და ვერც ვერაფრის გემოს გავიგებ! მისი ბრჭყალები კლავიშებს კაწრავს.

იგი ფეხებს უაზროდ აქნევს, ერთმანეთზე ირტყამს, ნერვიულად ისწორებს და იქაჩავს ტანსაცმელს, – მამაკაცი აღიზიანებს, ნერვებზე შლის ქალს და აცლის, ართმევს მას ძირითად საყრდენს – მუსიკას. დედა მას უკვე ელოდება შინ. იგი სამზარეულოს საათს უყურებს, ამ შეუბრალებელ ქანქარას, რომელიც სულ ცოტა ნახევარ საათში ქალიშვილს სახლში მოაწიკწიკებს, მაგრამ დედა, რომელსაც სხვა არაფერი საზრუნავი აქვს, უკვე წინასწარ იწყებს ლოდინს. ხომ შეიძლება, ერიკა მოულოდნელად ადრე მოვიდეს, თუკი გაკვეთილი გახდა მოსწავლის გამოუცხადებლობის გამო და მაშინ ხომ დედა ველარ დაელოდებოდა მას!

ერიკა მილურსმულია პიანინოს საჯდომ სკამზე, მაგრამ თან რაღაცა კარებისაკენ ეწევა. შინაური მყუდროებისა და სიმშვიდისადმი მძლავრი ლტოლვა, რომელსაც მხოლოდ ტელევიზორის ხმები არღვევს, აბსოლუტური ინერტულობისა და სიწყნარის ეს წერტილი, მასში ახლა პირდაპირ სხეულებრივ ტკივილს იწვევს. კლემერი, ბოლოს და ბოლოს, უნდა წავიდეს! რას ლაპარაკობს და ლაპარაკობს აქ ამდენს, ერიკას სახლში ხომ ქვაბით წყალი დუღს, ნესტით რომ ფარავს სამზარეულოს ჭერს. ერიკას, ბოლოს და ბოლოს, სახლში წასვლა სურს, მას მობეზრდა ამდენი ლაპარაკი. –

მაგრამ ეს და მხოლოდ ეს, – ამბობს კლემერი და თავის მოსაზრებებს გამოთქვამს მუსიკის საკითხებზე, - ჩემთვის მუსიკის კრიტერიუმია ის, რისი აწონვა და გაზომვაც არ შეიძლება, – ამტკიცებს კლემერი და თავის მასწავლებელ ქალს ეწინააღმდეგება. ერიკა სახურავს აფარებს როიალს და ირგვლივ წესრიგს ამყარებს. ეს-ეს არის, კაცი თავისი სულის ერთ-ერთ კუნჭულში შემთხვევით შუბერტის სულს წააწყდა და ამას იმწამსვე იყენებს. რაც უფრო მეტად იხსნება და იშლება შუბერტის სული კვამლში, სუნში, ფერში, აზრებში, მით უფრო გადადის მისი მნიშვნელობა აუხსნელის სფეროში. მისი მნიშვნელობა განუზომლად იზრდება, არავის შესწევს უნარი, ჩასწვდეს ამ სიმაღლეს. მოჩვენებითობას მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე სინამდვილეს, – ამბობს ბატონი კლემერი. დიახ, რეალობა, ალბათ, ყველაზე უფრო უხეში შეცდომაა, საერთოდ. და სიყალბე, ამის შესაბამისად, წინ უსწრებს სიმართლეს, – აკეთებს დასკვნას კაცი საკუთარი სიტყვების საფუძველზე. ირეალური წინ უსწრებს რეალურს, ამასთანავე, ხელოვნების ხარისხი მაღლდება.

შინაური ვახშმობის სასიამოვნო მოლოდინი, რომელმაც დღეს მისდა უნებურად გადაიწია, შავი ხვრელია ვარსკვლავ ერიკასათვის. მან იცის, რომ დედის მიერ მისი გულში ჩაკვრა და მოხვევა მას მთლიანად შთანთქავს და მოინელებს და მაინც მამრი მაგიურად იზიდავს. მას ყვრიმალებზე სიწითლე ედება, შემდეგ მთელ სახეზე ვრცელდება. კლემერი მას უნდა ჩამოეხსნას და იქაურობას გაეცალოს. ერიკას საერთოდ აღარ ახსოვს იგი. ერიკას, ამ დიდებულ ქალს, სწყურია, რომ კლემერი მოეხვიოს მას, მხურვალედ და ხანგრძლივად, ხოლო მოხვევის შემდეგ იმწამსვე დედოფლური ჟესტით მოიცილებს მას თავიდან.

კლემერს არასოდეს მოსვლია აზრად, მიეტოვებინა ეს ქალი, – ხომ უნდა გააგებინოს ქალს, რომ ბეთჰოვენის სონატები მხოლოდ ოპუს 101-დან მოყოლებული მოსწონს, რადგანაც ისინი, – ასე მიიჩნევს კლემერი, – მხოლოდ აქედან იძენენ ნამდვილ სიმსუბუქესა

და ჰაეროვნებას, ერთმანეთს ერწყმიან, ცალკეული ფრაზები შემდეგ უფრო ფართოვდება და მათ შორის მკვეთრი მიჯნები აღარ შეინიშნება, ისინი მკვეთრად არ გამოეყოფიან ერთმანეთს, – ფანტაზიორობს კლემერი.

საუბარი ახალი კალაპოტით რომ წარიმართოს, კლემერი დასძენს: – ქალბატონო მასწავლებელო, – უნდა გაცნობოთ, – და ახლავე ზუსტად აგიხსნით, – რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ აღწევს თავის უმაღლეს ღირებულებას, როდესაც იგი ტოვებს რეალობას და გრძნობათა სამყაროსკენ გადაინაცვლებს, – და ეს სიტყვები თქვენც გეხებათ. ზუსტად როგორც ბეთჰოვენსა და შუბერტს, ჩემი საყვარელი ხელოვანი ადამიანები რომ არიან, რომლებთანაც მე პირადად სულიერ სიახლოვეს ვგრძნობ, – რაში, ეს კი აღარ ვიცი, – და ვფიქრობ, ეს მეც მეხება, – ე. ი. ჩვენთვისაც სამართლიანია და შესაფერისი იმის მტკიცება, რომ ჩვენ უგულებელვყოფთ სინამდვილესა და ხელოვნებას ისევე, როგორც გრძნობად სამყაროს ერთადერთ რეალობად ვთვლით. ბეთჰოვენისა და შუბერტისათვის ამ ამბებმა უკვე ჩაიარა, ახლა კი ჩემი, – კლემერის ჯერია. იგი ადანაშაულებს ერიკა კოხუტს იმაში, რომ მას ამ საკითხებისადმი ასეთი მიდგომა აქვს. ქალი თავს იმართლებს, რაღაცას ზერელედ ეჭიდება, მაგრამ მამაკაცი აბსტრაჰირებას ახდენს და არსებითს უსარგებლოსაგან გამოყოფს. ამას რომ ამბობს, მოსწავლე კადნიერად ეპასუხება მასწავლებელს. მან ეს გაბედა.

ერიკას თავში ერთადერთი სინათლის წყაროა, ყველაფერს რომ დღესავით ანათებს, უპირველესად კი იმ აბრას, რომელზეც წერია: „გასასვლელი“. მას იზიდავს ტელევიზორის წინ დადგმული მყუდრო სკამი, ისმის სატელევიზიო გადაცემების მაუწყებელი სასიგნალო ხმები, დიქტორი საქმიანად ისწორებს ჰალსტუხს. პატარა მისადგმელ მაგიდაზე ჩანს ჯამები, რომლებზეც უხვად დაუწყვიათ ყელის ჩასატკბარუნებელი ნაირფერი სასუსნავი, ორივე ქალი ერთდროულად ან ცალ-ცალკე რომ მიირთმევს. როცა ჯამები ცარი-

ელდება, მათ წამსვე კვლავ ავსებენ; აქ ყველაფერი ისეა, როგორც ისეთ ქვეყანაში, სადაც რძისა და კისელის მდინარეები მიედინება და სადაც არაფერს აქვს დასასრული და არც არაფერი იწყება.

ერიკას საგნები საკლასო ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში გადააქვს და შემდეგ წამსვე კვლავ უკან აბრუნებს; იგი დაჟინებით უყურებს საათს და თავისი მაღალი ანძიდან[28] უჩინარ სიგნალს იძლევა, აგრძნობინებს რა კლემერს, თუ რაოდენ დაიღალა იგი მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, რომლის დროსაც დილეტანტურად ფუჭად იქნა გაფლანგული დრო, რათა მშობელთა პატივმოყვარეობა დაკმაყოფილებულიყო.

კლემერი დგას და მას შეჰყურებს.

ერიკას არ სურს დუმილი ჩამოვარდეს და ყოველდღიურ, უმნიშვნელო რაღაცებზე ლაპარაკობს. ერიკასთვის ხელოვნება ყოველდღიური სამუშაოა, რადგან იგი ხელოვნებით საზრდოობს. – და რამდენად უფრო ადვილია ხელოვანისათვის, – ამბობს ერიკა, – გამოხატოს, გადმოაფრქვიოს თავისი გრძნობები და ვნებები. – დრამატული ცვლილებები, თქვენ რომ ასე აფასებთ, კლემერ, ხომ იმას ნიშნავს, რომ ხელოვანი მიმართავს მოჩვენებით საშუალებებს, უგულებელყოფს რა ამ დროს ნამდვილ საშუალებებს. ქალი ლაპარაკობს, რათა სიჩუმე არ ჩამოვარდეს. მე, როგორც მასწავლებელი, მხარს ვუჭერ არადრამატულ ხელოვნებას, მაგალითად, შუმანს; დრამატული ნაწარმოები ყოველთვის უფრო ადვილია! გრძნობები და ვნებათაღელვანი მუდამ მხოლოდ შემცვლელი, სულიერების სუროგატია. მასწავლებელ ქალს სწყურია მიწისძვრა, ბობოქარი ქარიშხალი, – სურს, რომ თავზე დაატყდეს იგი. შმაგმა კლემერმა ბრაზისაგან კინაღამ თავით კედელი გაიტანოს და კლარნეტის კლასი, სადაც იგი, როგორც მეორე ინსტრუმენტის მფლობელი, კვირაში ორჯერ სამეცადინოდ დადის, ნამდვილად გაოცდებოდა, განრისხებულ კლემერს რომ ერთბაშად ამოეყო კედ-

[28] მაღალი ანძიდან - ქედმაღლურად, ზემოდან.

ლიდან თავი ბეთჰოვენის ცხედრის ნიღბის გვერდით. ერიკა ვერ გრძნობს, რომ კლემერი სინამდვილეში მხოლოდ თავის მასწავლებელზე ლაპარაკობს და, ცხადია, თავის თავზე! იგი საკუთარ თავსა და ერიკას ერთ გრძნობად ურთიერთკავშირში ათავსებს და ამით დევნის სულს, – გრძნობათა მტერს, ხორცის, სხეულის ამ ძველთაძველ მტერს. მასწავლებელ ქალს ჰგონია, რომ კლემერი შუბერტს გულისხმობს, ამ დროს კი იგი მხოლოდ საკუთარ თავს გულისხმობს, როგორც მუდამ თავის თავს გულისხმობს ხოლმე, როცა კი ლაპარაკობს.

მოულოდნელად კლემერი ქალს ნებართვას სთხოვს, „შენობით“ მიმართოს, ქალი კი ურჩევს, საქმიანი ტონით ილაპარაკოს, სერიოზულობა შეინარჩუნოს. ერიკას თავისდა უნებურად ტუჩები ეღმიჭება, ვეღარ იმორჩილებს მათ. რასაც ეს ტუჩები ამბობენ, იმას კი აკონტროლებს, მაგრამ ტუჩების მოძრაობას კი – ვეღარ. ქალს სხეულზე ერთიანად ხორკლები აყრის.

კლემერს თავისივე თავი აშინებს. იგი კმაყოფილი ღრუტუნითა და ხვნეშით თავისი აზრებისა და სიტყვების თბილ აბაზანაში ტრიალებს. იგი მივარდება როიალს, საშინლად მოსწონს რა ამ დროს თავისი თავი. კლემერი ძალზე აჩქარებული ტემპით უკრავს გრძელ პასაჟს, რომელიც მან შემთხვევით ზეპირად ისწავლა. ამ პასაჟით მას რაღაცის დემონსტრირება სურს, საკითხავია – რისი? ერიკა კოხუტი მოხარულია ამ წყნარი მანევრით, ყურადღების გადატანით სხვა რამეზე და უეცრად მიექანება მოსწავლისაკენ, რათა გააჩეროს სწრაფი მატარებელი, ვიდრე მას ჯერ კიდევ არ აუღია სრული სვლა.

– თქვენ ამას მეტად სწრაფად და მეტად ხმამაღლა ასრულებთ, ბატონო კლემერ, და ამით მხოლოდ იმას ამტკიცებთ, რომ შესრულება, რომელიც მოკლებულია სულიერებას, მრავალრიცხოვანი დაუდევრობითა და უზუსტობით სცოდავს.

მამაკაცი სწრაფი და მძაფრი მოძრაობით სავარძლის საზურგეს აწვება. იგი ნესტოებიდან ორთქლს აფრქვევს, როგორც მორბენალი ცხენი, მორიგი გამარჯვების მოპოვების შემდეგ შინ რომ ბრუნდება. გამარჯვებისათვის რომ წაახალისონ და დააჯილდოონ, ხოლო დამარცხება რომ თავიდან აიცილოს, იგი საჭიროებს შესაფერის მოპყრობას, ზრუნვასა და მოვლას, როგორც ვერცხლის სერვიზი თორმეტი კაცისათვის.

ერიკას შინ წასვლა სურს, ერიკას შინ წასვლა უნდა. შინ უნდა. იგი კლემერს კეთილ რჩევას აძლევს: წადით, უბრალოდ გაისეირნეთ ვენაში და ღრმად ისუნთქეთ. შემდეგ კი შეასრულეთ შუბერტი, ოღონდ ამჯერად სწორად!

– დიახაც, წასვლას ვაპირებ, - ვალტერ კლემერი ხმაურით ხურავს თავის ნოტების კომპაქტურ საქაღალდეს და სცენას ტოვებს, თითქოსდა იოზეფ კაინციაო,[29] ოღონდ მას ისე ბევრი მაყურებელი არა ჰყავს. მაგრამ იგი იმავდროულად მაყურებელიცაა. ვარსკვლავი და პუბლიკა ერთ პიროვნებაში. და კიდევ მქუხარე აპლოდისმენტები და ბისი!

კლემერი ტოვებს საკლასო ოთახს და თავისი ქერა თმების ფრიალით მამაკაცი ტუალეტში შერბის. იგი სახეზე წყალს ისხურებს, შვაბიის მაღალმთიანი რეგიონიდან მათ ქალაქში შემოყვანილ წყაროს წყალს. წყალი, ხვდება რა კლემერის სახის კანს, თავის გამჭვირვალებას კარგავს. – მუდამ ვსვრი და ვაჭუჭყიანებ ყოველივე მშვენიერს, – ფიქრობს თავისთვის კლემერი. იგი სახეზე წყალს ისხამს და კვლავ ფრუტუნებს, შემდეგ ბანვის პროცესს იმეორებს. ხელებს იქნევს ჰაერში და თმებს ისველებს; პირიდან ხელოვნურ ბგერებს უშვებს, ხელოვნების გარდა, სხვა არაფერს კონკრეტულს რომ არ გამოხატავს. ეს იმიტომ, რომ სიყვარულისაგან იტანჯება. ამ მიზეზით იგი თითებს ატკაცუნებს და სახსრებს აჭრიალებს. დიახ, არავითარ ეჭვს აღარ იწვევს ის, რომ ვალტერ

[29] იოზეფ კაინცი - პოპულარული ავსტრიელი დრამატული მსახიობი.

კლემერი შეყვარებულია. თუმცა არა პირველად და უთუოდ არა უკანასკნელად. თვითონ იგი კი არ უყვართ, მისი გრძნობა უპასუხოდ რჩება. – კლემერი საზიზღარ გუნებაზე დგება და ისე ძლიერად უჭერს ონკანს, რომ სხვა აქ შემომსვლელი ნამდვილად ვეღარ გააღებს და წყლით ვერ ისარგებლებს, თუ ასევე პიანისტი არ არის და ფოლადის კუნთები და თითები არა აქვს.

ამ დროს ფორტეპიანოს კლასის ერთი მოსწავლე მკვდარივით გაფითრებული სახით შემორბის ტუალეტში, იგი ახლახან გადასასვლელ გამოცდას აბარებდა. ერთ-ერთ კაბინაში შევარდა და ისეთი ზათქით გაითავისუფლა კუჭი, კაცს ეგონებოდა, ბუნების სტიქია დაატყდა თავსაო. მის სხეულში, ეტყობა, რაღაც მიწისძვრის მსგავსი ხდება; ბევრ რამეში იმედი გაუცრუვდა, მრავალი რამ ჩაეფუშა, მათ შორის გამოსაშვები გამოცდის ახლო ვადებში ჩაბარების იმედიც. დღეს მოსწავლე მთელი ამ ხნის განმავლობაში მღელვარე მდგომარეობაში იყო, რადგან გამოცდას თვითონ ბატონი დირექტორიც ესწრებოდა. ახლა მღელვარება უნდა დაიცხროს. მოსწავლეს არ გამოუვიდა ეტიუდის დაკვრა ზედა, შავ კლავიშებზე, – მან ის ორმაგ ტემპში დაიწყო, რომელსაც ვერც ერთი ადამიანი ვერ გაუძლებს, გინდაც ის შოპენი იყოს. კლემერი ზიზღით იყურება ტუალეტის კაბინისაკენ, რომელშიც ახლა მოსწავლე კუჭის აშლილობას ებრძვის. პიანისტი, რომელშიც ასე მძლავრობს და ბატონობს სხეულებრივი საწყისი, დაკვრისას დიდ ოსტატობას ვერ გამოავლენს. იგი, ალბათ, ხელობასავით უყურებს მუსიკას და სრულიად ტყუილად ღელავს, როცა მის ათ იარაღთაგან (თითები) ერთ-ერთი უმტყუნებს. კლემერს ეს საფეხური უკვე გავლილი აქვს, იგი ახლა ყურადღებას ნაწარმოების შინაგან, ჭეშმარიტ არსზე ამახვილებს. მისთვის, მაგალითად, ბეთჰოვენის საფორტეპიანო სონატების სფორცანდოში არაფერია საკამათო, რადგან ისინი უნდა იგრძნო, შეიგრძნო და მსმენელზე შთაბეჭდილება შთაგონებით უნდა მოახდინო და არა შესრულებით. კლემერს შეეძლო საათობით

ელაპარაკა კიდევ მუსიკალური ნაწარმოებების ფასეულობებსა და ღირებულებებზე, იმ მუსიკალურ ნაწარმოებზე, რომელიც, თუმცა-ღა, ხელშესახებად ახლოა, მაგრამ მის დაუფლებას, ჩაწვდომას მხოლოდ ყველაზე უფრო გაბედულნი და მამაცნი ახერხებენ. საქმე გამოხატვა და შეგრძნებაა და არა შიშველი კომპოზიცია. იგი მაღლა სწევს ნოტების საქაღალდეს და თავისი თეზისის განსამტკიცებლად მას რამდენჯერმე მაგრად არტყამს ფაიფურის პირსაბანზე, რათა თავისი სხეულიდან უკანასკნელი ენერგია გამოაძევოს – იმ შემთხვევისათვის, თუკი რაიმე კიდევ დარჩა შიგ. კლემერი ამჩნევს, რომ შინაგანად დაცარიელდა. – ამ ქალმა მთლიანად მოიდნო იგი, – ამბობს კლემერი ერთი ცნობილი რომანის შესაბამისი მონაკვეთის მიხედვით. მან ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, რათა მოეპოვებინა ეს ქალი. – ახლა კი უნდა ვაღიარო, რომ მარცხი განვიცადე, – ამბობს კლემერი. კლემერმა მას თავისი საუკეთესო ნაწილი შესთავაზა – თავისი თავი მთლიანად. მან ქალის წინაშე საკუთარი თავი რამდენჯერმე სხვადასხვა სახით, სხვადასხვა ვარიაციითაც კი წარმოადგინა! ახლა მას მხოლოდ ერთი სურვილიღა აქვს: კვირის ბოლოს ერთი კარგად წაივარჯიშოს ნიჩბოსნობაში, რათა ახლებურად მოახდინოს ორიენტირება. შესაძლოა, ერიკა კოხუტი უკვე ცოტათი მობერდა კიდეც, რათა ვაჟის გაგება შეძლოს. ქალი მხოლოდ მის ნაწილობრივ გაგებას ახერხებს, კლემერის მხოლოდ ნაწილობრივ ესმის და არა მთლიანად.

მოსწავლე, რომელიც ჩაიჭრა ეტიუდში, ზედა კლავიშებით რომ სრულდება, კაბინიდან გამოდის და სარკის წინ თმებს ისველებს, ცოტათი მშვიდდება რა თავისი მოცალე გამოსახულების დანახვაზე სარკეში. იგი კოხტად იყენებს თმებს, რათა გარკვეული კომპენსაცია მიიღოს გამოცდაზე განცდილი მარცხის გამო, მისმა თითებმა ხომ ვერ შეძლეს იქ, გამოცდაზე, ოსტატურად დაკვრა. ვალტერ კლემერი თავს იმშვიდებს, ფიქრობს რა, რომ მისი მასწავლებლის კარიერაც არ შედგა; შემდეგ კი იგი ხმაურით აფურთხებს

იატაკზე, ნერწყვის სახით რომ დაუგროვდა პირში სიბრაზის შემოტევის დროს. მოსწავლე გამკილავად შეჰყურებს ამ სურათს, რადგან იგი ბავშვობიდანვე წესრიგს არის მიჩვეული. ხელოვნება და წესრიგი – ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ნათესავები არიან. კლემერი მძაფრი მოძრაობით გლეჯს კონტეინერიდან ქაღალდის ათამდე ხელსახოცს, ახვევს და ზუსტად ურნის გვერდით აგდებს. მოსწავლეს ხელმეორედ შეეშინდა, ამჟამად უკვე იმ საკუთრების გაფლანგვის გამო, რომელიც ქალაქ ვენას ეკუთვნის. იგი წვრილმანი საქონლით მოვაჭრე მაღაზიის მეპატრონის შვილია და მას კვლავ მოუწევს იქ დაბრუნება, თუკი გამოცდას მეორე ეტაპზეც ვერ ჩააბარებს. მაშინ მას მშობლები შეუწყვეტენ მატერიალურ დახმარებას და იგი იძულებული შეიქნება, „მუსიკოსის“ პროფესია „ვაჭრის“ პროფესიაზე გაცვალოს, რაც გამოხატულებას პოვებს განცხადებაში ქორწინების შესახებ, რომელსაც იგი მომავალში შეიტანს. მომავალ ცოლსა და ბავშვებს ამის გამო მრავალი რამის გადატანა მოუწევთ. ვაჭრობა და ცხოვრება ერთი მთლიანობა გახდება. მისი ყნოსვისაგან გაწითლებული თითები - „სოსისები“, ხშირად მთელი ძალ-ღონის გაღებით რომ ირჯებოდნენ, მუშაობდნენ მაღაზიაში, მტაცებელი ფრინველის ბრჭყალებივით იკუმშება, როცა კი იგი ამაზე ფიქრობს. ვალტერ კლემერი გონებას უხმობს, თავს იმშვიდებს და დაწვრილებით იხსენებს იმ ქალებს, რომლებთანაც ინტიმური ურთიერთობა ჰქონია, ბოლოს იოლად რომ იშორებდა ხოლმე თავიდან. ამ დროს იგი დაწვრილებით უხსნიდა ქალებს განშორების მიზეზებს. აქ იგი ენერგიას არ იშურებდა. ქალები უნდა შეჰგუებოდნენ ამას, თუნდაც ეს მათთვის ტკივილის მომგვრელი ყოფილიყო. თუ მამაკაცი ამის განწყობილებაზეა, იგი მიდის სიტყვის უთქმელადაც. ქალის მგრძნობიარე სული ნერვიულად თრთის ჰაერში, როგორც საცეცები, ქალი ხომ მგრძნობიარე არსებაა. მასთან გონება არ დომინირებს, რაც ფორტეპიანოს დაკვრის დროს ვლინდება. ქალი უმეტესწილად მიანიშნებს ხოლმე

თავის უნარზე, იგი ამით კმაყოფილდება. კლემერი კი, პირიქით, ისეთი ადამიანია, რომელსაც სურს ჩასწვდეს საგნის არსს.

ვალტერ კლემერი ვერ უმალავს საკუთარი თავს, რომ სურს ფლობდეს თავის მასწავლებელს; სურს თანამიმდევრულად დაეუფლოს მას. კლემერი სპილოსებრი ძალით აქუცმაცებს კაფელის ორ ფილას იმის გაფიქრებაზე, რომ შესაძლოა, ამ სიყვარულს ვერაფერს გამორჩეს. იგი თავპირისმტვრევით გამოვარდება ტუალეტიდან, როგორც ექსპრეს-მატარებელი არლბერგის[30] გვირაბიდან ყინულივით ცივი ზამთრის ლანდშაფტში, სადაც ჯანსაღი ჰაერია. ეს ლანდშაფტი იმიტომაც არის კიდევ ცივი, რომ აქ ერიკა კოხუცს პატარა სინათლეც არ შეუტანია. კლემერი ურჩევს ამ ქალს, სერიოზულად დაფიქრდეს თავის მცირე შესაძლებლობებზე. ახალგაზრდა კაცი ძლიერ ნაღვლობს და განიცდის მის გამო. მათ ჯერ კიდევ აკავშირებთ საერთო ინტელექტუალური ინტერესები, შემდეგ კი ისინი უეცრად გაქრება და კლემერი მარტო იქნება თავის ბაიდარაში.

კონსერვატორიის კორიდორში, უკვე სრულიად რომ დაცარიელებულა, კლემერის ნაბიჯების ხმა ისმის. იგი ზამბარასავით ხტება საფეხურიდან საფეხურზე, რეზინის ბურთივით, ტოტიდან ტოტზე და კარგი გუნება-განწყობა, რომელიც მოთმინებით ელოდებოდა მას, კვლავ უბრუნდება. საკლასო ოთახის კარსუკან, სადაც ერიკა კოხუტი მოსწავლეებს ამეცადინებს, ჩამიჩუმი არ ისმის. იგი ზოგჯერ მეცადინეობის დამთავრების შემდეგაც უკრავს ხოლმე ცოტა ხანს, რადგან მისი საოჯახო როიალი გაცილებით უარესია. ეს კლემერმა უკვე იცის. იგი მსუბუქად ჰკიდებს ხელს კარის სახელურს, რათა თუნდა რაღაცას შეეხოს, რასაც ყოველდღიურად ეხება მისი მასწავლებელი, მაგრამ კარი ცივი და მდუმარე რჩება. კარი არ ინძრევა, გაქვავებულია, რადგანაც უკვე ჩაუკეტავთ. გაკვეთილები დამთავრდა. ერიკამ ნახევარი გზა გაიარა, მალე თავის

[30] არლბერგი - ადგილი, ტერიტორია ავსტრიის მთიანეთში.

გამოჩერჩეტებულ დედასთან იქნება, რომელთან ერთადაც შეყუ-ჟულა ბუდეში, თანაც ეს ქალები განუწყვეტლივ სცემენ და ტყე-პავენ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, ისინი სულ მუდამ ერთად არიან, ზაფხულის შვებულების დროს, შტირიის აგარაკზე, სადაც მათი ჩხუბი და ლანძღვა გრძელდება. და ასეა უკვე ათწლეულების განმავლობაში! ეს არასახარბიელო სიტუაციაა ასეთი მგრძნობია-რე ქალისათვის, რომელიც, – თუკი ყოველი მხრიდან შევხედავთ და ავწონ-დავწონით, – ჯერ არცთუ ისე ხნიერია. ასეთი დადებითი აზრები უტრიალებს ვალტერ კლემერს თავში თავისი მოსალოდ-ნელი მომავალი შეყვარებულის შესახებ, როდესაც სახლში მიდის, თავის მშობლებთან, რომლებთან ერთადაც ცხოვრობს. მას იქ კარ-გა მსუყე და კალორიული ვახშამი ელოდება მისივე სურვილისა-მებრ, რათა, ერთი მხრივ, ერიკა კოხუტთან დახარჯული ძალა და ენერგია კვლავ აღიდგინოს, მეორე მხრივ კი, იმისათვის, რომ დი-ლით ძალიან ადრე სავარჯიშოდ წავიდეს; სულერთია, რომელ სპორტულ სახეობაში, მაგრამ, ალბათ, უფრო კვლავ ნიჩბოსანთა კლუბს მიაშურებს. მას სურს თავდავიწყებით, მთელი ძალით ივარ-ჯიშოს, და სრულიად სუფთა ჰაერი ისუნთქოს და არა ის, რომე-ლიც მანამდე ათასობით სხვამ შეისუნთქა და ამოისუნთქა. გარდა ამისა, კლემერს, სურს ეს თუ არა, უხდება ისუნთქოს ხოლმე ბენზი-ნის გამონაბოლქვი და იაფფასიანი, უხარისხო საკვების ნაირგვარი სუნი, უბრალო ადამიანები რომ ჭამენ. მას სურს ისუნთქოს სუფთა ჰაერი, ალპური ტყეების სურნელით რომ არის გაჟღენთილი და მდიდარია ქლოროფილით. იგი გაემგზავრება შტაიერმარკში,[31] ყვე-ლაზე უფრო ბნელ და დაუსახლებელ კუთხეში. იქ, ძველ კაშხალ-თან, საგუბართან, კლემერი თავის ნავს წყალში ჩაუშვებს. ღია ნა-რინჯისფერი ლაქა, შორიდან რომ მოჩანს, – მაშველი ჟილეტის ფერი, მოსასხამები და ჩაფხუტები, – გაიქროლებს ტყის ორ ნაპირს

[31] შტაიერმარკი, სხვაგვარად უწოდებენ ასევე შტირიას, – მხარე ავსტრიაში.

შორის, მიუახლოვდება რა ხან ერთ, ხან მეორე ნაპირს, მაგრამ მხოლოდ ერთი მიმართულებით: წინ, მთის ნაკადულის დინების გაყოლებით. საჭიროა გვერდი აუარო ქვებს, კლდის ნატეხებს. არ უნდა გადაბრუნდე! თან ტემპი უნდა შეინარჩუნო! მისი ნიჩბოსანი ამხანაგი მას უკან გამოჰყვება, წინ არ გაუსწრებს. მეგობრობა სპორტში თავდება მაშინ, როცა მეგობარი დიდ სიჩქარეს ავითარებს. მეგობარი იმისთვის არის საჭირო, რომ გამოსცადო საკუთარი ძალები სუსტთან და უპირატესობა გაზარდო შენსა და მას შორის. ამ მიზნით ვალტერ კლემერი წინასწარ მონდომებით ირჩევს ხოლმე შედარებით უფრო გამოუცდელ ნიჩბოსანს. იგი ისეთთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც არ უყვართ დამარცხება მუსიკასა და სპორტულ შეჯიბრებებში. ამიტომ არის იგი გაჯავრებული ერიკა კოხუტზე. როცა სიტყვიერ პაექრობაში მარცხდება, იგი არ ისვრის პირსახოცს რინგზე დანებების ნიშნად, არამედ სახეში ესვრის თავის თანამოსაუბრეს იმას, რაც კი ხელში მოხვდება: ქვებსა და სხვა საგნებს; მტრულად უმზერს, გონებაში არჩევს სიტყვებს, რომელიც, სამწუხაროდ, ვეღარ გამოუთქვამს და გულმოსული ტოვებს რინგს.

სწრაფი, ზამბარისებური ნახტომებით იგი იოჰანესგასზე[32] კერტნერშტრასესკენ მიექანება, შემდეგ კი მიდის კერტნერშტრასეს გასწვრივ წრეზე. ტრამვაი, წრეზე რომ დაცოცავს ოპერის შენობის გასწვრივ, თითქოს დინოზავრიაო, ბუნებრივ დაბრკოლებას უქმნის კლემერსს, რომლის გადალახვაც ძნელია და ამიტომ იგი, მიუხედავად თავისი სითამამისა, ესკალატორზე დგება და ოპერის წინ, გზაჯვარედინთან მიწისქვეშა გვირაბში ჩადის.

რამდენიმე წუთით ადრე ერთ-ერთი სახლის შესასვლელთან გამოჩნდა ერიკა კოხუტის ფიგურა. იგი ხედავს, თუ როგორ ჩაიქროლებს იქვე, ახლოს, ახალგაზრდა კაცი და მას გამოუდგება, კვალდაკვალ გაჰყვება, როგორც ძუ ლომი. ქალმა არ იცოდა, რომ

[32] იოჰანესგასე - იოჰანეს შესახვევი, პატარა ქუჩა.

კლემერი ამდენ ხანს დარჩებოდა ტუალეტში, მაგრამ იგი მას უცდიდა. დიახ, უცდიდა. იგი დღეს მას გვერდზე ჩაუვლის. სხვა მიმართულებით რომ მიდიოდეს, ვერც შეხვდებოდა, მაგრამ, ჩვეულებრივ, იგი იქით მხარეს არ დადის. ერიკა ყოველთვის არის ხოლმე სადმე, სადაც იგი მოთმინებით იცდის. მას შერჩეული აქვს სათვალთვალო პუნქტი იქ, სადაც მას არავინ ელოდება.

კლემერი სწრაფად გარბის ერიკას წინ; იგი მიზანდასახულად მიისწრაფვის ერთი მიმართულებით, არსაითკენ არ უხვევს. ერიკა ყველასა და ყველაფერს გაურბის, მაგრამ, მაგრამ, თუკი ვინმე თვითონ მას გაექცევა, იმწამსვე უკან გაჰყვება, ფეხდაფეხ დაედევნება, როგორც თავის მხსნელს, ფეხდაფეხ მიჰყვება, თითქოს ვეებერთელა მაგნიტმა მიიზიდაო.

ერიკა კოხუცი ქუჩაში სირბილით მიმავალ ვალტერ კლემერს უკან მისდევს, კლემერი, გაჯავრებული, რისი გაკეთებაც ვერ შეძლო და იმით გაღიზიანებული, რაც მისთვის არასასურველია, ვერც კი წარმოიდგენს, რომ სიყვარული უკან ასდევნებია და იმავე ტემპითაც კი მისდევს, რა ტემპითაც თვითონ გარბის. ერიკა უნდობლად უყურებს ახალგაზრდა გოგონებს, რომელთა სხეულებს თვალით ზომავს და ცდილობს, სასაცილოდ წარმოაჩინოს ისინი, როგორ გაამასხარავებს ის დედამისთან ერთად ამ არსებებს, როგორც კი სახლში გაჩნდება! ახლა კი კლემერი და ერიკა მოვლითი და გვერდითი გზებით გამალებით მიდიან იოზეფშტადტის ტერიტორიაზე,

– ერთი იმ მიზნით, რათა დამშვიდდეს, გაგრილდეს, ვნებები დაიცხროს, მეორემ კი – ეჭვისაგან რომ აენთოს და ძარღვებში სისხლი აუდუღდეს. შინ კი დედიკოს ლოდინი მობეზრდა და სოსისებსაც, იგი რომ ხარშავს, არ უყვართ ცდა. შემწვარი ხორცი ამასობაში გამაგრდებოდა და გაუგემურდებოდა, საჭმელად უგემური გახდებოდა. დედა ლოდინით შელახული სიამაყის გამო მცირე „სამზარეულო ეშმაკობას“ მიმართავს: ამ ფრანკფურტულ სოსისებს ისე

მოხარშავს, რომ ისინი გასკდეს და შიგ წყალი შევიდეს, – ასე ეს საკვები გემოს დაკარგავს და ამჯერად გასაფრთხილებლად ესეც საკმარისი იქნება. ამის შესახებ ერიკამ ჯერ არაფერი იცის.

ერიკა კლემერს მისდევს, კლემერი კი წინ გარბის. ერიკა ფეხს კლემერის ნაფეხურებზე ადგამს. ერიკა, ცხადია, მთლად კარგად ვერ ახერხებს თავისი ყურადღების მიუქცევლობით დასაჯოს მაღაზიები, რომელთა გასწვრივაც იგი მიეჩქარება. იგი ალმაცერად შეათვალიერებს ხოლმე ბუტიკების[33] მაღაზიის ვიტრინებს. ერიკა ახლა იმყოფება იმ ადგილებში, რომელთაც იგი არ იცნობს, თუმცა იგი მუდამ ახალი, ძვირფასი ტანსაცმლის ძიებაშია. მას სასწრაფოდ სჭირდება ახალი საკონცერტო კაბა, მაგრამ აქ ასეთ რამეს ვერ ხედავს. სჯობს ქალაქის ცენტრში მონახოს, იქ რამეს შეარჩევს. მხიარული გირლანდები და კონფეტები ამშვენებენ პირველ საგაზაფხულო მოდელებს და ბოლო საზამთრო სავაჭრო კუთხეებს; და კიდევ რაღაც მოციმციმე და მბზინავი რამ, რაც საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ სიბნელეში ჩაითვლებოდა ელეგანტურ საღამურ მორთულობად. რამდენიმე წყვილი საფირმო იტალიური სანდლები მაღალ ქუსლებზე, დამატებით კიდევ კილიტები რომ აქვს ზედ მოყრილი. ვიტრინის წინ ფიქრებში წასული შუახნის ქალი დგას, რომლის ფეხები 41 ნომერ აქლემის ტყავის ფლოსტებშიც კი ვეღარ ჩაეტეოდა, იმდენად დასიებია მრავალრიცხოვანი უინტერესო და დაძაბული შრომისგან. მთელი ცხოვრება ფეხზე იდგა, ამ უინტერესო საქმიანობით ხომ გული ჰქონდა გაწვრილებული. ერიკა მზერას ავლებს დემონისებურად წითელი ფერის შიფონის ტანსაცმელს, სახელოები არშიებით რომ აქვს დამშვენებული. ინფორმაციის მიღება ცოდნას გძენს. აი, ეს ნივთი მას მოსწონს, ის ნაკლებად, რადგანაც ქალი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა.

ერიკა კოხუტი მიჰყვება ვალტერ კლემერს, რომელსაც არც ერთხელ არ მოუხედავს უკან. იგი ერთ-ერთი სახლის, შეძლებული

---

[33] ბუტიკი - უმეტესად ძვირად ღირებული ტანსაცმლის მაღაზია.

და გავლენიანი მოქალაქეები რომ ცხოვრობენ, სადარბაზოში შედის. იგი მიემართება თავისი მშობლების ბინისკენ მეორე სართულზე, სადაც ოჯახის წევრები უკვე ელოდებიან. ერიკა კოხუტი კლემერს თან არ შეჰყოლია. თვითონ ისიც აქვე ახლოს ცხოვრობს, იმავე რაიონში. ქალმა სკოლის საანკეტო მონაცემებიდან იცის, რომ კლემერი მასთან ახლო ცხოვრობს, რაც შინაგანი სიახლოვის სიმბოლოა. ვინ იცის, შეიძლება ერთი მეორისთვის იყოს განკუთვნილი და მეორე უნდა მიხვდეს, შეიგნოს ეს კარგა მაგარი ბრძოლისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ.

სოსისებს ბევრი ცდა აღარ მოუწევთ, ერიკა უკვე მათკენ მიემართება. ქალმა იცის, რომ ვალტერ კლემერი არსად არ შეჩერებულა, არსად გაუხვევია, არამედ პირდაპირ სახლში წავიდა, ამიტომ დღეს უკვე შეუძლია შეწყვიტოს დაკვირვება და თვალთვალი.

ვენის პრატერში ატრაქციონებზე გასართობად მოსულა ხალხი. პრატერის ატრაქციონებზე მშობლები, მუცლები რომ აქვთ გამოტენილი შემწვარი ღორის ხორცით, გუფთებით, ლუდითა და ღვინით, თავიანთ ასევე გამძღარ ნაშიერებს მოძრავ კალათებში ან სხვადასხვა ფერით გალაქულ პლასტმასის ცხენებზე, სპილოებზე, ავტომობილებზე, დრაკონებზე სხამენ. მბრუნავ კარუსელზე მჯდარ ყმაწვილს გული ერევა და პირიდან საჭმელს აღებინებს, ასე წვალებითა და მოთმინებით რომ აჭამეს. ამისათვის მან სილა დაიმსახურა: საჭმელი ხომ პარკის სასადილოში ფული ღირს და მისი ხარჯვის ნებას ყოველდღე ვერ მისცემ საკუთარ თავს. მშობლების მიერ შეჭმული საჭმელი მათ მუცელშივე რჩება, რადგან ძლიერი კუჭი აქვთ და თან ელვასავით სწრაფი ხელები, – როდესაც ისინი ბავშვების სხეულის ამა თუ იმ ორგანოზე ეშვება. თუ მშობლებმა, დავუშვათ და ბევრი დალიეს, მათ შეიძლება ვერც აიტანონ სწრაფი ტემპით სვლა გორაკებზე. თავიანთი გულოვნება რომ გამოსცადონ და ისიამოვნონ იმის განცდით, აი, როგორი მარჯვე და მოხერხებული ვართო, ყველაზე უმცროსი თაობის წარმომადგენლე-

ბი მიეშურებიან ატრაქციონებისაკენ, რომლებშიც გამოყენებულია ბოლოსწინა „ჰიპების“ თაობისდროინდელი მიკროელექტრონიკის მიღწევები. ეს ატრაქციონები ატარებენ კოსმოსურ სახელებს, სწრაფად და ზუზუნით იჭრებიან ჰაერში, ტრიალებენ იქ სხვადასხვაგვარად, ცვალებადი მიმართულებით და მაშინ უკვე ძნელია დადგენა, სად არის „ქვემოთ“ და სად „ზემოთ“. აქ რომ რამეში ჩაჯდე, თამამი და გაბედული უნდა იყო. ყოველივე აქ განკუთვნილია მოზარდებისათვის, რომლებმაც ამ სამყაროში უკვე გარკვეული წრთობა მიიღეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ იციან, რა არის პასუხისმგებლობის გრძნობა, – არც თავიანთი სხეულის მიმართ. ისინი იტანენ, როცა „ქვემო“ ერთბაშად „ზემოთ“ ადის და, პირიქით. კოსმოსური ატრაქციონი იგივე ლიფტია, ორი უზარმაზარი ჭრელი მეტალის ჰილზისგან რომ შედგება, რომელშიც ხალხი იმყოფება. ამასობაში კი დედამიწაზე თავიანთი საცოლეებისათვის პლასტმასის თოჯინებს ისვრიან, იმარჯვებენ და ქალებსაც ნადავლი სახლში მიაქვთ. გადის წლები. ამასობაში უკვე გულგატეხილი ქალი გრძნობს, იხსენებს, თუ რა ბევრს ნიშნავდა იგი ერთ დროს თავისი მეგობრისათვის.

პრატერის ლანდშაფტის მწვანე სივრცეებსა და მდელოებზე, ადგილ-ადგილ მსხვილი ბუჩქნარებით რომ არის დაფარული, არაერთგვაროვანი სურათია. დიდი, ლამაზი და სწრაფი ავტომობილების მფლობელები მოდიან აქ და მოჰყავთ ცხენზე სეირნობის მოსურნე ოჯახის წევრები, რომელთაც სათანადო ტანსაცმელი აცვიათ. აქ მოსეირნე მდივანი ქალებიც „ძირს უთხრიან“ თავიანთ ბიუჯეტს, რადგან შეფი მოითხოვს, რომ მათ სამუშაო დღეებშიც, სადად და ელეგანტურად ეცვათ. ბუღალტრებიც ტყავიდან ძვრებიან, ცდილობენ, რომ შაბათ დღეს, დღის მეორე ნახევარში, ერთი საათის განმავლობაში ცხენზე ჯდომით გული იჯერონ. ამისათვის ისინი სიამოვნებით ასრულებენ ზეგანაკვეთურ სამუშაოებს. მენეჯერები და საწარმოთა ხელმძღვანელები ყოველივე ამას უფრო

მშვიდად უყურებენ, – მათ შეუძლიათ თავს ამის ნება მისცენ, ოღონდ ეს აუცილებელი როდია. ყოველი მათგანი ისედაც კარგად ხედავს, ვინ რას წარმოადგენს და ახლა ისინი უკვე გოლფის სათამაშო მოედნისაკენ იყურებიან.

ცხენით გასეირნებისათვის, რასაკვირველია, უფრო უკეთესი და ლამაზი ადგილებიც არსებობს, მაგრამ სხვაგან ვერსად ნახავთ ამდენ უწყინარ ოჯახებს თავიანთი ბავშვებითა და საბელგამობმული ძაღლებით, მხიარული ჟრიამულით რომ ავსებენ იქაურობას; ბავშვები იძახიან: – ო, რა ცხენია, ჩვენც გვინდა ცხენით გასეირნება! მაგრამ ისინი სანაცვლოდ მხოლოდ სილის გარტყმითა და ყურის აწევით ჯილდოვდებიან, თუკი თავიანთ სურვილს ძალიან ხმამაღლა და ჭირვეულად გამოხატავენ. მშობლები ფიქრობენ, ჩვენ ამდენი საშუალება არა გვაქვსო. სამაგიეროდ ბიჭუნებსა და გოგონებს მოტრიალე კარუსელებში ჩასვამენ, სადაც ისინი, პლასტმასის ცხენებზე შემსხდარნი, ჟივილ-ხივილს განაგრძნობენ. ბავშვი აქედანაც რაღაცას სწავლობს, ხედავს რა, რომ ბევრ რამეს, რაც მისთვის მოულოდნელი და აკრძალულია, იაფი ასლიც მოეპოვება. სამწუხაროდ, ყმაწვილი მხოლოდ იმაზე ფიქრობს ხოლმე, რასაც მას უკრძალავენ და მას ხანდახან სძაგს მშობლები.

არის აგრეთვე პარკის სხვა ადგილები – კრია და ფროიდენაუ, სადაც პროფესიონალი ცხენოსნები დაქრიან და იქ ჩორთით მოსიარულეებს არაფერი ესაქმებათ, და, ვინც ოთხით მიხტის, იმანაც ფეხს უნდა აუჩქაროს. მიწაზე ყველგან მიმოფანტულია ცარიელი თუნუქის სასმელი კოლოფები, ქილები, ქაღალდის ბილეთები და სხვა სახის ნაგავი, რომლის მონელებაც ბუნებას არ შეუძლია. აი, ნაზ, მსუბუქ ქაღალდს კიდევ აიტანს, რომლისგანაც ერთჯერად ცხვირსახოცებს ამზადებენ. ერთ დროს ქაღალდი ნატურალური პროდუქტი იყო, მაგრამ გავა ძალიან ბევრი დრო, ვიდრე ის კვლავ ასეთი გახდება. მაგრად დატკეპნილ მიწაზე მიმოფანტულია ქაღალდის თეფშები, თითქოს უვარგისი სათესი მასალააო. კარგად გა-

მოკვებილი ოთხფეხა მონავარდეები, კარგად დაკუნთულნი და ასალით[34] ზურგდაფარულნი, წრიულ გარბენას ასრულებენ. მათ სხვა საზრუნავი არა აქვთ, გარდა იმისა, თუ რომელი ტაქტიკით იბრძოლონ, რათა მესამე გარბენში უთუოდ გაიმარჯვონ; და თვითონ ამის შესახებაც უკარნახებს მათ ჟოკეი ან მხედარი, სანამ დამარცხდებოდნენ.

როდესაც დღის შუქი ქრება და გარშემო ღამის სიბნელე ისადგურებს, ღამისა, ხელსაქმის კეთებაში, კასტეტის ხმარებასა და ზოგჯერ პისტოლეტის სროლაში რომ ატარებენ, სცენაზე გამოდიან კაცები და ქალები და ძალიან ახალგაზრდა კაცებიც, რადგან, როდესაც ისინი ხანში შევლენ, კლიენტებისთვის უფრო ნაკლებად საინტერესო იქნებიან, ვიდრე ხნიერი ქალები. ჰომოსექსუალებისათვის ქალები, ცხადია, არც ერთ სტადიაში არ არიან რაიმე მნიშვნელობის მქონენი. მაშ, ასე, პრატერმა თავისი ჭიშკარი ფართოდ გააღო.

ეს ადგილი ყველამ იცის ვენაში, თვით პატარა ბავშვებმაც კი, რომელთაც მუდამ აფრთხილებენ, სიბნელის დროს იქაურობას ახლოს არ გაეკარონ: მარცხნივ ბიჭები, მარჯვნივ გოგონები. აქ მრავალი ხანშიშესული ქალიცაა, თავიანთი ცხოვრებისა და პროფესიის ზღვარზე რომ იმყოფებიან. ხშირად მათ უსულო, დაფლეთილ გვამებს გაქანებული მანქანებიდან გზაზე ისვრიან, პოლიცია გამოძიებას აწარმოებს, მაგრამ თითქმის ყოველთვის უშედეგოდ, – დამნაშავე ხომ მშვიდი და კეთილმოწყობილი სამყაროდან მოვიდა და კვლავ იქ დაბრუნდა. ან შეიძლება ეს სუტენიორმა გააკეთა, რომელსაც ალიბი აქვს. აქ აღმოაჩინეს მოძრავი, გადასატანგადმოსატანი მატრასი[35] და პირველად აქვე გამოიყენეს. ვისაც არა აქვს თავისი ბინა, ოთახი, ავტომობილი, სასტუმროს ნომერი თუ სხვა სახის თავშესაფარი, ეს მოძრავი მატრასი მაინც უნდა ჰქონდეს, რომე-

---

[34] ასალი - ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი.

[35] მატრასი - ლეიბი, ქვესაგები.

ლიც ათბობს და მასზე შეიძლება კაცი რბილად მოეწყოს იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოძალებული ვნება აიწყვეტს და დაკმაყოფილებას საჭიროებს. აქ ვენური ზნე-ჩვევები მთელი თავისი განუსაზღვრელი უკეთური თვისებებითაა გამოვლენილი; აქ დაინახავთ, როგორ გარბის ცქვიტი, ფეხმარდი იუგოსლავი კაცი ან აფორიაქებული ფიუნფჰაუსელის[36] ზეინკალი, ფულის დაზოგვა რომ სურს და როგორ მისდევს უკან უხამსი სიტყვების ფრქვევით პროფესიონალი მეძავი ქალი, რომელიც ანგარიშში მოატყუეს და გააცურეს. ფიუნფჰაუსელ ზეინკალს თავისთვის და თავისი მეგობარი ქალისათვის ისე ძალიან არაფერი სურს, როგორც რაიმე ვანდფერბაუ, რომლის კედლის იქითაც არ გამოჩნდება მისი პირადი ცხოვრების უხამსობანი და ღორული ქმედებანი. აქ მას შეეძლება სხვის ცნობისმოყვარე თვალს მოარიდოს და თან საიმედოდ შეინახოს წიგნები, ფირფიტებიანი სტერეოდანადგარი, ტელევიზორი, რადიომიმღები, პეპლების კოლექცია, აკვარიუმი და ყოველგვარი გასართობი საგანი, რაც სულსა და გულს გაუხარდება. – სტუმარი მხოლოდ ხისგან გაკეთებულ საფარს დაინახავს პალისანდრის ქვეშ, მის უკან არსებულ არეულობასა და უწესრიგობას კი ვერა. იგი, ალბათ, შენიშნავს, – და დაე, შენიშნოს, – პატარა სახლის ბარს სხვადასხვა ფერის ლიქიორებითა და გაუთავებელი წმენდისაგან გაპრიალებული სასმისებით. ცოლქმრული ცხოვრების პირველ წლებში ამ სასმისებს ჯერ კიდევ მონდომებით წმენდდნენ და აპრიალებდნენ. მოგვიანებით, გარკვეული ხნის შემდეგ, მათ ბავშვები დაამსხვრევენ, ანდა ცოლი განზრახ აღარ გაწმენდს, რადგან ქმარი საიდანღაც სულ მუდამ მთვრალი ბრუნდება. სარკიანი ბარიც თანდათან სულ უფრო და უფრო მტვრიანდება. იუგოსლაველს, ისევე როგორც თურქს, ქალი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ეჯავრება, ზეინკალს კი მხოლოდ მაშინ, თუკი უსუფთაოა ან, როცა ის ფულის გულისთვის მრუშობს. – ფულს სხვაგან უკეთ გამოვიყენებ,

[36] ფიუნჰაუსი - ვენის მუშათა რაიონი.

სადაც უფრო ხანგრძლივ სიამოვნებას მივიღებ და არა მრუშ ქალთან, რომელთანაც სულ რაღაც ერთი წუთი სიამოვნება მელის, – ამბობს ზეინკალი თავისთვის. იგი ფიქრობს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ქალი მასთან დიდ სიამოვნებას იღებს, როგორსაც სხვა კაცები ვერ მიანიჭებენ, – დიახ, ასე მსჯელობს ზეინკალი. ხშირად იგი ვერ ისრულებს წადილს, ვერ უახლოვდება მისთვის სასურველ ქალს, რადგან ამ მხარესა და წრეებში მას უკვე იცნობენ და სასტიკად დევნიან. მაგრამ განსაკუთრებით ძნელი ფინანსური მდგომარეობის დროს, – სესხი ხომ უნდა გადაიხადოს, – იგი რისკზე მიდის ხოლმე, რასაც ადვილად შეიძლება შედეგად ის მოჰყვეს, რომ კარგა მაგრად მიბეგვონ ან უფრო უარესიც მოხდეს. მისი სურვილი, ზოგჯერ ერთი ქალის სხეული მეორე ქალის სხეულით შეცვალოს, ყოველთვის როდი შეესაბამება მის განზრახვასა და ფინანსურ შესაძლებლობებს.

და იგი თავისთვის ისეთ ქალს ირჩევს, რომელიც ისე გამოიყურება, რომ არავის მოუვა აზრად მისი დაცვა. ქალი, ალბათ, მისი მადლიერიცაა, რადგან ზეინკალი კარგა ჩაფსკვნილი და დაკუნთული კაცია. მან გამოძებნა ტიპური მარტოხელა ქალი, უკვე საკმაოდ ხანშიშესული რომ არის. იუგოსლავი ან თურქი ამ რისკზე ხშირად ვერ წავა, რადგან აქაური ქალები მათ უმეტესწილად ახლოსაც არ იკარებენ; ყოველ შემთხვევაში, ქვის სასროლ მანძილზე მაინც. ქალი, ვინც ასეთ კლიენტს ისურვებს, საფასურად ვერც ვერაფერს მოითხოვს, რადგან ამ ქალის შრომას დიდი ფასი არ აძევს. რომელიმე თურქი, მაგალითად, რომელიც ასევე თითქმის არაფერს წარმოადგენს და არაფრად უღირს თავის შეფს, მის მიერ თურქისადმი გაცემული ხელფასის ოდენობითაც რომ დასტურდება, ზიზღს გრძნობს თავისი პარტნიორი ქალის მიმართ და მაინც მასაც და ზეინკალსაც რაღაც უსიამოვნო გრძნობა იზიდავთ იმ გარდაუვალი ფაქტისადმი, ქალი რომ ჰქვია. ისინი ამ ქალთან ხალხში არ

გამოჩნდებიან, მაგრამ, რადგან იგი არსებობს და მათთან არის, სხვა რაღა უყონ მას?

ფიუნფჰაუსელი ზეინკალი, სულ ცოტა ერთი კვირის განმავლობაში, თავის საცოლეს კარგი მოპყრობით და მოქცევით დააფასებს. იგი მას სუფთა და მუყაით ქალს უწოდებს. ზეინკალი ეუბნება თავის მეგობრებს, მასთან ყოფნა არ მრცხვენია და ეს უკვე ბევრს ნიშნავსო! მას შეუძლია ამ ქალთან ერთად დისკოთეკაზე გამოჩნდეს; იგი უპრეტენზიო ქალია და მამრისგან ბევრს არაფერს ითხოვს. ქალი კიდევ უფრო ცოტას იღებს, მაგრამ ამას სრულიადაც ვერ ამჩნევს. ის ბევრად უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ზეინკალი. ქალი უწესრიგო ოჯახიდანაა და ამიტომ მით უფრო აფასებს მოწესრიგებულ ცხოვრებას. ზეინკალმა იცის, რა შესთავაზოს მას. თურქზე პირადად არ ლაპარაკობენ, რადგან იგი ფაქტობრივად არც არის აქ. ის მუშაობს. მუშაობის შემდეგ კი მან თავი სადმე უნდა შეაფაროს, რათა უამინდობისგან მაინც დაიცვას იგი, მაგრამ სად, – არავინ იცის. ალბათ, ტრამვაიში ისე, რომ ბილეთი არ იყიდოს. გარემომცველი არათურქული სამყაროსათვის იგი ერთგვარი მუყაოს პატარა ფიგურასავითაა, რომელსაც ტირში მიზანში ესვრიან ხოლმე. როდესაც მუშაობის დრო დგება, იგი ელექტრომოტორისტის დახმარებით გარეთ გამოჰყავთ, ვიღაც მას ესვრის, ტყვია ხვდება, ან არ ხვდება, იგი გარბის ისე, რომ ვერავინ ხედავს და არც არავინ იცის, რა მოუვიდა მას; ალბათ, არც არაფერი მოსვლია, რადგან კვლავ გამოდის სცენაზე და ყოველივე თავიდან იწყება.

ერიკას თავისი პატარა გემი თავისუფლად მიჰყავს სანადირო ადგილებში, რომელიც პრატერის მთელ საპარკო ნაწილზეა გადაჭიმული. ცოტა ხნის წინ მან ეს ადგილებიც მოიარა. გააფართოა თავისი მოქმედების არე, – ადგილობრივ, ახლო გარემოცვის ნადირებსა თუ მათ ჩვევა-საქციელს უკვე კარგად იცნობს. ამ ნადირობისათვის გაბედულებაა საჭირო. მას მაგარი, გამძლე ფეხსაცმელი აცვია, რომლებითაც, საჭიროების შემთხვევაში, – რათა შეუმჩნევე-

ლი დარჩეს, – ბუჩქებში გადაინაცვლებს, ან შეიძლება ფეხის დადგმა მოუწიოს ძაღლის განავალზე, ან პლასტმასის პატარა ბოთლზე (საბავშვო ლიმონათის თხევადი ნარჩენები რომაა შიგ), – ლიმონათის ამა თუ იმ სახეობას ტელევიზიით რეკლამას ცხოველები უკეთებენ სიმღერით, - ქაღალდის თეფშებზე მდოგვის ნარჩენებია, ბოთლის ნამტვრევებზე... იგი ნერვიულად და ფრთხილად ზვერავს და ყნოსავს გარემოს. შეისუნთქავს ჰაერს და კვლავ ამოისუნთქავს.

მაგრამ აქ, „პრატერშტერნის“ გაჩერებაზე, სადაც ერიკა ჩამოდის, არაფრის საშიშროება არ არსებობს. აქ, ამ სხვადასხვა ჯურის ხალხში, თავისუფლად შეიძლება გაიაროს ელეგანტურად ჩაცმულმა ქალმა, თუმცა ეს ადგილები არცთუ მთლად გამორჩეული და ფაქიზია. აქა-იქ ცალ-ცალკე მდგომი უცხოელები ან გაზეთებს ყიდიან, ან შეფარულად სთავაზობენ გამვლელ-გამომვლელს უზარმაზარ პლასტიკურ ქამრიან ჩანთებში ჩაწყობილ საქონელს, – მამაკაცის სპორტულ მაისურებსა და პერანგებს დაგვირისტებული ჯიბეებით, – პირდაპირ ფაბრიკიდან, – მყვირალა ფერის ქალის მოდურ კაბებს, – პირდაპირ ფაბრიკიდან, – ბავშვთა სათამაშოებს, – პირდაპირ ფაბრიკიდან (მართალია, ეს სათამაშოები ოდნავ დაზიანებულია), – წვრილმან ნაწილებს ელექტროხელსაწყოებისა და ელექტრული ტექნიკის საჭიროებისათვის, – პირდაპირ ფაბრიკიდან ან ძარცვის ადგილიდან, პორტატულ რადიომიმღებსა და ფირსაკრავებს, – პირდაპირ ფაბრიკიდან ან ძარცვის ადგილიდან, ასევე სიგარეტის ბლოკებს, – ვინ იცის, საიდან. ერიკა სადად და უბრალოდ არის ჩაცმული, მაგრამ მაინც ისე გამოიყურება, თითქოს მისი დიდი ჩანთა, მხარზე რომ აქვს ჩამოკიდებული, სპეციალურად იმისათვის არის გაკეთებული ან საგანგებოდ იმისათვის მოტანილი, რომ მასში გარშემომყოფთა შეუმჩნევლად დამალოს სრულიად ახალი კასეტებიანი მაგნიტოფონი, – გაურკვეველი წარმოებისა და საეჭვო ტექნიკური გამართულობისა, – რომელიც ახალ, გამჭვირვალე ქა-

ღალდშია გახვეული. სინამდვილეში კი ჩანთაში სხვა საჭირო წვრილმან ნივთებთან ერთად ერიკას აქვს ღამით საყურებელი ბინოკლი. ერიკა გამოიყურება როგორც შეძლებული, გადახდისუნარიანი კლიენტი, რომელსაც აცვია ნამდვილი ტყავის ფეხსაცმელი, მისი პალტო მყვირალა ფერისა როდია, წამსვე რომ თვალში ეცემა კაცს, მაგრამ მაინც საკმაოდ სოლიდური შესახედაობისაა და კარგად და კოხტად ადგას ტანზე თავის პატრონს. პალტოს აქვს ეტიკეტი, მსოფლიოში ცნობილ ინგლისური ტანსაცმლის ფირმას რომ ეკუთვნის. ასეთი პალტო შეიძლება მთელი ცხოვრება ატარო, თუკი მანამდე კაცს არ მობეზრდა და „ყელში არ ამოუვიდა“. დედა დაჟინებით ურჩევდა ერიკას, ეყიდა სწორედ ეს პალტო. საერთოდ კი ის გაურბის რაიმე სახის ცვლილებას ცხოვრებაში; პალტო კვლავ ერიკას აცვია, ხოლო ერიკა ისევ დედასთან ცხოვრობს.

ერიკა გვერდს უვლის და თავიდან იცილებს შემოტევაზე გადმოსულ თავხედ იუგოსლაველს, რომელიც ცდილობს, შეაჩეროს მას ყავის სახარში მოწყობილობა, თან იმის იმედითაც, რომ მას გაცილება შესთავაზოს. – ოღონდ ჯერ ამ ჩემს ნივთს შეგიხვევო, – აგრძნობინებს კაცი. ერიკა მას ზურგს აქცევს, გადააბიჯებს რაღაც უხილავს და პარკის იმ მხარეს, პარკის იმ ნაწილისკენ მიდის, სადაც შეიძლება მარტო მყოფი ადამიანი ადვილად დაიკარგოს. ერიკა სულაც არ ცდილობს დაიკარგოს სადმე, არამედ, პირიქით, სურს რაღაც შეიძინოს, ნადავლი მოიპოვოს; მაგრამ, დავუშვათ და იგი დაიკარგა, მაშინ დედამისი, რომლის კეთილდღეობასა და შეძლებას ერიკა თავისი დაბადების დღიდან უზრუნველყოფს, მაშინვე გაეშურებოდა თავისი პრეტენზიების ხმამაღლა გასაცხადებლად. იგი ფეხზე დააყენებდა მთელ დუნიას მის მოსაძებნად, მთელ პრესას, რადიოსა და ტელევიზიას. მისდაუნებურად რაღაცა ეწევა ერიკას ამ ადგილებისაკენ და თანაც არა პირველად. აქ ადრეც ხშირად ყოფილა. იგი იცნობს ამ მხარეს. მოსეირნეთა ჯგუფები თანდათან მცირდება. ისინი აქეთ-იქით იფანტებიან, ცალკეული ინდივიდები

სხვადასხვა მხარეს იშლებიან ჭიანჭველების მსგავსად, რომელთა-განაც თითოეული ასრულებს თავის სახელმწიფოებრივ გარკვეულ დავალებას. ერთი საათის შემდეგ ნადირი ამაყად გამოაჩენს მოტანილ ნადავლს – ხილის ან მძორის პატარა ნაფლეთს.

ეს-ესაა გაჩერებებზე ხალხი შეგროვდა. ისინი პატარა ჯგუფებსა და კუნძულებს ჰგავდნენ და თითქოს სურდათ, რაიმე მიმართულებით ერთად დაძრულიყვნენ. ამ დროს, როგორც ეს ერიკამ კარგად გამოთვალა, სწრაფად ბნელდება და ხალხიც თანდათან ქრება. უფრო მეტი ხალხი ხელოვნური განათების ირგვლივ გროვდება. აქ, ამ განაპირა მხარეს, მხოლოდ ისინი იმყოფებიან მუდმივად, ვისაც ეს სამსახურებრივად ევალება; ან კიდევ ისინი, რომელთაც თავიანთი ჰობი აქვთ – დატკბნენ ქალის სხეულით, გაძარცვონ ან მოკლან ვინმე, ვისთანაც ეს-ესაა ვნებიანი წუთები გაატარეს. ზოგიერთი, უბრალოდ, საყურებლად მოდის.

კიდევ ერთი დაგვიანებული ბავშვი, დატვირთული, სეზონისათვის შეუფერებელი სპორტული ინვენტარით, მიიჩქარის გადახურული მოსაცდელი ადგილისაკენ გაჩერებაზე, თავში უტრიალებს რა მშობლების გამაფრთხილებელი შეგონებანი, რომ ღამით პრატერის პარკში არ უნდა იაროს. და ეს შეგონებანი იმ შემთხვევებსაც იხსენიებენ, როცა – და ეს უკეთეს შემთხვევაში – ახალი თხილამურები, რომლებიც ნაყიდია საგაზაფხულო ვაჭრობის დროს და რომლებიც მხოლოდ მომდევნო სეზონზე გამოდგება, ძალად გადადიოდა სხვა მფლობელის ხელში. ბავშვი დიდხანს იბრძოდა ამ თხილამურებისათვის და მათ ასე იოლად არავის დაუთმობდა. იგი ხვნეშით ახლოს ჩაუვლის ფროილაინ ერიკას, გაოცებულია რა ამ მარტოხელა ქალით და იმითაც, რომ მას მშობლები სრულიად სხვა რამეს ჩააგონებენ.

ერიკა მიდის სიბნელით მოცულ, ფართოდ გაშლილ მდელოებზე, რომლებიც ადგილ-ადგილ ბუჩქნარით, კოროომებითა და ტყიანი მასივითაა დაფარული. მდელოებს, ამ ადგილებში რომ გადაშლი-

ლან, თავისი სახელწოდება აქვს. ერიკას განუზრახავს, მიაღწიოს იეზუიტების მდელომდე; იქამდე ჯერ კიდევ კარგა მანძილია და იგი თანაბარი ნაბიჯებით მიეშურება იმ ადგილისაკენ. უკან რჩება ატრაქციონების ზონა, შორს გაიბრწყინებს და შემდგომ ქრება შუქი. მოისმის მოკლე სროლისა და ხმამაღალი, გამარჯვების გამომხატველი, ნიშნის მოგები ხმები. ახალგაზრდები ჟივილ-ხივილით ვარჯიშობენ სპორტულ დარბაზში ან ჩუმად და უხმაუროდ სარგებლობენ ტრენაჟორებითა და სხვა სპორტული იარაღებით, რომლებიც, თავის მხრივ, ხმამაღალ ჟღერადობას გამოსცემენ, წკრიალებენ, წრიპინებენ, ჟღარუნებენ, ნაპერწკლებს ისვრიან. ეს ხმაური და ჟრიამული ერიკამ ზურგსუკან მოიტოვა. სინათლის სხივები ეთამაშება ერიკას თითებს, ინაცვლებს თმებზე, ცურდება ქვემოთ, მისი პალტოს ჩაყოლებით, ეცემა მიწაზე მის ზურგსუკან და იკარგება ჭუჭყსა და ნაგავში. მოისმის მოკლე სროლის, აფეთქების შორეული ხმები, მაგრამ ვერც ისინი აღწევენ ერიკამდე, ირგვლივ ყველაფერი ყუჩდება და მას საშიშროება აღარ ემუქრება.

ერიკა გზას განაგრძობს. იგი ძალიან შორს მიდის, – წინ, გარკვეულ მანძილზე, უკვე დუნაი მიედინება, იქით არის ლობაუს ნავთის ჩამომსხმელი წერტი, ფროიდენაუს პორტი, ალბერნის მარცვლეულის პორტი. შემდეგ ლურჯი წყალი, წყლის ლურჯი დინება და უპატრონოთა სასაფლაო. მეორე მხარეს სავაჭრო სანაპირო, პრატერლენდე. აქ მოდიან, ჩერდებიან და შემდეგ კვლავ გზას აგრძელებენ გემები. დუნაის იქითა მხარეს მოჩანს ვეებერთელა ნოღა[37], რომლის შენარჩუნებისთვისაც „მწვანეთა მოძრაობის“ ახალგაზრდობა იბრძვის, ქვიშის სანაპირო ადგილები, საძოვრები, მურყანი, ბუჩქნარები, ნაპირთან მოთამაშე ტალღები. მაგრამ ერიკა ასე შორს არ მიდის, იქამდე კარგა დიდი მანძილია. ამ გზას მხოლოდ კარგად აღჭურვილი ტურისტი თუ გაივლის, რომელიც შეისვენებს, დანაყრდება და კვლავ გზას გაუდგება. ერიკა ახლა რბილ

[37] ნოღა - მდინარის გაყოლებით არსებული ნაყოფიერი ადგილები.

მდელოზე მიაბიჯებს. მიდის და მიდის. აი, პატარა გაყინული კუნძულისმაგვარი მიწის მონაკვეთები, თოვლის საფარი, ჯერ კიდევ ზამთრისგან დამზრალი ბალახი, - ყვითელი და ყავისფერი. ერიკა თანაბარი, გამოზომილი ნაბიჯებით მიდის წინ, როგორც მეტრონომი.[38] თუ შემთხვევით ერთი ფეხი ძაღლის მიერ დატოვებულ განავალში ჩაყო, მაშინვე მეორე ფეხი გრძნობს ამას და გვერდს უვლის, გადააბიჯებს ამ ადგილს, დიდხანს რომ შეუნარჩუნებია მყარალი სუნი. დასვრილ ფეხსაცმელს ბალახზე იწმენდს; სინათლის სხივები თანდათან უკან რჩება. წყვდიადი აღებს თავის ჭიშკარს: შემოდი შიგ! ფროილაინ კოხუტმა თავისი გამოცდილებით იცის, რომ ამ ადგილებში შეიძლება წაასწროს მრუშ ქალებს თავიანთი „სამსახურებრივი“ მოვალეობის შესრულების დროს. ერიკას ჯიბეში საგზლად უდევს ძეხვიანი ფუნთუშა. ეს მისი საყვარელი საჭმელია, თუმცა კი დედა ეუბნება ხოლმე, ძეხვი ჯანმრთელობისათვის მავნეაო. მან ასევე თან წამოიღო პატარა ჯიბის ფარანი ყოველი შემთხვევისთვის; პატარა გაზის პისტოლეტი მომხდურის შესაშინებლად, – პაწია, როგორც თითის ფალანგები,[39] უკიდურესი შემთხვევისათვის; პატარა პარკში ჩასხმული რძე, თუკი ძეხვმა წყურვილი მოჰგვარა; ბევრი ქაღალდის ცხვირსახოცი საჭიროების შემთხვევაში; ცოტაოდენი ფული, - იქნებ ტაქსისთვის დასჭირდეს და არავითარი პირადობის დამადასტურებელი საბუთი თვით უკიდურესი შემთხვევისთვისაც. საველე ბინოკლი. ეს მამისგან დარჩა, რომელიც, როდესაც საღ გონებაზე იყო, ამ ბინოკლით მთებს, გორაკებსა და ფრინველებს ათვალიერებდა ხოლმე ღამღამობით. რაც შეეხება დედას, იგი დარწმუნებულია, რომ მისი ქალიშვილი ოჯახურ კამერულ კონცერტზეა წასული და საზეიმო ტონით აცხადებს, ერიკა იქ მარტო გავუშვი, ვაძლევ რა ამით დამოუკიდებლად

---

[38] მეტრონომი - ქანქარიანი ხელსაწყო, იყენებენ ზუსტი ტემპისა და ზუსტი გაზომვებისათვის მუსიკაში, ლაბორატორიაში.

[39] ფალანგა - თითების მოკლე, ლულოვანი ძვლები.

ცხოვრების საშუალებასო. ამიტომ საჭიროა არ არის დედისათვის მუდმივად საყვედურების თქმა, ქალიშვილს განძრევის საშუალებას არ აძლევსო. სულ ცოტა, ერთ საათში დედა პირველად დაურეკავს თავისი ქალიშვილის კოლეგას მუსიკის დარგში, რომელიც მას წინასწარ შეთხზულ თუ მოფიქრებულ პასუხს დაახვედრებს. კოლეგა ქალი კი დარწმუნებულია, ერიკას სასიყვარულო რომანი აქვს ვიღაცასთანო და უხარია, რომ ეს ამბავი გაანდეს.

მიწა შავია, ცა ცოტათი თუ გამოირჩევა მიწისაგან და, თუ გამოირჩევა, მხოლოდ იმდენად, რომ ოდნავ უფრო ნათლად ჩანს და კაცი გაარჩევს, თუ სად არის მიწა და სად არის ცა. ჰორიზონტზე ილანდება ხეების მკრთალი სილუეტები. ერიკა ფრთხილად მიაბიჯებს, წყნარად და ბუმბულივით მსუბუქად. თითქოსდა უჩინარია, ჰაეროვანი, სმენად და თვალებად ქცეული. ბინოკლი მისი თვალების გაგრძელებაა. ერიკა ერიდება იმ გზა-ბილიკებს, რომლებზეც სხვა მოსეირნენი დადიან; ეძებს იმ ადგილებს, სადაც სხვა მოსეირნენი ერთობიან - ქალი და კაცი. მას ხომ არაფერი ჩაუდენია ისეთი, რომ ხალხის ეშინოდეს. ბინოკლის მეშვეობით იგი ზვერავს წყვილებს, რომელთაც სხვები თვალს მოარიდებდნენ და ზურგს შეაქცევდნენ. ფეხქვეშ მიწა აღარ ჩანს, ფეხის ცეცებით სინჯავს ნიადაგს და ალღოთი მიდის. ის მთლად სმენადაა ქცეული, როგორც ეს მის პროფესიას სჩვევია. ზოგჯერ თითქოს მუხლი ეკეცება, წაიბორძიკებს კიდეც, მაგრამ შემდეგ კვლავ გარკვეული მიმართულებით მიდის. მიდის და მიდის, მიდის და მიდის...

ბოლოს და ბოლოს, მივიდა, მიაღწია დანიშნულების პუნქტს. მდელოზე ერიკა კოხუტის წინ ისმის მოსიყვარულე წყვილის შეძახილები, ხმაურიანი კოცონის ტკაცუნის მსგავსად, ცეცხლის ენები რომ გაიღებენ ხოლმე ჰაერში, მიიწევენ რა სულ უფრო და უფრო ზემოთ, ცისაკენ. აი, ესეც მჭვრეტელის სანუკვარი ადგილი. ეს წყვილი ისე ახლოა, რომ ერიკას ბინოკლიც არ სჭირდება. არ არის საჭიროა სპეციალური მოწყობილობა ღამით ყურებისა თუ თვა-

ლიერებისათვის. ერიკას თვალწინ მშვენიერ მდელოზე კაცი და ქალი თავდავიწყებით მისცემიან ხორციელ სიამოვნებას. კაცი რაღაცას მხიარულად გაიძახის უცხო ენაზე და თან ქალს ტკიპასავით ეწებება, სულ უფრო ღრმად ეფლობა. ქალი არ ჰყვება მხიარულებაში, არამედ რაღაცას კუშტად და უკმაყოფილოდ ეუბნება, რაღაცაზე უთითებს, რაც კაცს, ალბათ, არ ესმის, რადგან კვლავ აღფრთოვანებით გაიძახის სიტყვებს თურქულ თუ რომელიღაც სხვა იშვიათ ენაზე და ყურადღებას არ აქცევს ქალის შეგონებას. ქალი ძაღლივით – ნახტომისათვის რომ ემზადება, უღრენს კლიენტს, ენა გააჩუმე, ნუ გაჰყვირიო; თურქი კი გაზაფხულის ქარივით ბუბუნებს და გაჰყვირის, – კიდევ უფრო ხმამაღლა. იგი რაღაც გაჭიანურებულ, წაგრძელებულ, მჭექარე ხმებს გამოსცემს, რაც ერიკასთვის იმის კარგი ორიენტირია, უფრო მეტად მიუახლოვდეს მათ, თუმცა ისედაც საკმაოდ ახლოა წყვილთან. იგივე ბუჩქნარი, მოსიყვარულე წყვილისთვის ერთგვარ თავშესაფარს რომ წარმოადგენს, ერიკასაც კარგად იფარავს. თურქს, თუ თურქის მსგავს უცხოელს, ეტყობა, ახარებს ის, რასაც ახლა აკეთებს. ჩანს, ქალიც იმავე გრძნობითაა შეპყრობილი, მაგრამ მასთან ყოველივე უფრო ნელა ხდება. ქალი მიუთითებს, სად და როგორ ასიამოვნოს კაცმა. გაურკვეველია, უჯერებს თუ არა მას კაცი, რომელიც უფრო თავის შინაგან გულისთქმასა და მოთხოვნებს ემორჩილება და ამიტომ მისი წადილი დროდადრო ეწინააღმდეგება პარტნიორის სურვილს. ერიკა კარგად ხედავს ყოველივე ამას. ქალი ნელ-ნელა ბრაზდება, რადგან კაცი წინ არ უშვებს, როგორც ეს მიღებულია. ქალი ამბობს: ნელა, კაცი კი სწრაფად მოძრაობს. შესაძლოა, ის პროფესიონალი არ არის, არამედ უბრალოდ მთვრალი ქალია, რომელიც საიდანღაც აქ წამოათრიეს. შეიძლება ბოლოს ქალმა არც არაფერი მიიღოს თავისი შრომისათვის. ერიკა ცუცქდება, უფრო მოხერხებულად ეწყობა. იგი აქ ძალიან წვრილქუსლიანი ფეხსაცმლითაც რომ მოსულიყო, წყვილი მაინც ვერაფერს გაიგებდა. ჯერ ხმამაღ-

ლა ყვირის ერთი, შემდეგ მეორე, ანდა ორივე ერთად. ცქერით რომ დატკბეს, თვალს რომ წყალი დაალევინოს, ერიკას ასე ყოველთვის როდი უმართლებს. ქალი ახლა კაცს ეუბნება, ცოტა ხანს მოიცადეო. ერიკა მთლად გარკვევით ვერ ხედავს, ასრულებს თუ არა იგი ქალის თხოვნას. ახლა თურქი შედარებით უფრო მშვიდად ეუბნება რაღაცას თავის ენაზე. ქალი ლანძღავს, ვერაფერი გამიგია, რას ბოდავო. მას არ ესმის თურქის სიტყვების აზრი. – მოიცადე, გესმის, მოიცადე! – კაპასობს ქალი. – არა, მოცდა, – ესმის ერიკას თურქის დამახინჯებული გერმანული სიტყვები. იგი ისე სწრაფად ხმაროობს ქალს, თითქოსდა რეკორდულად მცირე დროში უნდა დააკრას ლანჩა წყვილ ფეხსაცმელებს, ანდა ავტომობილის ძარა უნდა შეადუღოსო. ყოველი მორიგი ბიძგი ქალს კარგა მაგრად არყევს და აზანზარებს; იგი ახლა გესლიანად და ხმამაღლა ყვირის, უფრო ხმამაღლა, ვიდრე ამის საბაბი აქვს, – ნელა, ასე მაგრად ნუ! ქალი თხოვნაზე გადადის. შედეგი კვლავ ნულის ტოლფასია. თურქს უზომო ენერგია აქვს, შლეგურ სისწრაფეს ავითარებს და ცდილობს დროის გარკვეულ მონაკვეთში, ანდა, იქნებ, გარკვეული თანხის ფარგლებშიც რაც შეიძლება მეტი ბიძგები განახორციელოს. ქალს იმედი ეწურება, ოდესმე თავისასაც ასრულებს და ხმამაღლა ლანძღავს პარტნიორს, როდის დააყენებ საშველს და დაამთავრებ, თუ ზეგამდე ასე ზედ უნდა მაჯდეო?! კაცი საყვირივით გაჰყვირის რაღაცას თურქულ ენაზე, მისი გულის სიღრმიდან რომ მოედინება. მისი სიტყვები და გრძნობები ერთმანეთს შეესაბამება და უთავსდება. თურქი გერმანულად ამბობს: ქალო, ქალო! ქალი კიდევ ერთხელ და უკანასკნელად ცდილობს: ნელა, ნელა! ერიკა თავის სამალავში შემალულა, ვარაუდობს და ასკვნის: – ეს არ არის პრატერის მეძავი ქალი, რადგან, ასე რომ იყოს, მაშინ იგი კაცს უფრო წააქეზებდა, აღაგზნებდა და არ დააოკებდა მას. ქალი ხომ რაც შეიძლება მეტ კლიენტს უნდა მოემსახუროს მცირე დროში, – კაცისაგან განსხვავებით, რომელიც სულ სხვას გრძნობს, და სურს

ქალისგან რაც შეიძლება მეტი მიიღოს. შესაძლებელია, კაცმა როდისმე საერთოდ ვეღარაფერი შეძლოს, ყოველგვარი უნარი დაკარგოს და მაშინ მას აღარაფერი დარჩება, მოგონებების გარდა. ორივე სქესის წარმომადგენელს მუდამ რაღაც პრინციპულად ურთიერთსაწინააღმდეგო სურთ.

ერიკა სუნთქვაშეკრული და განაბულია, თვალებადაა ქცეული. ამ თვალებმა ალღოს აღება იციან. როგორც ცხოველები იკრავენ ხოლმე სუნს, ეს თვალებიც მაღალმგრძნობიარე ორგანოებია, ისინი აქეთ-იქით ტრიალებენ. ერიკა ამას იმიტომ აკეთებს, რომ ეულად არ იგრძნოს თავი, მარტოობაში არ აღმოჩნდეს. ზოგჯერ იგი აქაა დასათვალიერებლად, ზოგჯერ კი იქ, ეს მის ხელთაა, სად იქნება და სად არა. მას არ სურს მონაწილეობის მიღება ამაში, მაგრამ ეს უიმისოდ არ უნდა მოხდეს. მუსიკალური ღონისძიების დროსაც იგი ხან შემსრულებელია, ხან კიდევ მაყურებელი და მსმენელი. ასე გადის მისი დრო. იგი ჯერ ახტება და მერე კვლავ გადმოხტება, თითქოსდა დრო ძველმოდური ტრამვაის ვაგონია, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს პნევმატური კარები. თანამედროვე ვაგონებში ვინც კი შევა, ის შიგვე უნდა დარჩეს მომდევნო გაჩერებამდე.

კაცი შეუჩერებლად მოძრაობს და მოძრაობს. თან წურწურით მოსდის ოფლი; ქალი მაგრად უჭირავს ხელებით, რათა იგი არა დაუსხლტეს. ის ქალს უხვად ანაყოფიერებს, თითქოს თავისი ნადავლის შეჭმა სურსო. ქალი აღარ ლაპარაკობს, ახლა მხოლოდ კვნესის, პარტნიორის აღტყინება მასაც გადაედო. იგი ფალცეტით რაღაც უაზრო სიტყვებს იძახის; სტვენისმაგვარ ბგერებს გამოსცემს, როგორც ვირზაზუნა მთის საძოვარზე, მტრის მოახლოება რომ იგრძნო. იგი თავის პარტნიორს ხელს მჭიდროდ ხვევს ზურგზე, რათა არ დაუსხლტეს, დაბოლოს, როცა საქმე გაკეთდება, უცებ არ მოიცილოს ქალი თავიდან, არამედ საალერსო ან სახუმარო სიტყვებით მიმართოს მას. კაცი თავგამოდებით განაგრძობს საქმეს. მის-

თვის ეს პირველი შანსია (ხანგრძლივი შესვენების შემდეგ) იქონიოს ურთიერთობა ადგილობრივ ქალთან და ამ შესაძლებლობას შლეგური აქტიურობით იყენებს. მაგრამ თურქი უკვე აშკარად ვეღარ ინარჩუნებს ტემპს, ყელიდან უცნაური ბგერები აღმოხდება, რომლებიც თურქულსაც აღარ ჰგავს. ქალი მას შეძახილით – ჰოპ! - აგულიანებს.

მაყურებელ ქალში რაღაც დამთრგუნველი ხდება. მისი თითები სურვილით იწვიან, სურთ აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ, მაგრამ, თუ მას ამას აუკრძალავენ, მაშინ იგი ამაზე უარს იტყვის. ის იცდის, რომ მას ეს გადაჭრით აუკრძალონ. მისი მოქმედება მოითხოვს მტკიცე კარკასს, რაზეც შეიძლება შემდეგ მათი გაჭიმვა. ერიკა, ისე რომ მოსიყვარულე წყვილს წარმოდგენაც არა აქვს, ორთა კავშირიდან სამთა კავშირს ქმნის. უეცრად მასში ზოგიერთი ორგანო, სრულიად მისდა უნებურად და მისი კონტროლისადმი დაუმორჩილებლად, გაორმაგებული ტემპით და კიდევ უფრო ჩქარა იწყებს ფუნქციონირებას. მღელვარების დროს ერიკა მუდამ გრძნობს ძლიერ დაწოლას საშარდე ბუშტზე. ეს მტკივნეული განცდა მუდამ შეუფერებელ მომენტში უჩნდება ხოლმე. ქალი და თურქი მას თავიანთ საქმიანობას უჩვენებენ. ერიკა მისდა უნებურად ახდენს ამაზე რეაგირებას ბუჩქებში ჩუმი, წყნარი შრიალით. უნდოდა მას ეს შრიალი თუ არა? შიგნიდან მოწოლილი გრძნობა აუტანლად ძლიერდება. ეს რომ დაიცხროს, ერიკა, რომელიც ჩაცუცქულია და მოკრუნჩხულიც, ცოტათი უნდა გაიმართოს, წელში გასწორდეს. ეს სასწრაფოა, ვინ იცის, რამდენ ხანს მოუწევს თავის შეკავება. შრიალი, შინაგანი მოწოლა ძლიერდება. ერიკამ თვითონაც არ იცის, განზრახ შეეხო ბუჩქის ტოტს თუ არა, რაც, ცხადია, მისი მხრიდან უაზროობა იქნებოდა. იგი გაუფრთხილებლად შეეხო ტოტს, რომელიც ერიკას ვერაგი ხმაურით, ტკაცუნით აძლევს პასუხს.

თურქი, ბუნების შვილი, ბალახებთან, ყვავილებსა და ხეებთან უფრო მეტად თანშეზრდილი და მჭიდროდ დაკავშირებული, ვიდრე მანქანასთან, რომელზეც მუშაობს საამქროში, უეცრად წყვეტს თავის საქმეს. უწინარეს ყოვლისა, იგი დიაცს თავს ანებებს. ქალი ამას მაშინვე ვერ ამჩნევს და რამდენიმე წამის განმავლობაში კვლავაც აგრძელებს წკმუტუნს. თურქი ახლა გაუნძრევლადაა და ეს სიამოვნებს, რადგან თავის საქმეს უკვე მორჩა და ახლა ისვენებს. იგი დაიღალა. თან სმენას ამახვილებს. ქალიც სმენად იქცა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბოსფორის ნაპირებიდან ჩამოსულმა სტუმარმა მიუთითა, მოიცადე, ჩუმად იყავი, ნუ ყვირიო. თურქი რაღაც შეკითხვის მაგვარს წამოიყვირებს, თუ ეს ბრძანებაა? ქალი ამშვიდებს, შეიძლება მას რაიმე სურს თურქი პარტნიორისაგან. კაცს მისი არ ესმის, ვერ ხვდება, რა სწადია ქალს. შეიძლება სცემოს კიდეც, რადგან ქალი დისკანტით სთხოვს, ჩემთან დარჩიო ანდა რაღაც ამის მსგავსს, რასაც ერიკა ზუსტად ვერ ხვდება. მას ყურადღება გაეფანტა, რადგან იმ მომენტში ათი მეტრი მანძილით მაინც დაიხია უკან. ქალი ჭირვეულად რაღაცას სთხოვს თურქს, სიყვარულს ან ფულს. ქალი სლუკუნებს, ხმამაღლა წუწუნებს. ოქროს რქის მხარის მკვიდრი უყეფს და აიძულებს, შეწყვიტოს წუწუნი. უკან დახევისას ერიკამ ისეთი ხმაური ატეხა, როგორც აფრიკული კამეჩების ჯოგმა, რომელსაც უკან ძუ ლომი მისდევს. შეიძლება ეს განზრახაც გააკეთა ან გაუცნობიერებლად, რაც საბოლოოდ მაინც ერთი და იგივეა.

თურქი წამოხტება, რამდენიმე სწრაფ ნაბიჯს ადგამს, მაგრამ ძირს ეცემა, შარვალი და ტრუსები თეთრად ანათებს მისი მუხლების ირგვლივ. იგი ილანძღება, ამაოდ ცდილობს ტანსაცმლის ჩაცმას, მუქარით იქნევს ხელებს; მრისხანედ იყურება ახლოს მდებარე ბუჩქებისაკენ, რომლის უკანაც ახლა ფროილაინ კოხუტი ზის, სუნთქვაშეკრული, მობუზული და ოთხად მოკეცილი, კბილებით თავისი ერთ-ერთ ხელის თითს რომ ჩაჰფრენია და კვნეტს.

თურქი ტომარაში გამომწყვდეულივით ხტის, შარვალში ფეხს ვერ უყრის, ხან ერთ ფეხს ააცილებს მას, ხან მეორეს. ვეღარ მოუფიქრებია, რა გააკეთოს, როგორ მოიქცეს. – ზოგი ადამიანი წინასწარ კი არ ფიქრობს, არამედ აკეთებს რაღაცას, სულერთია რას, – ფიქრობს ფროილაინ კოხუტი, შეჰყურებს რა ბუჩქებიდან ყოველივე ამას. თურქი ნამდვილად ასეთთა კატეგორიას მიეკუთვნება. მიწაზე გაწოლილი მისი პარტნიორი ქალი უკმაყოფილო ხმით უჩივის, მოდი აქ, მანდ არაფერია, ალბათ, ძაღლმა გაიშლიგინა ან ვირთხამ, რაიმე სასუსნავს რომ დაეძებენო. – აქ ბევრი ნაყარნუყარი და ნარჩენები ყრია მათთვის, ჰოდა, მოდი აქ, მარტოკას ნუ მტოვებ, – არ ეშვება ქალი. უცხოელი მისკენ როდი აბრუნებს თავის ხუჭუჭა, ხვეულთმიან თავს, წელში სწორდება და, ბოლოს და ბოლოს, ახერხებს შარვლის ჩაცმას. იგი ბუჩქნარს მივარდება. საბედნიეროდ, თურქი, შესაძლოა განზრახაც კი – სულ სხვა მიმართულებით მირბის, სახელდობრ კი იქით, სადაც ბუჩქები უფრო სქელი და ხშირია. ერიკამ კი ისე, რომ ბევრი არ უფიქრია, თავშესაფრად უფრო პატარა ბუჩქი აირჩია და არც ისე ადვილი მისახვედრია, რომ იგი სწორედ იქ არის და არა სადმე სხვაგან. იქით, მოშორებით, თურქის პარტნიორი ქალი ჩივის და წუწუნს განაგრძობს. შემდეგ ისიც წამოდგება, რათა თავი წესრიგში მოიყვანოს. ქალი ილანძღება და სასაყვედურო სიტყვებს აფრქვევს ახლა უკვე სხვანაირი, საძაგელი ჟღერადობით, რომელიც, ეტყობა, მისი ნამდვილი და ბუნებრივი ხმაა. ქალი ეძახის და ეძახის. ერიკას შიში იპყრობს. კაცი პასუხად რაღაცას მოკლედ ბურდღუნებს და ძებნას განაგრძობს. შემდეგ ერთი ბუჩქიდან მეორე ბუჩქთან მიდის, სადაც მანამდე უკვე იყო. მალე კვლავ პირველ ბუჩქთან ბრუნდება. შესაძლოა, იგი შიშობს და სრულიადაც არ სურს იმ ვიღაც მაყურებლის აღმოჩენა. თურქი ერთი არყის ხიდან ბუჩქისკენ მიდის და შემდეგ კვლავ იმ არყის ხესთან ბრუნდება. სხვა ბუჩქებთან აღარც მიდის, ახლომახლო რომ არის განლაგებული. – მოდი აქ, რას დაეძებ, მანდ არავინ

არის, – უძახის ქალი. კაცი არ უყურებს და თავისი დანჯღრეული გერმანულით მოითხოვს ქალისგან, რომ ენა გააჩეროს. ქალი ტანსაცმელს ისწორებს და მიწიდან პალტოს იღებს, რომელიც ქვეშ ჰქონდა დაფენილი. მან პატარა ბუდე მოიწყო, როგორც ეს ქალებს სჩვევიათ. ქალს არ სურდა დასვროდა კაბის ქვედატანი, მაგრამ, სამაგიეროდ ახლა პალტო დაესვარა და დაეჭმუჭნა. ამჯერად თურქი უყვირის, – მოდი აქ! პარტნიორი ქალი უარზეა და მოითხოვს აქედან წავიდეთო. ერიკა ახლა ქალს კარგად ხედავს. იგი საკმაოდ ხანშიშესულია, მაგრამ თურქისთვის მაინც ნორჩი თოჯინაა. სიყვარულში ქალმა ვერ მიიღო ყოველივე ის, რაც სურდა და ახლა სრულიადაც არ უნდა მოკლან კიდეც. შემდეგში ქალი ზომებს მიიღებს, რათა სიყვარულით მშვიდად, უხიფათოდ და ბოლომდე დატკბეს. ერიკა ამჩნევს, რომ ქალი კვლავ ავსტრიელ ქალად გადაიქცა, ხოლო თურქი – კვლავ თურქად, რაც იგი ყოველთვის იყო. ქალი სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას ითხოვს, ხოლო მისი უცხოელი პარტნიორი ავტომატურად ამახვილებს ყურადღებას მტრებსა და მოწინააღმდეგეებზე.

ერიკა გატრუნულია, იგი მიმკვდარებულია, როგორც ძველი, ლპობაშეპარული ტოტი, რომელიც ხეს მოსტყდა და ბალახში უქმად გდია.

ქალი ემუქრება თურქ მუშას, ახლავე აქედან წავალო. თურქი მუშა აპირებს, რაღაც უპასუხოს ზიზღით და დამცინავად, მაგრამ დროულად ჩერდება და ხელახლა უსიტყვოდ განაგრძობს ძებნას. ახლა მან გაბედულება უნდა გამოიჩინოს, რათა ქალმა, რომელმაც კვლავ ადგილობრივი მოსახლის თვითდაჯერება და სიმტკიცე დაიბრუნა, მას პატივისცემით მოექცეს. გამხნევებული იმით, რომ ბუჩქებიდან ჩამიჩუმი არ ისმის, თურქი დიდ წრეს აკეთებს და ამით ფროილაინ კოხუტს დიდ საფრთხეში აგდებს. ქალი მას უკანასკნელად აფრთხილებს და მიწიდან თავის პატარა ჩანთას იღებს. იგი საბოლოოდ იწესრიგებს თავს, პალტოს ღილებს იკრავს, ჩანთაში რა-

ღაცას დებს და რაღაცას იღებს. ქალი ნელა მიდის უკან, ტრაქტირების მიმართულებით, კიდევ ერთხელ ავლებს მზერას თურქ მეგობარს და ნაბიჯს უჩქარებს. გამოთხოვებისას, ალბათ, რაღაც უხამს და გაუგებარ სიტყვებს ეუბნება.

თურქ მუშას გაუბედაობა ეუფლება, არ იცის, როგორ მოიქცეს. ეს ქალი რომ გაუშვას, ვინ იცის, შეიძლება შემდეგ მთელი კვირების განმავლობაში ვერ გამონახოს შემცვლელი. ქალი უყვირის: – ისეთს, როგორიც შენა ხარ, ყოველთვის ვიშოვნიო. თურქი გახევებულივით დგას, თავს ხან თავისი პარტნიორი ქალისკენ მიაბრუნებს, ხან კიდევ იმ უჩინარი არსებისაკენ, სადღაც ბუჩქებში რომ მიმალულა. თურქი დაბნეულია, მერყეობს ერთ ინსტინქტსა და მეორე ინსტინქტს შორის; ამ ორივე ინსტინქტმა უკვე არაერთი უიღბლობა შეამთხვია, არაერთი უსიამოვნება მოუტანა. იგი ყეფს, როგორც ძაღლი, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია, თუ რომელ ნადირს გამოუდგეს, რომელს გაეკიდოს.

ერიკა კოხუტი ვეღარ ითმენს. მისმა მოთხოვნილებამ იმძლავრა. იგი ნელა ჩაიწევს შარვალს და მიწაზე შარდავს. შარდი მიედინება რბილ მატრასზე, ფოთლებისაგან, ტოტებისაგან, ნაგავისაგან, ჭუჭყისა და ნეშომპალასგან რომ შედგება. ფროილაინ კოხუტმა კვლავაც არ იცის, სურს თუ არა, რომ შენიშნონ იგი. იმის ნაცვლად, რომ ამაზე ფიქრით თავი იმტვრიოს, იგი უბრალოდ შარდავს. ფროილაინ კოხუტი უფრო და უფრო მეტ შინაგან სიცარიელეს განიცდის, ნიადაგი კი უფრო და უფრო მეტ სინოტივეს ისრუტავს. ერიკა არაფერზე არ ფიქრობს, არც რაიმე მიზეზზე, არც რისამე შედეგზე. იგი ადუნებს კუნთებს და პირველი შხეფები ნაზ, უწყვეტ ნაკადად იქცევა და ისე მიედინება. იგი კარგად ხედავს უცხოელის გამართულ და უძრავად მდგარ ფიგურას და თან მიწაზე შარდვას განაგრძობს. იგი მზად არის როგორც ერთი გადაწყვეტილებისათვის, ასევე მეორისათვის - მისთვის ორივე ხელსაყრელია. იგი ყველაფერს ბედს ანდობს შემთხვევიდან გამომდინარე, თურქი

კეთილი იქნება თუ ბოროტი. მას აკურატულად უჭირავს თავისი უჯრედებიანი, კუბოკრული ქვედატანი მოხრილ მუხლებზე, რათა ის არ დასველდეს. ქვედატანი არაფერ შუაშია. ერიკა კვლავ იწეს-რიგებს თავს.

თურქი მუშა კვლავინდებურად ქანდაკებასავით დგას მდელოზე. მისი პარტნიორი ქალი კი მოშორებით კვლავ რაღაცას გაჰკივის და თან მინდორზე გამალებით მიაბიჯებს. იგი დროდადრო თავს აბრუნებს და ინტერნაციონალურ უწესო ჟესტს აკეთებს. ქალი იოლად ძლევს ენობრივ ბარიერს. თურქს ხან ერთ მხარეს ეწევა რაღაც გრძნობა, ხან – მეორე მხარეს. მას ვერ გაუგია, რას ნიშნავს ეს ჩუმი ჩხრიალი და შრიალი, რადგან წყაროს თუ ნაკადულის მსგავსი მას ახლომახლო მანამდე არ შეუნიშნავს. ერთ რამეს კი ამასობაში ცხადად ამჩნევს: იგი კარგავს მეგობარ ქალს.

იმ მომენტში, როდესაც ერიკას უკვე ჰგონია, რომ თურქი მუშა იმ ორიოდე ფართო ნაბიჯსაც გადადგამს, მათ რომ ერთმანეთისაგან ყოფს, კაცი უეცრად უკან ბრუნდება და ჯერ გაუბედავად, ხოლო შემდეგ უფრო და უფრო სწრაფად, – იხედება რა თან წამდაუწუმ ერიკას მხარეს, – მისდევს თავის ნადავლს, რომელიც ამ ჩინებულ საღამოს დაისაკუთრა. რაც გაქვს, იმას გაუფრთხილდი და შეინარჩუნე! რასაც შეიძენ, ვინ იცის, იქნება თუ არა ის შენი მოთხოვნილებისა თუ პრეტენზიების შესაფერისი. თურქი მუშა გაურბის გაურკვევლობას, მისთვის ჯერ კიდევ უცნობს, რამაც არაერთხელ მიაყენა ტკივილი და ფეხდაფეხ მიჰყვება თავის პარტნიორ ქალს. უცხოელმა ძალიან უნდა იჩქაროს, სწრაფად წავიდეს, რადგან ქალი უკვე ისე შორს წასულა, რომ მხოლოდ პაწია წერტილივით მოჩანს. სულ მალე კაციც თანდათან უჩინარდება ერიკას თვალთაგან და ისიც ძლივსღა ჩანს ჰორიზონტზე.

ეს-ესაა ერიკა კოხუტი ერთი ხელით გონების როიალზე უკრავდა, მეორე ხელით კი ვნებათაღელვის როიალზე. თავდაპირველად წინ წამოიწია მისმა ვნებებმა, ახლა კი მისი გონების დროც

დადგა, რომელსაც გამალებით მიჰყავს იგი სახლისაკენ. თუმცა ვნებები მის ნაცვლად სხვებმა გამოავლინეს. მასწავლებელმა ქალმა ისინი შეაფასა და შესაბამისი სკალის მიხედვით ნიშნებიც მიუსადაგა. ამასთან, იგი კინაღამ ჩაითრიეს ერთ-ერთ ვნებათაღელვაში, მაგრამ შემთხვევამ ისე ინება, რომ ვერ გამოიჭირეს. ერიკა ხეივანს მიუყვება. მრავალი ტოტი უკვე მოწყდა, გამოეთხოვა თავისი ტანს და დასასრული ბალახებში პოვა. ერიკა კოხუტი ხტუნვა-ხტუნვით ტოვებს სამეთვალყურეო პუნქტს, რათა მალე კვლავ თავის მიერ მოწყობილ ბუდეში მოიკალათოს. გარეგნულად მას რაიმე აფორიაქება და მოუსვენრობა არ ეტყობა, მაგრამ მასში ვნებები ბობოქრობს, როდესაც პრატერის გასასვლელთან ხედავს ახალგაზრდა კაცებს, ახალგაზრდა სხეულებთან რომ მჭიდროდ შეჯგუფებულან, რადგან ასაკობრივად იგი მათ თითქმის დედად ერგება! ყოველივე, რაც ხდებოდა, როცა იგი უფრო ახალგაზრდა იყო, წარსულს ჩაბარდა და აღარასოდეს გამეორდება, მაგრამ, ვინ იცის, რას უქადის და რას მოუტანს მომავალი. დღევანდელი მედიცინის მაღალი დონე ქალს შესაძლებლობას უქმნის ხანდაზმულობის ასაკშიც შეინარჩუნოს თავისი ქალური ფუნქციები. ერიკა შესაკრავს იკრავს. ამგვარად, იგი თავს იცავს შეხებისაგან. მაგრამ შინაგანად მასში მძაფრი ვნებები ბობოქრობს.

იგი ტაქსების გაჩერებასთან მიდის და პირველივე მანქანაში ჯდება. პრატერის ფართო მდელოებისაგან მას არაფერი გამოჰყოლია და მასში არაფერი დარჩენილა, გარდა ცოტაოდენი სისველისა, რომელმაც ფეხსაცმელში გაატანა, მანამდე კი ფეხებშუა გამოჟონა. ქვედატანიდან გამოდის ოდნავ საგრძნობი მომჟავო სუნი, რომელსაც ტაქსისტი ნამდვილად ვერ გრძნობს, რადგან მძღოლის დეზოდორის სუნი ყოველივეს ახშობს. მძღოლს არ სურს უსიამოვნება მიაყენოს მგზავრებს თავისი ოფლის სუნით და ამიტომ არ უნდა იყნოსოს და შენიშნოს ის ღორობა, რასაც მისი კლიენტები სჩადიან. მანქანაში თბილა და სრული სიმშრალეა, გათბობა უხმაუ-

როდ მუშაობს, იგი ებრძვის ღამის სიცივეს. გარეთ მიქრიან ქუჩები. მეორე რაიონის ვეებერთელა ძველი შენობები, მძიმე, ბნელ წყვდიადში ჩაფლულნი. ხიდი დუნაის არხზე. პატარა, პირქუში ტრაქტირები, საიდანაც ბანცალით გამოდიან მთვრალები, ეცემიან, კვლავ წამოხტებიან და ერთმანეთზე მუშტებით მიიწევენ; ხნიერი თავშალმობურული ქალები, ამ დღეს უკანასკნელად რომ გამოუშვეს გარეთ თავიანთი ძაღლები, იმის იმედით, რომ ერთხელ მაინც შეხვდებიან ხნიერ მარტოხელა კაცს, რომელსაც ჰყავს ძაღლები და ამასთან, ქვრივია. ერიკა სწრაფად ჩაუქროლებს ყოველივე ამას, თითქოს რეზინის თაგვიაო, გამობმული პატარა თოკზე, რომელსაც თამაშით ახტება ვეებერთელა კატა.

ქუჩის კუთხეში მოპედები მოჩანს. იქვე არიან ვიწრო, შემოჭერილი ჯინსის შარვლებიანი გოგონები. მათ პანკურ სტილზე დაუყენებიათ თმები, მაგრამ იგი ვერ ჩერდება აქოჩრილ მდგომარეობაში და კვლავ თავის ადგილს უბრუნდება. მარტო ქონის წასმა თმებს ვერ შველის. თმები კვლავ თავზე ეშვება. გოგონები მარდად სხდებიან მძღოლების უკან მოპედზე და სწრაფადვე სწყდებიან ადგილს.

დარბაზ „ურანიადან“ მოხსენების დამთავრების შემდეგ ქუჩაში გამოდის ცოდნის მოყვარულთა ერთი ჯგუფი. ისინი გარს ერტყმიან მომხსენებელს და მის ირგვლივ ირევიან. მათ სურთ კიდევ უფრო მეტი შეიტყონ ცის იკანკლედის (ირმის ნახტომი) სისტემის შესახებ, თუმცა ახლახან ყველაფერი მოისმინეს, რაც კი მოსასმენი იყო. ერიკა იხსენებს, რომ მან აქ დაინტერესებულ მსმენელთა წინაშე ერთხელ უკვე წაიკითხა მოხსენება ფრანც ლისტზე და მის არაღიარებულ ნაწარმოებზე, კიდევ ბეთჰოვენის ადრეული სონატების შესახებაც. მაშინ მან განაცხადა: ბეთჰოვენის როგორც გვიანდელ, ასევე ამ შემთხვევაში ადრეულ სონატებში, ისეთი მრავალფეროვნებაა, რომ თავიდან ჯერ უნდა დავსვათ პრინციპული შეკითხვა, თუ რას ნიშნავს ეს ყბადაღებული სიტყვა „სონატა“. შესაძ-

ლოა ეს უკვე სულაც აღარ არის სონატები იმ მნიშვნელობით, როგორც მათ ბეთჰოვენი უწოდებდა. საჭიროა მასში, ამ ესოდენ მაღალდრამატულ მუსიკალურ ფორმაში, რომელშიც ხშირად გრძნობის ფორმა უჩინარი ხდება, აღმოაჩინო ახალი კანონი. ბეთჰოვენთან ეს ასე როდია, რადგან მასთან ერთი მეორესთანაა შერწყმული. გრძნობა ამახვილებს ფორმის ყურადღებას პირდაღებულ ხვრელზე მიწაში, უფსკრულზე, და, პირიქით.

ახლა სინათლე უფრო მძლავრობს, რადგან ახლოვდება ქალაქის ცენტრი და აქ ბევრი შუქია, რათა ტურისტებმა ადვილად გაიგნონ გზა სახლისაკენ. ოპერა უკვე დაკეტეს. ეს პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ ქალბატონი კოხუტი-უფროსი საშინლად განრისხდება, რადგან მისი ქალიშვილი ამ დროს სახლში არ არის და, ვინ იცის, სად დაეხეტება. იგი ყვირილს მოართავს, ეჭვიანობის საშინელ სცენას მოაწყობს. კარგა ხანი გავა, ვიდრე დედა კვლავ შეურიგდება. მას, ერიკას, ათჯერ მაინც მოუწევს გაუწიოს დედას განსაკუთრებული, საგანგებო სამსახური, სიყვარულის დამადასტურებელი რომ იქნება. დღევანდელი საღამოდან კი ერთი რამ საბოლოოდ ცხადია: დედა თავს სწირავს, ბავშვი კი თავისი თავისუფალი დროის ერთ წუთსაც კი არ სწირავს! და როგორღა დაეძინება დედას, თუ მას ერთბაშად გაღვიძების ეშინია, როცა ქალიშვილი ცოლქმრულ სარეცელზე დაწვება. დედა ახლა მგელივით დაძუნძულებს ბინაში და თან ხანჯალივით ბასრ მზერას ესვრის ხოლმე საათს. იგი ჩერდება ქალიშვილის ოთახში, რომელსაც არ აქვს არც საკუთარი საწოლი და არც საკუთარი გასაღები. იგი აღებს კარადას და ნერვიულად უაზროდ ისვრის ჰაერში შეძენილ კაბებს, რითაც ნაზი ქსოვილების მოვლისა და მათდამი ფაქიზად მოპყრობის წესებს არღვევს. ქალიშვილს ხვალ დილით ადრე, ვიდრე კონსერვატორიაში წავიდოდეს ყველაფრის მოწესრიგება მოუწევს, დედისათვის ეს კაბები მისი ნაშიერის ჯიუტობისა და ეგოიზმის მაჩვენებელია. ქალიშვილის ეგოიზმი იმითიც ვლინდება, რომ უკვე მეთორმეტე საათი და-

იწყო და დედა კი მარტოდმარტო ზის ოთახში. იგი ასეთ სასჯელს არ იმსახურებს. ტელევიზიამ ფილმის ჩვენება უკვე დაამთავრა, მასთან კი არავინ არის, რომ დაელაპარაკოს და საუბარს გული გადაყოლოს. ახლა ღამის შოუს უჩვენებენ, მაგრამ ქალბატონ კოხუტს მისი ყურება არ სურს, რადგან ჩაეძინება, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს, – მან ხომ ჯერ თავისი ქალიშვილი კარგად უნდა მიბეგვოს ისე, რომ სხეულის არც ერთი ნაწილი მთელი არ შეარჩინოს. მას არ სურს დაეძინოს. დედა კბილებით აფრინდება ძველ საკონცერტო კაბას. იგი კვლავ ინარჩუნებს იმედს, რომ მას ოდესმე ჩაიცვამს ევროპული მასშტაბის ვარსკვლავი-პიანისტი. ამ კაბის ფული რომ შეეგროვებინათ, მაშინ ქალბატონ კოხუტსა და მის შეშლილ ქმარს დიდი ჯაფის გაწევა მოუხდათ. იმ ხანებში პატივმოყვარე გომბეშო ერიკა უმალ მოკვდებოდა, ვიდრე სხვების მსგავსად კონცერტზე ტაფტის[40] ქვედატანითა და თეთრი ბლუზით გამოვიდოდა. იმ დროს იმასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუ როგორ გამოიყურებოდა გარეგნულად შემსრულებელი. ის დრო წარსულს ჩაბარდა. დედა კაბას თავისი საშინაო ფეხსაცმელებით თელავს, ისეთივე სუფთა რომ არის, როგორც იატაკი. ამიტომ კაბა არ დაზიანდება, თანაც ლანჩებიც რბილია. ყოველივე ეს იმით მთავრდება, რომ კაბა ოდნავ იჭმუჭნება, ეს არის და ეს! ამიტომ დედა იღებს სამზარეულოს მაკრატელს, რათა კაბას, რომელიც ქალაქის გარეუბანში მცხოვრებმა ნახევრად ბრმა მკერავმა ქალმა შეკერა, სულ ცოტა, ათი წელი რომ არ ჩაუხედავს მოდების ჟურნალში, – უკანასკნელი პეწი შესძინოს. ამით კაბა უკეთესი არ ხდება. ეს კაბა, ალბათ, უკეთ გამოაჩენდა მის ტანს, ერიკას რომ მეტი გამბედაობა გამოეჩინა და ჩაეცვა იგი მოდურ ზოლებიან სამოსთან ერთად, რომელსაც ფართოდ ჩაჭრილი ადგილები და ქსოვილის ვიწრო ზოლები ექნებოდა. კაბასთან ერთად დედა თავის საკუთარ ოცნებებსაც ნაკუწებად ჭრის. როგორ შეუსრულებს დედას ოცნე-

[40] ტაფტა - აბრეშუმის ქსოვილი.

ბებს ერიკა, როცა თავისი საკუთარი ოცნებები ვერ შეუსრულებია? მას არც აქვს თავისი ოცნებები ბოლომდე გააზრებული და სადღაც მათ ზემოთ შტერივით იყურება. დედა იტანჯება. ჯერ იყო და, იმდენი წვალება გადაიტანა, რათა ეს კაბა როგორმე შეეძინათ. იგი აგროვებდა ფულს, ეწეოდა საშინელ ეკონომიას, ახლა კი იტანჯება ამ დაუფიქრებელი საქციელით. მის წინ გაფანტულა კაბის ცალკეული ნაწილები, რომელთა ადგილი ახლა საწეწ მანქანაშია, ასეთი რამ კი დედას არა აქვს. ბავშვი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა. მალე ქალბატონ კოხუტს წყროომა შიშით ეცვლება. იგი წუხს. ქალი ღამით ქუჩაში, სადაც ის ამ დროს არ უნდა ბრძანდებოდეს, სულ ადვილად შეიძლება უბედურებას გადაეყაროს. დედა პოლიციაში რეკავს, სადაც არაფერი იციან და არც არაფერი გაუგიათ. პოლიციიდან დედას უხსნიან, რაიმე რომ მომხდარიყო, პირველად ჩვენ შევიტყობდითო. და, რადგან არავის არაფერი გაუგია ისეთი, ერიკას ასაკს და გარეგნულ მონაცემებს რომ შეესატყვისებოდეს, ამიტომ ვერაფერს გაცნობებთ, გარდა იმისა, რომ გვამი ჯერ ნაპოვნი არ არისო. ქალბატონი კოხუტი მაინც რეკავს ორ საავადმყოფოში, სადაც ასევე არაფერი იციან. საავადმყოფოს მუშაკები განუმარტავენ, – მოწყალეო ქალბატონო, ასეთი სატელეფონო ზარი სრული უაზრობაა. შესაძლოა, სისხლით მოთხვრილი ტომრები, რომლებშიც მისი ნაკუწ-ნაკუწად დაჭრილი ქალიშვილია მოთავსებული, ერთმანეთისაგან კარგა დიდ მანძილზე დაშორებულ ნაგვის კონტეინერებში ყრია. მაშინ დედა სრულიად მარტო დარჩება და მას მოხუცთა თავშესაფარი ელოდება, სადაც არასდროს აღარ მოუწევს მარტო ყოფნა! მეორე მხრივ, იქ არავინ დაიძინებს მასთან ერთად ცოლქმრულ სარეცელზე, როგორც შინ არის მიჩვეული. კიდევ ათი წუთი გავიდა და არ ისმის არც გასაღების ხმა კარის საკეტში, არც ტელეფონის ზარი ან ხმა, რომელიც იტყოდა: მობრძანდით, გეთაყვა, სასწრაფოდ ვილჰელმინეს საავადმყოფოში. არც ქალიშვილი რეკავს, რომელიც ეტყვის: – დედიკო,

ნახევარ საათში მოვალ, მოულოდნელად შევფერხდი ცოტა ხნით. მასპინძელი ქალი, ვის სახლშიც ვითომ მოაწყვეს კამერული მუსიკის კონცერტი, ტელეფონის ყურმილს არ იღებს, რამდენიც გინდა, რეკე.

საწოლი ოთახიდან, სადაც ყველაფერი დასაძინებლად გამზადებულია, დედა-პუმა სასტუმრო ოთახში მიიძურწება, სადაც ხელახლა ჩართული ტელევიზორიდან სახელმწიფო ჰიმნის ხმა ისმის. ეკრანზე ფრიალებს თეთრ-წითელი დროშა. ეს იმის ნიშანია, რომ გადაცემები დამთავრებულია. ამისთვის განა ღირდა ტელევიზორის ჩართვა? რადგან მან, დედამ სახელმწიფო ჰიმნი ზეპირად იცის. იგი ადგილს უცვლის ფაიფურის ორ ფიგურას. დედა ერთი თაროდან მეორეზე დებს დიდ ბროლის ჭურჭელს. ჭურჭელში ხელოვნური ხილია ჩაწყობილი, რომელსაც ის თეთრი, რბილი ჩვრით აპრიალებს. ქალიშვილი ერკვევა ხელოვნებაში და აცხადებს, ეს საშინელი ხილიაო. დედა არ ეთანხმება ამ მკაცრ განაჩენს, ეს ჯერ კიდევ მისი ბინაა და ის კიდევ მისი ქალიშვილი. როცა იგი მოკვდება, ყველაფერი თავისთავად შეიცვლება. დედა საწოლ ოთახში შედის და კვლავ ამოწმებს, როგორ არის გაშლილი ლოგინი. ყველაფერი წესრიგშია. ბალიშზე სასუსნავია - ნალისებური ფორმის ფოლგაში[41] გახვეული შოკოლადი ჯერ კიდევ ახალი წლიდან შემორჩენილი. სიურპრიზს მალავენ, რაკიღა ქალიშვილმა სასჯელი დაიმსახურა. პატარა მაგიდაზე, ნათურის გვერდით, წიგნი დევს, რომელსაც ერიკა კითხულობს. მასში ჩანს სანიშნე, ერიკას მიერ ჯერ კიდევ ბავშვობაში მოხატული. გვერდზე დევს წყლით სავსე ჭიქა, ღამით მოსალოდნელი წყურვილის დასაკმაყოფილებლად, - სასჯელი მთლად მკაცრიც არ უნდა იყოს. დედა ცვლის წყალს ჭიქაში, რათა ის ცივი იყოს და მასში პატარა ბუშტები არ გაჩნდეს, რაც იმის ნიშანი იქნებოდა, რომ წყალი დიდი ხნის ნადგამი და აშმორებულია.

---

[41] ფოლგა - ლითონის სიფრიფანა ფურცელი კვების პროდუქტების შესაფუთავად.

თუ ერიკას ღამით რაიმე სურვილი გაეღვიძება, ის შესრულდება, რამდენადაც ეს შესაძლებელია. შინაგანი სურვილები კი თავისთვის დაიტოვოს, განა იგი თბილად და მყუდროდ არ გრძნობს თავს სახლში? კარგა ხნის ფიქრის შემდეგ დედა ღამით საკითხავი წიგნის გვერდით დიდ, მწვანე ვაშლს დებს, რათა არჩევანი დიდი იყოს. დანაკუწებული კაბა დედამ ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიტანა, შემდეგ კიდევ სხვაგან, სადაც ის თვალში ეცემა კაცს. ქალიშვილმა მაშინვე უნდა ნახოს დაჭრილ-დაგლეჯილი კაბა, რაშიც მხოლოდ თვითონაა დამნაშავე, ოღონდ კაბა ძალიან თვალში საცემიც არ უნდა იყოს. ქალბატონი კოხუტი კაბის ნაკუწებს ტახტზე აწყობს, საიდანაც ერიკა ტელევიზორს უყურებს ხოლმე. აწყობს აკურატულად, თითქოს ერიკა ყოველივე ამას მაშინვე ჩაიცვამს მუსიკალურ საღამოზე გამოსასვლელად. დაე, კაბა ისე გამოიყურებოდეს, თითქოს მთელი და უვნებელია. დედა სხვადასხვანაირად აწყობს სახელოს ნაგლეჯებს. მას თითქოს ლანგრით გამოაქვს და აჩვენებს თავისი გამანადგურებელი მოქმედების შედეგს.

დედას უჩნდება ეჭვი, რომ ბატონი კლემერი, კარგა ხნის წინათ დამთავრებული შინაური კონცერტის შემდეგ ცდილობს შუაში ჩადგეს, გაეჩხიროს დედასა და ქალიშვილს შორის. იგი ძალიან სასიამოვნო და სანდომიანი კაცია, მაგრამ დედას მაინც ვერ შეცვლის, რომელიც ერთადერთი და განუმეორებელია. თუ მისი ქალიშვილი დღეს კვლავ კლემერთანაა, ეს უკანასკნელი იქნება. მალე საკმარისი ფული ექნებათ იმისათვის, რათა შეიძინონ ახალი ბინა. დედა ყოველდღე ახალ გეგმებს აწყობს და შემდეგ უკუაგდებს მას, ცდილობს მოიფიქროს მიზეზი, თუ რატომ უნდა დაწვეს ქალიშვილი მასთან ერთად ახალ ბინაში ერთ საწოლში. რკინა – ერიკა მან ახლა უნდა გამოჭედოს, სანამ ცხელია და სანამ ერიკას გაუჩნდება ციებ-ცხელება ამ ვალტერ კლემერის მიმართ. დედა შემდეგ რამეებს იმიზეზებს: ხანძრის საშიშროება, ქურდობის საშიშროება, ძარცვის საშიშროება, მილის გასკდომის საშიშროება, დე-

დის მაღალი წნევის საშიშროება, ღამის შიშები საერთო და თავისებური ხასიათისა. დედა ყოველდღე ახლებურად აწყობს ერიკას ოთახს ახალ ბინაში და ყოველთვის უფრო ფაქიზად და ნატიფად, ვიდრე მანამდე. ქალიშვილის ცალკე საწოლზე ლაპარაკიც ზედმეტია. ყველაზე დიდი, რაც შეიძლება მან მიიღოს, ეს მოხერხებული სავარძელია.

დედა წვება და იმწამსვე კვლავ დგება. მას უკვე ღამისპერანგი და ხალათი აცვია. იგი ძუ ვეფხვივით დაძრწის ოთახში და სამშვენისებს თავიანთი ჩვეული ადგილების ნაცვლად სხვა ადგილს უძებნის. იგი ყველა საათს აცქერდება, რომელიც სახლში აქვს და მათ ერთმანეთს ადარებს. ქალიშვილი პასუხს აგებს თავის საქციელზე.

მოიცა, ახლა კი აჩვენებს მას სეირს, – გასაღების გადატრიალების ხმა მკაფიოდ მოისმის, კარი იღება და ერიკაც შემოდის. წინკარში მკვეთრ სინათლეზე თვალს ჭუტავს როგორც ღამის პეპელა, რომელმაც ბევრი დალია. ყველა ოთახში სინათლეა, – როგორც საზეიმო ჟამს, მაგრამ საღამოს წმინდა ზიარების საათებმა უქმად და უსარგებლოდ ჩაიარა. ბრაზისგან სახეანთებული უფროსი ქალბატონი კოხუტი უსიტყვოდ მიემართება თავისი ქალიშვილისაკენ, შემთხვევით რაღაცას წამოედება და ერიკას ეჯახება, რომელიც კინაღამ ძირს არ გაიშხლართა იატაკზე; ეს ბრძოლის პირველი ფაზაა, მთავარი ჯერ კიდევ წინაა. გაავებული ქალი ხმაამოუღებლივ სცემს ქალიშვილს და ისიც მოკლე პაუზის შემდეგ იმავე თავაზიანობით უპასუხებს. ერიკას ფეხსაცმელს რომელიღაც ცხოველის სუნი ასდის, რაღაც გახრწნილის სუნი. ორივე მოწინააღმდეგე მხარე, – მეზობლების შიშით, რომლებიც ხვალ სისხამ დილით უნდა ადგნენ, – უხმოდ ებმებიან ხელჩართულ ბრძოლაში. გაურკვეველია, როგორ დაბოლოვდება ეს ბრძოლა. ქალიშვილმა ბოლო წამს გამარჯვება შესაძლოა, უფროსისადმი პატივისცემის გამო დედას დაუთმოს. დედამ კი, შეიძლება, იმის შიშით, რომ ბავშვს თითები არ დაუზიანდეს, მუსიკის მეცადინეობისთვის რომ არის საჭირო,

ქალიშვილს გაამარჯვებინოს. საერთოდ, ქალიშვილი უფრო ღონიერია, რადგან ახალგაზრდაა; გარდა ამისა, დედას უკვე ძალა გამოცდილი აქვს თავის ქმართან გამოვლილ ბრძოლებში. მაგრამ ქალიშვილს ჯერ არ უსწავლია, სრულად როგორ გამოიყენოს თავისი სიძლიერე დედის წინააღმდეგ. ქალბატონი კოხუცი კარგა მაგარი სილაქებით უმასპინძლდება თავისი გვიანდელი სიყვარულის ნაყოფს, რომელსაც ვარცხნილობა მოშლია და თმები გასწეწვია. ცხენის თავების გამოსახულებიანი აბრეშუმის თავსაფარი ჰაერში მიფრინავს და შემდეგ თითქოს საგანგებოდ ეშვება წინა ოთახში ლამპაზე, უფრო ნაზ და უფრო მყუდრო სინათლეს აჩენს, როგორც ეს სენტიმენტალური ხასიათის სპექტაკლებს შეეფერება ხოლმე. გარდა ამისა, ქალიშვილს უფრო არასახარბიელო პოზიცია უკავია, რადგან ფეხსაცმელი, რომელსაც ძაღლის განავალი, თიხა და ბალახი მისწებებია, ხალიჩაზე უსხლტება. ქალიშვილი იატაკზე ეცემა. ხმაურს მხოლოდ ოდნავ თუ აყუჩებს წითელი სინთეტიკის საფენი. დედა, ეშინია რა მეზობლების შეწუხების, ერიკას კვლავ ჩუმად უსისინებს! ქალიშვილი, რომელიც ასევე ზრუნავს მეზობლებზე, პასუხს აძლევს: ჩუმად! ორივენი ფრჩხილებით აფრინდებიან ერთმანეთს სახეში. ერიკა ისეთ ხმებს გამოსცემს, როგორც შევარდენი ნადირობისას, თავის მსხვერპლს რომ ზემოდან მოქცევია და აცხადებს, ფეხებზე მკიდია მეზობლები, მაგაზე შენ თვითონ აგებ პასუხსო. დედა ღმუილს იწყებს, რომელსაც იმწამსვე წყვეტს. შემდეგ კვლავ იწყება უხმო ან ნახევარი ხმით ქშენა და ხვნეშა, წკმუილი და ოხვრა. დედა სიბრალულისა და თანაგრძნობის სიმებს ეხება და, რადგან გამარჯვება აქამდე ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიპოვა, უკადრის ხერხებს მიმართავს, აკეთებს რა აქცენტს თავის ასაკსა და ახლო ხანში მოსალოდნელ სიკვდილზე. დედის კვნესა და ჩივილი ერიკაზე მოქმედებს, მას არ უნდა, დედა ძალიან დაზარალდეს ამ ჩხუბში. ქალიშვილი თავს იმართლებს: შენ დაიწყე ჩხუბიო! დედა, პირიქით, ამტკიცებს, ჩხუბი ჩემი კი არა, შენი დაწყებუ-

ლიაო. ქალბატონი კოხუტი ირწმუნება, რომ დღეს მას სულ ცოტა ერთი თვით მაინც შეუმოკლეს ცხოვრების დარჩენილი ვადა. ქალიშვილი ახლა მხოლოდ ნახევარი ძალითღა იკაწრება და იკბინება. დედა სარგებლობს იმით, რომ სულის მოთქმის საშუალება მისცეს და ერიკას ერთ ბღუჯა თმას აგლეჯს თავზე შუბლთან, სწორედ იმ თმას, რომლითაც ერიკას თავი მოსწონს, რადგან კოხტად არის დახუჭუჭებული და კულულები მოხდენილად ეფინება შუბლზე. თმებს რომ აბდღვნიან, ერიკა ისე საზარლად შეჰყვირებს, რომ ქალბატონ კოხუტს შიში იპყრობს და ჩხუბს თავს ანებებს. ხვალ ერიკამ სალბუნი უნდა დაიდოს მტკივან ადგილზე და გარეთ ისე გავიდეს ან არადა არ მოიხსნის თავსაფარს მეცადინეობის დროს, რაც არცთუ მთლად სარწმუნო და დასაჯერებელია. ორივე ქალი ზის ახლა გვერდმოქცეულ ფიანდაზზე წინა ოთახში სუსტ სინათლეზე და გამალებით სუნთქავს. ქალიშვილი რამდენჯერმე ითქვამს სულს და ეკითხება, რა საჭირო იყო ყოველივე ესო. როგორც მოყვარული ქალი, რომელმაც ეს-ესაა მიიღო საშინელი ცნობა შორეული მხარიდან, იგი კრუნჩხვით იდებს ხელს ყელზე, სადაც ხტის და ფეთქავს ვენა. ქალბატონი კოხუტი პასუხობს: ეს არ მოხდებოდა, დროზე რომ ბრუნდებოდე ხოლმე შინო. ისინი უსიტყვოდ შეჰყურებენ ერთმანეთს. დედის ღამის პერანგი შეხლა-შემოხლის დროს ზემოთ აიჩოჩა, თითქოს ცდახყოფდა, რომ დედა, მიუხედავად ყველაფრისა, უპირველეს ყოვლისა, მაინც ქალია. ქალიშვილი დარცხვენით ეუბნება, შიშველი ადგილი დაიფარეო. დედაც ასევე დარცხვენილი ემორჩილება. ერიკა ფეხზე დგება და ამბობს, მომწყურდაო. დედა ჩქაროობს, შეასრულოს ეს მოკრძალებული სურვილი. ქალბატონი კოხუტი შიშობს, რომ ერიკა ხვალ ჯიბრზე ახალ კაბას იყიდის. დედას მაცივრიდან გამოაქვს ვაშლის წვენი, ფასდაკლებით რომ იყიდა, რადგან მძიმე ბოთლები სულ უფრო იშვიათად მოაქვს ხოლმე სუპერმარკეტიდან სახლში. უმეტესად იგი ჟოლოს სიროფს ყიდულობს, რომელიც მათ დიდხანს ყოფნით.

კონცენტრატს, რომელსაც წყალში აზავებენ, ისინი რამდენიმე კვირის განმავლობაში სვამენ. დედა ამბობს, რომ იგი მართლაც მალე მოკვდება. ეს თვითონაც სურს და გულიც მთლად დაუძლურდა. ქალიშვილი ეუბნება, ასე ძალიან ნუ აჭარბებო. ერიკა უკვე ყურადღებას აღარ აქცევს მის განუწყვეტელ ჩივილს სიკვდილზე. დედას სურს, ახლა ტირილი დაიწყოს, რამაც, შეიძლება, მას მესამე რაუნდში ნოკაუტით გამარჯვება არგუნოს, ანდა, უარეს შემთხვევაში, გამარჯვება მოწინააღმდეგის უარის გამო ბრძოლის გაგრძელების თაობაზე. ერიკა აჩერებს დედას და ეუბნება, კარგი, გეყოფა, უკვე გვიან არისო. ერიკას ახლა წვენის დალევა და ლოგინში ჩაწოლა სურს. დედაც უნდა დაწვეს ლოგინში. ლაპარაკის გაგრძელება საჭირო აღარ არის! ქალიშვილი ასე მალე ვერ აპატიებს თავდასხმას, მას ხომ არაფერი დაუშავებია. ერიკას ახლა შხაპის მიღება არ სურს, ამბობს, დასაბანად არ წავალ, რადგან მილების ხმაური მთელ შენობას მოედებაო. ქალიშვილი წვება დედის გვერდით. მართალია, დღეს ხელსაწყოს ორი დამცველი გადაეწვა, მაგრამ იგი მაინც დაბრუნდა სახლში. იგი ლოგინში წვება და თავის მიერ ნათქვამ „ღამე მშვიდობისა ზე“ პასუხის მიუღებლად იმწამსვე იძინებს. დედა კვლავ დიდხანს ფხიზლად წევს და ჩუმად ეკითხება საკუთარ თავს, როგორ დაიძინა მან ასე სწრაფად და თანაც ისეა, რომ მომხდარის შესახებ არავითარი სინანული არ გამოუხატავს. ქალიშვილს უნდა შეენიშნა, რომ მისი „ღამე მშვიდობისა“ დედამ განზრახ უყურადღებოდ დატოვა. ჩვეულებრივ ვითარებაში ისინი კიდევ ათიოდე წუთი მაინც იწვებოდნენ ლოგინში გაუნძრევლად, ამას მოჰყვებოდა გარდუვალი შერიგება, რის შემდეგაც ისაუბრებდნენ დაბალ ხმაზე და ყოველივე ამას ღამის გამოსათხოვარი კოცნით დააგვირგვინებდნენ. დღეს კი ერიკამ, ვითომდა აქ არაფერიაო, მაშინვე დაიძინა, გატაცებულმა ოცნებებით, რომელთა შესახებაც დედა ვერაფერს გაიგებს, რადგან ხვალ ქალიშვილი მას არაფერს მოუყვება. დედა თავის თავს ჰპირდება ქალიშვილის მიმართ განსა-

კუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოს. ამ ფიქრებმა მას მოსვენება დაუკარგა და მხოლოდ განთიადისას მოახერხა ჩაძინება.

ბახის ექვს „ბრანდერბურგულ კონცერტზე“ ხელოვნებაში ჩახედული ადამიანი ჩვეულებისამებრ ამბობს, რომ იმ დღეს, როცა კომპოზიტორმა ისინი შექმნა, ცაზე ვარსკვლავები აცეკვდნენო. როდესაც ეს ადამიანები ბახზე ლაპარაკობენ, ისინი აუცილებლად მოიხსენიებენ ხოლმე ღმერთსა და მის ადგილსამყოფელს. ერიკა კოხუტმა ფორტეპიანოსთან მოსწავლე შეცვალა, რომელსაც მოულოდნელად ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა და გულაღმა დააწვინეს. ახლა იგი სავარჯიშო ლეიბზე წევს. ფლეიტები და ვიოლინოები ავსებენ ანსამბლს და „ბრანდერბურგის კონცერტებს“ იშვიათობის ელემენტს სძენენ. მათ ხომ მუდამ მუსიკოსთა შეცვლილი შემადგენლობით ასრულებენ, მუდამ სრულიად განსხვავებული ინსტრუმენტებით, ერთხელ ორი ბლოკ-ფლეიტითაც კი!

ვალტერ კლემერი ახალი, სერიოზული შეტევის განხორციელებას შეუდგა. იგი სპორტული დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში განცალკევდა და იქ მოიკალათა. ეს მისი საკუთარი მაყურებელთა დარბაზია, საიდანაც იგი კამერული ორკესტრის რეპეტიციას უსმენს. ბატონ კლემერს თავი ისე უჭირავს, თითქოსდა მთელი გულისყური პარტიტურისკენ ჰქონდეს მიპყრობილი, სინამდვილეში კი მისი ყურადღება მთლიანად ერიკაზეა მიმართული. არც ერთი მისი მოძრაობა არ ეპარება მხედველობიდან დაკვრის დროს, არა იმიტომ, რომ თვითონ რაღაც ისწავლოს და გადაიღოს მისგან, არამედ იმიტომ, რომ პიანისტი ქალი მამაკაცის ჩვეულებისამებრ დააბნიოს. იგი თითქოს გულგრილად, ინერტულად, მაგრამ გამომწვევად უცქერს თავის მასწავლებელს. – გსურს აიღო როიალის პარტია? - ეკითხება ერიკა კლემერს. – არა, არ მსურს, - უპასუხებს იგი და ამ მოკლე პასუხებს შორის აკეთებს მრავალმნიშვნელოვან პაუზას, რომელშიც რაღაც გამოუთქმელი იმალება. კლემერი მრავალმნიშვნელოვანი დუმილით ხვდება ფროილაინ კოხუტის გამო-

ნათქვამს იმის შესახებ, რომ მხოლოდ წვრთნითა და პრაქტიკული მოქმედებით მიიღწევა ოსტატობის გარკვეული დონე. ვალტერ კლემერი ესალმება ერთ-ერთ მოსწავლე გოგონას და ხელით ჰაეროვან კოცნას უგზავნის ხუმრობით, მეორე გოგონასთან კი რაღაც სისულელეზე იცინის.

ერიკა სულიერ სიცარიელეს გრძნობს, ამ გოგონებისგან რომ მოედინება, მათთან ურთიერთობა ხომ მამაკაცს მალე სწყინდება! თოჯინასავით ლამაზი სახეც სწრაფად ბეზრდება კაცს. ტრაგიკული გმირი კლემერი, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ამ როლისათვის ძალიან ახალგაზრდაა, მაშინ როცა ერიკა, სხვათა შორის ძალიან ხნიერია ამ უდანაშაულო მსხვერპლისათვის, მუსიკის ტაქტზე თითებს პარტიტურის[42] ფურცელს უტყაპუნებს. ყველა იმწამსვე მიხვდება, რომ მას საქმე აქვს მუსიკალურ მსხვერპლთან და არა მუსიკალურ პარაზიტთან. იგი პრაქტიკული პიანისტია, რომელსაც ამგვარი გარემოებები ხელს უშლის ჯეროვნად წარმოაჩინოს თავისი თავი. კლემერი ახლა მესამე გოგონას ავლებს მხარზე მსუბუქად ხელს, რომელსაც მოდაში შემოსული მინიქვედატანი აცვია. ეტყობა, კლემერს გონება მთლად აუმჩატდა. ერიკა ფიქრობს: თუ კლემერი ასე ძალიან დაეშვება ძირს, ასე დაქვეითდება, ეს მისი საქმეა, მე ვერაფერს ვუშველიო. ერიკა ეჭვს შეუპყრია, მას თვალები სტკივა, რადგან ყოველივე ამას მხოლოდ გვერდულად, თვალის კუთხეებიდან უყურებს, მას არ სურს, არავითარ შემთხვევაში არ სურს კლემერისკენ მიბრუნდეს; მან არ უნდა შენიშნოს, რომ ერიკა კლემერს აკვირდება. იგი ახლა მესამე გოგოს ეხუმრება. გოგონა გულიანად კისკისებს და ფეხებს განზე შლის. ფეხები თავდება და შემდეგ უკვე სხეული იწყება, ფეხები თითქოს სხეულში გადადის. გოგონას სახეზე მზის სხივები უციმციმებს. რეგულარულმა მეცადინეობამ და ვარჯიშმა ბაიდარაზე კლემერის სახეს ჯანსაღი

[42] ნოტების წიგნი, რომელიც შეიცავს მუსიკალური ნაწარმოების პარტიების ცანაწერს.

ფერი მოჰფინა, მისი ღია თმები და გოგონას გრძელი კულულები ერთად ლივლივებს მზეზე. სპორტში ვარჯიშის დროს კლემერს დამცველი ჩაფხუტი ახურავს. ბატონი კლემერი მოსწავლე გოგონას ანეკდოტს უყვება, რომლის დროსაც მისი ცისფერი თვალები ნაპერწკლებს აკვესებს. იგი გამუდმებით გრძნობს ერიკას იქ ყოფნას, მის არსებობის. მისი თვალები არაფერს მეტყველებენ. კლემერი კი, დიახ, ნამდვილად აპირებს ახალი შეტევის დაწყებას, რათა ერთხელ მაინც მოახერხოს ერიკა კოხუცის ნავში ჩასმა, და არა ბაიდარაში, რომელიც, როგორც ამბობენ, ძნელი სამართავია! იქ, ტბაზე ან მდინარეზე კლემერი თავის სტიქიაში იქნებოდა, თავს ისე იგრძნობდა, როგორც თევზი წყალში; თავისუფლად მოიპოვებდა ძალაუფლებას ერიკაზე და მას თავის პირობებს შესთავაზებდა. აქ კი კლავიატურასთან ქალი კვლავ თავის სტიქიაშია და ეს უნგრელი ემიგრანტიც, დირიჟორი, რომელიც თავისი ძლიერი აქცენტით მოსწავლეებს შლეგურად ლანძღავს, კვლავ დირიჟოროობას აგრძელებს.

ვალტერ კლემერი ქალს ახლა უფრო მძაფრად გრძნობს, უფრო ხელშესახებად, ვიდრე ერთი წლის წინათ, ზის იგი აქ, ეხება კლავიშებს და გაუბედავად უმზერს ხოლმე რა გვერდულად მოწაფეს, ის მაინც არ მიდის მასთან და არ ეუბნება, თუ რა ცეცხლი უგიზგიზებს გულში. რაც შეეხება შესასრულებელი ნაწარმოების ანალიზს, კლემერი ისე იქცევა, თითქოს იქ არც ყოფილიყო. თუმცა იგი აქ არის. მისი გულისთვის არის აქ? მუსიკალურ ჯგუფებში ბევრი გოგონა მოხიბლულია ამ ახალგაზრდა კაცით. ერიკას ისე უჭირავს თავი, თითქოსდა საერთოდ ვერ ამჩნევდეს კლემერს, და ამით ეჭვს იწვევს. იგი თან თავის ერთადერთობას, განცალკევებულობას მიანიშნებს და თან კლემერს აგრძნობინებს, რომ თავიდანვე მხოლოდ მას ამჩნევს აქ და სხვას – არავის. კლემერის გარდა, ერიკასათვის, მუსიკის ამ მომთვინიერებლისათვის, მხოლოდ მუსიკა არსებობს. მცოდნე კლემერს არ სჯერა იმისა, რაც ქალის სახეზეა გა-

მოსახული: გულგრილობა. ის ერთადერთია, ვინც ღირსია მიაშუროს შემორაგვულ საძოვარს, რომელსაც აწერია: „შესვლა აკრძალულია“. ერიკას რაღაცნაირი ნევროზული აჩქარება, აფორიაქება ეტყობა. შეიძლება ეს გამოწვეულია გაზაფხულის მოახლოებით, რაზეც მიანიშნებს ჩიტების სიმრავლე და უყურადღებო, გონებადაფანტული მძღოლები, რომლებმაც ზამთარში მანქანები გარაჟში დააყენეს იმ მიზეზების გამო, მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ დამუქრებოდა, ხოლო მანქანას გარკვეული ტექნიკური პრობლემები არ გასჩენოდა. ახლა გამოჩნდნენ, საჭეს მიუსხდნენ და მანქანის ტარებას გადაჩვეულნი საშინელ ავარიებს ახდენენ. ფროილაინ კოხუტი მექანიკურად ასრულებს იოლ პარტიას. მისი ფიქრები შორს ქრიან და მოსწავლე კლემერს უკავშირდებიან. მხოლოდ ერიკა, კლემერი, სასტუმროს პატარა ოთახი და სიყვარული.

ბატონი ნემეტი კვლავ აკაკუნებს სადირიჟორო ჯოხს. ვიოლინოები არასაკმარისად რბილად ჟღერდნენ. - დაიწყეთ კიდევ ერთხელ ასო „ბ“-დან, გეთაყვა! გოგონა, რომელსაც ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა, მოფერიანებული ბრუნდება, როიალთან თავის ადგილს და თავის უფლებებს ითხოვს, როგორც სოლისტი, რაც მან დიდი მონდომებითა და შრომით მოიპოვა კონკურენტებთან ბრძოლაში. ეს გოგონა ქალბატონი მასწავლებლის კოხუტის საყვარელი მოსწავლეა, რადგან მასაც ჰყავს დედა, რომელსაც მთელი თავისი პატივმოყვარეობა თავისი ნაშიერისაკენ აქვს მიმართული.

გოგონა ერიკას ადგილს იკავებს. კლემერი გამამხნევებლად უკრავს თვალს გოგონას და თვალს ადევნებს, როგორ რეაგირებას მოახდენს ამაზე ერიკა. ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე ბატონი ნემეტი სადირიჟორო ჯოხს ასწევდეს, ერიკა დარბაზიდან გარბის. ვალტერ კლემერი, ერიკასთან დაახლოებული და მთელ ქალაქში ცნობილი სპრინტერი ხელოვნებისა და სიყვარულის დარგში, სწრაფად დგება ფეხზე და თან მიჰყვება მას; მაგრამ დირიჟორის მისკენ მიმართული მზერა მაყურებელ კლემერს აიძულებს კვლავ თავის ადგილზე

დაჯდეს. მოსწავლემ უნდა გადაწყვიტოს: წასვლა სურს თუ დარჩენა და ბოლოს რჩება, – მან ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. პროჟექტორის ვარდისფერი შუქის სხივი როიალს ეცემა. ის გრაციოზულად და ამაყად მოძრაობს ნახევარწრეზე. ახლა ბატონი კლემერი უნდა იჯდეს და ელოდოს, სანამ დირიჟორი ერთხელ კიდევ არ გააჩერებს ორკესტრს. ამჯერად პატივცემულ მაესტროს სურს, ბოლომდე გაუძღვეს თავის ორკესტრს, თუკი, ცხადია, ვინმეს რაიმე არ შეეშალა, რაიმე სახის შეცდომა არ დაუშვა. ამის საშიშროება კი ნაკლებადაა, რადგან ახლა მოზრდილი მუსიკოსები უკრავენ. საბავშვო ორკესტრმა და სკოლის გუნდებმა, ამ ჭრელმა საზოგადოებამ, რომელიც ქალაქის მუსიკალური სკოლების მოსწავლეებისაგან შედგება, რეპეტიცია ოთხ საათზე დაამთავრეს. ისინი ქმნიან კომპოზიციას, რომელიც შედგენილია ბლოკ-ფლეიტის კლასის ხელმძღვანელის მიერ და შეერთებულია მომღერალ-სოლისტებთან, რომლებიც სიმღერის მასწავლებელ ქალთა ნაკრებს წარმოადგენს მუსიკალური სკოლების ყველა სარაიონო ფილიალიდან, – მთლიანად კონსერვატორიის ამ ქალიშვილთა ფირმებიდან – ეს არის გაბედული, შეუპოვარი ნაბიჯი, თუმცა ზოგი პატარა შემსრულებელი იქამდეც მიჰყავს, რომ ისინი ლოგინში იფსამენ.

კლემერი თავის ადგილზე ზის და ბახზე ფიქრით არის გართული. მალე მოვა თუ არა ერიკა? თუ ის უბრალოდ ხელის გადასაბანად გავიდა? ამ შენობას იგი კარგად არ იცნობს. კლემერი ერიკაზე ფიქრობს და თან თავის მომხიბლავ ამხანაგ გოგონებს თვალს უკრავს. მას სურს გაამართლოს თავისი სახელი, როგორც ქალთა გულების მპყრობელმა. დღეს დამატებით რეპეტიცია უნდა ჩატარდეს სხვა დარბაზში, რადგან კონსერვატორიის ყველა დიდი დარბაზი დაკავებულია საოპერო კლასის გენერალური რეპეტიციის გამო (ისინი დგამენ მოცარტის „ფიგაროს ქორწინებას“). ბახის რეპეტიციის ჩასატარებლად მათ სპორტული დარბაზი დაუთმო სახალხო სკოლამ, რომელსაც მათთან ახლო ურთიერთობა აქვს. სპორტუ-

ლი იარაღები კედლებისაკენ მიჭუჭკეს, სხეულის კულტურამ ერთი დღით ადგილი დაუთმო სულიერ კულტურას. სახალხო სკოლა იმ რაიონშია, სადაც ადრე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შუბერტი, ზედა სართულებზე მდებარეობს რაიონის მუსიკალური სკოლის კლასები, მაგრამ ეს ადგილი რეპეტიციის ჩასატარებლად არ არის საკმარისი.

ამ ფილიალის მუსიკის მოსწავლეებს დღეს ნება დართეს, დაესწრონ კონსერვატორიის ცნობილი ორკესტრის რეპეტიციას. ცოტანი თუ სარგებლობენ ამ ნებართვით. არადა ამან მათ მომავალი პროფესიის არჩევანი უნდა გაუადვილოს. ისინი ხედავენ, რომ ხელებს არა მარტო უხეშად ამოძრავებენ, არამედ მოხდენილი და ნატიფი მოძრაობებიც შეუძლიათ. დურგლის ან უნივერსიტეტის მასწავლებლის პროფესია შორეულ ჰორიზონტზე გადადის: მოსწავლეები მოწიწებით სხდებიან სკამებსა და სავარჯიშო ლეიბებზე. სმენას ამახვილებენ: არც ერთი მათგანის მშობელს აზრადაც არ მოუვა, რომ მისმა შვილმა დურგლის ხელობა შეისწავლოს.

მაგრამ შვილმა არც ის უნდა იფიქროს, რომ მუსიკის ნუგბარი ლუკმა პირდაპირ ციდან ჩაუფრინდება პირში. წვრთნასა და ვარჯიშებს მან მთელი თავისუფალი დრო უნდა შესწიროს.

ვალტერ კლემერი დათრგუნვილია სკოლის ატმოსფეროთი, რომელსაც კარგა ხანია გადაეჩვია. იგი კვლავ ბავშვად გრძნობს თავს ერიკას წინაშე. მასში მტკიცდება მასწავლებელ-მოსწავლის დამოკიდებულების შეგრძნება, ხოლო შეყვარებული ქალ-ვაჟის, შეყვარებული ქალის ურთიერთობის განცდა შორ მანძილზე გადაინაცვლებს. კლემერი ვერც კი ბედავს, იდაყვებით გაიკვლიოს გზა, რათა გასასვლელამდე მიაღწიოს. ფროილაინ კოხუტი მას გაექცა და გასვლისას კარებიც მოიხურა ისე, რომ მას არ დაუცადა. ანსამბლი უკრავს ვიოლინოებზე, უკაკუნებს კლავიშებს და უკრავს ფლეიტაზე. მონაწილენი ძალებს არ ზოგავენ, მონდომებით უკრავენ, რადგან მიამიტი და უცოდინარი მსმენელის წინაშე ადა-

მიანი უფრო იძაბება, - მათ შეუძლიათ შეაფასონ სახის გამომეტ-ყველების მიხედვით, რამდენად აქვს შემსრულებელს ყურადღება მოკრებილი და რამდენად არის შთაგონებული. ორკესტრი ახლა უფრო სერიოზულად უყურებს თავის საქმეს, ვიდრე ჩვეულებრივ. ბგერებისა და მუსიკის ხმების კედელი აღიმართება კლემერის წინა-შე და იგი ვერ ბედავს გაარღვიოს, გაანგრიოს ის იმ მიზეზის გამო, რომ მის მუსიკალურ კარიერასთან არის დაკავშირებული. ბატონ ნემეტს შეუძლია, უარი თქვას კლემერზე, როგორც სოლისტზე, რის გამოც იგი მონაწილეობას ვეღარ მიიღებს დიდ დასკვნით კონ-ცერტში. იქ ხომ მოცარტს დაუკრავენ.

ვიდრე ვალტერ კლემერს დრო იმით გაჰყავს, რომ ქალთა ფი-გურებს ათვალიერებს და მათ ერთმანეთს ადარებს, რაც უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტისათვის მთლად ძნელი საქმე არ უნდა იყოს, მისი მუსიკის მასწავლებელი გაუბედავად ტკეპნის ადგილს გასახდელში. დღეს გასახდელი სავსეა ინსტრუმენტის ფუტლარებით, პალტოებით, ქუდებით, ყელზე მოსახვევი შარფები-თა და ხელთათმანებით. იატაკზე უამრავი ფეხსაცმელია, რადგან სპორტულ დარბაზში შესვლა მხოლოდ სპორტული ფეხსაცმლით შეიძლება. ზოგიერთს დაავიწყდა სპორტული ფეხსაცმელის მოტა-ნა და იქ წინდებით ზის, როს გამოც შეიძლება გაცივდეს კიდეც.

პიანისტ ქალს, ერიკას ბახის მუსიკის მოტრფიალე ხმები შორი-დან ესმის. იგი იმყოფება იმ ადგილას, სადაც საშუალო დონის სპორტული შედეგებისთვის ემზადებიან და ვერ გაუგია, რას აკე-თებს აქ და რატომ გამოვარდა რამდენიმე წუთის წინ სარეპეტი-ციო დარბაზიდან. განა კლემერი იყო ამისი მიზეზი? აუტანელი იყო იმის ყურება, თუ როგორ უკრავდა იგი თვალს და როგორ ეღ-ლაბუცებოდა გოგოებს. მას რომ ჰკითხო, ის მაშინვე საბაბს მოძებ-ნის და იტყვის, – მე, როგორც მცოდნეს, შემიძლია შევაფასო ნე-ბისმიერი ასაკისა და ნებისმიერი კატეგორიის ქალის სილამაზეო.

ეს შეურაცხმყოფელია მასწავლებელი ქალისათვის, რომელიც გაისარჯა და აქ იმისათვის მოვიდა, რომ თავის გრძნობას გაქცეოდა.

მძიმე წუთებში მუსიკას ხშირად მოუგვრია ერიკასთვის ნუგეში, დღეს კი ეს მუსიკა ტკივილს აყენებს მის გრძნობებსა და ნერვებს, მამაკაცმა, სახელდობრ კი კლემერმა, რომ გააშიშვლა. ოთახი, რომელშიც ფროილაინ კოხუტი იმყოფება, მტვრიანი და ცივია. მას სხვებთან მისვლა, უკან დაბრუნება სურს.

გრძნობები მუდამ სასაცილოა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ვიღაც უცხოთა ხელში ხვდება. ფროილაინ კოხუტი ნაბიჯებით ზომავს ვრცელსა და აშმორებულ ოთახს, იგი ისე დადის როგორც იშვიათი გრძელფეხებიანი ფრინველი ზოოპარკში. აიძულებს თავს, იმოძრაოს ძალიან ნელა, იმედოვნებს, რომ ვიღაც შემოვა და ხელს შეუშლის, რათა არ ჩაიდინოს ცუდი საქციელი, დანაშაული, რომელსაც იგი აპირებს და რომელსაც საშინელი შედეგები მოჰყვება: გვირაბი, სავსე საზარელი მჭრელი იარაღებითა და საგნებით, მან უკან უნდა გაირბინოს, იძულებულია სწრაფად გაირბინოს და თავი დააღწიოს სრულ წყვდიადს. გვირაბის მეორე ბოლოში ღამეა. სად არის სინათლის ჩამრთველი ნიშები,[43] რომლებშიც საჭიროების შემთხვევაში მოსამსახურე პერსონალი იმალება ხოლმე?

მისთვის მხოლოდ ერთი რამ არის ცნობილი: მეორე ბოლოში მდებარეობს არენა, პროჟექტორების დამაბრმავებელი შუქით რომ არის გასხივოსნებული, სადაც მისგან მოელიან სიმარჯვის მაგალითების ჩვენებას. ზემოთ ამფითეატრივით ადის ქვის საფეხურთა რიგები, საიდანაც მას სეტყვასავით აცვივა და ეყრება მიწის თხილის პაკეტები, არაქისის ნაჭუჭები, ლიმონათის ბოთლები, ტუალეტის ქაღალდის ხვეულები. აი, მისი ნამდვილი პუბლიკა. სპორტული დარბაზიდან ყრუდ მოისმის ბატონი ნემეტის ხმამაღალი შეძახილები – იგი მოითხოვს, ორკესტრმა უფრო ხმამაღლა დაუკრას.

---

[43] ნიში - ამოღრმავებული ადგილი კედელში რისამე შესადგმელად.

ფორტე! მაღალ ხმაზე!

ფაიფურის პირსაბანი ბზარებითაა დაფარული. ზემოთ სარკე კიდია. სარკის ქვეშ შუშის პატარა თაროა, მეტალის ჩარჩოში ჩასმული. მასზე ჭიქა დგას – დაუდევრად არის დადებული, – უსულო საგნისადმი პატივისცემის გამოსავლენად. ჭიქა დგას იქ, სადაც დგას. მის ფსკერს შერჩენია წყლის ერთი პატარა წვეთი, რომელიც გაშრობის მოლოდინშია. ამ ცოტა ხნის წინათ რომელიღაც მოსწავლემ ამ ჭიქიდან წყალი დალია. ერიკა ხელს ყოფს პალტოებისა და ქურთუკების ჯიბეებში და ეძებს (ცხვირსახოცს, რასაც მალევე პოულობს. გრიპისა და გაციების პერიოდია. ფროილაინ კოხუტი იღებს ჭიქას და მას ცხვირსახოცი ახვევს. ჭიქა, ბავშვთა მოუქნელი და მოუხეშავი თითების ანაბეჭდები რომ ატყვია, ცხვირსახოცით არის დაფარული, ამგვარად შეფუთულ ჭიქას ერიკა იატაკზე დებს და ქუსლს მაგრად აჭერს. ჭიქა უხმაუროდ იმსხვრევა. მუსიკის მასწავლებელი ქალი კიდევ რამდენჯერმე აწვება ქუსლებით უკვე დამტვრეულ ჭიქას, ის კიდევ უფრო მცირე ნაწილებად იფშვნება. სულ მთლად წვრილი ნამტვრევები მას არ სჭირდება, მაგრად მჭრელი და ბასრი უნდა იყოს. ფროილაინ კოხუტი იღებს ცხვირსახოცს, მჭრელ და წვეტიან და ნამტვრევებს ფრთხილად ყრის ერთ-ერთი პალტოს ჯიბეში. იაფფასიანი, თხელი ჭიქა ძალიან სახიფათო და წვეტიან ნამსხვრევებად იქცა. ჭიქის ნამსხვრევების მჟღერი ხმები ცხვირსახოცმა გააყუჩა და მიაჩუმა.

ერიკა იმწამსვე მიხვდა, თუ ვისია იყო ეს ჭყეტელა მოდაში შემოსული „მინი“ პალტო. ეს გოგონა რეპეტიციის დასაწყისში საკმაოდ შინაურულად ექცეოდა ვალტერ კლემერს, რომელიც გაცილებით უფრო მაღლა დგას მასზე. ერიკას სურს ნახოს, რა პრანჭვა-გრეხვის ხასიათზე დადგება იგი, როდესაც თითებს დაიჭრის: სახე ტკივილისაგან დაემანჭება, ვეღარავინ შეატყობს უწინდელ ახალგაზრდულ იერსა და სილამაზეს. ერიკა გაიმარჯვებს.

მინი-ქვედატანის მაშინდელ ახალ მოდას, ამ ახალი მოდის პერიოდს, ერიკა დედის ბრძანებით გადაახტა. ქალბატონი კოხუტი მუდამ ჩასჩიჩინებდა ქალიშვილს, გრძელი კაბა ჩაიცვი, მოკლე კაბა არ გიხდებაო. არადა, იმ დროს ყველა გოგონამ თავიანთი ქვედატანები, კაბები თუ პალტოები დაამოკლებინეს; ან კიდევ მოკლე მზა ტანსაცმელი იყიდეს. მოდაში შედიოდა მოკლე კაბები, ირგვლივ გოგოების გაშიშვლებული ფეხები მოჩანდა, მაგრამ ერიკა დედის ბრძანებას დაემორჩილა. ერიკას უნდა ეთქვა: – პირადად მე მოკლე კაბა არ მიხდება, პირადად მე ეს არ მომწონს! – და იგი „მაღლდებოდა“ დროსა და სივრცეზე. – ფროილაინ კოხუტი თავისი სიმაღლიდან მსჯელობდა ყველაზე მკაცრი კრიტერიუმებით, – უძილო ღამეებში რომ გამოიმუშავა, – გოგონების თუ ქალების თეძოების შესახებ, ბარძაყების შესახებ (მათი უფრო გაშიშვლება აღარ შეიძლებოდა, ან კიდევ უფრო მეტად იყო საჭირო!); თავისი ნაცნობების წრეში ერიკა აცხადებდა: – მე რომ ასეთი ფეხები მქონდეს, როგორიც ამა თუ იმ გოგონას აქვს, ასე მოკლე კაბას არასოდეს ჩავიცვამდი! ერიკა ამბობდა, რომ მხოლოდ იშვიათად თუ შეიძლება ვინმემ ნება დართოს თავს ჩაიცვას ასეთი კაბა და იქვე თვალსაჩინოდ ხსნიდა და განმარტავდა ამის მიზეზებს. თვითონ იგი, ფროილაინ კოხუტი გავიდა დროისა და მისი მოდების ფარგლებს გარეთ, ატარებს რა მუხლებამდე სიგრძის კაბას, რომელიც მუდამ მოდაშია (როგორც ეს პროფესიულ ენაზე ითქმის). ერიკას სჯერა: არ შეიძლება მონურად ქედი მოუხარო მოდას, პირიქით, მოდა უნდა ემორჩილებოდეს იმას, თუ რა უხდება ამა თუ იმ ადამიანს და რა – არა.

ეს ფლეიტისტი გოგო, რომელიც კლოუნივით შეღებილა, იმით ცდილობს აღაგზნოს ვალტერ კლემერი, რომ თავის მოშიშვლებულ ბარძაყებს აჩვენებს მას. ერიკამ იცის: ეს გოგონა ტანსაცმლის დიზაინერის პრესტიჟულ პროფესიას ეუფლება. როდესაც ფროილაინ კოხუტი ამ გოგონას განზრახ უყრის პალტოს ჯიბეში

გატეხილი ჭიქის ნამტვრევებს, თავში მოსდის აზრი, რომ იგი არაფრის გულისთვის აღარ მოისურვებდა თავისი ახალგაზრდული პერიოდის ხელმეორედ განცდას.

მთელი ამ ხნის განმავლობაში გასახდელში არავინ შემოსულა, თუმცა საშიშროება საკმაოდ დიდი იყო. დარბაზში ყველანი მუსიკით არიან გართული. სიხარულის ის განცდა, როგორც ეს ბახს ესმოდა, ყველა კუთხესა და კუნჭულს ავსებდა, ყველა ხვრელს, კედლებსა და საფეხურებზეც მიცოცავდა. უკვე ფინალიც ახლოვდება. ორკესტრის ხმაურში ფროილაინ კოხუტი კარებს აღებს და მოკრძალებით ბრუნდება დარბაზში. იგი ხელისგულებს ისრესს, თითქოს ახლახან დაიბანაო და უსიტყვოდ ჯდება კუთხეში. მას, როგორც მასწავლებელს, ცხადია, შეუძლია კარის გაღება, მიუხედავად იმისა, რომ ბახის დაკვრა გრძელდება. ბატონი ვალტერ კლემერი ერიკას დაბრუნებაზე თვალების ანთებით რეაგირებს, ისედაც ბუნებრივად რომ უბრწყინავს ხოლმე. ქალი ყურადღებას არ აქცევს მას. ვაჟი ცდილობს, მიესალმოს თავის მასწავლებელს და ისე შესცქერის, როგორც ბავშვი სააღდგომო კურდღელს. ფერადი კვერცხების ძებნა გაცილებით უფრო დიდი სიამოვნებაა, ვიდრე მათი უშუალო პოვნა, ვიდრე თვითონ კვერცხები, და სწორედ ასე გრძნობს თავს ვალტერ კლემერი ამ ქალის წინაშე. ნადირობა მამაკაცისათვის ბევრად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ქალთან გარდუვალი, აუცილებელი შეერთება. საკითხავი მხოლოდ ეს არის, როდის? კლემერს გაუბედაობა იპყრობს იმ წყეული ასაკობრივი სხვაობის გამო. ის, რომ იგი მამაკაცია, ადვილად ათანაბრებს იმ ათ წელიწადს, ერიკა ხომ მასზე უფროსია. გარდა ამისა, ქალის ფასი მკვეთრად ეცემა ასაკის მატებასა და მზარდ ინტელიგენტობასთან ერთად. ინჟინერი კლემერი ყველაფერს ანგარიშობს და მისი გამოთვლებიდან აშკარაა, რომ ერიკას ცოტა დრო დარჩა, ვიდრე იგი სამარეში ჩავა. ვალტერ კლემერი შვებას გრძნობს, როცა ერიკას სახეზე ნაოჭებსა და სიბერის ნიშნებს ამჩნევს. იგი შებოჭილად

გრძნობს თავს, როდესაც მასწავლებელი ქალი როიალთან ზის და მას რაღაცას უხსნის. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაითვალისწინოს ნაკეცები, ნაოჭები, ცელულიტი, ჭაღარა თმები, შესიებული უპეები, ფართო ფორები, კბილის პროთეზი, სათვალე, დაუშნოებული ტანი.

საბედნიეროდ, ერიკა ღონისძიების დამთავრებამდე შინ არ წასულა, როგორც ამას ხშირად აკეთებდა. მას მოსწონს თავყრილობიდან ფრანგული წესისამებრ წასვლა. იგი არასდროს არავის ემშვიდობება, არც ხელს უქნევს ვინმეს. იგი ერთბაშად ქრება, ორთქლდება. ამ დღეებში, როცა ერიკა მისგან გარბის, კლემერი ჩვეულებრივ რთავს ფირსაკრავს, უსმენს „ზამთრის მოგზაურობას“ და წყნარად აყოლებს ხმას. მეორე დღეს იგი მასწავლებელს აუწყებს: – ჩემს სულში რაღაც აჟღერდა შუბერტთან ერთად მე თითქმის იმავეს ვგრძნობ, რასაც შუბერტი განიცდიდა, როცა „მარტოობას“ წერდა. ჩვენ ვიტანჯებოდით, ასე ვთქვათ, ერთი და იმავე რიტმით, შუბერტი და თქვენი მონა-მორჩილი. რასაკვირველია, მე სულ პატარა და უმნიშვნელო რამ ვარ შუბერტთან შედარებით, მაგრამ ასეთ საღამოებზე, როგორც გუშინ, არც ისე შეუძლებელი უნდა იყოს ჩემი შედარება შუბერტთან. ჩვეულებრივ მე, სამწუხაროდ, უფრო ზედაპირული ვარ; ხედავთ, ერიკა, ამას პატიოსნად ვაღიარებ.

ერიკა უბრძანებს მას, რომ ვაჟმა ასე დაჟინებით არ უყუროს, მაგრამ კლემერი მაინც არ მალავს თავის განზრახვას. მხოლოდ ეს სურვილები ხდიან შესაძლებელს, რომ ისინი ერთმანეთისათვის არსებობდნენ. მხოლოდ ამ სურვილით უნდა გაიხსნან ერთმანეთში, შეერწყან ერთმანეთს და გამთლიანდნენ – პიროვნება ვალტერ კლემერი და პიროვნება ერიკა კოხუტი. ორი ნაჭერი ხორცი ქალაქის გარეუბნის მაღაზიის კარგად გაციებულ ვიტრინაში – ხორცის გადანაჭერი ნაწილი ვარდისფერი ზედაპირით მყიდველებისკენ მიმართული; და დიასახლისი კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მოითხოვს

აუწონონ მას ნახევარი კილო ამ ნაჭრიდან და შემდეგ კიდევ ერთი კილო იქიდან. ნაყიდ საქონელს ქონგაუმტარ პერგამენტის ქაღალდში ახვევენ. მყიდველი ქალი დებს ნავაჭრს თავის პროდუქტებისთვის განკუთვნილ ჩანთაში, რომლის ძირი მუდამ ჭუჭყითაა დაფარული, რადგან მას არასოდეს არ წმენდენ. და ორივე ნაჭერი ხორცი – ფილე და ღორის საშნიცელე,[44] მჭიდროდ ეკვრის ერთმანეთს, – ერთი მათგანი მუქი წითელი ფერისაა, მეორე კი – ღია ვარდისფერი.

– მე თქვენთვის საზღვარი ვარ, სადაც მთავრდება თქვენი სურვილი, რადგან თქვენ ვერასოდეს გადააბიჯებთ, ბატონო კლემერ! – ეუბნება ფროილაინ კოხუტი თავის მოსწავლეს. ვალტერ კლემერი ენერგიულად ეწინააღმდეგება თავის მასწავლებელს ადგენს რა, თავისი მხრივ, საზღვრებსა და მასშტაბებს.

ამასობაში გასახდელში ხმაური და ჟრიამულია. ისმის ფეხების ბრაგუნი და ცალკეული წამოძახილები, ისინი ვერ პოულობენ თავიანთ ნივთებს. ზოგიერთი მჭახე ხმით აცხადებს, ამას და ამას ჩემი ფული მართებსო. ერთი ახალგაზრდა კაცის ფეხქვეშ ტკაცუნი და ჭრიალი გააქვს ვიოლინოს ფუტლარს, – მას ფუტლარი საკუთარი ფულით არ უყიდია, თორემ უფრო ფრთხილად მოეპყრობოდა, – როგორც ეს მშობლებს არაერთხელ უთხოვიათ მისთვის. ორი ამერიკელი გოგონა წვრილი ხმით ჟღურტულებს თავიანთ საერთო მუსიკალურ შთაბეჭდილებებზე, რომელიც რაღაცის გამო, ეს თვითონაც ვერ გაურკვევიათ, ცოტა არ იყოს, შესუსტდა; შეიძლება, ეს აკუსტიკასთან იყოს დაკავშირებული. ასეა თუ ისე, ამერიკელებს რაღაცამ ხელი შეუშალა. უეცრად გულიდან აღმომხდარი ყვირილი ჰაერს აპობს და დაჭრილ, მთლად სისხლში მოსვრილ ხელს ვიღაც პალტოს ჯიბიდან იღებს. სისხლი ახალ პალტოზე წვეთავს და დიდ ლაქებს ტოვებს. გოგონა, თითები რომ დაესერა, ბღავის შიშისა და ტკივილისაგან. იგი ტირის იმ გადატანილი საშინე-

[44] შნიცელი - თხელი დაბეგვილი ხორცის ნაჭერი.

ლი წუთის გამო, როცა ხელში ტკივილი იგრძნო, და შემდეგ კი საერთოდ არაფერი უგრძნია. მოზარდი დაბნეულად უცქერის თავის ხელს, რომელსაც სისხლის წვეთები სდის, მის ლოყებზე მოედინება ცრემლები, რომელიც შეერია წამწამების ტუშსა და ქუთუთოების ფერს. პუბლიკა დუმს, უსიტყვოდ დგას, შემდეგ კი მედგრად მიიწევენ შუა ადგილისაკენ, როგორც რკინის ნაქლიბი – მაგნიტური ველის ჩართვის შემდეგ. ასე რომ, გარს ეკვრიან მსხვერპლს, თუმცა მათთვის ეს სრულიად უსარგებლოა. ამით ისინი დამნაშავეები არ გახდებიან, მსხვერპლთან საიდუმლო კავშირს არ დაამყარებენ. მათ სამარცხვინოდ აძევებენ და ბატონი ნემეტი ხელში იღებს სადირიჟორო ჯოხს და მოითხოვს, მოიყვანონ ექიმი. სამი სანიმუშო მოსწავლე ტელეფონზე დასარეკად გარბის. სხვები მაყურებლის როლში რჩებიან, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ ეს უბედური შემთხვევა ბოლოს და ბოლოს, გამოწვეულია ფარული სურვილით და რაც ასე უსიამოვნო ფორმით გამოვლინდა. მათ ვერაფრით აუხსნით, ვის შეეძლო ჩაედინა მსგავსი რამ. თვითონ მათ მსგავსი დანაშაულის ჩადენა არ შეუძლიათ. ადგილიდან არავინ იძვრის, ყველას სურს, ყველაფერი თავიდან ბოლომდე ნახოს და დააზუსტოს.

გოგონა იძულებულია დაჯდეს, იგი თავს ცუდად გრძნობს. შეიძლება, ბოლო მოეღოს კიდეც მის წვალებასა და ფლეიტაზე დაკვრას თავი დაანებოს.

ერიკას თავი ისე უჭირავს, თითქოს გული უღონდება სისხლის დანახვაზე და ხასიათიც მოეშხამა.

ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც საერთოდ ასეთ დროს არის მოსალოდნელი. ზოგიერთი მხოლოდ იმიტომ რეკავდა, რომ სხვებიც რეკავდნენ. მრავალი მათგანი ხმამაღლა მოითხოვდა სიწყნარეს, მაგრამ ცოტა თუ იცავდა მას. ისინი განუწყვეტლივ უშლიან ხელს ერთმანეთს, უწესრიგოდ ირევიან რა ერთმანეთის ცხვირწინ. ისინი სრულიად უდანაშაულოებს ადანაშაულებენ. მათ

მოუწოდებენ წესრიგისა და სიჩუმისაკენ, მაგრამ ამაოდ. მათ შორის უკვე შეინიშნება ორი თუ სამი მოსწავლე, რომლებიც არად დაგიდევენ წესიერების ელემენტარულ ნორმებს. სხვადასხვა კუთხიდან, სადაც უკეთ აღზრდილები და ასევე გულგრილები შეკრებილან, გაისმის შეკითხვები, თუ ვინ ჩაიდინა ეს. ერთერთი იქ შეკრებილთაგანი ვარაუდობს, გოგონამ თვითონ გაიჭრა განზრახ ხელი, რათა ყველას ყურადღება მიექციაო, მეორე მას ეწინააღმდეგება და ამბობს, ეს ამ გოგონას ეჭვიანმა მეგობარმა ვაჟმა ჩაიდინაო. მესამე კი მიიჩნევს, ეჭვიანობას ნამდვილად აქვს ადგილი, რადგან ეს გოგონა ეჭვიანი იყოო. ერთ-ერთი მოწაფე, რომლის მიმართაც უსამართლოდ გამოითქვა ეჭვი, აღშფოთებას ვერ მალავს. მოსწავლე გოგონა, რომელიც ასევე უსამართლოდ დაადანაშაულეს, ტირილს იწყებს. მოსწავლეთა ერთი ჯგუფი წინააღმდეგია იმ ზომებისა, რომელთა მიღებაც გონივრული იქნებოდა. ვიღაც კიდევ მტკიცედ და შეუპოვრად უარყოფს მისადმი გამოთქმულ საყვედურს, ბაძავს რა ამ მხრივ ტელევიზიით გამოსულ პოლიტიკოსებს. ბატონი ნემეტი იქ მყოფთ სიწყნარისაკენ მოუწოდებს, სიწყნარისაკენ, რომელსაც მალე „სასწრაფო დახმარების“ სირენა არღვევს.

ფროილაინ კოხუტი ყოველივე ამას თვალყურს ადევნებს და გარეთ გადის. ვალტერ კლემერი ისე უყურებს მასწავლებელს, როგორც ახალმოვლენილ პატარა ცხოველს, დედის ძუძუსკენ რომ მიიწევს და თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვება უკან.

დარბაზიდან გამოსული ერიკა კიბეზე ადის. ამასობაში სპორტულ დარბაზში კონსულტანტთა ჯგუფები შეიქმნა, თავიანთ წინადადებებს რომ აყენებენ და ბჭობენ, თუ რა მოიმოქმედონ. ისინი ასახელებენ ეჭვმიტანილებს, ქმნიან ჯაჭვს, რადგან პატარა მუსიკოსები სახლში უნდა წავიდნენ. ახლა ისინი მჭიდროდ ერტყმიან გარს უბედურებას, რომელიც, საბედნიეროდ, მათ არ შეხებია, მაგრამ ზოგიერთი ფიქრობს, რომ მალე მისი ჯერიც დადგება. ერიკა კიბეებზე არბის. ყველა, ვინც ხედავს, როგორ მირბის ფროილაინ

კოხუტი, ფიქრობს, რომ იგი ცუდად გახდა. მისი მუსიკალური გატაცება ტრავმებს ვერ ეგუება. უბრალოდ მას ძველმა ჩვევამ შეახსენა თავი – ხშირად იგი ყოვლად შეუფერებელ მომენტში გარბოდა გარეთ, ახლაც მუცელი ქვემოთკენ ეწევა. ფროილაინ კოხუტი ტუალეტს ზემო სართულში ეძებს, სადაც მასწავლებელ ქალს ვერავინ წაადგება თავს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების დროს. იგი ალალბედზე აღებს კარს. ის აქაურობას არ იცნობს, მაგრამ ერიკას აქვს ტუალეტის გამოცნობის გამოცდილება. იგი ხშირად იძულებულია ტუალეტი შეუფერებელ ადგილებში მოიძიოს – უცნობ შენობებსა და დაწესებულებებში. ახლაც განსაკუთრებით მოძველებული და შელახული კარი მას იმის ვარაუდის საფუძველს აძლევს, რომ მის უკან ტუალეტის კაბინები იქნება მოთავსებული. ამას იქიდან გამოსული ბავშვების შარდის სუნი ადასტურებს.

მასწავლებელთა ტუალეტები სპეციალური გასაღებით იღება, აღჭურვილია საუკეთესო ჰიგიენური მოწყობილობებითა და სხვა საჭირო საგნებით; აქ ყველაფერი ახალია. ფროილაინ კოხუტს უჩნდება არამუსიკალური შეგრძნება, რომ იგი ახლა გასკდება. მას ახლა სხვა არაფერი სურს, გარდა ერთისა – ცოტა შემსუბუქდეს. ეს მოთხოვნილება მას ყოვლად უადგილო და შეუფერებელ მომენტებში უჩნდება, – კონცერტზე, როდესაც პიანისტი პიანინოს უკრავს და თან პედალზე ფეხს აჭერს.

ერიკა უხმო პროტესტს გამოთქვამს პიანისტების მანკიერებათა გამო, რომლებიც თვლიან და აღიარებენ საზოგადოების წინაშე, რომ მარცხენა პედალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ყველა წყნარ პასაჟში. ამასთან ერთად, ბეთჰოვენი ყოვლად მკაფიოდ მეტყველებს და, პირიქით. ერიკას გონება და ხელოვნების მისეული გაგება ერთმანეთს ეხმიანება, უჭერენ რა ორივენი მხარს ბეთჰოვენს. ერიკა გულში ნანობს, რომ ბოლომდე ვერ დატკბა იმ სანახაობით, რაც მის მოსწავლე გოგონას შეემთხვა.

ერიკა შედის ტუალეტში და იქაურობას თვალს ავლებს. როგორც იქნა, მოისაქმა. ცოტა ხნის შემდეგ იღება გარეთა კარები და ვიღაც შემოდის. ეს უეჭველად მამაკაცის ფეხის ნაბიჯების ხმაა, რომელიც ახლოვდება და ირკვევა, რომ ეს ვალტერ კლემერის ნაბიჯებია. იგი ერიკას გამოჰყვა, როდესაც იგი დარბაზიდან გამოვიდა. კლემერსაც რაღაცნაირი საძაგელი გრძნობა ეუფლება. ერიკა მას თვეების განმავლობაში უგულებელყოფდა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ კლემერი შეუპოვარი და დაუდეგარი კაცია, ყოჩაღი და აქტიური. მისი სურვილია, ბოლოს და ბოლოს გათავისუფლდეს თავისი მასწავლებლის გავლენისაგან. ფროილაინ კოხუტმა უნდა დათმოს თავისი როლი, როგორც მასწავლებელმა, გადაიქცეს რაღაც საგნად და ასეთი სახით შესთავაზოს კლემერს თავისი თავი. ვალტერ კლემერი ყველაფერზე იზრუნებს. ეს კაცი ახლა კონკორდატია,[45] ნარევია ბიუროკრატიისა და სიხარბისა. ისეთი სიხარბისა, რომელსაც საზღვარი არ გააჩნია. ასეთია კლემერის მიერ საკუთარი თავზე დაკისრებული მოვალეობა მასწავლებელთა მიმართ. ვალტერ კლემერი თავიდან იცილებს იმ გარსს, რომელსაც ჰქვია გაუბედაობა, მოკრძალება და თავშეკავება. ფროილაინ კოხუტი ვერსად გაიქცევა, რადგან მის ზურგსუკან დიდი, მასიური კედელია. ბატონი კლემერი ისე გააკეთებს, რომ ერიკამ სმენა და მხედველობა დაკარგოს. მან მხოლოდ კლემერი უნდა დაინახოს და მას უსმინოს. ამ ქალმა უნდა შეიგნოს: საჭიროა დამთავრდეს ყოველგვარი გაურკვევლობა და გაიფანტოს ბურუსი. იგი არ უნდა შეიმალოს ნაჭუჭში, არ უნდა მოსწყდეს ყველაფერს, როგორც მძინარე მზეთუნახავი. იგი უნდა წარდგეს ვალტერ კლემერის წინაშე როგორც თავისუფალი ადამიანი, რომელმაც იცის ყოველივე ის, რაც ერიკას ფარულად სურს.

ბატონი კლემერი კითხულობს: – ერიკა, აქ ხართ? პასუხი არ ისმის. მხოლოდ ჩუმი, ნახევრად შეკავებული ჩახველება. ეს უჩვე-

[45] კონკორდატი - აქ ნარევი, შენადნობი.

ნებს მას მიმართულებას. კლემერს პასუხს არ აძლევენ, რაც შეიძ-ლება მან საკუთარი თავის დამცირებად მიიღოს. ჩახველება მან სრულიად ერთმნიშვნელოვნად გაიგო. – მამაკაცს მეორედ ასე ნუ-ღარ უპასუხებთ, – ამბობს ბატონი კლემერი და კაბინისკენ იყურე-ბა. ერიკა მასწავლებელია და იმავდროულად ჯერ კიდევ ბავშვი. კლემერი თუმცა მოსწავლეა, მაგრამ, ამავე დროს, მათ შორის ერ-თადერთი მოზრდილია. იგი მიხვდა, რომ ამ სიტუაციაში თვითონ წყვეტს ყველაფერს და არა მასწავლებელი ქალი ფროილაინ კო-ხუტი. ვალტერ კლემერი მიზანმიმართულად იყენებს თავის ამ ახალ უნარს. იგი პოულობს თუნუქის ჭუჭყიან ვედროს, რომელზე-დაც გასაშრობად გადაკიდებულია იატაკის ჩვარი. იგი ძირს აგდება ჩვარს, მიაქვს ვედრო კაბინასთან, უკუღმა დებს, მასზე დგება და კე-დელზე იწევა. იქ სამარისებური სიჩუმეა. კედლის უკან ქალი იწევს კაბას ქვემოთკენ, რათა კლემერმა არ შეხედოს. ვალტერ კლემე-რის ტანით კედელზე აღიმართება და ქალისკენ იხრება. ფროილაინ კოხუტს სახეზე ალმური ედება და ხმას არ იღებს. ვალტერ კლემე-რი გაბედულად მოქმედებს, ზემოდან სახელურს სწვდება და კა-რებს აღებს. მას გამოჰყავს მასწავლებელი ქალი კაბინიდან, რად-გან იგი უყვარს, რაზეც ქალი, ალბათ, სრულიად თანახმაა. იგი მა-შინვე უთმობს. ორ მთავარ მოქმედ პირს სურს, გაითამაშოს სასიყ-ვარულო სცენა დამსწრეების გარეშე, რომლის დროსაც ერთი მოქმედი პირი ზემოდან მოექცევა მეორეს და მთელი ტანით დააწ-ვება მას.

ერიკა მაშინვე ივიწყებს საკუთარ თავს სიტუაციისა და საბაბის შესაბამისად. იგი ჰგავს საჩუქარს, რომელიც დევს თეთრ სუფრაზე და ოდნავ მტვრიან აბრეშუმის ქაღალდშია გახვეული. სანამ სტუ-მარი აქ არის, მის საჩუქარს თავაზიანად ატრიალებენ ხელში, მაგ-რამ, როგორც კი იგი წავა, პაკეტს გულგრილად დებენ გვერდზე და ყველა საჭმელად მიეშურება. რაც შეეხება საჩუქარს, იგი თავი-სით ვერსად წავა, მაგრამ ერთხანს თავს ინუგეშებს, რომ მარტო არ

დარჩება. წკარუნობენ თეფშები და ფინჯნები, ჩანგლები და დანები წკრიალებენ ფაიფურზე. მაგრამ შემდეგ საჩუქარი ამჩნევს, რომ ეს ხმები მოისმის კასეტიანი მაგნიტოფონიდან, რომელიც მაგიდაზე დევს. ტაში და ჭიქების წკრიალი, ყველაფერი მაგნიტოფონზეა ჩაწერილი. ბოლოს ვიღაც გამოჩნდება და საჩუქარს ყურადღებას აქცევს: ერიკას სჯერა, რომ მასზე იზრუნებენ. ის ელოდება მითითებას ან ბრძანებას. იგი ამდენ ხანს მეცადინეობდა და სწავლობდა სწორედ ამ დღისა და არა თავისი კონცერტისათვის.

კლემერს აქვს არჩევანი: მას შეუძლია, სქესობრივი კავშირი არ დაამყაროს მასთან და ამით დასაჯოს ის. ეს მთლიანად ბატონ კლემერზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცევა, გამოიყენებს იგი ამას თუ არა. მას შეუძლია ხელში აიყვანოს და მოისროლოს კიდეც. კლემერს შეუძლია ის, როგორც ძვირფასი ნივთი, გააპრიალოს და საჩვენებლად ვიტრინაში შემოასკუპოს.

ვალტერ კლემერს მუსიკის მასწავლებელი ტუალეტის კაბინიდან გამოჰყავს. იგი მას თავისკენ იზიდავს. დასაწყისისთვის კლემერი მას ხანგრძლივად კოცნის ტუჩებში, რასაც ქალი კარგა ხანია ელოდა. ამასთანავე, რამდენჯერმე მას სახელით მიმართავს. ერიკაში იგი დიდ გრძნობას აქსოვს. კლემერი ქალს კაბის ქვეშ ხელს უყოფს და ესმის, რომ ამით ბოლოს და ბოლოს, დიდ ნაბიჯს დგამს წინ. კლემერი უფრო მეტსაც ბედავს, გრძნობს, რომ ვნებისათვის ეს ნებადართულია. მას ყველაფრის ნება აქვს, მისთვის ყველაფერი ნებადართულია. იგი ხელებს აფათურებს ერიკას კაბის ქვეშ, აწყდება იქ დაბრკოლებას და გრძნობს, რომ ხელს უფრო შორს და ღრმად ვერ წასწევს. ახლა კლემერი მძიმედ სუნთქავს, თითქოს ბევრი ერბინოს, რათა ამ მიზნისთვის მიეღწია. მან უნდა დაანახოს ქალს, თუ როგორ ცდილობს და იძაბება იგი. კლემერი ვერ ახერხებს ხელი წინ ამოძრაოს, მაგრამ ცდილობს ერთი ან ორი თითით გააკეთოს ეს. ითქვა, გაკეთდა. იგი გრძნობს, რომ მისი საჩვენებელი თითი უფრო ღრმად და წინ მიიწევს, მას აღტაცება იპყრობს და

კბენით კოცნის ერიკას ყველგან, სადაც კი სწვდება. ბატონ კლემერს ხელით მაგრად უჭირავს ქალი, რაც სრულიადაც არ არის საჭირო, რადგან იგი უამისოდაც იქვე დგას, არსად გარბის. ცდილობს, მეორე ხელი ერიკას პულოვერში ჩაუყოს, მაგრამ ამოჭრილი ადგილი ძალიან ვიწროა და ხელი შიგ ვერ ეტევა. გარდა ამისა, ქალს ეს იდიოტური თეთრი ბლუზა აცვია. ბრაზმორეული კლემერი მჭიდროდ და გაორმაგებული ძალით ეკვრის ქალის სხეულს, ღონივრად აწვება ქვედაწელზე. იგი სჯის ქალს, რომელიც ამდენ ხანს აწვალებდა, იმდენ ხანს, რომ კლემერმა – ქალისავე საზიანოდ, – კინაღამ ხელი აიღო ყველაფერზე, კინაღამ კავშირი გაწყვიტა მასთან. მუსიკის მასწავლებელს რაღაც კვნესისმაგვარი აღმოხდება. ვაჟი ცოტათი მოაშორებს ხელებს, უფრო ნაკლები ძალით უჭერს, რადგან არ სურს ცელქობით რაიმე ატკინოს, ვიდრე თავის საწადელს აისრულებდეს და ერთი კარგა მაგრად არ ისიამოვნებდეს მასთან. ვალტერ კლემერს, მისდა სასიხარულოდ, ამგვარი აზრი გაუელვებს თავში: პულოვერსა და ბლუზაში შეიძლება ხელი ქვემოდან შეუცოცოს, ე. ი. საპირისპირო მხრიდან. ამისთვის ჯერ საჭიროა პულოვერი და ბლუზა ქვედატანს მოაშოროს. იგი ხშირხშირად წამოიყვირებს ხოლმე ერიკას სახელს, რომელიც ქალისთვის ისედაც კარგად ნაცნობია. მასწავლებელი გატრუნულია, მოდუნებულად დგას და კლემერს ეყრდნობა. ქალს რცხვენია იმ მდგომარეობისა, რომელშიც იგი კლემერმა ჩააგდო, ოღონდ ეს სირცხვილი ერიკას სიამოვნებს. ქალი აღაგზნებს ვაჟს და ისიც დაუცხრომლად ელაციცება თავისი მუსიკის მასწავლებელს. კაცი მუხლებზე დგება, თან მკლავები მაგრად აქვს შემოსალტული ერიკას ტანსა და ფეხებზე, რათა იგი ხელიდან არ დაუსხლტეს, იგი ზემოდან დაეკიდა ქალს და შემდეგ ლიფტივით ადის და ჩამოდის მის ტანზე, ჩერდება რა ამ დროს ყველაზე თვალწარმტაც ადგილებზე. კლემერი მთელი სხეულით მაგრად, ღონივრად ეკვრის მას, გამალებით და გახელებით კოცნის ქალს, ჟინმორეული და დაუოკებელი. ერი-

კა კოხუტი დგას იატაკზე, როგორც მრავალჯერ და დიდი ხნის ნახმარი ინსტრუმენტი, რომელმაც თავისი თავი უნდა უარყოს, რადგან სხვანაირად ვერ აიტანდა უამრავ დილეტანტურ, დაუხელოვნებელ ტუჩებს, რომელთაც სურთ, სულ მუდამ ბაგეზე კოცნონ. ერიკას სურს, მოსწავლე აბსოლუტურად თავისუფალი იყოს და წასვლა შეეძლოს, როცა კი მოისურვებს. იგი მთელ თავის პატივმოყვარეობას იმაში აქსოვს, რომ იდგეს იქ, სადაც კლემერმა დააყენა. იგი მას კვლავ იმავე ადგილას ნახავს, არც ერთი მილიმეტრით იქით და არც ერთი მილიმეტრით აქეთ, თუკი კლემერი კვლავ მის ექსპლუატირებას განიზრახავს. კლემერი მთელ თავის მამაკაცურ ძალას ხმაროობს, რათა ქალი ზურგით დააწვინოს იატაკზე. იგი დაეცემა რბილზე, ქალი კი – მაგარზე. კლემერი უკანასკნელსა და მთავარს მოითხოვს ერიკასაგან. უკანასკნელს იმიტომ, რომ ორივემ იცის, – შეიძლება ყოველ წუთს ვიღაც შემოვიდეს. ვალტერ კლემერი მას ყურებში ჩაჰყვირის რაღაც სრულიად ახალს თავისი სიყვარულის შესახებ.

თითქოს კაშკაშა, გასხივოსნებული კადრიაო, ერიკას თვალწინ გამოჩნდება ორი ხელი; ისინი მას ორი სხვადასხვა მხრიდან უახლოვდება. ამ ხელებს უკვირთ, რა უვარდებათ ასე მოულოდნელად კალთაში. ხელების პატრონი ღონით მასწავლებელს აღემატება, ამიტომ ქალი წარმოთქვამს სიტყვას, რომელსაც ასე ხშირად ხმაროობენ არადანიშნულებისამებრ: „მოიცადე!“ ახლა ერიკა ეუბნება, მორჩი ხელების ფათურს, თორემ წავალო. ქალმა ეს რამდენჯერმე გაიმეორა, რადგან მისი ნება, რომელიც ახლა კლემერის ნებაზე უფრო მტკიცედ წარმოჩნდა, ასე ადვილად ვერ აღწევს მოსწავლის შეგნებამდე. მისი თავი დაბინდულია შმაგი სურვილებით. ეს ქალი სრულიადაც არ ამჟღავნებს მზადყოფნას და სურვილს, მიეცეს მამაკაცს, დაემორჩილოს მის ნებას. კლემერს შინაგანი ხმა კარნახობს, მოითხოვს, რომ თავი დაიჭიროს, არ ჩამოაგდებინოს ქალს თავი ძირს, – იგი ხომ მხედარია, ხოლო ის კი, ბოლოს და ბო-

ლოს, ცხენი! მაგრამ რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ მისი ხელი საბოლოოდ ეშვება და დუნდება. იგი სთხოვს ერიკას, ის კი არ უთმობს. მოსწავლე უხსნის მასწავლებელს, თუ რა მავნებელია მამრისათვის ამგვარ მდგომარეობაში თავშეკავება, ამ ვითარებაში ისეთი ტკივილები ექნება, რომ ფეხით შინამდეც ვერ მიაღწევს – ჰოდა, მაშინ ტაქსი დაიჭირეთ, – მშვიდად ურჩევს ერიკა. კლემერი იტანჯება იმის გამო, რომ საქმე, რომელიც კარგად და საიმედოდ დაიწყო, ასე უეცრად წყდება, მიუხედავად იმისა, რომ მას ორმხრივი მხარდაჭერა არ ჰქონია. იგი აუწყებს ერიკას თავისი ღრმა და მძაფრი განცდების შესახებ. ბატონი კლემერი თავისი ბუნებით არ მიეკუთვნება იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებმაც დაბადებასთან ერთად აკვანში მორჩილებაც შეითვისეს. იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მუდამ მიზეზებს ეძებს და იკვლევს ხოლმე, და კლემერიც ბოლოს ქალის ლანძღვაზე გადადის. იგი მოთმინებიდან გამოდის, მთლად კარგავს კონტროლს საკუთარ თავზე, რადგან მისი მამაკაცური ღირსება შეურაცხყვეს. თამაშისა და სპორტის შემდეგ კაცი კვლავ ფუტლარში უნდა მოთავსდეს. ერიკა მას ეწინააღმდეგება და ეუბნება ენა გააჩუმეო. ქალი ამას ისეთი ტონით წარმოთქვამს, რომ კლემერი მართლაც ჩუმდება და ხმას აღარ იღებს. ცოტა ხნის შემდეგ იგი ცდილობს, აუხსნას ერიკას, თუ რატომ არ შეიძლება მოექცე ასე ისეთ მამაკაცს, როგორიც კლემერია. ერიკას დღევანდელი საქციელი დაკავშირებულია მთელ რიგ აკრძალვებთან. კლემერს სურს მიზეზები დაუსახელოს. იგი უბრძანებს გაჩუმდეს. ეს ერიკას ბოლო გაფრთხილებაა. კლემერი არ ჩუმდება, პირიქით, იგი მას შურისძიებით ემუქრება. ერიკა კოხუცი კარებისაკენ მიემართება და უხმოდ ემშვიდობება. იგი აწვება კარის სახელურს, კლემერი კი ემუდარება, არ წახვიდეო. ერიკა კოხუტი კიბით პირველ სართულზე ჩადის.

მეცადინეობის დროს ერიკა კოხუტს, რომელსაც საკუთარი თავისაც კი ვერაფერი გაუგია, – რადგან მას გარკვეული გრძნობა

ეუფლება, – უაზრო გაშმაგება იპყრობს ვალტერ კლემერის გამო. მოსწავლემ აშკარად უკლო მეცადინეობას, როგორც კი ერიკას ცოტათი დაუახლოვდა. კლემერი შეცდომებს უშვებს თვით ნასწავლი ნაწარმოების დაკვრის დროს, ბრკოლდება, როდესაც „არა მიჯნური“, „არა საყვარელი ქალი“ მის ზურგსუკან დგას. მას ისიც კი არ გაეგება, თუ რა ტონალობით დაუკრას. მასწავლებელი ქალი უშედეგოდ იქნევს ხელებს ჰაერში. მოსწავლე სულ უფრო ხშირად შორდება დო-მაჟორს, რომლითაც მას უნდა დაეკრა. ერიკა კოხუტი გრძნობს, როგორ უახლოვდება მრისხანე ზვავი, წვეტიანი ქვებით რომ არის სავსე. ვალტერ კლემერს ეს ზვავი სიხარულს ჰგვრის, როგორც ქალის სხეულის სიმძიმე, რომელიც მას აწვება. მოსწავლეს ყურადღება ეფანტება, მისი მუსიკალური სურვილები თანხვედრას ვეღარ პოულობს მის მუსიკალურ შესაძლებლობებთან. ერიკა, ისე, რომ პირს თითქმის არ აღებს, აგრძნობინებს: მოსწავლე მძიმე ცოდვას სჩადის, მკრეხელობს შუბერტის წინაშე. რათა დაეხმაროს შუბერტს და მასწავლებელი ქალი აღაფრთოვანოს, კლემერი წარმოისახავს ავსტრიის მთებსა და ველებს, – მიმზიდველს და საყვარელს, რითაც ეს ქვეყანა, როგორც ცნობილია, მდიდარია. ფრანც შუბერტი, რომელიც მუდამდღე შინ იჯდა, თუკი ამაში საჭიროებისამებრ ვერ რწმუნდებოდა, ყოველ შემთხვევაში, მას გრძნობდა და ხვდებოდა. შემდეგ ვალტერ კლემერი კიდევ ერთხელ იწყებს და ასრულებს თავის დროზე ძალზე პოპულარული ბიდერმაიერის სტილით დაწერილ სონატა დო-მაჟორს, რომელსაც გერმანული ცეკვის რიტმი აქვს, ამავე კომპოზიტორს რომ ეკუთვნის. იგი მალევე წყვეტს დაკვრას, რადგან მასწავლებელი ქალი იქედნურად შენიშნავს, რომ ბატონ კლემერს, ალბათ, ჯერ არასოდეს უნახავს ციცაბო კლდე, ნამდვილი მჩქეფარე მთის ნაკადული, ანდა დიდებული ნოიზიდლერზეეს ტბა. თავის ნაწარმოებებში, განსაკუთრებით კი ამ განუმეორებელ სონატაში, შუბერტი სწორედ ასეთ მძაფრ კონტრასტებს ქმნის და არა რომელიღაც ბახაუს

მყუდრო ველს და ჩაის სმას სამხრობის ჟამს ტერასაზე შუადღის მზის სხივებით რომ არის გამთბარი. ასეთ განწყობილებას უფრო კომპოზიტორ სმეტანას მუსიკაში შენიშნავს კაცი, როდესაც მდინარე მოლდოვაზეა ლაპარაკი. ეს შეეფერება პუბლიკას, საკვირაო მუსიკალურ გადაცემებს რომ უყურებს ხოლმე ტელევიზიით და არა ერიკა კოხუტს, რომელიც წარმატებით ართმევს თავს მუსიკალურ სიძნელეებსა და პრობლემებს. კლემერი ბრაზობს, – თუ ვინმეს რაიმე გაეგება მთის ნაკადულებზე, მაშინ ეს მე გახლავართო. აი, მასწავლებელი ქალი კი ზის ჩაბნელებულ ოთახებში თავის ღრმად მოხუცებულ დედასთან, რომელსაც სხვა არაფერი საქმე აქვს, გარდა იმისა, რომ თავისი ბინოკლით შორეთს გასცქერის. უკვე არავითარი განსხვავება არ არის იმაში, დედამისი მიწის ზემოთაა თუ მის ქვეშ. ფროილაინ კოხუტი ახსენებს მას შუბერტისეულ შენიშვნებს შემსრულებელთათვის და ღელავს. მასში ჩუხჩუხებს და თუხთუხებს ნაკადი. ეს ნიშნები მიემართება ყვირილიდან ჩურჩულისკენ და არა მაღალიდან დაბალი ხმისკენ! – ანარქია, როგორც ჩანს, თქვენი ძლიერი მხარე არ არის, კლემერ. საწყალოსნო სპორტის სახეობის წარმომადგენელი ძალიან მჭიდრო კავშირშია ნორმებთან და პიროობითობასთან, ექვემდებარება მათ.

ვალტერ კლემერს სურს, მასწავლებელმა ქალმა მას ყელზე კოცნის ნება დართოს. მას ეს თვითონ არასოდეს გაუკეთებია, მაგრამ ამის შესახებ ხშირად სმენია სხვებისგან. ერიკას უნდა, რომ მოსწავლეს ჰქონდეს სურვილი მისი კოცნისა, მაგრამ ამის საბაბს კი არ აძლევს. ქალი გრძნობს თავის არსებაში ერთგვარ მზარდ მზადყოფნას, რომ მიეცეს მამაკაცს, გაიზიაროს მისი მხურვალე ვნება, მაგრამ მასში ეს შეგრძნება ეჯახება წინანდელ და ახალ სიძულვილს იმ ქალების მიმართ, რომელთაც ნაკლები იცხოვრეს ამქვეყნად და ამიტომ მასზე უმცროსები არიან. ზემოხსენებული მზადყოფნა იმისა, რომ მიეცეს მამაკაცს, სულაც არა ჰგავს დედი-

სადმი მორჩილების მზადყოფნას. აი, სიძულვილი კი ზუსტად ჰგავს მისთვის ჩვეულ, ნორმალურ სიძულვილს.

ასეთი და მსგავსი შეგრძნებები რომ დაფაროს, ფროილაინ კოხუტი მკვეთრად ეწინააღმდეგება ყოველივე იმას, რასაც მანამდე მუსიკალური თვალსაზრისით მტკიცედ იცავდა ხოლმე. ფროილაინ კოხუტი ამბობს: მუსიკალური ნაწარმოების ინტერპრეტაციაში არსებობს გარკვეული პუნქტი, სადაც თავდება სიზუსტე და იწყება შემოქმედებითი საწყისისადმი მიახლოება. ინტერპრეტატორი წყვეტს მომსახურებას და იწყებს მოთხოვნას! იგი კომპოზიტორისაგან უკანასკნელ ჭეშმარიტებას მოითხოვს. შესაძლებელია ერიკასათვის ჯერ კიდევ გვიან არ არის ახალი ცხოვრების დაწყება. ახალი თეზისების წამოწყება მას ახლა არ აწყენდა. ერიკა ირონიანარევი ტონით აცხადებს, რომ კლემერმა მიაღწია გარკვეულ დონეს და ახლა მას შეუძლია თავის უნარჩვევას გრძნობა და გულიც შეუფარდოს. ქალი იმწამსვე აყენებს შეურაცხყოფას თავის მოწაფეს, აცხადებს რა, რომ მას უფლება არა აქვს ასე უსიტყვოდ აღიაროს თავისი შესაძლებლობები. ერიკა შეცდა, თუმცა მას, როგორც მასწავლებელს, ეს უკეთ უნდა სცოდნოდა. დაე, კლემერმა ბაიდარით იცურაოს, მაგრამ, ამასთანავე, შუბერტის სულს ფრთხილად გვერდი აუაროს, თუკი იგი მას შემთხვევით წააწყდება ტყეებში. ეს საშინელი ადამიანი, შუბერტი. – თქვენ თქვენი ტრაბახა საშუალო დონით და კარგი გარეგნობით არ შეგიძლიათ დაინახოთ უფსკრული მაშინაც კი, როცა მასში ვარდებით, – ეუბნება ფროილაინ კოხუტი კლემერს. არასოდეს არ მიდიხართ რისკზე! გადააბიჯებთ ხოლმე გუბეებს, რათა ფეხსაცმელი არ დაგისველდეთ. როდესაც თქვენ ბაიდარით მიცურავთ სწრაფი დინების წყალზე, რამდენადაც მე ეს მესმის, და თავით ვარდებით წყალში, როცა ამოტრიალდებით, მაშინვე კვლავ ამოყვინთავთ ხოლმე. თქვენ გაშინებთ წყლის სიღრმეც, ეს ერთგვარი ერთადერთი დამყოლი, დამთმობი ადგილიც კი, რომელშიც თავით ჩაეშვით! გირჩევნიათ თხელ წყალში იჭყუმპა-

ლაოთ; როგორც ეს პირველი შეხედვითაც ნათლად ჩანს, თქვენ ფრთხილად უვლით გვერდს კლდოვან რიფებს, ვიდრე მათ დაინახავდეთ.

ერიკა ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქავს, კლემერი ხელებს იმტვრევს, რათა საყვარელი ქალი ამ გზას ააცდინოს, – ნუ გადაკეტავთ სამუდამოდ ჩემკენ მომავალ გზას, - ურჩევს იგი ქალს მეგობრულად. იგი მყარად და მაგრად დგას ფეხზე და ძლიერად გამოიყურება როგორც სპორტულ შეჯიბრებაში, ასევე სქესთა შორის ბრძოლაში. ხანშიშესული ქალი კრუნჩხვით იგრიხება იატაკზე, გაცოფებისაგან ნიკაპზე დუჟი რომ ჩამოსდის. ამ ქალს შეუძლია მუსიკაში ისე ჩაიხედოს, როგორც საველე ბინოკლში, რომელიც შებრუნებულად, უკუღმა უჭირავს თვალწინ, ისე, რომ მუსიკა ძალიან შორს და ერთობ პატარა ჩანს. ერიკას კაცი ვერ გააჩერებს, როცა ჰგონია, რომ უნდა გაუზიაროს, გაანდოს ვინმეს რაიმე, რაც მას მუსიკამ შთააგონა. მაშინ ის განუწყვეტლივ ილაპარაკებს. ერიკას სტანჯავს უსამართლობა იმის გამო, რომ არასდროს არავის უყვარდა პატარა მსუქანი ალკოჰოლიკი ფრანც შუბერტი. როდესაც მოსწავლე კლემერს უყურებს, იგი ამ შეუთავსებლობას განსაკუთრებით მძაფრად გრძნობს. შუბერტი და ქალები. შუბერტი არ შეესაბამებოდა გენიოსის სახეს არც როგორც შემოქმედი, არც როგორც ვირტუოზი, რომელსაც ბრბო თაყვანს სცემს. კლემერი შეერწყა დიდ ბრბოს. შუბერტს თავისი როიალიც კი არ ჰქონია, – მასთან შედარებით რამდენად უკეთეს პირობებში ხართ თქვენ, ბატონო კლემერ! რა უსამართლობაა, რომ კლემერი ცოცხალია და ცოტას მეცადინეობს მუსიკის სფეროში, შუბერტი კი მკვდარია. ფროილაინ ერიკა შეურაცხყოფს მამაკაცს, რომლისგანაც სიყვარულს ელის. ღამით ქალს სახე უსივდება, დედა კი, რომელსაც ამ ამბებზე წარმოდგენაც არა აქვს და არაფერი აეჭვებს, მის გვერდით წევს და არხეინად ხვრინავს. დილით ერიკას სახე ისე აქვს ნაოჭებით დაფარული, რომ თვალებს სარკეში ძლივსღა ხედავს, იგი დიდ-

ხანს არის დაკავებული თავისი სახის მოვლით, დიდხანს უტრიალებს მას, მაგრამ ამაოდ. ქალს და კაცს ურთიერთკამათისა და უთანხმოების გამო კვლავ უცივდებათ გული ერთმანეთზე.

ფროილაინ კოხუტს პორტფელში ნოტების რვეულებს შორის წერილი აქვს შენახული თავისი მოწაფის სახელზე; ამ წერილს მალე გადასცემს კლემერს, მაგრამ ჯერ სურს, ერთი კარგად დასცინოს და გაამასხარაოს იგი. ქალი უზომოდ არის გაბრაზებული თავის მოსწავლეზე ისე, რომ მთელ სხეულში ნერვული სპაზმები უვლის. – თუმცა შუბერტი იყო დიდი ტალანტი, არ ჰყავდა რა მასწავლებელი, რომელიც შეიძლება, ლეოპოლდ მოცარტს შევადაროთ, მაგრამ შუბერტი არ იყო ჩამოყალიბებული შემსრულებელი, – აცხადებს კლემერი და კბილებს შუა ცრის სიტყვებს. – ადამიანი, ვინც ასე ცოტა ხანს იცხოვრა, შეუძლებელია საბოლოოდ ჩამოყალიბდეს; მეც უკვე ოცს გადავცილდი, მაგრამ მაინც ბევრი არაფერი შემიძლია, და ამას ყოველდღე ვგრძნობ, – ამბობს ბატონი კლემერი. რა ცოტა შეეძლო ფრანც შუბერტს თავის ოცდაათი წლის ასაკში! ამ გამოუცნობ, მაცდურ, პატარა სკოლის მასწავლებლის შვილს ვენიდან! მას მართლაც ბევრი რამ შეეძლო.

– ვიდრე თქვენ, კლემერ, ამას ზეპირად ისწავლით, მოერიდეთ არასწორ ნოტებსა და პედალის ზედმეტ ხმარებას, მაგრამ მისი არც მთლად უგულებელყოფა შეიძლება. ყოველი ნოტი როდი ჟღერს ისე დიდხანს, როგორც ის ჩაწერილია და არც ყოველ ჩაბერილ ნოტას აქვს ისეთი ხანგრძლივობა, როგორც ის უნდა ჟღერდეს.

ფროილაინ კოხუტი კიდევ დამატებით აჩვენებს თავის მოსწავლეს სპეციალურ სავარჯიშოს, მარცხენა ხელით რომ უნდა შესრულდეს, რაც მას აუცილებლად სჭირდება. ქალს სურს ამით თვითონაც დამშვიდდეს. ვალტერ კლემერს არ უნდა თავისი ვნებებისა და მღელვარების დაოკება და დამშვიდება ფორტეპიანოზე დაკვრის ტექნიკით. იგი ესწრაფვის სხეულებისა და ვნებების ბრძოლას. კოხუტის წინაშეც არ გაჩერდება. იგი დარწმუნებულია, რომ

ბოლოს ამით მისი ხელოვნებაც მოიგებს, თუკი ის ამ დაძაბულ და მომქანცველ ბრძოლაში ღირსეულად წარმოაჩენს თავს და შეუპოვრობას გამოავლენს. გამომშვიდობების დროს, როდესაც უკანასკნელი გონგი დაჰკრავს, შედეგი ასეთი იქნება: იგი მეტს შეიძენს, ერიკას ნაკლები ექნება. და ეს კლემერს დღეს უკვე ახარებს. ერიკა ერთი წლით უფრო ხნიერი იქნება. იგი კი მთელი ერთი წლით გაუსწრებს სხვებს თავისი მზარდი განვითარებით. მოსწავლე კვლავ შუბერტის თემას უბრუნდება. იგი კიცხავს ფროილაინ კოხუტს, რადგან ის მოულოდნელად მთელი 180 გრადუსით შემობრუნდა და აცხადებს იმას, რასაც ადრე თვით კლემერი ამტკიცებდა. სახელდობრ კი, – მიუწვდომელი, გამოუთქმელი, გამოუხატველი, ხელშეუხებელი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია შემსრულებლისათვის, ვიდრე მისაწვდომი, ხელშესახები ტექნიკა! ტექნიკა და კიდევ ერთხელ ტექნიკა. ჰა, როგორ ფიქრობთ, გამოგიჭირეთ თუ არა რაღაცაში, ქალბატონო მასწავლებელო?

მასწავლებელს სჯერა, – როცა ვალტერ კლემერი ლაპარაკობს გამოუთქმელზე, ის, ალბათ გულისხმობს თავის სიყვარულს ერიკას მიმართ. ქალის არსებაში ყოველივე ნათდება და თბება, სასიყვარულო ვნებათაღელვის მზე, რომელიც მას, სამწუხაროდ, მთელი ამ ხნის განმავლობაში აღარ უხილავს და აღარ უგრძნია, ახლა კვლავ ანათებს და ასხივებს. კლემერი ქალისადმი კვლავ იმავე გრძნობას განიცდის, რომელსაც მისადმი გუშინ და გუშინწინ გრძნობდა! მას უყვარს და აფასებს თავის მასწავლებელს გამოუთქმელი გრძნობით, როგორც მან ეს ნაზად და გულწრფელად თქვა. ფროილაინ კოხუტი ერთ მომენტში თვალებს ხრის და მრავალმნიშვნელოვნად ჩურჩულებს, მე მხოლოდ ის მქონდა მხედველობაში, რომ ფრანც შუბერტს უყვარს გამოხატოს საორკესტრო ეფექტები წმინდა საფორტეპიანო საშუალებებითო. საჭიროა მხოლოდ შეგეძლოს ამ ეფექტების მიგნება და ინსტრუმენტების დაკვრა, რომელთა სიმბოლიზებასაც ისინი ახდენენ. და ეს უნდა გა-

კეთდეს, როგორც უკვე ითქვა, ბუნებრივად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე. ფროილაინ კოხუტი თავის მოსწავლეს ქალურად და მეგობრულად ანუგეშებს: თქვენ ამას შეძლებთ!

მასწავლებელი ქალი და მოსწავლე, ქალი და მამაკაცი ერთმანეთის პირისპირ დგანან. მათ შორის ცხელი და მხურვალე, გადაულახავი კედელი აღმართულა. ეს კედელი ხელს უშლის მათ, რომ ერთ-ერთი მათგანი გადაძვრეს მასზე და მეორე მათგანს სისხლი გამოსწოვოს. მასწავლებელ ქალსა და მოსწავლეს სიყვარულისაგან სისხლი უჩუხჩუხებთ და მათი სხეულები უფრო დიდი სიყვარულისა და სიახლოვისაკენ უბიძგებენ.

ამასობაში მათ ფეხქვეშ დუღს კულტურის შეჭამანდი, ფაფა, რომელიც არასდროს არ მოიხარშება ბოლომდე და რომელსაც ისინი ტკბობითა და სიამოვნებით ყლაპავენ მცირე-მცირე პორციებად; ეს მათი ყოველდღიური საზრდოა, ურომლისოდაც მათ არსებობა არ შეუძლიათ; და ეს შეჭამანდი, ფაფა, ბუყბუყებს და ისვრის მობრჭყვიალე, მოციმციმე აირის ბუშტებს.

დრო თავის დაღს ასვამს ერიკა კოხუტს, რომლისგანაც მას ვერავინ გაათავისუფლებს; რამდენი რამეა უკვე ხელიდან გაშვებული და დაკარგული, რამდენი დრო გავიდა, ჩაიარა ერიკას ახალგაზრდობამ, სახელდობრ კი იმ ხანამ, როდესაც იგი თვრამეტი წლისა იყო, – ეს არის ასაკი, რომელსაც ხალხი ტკბილ, ნეტარ დროს უწოდებს. ის მხოლოდ და მხოლოდ ერთ წელიწადს გრძელდება და შემდეგ ქრება. ახლა ამ საუცხოო, ცნობილი ასაკითა და ხანით ერიკას ნაცვლად სხვები ტკბებიან. ახლა ფროილაინ კოხუტი ორჯერ უფრო მეტი ხნისაა, ვიდრე ესა თუ ის გოგონა, რომელსაც თვრამეტი წელი შეუსრულდა! იგი ამ წლებს გამუდმებით ითვლის და ანგარიშობს გონებაში, ამასთანავე, ასაკობრივი მანძილი ერიკასა და თვრამეტი წლის გოგონას შორის არასოდეს მცირდება, თუმცა არც არასოდეს იზრდება. ეს მანძილი, ეს ასაკობრივი სხვაობა, ყოველგვარი საჭიროების გარეშე, ყოვლად უსარგებლოდ კიდევ უფ-

რო იზრდება არაკეთილგანწყობილებისა და მტრული დამოკიდებულების გამო, რომელსაც გრძნობს ერიკა ამ ასაკის ნებისმიერი გოგონას მიმართ. ღამით ოფლში გაწურული ერიკა ბრაზისა და ბოღმის შამფურზე ტრიალებს, დედის სიყვარულით მობრიალე ცეცხლში. ამასთანავე, მას მუსიკალური ხელოვნების სურნელი კიდევ უფრო მეტად იზიდავს. ვერაფერი ცვლის ამ დაურღვეველ, მუდმივმოქმედ სხვაობას: მოხუცი – ახალგაზრდა. ასევე ვერაფერი შეცვლის და უცვლელი დარჩება ამქვეყნიდან უკვე გარდასულ მაესტროთა მიერ შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებები. როგორც არის, ისეა, ეს არ იცვლება. ამ ციკლში ერიკა კოხუტი ბავშვობის ასაკიდანვეა ჩაბმული. მას ეშინია, რომ ყველაფერი დარჩება ისე, როგორც არის და აკრთობს ის, რომ ერთხელაც რაღაც შეიცვლება. მას ასთმიანი ავადმყოფივით სული ეხუთება, ჰაერს ხარბად ისუნთქავს და არ იცის, რა უყოს ამ ჰაერს. იგი ხმაჩახლეჩილია და სიტყვა ვერ ამოუთქვამს. ვალტერ კლემერი შეშინებულია და ეკითხება, თუ რა მოსდის მისთვის ესოდენ საყვარელ ქალს. – წყალი ხომ არ მოგიტანო? – ამბობს მზრუნველობისა და თანაგრძნობის გამომხატველი ტონით კლემერი, ფირმა „რაინდი და კომპანიის“ ეს სრულუფლებიანი წარმომადგენელი. ერიკას ხველება ახრჩობს. ეს ხველება ათავისუფლებს მას სხვა უფრო გაცილებით მძიმე და შემაწუხებელი გრძნობისაგან, ვიდრე გამაღიზიანებელი ხველებაა. მას არ ძალუძს სიტყვებით გამოხატოს თავისი განცდები, არამედ მხოლოდ მუსიკალური ინსტრუმენტის მეშვეობით.

ფროილაინ კოხუტი თავისი პორტფელიდან იღებს წერილს, ყოველი შემთხვევისათვის ჰერმეტულად რომ არის დახურული და გადასცემს მას კლემერს, როგორც ამას ხშირ-ხშირად წარმოისახავდა ხოლმე გონებაში შინ ყოფნის დროს. წერილში წერია, რა გაგრძელება უნდა პოვოს მომავალში გარკვეულმა სიყვარულმა. ერიკამ ყოველივე აღწერა, რისი თქმაც პირადად არ სურდა. ვალტერ კლემერი ფიქრობს, რომ წერილში გამოხატულია რაღაც გამოუთ-

ქმელად საუცხოო და მშვენიერი, რაც შეიძლება მხოლოდ დაიწეროს, და მთვარესავით იბადრება. როგორ აკლდა მას ასეთი რამ! ის, კლემერი, როგორც იქნა, აღმოჩნდა იმ მდგომარეობაში, რომ უკვე ყოველივე შესაძლებელი, იდუმალი თუ ფასეული ნებისმიერ დროს ხმამაღლა გამოთქვას! დიახ, მან შენიშნა, რომ ყველა ადამიანზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, როცა იგი წინ მიიწევს და სხვებს ასწრებს, რათა პირველმა აიღოს სიტყვა, პირველმა თქვას სათქმელი. მხოლოდ მორცხვობის გარეშე, – ის არაფერს იძლევა. რაც შეეხება თვითონ მას, თუ საჭიროა, შეუძლია ხმამაღლა იყვიროს თავისი სიყვარულის შესახებ. საბედნიეროდ, ეს საჭირო არ არის, რადგან ეს არავინ უნდა გაიგონოს.

ვალტერ კლემერი მხურვალე კოცნით უფარავს მასწავლებელს ხელს, რომელმაც ეს წერილი გადასცა. იგი ამბობს: გმადლობ, ერიკა! მას სურს, ამ კვირის დასვენების დღეები მთლიანად ამ ქალთან ერთად გაატაროს. ქალს კი ამის გაგონებაზე გაოგნება იპყრობს. იგი ხომ მარტოდმარტო ატარებს ხოლმე კვირის ბოლო დღეებს, რომელიც მისთვის სიწმინდის სიმბოლოა, და ამიტომ უარს ეუბნება. ქალი იქვე იგონებს მიზეზს, თუ რატომ არ შეიძლება მოხდეს ეს სწორედ ამჯერად, ამის შემდეგ და კიდევ იმის შემდეგაც. – ჩვენ ნებისმიერ დროს შეგვიძლია დავურეკოთ ერთმანეთს, – უტიფრად ტყუის იგი. კლემერი მრავალმნიშვნელოვნად აშრიალებს საიდუმლო კონვერტს და აცხადებს, რომ ერიკას, ალბათ, აზრადაც არ ჰქონდა ის მკაცრი სიტყვები, რომლებიც მან დაუფიქრებლად, წინდაუხედავად წარმოთქვა.

ერიკას არ უნდა დაავიწყდეს, რომ ყოველი წელი, რომელიც კლემერისთვის მხოლოდ უბრალოდ ერთ-ერთი გასული წელია, მის ასაკში, სულ ცოტა, სამ წელიწადს უდრის. ერიკამ ეს შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაუშვას, - კეთილმოსურნედ ურჩევს მას კლემერი, რომელიც ოფლიანი ხელით სრესს წერილს, მეორე ხელით კი გაუბედავად ეხება და სინჯავს თავის მასწავლებელს, რო-

გორც ქათამს, რომლის ყიდვასაც აპირებს, მაგრამ ჯერ ფასი უნდა გაიგო შეესაბამება თუ არა მას. კლემერმა არ იცის, თუ რა ნიშნებით უნდა გამოარჩიოს ქათამი და მისი ასაკი, რომლის გათვალისწინებითაც გაკეთდება ან ქათმის წვნიანი, ან შეიწვება. მაგრამ თავის მასწავლებელს იგი კარგად ამჩნევს, – მას ხომ თვალები აქვს, რომ ის აღარ არის ახალგაზრდა, თუმცა გვარიანადაა შენახული: იგი მას საკმაოდ მადის აღმძვრელ ქალად თვლის, რომ არა მისი ეს ცოტა არ იყოს ჩამქრალი მზერა. ამ ქალის მუდმივი ხიბლი და ეშხი კიდევ ისაა, რომ მისი მასწავლებელია! ეს ვალტერ კლემერს იმის სურვილს აღუძრავს, რომ თვითონ იგი აქციოს თავის მოსწავლედ კვირაში ერთხელ მაინც. ფროილაინ კოხუტი თავს არიდებს თავის შეგირდს. იგი თავისთვის, განცალკევებით დგას და დიდხანს უხერხულად იხოცავს ცხვირს. – მალე ისინი, – ასე ფიქრობს თავისთვის კლემერი, – ბუნებას მიაშურებენ, ტყეში წავლენ და ტკბობას მიეცემიან. იქ, სადაც ყველაზე ხშირი ტყეა, სქელ ხავსზე მოიკალათებენ და თან წაღებული საგზლით ჩაიტკბარუნებენ პირს. იქ ვერავინ დაინახავს, თუ როგორ გორაობს ახალგაზრდა სპორტსმენი და მუსიკოსი მობერებულ ქალთან, რომელიც მასზე უფრო ახალგაზრდა ქალების კონკურენციას უნდა უფრთხოდეს. კლემერი წინასწარ გრძნობს, რომ ყველაზე ამაღელვებელი ამ მომავალ ურთიერთობაში ფარულობაა, მისი იდუმალებაა.

ერიკა დუმს. კლემერი გრძნობს, რომ დადგა წუთები, როდესაც მან ყოველივე ის, რასაც მისი მასწავლებელი ამას წინათ ფრანც შუბერტზე ამტკიცებდა, საფუძვლიანად შეასწოროს. იგი, როგორც ჩამოყალიბებული პიროვნება, დისკუსიაში ჩაებმება. კლემერი თავაზიანად ასწორებს და თავისებურად ასხვაფერებს შუბერტის პორტრეტს, ერიკას რომ ეკუთვნის და თავის თავს უფრო სახარბიელო პოზაში წარმოაჩენს. – საკამათო საუბრები, რომლებშიც იგი გამარჯვებული გამოვა, ამ მომენტიდან სულ უფრო და უფრო გახშირდება, – აი, რას უწინასწარმეტყველებს იგი თავის

საყვარელს. მას უყვარს ეს ქალი იმის გამოც, რომ მას დიდი გამოცდილება აქვს, მაგრამ კლემერი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი მასზე უკეთესად იცის. ეს მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. ის მაღლა სწევს თითს, რათა ხაზი გაუსვას თავის აზრს, როდესაც ერიკა ცდილობს შეეწინააღმდეგოს. იგი თავხედი გამარჯვებულია, და ქალი იმალება როიალის უკან, რათა თავი აარიდოს მის კოცნას. ერთხელაც სიტყვა თავდება და გამძლეობითა და სიძლიერით გრძნობა იმარჯვებს.

ფროილაინ კოხუტი, ცოტა არ იყოს, კვნესით ამბობს, მე გრძნობებს არ ვცნობო. თუკი როდისმე, მაგალითად, რაიმე გრძნობა დაეუფლება, იგი მას მაინც არ მისცემს საშუალებას, რომ მის გონებაზე გაიმარჯვოს. ქალი თავის თავსა და კლემერს შორის კიდევ ერთ დაბრკოლებას აღმართავს მეორე როიალის სახით. ვალტერ კლემერი თავის საყვარელ მუსიკის მასწავლებელს სიმფრთხალეში ადანაშაულებს. ვინმე, ვისაც ისეთი ადამიანი უყვარს, როგორიც კლემერია, ყველას წინაშე უნდა წარდგეს და ხმამაღლა ამცნოს მათ თავისი გრძნობის შესახებ. კლემერს არ სურს, რომ კონსერვატორიაში მათ შესახებ ხმები დაირხეს, რადგან იგი, ჩვეულებრივ, უფრო ნორჩ და ახალ გაზრდა გოგონებზე ნადირობს, ხოლო სიყვარულს სიხარული მხოლოდ მაშინ მოაქვს, როცა შენი შურთ იმ ადამიანის გამო, ვინც გიყვარს. ამ შემთხვევაში ქორწინება გამორიცხულია. საბედნიეროდ, ფროილაინ კოხუტს სახლში დედა ჰყავს, რომელიც თავის ქალიშვილს ქორწინების ნებას არ დართავს.

სიტყვათა და აზრთა ნაკადმა ვალტერ კლემერი შორს გაიტაცა. ნაკადსა და წყლის დინებაში იგი ძალიან კარგად ერკვევა. მოსწავლე აცამტვერებს, გამანადგურებლად აკრიტიკებს ერიკას ბოლო აზრს ფრანც შუბერტის სონატების შესახებ. ქალი თითქოს ნემსებზე ზისო, ცმუკავს, ახველებს, რაღაცნაირად მოუქნელად და უხერხულად იქცევა. იგი ისეთ წარმოუდგენელ მოძრაობებს აკე-

თებს, სხეულის ისეთ ადგილებში იღუნება და იზნიქება, რომ გაოცებული კლემერი გრძნობს, როგორ იჩენს თავს მასში მსუბუქი ზიზღი, თუმცა იგი ამ განცდას იმწამსვე თავის შეგრძნების გვირგვინში მალავს. ერიკა თითებს ატკაცუნებს და სახსრებს ძაბავს, რაც საზიანოა არა მხოლოდ ფორტეპიანოზე დაკვრის, არამედ მისი ჯანმრთელობისთვისაც. ქალი ჯიუტად იყურება სადღაც შორს, კუთხეებში, თუმცა კლემერი მოითხოვს, რომ ერიკამ მას უყუროს, უყუროს თავისუფლად, ღიად და არა შებოჭილად და მალულად. ბოლოს და ბოლოს, აქ არავინ არის, რომ მათ უყურებდეს და მათ ქცევას აკონტროლებდეს.

ვალტერ კლემერი, გამხნევებული ქალის უსიამოვნოდ დაუშნოებული სახითა და დაბეჩავებული გამომეტყველებით, ამბობს: შეიძლება გთხოვო რაღაც არაჩვეულებრივი და გაუგონარი რამ, რაც ჯერ არასოდეს გაგიკეთებია? და კლემერი ამას იმწამსვე ითხოვს, სიყვარულის ამ დამადასტურებელ საბუთს. ქალმა პირველი ნაბიჯი უნდა გადადგას ახალ, სიყვარულით სავსე ცხოვრებაში: სახელდობრ კი, მან რაღაც არაჩვეულებრივი უნდა ჩაიდინოს, ახლავე უნდა წავიდეს კლემერთან ერთად და გადაიტანოს დღეისათვის დანიშნული ბოლო მეცადინეობა. ერიკამ კარგად უნდა მოიფიქროს რაიმე საამისო მიზეზი – ცუდად ყოფნა, თავის ტკივილი ან რაღაც სხვა, რათა მოსწავლე გოგონამ რაიმე არ იეჭვოს და ამაზე ლაპარაკი არ დაიწყოს. ერიკას აშინებს ეს მსუბუქი დავალება, როგორც ველურ მუსტანგს, რომელმაც ბოლოს კი მიარტყა ჩლიქი თავლას, მიაწვა კიდეც მის კარს, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და გაჩერდა. ვალტერ კლემერი უხსნის საყვარელ ქალს, როგორ მოიშორეს სხვებმა თავიანთი მოვალეობებისა და ჩვეულებების უღელი. მრავალრიცხოვანი მაგალითიდან იგი ასახელებს რიჰარდ ვაგნერის „ნიბელუნგების ბეჭედს“. კლემერი ელაპარაკება თავის მასწავლებელს ხელოვნებაზე, როგორც მაგალითზე – ყველაფრისათვის და როგორც მაგალითზე – არაფრისათვის. მაგალითად, მოცარ-

ტმა, ამ ყველაფრის ეტალონმა და მაგალითმა, თავიდან მოიცილა თავადებისა და ეპისკოპოსის უღელი. – თუკი ეს ყველასთვის საყვარელმა მოცარტმა შეძლო, რომელსაც ჩვენ არც ისე ძალიან ვაფასებთ, მაშინ ამას თქვენც ნამდვილად შეძლებთ, ერიკა. რამდენჯერ შევთანხმებულვართ ჩვენ იმაში, რომ ისინი, რომლებიც აქტიურად დაკავებული არიან ხელოვნებით და ისინიც, მას რომ პასიურად აღიქვამენ, ვერც ისე კარგად იტანენ გარკვეულ შეზღუდვებს. მე ისიც მაკვირვებს, ნუ გამიბრაზდები, ამას რომ გეუბნები, – როგორ ახერხებ და ითმენ ამდენი წლის განმავლობაში დედაშენის გვერდით ყოფნას. შენ ან საერთოდ არ ხარ ხელოვანი, ანდა ვერ ამჩნევ და ვერ გრძნობ უღელს, მაშინაც კი, როცა უკვე მისი სიმძიმე გახრჩობს, – შენობით ლაპარაკზე გადადის თავის მასწავლებელთან საუბარში კლემერი, რომელსაც უხარია, რომ ამჟამად უფროსი ქალბატონი კოხუტი მათ შორის აღმართულა, როგორც განტევების ვაცი. სწორედ დედიკო იზრუნებს იმაზე, რომ კლემერი არ დაიხრჩოს ამ ხანშიშესული ქალის გამო! დედამისი საუბრის მუდმივი საბაბი და საგანია, იგი წარმოდგება, როგორც გაუვალი ტევრი, ტყე, როგორც დაბრკოლება, მრავალი საქმის შესრულებას რომ უშლის ხელს, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი მუდმივად აკავებს თავის ქალიშვილს ერთ ადგილზე, ისე რომ ერიკას არ შეუძლია, ყველგან თან გაჰყვეს კლემერს. სად შეგვიძლია ჩვენ რეგულარულად და დიდი ხნით შევხვდეთ ხოლმე ერთმანეთს, ერიკა, ისე, რომ არავინ არაფერი იცოდეს ამის შესახებ? კლემერს სურს, რომ მათ ფარულად დაიქირავონ სადმე ოთახი, სადაც იგი მიიტანს თავის ძველ დასაკრავ ინსტრუმენტსა და ფირფიტებს, რომლებიც მას ორ ეგზემპლარად აქვს. იგი ხომ კარგად იცნობს ერიკას მუსიკალურ გემოვნებას, რომელიც ასევე ორ ეგზემპლარად არსებობს, რადგან კლემერსაც ზუსტად იგივე აქვს! მან შოპენის რამდენიმე ფირფიტა შეიძინა; მას აგრეთვე აქვს ერთი ფირფიტა პადერევსკის უნიკალური ჩანაწერებით, პადერევსკისა, რომელიც შოპენის ჩრდილში იდგა,

რაც უსამართლობაა, როგორც თვლიან იგი და ერიკა, რომელმაც მას ფირფიტა აჩუქა, თუმცა მას უკვე ნაყიდი ჰქონდა ასეთივე ფირფიტა. ვალტერ კლემერს მოთმინება აღარ ჰყოფნის, – წერილის წაკითხვა სურს. რასაც ვერ გამოთქვამ, ის უნდა დაწერო. რისი ატანაც არ შეიძლება, ის არ უნდა გააკეთო. – მე წინასწარ ვტკბები შენი წერილის წაკითხვით და შინაარსის გაგებით, რომელიც დაიწერა 24.04-ში, საყვარელო ერიკა. და თუკი მე განზრახ არასწორად გავიგებ ამ წერილს, რაც ასევე ძალიან მახარებს, ჩვენ გარკვეული უთანხმოებისა და კამათის შემდეგ კვლავ შევრიგდებით. ვალტერ კლემერი მაშინვე თავის თავზე იწყებს ლაპარაკს, თავის თავზე და კვლავ თავის თავზე. ქალმა მას ეს გრძელი წერილი მისწერა, მაშასადამე, მასაც აქვს უფლება, ცოტათი თავისი შინაგანი ბუნებაც წარმოაჩინოს. დრო, რომელიც მან ნებსით თუ უნებლიეთ კითხვაზე უნდა დახარჯოს, შეუძლია ახლა საუბრისთვის გამოიყენოს, რათა ერიკამ უპირატესობა არ მოიპოვოს მათი ურთიერთობის დროს. კლემერი უხსნის ერიკას, რომ მასში ერთმანეთს ებრძვის ორი უკიდურესობა, სახელდობრ კი, სპორტი (შეჯიბრება, წინააღმდეგობის მოტივი) და ხელოვნება (რეგულარობის მოტივი).

ერიკა მკაცრად უკრძალავს მოსწავლეს, რომელიც ხელს იწვდის წერილისკენ, კონვერტს შეეხოს. კლემერს ერთ მომენტში გაუელვებს აზრი, რომ სურს მთელი მსოფლიოს გასაგონად იყვიროს თავისი ფარული დამოკიდებულების შესახებ. – ეს მოხდა ტუალეტში! მაგრამ რადგან ეს მის გამარჯვებად არ ჩაითვლება, იგი დუმს. როდისმე იგი მოჰყვება, გამოურევს რა საკმაოდ ბევრ ტყუილს, რომ ამ ბრძოლაში გაიმარჯვა. კლემერი წინასწარ გრძნობს, რომ მან, იდგა რა ქალის ხელოვნებისა და სპორტის არჩევანის წინაშე, ხელოვნება და სპორტი აირჩია. ჯერჯერობით იგი ქალს ამ თავის შლეგურ აზრს უმალავს. იგი ხვდება, თუ რას ნიშნავს ჩართო საკუთარ თამაშში სხვისი „მეს“ ფაქტორი. რისკი, ცხადია, სპორტშიც არსებობს, – მაგალითად, სპორტსმენი შეჯიბრების დღეს შე-

იძლება არც იყოს ფორმაში. ეს ქალი უკვე ასეთ ასაკშია და ჯერ კიდევ არ იცის, რა სურს; მე კი ასე ახალგაზრდა ვარ და ყოველთვის ვიცი, რა მსურს.

ვალტერ კლემერის პერანგის წინა ჯიბეში კონვერტი მაცდურად შრიალებს. მას თითები უკანკალებს, მოთმინება აღარ ყოფნის; იგი იღებს გადაწყვეტილებას, მშვიდად წაიკითხოს წერილი სადმე წყნარ ადგილას, ბუნებაში, და თან შენიშვნებიც გააკეთოს წაკითხული ადგილების მიხედვით იმ პასუხისათვის, რომელიც უფრო გრძელი იქნება, ვიდრე ეს წერილი. იქნებ ბურგგარტენის პარკში? „პალმენჰაუზკაფეში“[46] კლემერს შეუძლია ნაღებიანი ყავა და ვაშლის ნამცხვარი შეუკვეთოს. ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ელემენტი, – ხელოვნება და კოხუტი – უსასრულობამდე აამაღლებენ წერილით მიღებულ სიამოვნებას. მათ შორის კი კლემერია, – მსაჯი, რომელიც გონგის მეშვეობით უჩვენებს და წყვეტს, თუ ვინ გაიმარჯვა ამ რაუნდში, ბუნებამ გარეთ პარკში თუ ერიკამ მის შიგნით. კლემერს ჯერ ცხელება უვლის ტანში, შემდეგ კი – ციება.

ვალტერ კლემერი საკლასო ოთახს ტოვებს, რომელშიც ახლა ბოლო მოსწავლე შედის. მას ჯერ არც დაუწყია მეცადინეობა, კლავიშებზე თითებიც არ დაუკარებია, მასწავლებელი ქალი ეუბნება, დღეს, სამწუხაროდ, მეცადინეობა არ ჩატარდება, რადგან შეუძლოდ ვარ და საშინელი თავის ტკივილები მაწუხებსო. მოსწავლე გოგონა ჩიტივით წამოფრთხიალდება ადგილიდან და თვალის დახამხამებაში ქრება.

ერიკა იკრუნჩხება შიშისა და უსიამოვნო შეგრძნებისაგან. იგი ახლა დამოკიდებულია კლემერის მოწყალებასა და ლმობიერებაზე. მართლა შესწევს მას უნარი გადალახოს მაღალი ზღუდე – გალავანი, გადაცუროს შმაგი მდინარე? მზად არის იგი, სიყვარულის გულისათვის რისკზე წავიდეს? ფროილაინ კოხუტმა არ იცის, და-

[46] კაფე „პალმის სახლი“.

უჯეროს თუ არა კლემერის გამუდმებულ მტკიცებას იმის შესახებ, რომ მას არასოდეს ჰქონია რისკის შიში.

– რაც უფრო მეტია რისკი, მით უკეთესია, – არწმუნებს მოსწავლე თავის მასწავლებელს. ეს პირველი შემთხვევაა მთელი ამ წლების განმავლობაში, რომ ერიკა თავის მოსწავლეს მეცადინეობის ჩაუტარებლად ათავისუფლებს. დედა ხშირად აფრთხილებს ხოლმე თავის ქალიშვილს მრუდე გზით სიარულის საშიშროებაზე. უმჯობესია ხელოვნების მწვერვალი, ვიდრე სექსი.

– ხელოვანმა უნდა მოითოკოს თავი, ლაგამი ამოსდოს ვნებებს, – ასე თვლის დედა. თუ მას ეს არ შეუძლია, თუკი ამის ძალა არ შესწევს, მაშინ ის ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა, რომელიც სხვებისგან არ გამოირჩევა. ეს კი ასე არ უნდა იყოს, თორემ მაშინ ის ღვთაებრივი აღარ გამოდის! სამწუხაროდ, ხელოვან ადამიანთა ბიოგრაფიები, – ეს კი საერთოდ ძალზე დიდმნიშვნელოვანი რამ არის ხელოვანისათვის, - ძალიან ხშირადაა აჭრელებული სექსუალური ლტოლვის გადმოცემით და მათი პროტაგონისტების ხრიკებითა და ოინებით. წარმოიქმნება მცდარი შთაბეჭდილება, თითქოსდა სექსუალობის გროვაზე აღმოცენდება სუფთა და კეთილშობილური ჟღერადობის კიტრის ნერგი.

– ერთხელ ქალიშვილმა უკვე წაიბორძიკა მუსიკალურ ასპარეზზე, – მუდმივად საყვედურობს დედა ერიკას თავიანთი ჩხუბისა და კინკლაობის დროს. ერთხელ წაფორხილება კიდევ არაფერია, ერიკა ამას მალე გაიგებს.

კონსერვატორიიდან ერიკა შინ აჩქარებული ნაბიჯებით მიეშურება. ორივე რჩეული მეგზური მისი ცხოვრებისა მაგრად არიან ჩაბღაუჭებული მას – დედამისი და მოსწავლე კლემერი. ორივე ერთად ვერ ეყოლება, მაგრამ ვერც მარტო ერთი, რადგან მაშინვე საშინლად მოაკლდება მეორე. ფროილაინ კოხუტს შეუძლია უთხრას დედას, რომ მან არ გაუღოს კლემერს კარი, როდესაც ზარის ხმას გაიგებს. დედა სიხარულით შეასრულებს ამ ბრძანებას. ნუთუ

იმიტომ ცხოვრობდა ერიკა მთელი ამ დროის მანძილზე სიწყნარესა და სიმშვიდეში, რომ მასში ეს საშინელი მოუსვენრობა და შფოთი დასადგურებულიყო? იმედია, კლემერი დღეს საღამოს არ მოვა, ხვალ თუ უნდა, მოვიდეს, მაგრამ დღეს არა, რადგან ერიკას რეჟისორ ლუბიჩის ძველებური ფილმის ნახვა სურს. დედა და შვილი მოუთმენლად ელოდებიან ამ ფილმს გასული პარასკევიდან, როდესაც მთელი შემდეგი კვირის სატელევიზიო გადაცემათა პროგრამა მოისმინეს. პროგრამას კოხუტების ოჯახში უფრო მოუთმენლად ელოდებიან, ვიდრე დიდ სიყვარულს, რომელიც აქ არ უნდა შემოეჩხიროს.

ერიკამ რაღაც ნაბიჯი გადადგა, როდესაც წერილი დაწერა. ამ ნაბიჯის გამო დედას ბრალს ვერ დასდებ, პირიქით, მან ამის შესახებ არაფერი არ უნდა იცოდეს. ერიკა ყოველთვის აღიარებდა ხოლმე დედის წინაშე თავის შეცდომებს, ხოლო დედა, კანონის ეს ფხიზელი დარაჯი, ამტკიცებდა, მე ეს ყველაფერი უკვე ისედაც ვიცოდიო.

ქუჩაში მიმავალი ერიკა გაღიზიანებულია. მას უსიამო და საძაგელი ფიქრები აწუხებს. მხოლოდ მუსიკა თუ მიანიჭებს უსასრულო სიტკბოებას. ქალი ნაბიჯს უჩქარებს. ვალტერ კლემერი შეუმჩნევლად მისდევს უკან. მან პირველი ძლიერი ვნებათაღელვა დაძლია. გადაწყვიტა, ჯერ არ გახსნას კონვერტი, რადგან სურს, გულახდილად ესაუბროს ერიკას, ვიდრე ამ უსიცოცხლო წერილს წაიკითხავდეს. ეს ცოცხალი ქალი, ერიკა, ურჩევნია კლემერს ამ მკვდარ ქაღალდის ნახევს, რომლის დასამზადებლადაც ხეებს ანადგურებენ. – წერილი შემიძლია მოგვიანებით სახლშიც წავიკითხო, მშვიდად და წყნარად, – ფიქრობს კლემერი. ბურთი, რომელსაც ის ათამაშებს, მიგორავს, ხტის, მის თვალწინ ხტუნავს, შუქნიშანთან ჩერდება, ვიტრინებში ირეკლება. იგი ნებას არ მისცემს ამ ქალს, უკარნახოს მას, თუ როდის წაიკითხოს წიგნები ან როდის გადავიდეს შეტევაზე. ქალი არ არის შეჩვეული იმას, რომ მას მისდევენ და

უკან არ იხედება. და მაინც მან უნდა ისწავლოს, რომ ის ნადირია, ხოლო კაცი – მონადირე. სჯობს ეს დღეს გაიგოს, ვიდრე ხვალ. ფროილაინ კოხუცს თავში აზრადაც არ მოსდის, რომ ოდესმე მისი ნება ვეღარაფერს გადაწყვეტს, თუმცა კარგა ხანია, რაც ყველაფერს დედამისი წყვეტს. ეს ისე აქვს გამჯდარი სისხლსა და ხორცში, რომ ამას ვეღარც ამჩნევს. ნდობა კარგია, კონტროლი – უკეთესი.

ერიკა სახლში შედის. ირგვლივ ნაცნობი სიმშვიდე და სიმყუდროვეა.

ერიკა არ სურს გაიგოს, თუ რა რეაგირება მოახდინა კლემერმა მის წერილზე. ქალი ტელეფონის ყურმილს არ აიღებს. იგი ახლავე ეტყვის დედას, – გადაეცი იმ კაცს, რომ ერიკა სახლში არ არისთქო. ფროილაინ კოხუტი თვლის, რომ შეუძლია უბრძანოს დედას რაიმე ისეთი, რაც მანამდე დედას მისთვის არ უბრძანებია. უფროსი ქალბატონი კოხუტი წარმატებას უსურვებს თავის ქალიშვილს იმ ნაბიჯის გადადგმის გამო, რომ იგი გამოეყოს, გაემიჯნოს გარე სამყაროს და მხოლოდ დედას მიენდოს.

დედამ იცის, რომ მის ქალიშვილს ნახევარი საათი მაინც სჭირდება, რათა სკოლიდან შინ დაბრუნდეს, თუკი ყველაფერი თავისი წესითა და რიგით წავა, მაგრამ მაინც უკვე მოლოდინადაა ქცეული. დედამ არაფერი იცის გაკვეთილის ჩაშლის შესახებ, მაგრამ მაინც ელოდება თავის პუნქტუალურ ქალიშვილს, რომელიც მუდამ მასთან ბრუნდება ხოლმე.

ვალტერ კლემერი უკვე ნახევარი საათია, მხოლოდ უკანა მხრიდან ხედავს თავის მასწავლებელს. იგი სხვა ათას ვინმეს შორის ცნობს მას. კლემერს სასიხარულო მოლოდინის გრძნობა იპყრობს, რასაც შიშისა თუ შეშფოთების გრძნობაც ახლავს თან. ფროილაინ კოხუტი ჯერ კიდევ მშვიდად მიდის, მაგრამ მალე იგი ვნებისაგან ხმამაღლა წამოიყვირებს! ვნებას გამოიწვევს მხოლოდ იგი, ვალტერ კლემერი. მისი სხეული ჯერ კიდევ სრულიად უზრუნველად

და წყნარად მოძრაობს სხვადასხვა რეჟიმით, მაგრამ მალე კლემერი გადართავს მას რეჟიმზე – „დუღილი“. აქამდე იგი ქალს ცნობდა მხოლოდ ერთი ფუნქციით, – როგორც მასწავლებელს. ახლა იგი შეეცდება მას მეორე ფუნქცია დააკისროს და მერე ნახავს, რა გამოვა აქედან; ეს ფუნქცია იმაში გამოიხატება, რომ მასწავლებელი ქალი მისი საყვარელი გახდეს. თუ არადა, რას იზამს, – რაც არის, არის! ერიკას წარმოდგენა არა აქვს, მაგრამ მალე გაიგებს, როგორ უნდა მოირთოს ქალი: ლამაზად, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, პრაქტიკულად, რათა მოძრაობისას შებოჭილი არ იყოს. ვალტერ კლემერს იმდენად ერიკას დაუფლება კი არ სურს, რამდენადაც ის, რომ, ბოლოს და ბოლოს, გახსნას ეს ძვლებისა და კანის ნაზავი, აკურატულად და ფაქიზად რომ არის მორთული სხვადასხვა ფერითა და ქსოვილით! გარსს, რომელიც ქაღალდივითაა ქალის სხეულზე შემოჭდომილი, დაჭმუჭნის და გადააგდებს. კლემერს სურს დაეუფლოს მისთვის აქამდე მიუღწეველ და მიუწვდომელ ქალს, რომელსაც ნაირფერი კაბები, ქვედატანები აცვია და ჭრელ ყელსახვევებს ატარებს; მას სურს დაეუფლოს ერიკას, სანამ მისი კანი და სხეული დაბერდება და გაიხრწნება. რატომ ყიდულობს იგი ასეთ ნივთებს? ხომ არსებობს ტანსაცმელი, რომელიც ლამაზი, პრაქტიკული და თანაც იაფია? მას სურს, ნახოს ქალის შიშველი სხეული, თუნდაც ეს არც ისე იოლი საქმე იყოს. ვალტერ კლემერს სურს უბრალოდ ის, რაც იზიდავს: სურს დაეუფლოს თავის მასწავლებელ ქალს. – თუ იგი ამ ქალს გარსს შემოაცლის, მაშინ მის წინ წარდგება ადამიანი – ერიკა, ყველა თავისი ნაკლოვანებით. მას კარგა ხანია აინტერესებს რა იქნება მერე?! – ფიქრობს თავისთვის კლემერი. მას სურს ისარგებლოს ერიკას სხეულის ყველაზე საუკეთესო ადგილებით, რომლებიც მას მადასა და ვნებას აღუძრავს და, საერთოდ, სურს დატკბეს მთელი მისი სხეულით, ისარგებლოს და დატკბეს. და, თუ საჭირო იქნა, აიძულოს კიდეც იგი. მისი სულის იდუმალი მხარე ვალტერ კლემერისთვის გარკვეულწილად ნაც-

ნობია. როდესაც კლემერს ეჭვი იპყრობს, იგი ყურს მიუგდებს ხოლმე თავის სხეულს, ტანს, რომელიც მას არასოდეს ატყუებს და როგორც მას, ასევე სხვებსაც სხეულის ენით ელაპარაკება. მანიაკებსა და ავადმყოფებთან სხეული ხშირად ტყუის, სიმართლეს არ „ამბობს“ სისუსტის ან სხვა პათოლოგიური გადახრის გამო, მაგრამ, საბედნიეროდ, კლემერის სხეული სრულიად ჯანმრთელია. ფუი, ეშმაკს, არ გაითვალოს. სპორტული მეცადინეობის, წვრთნის დროს სხეული მუდამ კარნახობს ვალტერ კლემერს, როდის უნდა შეწყვიტოს ვარჯიში და შეჩერდეს ან აქვს თუ არა კიდევ შემორჩენილი ძალა, ვიდრე მთლად არ დახარჯავს ენერგიას. ამის შემდეგ იგი თავს უბრალოდ შესანიშნავად გრძნობს. – ენა ვერ გამოთქვამს. აი, ასე აღწერს მხიარულად და მხნედ თავის მდგომარეობას კლემერი. იგი კარგა ხანია ესწრაფვის სრულ სიახლოვეს თავის მუსიკის მასწავლებელთან. უკვე თვეები გავიდა და თავისი ამტანობითა და მოთმინებით მან ამის უფლება მოიპოვა. ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ ბოლო დროს ფროილაინ კოხუტი კოხტაობს და იპრანჭება კლემერის გულისათვის, ატარებს სხვადასხვანაირ ძეწკვს, მანჟეტებს, სარტყელს, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს, მოსახსნელ ბეწვის საყელოებს, ყელსახვევებს, ახალ სამაჯურს, რომელიც ხელს უშლის მას ფორტეპიანოზე დაკვრის დროს. ქალი კოხტავდება და ლამაზდება მისი გულისათვის. ვალტერ კლემერი უკან მიჰყვება თავის მასწავლებელ ქალს და ფიქრობს, რომ ერიკამ ეს მორთულობები, სამკაულები და ზიზილ-პიპილოები, რომლებიც, როგორც იგი მიიჩნევს, ქალს გვარიანად ამახინჯებენ, დაუყოვნებლივ უნდა მოიცილოს თავიდან: კლემერის გულისათვის! იგი გააგებინებს ერიკას, რომ თუკი ამაზე მიდგა საქმე, ხაზგასმული სისუფთავე ერთადერთი მორთულ-მოკაზმულობა და სამკაულია, რომელსაც ის აღიარებს და რაც ესოდენ უხდება კლემერის რჩეულს. ფროილაინ კოხუტი თავის თავს სასაცილო მდგომარეობაში იგდებს, რაც სრულიადაც არ არის საჭირო. დღეში ორჯერ შხაპის მიღება, ასე ესმის

სხეულის მოვლა კლემერს და ეს სრულიად საკმარისია. თმები სუფთა უნდა იყოს, რადგან უსუფთაო ვარცხნილობა ზიზღს ჰგვრის. ფროილაინ კოხუტი ბოლო ხანებში მართლაც ისე იმოსება და ისეა გამოწყობილი, თითქოს ცირკის ცხენიაო. ახლა ერიკა გამუდმებით უფათურებს ხელს თავის დიდი ხნის უხმარ ტანსაცმელს, სათითაოდ იცვამს მათ, რათა მოსწავლეს თავი უფრო მოაწონოს. ამ კაბის დანახვაზე ვალტერ კლემერი ჭკუას დაკარგავს და იმ კაბის დანახვაზეც! ყველამ უკვე შეამჩნია და უკვირთ, თუ რა დახვეწილი გემოვნებით იცვამს იგი და როგორ ხმარობს კოსმეტიკურ საშუალებებს. ფროილაინ კოხუტი მეტამორფოზას განიცდის. იგი არა მხოლოდ იღებს და იცვამს ტანსაცმელს თავისი მრავალფეროვანი გარდერობიდან, არამედ ყიდულობს აგრეთვე შესაბამის აქსესუარებს: ქამრებს, ჩანთებს, ფეხსაცმელს, ხელთათმანებს, მოდურ სამკაულებს. ქალს სურს, რაც შეიძლება მაგრად დაახვიოს თავბრუ კაცს და ამით მასში ყველაზე ცუდ მიდრეკილებას აღვიძებს. მას თავი უნდა დაენებებინა ამ მძინარე ვეფხვისათვის, რათა მან ქალი მთლიანად არ გადასანსლოს, – ურჩევს ერიკას ვალტერ კლემერი, მხედველობაში ჰყავს რა ამ დროს თავისი ძვირფასი ადამიანი. რატომ ადრე არ აქცევდა იგი ყურადღებას თავისი ტანსაცმლის კარადებს, რათა ეს რთული სასიყვარულო ურთიერთობა დაეჩქარებინათ? რამდენი ახალი და მშვენიერი ნივთი გამოდის დღის სინათლეზე! ერიკა სასაცილოა, მაგრამ იგი კარგადაა გამოწყობილი, გახვეული და მჭიდროდ შეკრული. ყოველმა გამყიდველმა იცის: მთავარია კარგად შეხვეულ-შეფუთული საქონელი! შეხვევა-შეფუთვის ათი ფენა, რომელიც დამცველ ფუნქციას ასრულებს და ყურადღებას იქცევს და შესაძლოა ისინი ერთმანეთს კიდეც შეეფერებიან. ეს არცთუ უმნიშვნელო რამეა. უფროსი ქალბატონი კოხუტი კიცხავს თავის ქალიშვილს, რომელმაც კოსტიუმთან ერთად ბაფთიანი ახალი კოვბოური ქუდი იყიდა, დედა ხმამაღლა ჩივის ფულის ასეთ უყაირათო ხარჯვაზე და ტანსაცმლის მუდმივ ცვლა-

ზე, რაც უეჭველად ვიღაცის საწინააღმდეგოდაა მიმართული და, როგორც ჩანს, მის მიმართ, დედის მიმართ და ასევე მიართულია ვიღაცისკენ, სახელდობრ კი, მამაკაცისკენ. თუ ეს ვინმე კონკრეტული მამაკაცია, უფროსი ქალბატონი კოხუტი მას უჩვენებს სეირს! კარგა ლაზათიანად გაჯორავს მას. დედა დასცინის გემოვნებით შერჩეულ კაბებს და სხვადასხვა ჩასაცმელს. დედის ამგვარ დაცინვაზე ქალიშვილი ხვდება: ასე ძალიან იგი ეჭვიანობის გამო წიწმატობს.

რაც შეეხება ვალტერ კლემერსა და მის დამოკიდებულებას ჩაცმა-დახურვისადმი, მას სავსებით აკმაყოფილებს ჯინსის შარვალი და მაისური. მამაკაცი და ქალი ერთმანეთს ხვდებიან პირისპირ, მაგრამ ეს შემთხვევით არ მომხდარა. და კიდევ მესამე უჩინარი, დედობრივი მზრუნველობის იერსახე რომ მიუღია, ზემოთ იცდის, რათა თავისი რეპლიკები ისროლოს. ფროილაინ კოხუტი ურჩევს მოსწავლეს, აქაურობა დატოვე და ახლავე წადიო. მოსწავლე ენერგიულად ეწინააღმდეგება, თუმცა სრულებითაც არ სწადია მასწავლებლის დედას შეხვდეს. ვალტერ კლემერი აცხადებს: სადმე წავიდეთ, სადაც მარტონი ვიქნებით და თავისუფლად ლაპარაკი შეგვეძლებაო. მას გართობა სურს! ერიკა პანიკურად აბაკუნებს ფეხებს; მამაკაცს სურს შემოიჭრეს მის ჩაკეტილ, შემოსაზღვრულ სამყაროში! რას იტყვის დედა, რომელსაც ვახშამი მოუმზადებია და მას ელოდება? სუფრა წინასწარ არის გაწყობილი ორი ადამიანისათვის.

კლემერი ხელებით ეპოტინება ერიკას, რომელიც გამომცდელად ეკითხება, ჩემი წერილი თუ წაიკითხეო. – ხომ არ წაგიკითხავთ წერილი, ბატონო კლემერ? მოსწავლის პასუხი შემდეგნაირად ჟღერს: – რაში გვჭირდება ჩვენ წერილები, ისედაც შეგვიძლია ერთმანეთს ველაპარაკოთ. ამ სიტყვების გაგონებაზე ერიკა შვებით სუნთქავს, რადგან ხვდება, რომ ვაჟს წერილი ჯერ კიდევ არ წაუკითხავს. მეორე მხრივ კი, ფროილაინ კოხუტი შიშობს, რომ კლე-

მერი არ დაიცავს თამაშის წესებს, რომელთა შესრულებასაც ქალი წერილით მოითხოვს. ერთმანეთთან სასიყვარულო ურთიერთობაში ჩაბმული ორი ადამიანი ჯერ კიდევ საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე ცდება იმაში, თუ რა სურთ მათ ერთმანეთისგან და ასევე იმაშიც, რას მიიღებენ შემდეგ. გაუგებრობები გრანიტის სიმტკიცეს იძენს. ისინი არ ცდებიან უფროს ქალბატონ კოხუტთან მიმართებით, რომელიც მძაფრ რეაგირებას მოახდენს და ზედმეტს (კლემერს) იმწამსვე გარეთ გაისტუმრებს, სახლიდან გააგდებს. იმასაც კი, რომელიც დედის სრული საკუთრებაა და მისი ერთადერთი სიხარული (ერიკა), იგი თავისთან დაიტოვებს. ფროილაინ კოხუტს გული ხან ერთ მხარეს გაუწევს, ხან – მეორე მხარეს. ამით იგი უკიდურეს გაუბედაობასა და ყოყმანს ავლენს. ვალტერ კლემერი თვლის, ქალის ყოყმანისა და გაუბედაობის მიზეზი თვითონვე ვარო და ეს ეამაყება. იგი ნელა ხდის ქალს თავიდან კოვბოურ ქუდს. რა უმადურობა და უპატივცემულობაა ეს ქუდის მიმართ, რომელიც მუდამ მეგობრულ გზის მაჩვენებლად გამოჩნდებოდა ხოლმე ბრბოში, ქუდის მიმართ, რომელსაც არავინ ჩაუვლიდა ხოლმე დამცინავი სიტყვების წარმოუთქმელად. ამ ქუდს იმწამსვე ამჩნევდნენ და ცუდ ხასიათზე დგებოდნენ, თუმცა კი ქუდს მუდამ როდი მიაწერდნენ უგუნებობას.

– ახლა ჩვენ მარტონი ვდგავართ კიბეზე და ცეცხლს ვეთამაშებით, – ეუბნება ქალს ვალტერ კლემერი. იგი აფრთხილებს ფროილაინ კოხუტს, რომ არ ვარგა მამაკაცში ვნება-სურვილი გააღვიძო, აღაგზნო და შემდეგ მიუწვდომელ მანძილზე გადაკარგო. ერიკა შეჰყურებს მამაკაცს, რომელიც უნდა წავიდეს. კლემერს უკვე დიდი ხანია სურს, რომ, ბოლოს და ბოლოს, დაეუფლოს ამ ქალს. ფროილაინ კოხუტს უყვარს ახალგაზრდა კაცი და მისგან ხსნას ელის. ქალი არ ავლენს სიყვარულის ნიშნებს, რათა მარცხი არ განიცადოს. ერიკას სურს სისუსტე გამოავლინოს, მაგრამ საკუთარი დამარცხება თვითონვე უნდა განსაზღვროს. მან ყველაფერი დაწე-

რა და აღწერა წერილში. ქალს სურს, მამაკაცმა იგი მთლიანად გამოწუროს, ვიდრე მთლად არ გაქრება. ერიკას განზრახული აქვს, შეარბილოს თავის თავში ის, რაც მრავალი წლის განმავლობაში დაგროვდა, გაქვავდა და, თუ მამაკაცი მას მთლიანად დაიპყრობს, ქალის წადილიც სწორედ ეს იქნება. ერიკას სურს, სრულიად გაიხსნას მამაკაცში, მთლიანად ჩაიკარგოს მასში, მაგრამ ისე, რომ მან ეს ვერ შენიშნოს. – ვერ ამჩნევ, რომ ჩვენ მარტონი ვართ ამ სამყაროში? – უხმოდ ეკითხება იგი ვალტერ კლემერს. ზემოთ დედა უკვე ელოდება ქალიშვილს. იგი სადაცაა კარს გააღებს. თუმცაღა კარი ჯერ კიდევ არ იღება, რადგან უფროსი ქალბატონი კოხუტი ჯერ არ ელის ერიკას.

დედა ვერ გრძნობს, თუ როგორ ცდილობს მისი ქალიშვილი დაგლიჯოს შინაური ხუნდები, ბორკილები, რადგან ჯერ კიდევ ნახევარი საათი დარჩა იქამდე, ვიდრე უფროსი ქალბატონი კოხუტი შენიშნავს ამ ბორკილების მსხვრევის მცდელობას. ერიკასა და კლემერს შეუძლიათ მშვიდად გაარკვიონ, ვის ვინ უფრო უყვარს და ვის უკავია ამ წყვილში შედარებით უფრო სუსტი პოზიცია. ერიკა, ემყარება რა თავის ასაკს, ისეთი გამომეტყველებას იღებს, თითქოსდა ნაკლებად უყვარს, რადგან წარსულში უკვე არაერთი სიყვარული ჰქონია. კლემერს იგი უფრო უყვარს, ვიდრე მას კლემერი. კიდეც უნდა უყვარდეთ იგი უფრო. მამაკაცმა ერიკა კუთხეში მიიმწყვდია, გასაქცევად მხოლოდ ერთი გასაძრომი ხვრელიღა დარჩა, რომელიც პირდაპირ კრაზანას ბუდეში მიდის მეორე სართულზე. აქედან კარი უკვე კარგად ჩანს. ბებერი კრაზანა კარის მიღმა ქვაბებსა და ტაფებს ახმაურებს და მისი სილუეტიც მოჩანს სამზარეულო ოთახის განათებულ ფანჯარაში, მოედანს რომ გადაჰყურებს. ვალტერ კლემერი ქალს ბრძანებას აძლევს. ერიკა ამ ბრძანებას ემორჩილება. იგი ესწრაფვის კატასტროფის განცდას, მასთან შეხვედრას, რაც მისი ბოლო სანუკვარი სურვილია. ფროილაინ კოხუტი აწყნარებს და აშოშმინებს თავის ვნებათაღელვას.

იგი გადასცემს ახლა თავის ნებას, რომელიც აქამდე მუდამ დედამისის განკარგულებაში იყო, – როგორც ესტაფეტას, – ვალტერ კლემერს. ქალი მოაჯირს ეყრდნობა და ელის, რა გადაწყვეტილებას გამოიტანენ მის მიმართ. იგი თუმცა თმობს თავისუფლებას, მაგრამ, ამასთან ერთად, აყენებს პირობას: თავის სიყვარულს იმისათვის გამოიყენებს, რომ ეს ახალგაზრდა კაცი მისი მბრძანებელი გახდეს. რაც უფრო მეტ ძალაუფლებას მოიპოვებს მასზე ვალტერ კლემერი, მით უფრო დაემორჩილება იგი ქალს. კლემერი მისი სრული მონა გახდება, როცა ისინი, მაგალითად, გაემგზავრებიან რამსაუში, რათა იქ მთებში გაისეირნონ. ამასთანავე, იგი თავს ერიკას ბატონად ჩათვლის. ასე სურს ერიკას წარმართოს თავისი სიყვარული. ეს ერთადერთი გზაა, რათა სიყვარული უდროოდ არ მოკვდეს. ვალტერ კლემერს უნდა სჯეროდეს: ეს ქალი მთლიანად მიეცა მას, ამასთან, იგი გადადის ერიკას მფლობელობაში. ასე წარმოუდგენია ფროილაინ კოხუტს ყოველივე ეს. თუ კლემერი წერილს წაიკითხავს და მას დაიწუნებს, მაშინ საქმე ჩაიშლება. ზიზღის, სირცხვილის თუ შიშის გამო, – იმის მიხედვით, თუ რომელი გრძნობა გაიმარჯვებს მასში. – ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ, და ამიტომ არასრულფასოვანნი, – მანუგეშებელი სიტყვებით მიმართავს ერიკა მამაკაცს, რომლის სახეზეც მას კოცნის აღბეჭდვა სურს, სახეზე, რომელიც რბილდება და თითქმის დნება მასწავლებლის მზერის ქვეშ. – ზოგჯერ ჩვენ მარცხს განვიცდით ჩვენს ცხოვრებაში, და მე თითქმის მჯერა, რომ ეს პრინციპული მარცხი ჩვენი საბოლოო მიზანია, – ასრულებს თავის აზრს ერიკა. ქალი არ კოცნის მას, არამედ კარზე ზარს რეკავს, საიდანაც მაშინვე ცხადდება და მოჩანს დედის სახე, რომელიც გამოხატავს როგორც მოლოდინს, ასევე რისხვას მის მიმართ, ვინც მისი მყუდროების დარღვევა გაბედა! დედას სახე ელრუბლება და უნაოჭდება, როცა ქალიშვილთან ერთად მის თანმხლებ პირს ხედავს. ამ თანმხლებმა პირმა, როგორც ჩანს, იცის დანიშნულების ადგილი: კოხუტის ბინა. დედა უძრავად დგას.

იგი უხეშად წამოაგდეს თავისი თბილი ლოგინიდან და ახლა ღამის პერანგით მოსილი დგას მათ წინაშე. უფროსი ქალბატონი კოხუტი თვალებით ეკითხება ქალიშვილს, თუ რა ესაქმება აქ ამ უცხო ახალგაზრდა კაცს. იმავე მზერით დედა მოითხოვს, ეს ახალგაზრდა აქედან წავიდეს, იგი არც ელექტრო და არც წყლის დანახარჯების შემმოწმებელი არ არის და აქ არაფერი ესაქმება. ქალიშვილი უხსნის, ჩემს მოსწავლესთან სალაპარაკო მაქვს, რაღაც საკითხზე უნდა ვიმსჯელოთ და, ჩემს ოთახში შევალთო. დედა ამაზე ამუნათებს: შენ არ გაქვს ოთახი და რასაც განდიდების მანიის შენებური მანერით საკუთარ ოთახს უწოდებ, სინამდვილეში ჩემი საკუთრებაცაა. – ამ ბინაში, ვიდრე ის ჯერ კიდევ ჩემია, ჩვენ ყველა საკითხს ერთად ვწყვეტთ, – ეუბნება უფროსი ქალბატონი ქალიშვილს და შემდეგ სიტყვებით აღნიშნავს, რაც გადაწყვიტა. ერიკა კოხუტი ურჩევს დედას, - მე და ჩემს მოსწავლეს ოთახში არ შემოგვყვე, თორემ მე ვიცი, რასაც გიზამო. ქალები ერთმანეთს მტრულად უცქერენ და ხმამაღლა გაჰყვირიან. ვალტერ კლემერი გულში ზეიმობს, დედა კი ჯიუტობს. მოხუცი ქალი ხმას დაბლა უწევს, ამბობს: სახლში საჭმელი ცოტაა, რაც მხოლოდ მე და შენ თუ გვეყოფა და არა ამ კაცს, – მისი სამყოფი საკვები ჩვენ არ მოგვეძევებაო. კლემერი პრინციპულად უარს ამბობს, – გმადლობთ, მე არაფერი მინდა, უკვე ვივახშმეო. ამ უსიამო ამბების შემსწრე დედა მოთმინებას კარგავს. ახლა ქარის ნებისმიერმა წამოქროლებამ შეიძლება ამოაყირავოს ეს მხნე და ენერგიული ქალი, რომელიც ჩვეულებრივ არ ეპუება არავითარ ქარიშხალს და, შესაბამისად მომზადებული და აღჭურვილია, ძლიერ თავსხმა წვიმასაც არ უფრთხის. პროცესია, ქალიშვილისა და უცნობი მამაკაცისაგან რომ შედგება, – მშობელს გვერდს უვლის და ერიკას ოთახში შედის. ეს უკვე ნამდვილი შეთქმულებაა, რომელიც შეურაცხყოფს დედის წმინდა და შეურყვნელ სახელს. უფროსი ქალბატონი კოხუტი ლოცვას აღავლენს იესოსადმი, მაგრამ მას არავინ ისმენს, მათ შორის არც ადრე-

სატი. მის წინ კარი შეუბრალებლად იხურება. დედამ არ იცის, რა მოხდება ოთახში ერიკასა და ახალგაზრდა კაცს შორის, მაგრამ მას შეუძლია ადვილად დაადგინოს ეს, რადგან მისი ბრძნული დედობრივი წინდახედულობის წყალობით კარი გასაღებით არ იკეტება. იგი უხმაუროდ და ფრთხილად მიიპარება თავისი ქალიშვილის ოთახთან, რათა გაიგოს, თუ რომელ ინსტრუმენტზე აპირებენ იქ დაკვრას. როგორცა ჩანს, ფორტეპიანოზე არა, რადგან ის ამაყად და კოპწიად დგას სალონში. უფროს ქალბატონს ეგონა, მისი ქალიშვილი უდანაშაულობისა და უმანკოების განსახიერება იყო და ამ დროს მოდის ვიღაც და იხდის გადასახადს, რათა მზრუნველობა გამოიჩინოს ერიკასადმი ისევე, როგორც დედამ. ამ გადასახადზე დედა ყველა შემთხვევაში აღშფოთებით იტყვის უარს. ასეთი შემოსავლები უფროს ქალბატონ კოხუტს არ სჭირდება. ეს ყმაწვილი გადასახადის გადახდას ნამდვილად წუთიერი, ზერელე და ბუნდოვანი სახით მოიწადინებს, რაც დიდხანს ვერ გასტანს.

დედას სურს, ხელი წაატანოს კარის სახელურს, მაგრამ ამ დროს გარკვევით ესმის, რომ კარს შიგნიდან რაღაც მძიმე საგანს ადგამენ, – ეს, ალბათ, ბებიის ნაქონი სერვანტია, რომელიც სავსეა ახლახან ნაყიდი ტანსაცმლით, „ძონძებით“, ქალიშვილის ყოვლად ზედმეტ და არასაჭირო კოლექციას რომ ავსებენ. სერვანტს ღონივრად აწვებიან, სძრავენ იმ ადგილიდან, სადაც ის მრავალი წლის განმავლობაში იდგა და კარის მიმართულებით მიათრევენ. შეცბუნებული, სახტად დარჩენილი დედა დგას თავისი ქალიშვილის ოთახის კართან, ქალიშვილისა, რომელიც პირდაპირ მის თვალწინ ბარიკადებს აგებს. უფროსი ქალბატონი კოხუტი საიდანღაც პოულობს კიდევ შემორჩენილ უკანასკნელ ძალას და უაზროდ ურტყამს ფეხს ერიკას ოთახის კარს. ამასთანავე, იგი ამას მარჯვენა ფეხსაცმლის ჭვინტით აკეთებს, აქლემის ბეწვისგან რომ არის დამზადებული, რომელიც ძალზე რბილია კარებზე დასარტყმელად. დედა ჯერ ვერ გრძნობს ტკივილს, რადგან ძალიან აღელვებულია.

სამზარეულოდან დამწვარი საჭმლის სუნი მოდის. მზრუნველი ხელი აკლია, რომ მოურიოს მას. უფროსი ქალბატონი ფორმალური სიტყვების ღირსადაც არ ცნეს. მისთვის არაფერიც არ აუხსნიათ, თუმცა აქ დედაც სახლშია და ერიკას შესანიშნავ საშინაო კომფორტს უქმნის. ბოლოს და ბოლოს, ბინა ეკუთვნის არა მხოლოდ ქალიშვილს, დედა ჯერ კიდევ ცოცხალია და ჯერ კიდევ აპირებს ამქვეყნად ცხოვრებას. დღეს, საღამოსვე, როცა უსიამოვნო სტუმარი მათ დატოვებს, დედა განგებ ხუმრობით გამოუცხადებს თავის ქალიშვილს, რომ ბინიდან წავა. მოხუცთა სახლში გადავა. რა თქმა უნდა, იგი არსადაც არ წავა, თუ, დავუშვათ, მისმა ქალიშვილმა მოულოდნელად განაცხადა, კი, ბატონო, წაბრძანდიო! სად უნდა წავიდეს? უფროსი ქალბატონი კოხუტის გონებაში უსიამოვნო ფიქრები ირევა, რომელიც დაკავშირებულია მათ შორის უფლებამოსილებათა გადანაწილებასთან. სამზარეულოში დედა თავის გარშემო ისვრის ნახევრად მოუმზადებელ საჭმელს. იგი ამას უფრო რისხვითა და წყრომით აკეთებს, ვიდრე სასოწარკვეთილებით. დადგება დრო და სიბერემ ესტაფეტა უნდა გადასცეს ახალგაზრდობას. დედა ხედავს თავის ქალიშვილში თაობათა კონფლიქტის შხამიან ჩანასახს, რომელმაც შეიძლება უმტკივნეულოდაც ჩაიაროს, თუკი იგი ჩაუფიქრდება და გაითვალისწინებს იმას, რამდენად ვალდებულია და რა მოვალეობები აკისრია მას თავისი დედის მიმართ. იმ ასაკში, რომელსაც მიაღწია ერიკამ, დედა უკვე ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ საჭიროა „გადადგეს“. უფროსმა ქალბატონმა ირწმუნა, რომ იგი ყველაფერს გააკონტროლებს და ამ რწმენას მისდევს თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე; იმ მომენტამდე, როცა დაჰკრავს გონგი. ჰოდა, იმ დრომდე მისი ნებითა და კარნახით უნდა ხდებოდეს ყველაფერი, – მისი უშუალო ხელმძღვანელობით. მისი ქალიშვილი უკვე იმ ასაკშია, რომ უნდა გამოირიცხოს შესაძლო უსიამოვნო სიურპრიზები მამაკაცის მხრიდან. და, აი, აქ არის ის მათთან თავისი საკუთარი პერსონით, – არადა, ყველა ახ-

ლობელი ფიქრობდა, ერიკამ უკვე თავიდან გამოიბერტყა ყოველ-გვარი სისულელე, მამაკაცთან რომ არის დაკავშირებულიო. ფროილაინ კოხუტი მტკიცედ დაარწმუნეს ამაში და აი, საიდანღაც გამოხტა, ვიღაც კაცი, ცოცხალი და საღი, და თანაც მათ საკუთარ ბუდეში! უფროსი ქალბატონი კოხუტი მძიმედ სუნთქავს და სამზარეულოს სკამზე ჯდება. მთელ სამზარეულოში, გარშემო, მიმოფანტულია საჭმლის ნარჩენები. ქალიშვილმა თვითონ უნდა მოაწესრიგოს ყველაფერი, დაასუფთაოს და დაალაგოს. ამის გაფიქრებაზე დედას თითქოს ცოტათი გულზე ეშვება. დღეს საღამოს ტელევიზორის ყურებისას დედა ერიკას ხმას არ გასცემს და, თუ მაინც რამეს იტყვის, შეეცდება აუხსნას, რომ ყოველივე, რასაც დედა აკეთებს, შვილისადმი სიყვარულითაა გამსჭვალული და ნაკარნახევი. დედა გამოუტყდება თავის ქალიშვილს სიყვარულში და ამ სიყვარულით ბოდიშს მოიხდის თავისი შესაძლო შეცდომების გამო. ამასთან დაკავშირებით იგი მოახდენს ღვთისა და სხვათა ციტირებას, რომლებიც ყოველთვის ძალიან მაღლა აყენებდნენ სიყვარულს, მაგრამ არასოდეს იმ ეგოისტურ სიყვარულს, რომელიც ამ ახალგაზრდა კაცშია ჩაბუდებული. თავისი ქალიშვილის დასჯის მიზნით უფროსი ქალბატონი სიტყვასაც არ დაძრავს ტელევიზორის ყურებისას. ფილმის შესახებ არც კარგს იტყვის და არც ცუდს. დღეს დედასა და შვილს შორის არ შედგება ჩვეული აზრთა გაცვლა-გამოცვლა, – ამაზე დღეს იგი უარს ამბობს. ფროილაინ კოხუტი დღეს უნდა შეეგუოს და თავისი ხასიათი შეუწყოს იმას, რასაც დედა მოისურვებს. თავის თავთან ერიკა ვერ ილაპარაკებს. – არავითარი საუბარი, შენ თვითონაც ძალიან კარგად იცი, რატომღაც ასე მოუჭრის სიტყვას უფროსი ქალბატონი კოხუტი თავის ქალიშვილს, თუკი იგი ლაპარაკის დაწყებას შეეცდება.

დედა, ისე რომ საჭმელი არ უჭამია, შედის სასტუმრო ოთახში და მაღალ ხმაზე რთავს ტელევიზორს, სატყუარას, რათა მისმა ქალიშვილმა ინანოს, – მან ხომ ორი სიამოვნებიდან სრულიად ფუჭი

აირჩია. დედა ცდილობს, რაღაცნაირად ინუგეშოს თავი და, ბოლოს და ბოლოს ნუგეშს იმაში პოულობს, რომ მისი ქალიშვილი მამაკაცთან ერთად სწორედ სახლში მოვიდა და არა სადმე სხვაგან. უფროსი ქალბატონი კოხუტი შიშობს, რომ გადაღობილ და გამაგრებულ კარს უკან მათი სხეულები აღტყინებულია და თან ისიც აკრთობს, ახალგაზრდა კაცი ჩვენს ფულს ხომ არ დახარბდა და ამის გულისთვის ხომ არ არის აქ მოსულიო. დედა ფიქრობს, ამ კაცს ფულის შოვნა სურს მათთან, მაგრამ თავის საქციელს მოხერხებულად ნიღბავს იმით, რომ ვითომ მხოლოდ ქალიშვილი აინტერესებს და მისი გულისთვის მობრძანდა. ახალგაზრდა კაცს შეუძლია მიიღოს ყველაფერი, გარდა ფულისა – გადაწყვეტილებას იღებს ამ ოჯახის ფინანსთა მინისტრი და ხვალვე აპირებს დაუყოვნებლივ გამოცვალოს შემნახველი სალაროს წიგნაკის კოდი. დედა უარს ამბობს კოდურ სიტყვაზე – „ერიკა“. ფროილაინ კოხუტი კი სირცხვილს ჭამს, როდესაც დააპირებს მათი დანაზოგის ამ კაცისათვის გადაცემას.

დედა შიშობს, რომ იქ, კარს უკან, მისი ქალიშვილი ვნების ხმას არის აყოლილი და მას ეს უცხო მამაკაცი თავდავიწყებით ეალერსება. იგი ძალიან მაღალ ხმაზე აყვირებს ტელევიზორს, რაც უკვე მეზობლების სმენასაც სწვდება. შეწუხებული მეზობლები მალე იატაკის საწმენდი ჯოხით დაიწყებენ კაკუნს ანდა კარებზე დარეკავენ ზარს, რათა პირადად გამოთქვან თავიანთი უკმაყოფილება. ეგეც ერიკას, – სიწყნარის დამრღვევად და ხმაურის ამტეხად დედა სწორედ მას დაასახელებს და ისიც შემდეგ სირცხვილით თვალს ვეღარ გაუსწორებს მეზობლებს.

ქალიშვილის ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმის! არც ჟღურტული, არც რაიმე ძახილი ან ხითხითი. ერიკამ ხმამაღლაც რომ დაიწყოს ძახილი, დედა მის ხმას, ძალიანაც რომ უნდოდეს, მაინც ვერ გაიგონებს.

უფროსმა ქალბატონმა კოხუტმა ტელევიზორს ჩაუწია, რადგან სურს გაიგოს, თუ რა ხდება მისი ქალიშვილის ოთახში. დედას კვლავ არაფერი ესმის, რადგან ეს სერვანტი ფარავს და აყრუებს არა მარტო ხმებს, არამედ ყოველგვარ მოძრაობასა და ფეხის ხმას. მოხუცმა ქალმა სულ მთლად დაუწია ტელევიზორს, მაგრამ, ამის მიუხედავად ერიკას ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმის. დედა კვლავ ზემოთ უწევს ხმას, რათა ტელევიზორის ხმაურში კარებთან ფეხაკრეფით მივიდეს და ყური მიუგდოს. ნეტავ, რა ხმებს გაიგონებს ახლა დედა, მოფერებისა და ალერსის გამომხატველ ხმებს თუ ტკივილისას? თუ ორივეს ერთად? უფროსი ქალბატონი კოხუტი სმენადაა ქცეული, ყურს ადებს კარს; დასანანია, რომ მას სტეტოსკოპი არა აქვს. საბედნიეროდ, ისინი მხოლოდ ლაპარაკობენ. მაგრამ რის შესახებ ლაპარაკობენ და რას აკეთებენ ახლა? იქნებ დედაზე ლაპარაკობენ? ქალბატონმა კოხუტმა ახლა ყოველგვარი ინტერესი დაკარგა სატელევიზიო პროგრამისადმი, თუმცა იგი ყოველთვის ცდილობს ჩააგონოს ქალიშვილს, რომ ვერაფერი შეედრება ტელევიზორის ყურებას გრძელი სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ. მუშაობით მხოლოდ ქალიშვილი მუშაობს, მაგრამ დედას ყოველთვის შეუძლია მასთან ერთად ტელევიზორს უყუროს. ტელევიზორის ყურების მთელი ეშხი და ლაზათი დედისათვის იმაში გამოიხატება, რომ ქალიშვილთან ურთიერთობა იქონიოს, კონტაქტი ჰქონდეს მასთან. ახლა ეს ეშხი და ლაზათი გაქრა და უფროს ქალბატონ კოხუტს ტელევიზორისადმი „მადა“ დაეკარგა. ის (ტელევიზორი) მოსაწყენია და არაფრისმთქმელი. დედა აკრძალულ კარადასთან (სადაც შხამიანი და მომწამვლელი ნივთიერებანი ინახება) მიდის სასტუმრო ოთახში. იგი ისხამს და სვამს ერთ სირჩა ლიქიორს და შემდეგ კიდევ რამდენიმეს. მოხუც ქალს სასმელისაგან დაღლილობა და სიმძიმის განცდა ეუფლება. იგი ტახტზე ეშვება და კიდევ სვამს ლიქიორს. ქალიშვილის კარსუკან თითქოს რაღაც იზრდება და მრავლდება, როგორც სიმსივნე, ზრდას მაშინაც კი

რომ განაგრძობს, როცა მისი პატრონი უკვე კარგა ხნის მკვდარია. დედა კვლავ სვამს ლიქიორს.

ვალტერ კლემერს სურვილი ეძალება, ვერ ისვენებს, მას სურს შეტევაზე გადავიდეს, მან ხომ მოათავა მოსამზადებელი სამუშაოები და კარებიც დაკეტა. ერიკას ოთახში ვერავინ შემოვა, მაგრამ ასევე ვერავინ გავა უშუალოდ მისი დახმარების გარეშე. კლემერმა თავისი ძალითა და ღონით სერვანტი კარებს მიადგა, ქალიც მის გვერდითაა და სერვანტი იცავს მათ გარესამყაროსგან. ვალტერ კლემერი ერიკა კოხუტს აღუწერს ფანტასტიკურ პარტნიორობას სასიყვარულო გრძნობებით. რა საუცხოოა სიყვარული, როცა შენს გვერდით შენი შესაფერისი და კარგი პარტნიორი იმყოფება. ფროილაინ კოხუტს სურს, რომ იგი შეიყვაროონ კარგა ხნის უაზრო ხეტიალისა და ძიების შემდეგ, გაივლის რა რთულ გზებსა და ბილიკებს. იგი მთლიანად ეძლევა თავის სურვილს და განზრახვას, რომ იყოს მხოლოდ საგანი და უკუაგდებს, თრგუნავს თავის გრძნობებს. იგი სასწრაფოდ არიდებს თვალს „სირცხვილის სერვანტს“ და კლემერი ცდილობს გასწიოს ავეჯი, რათა ერიკამდე მიაღწიოს. ფროილაინ კოხუტს სურს ინსტრუმენტი იყოს, რომელზე დაკვრასაც იგი კლემერს ასწავლის. მამაკაცი თავისუფალი იქნება, ერიკა კი მთლად შებორკილი. თუ როგორ იქნება შებორკილი, ამას თვითონ ერიკა გადაწყვეტს. ფროილაინ კოხუტს სურს, რომ საგნად, ინსტრუმენტად, იარაღად იქცეს; ვალტერ კლემერმა კი ეს საგანი უნდა იხმაროს, გამოიყენოს. ერიკა მოითხოვს კლემერისგან, რომ მან წაიკითხოს წერილი და თან გულითადად სთხოვს ყურადღება არ მიაქციოს და გულთან ახლოს არ მიიტანოს წერილის შინაარსი, როდესაც მას გაეცნობა. დაე, დაკავშირებული იყოს ერთადერთ მიზეზთან, საფუძველთან, რომ კლემერის სიყვარული ნამდვილი სიყვარულია და არა მხოლოდ მისი სუსტი ანარეკლი, მდელოებზე რომ ჩანს. ერიკა კოხუტი სრულიად მიუწვდომელი იქნება ვალტერ კლემერისთვის, თუ იგი ფარ-ხმალს დაყრის ქალის მისწრაფე-

ბის წინაშე ძალადობისადმი. მაგრამ ქალი ბედნიერი იქნება მამაკაცის მისწრაფების გამო, – გამორიცხოს ძალადობა თავისი რჩეულის მიმართ. ამასთან, მას შეუძლია დაეუფლოს ერიკას მხოლოდ ძალადობის გზით. მას უნდა უყვარდეს ერიკა კოხუტი სრული თავდავიწყებით და მაშინ ქალსაც ეყვარება იგი სრულ თვითუარყოფამდე და თვითდამცირებამდე. ისინი სთავაზობენ ერთმანეთს საიმედო მტკიცებებს სიყვარულისა და ერთგულებისათვის, ფროილაინ კოხუტი ელოდება, კლემერმა მისი სიყვარულის გამო შეჰფიცოს, რომ არ იხმარს ძალადობას. ერიკა კი სიყვარულის გამო ამაზე უარს იტყვის და მოთხოვნას წაუყენებს მას, რომ მოექცეს ქალს ისე, როგორც ეს დეტალურად არის აღწერილი წერილში; თანაც ერიკა სულითა და გულით იმედოვნებს, რომ მოახერხებს თავი აარიდოს იმას, რასაც წერილში მოითხოვს.

ვალტერ კლემერი სიყვარულითა და პატივისცემით უყურებს ერიკას, ისე, თითქოს მას ამ დროს ვიღაც აკვირდება, თუ როგორი პატივისცემითა და ერთგულებით ექცევა ის ერიკას. ეს უჩინარი მაყურებელი კლემერის ზურგსუკან დგას. რაც შეეხება ერიკას, მის ზურგსუკან ილანდება ხსნა, რომლის იმედიც მას აქვს. ქალი კლემერის მკლავებს მიენდო და იმედოვნებს ხსნას აბსოლუტური ნდობის მეშვეობით. საკუთარი თავისგან ქალი მორჩილებას მოითხოვს, ხოლო კლემერისგან ბრძანებებს, მის მორჩილებას რომ შეავსებს. ფროილაინ კოხუტი იცინის: – ამისათვის ორი ადამიანია საჭირო! ვალტერ კლემერიც იცინის. იგი ამბობს, – ჩვენ არ გვჭირდება წერილების გაცვლა-გამოცვლა, არამედ უბრალოდ კოცნათა გაცვლა-გამოცვლა, ჩვენთვის ესეც საკმარისია. მოსწავლე არწმუნებს თავის მასწავლებელს, რომ მას შეუძლია უთხრას კლემერს ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი, ამიტომ საჭირო არ არის, სპეციალურად წერილების წერა. ქალი, რომელსაც შეუძლია როიალზე დაკვრა, სირცხვილს არ უნდა უფრთხოდეს; წყნარად! ბოლოს და ბოლოს კლემერს სურს სიყვარულით ფრთაშესხმულმა

მაღლა ცაში შეინავარდოს და არ მიაქციოს ყურადღება საგზაო ნიშნებს, ერიკას წერილში რომ არის აღნიშნული. აი, აქა აქვს კლემერს მისი წერილი, რატომ არ ხსნის მას? კლემერი ხუმრობს: – მე ნელ-ნელა სურვილი მიქრება. ვალტერ კლემერი მუქარას გამოთქვამს იმის გამო, რომ ეს რბილი, სიმსუქნეშეპარული და ასეთი პასიური სხეული, ეს პიანინოზე დაკვრით მჭიდროდ შეზღუდული მოძრაობის უნარი, აღარ გამოიწვევს მასში ძლიერ სურვილს, თუკი ფროილაინ კოხუტი მას გაუთავებელ დაბრკოლებას შეუქმნის. – როგორც იქნა, მარტონი დავრჩით, მოდი დავიწყოთ! სიტუაცია, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით, არ ცნობს მორცხვობას, უკანდახევასა და ბოდიშობანას – „პარდონს“! ამდენი მოვლითი გზებისა და მანევრების შემდეგ ვალტერ კლემერმა ბოლოს მიაღწია იმას, რომ აქ შემოაღწია. იგი მადიანად შეექცევა თავის ულუფას და თან საჭმლის დამატებასაც მოითხოვს, გარნირსაც გადაიღებს დიდი კოვზით. კლემერი განზე სწევს წერილს და ეუბნება ერიკას, მე გაიძულებ შენ, რომ ბედნიერი იყოო. იგი აღწერს ბედნიერებას, რომელსაც ფროილაინ კოხუტი ვალტერ კლემერთან იგრძნობს, ყვება თავისი უპირატესობებისა და ძლიერი მხარეების შესახებ, მაგრამ ლაპარაკობს აგრეთვე უსიცოცხლო, მკვდარი ქაღალდის ფურცლის ნაკლოვანებაზეც: მის წინაშე ხომ ცოცხალი ადამიანია! და ერიკა ამას მალე მიხვდება და იგრძნობს, რადგანაც თვითონ იგიც ცოცხალი არსებაა. კლემერი ერთგვარი მუქარით მიანიშნებს იმაზე, თუ როგორ სწრაფად ბეზრდება ზოგიერთ მამაკაცს ზოგიერთი ქალი. ქალსაც უნდა შეეძლოს ცოტა მრავალფეროვნად წარმოაჩინოს საკუთარი თავი, რომელიც მასზე ერთი ნაბიჯით წინაა, ეს უკვე იცის და ამიტომ მოითხოვს კლემერისგან, რომ მან გახსნას წერილი, რომელშიც იგი წერს, თუ როგორ შეიძლება ურთიერთობათა ხანგრძლივად შენარჩუნება. ერიკა ამბობს: – ჰო, მაგრამ ჯერ წერილი წაიკითხე. კლემერს სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ აიღოს კონვერტი, თუ არადა, წერილი იატაკზე აღმოჩნდება

და ამით ქალს შეურაცხყოფას მიაყენებს. იგი ვნებიანად კოცნის ერიკას და თან უხარია, რომ ქალი ბოლოს და ბოლოს გონივრულად იქცევა და მას სიყვარულს პასუხობს. ამისათვის მას ვალტერ კლემერი ენით გამოუთქმელი სასიყვარულო მადლითა და სიკეთით დააჯილდოებს, რაც ასე ჭარბად გამოსჭვივის მისგან, კლემერისგან. ფროილაინ კოხუტი უბრძანებს კლემერს, წერილი წაიკითხეო. კლემერი უხალისოდ უშვებს ქალს ხელს და ხსნის კონვერტს. იგი გაოცებით კითხულობს იმას, რაც წერილში წერია და შემდეგ ხმამაღლა კითხულობს ცალკეულ ნაწყვეტებს. თუ ყოველივე ის, რაც წერილში წერია, სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ ეს კლემერისთვის ცუდი იქნება, ხოლო ფროილაინ კოხუტისათვის კიდევ უფრო უარესი, რის გარანტიასაც ის იძლევა. რაც არ უნდა ეცადოს, იგი ახლა ვეღარ შეხედავს მას, როგორც ნორმალურ ადამიანს, ასეთ რამეს მხოლოდ ხელთათმანით შეიძლება შეეხოს კაცი. ერიკას გამოაქვს ძველი ფეხსაცმლის ყუთი და იღებს იქიდან შეგროვილ ნივთებს. ის დარწმუნებული არ არის, თუ რაზე შეაჩერებს ვალტერ კლემერი თავის არჩევანს, ყოველ შემთხვევაში მას სურს, რომ მთლიანად მოკლებული იყოს მოძრაობის უნარს. მას უნდა, რომ ყველა დამხმარე საშუალებამ, რომელთაც კლემერი მის მიმართ გამოიყენებს, იგი ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს. ქალს სურს მას ენდოს, მაგრამ თავისი პირობების გათვალისწინებით. ფროილაინ კოხუტი მას იწვევს!

ვალტერ კლემერი აცხადებს, რომ დიდი მამაცობაა საჭირო, რომ უარყო გამოწვევა და მიიღო გადაწყვეტილება ნორმის სასარგებლოდ. კლემერი თვითონ არის ნორმა. იგი კითხულობს წერილს და საკუთარ თავს ეკითხება, ნეტავ რა წარმოდგენები აქვს ამ ქალს თავის თავზეო. იგი ორჭოფობს, არ იცის, მართლა სერიოზულად წერს თუ არა ქალი ყოველივე ამას. რაც შეეხება ვალტერ კლემერს, იგი სრულიად სერიოზულია. ეს მან ისწავლა ბობოქარ მდი-

ნარეებში ცურვის დროს, როდესაც ადამიანი ხშირად ფრთხილობს, რადგან დიდი ბრძოლა უხდება დაბრკოლების დასაძლევად.

ერიკა სთხოვს ბატონ კლემერს, მიუახლოვდეს მას, როცა ქალს მხოლოდ შავი ნეილონის საცვალი და წინდები ეცმება. ფროილაინ კოხუტს სწორედ ასე მოწონს. – ჩემი ყველაზე სანუკვარი სურვილია, – განაგრძობს წერილის კითხვას მამაკაცი, – რომ შენ მე დამსაჯო. ქალს სურს, რომ კლემერი მას გამუდმებით დევნიდეს დასჯის მიზნით. იგი მისი დამსჯელი იქნება. დაე, კლემერმა ხალისიანად და მონდომებით შეკრას და დააბას იგი, მაგრამ მჭიდროდ, საფუძვლიანად, მოხერხებულად, ულმობლად, მტკივნეულად, დახვეწილად, – თოკებით, ტყავის ქამრებით და ჯაჭვებითაც კი, რომლებიც ქალმა მოიტანა. დაე, კლემერმა ყველაფერი გააკეთოს, რისი ძალა და უნარიც შესწევს. კლემერმა, ამასთან, მუხლი მაგრად უნდა მიაბჯინოს ქალს სხეულზე. – გააკეთე ეს, გეთაყვა, გთხოვ, – წერს თავის წერილში ერიკა.

ვალტერ კლემერი მხიარულ შეძახილებს გამოსცემს წერილის კითხვის დროს. იგი ხუმრობად მიიჩნევს ქალის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ მუშტები ჩაარტყას მას მუცელში და მაგრად დააწვეს ზემოდან ისე, რომ ის ფიცარივით იდოს, რომ მისთვის სასიამოვნოდ შეკრულ-შებორკილს განძრევაც აღარ შეეძლოს. კლემერი ხარხარებს, რადგან ქალი ხომ იმას, რასაც წერილში წერს, სერიოზულად არ მიიჩნევს და ყოველივეს კარგი იუმორით თხზავს და იგონებს. ეს ქალი, ფროილაინ კოხუტი, ახლა ახალი კუთხით წარმოაჩენს თავის თავს და ამით თავისი მხრიდან კიდევ უფრო ძლიერ იზიდავს მამაკაცს. ერიკა ეძებს თავგადასავლებს და არავითარ ვარიანტს არ უფრთხის. მაგალითად, იგი წერს თავის წერილში, რომ დაიგრიხება კლემერის მიერ საშინლად დაბმულ-შებორკილი, როგორც ჭია, რომლის დროსაც იგი ქალს მრავალი საათის განმავლობაში დაწოლილ მდგომარეობაში დატოვებს, და თან მას ყველანაირ პოზაში სცემს, ფეხებით ზედ შედგება ანდა სულაც გა-

შოლტავს! ერიკას სურს მთლად დაიტანჯოს, გაწვალდეს და გული გადაელიოს მისი, – კლემერის სიმძიმის ქვეშ. მისი კარგად შეთვისებული მორჩილების უნარი კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს! და მარტო დედა ყველაფერი როდია, თუკი ადამიანს მხოლოდ მარტო დედა ჰყავს. იგი არის და რჩება დედად პირველ რიგში, ხოლო მამაკაცი თავისი აქტიური მოქმედებით ამ ფარგლებს შორს უნდა ცდებოდეს. ვალტერ კლემერი ეკითხება, ვერ გამიგია, ეს რეები გიტრიალებს თავშიო. – ვინა ხარ, შენ, ბოლოს და ბოლოს, ნეტავი კი ვიცოდე, – ამბობს გაოცებული კლემერი. მამაკაცს ისეთი შეგრძნება აქვს, რომ ამ ქალს საერთოდ სირცხვილის გრძნობა არ აწუხებს.

ვალტერ კლემერს სურს გააღწიოს, გავიდეს ამ ბინიდან, რომელიც უფრო მახეა, ვიდრე სახლი. მან მანამდე არ იცოდა, თუ რა ნაბიჯს დგამდა, რა ბადეში ყოფდა თავს. ვალტერ კლემერი უფრო უკეთეს რამეს ელოდა, უფრო უკეთესის მოლოდინში იყო. ბაიდარის მენიჩბე საშიშ წყალზე მოხვდა. იგი ჯერ კიდევ მთლად ვერ უტყდება თავის თავს, თუ სად შეცურა, და მითუმეტეს სხვებს ხომ არასდროს გამოუტყდება ამაში. – რა უნდა ამ ქალს ჩემგან, – ცოტა არ იყოს, შიშით ეკითხება თავის თავს ვალტერ კლემერი. სწორად გაიგო მან, თუ არა, რომ, როცა მისი მბრძანებელი გახდება, იგი მისი მბრძანებელი ვერ იქნება? როცა ქალი გადაწყვეტს, თუ როგორ მოექცეს მას კლემერი, ქალის იდუმალება მისთვის მუდამ მიუწვდომელი დარჩება, იგი მისთვის მთლიანად მისაწვდომი ვერ იქნება. რა ადვილად წარმოიქმნება შეყვარებულ ადამიანში ილუზია, რომ თითქოს მან უღრმეს შრეებსა და ფენებში შეაღწია და მისთვის გაუხსნელი – საიდუმლო აღარსად დარჩა. ფროილაინ კოხუტი ფიქრობს, რომ მას თავისი ასაკის მიხედვით კიდევ აქვს არჩევანი, მაგრამ მამაკაცი ხომ გაცილებით უფრო ახალგაზრდაა მასზე და ამიტომ უფლება აქვს პირველმა თვითონ აირჩიოს და თვითონვე განეკუთვნება ასარჩევ, რჩეულ ნიმუშს. ერიკა წერილში მოითხოვს, რომ კლემერი მოეპყროს მას როგორც თავის მონა ქალს და

მას ბრძანებები და დავალებები მისცეს. მამაკაცი თავისთვის ფიქრობს: რაც არ უნდა იყოს, ქალს მაინც არ დასჯის, – ის ხომ დიდსულოვანი კაცია და მას ეს საქმე ძალიან გაუჭირდება. არსებობს ზღვარი, რომელსაც იგი, ვალტერ კლემერი, არასოდეს გადასცდება თავისი წეს-ჩვეულებიდან გამომდინარე. საჭიროა ადამიანმა იცოდეს თავისი საზღვრები და ეს საზღვრები სწორედ იქ იწყება, სადაც ტკივილი წარმოიშობა. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ კლემერს თავისი თავის არ სჯერა. მას უბრალოდ არ სურს. ფროილაინ კოხუტი წერილით იტყობინება, რომ იგი მას ყოველთვის წერილით ან ტელეფონით გაუზიარებს თავის გულის ნადებს და არა უშუალოდ და პირადად. ქალი ხომ ვერც კი ბედავს ამის ხმამაღლა წარმოთქმას! ვერ ბედავს, როცა მის ლურჯად შეფერილ თვალებს უყურებს.

ვალტერ კლემერი იცინის და ხელებს მაგრად იტყაპუნებს ბარძაყებზე: ეს ქალი მას მითითებებსაც კი აძლევს! თანაც წამსვე, დაუყოვნებლივ უნდა დაემორჩილოს მას. გარდა ამისა, ერიკა სთხოვს, – ყოველთვის მითხარი ხოლმე ხმამაღლა, თუ რას მიკეთებ სწორედ იმ დროს, იმ მომენტში და ხმამაღლა დამემუქრე, რა მომელის, თუკი არ დაგემორჩილები. ყველაფერი დეტალურად უნდა ამიწერო, თანაც დაწვრილებით მელაპარაკე ყოველ ახალ შეგრძნებასა და განცდაზე. ვალტერ კლემერი კვლავ დამცინავად ეკითხება ჩუმად მყოფ, გაყუჩებულ ერიკა კოხუტს, ვინა ხარ შენ ნეტავი, რა გგონია შენი თავიო. მისი დაცინვიდან აშკარად გამოსჭვივის, – შენ არაფერსაც არ წარმოადგენ, დიდი ვერაფერი შვილი ყოფილხარო. კლემერი ლაპარაკობს სულ სხვა საზღვარზე, რომელიც მხოლოდ მისთვისაა ცნობილი, რადგან მან თვითონ ჩაასო საბანი: ეს საზღვარი იწყება იქ, როცა მე რაიმე ჩემი ნების საწინააღმდეგოდ უნდა გავაკეთო, – ირონიულად ამბობს ბატონი კლემერი. იგი აგრძელებს წერილის კითხვას, მაგრამ მხოლოდ ისე, გასართობად. კლემერი ხმამაღლა კითხულობს, მაგრამ მხოლოდ საკუთარი

თავის გასამხიარულებლად, თავშესაქცევად: ვერავინ აიტანს იმას, რაც ამ ქალბატონს სურს, რომ ადრე თუ გვიან არ მოკვდეს. იგი კითხულობს ტკივილის ინვენტარულ აღწერას. – მაშასადამე, ისე უნდა მოგექცე, როგორც მხოლოდ ნივთს, - ფიქრობს თავისთვის კლემერი. იგი კითხულობს: – მუსიკის გაკვეთილებზე ამან არანაირად არ უნდა იმოქმედოს, არავინ არაფერი უნდა შენიშნოს. კლემერი ეკითხება ფროილაინ კოხუტს, სულ მთლად ხომ არ გააფრინეო. თუკი ქალს ჰგონია, რომ ამას ვერავინ შენიშნავს, მაშინ იგი ცდება.

ძალიან ცდება. ერიკა ხმას არ იღებს, იგი წერს, რომ მისი ჩლუნგ მოსწავლეთა ფარა (ნახირი), ალბათ, მას ახსნასა და განმარტებას მოსთხოვს, – მაგრამ ისინი ვერაფერს მიიღებენ. – შენ ძალზე უხეშად უგულებელყოფ შენს მოსწავლეებს, – ეუბნება ქალს კლემერი. – მე ხომ მთლად არ გავშიშვლდები იმ ხალხის თვალწინ, ისინი, ყველა ერთად აღებული, ჩემზე უფრო სულელები არიან, – ამბობს იგი, – ჩვენი ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე, მე ამას არ მოველოდი, ერიკა, – დასძენს კლემერი. იგი კითხულობს წერილში, რომელსაც თავისი სურვილის მიუხედავად სერიოზულად ვერ აღიქვამს, რომ კლემერი არ უნდა გამოეხმაუროს ქალის არც ერთ თხოვნას. იგი აგრძელებს კითხვას: – თუკი მე, საყვარელო, დაგიწყებ თხოვნას, რომ შეასუსტო, მოუშვა მარწუხები, და შენ ინებებ შეასრულო ჩემი თხოვნა, მაშინ, ალბათ, ჩემთვის შესაძლებელი იქნება მისგან გათავისუფლება. ამიტომ ჩემს თხოვნასა და მუდარას ანგარიში არ გაუწიო, ეს ძალიან მნიშვნელოვანია! პირიქით, როდესაც მე მუდარას დაგიწყებ, ისე გააკეთე, თითქოს შენ გსურდა ამის გაკეთება, და უფრო მაგრად მომიჭირე ბორკილები, უფრო მჭიდროდ, – ორი, სამი ნახვრეტით მაინც მაგრად შეკარი ქამარი, რაც უფრო მჭიდროდ და მაგრად შეკრავ, მით უკეთესია. გარდა ამისა, პირში ჩამტენე ძველი ნეილონის წინდები, – ისინი გამზა-

დებული მექნება წინასწარ, – ისე რომ, ერთი სიტყვის თქმაც ვერ შევძლო.

ვალტერ კლემერი ამბობს: – არა! შეწყდეს, დამთავრდეს ყოველივე ეს! იგი ეკითხება ერიკას, სილა ხომ არ მოგენატრაო. ფროილაინ კოხუტი ხმას არ იღებს. კლემერი მკაცრად ამბობს, რომ თუკი იგი წერილის წაკითხვას გააგრძელებს, ეს მხოლოდ მისი ინტერესით იქნება გამოწვეული იმ კლინიკური შემთხვევისადმი, რომელსაც ერიკა ასახიერებს. იგი ეუბნება მას: – ისეთ ქალს, როგორიც შენ ხარ, ყოველივე ეს არ სჭირდება. შენ ხომ გონჯი და შეუხედავი ქალი არა ხარ. შენ არა გაქვს შესამჩნევი სხეულებრივი ნაკლი. თუ არ ჩავთვლით ასაკს. კბილებიც შენი, საკუთარი გაქვს.

წერილში შემდეგ წერია: – შემომიჭირე რეზინის სალტე, გაჩვენებ, როგორ გააკეთო ეს, მოუჭირე მთელი ძალით ისე, რომ ენით ვერ გადმოვაგდო ის. სალტე უკვე მზად არის! შემიხვიე, გეთაყვა, თავიც, რათა უფრო მეტი სიამოვნება მომანიჭო; შემომახვიე თავზე პერანგი და მომიჭირე ისე მაგრად სახეზეც, რომ მისი მოცილება ვერ შევძლო. და დამტოვე ასეთ მტანჯველ მდგომარეობაში მთელი საათების განმავლობაში ისე, რომ განძრევაც არ შემეძლოს, ისე, რომ დავრჩე მხოლოდ ჩემ თავთან და მხოლოდ ჩემში. – მე კი რა მერგება ჯილდოდ ამის სანაცვლოდ? – დამცინავად ეკითხება კლემერი. იგი ამას იმიტომ ეკითხება, რომ სხვების ტანჯვა და ტკივილი მას სიამოვნებას არ ანიჭებს. ტკივილი, სპორტული მეცადინეობის დროს რომ წარმოიქმნება, ეს სულ სხვა რამეა, იგი ამას ნებაყოფლობით იღებს თავის თავზე, და ამ დროს მხოლოდ თვითონ წვალობს. ანდა ციმბირულ ყაიდაზე რომ ივლებ საუნაში ცივი მთის წყაროს წყალს. ამას მე თვითონ ვიღებ ჩემს თავზე და უნდა აგიხსნა, თუ როგორ მესმის ექსტრემალური პირობები.

ვალტერ კლემერი წერილის კითხვას აგრძელებს: – მასხარად ამიგდე, ბოროტად დამცინე, მიწოდე ჩერჩეტი მონა და მომიხსენიე უკანასკნელი სიტყვებით. მითხარი, გეთაყვა, თუ რას აკეთებ ახლა,

სწორედ ამ მომენტში, აღმიწერე ყოველი შემდგომი ფაზა ისე, რომ სინამდვილეში ეს სიმკაცრე და ულმობლობა არ გამოავლინო ჩემს მიმართ. ილაპარაკე დაწვრილებით ამაზე, მაგრამ შენს ქმედებაზე მხოლოდ მიმანიშნე. მითხარი მკაცრი, მუქარით აღსავსე სიტყვები, მაგრამ ნაპირებს არ გადასცდე. კლემერი ფიქრობს იმ მრავალრიცხოვან ადამიანებზე, რომლებსაც იგი უკვე იცნობს, მაგრამ ასეთი უცნაური ქალბატონი მას ჯერ არ შეხვედრია! – ასეთი ბებერი, აშმორებული „ნაკადულით“ ახალ ნაპირებს ვერ მიაღწევ, – ამბობს თავისთვის მოწყენილი კლემერი, რომელიც ბაიდარის სპეციალისტია. იგი მას დასცინის, მაგრამ არა ხმამაღლა, არამედ გულში. ვალტერ კლემერი შეჰყურებს ამ ქალს, რომელსაც სურს ნეტარებაში თავდავიწყება პოვოს და თავის თავს ეკითხება: გაუგებ, ნეტავ რამეს ამ ქალებს? ეს ქალი მხოლოდ თავის თავსა და თავის სიამოვნებაზე ფიქრობს. – მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის მოხდება, მადლიერების ნიშნად ფეხებს დაგიკოცნი, - კითხულობს წერილში კლემერი. წერილში ამის შესახებ სრულიად გარკვევით წერია. მასში ლაპარაკია აგრეთვე იმ საიდუმლო ამბებზე, საზოგადოებისგან შეუმჩნევლად რომ ხდება. მუსიკალური მეცადინეობა ადამიანს სთავაზობს იდეალურ მასაზრდოებელ წყაროსა და ნიადაგს – მამოძრავებელ ძალას ყოველგვარი საიდუმლოებისა და ფარულობისა, მაგრამ ასევე იმისათვის, რომ იბრწყინო და გამოჩნდე ხალხში. ვალტერ კლემერი ამჩნევს, რომ ერიკას წერილში კვლავ და კვლავ, უსასრულოდ ამის მსგავს ამბებზეა ლაპარაკი. ყოველივე ის, რასაც ამ წერილში კითხულობს, მას შეუძლია მიიღოს მხოლოდ როგორც კურიოზი და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე კურიოზია. – მე მინდა ეს სახლი რაც შეიძლება მალე დავტოვო, - ასეთია ვალტერ კლემერის საბოლოო აზრი. ის, რაც მას აქამდე აჩერებდა, მხოლოდ ცნობისმოყვარეობაა, იმის გაგების წადილია, თუ სანამდე შეიძლება შეტოპოს ადამიანმა, რომელსაც შეეძლო ვარსკვლავებს შესთამაშებოდა ცაში! კლემერი, ეს პატარა, შორეული ვარსკვლავი, უკ-

ვე კარგა ხანია ანათებს მის ახლოს, მის უშუალო სიახლოვეს. მუსიკალური ხელოვნების უნივერსუმი, სამყარო შორ მანძილზე იშლება და ვრცელდება, საჭიროა, რომ ამ ქალმა მხოლოდ ხელი გაიწვდინოს, მაგრამ იგი მცირეოდენითაც კმაყოფილდება. ვალტერ კლემერს სურვილი უჩნდება, რომ ერიკას ერთი კარგი მუჯლუგუნი უთავაზოს.

ფროილაინ კოხუტი შეჰყურებს მამაკაცს. იგი, ერიკა ოდესღაც ბავშვი იყო, და ის ბავშვი აღარასოდეს იქნება.

ვალტერ კლემერი ხუმრობით ამბობს იმის შესახებ, რომ დარტყმა, რომელიც ადამიანს არ დაუმსახურებია, უსამართლობაა. ფროილაინ კოხუტი მიიჩნევს, რომ დარტყმა და ცემა უკვე მხოლოდ იმიტომ დაიმსახურა, რომ იგი არსებობს ამქვეყნად, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ცოტაა, საკმარისი არ არის. ერიკას ახსენდება თავისი ბავშვობის პერიოდი: ძველი ესკალატორები, მოძრავი კიბე უნივერმაღებში. კლემერი ხუმრობს და ამბობს, შეიძლება თავი ვერ შევიკავო და ერთხელაც იქნება ხელი წამცდესო; – მე სრულიადაც არ გეკამათები, მაგრამ რაც ზედმეტია, რაც მეტისმეტია, იმას კარგი არასოდეს მოაქვს. როდესაც საქმე ინტიმურ გრძნობებს ეხება, იქ, ცოტა არ იყოს, სერიოზულობაა საჭირო. ფროილაინ კოხუტი მამაკაცს სიყვარულში სცდის, ამას ბრმაც დაინახავს. იგი გამოცდას უტარებს ვალტერ კლემერს, თუ სანამდე შეიძლება მივიდეს მისი სიყვარული ამ ქალთან დამოკიდებულებაში. ერიკა ამოწმებს მას სამარადჟამო ერთგულებიდან გამომდინარე და სურს მიიღოს ამის გარანტია და დამამტკიცებელი საბუთი მანამდე, ვიდრე ქალი და მამაკაცი საქმეს შეუდგებიან. ასე ფიქრობს ქალი საერთოდ ხშირად. მას, ალბათ, სურს გაარკვიოს, თუ რამდენად შეიძლება ენდოს მამაკაცის ერთგულებას, „რამდენად ძლიერად შეიძლება დაეყრდნოს მისი თვითგაღებისა და თავდადების კედელს“. ქალის თვითგაღების უნარი, იმის უნარი, რომ ბოლომდე მიეცეს მამაკაცს, აბსოლუტურია, სრულია. უნარი ცოდნად იქცევა.

ვალტერ კლემერი მიიჩნევს და მტკიცედაც სწამს, რომ ურთიერთობის ამ სტადიაში ქალს ყველაფერს უნდა დაჰპირდე ისე, რომ არაფერი შეუსრულო. ვნებიანი გახურებული რკინა სწრაფად გაცივდება, თუკი მას ძალიან მორცხვად და ყოყმანით სჭედავ. დასცხე მას სწრაფად შენი ჩაქუჩი! მამაკაცი ამართლებს დაასაბუთებს თავის ინტერესის შესუსტებას და ქრობას ქალური კონსტრუქციის შესაბამისი მოდელისადმი. გადაღლა, უზომო დაძაბვა აუძლურებს მამაკაცს. მას უჩნდება და არ ასვენებს მოთხოვნილება იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს სრულიად მარტო დარჩეს.

ვალტერ კლემერი წერილიდან იტყობს: ქალს სურს, რომ მამაკაცმა გადაყლაპოს იგი. კლემერი მადლობას უხდის და უარს ეუბნება, – გმადლობ, მაგრამ თხოვნას კი ვერ შეგისრულებ, უმადობას ვუჩივიო. იგი თავის უარს ასე ხსნის: მე არ მსურს, ასე მოვექცე ვინმეს, ისევე როგორც არ მსურს, რომ სხვა ვინმე მომექცეს ასე. ვალტერ კლემერს მაინცდამაინც დიდი სურვილი არა აქვს პირი ჩვრით ჰქონდეს გამოტენილი და დაბმულდაბორკილი ეგდოს იატაკზე. – მე შენ ისე ძალიან მიყვარხარ, – ეუბნება კლემერი, – რომ არასოდეს არ მოგაყენებ ტკივილს, თუნდაც ეს შენ ძალიან გინდოდეს. ბოლოს და ბოლოს, ყველას სურს ისე მოიქცეს, როგორც თვითონ სიამოვნებს. კლემერს აშკარად ეტყობა, რომ არავითარ დასკვნებს არ გააკეთებს ამ წერილიდან და არც იმ აზრებს თუ სურვილებს გაიზიარებს, მასში რომ ამოიკითხა.

კარს იქიდან მოისმის ტელევიზორის ხმადაბალი ბუტბუტი: ვიღაც კაცი ქალს უჯავრდება მუქარის კილოთი. საოჯახო ტელესერიალი, რომელსაც დღეს უჩვენებენ, მტკივნეულად ეხება ფროილაინ კოხუტის გულს, რომლის კარიც ღიაა და მგრძნობიარე ამ გადაცემებისადმი. შინაურ ოთხ კედელში სული და გული ხაროობს, გული მშვიდად და თავისუფლად ძგერს, რადგან მას არაფერი ემუქრება, რასაც კონკურენციის სუნი უდის. დედასთან უშუალო სიახლოვე ხელს უწყობს და განაპიროობებს ერიკას შეუდარებელი

ნიჭისა და უნარ-შესაძლებლობების გამოვლინებას. უფროსი ქალბატონი კოხუტი აცხადებს ხოლმე, რომ მისი ქალიშვილი საუკეთესოა. ეს არის ლასო, რომლითაც იგი შვილს იჭერს.

ვალტერ კლემერი კითხულობს წინადადებებს, რომელთა მიხედვითაც იგებს, რომ მას ნება ეძლევა დასაჯოს ერიკა თავისი შეხედულებისა და მოსაზრების თანახმად. კლემერი ეკითხება, თუ რატომ აქვე და მაშინვე არ დაწერა ერიკამ, რა სასჯელებს გულისხმობს იგი? კლემერი ამ შეკითხვით ჯავშნოსან ერიკას ეჯახება და რიკოშეტით უკუიქცევა მისგან გარკვეულ მანძილზე. წერილში წერია, რომ ფროილაინ კოხუტი მას მხოლოდ საკუთარ სურვილებს სთავაზობს, – ეს მხოლოდ შეთავაზებაა. ქალი სთავაზობს მას, რომ იყიდის კიდევ ჯაჭვს, ორი საკეტით, რომელთა გახსნასაც იგი ნამდვილად ვერ შეძლებს. – და რაც შეეხება დედაჩემს, გთხოვ, მას საერთოდ ნუ მიაქცევ ყურადღებას, – ეუბნება ერიკა. დედა, პირიქით, აქეთ აქცევს ყურადღებას თავის ქალიშვილს და გარედან კარზე აბრახუნებს. ხმაური თითქმის არ ისმის სერვანტის წყალობით, თავისი მომთმენი ზურგით რომ მიყრდნობია მჭიდროდ კარს. უფროსი ქალბატონი კოხუტი ყვირის, ტელევიზორი ბუტბუტებს. ტელევიზორში ჩანს დამწყვდეული პატარა ფიგურები, რომლებიც ადვილი მოსავლელი არიან, – მათ გინდა ჩართავ, გინდა გამორთავ. პაწაწინა სატელევიზიო ცხოვრებას უპირისპირდება დიდი ნამდვილი ცხოვრება, რომლის დროსაც ნამდვილი ცხოვრება იმარჯვებს, რადგან ის თავისუფლად ფლობს და განაგებს მთელ სამყაროს. ცხოვრება ისე ეწყობა, როგორც ეს ტელეეკრანზეა, ხოლო სატელევიზიო რეალობა გადაღებულია ცხოვრებიდან. ფიგურები ქარისაგან აბურძგნულ-აბურდული ვარცხნილობით შიშით შეჰყურებენ სახეში ერთმანეთს, მაგრამ რაღაცის დანახვა მხოლოდ ეკრანის აქეთ მხარეს მყოფ ფიგურებს შეუძლიათ, სხვები კი, ეკრანიდან იცქირებიან, ვერც ვერაფერს ხედავენ და არც არაფერი ესმით.

– ჩვენც გვჭირდება საკეტი, ანდა ურდული მაინც უნდა გავუკეთოთ კარს! – განაგრძობს ფროილაინ კოხუტი წინადადებების შეთავაზებას. – ეს შეგიძლია მშვიდად მომანდო მე, საყვარელო. მე მსურს, რომ შენ ჩემგან პაკეტი გააკეთო, რომელიც სრულიად დაუცველი, შენს ხელთ და შენს ანაბარა იქნება, მხოლოდ შენი შემყურე. ვალტერ კლემერი ნერვიულად ილოკავს ტუჩებს, წარმოიდგენს რა იმავდროულად თავის უფლებამოსილებებს. როგორც ტელეეკრანზე, იგი ისე ჭვრეტს მინიატიურულ სამყაროს. ფეხს ვერსად გაადგამ. ეს ქალი, მის წინ რომ დგას, იკუნტება და პატარავდება. იგი შეიძლება ბურთივით ააგდო, აისროლო ისე, რომ არ დაიჭირო. და მისგან, როგორც ბურთისგან, შეიძლება ჰაერი გამოუშვა. იგი განზრახ იპატარავებს თავს, თუმცა მას ეს სრულიადაც არ სჭირდება. კლემერი ხომ ისედაც აღიარებს მის ნიჭიერებას. ფროილაინ კოხუტს აღარ სურს იდგეს სხვებზე მაღლა, რადგან მას არ შეხვედრია ვინმე ისეთი, რომელსაც შეძლებდა მასზე მაღლა ეგრძნო თავი. ერიკა გამოთქვამს სურვილს, კიდევ იყიდოს დამატებით რაიმე ნივთი, რათა წამების (ტანჯვა-წვალების) ინსტრუმენტების პატარა მარაგი შეავსოს. – ამ შინაურ ორგანზე ჩვენ ორნი დავუკრავთ. ორგანის ხმა არავინ არ უნდა გაიგოს, – აცხადებს ფროილაინ კოხუტი. იგი შეწუხებულია და შეფიქრიანებული, – ჩემმა მოსწავლეებმა არაფერი გაიგონო. კარის წინ უფროსი ქალბატონი კოხუტი ჩუმად და გულისწყრომით სლუკუნებს. ტელევიზორშიც ვიღაც უჩინარი ქალი თითქმის უხმოდ სლუკუნებს, რადგან ხმის დამწევი მინიმუმზეა დაყვანილი. დედას შეუძლია და მზადაც არის იმისათვის, რომ ეს ქალი ისე ხმამაღლა ააბღავლოს, რომ ბინის კედლები აზანზარდეს. და თუკი უფროსი ქალბატონი კოხუტი ვერ შეძლებს ხელი შეუშალოს ახალგაზრდებს, მაშინ ამას ტეხასელი ქალის სატელევიზიო გადაცემა მოახერხებს – საჭიროა მხოლოდ დისტანციური პულტზე ხელის დაჭერა.

– არავითარ შემთხვევაში არ მიაქციო ყურადღება დედაჩემს, – ესმის ვალტერ კლემერს. მას, ცხადია, შეუძლია არ მიაქციოს ყურადღება უფროს ქალბატონ კლემერს, მაგრამ ეს უკანასკნელი, შეპყრობილია რა ჯავრითა და ბოღმით, მთელი ხმით აღრიალებს ტელევიზორს. – დედაშენი ხელს მიშლის და მოსვენებას არ მაძლევს, – ჩივის მამაკაცი ტირილნარევი ხმით.

ფროილაინ კოხუტს სურს, რომ ვალტერ კლემერმა იგი ტანჯოს და აწამოს. მაგრამ კლემერს არ სურს მისი ტანჯვაწამება. იგი ეუბნება, – ჩვენ ასეთი მოლაპარაკება არ გვქონია, ერიკა. ფროილაინ კოხუტი სთხოვს, რომ მან ყველა მარყუჟი და თოკი ისე მაგრად მოუჭიროს, რომ თვითონ მამაკაცსაც ძალიან გაუჭირდეს მათი მოშვება და გახსნა. არავითარი შებრალება არ იქონიო ჩემს მიმართ, პირიქით, მთელი შენი ძალა და ღონე გამოიყენე! ყველა ადგილზე. – რა იცი შენ ჩემი ძალ-ღონის შესახებ? – რიტორიკული შეკითხვით მიმართავს ქალს ვალტერ კლემერი, – შენ ხომ არასოდეს გინახივარ ბაიდარაზე. ერიკა ძალიან დაბალ შეფასებას აძლევს თავისი მოსწავლის ძალ-ღონეს და მის შესაძლებლობებს. ქალს წარმოდგენაც არა აქვს, თუ რად შეიძლება იგი გადააქციოს კლემერმა, რა შეიძლება უყოს მას. ამიტომ იგი კლემერს წერს: – იცი, თუ არა შენ, რომ შესაძლებელია თოკის ეფექტურობის, ქმედითუნარიანობის გაზრდა, თუკი კარგა ხანს წყალში ჩადებ და დაარბილებ მას? გააკეთე ეს გეთაყვა ყოველთვის, როცა მე ამის სურვილი მექნება და მშვიდად დატკბი ამით. მოულოდნელად დამადექი თავზე იმ დღეს, რომელსაც მე წერილში დაგისახელებ და კარგად, მაგრად შემკარი წყალში დასველებული თოკით, რომელიც შეიკუმშება, როდესაც შრობას დაიწყებს. დამსაჯე ჩემი ცოდვების გამო! ვალტერ კლემერი ცდილობს აუხსნას ქალს, რომელიც კვლავინდებურად დუმს, რომ ამით ერიკა ცოდვას სჩადის და არღვევს წესიერებისა და ზრდილობის წესებს. ფროილაინ კოხუტი დუმილს აგრძელებს, მაგრამ სულით არ ეცემა. ქალი ფიქრობს, რომ სწორ

გზაზე დგას და სთხოვს კლემერს კარგად შეინახოს და არ დაკარგოს გასაღებები, რომლებითაც შემდეგ მან ერიკა თავის ოთახში უნდა ჩაკეტოს! დედაჩემს ყურადღებას ნუ მიაქცევ, მოსთხოვე მას ყველა სათადარიგო და შემცვლელი გასაღებები, ასეთები სახლში ბევრია! ჩამკეტე დედაჩემთან ერთად ოთახში გარედან! მე უკვე დღეს ველოდები იმას, რომ შენ ერთხელაც სასწრაფოდ წახვალ და მე, – ეს ჩემი სანუკვარი სურვილია, – აქ შებორკილს, გათოკილს და წელში მოხრილ-მოკრუნჩხულს დამტოვებ დედაჩემთან ერთად. დამტოვე მწოლიარე მდგომარეობაში, მაგრამ ისე, რომ დედაჩემი ჩემს ოთახში ვერ შემოვიდეს და ყოველივე ეს ასე დატოვე მეორე დღემდე. როგორც უკვე გითხარი, დედაჩემს ყურადღებას ნუ მიაქცევ, რადგან ეგ მხოლოდ ჩემი საქმეა, მაგას მე მივხედავ. როცა წახვალ, თან წაიღე ბინისა და ოთახის გასაღებები, აქ არც ერთი არ დატოვო!

ვალტერ კლემერი კიდევ ერთხელ ეკითხება თავის მასწავლებელ ქალს, კი, ბატონო, მაგრამ მე ყოველივე ამისგან რა სარგებლობა მექნებაო. მოსწავლე იცინის. დედა, უფროსი ქალბატონი კოხუტი, კარებზე აფხაჭუნებს. ტელევიზორი გრიალებს. კარი დახურულია. ერიკა დუმს. დედა იცინის. კლემერი კარებს ფხაჭნის. კარი ჭრაჭუნებს. ტელევიზორი გამორთეს. ერიკა აქ არის.

წერილში შემდეგ წერია: – ტკივილისაგან რომ არ ვიწკმუტუნო და ვიჭყივლო, ჩამტენე, გეთაყვა, პირში ნეილონის ჩვარი, კოლგოტი და ამისთანა რამ. ჩამტენე ყოველივე ეს პირში ისე მაგრად, რომ ჩემთვის შეუძლებელი იყოს მათი პირიდან გამოღება. შემომხედე მოწყალე თვალებით და დამელაპარაკე ადამიანურად, რომლის დროსაც მეტყვი: აი, ნახავ, რა მშვენიერ პაკეტს გავაკეთებ შენგან და რა კარგად იგრძნობ თავს ჩემი შენდამი მოპყრობის შედეგად. მითხარი ფარისევლურად, რომ ძალიან მიხდება პირში ჩაჩრილი ჩვარი და რომ ასე დამტოვებ 5-6 საათის განმავლობაში, და არავითარ შემთხვევაში უფრო ნაკლები დროით. შემიკარი მაგარი

თოკით ფეხები, რომლებზედაც ნეილონის წინდები მაცვია, შემიკარი მაგრად მაჯები, შემოახვიე ჩემს ბარძაყებს თოკი სულ ბოლომდე და კიდევ უფრო მაღლა, გააკეთე ეს, იმის მიუხედავად, თუნდაც მე წინააღმდეგობა გაგიწიო. ყოველივე ეს ერთად განვიცადოთ. მე ყოველთვის აგიხსნი, თუ როგორ მსურს ეს, სწორედ ისე, როგორც შენ ერთხელ უკვე გააკეთე. ისიც თუა შესაძლებელი, გეთაყვა, რომ მე, შეკრულ-გათოკილი და ჩვრით პირგამოტენილი, ასვეტილი, ბოძივით დამაყენო შენს წინ? გულითადი მადლობა ამისათვის. რაც შეგიძლია მჭიდროდ და მაგრად შემიკარი ახლა ხელები ტანზე ტყავის ქამრით. ეს ისეთნაირად უნდა გააკეთო, რომ სწორად ვერ დავდგე ფეხზე.

ვალტერ კლემერი ეკითხება: – როგორ, გეთაყვა? და შეკითხვას თვითონვე პასუხობს: – აი, თურმე რა! მამაკაცი ეკვრის ქალს, მაგრამ იგი ხომ მისი დედა არ არის, რასაც აგრძნობინებს კიდეც და უარს ამბობს, რომ შვილივით ჩაიკრას ის გულში. ქალს ხელები განზე მიაქვს, რათა მას არ შეეხოს და თან სიმშვიდეს ინარჩუნებს. ახალგაზრდა კაცი მისგან ნაზ, მორცხვ თრთოლვას ელის და თვითონაც ნაზად და გულის თრთოლვით უყურებს მას. მოსწავლე ეხვეწება ქალს, რომ მანაც ალერსი შეაგებოს მის ალერსს, ამგვარი მღელვარე გრძნობების შემდეგ მამაკაცის გულგრილად და უპასუხოდ დატოვება ხომ მხოლოდ ნამდვილ არაადამიანს შეუძლია. ფროილაინ კოხუტს შეუძლია მხოლოდ თავის თავს მიუალერსოს, მაგრამ არა სხვას. – გთხოვ, გთხოვ, – მონოტონურად მიმართავს მას მოსწავლე, მაგრამ ამ თხოვნაზე მასწავლებელი მადლობის გრძნობას არ ავლენს. ქალი არ რეაგირებს მამაკაცის გრძნობებზე და თუმცა ნებას აძლევს „იბალახოს“ მასზე, მაგრამ არ აგებებს მას საპასუხოდ თავის წითელ ტუჩებს. – მხოლოდ კითხვით და წაკითხვით კუჭს ვერ გაიძღობ, წაკითხვა შემცვლელი არ არის, – უხეშად ამბობს ახალგაზრდა კაცი. ფროილაინ კოხუტი კლემერს კითხვის გაგრძელებას სთავაზობს. მამაკაცი მას კიცხავს: შენ აღარაფერი

გაქვს შემოსათავაზებელი. შენ პატიების ღირსი არა ხარ. არ შეიძ-ლება ყოველთვის მხოლოდ აღება. ვალტერ კლემერი ნებაყოფი-ლობით გამოთქვამს სურვილს, აჩვენოს ქალს სამყარო, რომელიც ერიკასთვის ჯერ კიდევ უცნობია! ერიკა არაფერს იძლევა და არც არაფერს იღებს.

წერილში ერიკა იმუქრება, რომ დამჯერე და მორჩილი არ იქ-ნება. – თუ შენ ასეთ საქციელს შენიშნავ, – ურჩევს იგი ვალტერ კლემერს, – მაგრად გამარტყი ხელუკულმა (ე. ი. ხელის ზურგით) სახეში, როცა ჩვენ მარტონი ვიქნებით. შემეკითხე, თუ რატომ არ ვჩივი ამის გამო დედაჩემთან, ანდა რატომ არ გპასუხობ დარტყმა-ზე დარტყმით. აუცილებლად, ნებისმიერ შემთხვევაში მითხარი ასეთი რამ, რათა მე ნათლად და სრულად ვიგრძნო ჩემი დაუცვე-ლობა. მომექეცი ყოველთვის, ყველა შემთხვევაში ისე, როგორც წერილში დაგიწერე. უმაღლესი წერტილი, რომელზე ფიქრსაც ჯერ კიდევ სრულიადაც ვერ ვბედავ, არის ის, რომ შენ, ჩემი ასეთი მცდელობითა და მონდომებით წაქეზებული, ზედ მომექცე, გეთაყ-ვა, მთელი შენი ძალით და შენი ბარძაყები თავზე ისე ღონივრად მომიჭირე, რომ ოდნავ განძრევის თავიც კი არ მქონდეს. მელაპა-რაკე დროის შესახებ, რომელიც ჩვენ ამ საქმისთვის გვჭირდება და დამარწმუნე, – მითხარი, დრო საკმარისად გვაქვს-თქო! დამემუქრე, რომ რამდენიმე საათით ასეთ მდგომარეობაში დამტოვებ, თუკი არ შევასრულებ იმას, რაც საჭიროა და რაც მომეთხოვება. შეგიძლია საათობით მაწამო და მთელი ამ დროის განმავლობაში შენი სხე-ულის მთელი სიმძიმით სახეზე მაწვებოდეს! გააკეთე ეს, ვიდრე მთლად არ გავშავდები. მე წერილით ვითხოვ შენგან ნეტარებას, მრავალ ნეტარებას. შენ ადვილად მიხვდები, თუ კიდევ რა ტკბობა და ნეტარება მწყურია. მე ვერ ვბედავ ამის აღწერას. ეს წერილი ვინმე სხვა ადამიანის ხელში არ უნდა მოხვდეს. მითავაზე, გამარ-ტყი უამრავი ლაზათიანი სილა! ჩემს „არას“, ჩემს უარს არც ერთ შემთხვევაში ყური არ დაუგდო. რაც არ უნდა გითხრა, შენ შენი

გააკეთე. ჩემს ხვეწნასა თუ მუდარას ნურაფრად ჩააგდებ. დედაჩემს რაც შეეხება: მის მხარეს საერთოდ ნუ გაიხედავ!

კარსუკან ტელევიზორი გუგუნებს, მაგრამ ახლა უფრო ხმადაბლა. უფროსი ქალბატონი კოხუტი კვლავ კონიაკის სმას იწყებს. ეს იმიტომ, რომ ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს, დრო შეამოკლოს, სანამ ეს უსიამოვნო ამბავი დამთავრდება. ახლა ამ დროს ყველა სხვა ოჯახი ვახშამს მიირთმევს. პატარა კაცები, ტელევიზორში რომ მოჩანს, შეიძლება ნებისმიერ დროს გააქრო, საჭიროა მხოლოდ ღილაკზე ხელის დაჭერა. მაშინ მათი ბედ-იღბალი, მათი ამბავი ისე წარიმართებოდა, ისე დასრულდებოდა, რომ დედა ვერ ნახავს, იგი კი ამას ვერ შეეგუება. ცალ თვალს უფროსი ქალბატონი კოხუტი ტელეეკრანისკენ გააპარებს ხოლმე. თუ მისი ქალიშვილი მოისურვებს, დედა ხვალ უამბობს მას დღევანდელი სატელევიზიო სერიის შინაარსს, რათა იგი საქმის კურსში იყოს და არ გამოტოვოს მასში მიმდინარე ამბები.

ვალტერ კლემერი ცდილობს მაღლა დადგეს ამ ქალის ხარბ ვნება-სურვილებზე და ობიექტურად შეაფასოს, თუ მაინც საითკენ მიისწრაფვის ეს ქალური სხეული და რას ეფუძნება ყოველივე ეს. მაგრამ მისდა შეუმჩნევლად იგი ამ თამაშში ებმება. ორგანიზაციულ-ბიუროკრატიული გადაწყვეტილებები, რომელთაც ეს ქალბატონი აწესებს და წინა პლანზე წამოსწევს, საშუალებას აძლევს ვალტერ კლემერს შეიმუშავოს მოქმედების გეგმა, მიმართულება თავის ვნებებთან ერთად, მათ შესაბამისად. ვალტერ კლემერი თავისდა უნებურად იხლართება ქალის ნება-სურვილთა ბადეში, სურს მას ეს თუ არა. მაგრამ იგი ჯერ კიდევ როგორც განზე მდგომი, კითხულობს წერილს და მასში აღწერილ სურვილებს. მაგრამ მალე ტკბობა შეცვლის მას!

ფროილაინ კოხუტს ერთი რამე სურს, სახელდობრ კი ის, რომ მისი სხეული გულისთქმით, ვნებით, ხარბი სურვილით გახდეს სასურველი. მას სურს ამაში დარწმუნებული იყოს. რაც უფრო მეტს

კითხულობს ვალტერ კლემერი, მით უფრო სურს ერიკას, რომ ეს ყველაფერი უკვე უკან მოტოვებული დარჩეს. ოთახში სიბნელე ისადგურებს. სინათლეს არ რთავენ. გარედან მცირეოდენი სინათლეღა თუ აღწევს.

ვალტერ კლემერს ზოგჯერ ეჭვი ეპარება იმაში, რასაც წერილში კითხულობს, და ფიქრობს, ეს ცუდი განათების გამო ხომ არ არისო. განა შეიძლება ასეთი რამ ისურვოს ქალმა, რომელიც ესოდენ ოსტატურად უკრავს შოპენს? მაგრამ სწორედ ეს და არა სხვა რამე, ძალიან სურს ქალბატონს, რომელიც მუდამ მხოლოდ შოპენსა და ბრამსს უკრავდა. შემდეგ ფროილაინ კოხუტი გაუპატიურებას სთხოვს კლემერს, და თან დასძენს, შენ ამ დროს უფრო გაუპატიურების მუქარით შემაშინე ხოლმე და მისი გამომხატველი სიტყვებითო. – როდესაც ველარ შევძლებ განძრევას და სრულიად უძრავად ვიქნები, მაშინ მითხარი, ახლა კი გაგაუპატიურებ და ამისგან ვერაფერი გიშველის-თქო. ამასთან, მუდამ ილაპარაკე ხოლმე, ვიდრე სინამდვილეში გააკეთებ! წინასწარ მითხარი ასე: ერიკა, შენ ნეტარებისა და ტკბობისგან დადნები. – ჰოდა, ეს მაშინ მოხდება, – წერს ფროილაინ კოხუტი, – როცა შენ სასტიკად, თუმცა, ამავე დროს, სრულიად საფუძვლიანად მომექცევი. სისასტიკე და საფუძვლიანობა, – ორი ძნელად აღსაზრდელი დაა, რომლებიც ხმამაღლა გაჰყვირიან, როცა მათ ერთმანეთისაგან დაშორებას ცდილობენ. ეს ისეა, როგორც ძმა ჰენზელი და დაიკო გრეტელი ზღაპარში, როდესაც ჯადოქარი ძმას ღუმელში ჩასვამს. წერილში ატყობინებენ ვალტერ კლემერს, რომ ერიკა ნეტარებისაგან თავდავიწყებას მიეცემა, თუკი მამაკაცი ყველა ჩამოთვლილ პუნქტს შეასრულებს. დაე, მან სიამოვნებით უთავაზოს ქალს მაგარი სილები! – წინასწარ დიდ მადლობას გიხდი! – წერს ერიკა, – და, გეთაყვა, გთხოვ, არ მატკინო, – კითხულობს კლემერი.

ყველაფერი, რაც ამ წერილში წერია, ერიკას მრავალწლიანი ფიქრისა და განსჯის ნაყოფია. ქალი ახლა იმედოვნებს, რომ ვალ-

ტერ კლემერი მისი სიყვარულით ახლა არაფერ მსგავსს არ გააკეთებს. ქალი ჩააცივდება, მაგრამ იგი უარს ეტყვის თხოვნაზე, რითაც მას სიყვარულის დამამტკიცებელი საბუთით დააჯილდოებს. – სიყვარული ყველაფრის მპატიებელი და მიმტევებელია, – ასეთია ერიკას თვალსაზრისი.

დედა, უფროსი ქალბატონი კოხუტი, კვლავ ლიქიორს ეტანება, სვამს ერთ პატარა ჭიქას, შემდეგ მეორეს. უკვე უნდა მოემზადოს კიდეც, გვიან არის, ძილის დროა.

ვალტერ კლემერმა წერილი წაიკითხა. იგი სიტყვით არ მიმართავს, არ ელაპარაკება ქალს, რადგან ის ამის ღირსი არ არის. თავის სხეულში, რომელიც თავისდა უნებურად წერილში წაკითხულ ამბებზე რეაგირებს, კლემერი ნებაყოფილობით დამნაშავეს აღმოაჩენს. ფროილაინ კოხუტმა თავისი წერილის მეშვეობით კონტაქტი დაამყარა მასთან, მაგრამ უბრალო შეხება ქალს გაცილებით უფრო მეტ ქულას მოუტანდა. მუსიკის მასწავლებელმა შეგნებულად არ აირჩია ნაზი ქალური შეხების გზა. ვალტერ კლემერი ეხვევა თავის მასწავლებელს, იგი კი არ ეხვევა თავის მოსწავლეს. ამან გული აუცრუა, გულგრილი გახადა მამაკაცი, რის გამოც იგი დუმილით პასუხობს ქალს წერილზე. იგი იქამდე დუმს, ვიდრე ერიკა მას შესთავაზებდეს, პასუხი მითხარიო. კლემერს აქვს ერიკას ტელეფონის ნომერი და შეუძლია დარეკოს.

– მოიფიქრე ყოველივე საფუძვლიანად, – ეუბნება ქალი. კლემერი დუმს. მოსწავლის ხელები და ფეხები, ასევე მთელი ზურგი ოფლშია გაწურული. უამრავი დრო გავიდა. ფროილაინ კოხუტი, რომელიც მამაკაცისაგან გრძნობით ნაკარნახევ რეაქციას ელოდა, გულგატეხილია, რადგან მხოლოდ მისი მეოცედ დასმული კითხვა ესმის, – მართლა სერიოზულად წერ ყოველივე ამას, ერიკა? თუ ეს სულელური ხუმრობაა? ვალტერ კლემერს სახეზე წყნარი გამომეტყველება ეხატება; ეს იმ სიწყნარეს ჰგავს, მეხის გავარდნას რომ უძღვის წინ. ასე გამოიყურებიან ისინი, რომელთაც რაიმეს დაპ-

ყრობის, დაუფლების წყურვილი ამოძრავებთ და მანამდე ვერ ისვენებენ, ვიდრე ამ წყურვილს არ მოიკლავენ. ერიკა ეკითხება კლემერს, ხომ არ მიბრაზდებიო და თვითონვე პასუხობს, იმედი მაქვს, რომ არაო. ფროილაინ კოხუტი მორიდებულ პრევენციულ მანევრს მიმართავს და ამბობს, აუცილებელი არ არის, ყოველივე ეს დღეს მოხდესო. ხვალინდელი დღეც დადგება და ამ საქმის გადადება ხვალისთვისაც შეიძლებაო. ფეხსაცმლის ყუთში ყოველ შემთხვევისთვის მაინც დევს წინასწარ მომარაგებული ზონრები და თოკები. სრული ასორტიმენტია. იგი წინ უსწრებს მოსალოდნელ საყვედურს და ამბობს, შეიძლება კიდევ რაღაცების დამატებით ყიდვაო. – შეიძლება შევუკვეთოთ ასევე ჩვენთვის სასურველი ზომის ჯაჭვი სპეციალურ მაღაზიაში, – აცხადებს ერიკა. იგი ლაპარაკობს როგორც მასწავლებელი მეცადინეობის დროს. ვალტერ კლემერი დუმს, რადგან მეცადინეობის დროს მხოლოდ მასწავლებელი ლაპარაკობს. ფროილაინ კოხუტი მოითხოვს: თქვი, ილაპარაკე ახლა!

კლემერი იღიმება და ხუმრობის ტონით პასუხობს, ამაზე შეიძლება ლაპარაკიო. იგი ფრთხილად იკვლევს და არკვევს, ეს ქალი ყოველგვარ ზომასა და საზღვარს ხომ არ გადასცდაო. იგი ანკეესს აგდებს, რათა გაარკვიოს, ქალი ეროტიკული თვალსაზრისით შეურაცხადია თუ არა.

ერიკას პირველად იპყრობს შიში, რომ კლემერი მას ხელს დაარტყამს და სცემს მანამდე, ვიდრე ყოველივე ეს დაიწყება. იგი სასწრაფოდ იხდის ბოდიშს ბანალური ენით დაწერილი წერილისათვის, რადგან ატმოსფეროს განმუხტვა სურს. ფროილაინ კოხუტი ყოველგვარი ზიზღის გარეშე, – პირიქით, ხალისიანი განწყობით ამბობს, რომ სიყვარული ბოლოს და ბოლოს საკმაოზე მეტად ბანალურიაო.

– მოხვალ ხოლმე ჩემთან სახლში? მოდი, ძალიან გთხოვ, რადგან აქ პარასკევს საღამოდან კვირადღის საღამომდე დაინახავ, თუ

როგორ ვიტანჯები და როგორ მტანჯავ შენ ამ საშინლად ტკბილ ბორკილებში, თუკი შენ მოინდომებ და ასე გადაწყვიტავ. მსურს, რაც შეიძლება ხანგრძლივად ვიტანჯო შენს ბორკილებში და ხუნდებში, რაც ჩემი დიდი ხნის სანუკვარი სურვილია.

ვალტერ კლემერი მაინცდამაინც ბევრ სიტყვას არ ხარჯავს თავისი აზრის გამოსათქმელად და უბრალოდ ამბობს, შეიძლება მოვიდეო. ცოტა ხნის შემდეგ კი იგი ამბობს, სულაც არ ვფიქრობ იმაზე, რომ აქ მოვიდეო! ერიკას ახლა სურს, რომ მოსწავლემ იგი ვნებიანად კოცნოს და არ სცემოს. ფროილაინ კოხუტი წინასწარმეტყველებს, რომ სასიყვარულო აქტის მეშვეობით შეიძლება მრავალი რამ გამოსწორდეს და მოწესრიგდეს, რაც მანამდე უიმედოდ ეჩვენება. – მითხარი რაიმე ალერსიანი და დაივიწყე წერილი, - ხმადაბლა სთხოვს ქალი თავის მოსწავლეს. ერიკა იმედოვნებს, რომ მშველელი უკვე გამოუჩნდა, სჯერა მისი თავმდაბლობისა და ერთგულების. ფროილაინ კოხუტს საშინლად ეშინია ცემის. ამიტომ იგი სთავაზობს ვალტერ კლემერს, ერთმანეთს კიდევ მივწეროთ ხოლმე წერილებიო. – ჩვენ საფოსტო მარკებში ფული არც დაგვეხარჯებაო, – ეუბნება ქალი თავის მოსწავლეს. ერიკა ტრაბახით ამბობს, რომ ახალ წერილებში ყველაფერი კიდევ უფრო ვულგარულად და უხეშად იქნება აღწერილი, ვიდრე ამ წერილშიაო. – ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისი იყო და ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგმულია, – მიიჩნევს ქალი. – ნებას დამრთავ, რომ კიდევ ერთი წერილი დავწეროო?! შეიძლება ეს ახლა უფრო გამომივიდეს. ფროილაინ კოხტის მხურვალე სურვილია, რომ მოსწავლემ იგი მაგრად კოცნოს, ოღონდ არ სცემოს. ვალტერ კლემერს შეუძლია ტკივილის მიყენებით კოცნოს მას, მხოლოდ არ ურტყას და არ გალახოს. მამაკაცი ამაზე პასუხობს: – არაფერია საშიში. გმადლობ და რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ! ამ სიტყვებს ერიკას მოსწავლე თითქმის უხმოდ გამოთქვამს.

ერიკას ახსოვს ეს ტონი, რომელიც მას დედასთან საუბრების დროს შეუნიშნავს. – იმედი მაქვს, კლემერი ხელს არ გამარტყამს, - შიშით ფიქრობს ქალი. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ ვალტერ კლემერს შეუძლია მას ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი გაუკეთოს, რაც მტკივნეულია, რადგან არაფერი არ არსებობს ისეთი, რაზეც ქალი არ ოცნებობდეს და მისკენ არ მიილტვოდეს. დაე, კლემერმა აპატიოს, თუ მას ულამაზოდ გამოუვიდა ეს წერილი. - იმედია, მოულოდნელად არ დამაცხრება თავზე, რათა დამარტყას, – შიშობს ქალი. ფროილაინ კოხუტი უმხელს თავის მოსწავლეს, რომ მას უკვე მრავალი წელია ენატრება ცემა-ტყეპა. იგი მიიჩნევს, რომ ბოლოს და ბოლოს მოინახა ბატონი და მბრძანებელი, რომელზედაც ოცნებობდა.

შიშით შეპყრობილი ერიკა სულ სხვა რაღაცაზე ლაპარაკობს. ვალტერ კლემერი ეუბნება, – კარგი, გმადლობ. ერიკა ნებას რთავს თავის მოსწავლეს, რომ დღეიდან მან ტანსაცმელი შეურჩიოს. კლემერს შეუძლია სიმკაცრე გამოავლინოს ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ, რაც ტანსაცმლის ჩაცმასა და ხმარებას ეხება. მუსიკის მასწავლებელი აღებს ტანსაცმლის მოზრდილ კარადას და მას თავის ჩასაცმელ ნივთებს უჩვენებს.

იგი ზოგ ტანსაცმელს ხსნის საკიდიდან, ზოგს საკიდზევე ტოვებს და მათ დემონსტრირებას ახდენს. იმედია, კლემერს მოეწონება მისი ეს ელეგანტური გარდერობი მთელი თავისი მრავალფეროვნებით. – ის, რაც შენ განსაკუთრებით მოგეწონება, მე თვითონ ვიყიდი! ფულს აქ მნიშვნელობა არ აქვს. დედაჩემისთვის ფულის როლს მე ვასრულებ, რომელსაც ის ძალიან ძუნწად ხარჯავს, – ენანება მისი ხარჯვა. დედაჩემს, საერთოდ, ყურადღებას ნუ მიაქცევ. რომელია შენი საყვარელი ფერი, ვალტერ? რაც მე წერილში მოგწერე, ხუმრობა არ ყოფილა. ხომ არ გამიბრაზდი? თუ გთხოვ, რომ დამიწერო რამდენიმე სტრიქონი, ხომ შემისრულებ თხოვნას? დამიწერ, თუ რას ფიქრობ და რისი თქმა შეგიძლია ამის შესახებ?

ვალტერ კლემერი ეუბნება: – ნახვამდის, კარგად იყავიო. ერიკა წელში იხრება, იმედოვნებს, რომ მამაკაცის ხელი ალერსით დაეშვება მის სხეულზე. – მე ხვალვე გავაკეთებინებ ჩემი ოთახის კარისთვის საკეტს. ქალი მისცემს მას ერთადერთ გასაღებს. – წარმოიდგინე, რა კარგი იქნება ეს, – ეუბნება ფროილაინ კოხუტი. ვალტერ კლემერი დუმს ამ წინადადებაზე, ერიკა კი მის პასუხს ელის. იგი იმედოვნებს, რომ მამაკაცი მეგობრულად განეწყობა, როცა ერიკა საშუალებას მისცემს, ნებისმიერ დროს მოინახულოს თავისი მასწავლებელი. ნებისმიერ დროს, სულერთია, როდის. კლემერი არაფერს ამბობს.

ერიკა კოხუცი იფიცებს, ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი წერილში დავწერეო. ქალი ხაზს უსვამს: – დაწერა არ ნიშნავს დაწესებას! და გადადება არ ნიშნავს გაუქმებას, მოშლას. კლემერი სინათლეს რთავს. იგი არ ლაპარაკობს და არ არტყამს ქალს. ერიკას სურს გაიგოს, ნებას რთავს მას კლემერი, თუ არა, რომ მალე ისევ მისწეროს წერილი და ჩაწეროს შიგ რაც სურს? – ნებას მაძლევ, შემდეგაც ფოსტის მეშვეობით გიპასუხო, კარგი? ვალტერ კლემერი არაფერს ამბობს, მხოლოდ მისი სუნთქვის ხმა ისმის.

ვალტერ კლემერი პასუხობს: ჯობს მოვიცადოთ! იგი მაღლა უწევს ხმას და ქალს სალანძღავ სიტყვას ეუბნება, მაგრამ ცემით კი არ სცემს. იგი ერიკას სხვადასხვა სახელს უწოდებს და თან დაურთავს ზედსართავ სახელს „ბებერი“. ფროილაინ კოხუტმა იცის, რომ საჭიროა მზადყოფნა და სახეს ხელებით იფარავს. იგი კვლავ დაბლა უშვებს ხელებს, – თუკი მამაკაცი ახლა ცემას დაუწყებს, დაე, სცემოს. კლემერი იმასაც კი ეუბნება, რომ მაშა რომ მქონდეს ხელთ, იმასაც კი არ შეგახებო.

ვალტერ კლემერი იფიცებს, რომ ადრე კი ჰქონდა მის მიმართ სიყვარული, მაგრამ ეს ახლა უკვალოდ გაქრა. რაც შეეხება კლემერს, იგი აღარასოდეს ნახავს ამ ქალს. იგი მამაკაცში საშინელ გრძნობას იწვევს. როგორ ბედავს ის ასეთი წინადადებების შეთავა-

ზებას?! ერიკა მუხლებში მალავს თავს, როგორც მგზავრები ცდილობენ ხოლმე თავი დაიცვან სიკვდილისგან თვითმფრინავის ჩამოვარდნის დროს. მას ეშინია დარტყმისა და ხელებს იფარებს. კლემერი ეუბნება, მე შენ ხელსაც არ გახლებ, რადგან არ მსურს შენზე გავისვარო ხელიო. იგი ესვრის წერილს ქალს სახეში, მაგრამ სინამდვილეში ის ერიკას მხოლოდ დახრილი თავის კეფაზე ხვდება. წერილი თოვლივით ეშვება ერიკას თავზე. – ადამიანებს შორის, რომელთაც ერთმანეთი უყვართ, საჭირო არ არის წერილობითი შუამავლობა, – დასცინის ვალტერ კლემერი თავის მასწავლებელ ქალს, – და დასძენს, რომ მხოლოდ სიყვარულში მოტყუების შემთხვევაში სჭირდებათ წერილში გამოხატული მიზეზები და ხრიკები.

ფროილაინ კოხუტი მიჯაჭვულივით ზის თავის დივანზე. ფეხები, რომლებზედაც ახალი ფეხსაცმელი აცვია, ერთმანეთზე აქვს მიდებული. ხელები მუხლებზე უწყვია. იგი ამაოდ ელის ვალტერ კლემერისგან სიყვარულის მგზნებარე გამოვლინებას. ქალი რაღაც გარდუვალს გრძნობს: ეს სიყვარული ქრება! – მისი (კლემერის) სიყვარული ხომ ჯერ არ გამქრალა, მგზნებარედ იიმედებს თავს იგი. ვიდრე იგი აქ არის, იმედიც რჩება. ერიკა კოხუტს სულ ცოტა ვნებიანი, მხურვალე კოცნისა და მოფერების იმედი მაინც აქვს. – გთხოვ, გეთაყვა, – ეუბნება იგი. – არა, გმადლობ, – პასუხობს კლემერი. ერიკას გულმხურვალე და სანუკვარი სურვილია, კლემერმა, ნაცვლად იმისა, რომ იგი ტანჯოს და აწამოს, ავსტრიული ნორმებით გაუწიოს მას სასიყვარულო პარტნიორობა. იგი რომ მიახლოებოდა ვნებიანად, ქალი უკუაგდებდა კლემერს შემდეგი სიტყვებით: ან ჩემს პირობებს დაემორჩილები, ანდა საერთოდ არა. ქალს სურს და ელოდება იმას, რომ მოსწავლემ თავისი გაიტანოს ტუჩებითა და ხელებით, მოსწავლემ, რომელიც გამოუცდელია. ერიკა მას აჩვენებს.

ისინი ერთმანეთის პირისპირ სხედან. ერიკა მტკიცეა თავის სურვილებთან დამოკიდებულებაში, რომელიც მან კლემერისადმი განკუთვნილ წერილში აღწერა. ამ წერილის გარდა, საერთოდ, მას სხვა სურვილები არ გააჩნია. – დიდი მადლობა! რაღა საჭიროა სიტყვები? – ეკითხება კლემერი. ყოველ შემთხვევაში იგი მას არ სცემს.

იგი მთელი ძალით ხვევს ხელებს უსულო სერვანტს და ნელნელა სწევს მას გვერდზე ერიკას დახმარების გარეშე. კლემერი კარებს აღებს. – ჩვენ აღარაფერი გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი, – ამ სიტყვებს კლემერი არ ამბობს. იგი გამომშვიდობების გარეშე გადის ოთახიდან და ზურგსუკან კარებს ხურავს. ამის შემდეგ იგი სწრაფადვე მიდის.

დედა ხმამაღლა ხვრინავს თავის საწოლში. უჩვეულო ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედებით ისე ჩასძინებია, არაფერი ესმის, სასმელისა, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ სტუმრებისათვის და რომლებიც არასოდეს მოდიან. ერიკას არ დაუბანია და არც თავი მოუწესრიგებია. მას მძაფრი ოფლის სუნი აქვს, როგორც ცხოველს გალიაში. რადგან გალია პატარაა, ცხოველთა დამახასიათებელი სუნი ადვილად გროვდება და კარგა ხანს არც გაქრება. თუ ცხოველს მობრუნება სურს, მეორე ცხოველი კედელს უნდა მიეკრას. ოფლში გაწურული ერიკა დედამისის გვერდით წვება და არ ეძინება, თვალგახელილი წევს.

ერიკა ორიოდე საათი იწვა ლოგინში ისე, რომ სრულიად გამოთიშული იყო და არაფერზე ფიქრობდა. უეცრად დედამისს გაეღვიძა. უფროსი ქალბატონი კოხუტი მისი ქალიშვილის ფიქრმა გამოაღვიძა, რადგან თვით ქალიშვილი არ განძრეულა. დედას იმწამსვე ახსენდება, თუ როგორ ცდილობდა გუშინ ლიქიორის მეშვეობით გაჰქცეოდა რეალობას. იგი მომენტალურად ზეზე წამოიმართა და აელვარებული, როგორც მზის სხივი, რომლის ამობრწყინებამდე ჯერ კიდევ შორსაა, ერიკას დააცხრა თავზე. განრისხებული

დედა ადანაშაულებდა თავის ქალიშვილს და საშინელი სიტყვებით ემუქრებოდა, – დაგამახინჯებ, სხეულზე რაიმე ზიანს მოგაყენებო, – გაიძახოდა ქალი. იგი არეული სიტყვებით წამდაუწუმ შეკითხვებს აყრიდა, უწესრიგოდ და ყოველგვარი თანამიმდევრობის გარეშე. რადგან ქალიშვილი ხმას არ იღებდა, დედამ გაჯავრებული და შეურაცხყოფილი სახით ზურგი შეაქცია მას. იგი თავის გულისწყრომას ამ მომენტში იმით გამოხატავდა, რომ ერიკას უხსნიდა, თუ როგორ ეზიზღება იგი. მაგრამ უფროსი ქალბატონი კოხუტი სწრაფადვე ბრუნდება თავისი ქალიშვილისკენ და მისი მისამართით მუქარით აღსავსე სიტყვებს ისვრის, მხოლოდ ახლა გაცილებით უფრო მღელვარედ. პირმოკუმული, კრიჭაშეკრული ერიკა კვლავინდებურად დუმს, დედა კი ილანძღება და ილანძღება. დედა ბრალდებების კორიანტელს აყენებს და თან ხმამაღლა გაჰყვირის ისე, რომ ბოლოს საკუთარ თავზე კონტროლს კარგავს. მასზე ალკოჰოლი მოქმედებს, რომელიც ჯერ კიდევ შერჩენია მის სხეულს. კვერცხის ლიქიორი, საერთოდ, ვერაგ ზემოქმედებას ახდენს, რაშიც მას არც შოკოლადის ლიქიორი ჩამოუვარდება.

უეცრად ფროილაინ ერიკას სიყვარულის მძაფრი გრძნობები აეშლება. იგი დედას მივარდება და გაშმაგებით დაუწყებს კოცნას. ერიკა გახელებით კოცნის დედას, – ასეთი რამ მას მრავალი წელია არ გაუკეთებია. მას მაგრად აქვს ხელები ჩავლებული დედის მხრებში, რომელიც გამწარებით იქნევს ხელებს ისე, რომ მისი მუშტები, არავის ხვდება. ერიკა გახელებით კოცნის მას მხრებზე მარჯვენა და მარცხენა მხარეს, ზოგჯერ ვერც ახვედრებს ტუჩებს, რადგან დედა აქეთ-იქით აქნევს თავს, ცდილობს რა გაექცეს თავის ქალიშვილს. ნახევრად ბნელ ოთახში დედის სახე ერთგვარ მოზრდილ ღია ფერის ლაქას ჰგავს, იგი გარშემორტყმულია შეღებილი ქერა თმებით, რაც ერიკას ორიენტირებაში ეხმარება. ფროილაინ კოხუტი თავის შლეგური მანერით ამ ლაქას განუწყვეტლივ კოცნის. ამ ხორცისგან წარმოიშვა იგი! დედის ამ ნაზი, მყიფე ნამ-

ცხვრისგან. ერიკა თავის სველ ტუჩებს მრავალჯერ და ღონივრად აჭერს დედას სახეზე და იგი მაგრად ჰყავს მკლავებით შემოსალტული, რათა მან თავის დაცვა ვერ შეძლოს. ერიკა ჯერ ნახევარი ტანით, შემდეგ კი სამი მეოთხედით აწვება ზემოდან დედას, რადგან იგი უკვე მაგრად ირტყმევინება და ხელებს მთელი ძალით იქნევს. უფროსი ქალბატონი კოხუტი ცდილობს თავიდან აიცილოს თავისი ქალიშვილის სველი ტუჩები და მძლავრად აქნევს თავს ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. დედა ახლა გააფთრებით იბრძვის, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს, რადგან ერიკა უფრო ღონიერია. ფროილაინ კოხუტი ეხვევა დედას, როგორც სურო ძველ სახლს, მაგრამ დედა ასეთი ძველი და მყუდრო სახლი როდია. ერიკა წუწნის, წოვს და ხრავს გარშემო ამ დიდ სხეულს, თითქოსდა კვლავ შიგ შეძრომა და მასში დამალვა სურსო. ქალიშვილი დედას სიყვარულში უტყდება, რომელიც, სუნთქავს რა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ასევე არწმუნებს ერიკას თავის სიყვარულში, ოღონდ მან ახლავე უნდა შეწყვიტოს ყოველივე ეს! – აი, მე შენ ახლა! – დედა ვეღარ ეწინააღმდეგება ქალიშვილს, მაგრამ იგი მაინც ნასიამოვნებია. ის გარემოება, რომ ადამიანი გრძნობს თავის უპირატესობას, რადგან ვიღაც გამოყოფს და გამოარჩევს მას სხვებისგან, - სწორედ სიყვარულის მთავარი წინაპირობაა. ფროილაინ კოხუტი კვლავ არ ასვენებს დედას, კბენს და კოცნის მას. დედა გამეტებით ურტყამს ხელებს ქალიშვილს, რათა თავი დაიცვას. რაც უფრო მეტს კოცნის ერიკა, მით უფრო მეტს ურტყამს მას დედა, რათა, ჯერ ერთი, თავი დაიცვას, და მერე, მეორე, ქალიშვილი გააჩეროს, რომელმაც, როგორც ჩანს, კონტროლი დაკარგა საკუთარ თავზე, თუმცა მას ალკოჰოლისმაგვარი არაფერი დაულევია. უფროსი ქალბატონი კოხუტი სხვადასხვა ტონით ყვირის: შეწყვიტე! დედა ენერგიულად მოუწოდებს ერიკას წესრიგისკენ. ქალიშვილი შეუნელებელი სიშმაგით განაგრძობს კოცნას ხან სხეულის ერთ ადგილზე, ხან კი მეორეზე, დედისგან სასურველი რეაქცია არ ჩანს, ამიტომ ერიკა ხელს არ-

ტყამს მას მოთხოვნით, თუმცა არცთუ მაგრად. იგი არტყამს დედას არა დასჯის მიზნით, არამედ იმიტომ, რომ მასშიც რაღაც გამოძახილი პოვოს, რასაც დედა ბოროტ საქციელად თვლის და ამიტომ კიდევ უფრო მაგრად და ხმამაღლა ლანძღავს და ემუქრება მას. დედამ და ქალიშვილმა როლები შეცვალეს, რადგან ცემის აქტს მუდამ უფროსი ქალბატონი კოხუტი ახორციელებდა. იგი ზემოდან, თავისი სიმაღლიდან უფრო უკეთ ახერხებს ზედამხედველობას. დედა მიიჩნევს, რომ თავი უნდა დაიცვას თავისი შვილის პარასექსუალური შემოტევისაგან, ალალბედზე მაგრად იქნევს ხელს და სილას აწნავს ერიკას. ქალიშვილი, – ეს უცნაური და უმეცარი მიჯნური, ხელებს უგრეხს დედას და კოცნის მას ყელში, ავლენს რა თავის ფარულ სექსუალურ ზრახვებს. დედა, რომელიც არცთუ მთლად ღრმად ერკვევა სასიყვარულო თამაშებში, არასწორედ იქცევა და გარშემო ყველაფერს ამტვრევს და იატაკზე ყრის. მისი ბებერი სხეული გააფთრებამ მოიცავს. მას ეპყრობიან არა როგორც დედას, არამედ როგორც ხორცს. ფროილაინ ერიკა კბილებით გადი-გამოდის დედის სხეულზე. იგი კოცნის და კოცნის. ერიკა გაშმაგებით კოცნის დედას. უფროსი ქალბატონი კოხუტი ამბობს, რომ ღორობაა, როდესაც ადამიანი კონტროლს კარგავს და დედას ასე აღვირახსნილად ექცევა. ეს უსარგებლოა – ასე დედისთვის ათწლეულებია არავის უკოცნია, მაგრამ შეტევა ძლიერდება. ქალიშვილი კიდევ უფრო გაშმაგებით აგრძელებს კოცნას, ბოლოს კი იღლება და დაქანცული ნახევრად ზედ აწვება დედას. შვილი ტირის დედის სახისკენ დახრილი, რომელიც ცდილობს როგორმე თავი დააღწიოს მას და თან ეკითხება, ჭკუაზე ხომ არ შეიშალეო. პასუხი არ ჩანს და დედა ბრძანების კილოთი ეუბნება თავის ქალიშვილს, ახლავე დაიძინე, ხვალინდელი დღეც მალე გათენდებაო. იგი ახსენებს ერიკას, ხვალ სამსახურში უნდა წახვიდეო. ქალიშვილიც ეთანხმება, რომ უკვე ძილის დროა. იგი კიდევ ერთხელ უფათურებს დედას ხელებს სხეულზე, მაგრამ უფროსი ქალბატონი კოხუ-

ტი უხეშად იცილებს მას თავიდან... ორივე ქალი მჭიდროდ მიჰკვრია ერთმანეთს და სძინავთ. ღამის დარჩენილი ნაწილი ძალიან მოკლეა. მალე დილაც გათენდება უსიამოდ მკვეთრი სინათლითა და ჩიტების მოსაბეზრებელი ჟღურტულით.

ვალტერ კლემერი ძალზე გააოცა ამ ქალმა, რადგან იგი ბედავს ისეთ რამეს, რასაც სხვები მხოლოდ ჰპირდებიან. მოითქვა რა სული, და იგი თავის თავს ვერ უტყდება, ეს სადამდე შეტოპა ამ ქალმა და რეები მოჩმახაო. მისი ვნებების ჰორიზონტი კიდევ უფრო ფართოვდება. ვალტერ კლემერი შთაბეჭდილების ქვეშაა. ერიკასთვის ნაცნობია შემოღობილი ზღუდე, დედამ იქ პალოები ჩაასო, მაგრამ ქალიშვილი არ ისვენებს, მას ეს არ აკმაყოფილებს; – იგი მათ ამოაგდებს, მაგრამ, შესაძლებელია, დედამ თავიდან დაიწყოს მათი ჩასმა, – ფიქრობს მოსწავლე კლემერი. მოსწავლე სიამაყეს განიცდის, რომ მასწავლებლის მცდელობა სწორედ მასთან არის დაკავშირებული, ამას კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მიხვდა. კლემერი ახალგაზრდაა და მზად არის სიახლისათვის. იგი ღიაა ყველაფრისათვის, სულერთია, რომელი მხრიდან. იგი მზად არის და მოსურნეა იმისა, რომ ყურთამდე გააღოს ახალი ჭიშკარი. ფანჯრის რაფიდანაც გადაიწეოდა შორს, ისე შორს, რომ ძლივს შეინარჩუნებდა წონასწორობას. ვალტერ კლემერი ფეხის თითების წვერებზეც კი დადგებოდა! იგი შეგნებულად მიდის რისკზე და ეს რისკი იმიტომ ახარებს, რომ თვითონ იღებს საკუთარ თავზე. აქამდე იგი სუფთა ფურცელი იყო, რომელიც ელოდებოდა, თუ როდის დაწერდა მასზე უცნობი ადამიანი ასოებს, როდის დაატყობდა ანაბეჭდის კვალს და იმასაც გრძნობდა – არავის ექნება მანამდე მსგავსი რამ წაკითხული. ეს სამუდამო კვალს დატოვებს მის ცხოვრებაში. ამის შემდეგ ვალტერ კლემერი ის აღარ იქნება, რაც აქამდე იყო, რადგან იგი უფრო დიდი იქნება და უფრო შეუვალი.

– თუ საჭირო იქნა, სისასტიკესაც გამოვავლენ ამ ქალის მიმართ, – ფიქრობს თავისთვის კლემერი. იგი უსიტყვოდ მიიღებს მის

პირობებს და მას კი თავისას წაუყენებს – მეტი სისასტიკე და ულმობლობა. მან კარგად იცის, როგორ წარიმართება ყოველივე მას შემდეგ, თუ იგი ქალს რამდენიმე დღის განმავლობაში არ მიუახლოვდება. აინტერესებს გაუძლებს თუ არა გრძნობა გონების ასეთ არაადამიანურ დაძაბვას. ქალი მის ხელთ იქნება. ბატონი კლემერი ამაყობს გამოცდით, რომელსაც იგი ჩააბარებს. შეიძლება მან ქალი სიკვდილის პირამდეც მიიყვანოს.

მიუხედავად ამისა, მოსწავლეს უხარია, რომ იგი რამდენიმე დღე მისგან დისტანციას დაიცავს. იგი რამდენიმე დღე დაიცდის და შეხედავს, თუ რას მოუტანს მას ეს ქალი, – ქალი, რომლის შეყვარების დროც დადგა. მოსწავლე თვითნებურად გააცდენს ფროილაინ კოხუტის გაკვეთილებს. იგი იმედოვნებს, რომ ამის შემდეგ ქალი დაკარგავს რა ყოველგვარ სინდისსა და ნამუსს, დევნას დაუწყებს და მოსვენებას არ მისცემს მას. მაშინ ვალტერ კლემერი მას უარს ეტყვის, არ მიიკარებს და დაელოდება, თუ რას იზამს ქალი. მანამდე კი ახალგაზრდა კაცი თავისთვის იქნება.

რაც შეეხება ფროილაინ კოხუტს, მან უკვე მრავალი წელია იცის, რაც არის სიტყვა „უარი“ და ახლა სურს სრულიად შეიცვალოს. ხშირად გამოყენებული წნეხი მისი სიხარბისა აწვება და ზნექს მის სურვილებს. იგი თავისი მოწაფის მოლოდინში გამუდმებით იყურება კარებისკენ, მაგრამ ყველა სხვა მოწაფე მოდის, ის კი – არა. მას ყოველგვარი გამართლების გარეშე შორს უჭირავს თავი.

ვალტერ კლემერი გამუდმებით ესწრაფვის რაღაცის შესწავლას, იწყებს რა ბევრ რამეს და ცოტას თუ ამთავრებს; ესენია, მაგალითად, იაპონური საბრძოლო ხელოვნების სპორტული სახეობები, უცხო ენები, ზოგადსაგანმანათლებლო მოგზაურობები, სამხატვრო გამოფენები; გარდა ამისა, ეს სწავლისმოყვარე ახალგაზრდა კაცი გაკვეთილებს იღებს აგრეთვე კლარნეტის კლასში, ერიკას კლასის მეზობლად, რათა შეიძინოს ძირითადი უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენებასაც აპირებს მომავალში საქსაფონზე დაკ-

ვრისას ჯაზისა და იმპროვიზაციის სფეროში. იგი ახლა მხოლოდ როიალსა და მის მბრძანებელ ქალს ერიდება. ჩვეულებრივ, მიიღებს რა საწყის ცოდნას ზოგიერთ შესასწავლ დარგსა თუ დისციპლინაში, კლემერი უმეტესწილად წყვეტს მეცადინეობას. მას ნამდვილად არ ყოფნის მოთმინება. მაგრამ ახლა ვალტერ კლემერს სურს იქცეს მაღალეფექტურ, მაღალი დონის მიჯნურად, – იგი ქალისგან იღებს გამოწვევას. შემდეგ იგი კვლავინდებურად ჩივის, – მას ამაზეც ყოფნის დრო, რომ კლასიკური მუსიკალური განათლების მიღება მისთვის მეტისმეტი ფუფუნებაა, მისთვის, რომელსაც უყვარს დატკბეს გაშლილი სივრცით, რომლის საზღვრებიც არ არის შემოფარგლული. მის გონებაში იხატება, წარმოისახება ვრცელი მხარე, სივრცეები, ველ-მინდვრები, რომლებიც მას არასოდეს უნახავს და, რასაკვირველია, კლემერამდეც არავის უნახავს. იგი ზემოთ სწევს გადასაფარებელი ნაჭრის თუ ქსოვილის კიდეს, კუთხის ნაწილს და შეშინებული კვლავ ქვემოთ უშვებს, რათა იმწამსვე ისევ ზემოთ ასწიოს, – მართლა სწორად დაინახა ყოველივე ეს? მას ამის ნაკლებად სჯერა. ფროილაინ კოხუტი გამუდმებით ცდილობს დაუკეტოს მას არე და გასასვლელი ამ ველ-მინდვრებისა და მდელოებისაკენ, მაგრამ პირადად კი იგი მას განუწყვეტლივ იზიდავს. მოსწავლე შეიგრძნობს ლტოლვას უსაზღვრო სივრცეების დაუფლებისკენ. მეცადინეობის დროს ეს ქალი შეუბრალებელი და მკაცრია, არაფერი გამოეპარება, პატარა ჩქამიც კი, ცხოვრებაში კი სურს, რომ ხვეწნა-მუდარა აიძულონ, ძალა დაატანონ. მასწავლებელი ქალი მთლიანად ფუთნის და ახვევს მას მუსიკის გარსში, – თითებით შესასრულებელი სავარჯიშოების, ტრელის[47] სავარჯიშოების, კომპოზიტორ ჩერნის ელასტიკურ გარსში. მისთვის სილის გაწვნა იქნება სახეში, რომ მხოლოდ კლარნეტის კონკურენციამ გაათავისუფლოს კლემერი პოლიფონიის ხუნდებისაგან.

[47] ტრელი - მოცემული ნოტის ჩქარი შენაცვლება მის მეზობელ საფეხურზე მდებარე ნოტთან: რაკრაკი.

რა შესანიშნავ იმპროვიზაციას განახორციელებს ერთხელაც იგი საქსაფონ-სოპრანოზე! ვალტერ კლემერი უკრავს კლარნეტზე. იგი გაცილებით უფრო ნაკლებად ვარჯიშობს როიალზე დაკვრაში. მტკიცედ და გაბედულად ეუფლება ახალ მუსიკალურ სფეროებს და გეგმავს გამოსვლას სტუდენტურ ჯაზ-ორკესტრში, რომლის მონაწილეებსაც ის პირადად იცნობს. შემდეგ, გადააჭარბებს რა მათ ოსტატობით, იგი შექმნის საკუთარ ჯგუფს, რომელიც დაუკრავს მისი წარმოდგენებისა და მითითებების მიხედვით; მან უკვე მოიფიქრა ჯგუფის სახელწოდება, მაგრამ ჯერჯერობით ამას საიდუმლოდ ინახავს. ასეთი რამ ზუსტად შესაფერისი იქნება მისი ნათლად გამოხატული თავისუფლებისაკენ სწრაფვისათვის. ვალტერ კლემერი უკვე ჩაეწერა ჯაზის კლასში. მას სურს ისწავლოს არანჟირება. თავდაპირველად მას სურს შეეგუოს, შეეწყოს, ჩაერთოს საერთო პროცესში, რის შედეგადაც, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იგი გაიბრწყინებს თავისი სოლო გამოსვლებით, იქნება რა გამორჩეული და სამაგალითო. ძნელია მისი ნება მოაქციო, მიაკუთვნო რაღაც გარკვეულ რიგს, მისი სურვილები და უნარ-შესაძლებლობები ძნელად თავსდება და ეგუება სანოტო რვეულის ფარგლებსა და ჩარჩოებს. იდაყვებს ნიჩბისებურად, მხნედ ამოძრავებს ჰაერში და თავის სხეულზე მისი სუნთქვა ლაღად მოედინება ინსტრუმენტის მილში, თავისუფლად არის, არაფერზე არ ფიქრობს. მას უხარია, – სერიოზული წარმატებები, ლამაზი პერსპექტივები იშლება სამომავლოდ, – ამბობს ვალტერ კლემერის კლარნეტის მასწავლებელი და შეჰხარის მოსწავლეს, რომელმაც ერიკა კოხუტის კლასში მნიშვნელოვანი საწყისი ცოდნა მიიღო. კლარნეტის მასწავლებელს იმედი აქვს, რომ კოლეგა – ერიკა კოხუტისაგან გადმოიბირებს, თავისთან გადმოიყვანს მოსწავლე კლემერს, რათა დასკვნით კონცერტზე მისი წარმატებით მოიხიბლოს და დატკბეს.

კვლავ საღამოვდება, ქალაქის ქუჩები კვლავ ივსება მანქანებით, რომლებიც გაურკვეველი მიმართულებით მიქრიან და ვალტერ კლემერიც არ ჩამორჩება საერთო მაჯისცემას, რათა უქმად არ იყოს და მისთვის ჩვეული აქტიური ცხოვრებით იცხოვროს. იგი რაიმე განსაკუთრებულის წამოწყებას არ აპირებს, მაგრამ სულ მუდამ მოძრაობაშია, ერთ ადგილზე არ დგას. ახლა იგი ქალაქში უთავბოლოდ მგზავრობს – ჯერ Y-ხაზის სამარშრუტო ტრამვაით მგზავრობს, შემდეგ კი მეტროთი. მგზავრობის ბოლო პუნქტი მისთვის ნაცნობია, ის ქალაქის პარკს მიაშურებს, მაგრამ მისი მოძრაობის მიზანი და გზა ამ მიზნისაკენ ჯერ კიდევ უნდა მოიძიოს. იგი ხალისით დასეირნობს, დაღამებას ელოდება. ვალტერ კლემერი დროსაც კლავს. მას ნებისყოფა აქვს, ამაში დარწმუნებულია. მას სურს განახორციელოს უმაგალითო, ჯერ არნახული შეტევა დაუცველ ცხოველებზე, რომლებიც, როგორც ამბობენ, პარკში ბინადრობენ. ქალაქის პარკში მოიყვანეს ფლამინგო და სხვა მისი მსგავსი ეგზოტიკური ფრინველები, რომელთაც არასოდეს უნახავთ თავიანთი ნამდვილი სამშობლო; ეს ფრინველები თითქოს იწვევენ ადამიანს, რომ მათ თავს დაესხან და ნაწილებად დაგლიჯონ ისინი. ვალტერ კლემერიც ცხოველების მოყვარული ადამიანია, მაგრამ თუ კაცი ყელამდეა სავსე ბოღმით, ის ბოღმა ერთხელაც იქნება ამოხეთქავს, გარეთ გამოიფრქვევა და შეიძლება სრულიად უდანაშაულო ადამიანიც დაზარალდეს. ქალმა შეურაცხყო იგი და ამისათვის კლემერმა ის დაამცირა. ისინი, მართალია, ბარი-ბარში არიან, მაგრამ ცოდვის გამოსასყიდად საჭიროა სასიკვდილო მსხვერპლი. რომელიმე ცხოველს სიკვდილი მოუწევს. ამ აზრისაკენ ვალტერ კლემერს გაზეთებმა უბიძგა, როლებშიც იტყობინებიან ამ ეგზოტიკური ფრინველების ზოგიერთ საზიზღარ თვისებებზე და წერენ ასევე მათ მიმართ განხორციელებულ თავდასხმებზე, რაც ხშირად მათთვის ტრაგიკულად მთავრდება.

ესკალატორს ახალგაზრდა კაცი მაღლა აჰყავს. ქალაქის პარკი უკვე სიწყნარესა და უძრაობას მოუცავს, ხოლო მის წინ მდებარე სასტუმროში კი სინათლე და ჟრიამულია. ვალტერ კლემერი არც ერთ მოსიყვარულე წყვილს არ აფრთხობს, ის აქ ამისთვის არ მოსულა და ასევე არც იმისთვის, რომ მალულად ათვალიეროს ისინი და მათ ალერსს უყუროს. განუხორციელებელი სურვილები მას ბრაზს ჰგვრის, აბოროტებს, რაც ქალის მიზეზით მოხდა. კლემერი პარკში დახეტიალობს და თვალი ფრინველებისაკენ უჭირავს, მაგრამ ვერც ერთ მათგანს ვერ პოულობს. იგი ნებადაურთველად მიაბიჯებს გაზონებზე და არ ზოგავს და არ ინდობს უცხო ეგზოტიკურ ყვავილებსა და ბუჩქებს, მის ფეხქვეშ რომ ითელებიან. განზრახ თელავს და ტკეპნის მზრუნველობით გაკეთებულ ყვავილნარს. მისი ფეხსაცმლის ქუსლები აზიანებს და ამახინჯებენ გაზაფხულის მახარობლებს. სიყვარულით თავგზააბნეული, იგი წარუდგა ამ საზიზღარ ქალს, მაგრამ მან ვერ მოჰგვარა შვება და ახლა მას ამ ტვირთის ქვეშ უწევს ცხოვრება. ტვირთი არც ისე მძიმეა, მაგრამ მისი ზემოქმედება გამანადგურებელია სხეულისათვის, ცხოველური ცხოვრებისათვის. ქალმა მას ყველაზე საუკეთესო წაართვა, შეამოწმებდა და გამოსცდიდა რა მას, მერე გადაეგდო! ვალტერ კლემერი ფეხსაცმლის წვერს აჭერს სამფერა იას ყვავილს, რადგან მან მძიმე გულის გატეხვა, დიდი იმედის გაცრუება გადაიტანა სიყვარულში. თუ ერიკა კოხუტი შემდეგშიც ამ გზითა და ბილიკით ივლის, მას ისეთი რამ დაემართება, რომ სიზმარშიც არ მოელანდება. ბუჩქნარის უზარმაზარი ეკლები კაწრავს ვალტერ კლემერს და ხის დრეკადი, ელასტიკური ტოტები ხვდება სახეში, როცა იგი შეუპოვრად მიაბიჯებს წინ, – რადგან ბუჩქნარის უკან წყალს გრძნობს. იგი თითქოს დაჭრილი ნადირია, რომელშიც მონადირემ ყველა სამონადირეო მესის საწინააღმდეგოდ, სწორედ ასე, – დაჭრილი გაუშვა. ამ უხეირო, დილეტანტმა მონადირემ მსხვერპლს

გულში ვერ მოახვედრა. ამიტომ ახლა ვალტერ კლემერი ნებისმიერი ადამიანისათვის პოტენციურ საშიშროებას წარმოადგენს!

ეს შხამიანი ჯუჯა-მიჯნური ღამით დაეხეტება დასასვენებელ პარკში, რომელშიც წესისამებრ მხოლოდ დღისით ისვენებენ და დაეძებს ფრინველებს, რათა თავისი ჯავრი ამ უდანაშაულო არსებებზე ამოიყაროს. კლემერი აქეთ-იქით იყურება, რათა სასროლი ქვა დაინახოს, მაგრამ ვერსად პოულობს. იგი მიწიდან მოკლე ხის ტოტს იღებს, ხიდან რომ ჩამოვარდა, მაგრამ ის მსუბუქი და ფუტუროა. ქალმა, რომელსაც მოსწავლემ სიყვარული შესთავაზა, მას საშინელი მოთხოვნა წაუყენა, და ისიც ახლა ოთხფეხზე დაცოცავს, რათა უფრო უკეთესი და საიმედო იარაღი მოიძიოს, ვიდრე ხის დამპალი ტოტია. კლემერმა ვერ შეძლო გამხდარიყო ამ ქალის მბრძანებელი და ახლა ზურგში მოხრილმა შეუსვენებლივ უნდა იფორთხოს მიწაზე და ტოტები აგროვოს. ამ გამოფუტუროებული ხის ტოტების გამო მას ფლამინგო დასცინებს და მასხრად აიგდებს. ეს ჯოხი არ არის, ეს რაღაც მშრალი, გამხმარი ტოტია. ვალტერ კლემერს, რომელსაც გამოცდილება არ გააჩნია, მაგრამ სიახლეების განცდა სურს, წარმოდგენა არა აქვს, სად ათევენ ღამეს ფრინველები, რათა თავიანთ მტანჯველებს დაემალონ. შეიძლება მათ სადმე აქვთ თავიანთი საკუთარი ქოხი და თავშესაფარი. ვალტერ კლემერს არ სურს ჩამორჩეს ხულიგნებს, რომლებმაც უკვე მრავალი ფრინველი დახოცეს. იგი უფრო ძლიერად გრძნობს წყლის სიახლოვეს, რომელიც მისი სტიქიაა. სწორედ იქ არის, – როგორც სხვადასხვა გაზეთი წერს, – ვარდისფერი ნადავლი. გარშემო ქარი ხმაურობს და არ წყდება, რადგან კლემერი ასე შორს წავიდა, იქნებ იგი გედითაც დაკმაყოფილდეს და მას დასჯერდეს, მას ადვილად შეიძლება მოეძებნოს შემცვლელი. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ვალტერ კლემერი ხვდება, თუ რა ძალიან სჭირდება სარქველი, რათა თავისი სხეულიდან ბობოქარი და მოთუხთუხე ბრაზი და გულისწყრომა გამოაძევოს. თუ ფრინველები უმოქმე-

დოდ სხედან და ისვენებენ წყლის ზედაპირზე, იგი მათ მიიტყუებს, ხოლო თუ ისინი ნაპირზე იქნებიან, მას წყალში შესვლა და დასველება არ მოუწევს.

ჩიტების ძახილის ნაცვლად ვალტერ კლემერის სმენამდე აღწევს ავტომობილების განუწყვეტელი გუგუნი. ასე გვიან გზაში? ვინ არიან ისინი? ქალაქი აქამდეც მიჰყვება და მისდევს თავისი ხმაურით ყველა იმას, ვისაც დასვენება სწყურია და ქალაქის მწვანე ზონებისაკენ მიეშურება. ვალტერ კლემერი, იმყოფება რა თავისი უზომო გულისწყრომის ნაცრისფერ გარსში, ეძებს ვინმეს, რომელიც მას ბოლოს და ბოლოს სიტყვას არ შეუბრუნებს და ურჩობას არ გაუბედავს. ამიტომ ეძებს იგი ვიღაცას, ვისაც მისი არ ესმის. ფრინველი შეიძლება გაფრინდეს, მაგრამ ის ვერ შეეწინააღმდეგება მას. კლემერი მიაბიჯებს ბალახებზე ღამის სიბნელეში. იგი გრძნობს შინაგან სიახლოვეს მარტოსულ ადამიანებთან, რომლებიც მასავით მარტო დაეხეტებიან ღამით. კლემერი გრძნობს თავის უპირატესობას სხვა ღამისმთეველებთან შედარებით, რომლებიც აქ ღამე დადიან ქალთან ხელჩაკიდებულნი, რადგან მისი მრისხანება გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე სიყვარულის ალი. ახალგაზრდა კაცი მორბის აქ, რათა თავი აარიდოს ქალებთან სიახლოვეს. რომელიღაც კუთხიდან მოისმის ჩხავილი და წივილი, სრულებით არამელოდიური, როგორც შეიძლება გამოსცეს მხოლოდ ფრინველის ნისკარტმა, ანდა მუსიკალურმა ინსტრუმენტმა, რომელზეც დამწყები მუსიკოსი უკრავს. მალე გაზეთებში დაწერენ ვანდალური აქტის შესახებ, და ახლად დაბეჭდილი გაზეთით ხელში იგი წარდგება თავისი სატრფოს წინაშე, რომლის მიმართაც მისი სიყვარული განუხორციელებელი დარჩა, რადგანაც მან ვიღაცას სიცოცხლე მოუსპო. ხომ შეიძლება სატრფოს სიცოცხლეც ასეთივე სისასტიკით გაანადგურონ. შეიძლება გაწყვიტონ მისი სიცოცხლის ძაფი. ფროილაინ კოხუტი მუდამ დასცინოდა მის გრძნობებს, ის კი თვეების მანძილზე სიყვარულით თავს ევლებოდა ისე, რომ

ქალი – ამას სრულიადაც არ იმსახურებდა. ახლა კი მას ანგარიშს გაუსწორებს, – ქალი თვითონ არის ამაში დამნაშავე, – ჩაიდინა რა საშინელი საქციელი, რასაც შედეგად მსხვერპლი მოჰყვა.

მთელი ეს დრო, რომელსაც კლემერი ფრინველის ძებნაში ფლანგავს, ქალმა ნახევრად ბურანში გაატარა, – იგი დღეს ძალიან ადრე დაწვა დასაძინებლად. ვალტერ კლემერი ეძებს და ვერ პოულობს. იგი სხვა მიმართულებით მიდის, მაგრამ კვლავ ვერაფერს პოულობს. იგი ვერ ბედავს წინ წასვლას, რათა ვიღაცის ჯოხის ქვეშ არ მოჰყვეს, და მუხლები არ მოეკეცოს. კლემერს ვერ გაუგია, თუ საითკენ მიდის. შეიძლება გზამ შეიტყუოს სადმე მივარდნილ, მიყრუებულ ადგილას, რაც ნიშნავს, რომ ან ის იშოვის საკბილოს, ან თვითონ მას შეჭამენ. ამ შემთხვევაში ვალტერ კლემერი, ნაცვლად იმისა, რომ რაიმე საკბილო იგდოს ხელთ, თვითონ შეიქნება ნადავლი! იგი ეძებს ფლამინგოს, და ამ დროს სხვა ვინმე შეიძლება ეძებს ვიღაც ჩერჩეტსა და დოყლაპიას გატენილი საფულით. კლემერის ფეხის ნაბიჯების ხმა ისმის ბუჩქებს შორის და აი, ის უკვე ღია მინდორზე გამოვიდა. იგი ფიქრობს, შეიძლება აქ სადმე შემხვდეს ჩემსავით მოსეირნე ვინმე უქნარა, რომელთანაც მომიწევს ლაპარაკი რაიმე უმნიშვნელო და უწყინარ თემაზეო და წინასწარ თავს იქცევს ამით. მათ შესაძლოა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი აზრები ჭამა-სმისა და ოჯახის, გარემომცველი ბუნებრივი პირობებისა და გარემოს დაბინძურების შესახებ. ვალტერ კლემერი თავისდა უნებურად უჭერს ხელს თავის საფულეს, მეორე ხელით კი კეტს მიათამაშებს.

იგი დახეტიალობს პარკში, მაგრამ ფრინველს ვერ პოულობს. მას უკვე გადაუწყდა მისი პოვნის იმედი, რომ მოულოდნელად სხვა სანახაობას აწყდება – ერთმანეთს გადახვეულ წყვილს, რომელსაც ღრმად შეუცურავს ხორციელი ტკბობის მორევში. კლემერი ცოტაც და ფეხს დააბიჯებდა ქალსა და კაცს, ერთ არსებად რომ ქცეულან, რომელთა გარეგნული მოხაზულობა გამუდმებით

იცვლება. ერთ ფეხს მოუქნელად ადგამს იქვე დაგდებულ ტანსაცმელზე, ხოლო მეორეთი კინაღამ წაიბორძიკებს ერთ-ერთი მიჯნურის სხეულზე, მიჯნურისა, ჟინით საღერღელაშლილი თავდავიწყებით რომ ეუფლება თავისი სიყვარულისა და ტკბობის საგანს. კლემერს, რომელიც ფრინველის ძებნით იყო გართული, ყურადღება არ მიუქცევია, საით მიდიოდა. მას მხოლოდ მსუბუქი ჯოხი უკავია ხელთ, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სხეულებთან ბრძოლაში. ახლა გამოჩნდება, სცემს იგი ვინმეს, თუ თვითონ მას სცემენ. აქ ვიღაც მესამე მოცინარი სახით ერთვება სასიყვარულო ორთაბრძოლაში. ვალტერ კლემერი ხმამაღლა ყვირის უცენზურო სიტყვას. ეს სიტყვა რიხიანად ჟღერს, რადგან მისი გულის სიღრმიდან ამოდის. კლემერი თამამად გრძნობს თავს, რადგან მოსიყვარულე წყვილი მას არ ეპასუხება. იგი კეტს ათამაშებს ხელში. ისინი აჩქარებით იწევენ ტანსაცმელს ხან ზემოთ, ხან ქვემოთ და ცდილობენ წესრიგში მოიყვანონ თავიანთი თავი, – პირდაპირ კლემერის თვალწინ. ზოგჯერ უკუღმა და არასწორად იცვამენ ტანსაცმელს და შემდეგ დაბნეულად და ფაციფუცით ცდილობენ სწორად ჩაცმას. წვიმა წვრილად ცრის. მოსიყვარულე წყვილი ბოლოს და ბოლოს თავს იწესრიგებს. ვალტერ კლემერი მკაცრი და არამეგობრული ტონით უხსნის, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მათ ასეთ საქციელს. იგი რიტმულად ირტყამს კეტს მარჯვენა ბარძაყზე. კლემერი უფრო და უფრო მხნედ და თამამად გრძნობს თავს, რადგან მოსიყვარულე წყვილი კვლავ არ ეპასუხება მას. იგი გრძნობს მათ ცხოველურ შიშს და ეს ბევრად უფრო მკაფიოა, ვიდრე ნამდვილი ცხოველის შიში. ისინი გრძნობენ მის უფლებას, უფლებას მომთვინიერებლისა. მოსიყვარულე წყვილი ამას ელის. მათ იზიდავს ღამის პარკი, გარშემო ხომ ღია სივრცე იშლება. წყვილი უკვე შინაურულად გრძნობს თავს კლემერის წინაშე, არ პასუხობს რა მის ხმამაღალ, ბრაზიან შეძახილებს. იგი მათ ბინძურ ღორებს უწოდებს. იდეები და აზრები, რომლებიც ჭარბად უჩნდება მას მუსიკის

მოსმენის დროს, აქ, პარკში ცხოვრებისა და სასიყვარულო ვნებების თვალწინ გაცვეთილი და ტრივიალურია. როდესაც საქმე მუსიკას ეხება, კლემერმა იცის, რაზე ლაპარაკობს, აქ კი იგი იმას ხედავს, რაზე ლაპარაკსაც თავს არიდებს ხოლმე – ბანალურობასა და შიშველ ხორცს. ეს არ არის რომანტიკული სასიყვარულო ბაღი, რაც არ უნდა იყოს, ეს დასასვენებელი პარკია.

მოსიყვარულე წყვილი ხის ჩრდილში გაყუჩებულა, ისინი, ალბათ, მორჩილად მიიღებენ ყოველივეს, რაც მათ მოელის, იქნება ეს პოლიციისათვის შეტყობინება თუ მათი ცემა. წვიმა უფრო და უფრო ძლიერდება. მათ ჯერ არავინ ეხება ხელით. მოსიყვარულე წყვილი თვალებს აცეცებს, მათ სურთ თავს უშველონ და სადმე შეაფარონ თავი. მოხვდება ახლა მათ? გაილახებიან? თავდამსხმელი აყოვნებს. წყვილი შეუმჩნევლად უკან იხევს, ცდილობს აქედან მოუსვას. მათ მხოლოდ ერთი რამე სურთ: როგორმე წელში გაიმართონ და გაიქცნენ, გაიქცნენ! ორივენი სრულიად ახალგაზრდები არიან. ვალტერ კლემერმა ეს-ესაა ნახა, თუ როგორ გორაობდნენ ეს არასრულწლოვანები ბალახზე. მას სურს დაარტყას მათ კეტი ზურგზე, ერთი ლაზათიანად დაბეგვოს, მაგრამ ამ თავის იარაღს კვლავინდებურად ბარძაყებზე ირტყამს. კლემერს არ სურს აქედან ღამის ნადავლის გარეშე წავიდეს. იგი აქ დგას და შიშს თესავს მოსიყვარულე წყვილის წინაშე, მაგრამ, ამასთან, კლემერი ისეთ რამეს იძენს, რაც შეიძლება მან თან წაიღოს და ამჟამად მძინარე ერიკას მიუტანოს; გარდა ამისა, მას სასწრაფოდ სჭირდება ერთი ყლუპი სუფთა ჰაერი. კლემერი მოძრაობს ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით, როგორც კარები ახალდაზეთილ ანჯამებზე. წინ თუ წაიწევს, მაშინ მათ ტკივილის მიყენება ემუქრებათ, თუ უკან დაიხევს, მაშინ მათ გასაქცევ გზას გაუხსნის. ბიჭი და გოგო უკან იხევენ, ამ დროს ზურგით რაღაც მაგარს ეხებიან, იგი მათ გაქცევაში ხელს უშლის. სხვადასხვა მხარეს თუ არ გაიქცნენ, ისე გზას ვერ იპოვიან, თუმცა ამის დიდი სურვილი აქვთ. უეცრად სიტუაცია რა-

ღაცას კარნახობს კლემერს და ისიც თავის ჩვეულ კუნთების საგარჯიშოების შესრულებას იწყებს. იგი დგომში ასრულებს ერთ-ორ ნიჩბოსნურ მოძრაობას, მხოლოდ ახლა ხმელეთზე, უწყლოდ. ამ ცოცხალ სურათს გარკვეული შინაარსი აქვს და ის ზედაპირზეც ჩანს. მოწინააღმდეგე ორია. ჩვეულებრივი ამბავია, თანაც ისინი მშიშრები არიან და ბრძოლაზე უარს ამბობენ. ისარგებლებს ვალტერ კლემერი ამ შემთხვევით, თუ ხელიდან გაუშვებს მას? იგი სიტუაციას ფლობს. კლემერს შეუძლია მათ გაუგოს, ან არადა, გამოვიდეს დამსჯელის როლში, – დასაჯოს ისინი პარკის წესების დარღვევისა და იმ გარყვნილებისათვის, რასაც ისინი სჩადიოდნენ. კლემერს შეუძლია ეს ამბავი წესრიგის დამცველებს შეატყობინოს. მან სწრაფად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რადგან ხალხისგან დაცარიელებული პარკი მოსიყვარულე წყვილს გაქცევისკენ უბიძგებს. თუ კლემერი დაიყვირებს – „დაიჭირეთ ქურდი! – ეს შედეგს არ გამოიღებს, რადგან პოლიციელები საკმარისად შორს იმყოფებიან, მისი მრისხანება კი სულ უფრო და უფრო იკლებს და მცირდება, ისე რომ მოსიყვარულე წყვილი შეიძლება მას ხელიდან დაუძვრეს. ახალგაზრდა წყვილი ამჩნევს აშკარა შეუსაბამობასა და მერყეობას იმ სიტყვებში, ეს კაცი რომ ამბობს. ვალტერ კლემერმა, როგორც ჩანს, დათმო თავისი პოზიცია, რითაც ისინი სარგებლობენ და სიტუაციის გამოყენებას ცდილობენ. რადგან იგი თავის ჩვეულ გარემოში, – წყლის ზედაპირზე არ იმყოფება, თავის თავს ეკითხება: რა გავაკეთო? ისინი ამასობაში გარს უვლიან ხეს და გაქცევით შველიან თავს. მათი ფეხსაცმლის ძირები ყრუდ მიკაკუნობენ მდელოს კორდზე. სიჩქარეში მათ ადგილზევე დარჩათ რაღაც ქურთუკის მსგავსი, თუ ეს მოკლე პალტოა? მთლად ბავშვის პალტოს ჰგავს. კლემერი არავითარ ზომებს არ იღებს იმისათვის, რომ მათ გაეკიდოს. იგი ფეხებით თელავს ძირს დაგდებულ ქურთუკს. კლემერი არ ჩხრეკს და ხელებს არ აფათურებს ამ ქურთუკში, რათა მასში იპოვნოს საფულე, საბუთები ან რაიმე ძვირფასი ნივთი.

იგი კიდევ რამდენჯერმე ტკეპნის ფეხით ქურთუკს და ცდილობს, მარჯვედ გამოუვიდეს ეს, როგორც სპილოს, რომელიც დაბორკილია და ამის გამო მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრზე თუ შეუძლია ფეხის გადადგმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცხოველი ამ შესაძლებლობას მარჯვედ იყენებს. მან მიწაში ჩატკეპნა ქურთუკი, თვითონაც ვერ აუხსნია რატომ. მას ბრაზი ერევა, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდება; მთელი გაზონი ახლა მის მოურჯულებელ მტრად გადაიქცა. ბოლოს კლემერი ბოლომდე ტკეპნის მიწაში ნაქსოვ ქურთუკს; მას ნელ-ნელა დაღლილობა ერევა.

პარკიდან გამოსული ვალტერ კლემერი გარკვეული დროის განმავლობაში ქუჩაში დახეტიალობს ისე, რომ თავის თავს არც ეკითხება, სად უნდა წავიდეს და რატომ. იგი გულგრილად, ყოველგვარი მიზანდასახულობის გარეშე მიაბიჯებს ქუჩაში, გულგრილობის შეგრძნება შერწყმულია მისი ფეხების სიმარდესა და სიმსუბუქესთან, მაშინ როცა სხვებს უკვე სძინავთ. ვალტერ კლემერს თავისი სიარული უმიზნოდ ეჩვენება, მაგრამ აი, იგი უკვე გარკვეული მიმართულებით მიიწევს წინ ქალისაკენ, რომელსაც იცნობს. ვალტერ კლემერს ბევრი რამ მტრულად ეჩვენება გარშემო, მაგრამ იგი ცდილობს, ყურადღება არ გაამახვილოს მისთვის ამ უსიამოვნო მომენტებზე, რადგან მათზე უფრო მაღლა თავის მიზანს აყენებს – სრულიად განსაკუთრებულ ქალბატონს, რომელიც ტალანტითაა დაჯილდოებული. იგი მერყეობს ორ-სამ ქალს შორის, ფიქრობს, რომელი აირჩიოს და ბოლოს ერთ მათგანზე აჩერებს თავის არჩევანს. კლემერი დღეიდან თავს აარიდებს ძალადობრივ საქციელს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი მათ მოერიდება, თუკი მის წინ დაბრკოლება აღიმართება. კლემერი ჩარბის ქვემოთ ესკალატორით და მალე ნახევრად ცარიელ მიწისქვეშა გასასვლელში აღმოჩნდება. იგი ყიდულობს ნახევრად თხევად ნაყინს, რომელსაც მას გულგრილად და პირქუში სახით აწვდის გამყიდველი კაცი, თეთრი სავაჭრო ქუდი რომ ახურავს. ამ კაცს, რასაკვირველია, წარ-

მოდგენაც არა აქვს იმაზე, რომ თავისი არამეგობრული გამომეტ-ყველებითა და უყურადღებობით შეიძლება გააღიზიანოს კლემერი და მუშტებიც კი დაიმსახუროს მისგან. ბოლოს კაცი საღ-სალამათი და უვნებელი რჩება. გამყიდველის თეთრი ქუდი მას აგონებს მატ-როსს, ან მზარეულს, ან კიდევ ორივეს ერთად, ხოლო მისი სახე გა-ნასახიერებს და გამოხატავს დაღლილობას. მას ნაყინი ორ ლუკმა-დაც არ ყოფნის. გარშემო ცოტა ადამიანია, მათგან ზოგი მიდის, ზოგი მოდის. რამდენიმე კაცი ზის მინებიან სასაუზმეში, რომელიც მიწისქვეშა გასასვლელშია. ვალტერ კლემერს გარეგნულად მშვი-დი გამომეტყველება აქვს, მაგრამ შეუძლია საკმაოდ თამამად და მტკიცედ იმოქმედოს, მსუბუქი დაძაბვა შეიძლება აგრესიადაც გა-დაექცეს, აგრესიაში გადაეზარდოს. მისთვის ახლა გაცილებით უფ-რო მნიშვნელოვანი მგზავრობის ბოლო პუნქტია, რომელსაც იგი, თუკი ყოველივე გეგმის მიხედვით წარიმართა, მალე მიაღწევს კი-დეც. ვალტერ კლემერი გამოზომილი ნაბიჯებით, ისე, რომ არავის ეხება, მიეშურება კონკრეტული პიროვნების, – ქალის მიმართუ-ლებით. მას, ალბათ, ელოდება ვიღაც. და იგი, – მოურიდებელი თა-ვის სურვილებში, უკომპრომისო თავისი მოთხოვნებისადმი, ქალ-თან ბრუნდება. ვალტერ კლემერს სათქმელი აქვს მასთან, რაც ქა-ლისთვის სრულიად ახალი იქნება, სურს ზოგი რამე სიტყვიერად გადასცეს მას. კლემერმა დატოვა ეს ქალი, მაგრამ მხოლოდ იმის-თვის, რომ ახალი მიზნებით დატვირთულ-აღჭურვილი კვლავ მას-თან დაბრუნებულიყო. ვალტერ კლემერი ეძებს თავისი შინაგანი ქარიშხლის კულმინაციას, სადაც, როგორც იციან ხოლმე თქმა, სრული სიწყნარე და სიმშვიდე უნდა სუფევდეს. იგი თავისთვის ფიქრობს, ცოტა ხნით სადმე კაფეში ხომ არ შევიდეო. – მსურს ცო-ტა ხანს მაინც ვიმყოფებოდე ნამდვილ ადამიანებთან ერთად, - მსჯელობს გულში კლემერი, – რაც ღირსეული და მისაბაძი მის-წრაფებაა იმ ადამიანისათვის, ვისაც, პირველ რიგში, ადამიანობა სურს და ვისაც გამუდმებით უშლიდნენ ხელს ამაში. იგი არ შედის

კაფეში. ჯერ კიდევ არ ქრის დილის გრილი სიო, რომელსაც სწრაფად შეიგრძნობს და იყნოსავს დაჭრილი ნადირი. ვალტერ კლემერი ფეხს უჩქარებს. ტაქსის გაჩერებაზე მხოლოდ ერთი მანქანა დგას, მაგრამ მძღოლი მაინცდამაინც სწორედ ახლა რადიოტელეფონით ვიღაცისგან შეკვეთას იღებს.

და აი, ვალტერ კლემერი ერიკას სახლის შესასვლელთან დგას. იგი სიხარულის მოზღვავებას გრძნობს. იგი მივიდა. ვინ იფიქრებდა. კლემერისეულ სახლში მრისხანება ბინადრობს. ვალტერ კლემერი არ ცდილობს კენჭები ისროლოს ქალის ფანჯარაში და ამით მიიქციოს მისი ყურადღება, როგორც ამას მოზარდი ბავშვები აკეთებენ ხოლმე თავიანთი შეყვარებული გოგონების ფანჯრებთან. მოსწავლე ვალტერ კლემერი მომწიფდა, დავაჟკაცდა ამ ერთი ღამის განმავლობაში. იგი თვითონაც ვერ ხვდებოდა, თუ რა სწრაფად მომწიფდება ნაყოფი. კლემერი არავითარ ზომას არ მიიღებს იმისათვის, რომ ფროილაინ კოხუტის სახლში შეუშვან. ვალტერ კლემერი ზემოთ იყურება სხვადასხვა ჩაბნელებული ფანჯრისკენ და ცდილობს უხმაუროდ, ვინმეს ყურადღების მიქცევის გარეშე დაადგინოს, თუ რომელია ქალის ფანჯრები. იგი აცქერდება ერთ-ერთ ბნელ ფანჯარას ისე, რომ წარმოდგენა არა აქვს, თუ ვის ეკუთვნის ის. მოსწავლე კლემერი ხვდება, რომ ეს ფანჯარა ნაწილობრივ ერიკას, ნაწილობრივ კი ასევე უფროს ქალბატონ კოხუტს ეკუთვნის. იგი ვარაუდობს, ეს, ალბათ, ცოლ-ქმრის საწოლი ოთახიაო, ცოლქმრული წყვილის – ერიკასი და დედისა. ვალტერ კლემერი ჭრის მზრუნველობითა და სიყვარულით გაჭიმულ-დამაგრებულ ლენტს, რომელიც მას ფროილაინ კოხუტთან აერთიანებს და აერთებს ამ ლენტს რაღაც ახალზე, – იმაზე, რაშიც ერიკა მხოლოდ და მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს თამაშობს, რაღაც საშუალების როლს მიზნის მიღწევისათვის. მომავალში იგი შეეცდება გააწონასწოროს თავისი შრომა და გართობა-სიამოვნება. ცოტა ხანში ვალტერ კლემერი დაასრულებს თავის სწავლის კურსს და შემდეგ, რა-

საკვირველია, გაცილებით უფრო მეტ დროს დაუთმობს თავის საწყალოსნო ჰობის – ბაიდარით ცურვას. მას აღარ სურს არავითარი ზედმეტი ყურადღება ამ ქალის მხრიდან. მას არ სურს არაფერი დაუმთავრებელი და დაუსრულებელი. შესაძლოა, ვალტერ კლემერი მოცემულ შემთხვევაში დაუახლოვდეს ფროილაინ კოხუტს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ არ დაუახლოვდეს. მას მარჯვენა საფეთქელთან ოფლი მოსდის, რაც სწრაფი სირბილის შედეგია, როდესაც ქალის სახლისკენ მიეჩქარებოდა. ვალტერ კლემერი მძიმედ სუნთქავს, რაც სტვენაში გადადის. მან რამდენიმე კილომეტრი სირბილით დაფარა, თანაც ამისთანა თბილ ამინდში, როგორიც დღესაა. იგი ახლა ასრულებს სუნთქვით სავარჯიშოებს, რომელიც ყოველი სპორტსმენისათვის ნაცნობია. ვალტერ კლემერი ამჩნევს, რომ იგი გაურბის, თავიდან იცილებს იმ აზრს, რომ რაიმე უაზროობაზე, შეუძლებელზე არ იფიქროს. მისი ფიქრები მიქრის სწრაფად და უკვალოდ. იცვლება შთაბეჭდილებები. მიზანი ნათელია, განსაზღვრულია საშუალებები.

ვალტერ კლემერი დგას ერიკას სახლთან და იგი უეცრად ცხადად შეიგრძნობს ორ მოთხოვნილებას – შიმშილსა და წყურვილს, ერთდროულად ორივეს. იგი გრძნობს და განიცდის თავის სხეულზე და ქალმა კი თავის სხეულზე უნდა განიცადოს, თუ რას ნიშნავს მასთან (სხეულის) უმიზნო და უაზრო თამაში. ვალტერ კლემერი ქალს თავისი თბილი ლოგინიდან წამოაგდებს, სადაც იგი თავის დედასთან ერთად წევს. არავინ ჩანს, არავინ მოდის. არავინ უღებს ფართოდ სახლის სადარბაზოს შესასვლელ კარებს. ამ ცვალებად სამყაროში, სადაც უკვე დაღამდა, ვალტერ კლემერი მხოლოდ თავისი გრძნობების კონსტანტებს[48] იცნობს და იგი ტელეფონზე დასარეკად მიდის. შეიძლება ითქვას, რომ სადარბაზოს შესასვლელ კარებთან მას თავი მშვიდად და წესიერად ეჭირა.. იგი ამ სახლის შეგვიანებულ მაცხოვრებელს ელოდება. გარეგნულად ის მშვიდი

[48] კონსტანტა - მუდმივი სიდიდე.

და მშვიდობისმოყვარეა, შინაგანად კი გრძნობები უდუღს. შეგვიანებულმა მაცხოვრებლებმა, ამ სახლში რომ დაბრუნდებიან, არ უნდა შენიშნონ მისი მღელვარება და მოუსვენრობა, რათა მის მიმართ რაიმე ეჭვი არ გაუჩნდეთ და უნდობლობა არ აღეძრათ. ვალტერ კლემერს გრძნობები ერევა. იგი თავის თავითაა აღელვებული და აღტყინებული. სადაცაა ქალი ჩამოვა ხელოვნების ამაყი და მაღალი ცხენიდან და ცხოვრების დინებას გაჰყვება. ქალი გახდება ვაჭრობისა და სირცხვილის ნაწილი. – ხელოვნება ტროას ცხენი როდია, – მიმართავს ვალტერ კლემერი გულში ქალს, რომელიც იქ, ზემოთ თავის ბინაში იმყოფება, ქალს, რომელიც აზრსა და შინაარსს მხოლოდ ხელოვნებაში ეძებს. მხოლოდ ხელოვნებაში და არა ცხოვრებაში. ტელეფონის ჯიხური ახლოსაა. ვალტერ კლემერი შედის ჯიხურში და რეკავს. ის ზიზღს გამოხატავს იმ წყეული ვანდალის მიმართ, რომელმაც ჯიხურის კედლიდან სატელეფონო ცნობარი ჩამოგლიჯა, – ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ვეღარ გადაარჩინონ ადამიანის სიცოცხლე, რადგან ვერ ნახავენ საჭირო ნომერს, რათა შესაბამის ადგილზე დარეკონ.

ფროილაინ კოხუტს წმინდანის ძილით სძინავს თავისი დედის, უფროსი ქალბატონი კოხუტის გვერდით, რომელიც ხშირად უსამართლოდ მოჰქცევია თავის ქალიშვილს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მშვიდად ფშვინავს თავის საწოლში. ერიკა ძილსა და მოსვენებას არ იმსახურებს, მის გამო ხომ ადამიანი მოუსვენრად დაეხეტება. ფროილაინ კოხუტი თავისი სქესისათვის დამახასიათებელი პატივმოყვარეობით იმედოვნებს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება და ტკბობა-ნეტარების ჟამიც დადგება, – „ჟამი, გულთა მაამი, კვლაცა იქნების“. ფროილაინ კოხუტს ესიზმრება, რომ მამაკაცს მისი გადამწყვეტი იერიშით, შტურმით დაპყრობა სურს. – გთხოვ, ნუ ჯიუტობ, იყავი დამჯერე“, – ჩაესმის ქალს. დღეს ერიკამ ნებაყოფლობით განაცხადა უარი ტელევიზორის ყურებაზე. ამასთან, მას სწორედ დღეს შეეძლო დამტკბარიყო თავისი საყვარელი

მოტივით, – „უცხოური ქალაქების ქუჩები“, რომლის დროსაც იგი თავის თავს წარმოიდგენს და საკუთარი თავისადმი რწმენა ემატება ხოლმე. ფროილაინ კოხუტს სურს, რომ მასაც ისეთივე პატივი ხვდეს წილად და ისეთივე ყურადღებით იყოს გარემოსილი, როგორც სატელევიზიო გადაცემის გმირები. როგორც წესი, ამ სატელევიზიო გადაცემებში უჩვენებენ გაუთავებელ ამერიკულ ხედებსა და პეიზაჟებს, რადგან ამ ქვეყანას თითქმის არ გააჩნია საზღვრები და ნაპირები. – შეიძლება ამ კაცთან ერთად პატარა მოგზაურობაში მივიღო მონაწილეობა, – ფიქრობს გულდამძიმებული ფროილაინ კოხუტი, – მაგრამ რა მოუვა ამასობაში დედაჩემს? – ეკითხება იგი თავის თავს. ამას ყველა ვერ ახერხებს საჭირო მომენტში. იგი მოუსვენრობას გრძნობს, ნება ყოველთვის ვერ მართავს სხეულსა და მასში წარმოშობილ შეგრძნებებს. უფროს ქალბატონ კოხუტს სძინავს და წარმოდგენა არა აქვს, თუ რა ხდება მისი ქალიშვილის გულში. გაისმის ტელეფონის ზარი, ვინ არის, ასე გვიან რომ რეკავს? შეშინებული ერიკა წამოხტება და იმწამსვე ხვდება, თუ ვინ შეიძლება იყოს ის, ასე გვიან რომ იწუხებს თავს. ამას ქალს შინაგანი ხმა კარნახობს. ეს ხმა სრულიად არასამართლიანად ატარებს სიყვარულის სახელს. ქალს ახარებს მოპოვებული გამარჯვება და იმედი აქვს, რომ, მიიღებს თასს (როგორც გამარჯვებულ სპორტსმენს ან სპორტულ გუნდს თასით აჯილდოებენ ხოლმე). ფროილაინ კოხუტი ამ თასს თავის ახალ, საკუთარ ბინაში ყვავილების ვაზების გვერდით მიუჩენს ადგილს საპატიო ადგილას. ქალს გულზე ეშვება. იგი ბნელი ოთახის და შემდეგ კორიდორის გავლით ტელეფონთან მიდის. ტელეფონი ძალიან ხმამაღლა რეკავს. სიყვარულის გულისათვის ფროილაინ კოხუტი დათმობს თავის პირობებს, წინასწარ უხარია რა, რომ ახლა შეუძლია უარი თქვას მათზე. ერიკა სიმსუბუქეს გრძნობს. სასიყვარულო ორმხრივი ურთიერთობა, ბოლოს და ბოლოს იშვიათი ამბავია, გამონაკლისია, რადგან უმეტესწილად მხოლოდ ერთ მათგანს უყვარს ხოლმე,

მერე და მერე კი იმაზე ფიქრობს, როგორ გაექცეს სიყვარულს, ისე შორს, იქამდე, სანამდეც მას თავისი ფეხები გააქანებენ. სიყვარულს ორი ადამიანი სჭირდება, ის ორი ადამიანის საქმეა და ერთმა მათგანმა სწორედ ახლახანს მეორეს დაურეკა, რომელიც იმავეს განიცდის; განა ეს შესანიშნავი არ არის? სწორედაც რომ დროულია. ყოველივე კარგად აეწყო.

მუსიკის მასწავლებლის საწოლში კვალიც არ რჩება, გარდა ნაწოლი, თბილი ჩაღრმავებული ადგილისა, ნელ-ნელა რომ ცივდება. ფროილაინ კოხუტმა ლოგინში თავისი დედა დატოვა, რომელსაც ჯერ კიდევ სძინავს. როგორი უმადური ბავშვია, რომელიც უკვე ივიწყებს თავის ამდენი ხნის ერთგულ თანამგზავრს. მამაკაცი, ტელეფონით რომ რეკავს, მოითხოვს ახლავე გაუღონ სახლის სადარბაზოს შესასვლელი კარები. ერიკა ხელს უჭერს ტელეფონის ყურმილს. ასე უცბად ამგვარ სიახლოვეს ქალი არ ელოდა. იგი ელოდა თბილ, ალერსიან სიტყვებს, გრძნობების ნაზ გამოხატვას, ღამის მშვიდი ძილის სურვებასა და დაპირებას კლემერის მხრიდან ხვალინდელ შეხვედრაზე, მაგალითად, კაფეში და საერთოდ, მათ სრულ სიახლოვეზე. ფროილაინ კოხუტი მამაკაცისაგან ზუსტ გეგმას ელოდა, რათა ბუდე მოიწყონ. ხვალ და შემდგომ დღეებში ისინი ყველაფერზე მოილაპარაკებენ, ყველაფერს აწონ-დაწონიან! მათ უნდა გადაწყვიტონ და იმსჯელონ იმაზე, მათი ურთიერთობა მუდმივი იქნება თუ არა, და აი, მაშინ ურთიერთობასაც დაიწყებენ. მამაკაცს უყვარს სიამოვნების მიღება და ტკბობა, მაგრამ არ უყვარს ცდა, ქალი კი მთელ საცხოვრებელ კომპლექსს ააგებს მისთვის (ქალისთვის), მთავარია მთლიანობა. ეს ნაკლებად სასიამოვნო ფაქტია: ქალი და მისი გრძნობების სამყარო. – ქალი წამსვე იწყებს რთული, კრაზანის ბუდისმაგვარი ნაგებობის შენებას, რათა შიგ მოიკალათოს და მას ვერაფრით ვერ დააღწევ თავს, თუკი მან მისი შენება დაიწყო, – შიშობს საერთოდ ვალტერ კლემერი. იგი კვლავ სახლის შესასვლელთან დგას და ელოდება, როდის გაიღება

კარი. – ან ახლა, ან არასოდეს! – მსჯელობს ერიკა ბოლო წუთამდე და გასაღებების ასხმულას იღებს ხელში. უფროს ქალბატონ კოხუტს კვლავ სძინავს. მას არაფერი აშფოთებს ძილის დროს, რადგან მის თავში სხვას არაფერს აქვს ადგილი, გარდა საკუთარი სახლისა და საკუთარი ქალიშვილისა. მას გეგმები არ სჭირდება. ქალიშვილი წამი-წამზე უცდის ჯილდოს მრავალწლიანი, მშვიდი ყოფა-ქცევისათვის. ძალიან ცოტა ქალი თუ ელოდება ხოლმე ბოლოს ვინმე ღირსეულს, უმეტესი მათგანი პირველივე შემხვედრით კმაყოფილდება. ფროილაინ კოხუცი ბოლოს ირჩევს, იგი მოვიდა და ის მართლაც ყველაზე უკეთესი იყო. მას ვერავინ შეედრება! ქალი თითქოსდა რიცხვებითა და შედარებებით აზროვნებს. მას ჰგონია, რომ დაჯილდოებულია ხელოვნებისადმი ერთგული სამსახურისათვის. თუნდაც მამაკაცის ნებამ წაიყვანოს იგი და მოაცილოს თავის ერთგულ და გამოცდილ დედას, მისი შრომა ტყუილად არ დაიკარგება. – კი, ბატონო. მე ეს მაწყობს. ცოტაც და სტუდენტი სწავლას დაამთავრებს, თვითონ ერიკა მუშაობს. ასაკობრივი განსხვავებაც უმნიშვნელოა, – მსჯელობს ქალი თავისთვის და მამაკაცის მაგივრად.

ფროილაინ კოხუტი შესასვლელ კარებს აღებს და მამაკაცს ეხუტება. ქალი ხუმრობის ტონით აცხადებს, შენი მორჩილების ქვეშ ვარო. ერიკა ნანობს თავისი სულელური წერილის გამო, ჯობდა ის საერთოდ არ დაეწერა, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. – უსიამოვნებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ მე ყველაფერს გამოვასწორებ, საყვარელო. რაში გვჭირდება წერილები, ჩვენ ხომ ისედაც ძალიან კარგად ვიცნობთ ერთმანეთს სულ ბოლო წვრილმან და სულ ბოლო საიდუმლო წერტილებამდე! და ჩვენი აზრები მუდმივად გვკვებავენ და გვასაზრდოებენ თავიანთი თაფლით, – მიიჩნევს ერიკა.

ვალტერ კლემერი სახლში შედის. მრავალი რამ არის აქ მის განკარგულებაში და ეს არჩევანი სიამოვნებას ანიჭებს კლემერს.

ზოგ რამეს იგი უბრალოდ პირდაპირ აიღებს და ამით ისარგებ-ლებს! იგი ერიკას ეუბნება: – ახლავე რომ ცხადი იყოს, დაიმახსოვ-რე: არაფერია იმ ქალზე უარესი, რომელსაც სურს ხელახლა დაწე-როს ქმნილება. იგი, ვალტერ კლემერი, – ახალი რომანის მოტივი და თემაა. ვალტერ კლემერი თავისი თავით ტკბება და ამასთან, არავითარ სინდისის ქენჯნას არ განიცდის. პირიქით, იგი ტკბება თავისი სიცივით, გულგრილობით. თავისუფლად რომ ფლობდე რა-მეს, ეს ნიშნავს, ყოველთვის შეგეძლოს წასვლა, როცა კი მოგე-სურვება. რასაც დაეუფლე და უკვე ფლობ, სადღაც უკან დარჩება და დაგელოდება. ამ ქალს ვალტერ კლემერი მალე დატოვებს, ამა-ზე შეუძლია დაიფიცოს კიდეც. ამ ქალმა ხომ უარყო ორმხრივი გრძნობები, უარყო მამაკაცის მიერ შეთავაზებული სრულიად სე-რიოზული წინადადებები. ახლა კი უკვე გვიანია. ამჯერად კი ჩემს პირობებს შემოგთავაზებთ, – აცხადებს ვალტერ კლემერი. – იგი ქალს ხელმეორედ აღარ ააგდებინებს თავს აბუჩად, – პატიოსან სიტყვას აძლევს მას კლემერი და მუქარით ეუბნება, ნეტავ ვინ გგონივარ, ასე რომ იქცევიო. ვალტერ კლემერის მიერ არაერ-თხელ გამოთქმულ ამ შეკითხვას ეფექტი არა აქვს. კლემერი ხელს კრავს ქალს და ასე შედის მასთან ერთად ბინაში. ამას მოსდევს ყრუ ხმით საუბარი. ასეთი საქციელი ქალს არ მოსწონს. შემდეგ კი ფროილაინ კოხუტმა რამდენჯერმე გააფრთხილა თავისი მოსწავ-ლე, საქმე არ გავაუარესოთო. ამ ლაპარაკის დროს ერიკა უჩივის კლემერს იმის გამო, რომ მან, რომელიც აქ მხოლოდ სტუმრის როლს ასრულებს, იგი საკუთარ სახლში ხელის კვრით შეაგდო. შემდეგ ქალი „განზე სწევს“, უკუაგდებს თავის ცუდ ჩვეულებას – გამუდმებულ, გულის გამაწვრილებელ წუწუნსა და ჩივილს. – მე კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო, – მოკრძალებით ამბობს ფრო-ილაინ კოხუტი. ქალს თავისი ბოდიშიც თითქოს ბრჭყალებით მო-აქვს და ნადავლივით უდებს კაცს წინ, ნადავლივით, სისხლი რომ სდის. – არ არის საჭირო დასაწყისშივე ყველაფრის გაფუჭება, –

ფიქრობს ერიკა. იგი ნანობს, რომ უკვე მრავალი რამ არასწორად გააკეთა, განსაკუთრებით კი სულ თავიდან, – დასაწყის ეტაპზე. – ყოველგვარი დასაწყისი ძნელია, – ადასტურებს ერიკა და ხაზს უსვამს სწორი დასაწყისის მნიშვნელობას. უფროსი ქალბატონი კოხუტი ნელ-ნელა იღვიძებს ხმამაღალი ლაპარაკის გამო, რომელიც უკვე აშკარად ჩაესმის ყურში. დედას უყვარს მბრძანებლობა, იგი პატივმოყვარე ქალბატონია. – ვინ არის ის, ვინც ასე ხმამაღლა ლაპარაკობს ამ შუაღამისას, თითქოს დღე არისო და თანაც ჩემს საკუთარ ბინაში და ჩემს საკუთარ ქალიშვილთან? მამაკაცი ამაზე მუქარის გამომხატველი ჟესტით პასუხობს. ორივე ქალი დაცვით პოზიციას იკავებს და თან საპასუხო შეტევას ამზადებს ეული კაცის წინააღმდეგ. უეცრად ერიკას სილა ხვდება სახეში. ვერც გამორკვეულა, რა ხდება. არა, იგი არ შემცდარა, სილა მას ვალტერ კლემერმა გააწნა და თანაც კარგა ძლიერადაც უთავაზა! შეცბუნებული ერიკა ლოყაზე ხელს ისვამს და საპასუხოდ არაფერს ამბობს. დედა გაოგნებულია. თუ აქ ვინმეს ნება აქვს დარტყმისა, მხოლოდ მას, – უფროს ქალბატონ კოხუტს. ცოტა მოგვიანებით, იმ დროს, როცა ვალტერ კლემერი არაფერს ამბობს, ერიკა მას მიმართავს, ახლავე აქედან მოშორდიო! დედა ამ მოთხოვნას უერთდება და ზურგს აქცევს მამაკაცს, რითაც მას აგრძნობინებს, რომ ეს ყველაფერი გულის ამრევია. ვალტერ კლემერი უხმოდ ზეიმობს გულში და ერიკას ეკითხება: – განა ეს ყველაფერი ასე არ გქონდა წარმოდგენილი? უფროსი ქალბატონი კოხუტი გაოცებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ეს მამაკაცი მხოლოდ ჩხუბისა და კამათის შემდეგ აპირებს აქაურობის დატოვებას. იგი ამბობს, რომ მას სრულიადაც არ აინტერესებს, რაზე და რის შესახებ ლაპარაკობენ. ჯერ არც ერთი მათგანი არ უმაღლებს ხმას, რათა თავისი საყვედური და საჩივარი გამოთქვას. ვალტერ კლემერი ახლა უკვე მეორე ლოყაზე არტყამს ხელს ერიკას. ფროილაინ კოხუტი შესაბრალისად ტირის, მაგრამ საკმაოდ დაბალ ხმაზე, რათა მეზობლებმა არ გაიგონონ.

დედა ყველაფერს ხედავს და დგას რა ამ დროს თავისი ოთახის კართან, აკეთებს დასკვნას, რომ ეს კაცი მის ქალიშვილს სპორტული ხელსაწყო-იარაღივით ხმარობს და ათამაშებს. უფროსი ქალბატონი კოხუტი აღშფოთებით მიუთითებს იმაზე, რომ კლემერი ზიანს აყენებს სხვის საკუთრებას, უფრო ზუსტად კი მის, დედის საკუთრებას! აქედან გამომდინარე, დედა მოითხოვს: – ახლავე აქედან წადით! და რაც შეიძლება სწრაფად.

მამაკაცი ისე ექცევა უფროსი ქალბატონის ქალიშვილს თითქოს ის ინსტრუმენტიაო. ერიკა სულ მთლად გამოფხიზლებულიც არ არის და ვერ გაუგია, როგორ შეიძლება, სიყვარულისთვის ასეთნაირად დააჯილდოონ, – მისი სიყვარულისთვის. ჩვენ მუდამ ველით ჯილდოს, საზღაურს ჩვენი გარჯისათვის, ჩვენი წარმატებისათვის. რატომღაც ვფიქრობთ, რომ სხვების წარმატება და მონაპოვარი ჯილდოს, საზღაურს არ იმსახურებს და ვიმედოვნებთ, რომ იაფად შეგვიძლია ვისარგებლოთ (სხვების მონაპოვარით). უფროსი ქალბატონი კოხუტი აქტიურ მოქმედებაზე გადადის, სახელდობრ კი აცხადებს, რომ პოლიციასაც ჩარევს საქმეში. ამის გამო თვითონ ისიც ზარალდება: უფროს ქალს ხელი ჰკრეს და თავის ოთახში იატაკზე დააგდეს. იგი ზურგით ეცემა ძირს, საკმაოდ მტკივნეულად. კლემერი ეუბნება, რომ მასთან სალაპარაკო არაფერი აქვს. დედას ეს არ ესმის, რადგან არჩევანის უფლება მუდამ მას ჰქონდა. ვალტერ კლემერი მას არწმუნებს, ჩვენ საკმარისი დრო გვაქვს, თუ საჭირო იქნა, მთელი ღამეცო. კლემერი ახლა ფროილაინ კოხუტს მიმართავს წინანდელი შეკითხვით, განა შენი სურვილი არ იყო, ყველაფერი რომ ასე მომხდარიყოო. ერიკა პასუხობს, – არაო. დედა ამასობაში წამოჯდება და მოსწავლე კლემერს საშინელი მუქარით აღსავსე სიტყვებით მიმართავს, – ჰპირდება მას, რომ იგი მკაცრად დაისჯება და დედა ამისათვის ყველაფერს გააკეთებს, – თუ საჭირო შეიქნა და საქმე უკიდურესობამდე მივიდა, იგი უცხო ადამიანებსაც დაუძახებს დასახმარებლად, იფიცებს ეს მოხუცი ქალი. მამაკა-

ცი ინანებს, რომ ასე უდიერად ექცევა ამ ქალს, რომელიც მას პრინციპში დედადაც კი ერგება; თავისი დედა მაინც გაიხსენოს! უფროს ქალბატონ კოხუტს ებრალება ის საწყალი ქალი, ვინც ეს კაცი შობა. როდესაც ერიკას დედა ამ სიტყვებით კარებამდის მივიდა, იგი კვლავ უხეშად გადააგდეს უკან. ამისათვის ვალტერ კლემერს ერიკას მცირე ხნით განზე დატოვება მოუხდა. იგი კეტავს დედას თავის ოთახში, სადაც მას მოუსვენრად მოუწევს ყურყუტი. ამ ოთახის გასაღები იმისთვისაა საჭირო, რომ გამოკეტავს რა კარებს, დასაჯოს თავისი ქალიშვილი ისე, როგორც ეს საჭიროა. – ჩამკეტეს, ფიქრობს გულში შოკში ჩავარდნილი ქალი და კარებს ფრჩხილებით ფხაჭნის, უფროსი ქალბატონი კოხუტი ყვირის და მუქარის სიტყვებს ბუტბუტებს. ვალტერ კლემერის არსებაში წინააღმდეგობის გრძნობა მატულობს. ქალი, – ეს არის საშიშროება ძლიერი სპორტსმენისათვის ძნელი და დაძაბული შეჯიბრებების წინ. ერიკასა და ვალტერ კლემერის სურვილები ერთმანეთს ეჯახება. ფროილაინ კოხუტი წუწუნებს, მე ეს სულაც არ მქონდა ასე წარმოდგენილიო. იგი იმეორებს თეატრალური მაყურებლების მიერ ხშირად მოხსენიებულ სიტყვებს, – „მე მეტს მოველოდი!“ ერთი მხრიდან ერიკას თავისი საკუთარი სხეული ეწევა, მეორე მხრიდან უცხო ძალა, რომელიც უარყოფილი სიყვარულისაგან წარმოიშვა.

ერიკა ელოდება, რომ ვალტერ კლემერი ბოდიშს მაინც მოიხდის, თუ მეტი არა, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება. ერიკას უხარია, რომ დედას არ შეუძლია ჩაერიოს მათ საქმეში. ბოლოს და ბოლოს პირად საქმეებს თვითონვე მოაგვარებენ. ვინ ფიქრობს ახლა დედაზე და დედობრივ სიყვარულზე, გარდა იმისა, ვისაც სურს მოავლინოს ამქვეყნად ბავშვი? ვალტერ კლემერში მამაკაცი ლაპარაკობს. ფროილაინ კოხუტი ცდილობს თავისი სხეულის გამიზნული, მცირე გაშიშვლებით სურვილი გააღვიძოს მამაკაცში და აღაგზნოს იგი. კლემერი კვლავ ურტყამს ქალს სახეში, თუმცა კი იგი ეხვეწება, თავში ნუ მირტყამო. ერიკას რაღაც ესმის თავისი ასაკის შესა-

ხებ, ეუბნებიან, უკვე ოცდათხუთმეტი წლისა ხარ, გინდა შენ ეს თუ არაო. უეცრად სინამდვილე ნათდება კლემერში, როგორც გვიანი ზაფხულის დღე, ღრუბლებისგან რომ თავისუფლდება. იგი მოხიბლულია. მხოლოდ იმის გამო, რომ თავს იტყუებდა, ვალტერ კლემერი ამ საუცხოო სიძულვილს ამდენ ხანს სიყვარულში ურევდა. ადრე მას მოსწონდა ეს სიყვარულის საბურველი, მაგრამ ახლა ის ძირს დაეშვა. იატაკზე გაწოლილი ქალი მამაკაცის ასეთ საქციელს მწველი და ვნებიანი სურვილების გამოხატულებად მიიჩნევს და მხოლოდ ვნებით თუ შეიძლება რამდენადმე მაინც აიხსნას მისი ქცევა. მსგავსი რამ ერიკას სმენია. – მაგრამ ახლა უკვე საკმარისია, უფრო უკეთესი და სასიამოვნო რამ შევთავაზოთ ერთმანეთს, საყვარელო! ფროილაინ კოხუტს სურს ტკივილი და შეურაცხყოფა სასიყვარულო ურთიერთობიდან წაშალოს და ამოაგდოს. ქალი ახლა ამ ტკივილს თავის სხეულზე გრძნობს და სთხოვს მამაკაცს კვლავ სიყვარულის ჩვეულებრივ, ნორმალურ ურთიერთობას დაუბრუნდნენ. – გაგებით შევხვდეთ და დავუახლოვდეთ ერთმანეთს, – ეუბნება მას ერიკა. ვალტერ კლემერი ძალას ხმაროობს და უხეშად ექცევა ქალს, რომელიც ამბობს, ახლა ყველაფერი სხვანაირად მესმის და წარმომიდგენიაო. - გთხოვ, ნუ მირტყამ, გეთაყვა. ჩემი იდეალი სიყვარულში კვლავ ორმხრივი გრძნობები და ურთიერთობაა, - ერიკა ძალიან გვიან ცვლის თავის ძველ შეხედულებებს. ფროილაინ კოხუტი ახალ მოსაზრებებს გამოთქვამს: მას, როგორც ქალს, ბევრი სითბო და მზრუნველობა სჭირდება და იგი ხელს იდებს ტუჩებზე, რომლის ერთ კუთხიდან სისხლის წვეთები სდის. – ეს მიუღწეველი იდეალია, – პასუხობს ვალტერ კლემერი. მამაკაცი ელის, რომ ქალმა ცოტა უკან დაიხიოს, ან გაქცევა სცადოს, მაშინ იგი ქალს გამოუდგება. ეს არის მონადირის ინსტინქტი, რომელიც მას წინ უბიძგებს. ეს არის საწყალოსნო სახეობის სპორტსმენისა და ტექნიკოსის ინსტინქტი, რომელიც მას აფრთხილებს, რომ ამა და ამ ადგილას არის ქვების ან წყლის სიღრმის საშიშრო-

ება. თუ ქალი მას ეჭიდება და ებღაუჭება, ინსტინქტი იმწამსვე ქრება! ფროიდლაინ კოხუტი ეევედრება ვალტერ კლემერს წინდახედულება გამოიჩინოს. მაგრამ მან უკვე შეიცნო თავისუფლების გემო. ვალტერ კლემერი ურტყამს ერიკას მარჯვენა ხელის მუშტით არც ისე მაგრად და არც ისე სუსტად მუცლის არეში. ეს საკმარისია იმისათვის, რომ ქალი კვლავ იატაკზე გაიშხლართოს. ერიკა წელში იხრება და ხელებს მუცელზე იდებს. მამაკაცმა მას მუცელში მუშტი ისე ჩაარტყა, რომ ძალ-ღონე არ დაუძაბავს. გარდა ამისა, იგი სრულიადაც არ ინანიებს თავის საქციელს, პირიქით, სხვა დროს ის არასოდეს ყოფილა ასე მიზანმიმართული. ვალტერ კლემერი დასცინის ერიკას და ეკითხება: – სად არის შენი თოკები და სხვა შესაკრავები? ანდა ჯაჭვები? მე მხოლოდ და მხოლოდ თქვენს ბრძანებებს ვასრულებ, მოწყალეო ქალბატონო. ახლა ვეღარაფერს გიშველის შენი ქამრები, ღვედები და ჩვრები. იგი ამ ნივთების გარეშეც ახერხებს სასურველი შედეგის მიღწევას. უფროსი ქალბატონი კოხუტი, რომელიც ჯერ კიდევ გაბრუებულია ლიქიორის ჭარბად მიღებული დოზით, კარებზე დოლივით აკაკუნებს და ვერ მოუსაზრებია რა იღონოს და ვერც იმას ხვდება, თუ რა ხდება ერიკას თავს. იგი ძალიან ნერვიულობს და განიცდის, რადგან ვერ ხედავს, თუ რას უშვრებიან მის ქალიშვილს. დედა საერთოდ ხედავს ისე, რომ არც უყურებს, – იგი ხედავს ყურების გარეშეც. დედა არად აგდებდა თავისი ქალიშვილის თავისუფლებას და ახლა კი მოდის ვიღაც და აგდებულად ეპყრობა ამ თავისუფლებას. – დღეიდან ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო ფრთხილად ვიქნებით, – ჰპირდება თავის თავს უფროსი ქალბატონი კოხუტი და იმედოვნებს, რომ ეს ახალგაზრდა კაცი მასაც დაუტოვებს თავის წილს, რაც სიფრთხილის ღირსი იქნება. მან ბოლოს, როგორც იქნა, თავის ნებას დაუმორჩილა ქალიშვილი, და ახლა ეს კაცი მას ხელახლა იმორჩილებს. დედას, ცოტა არ იყოს, ბრაზი ერევა. ვალტერ კლემერი კი ამ დროს დასცინის მის თვალწინ მოკრუნჩხულ სხეულს. ერიკა

სლუკუნით მისტირის იმ დროს, როდესაც მათ ერთად გადაიტანეს და განიცადეს მრავალი რამ მუსიკის გაკვეთილების დროს. ქალი აფიცებს მას, – აბა, გაიხსენე, როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სონატები? ვალტერ კლემერი დასცინის იმ მამაკაცებს, რომლებიც ქალების ყველა კაპრიზს ითმენენ. კლემერი ასეთთა რიცხვს არ მიეკუთვნება და ქალს კი მეტისმეტი მოუვიდა. იგი გაუწონასწორებელი და ილუზორული წარმოდგენებით აღსავსე ქალია. სად არის ახლა მისი მათრახები და შესაკრავები? ვალტერ კლემერი მას არჩევანის წინაშე აყენებს: ან შენ, ან მე. მამაკაცის პასუხი ასე ჟღერს: მე. – მაგრამ ჩემს სიძულვილში შენ ახლად აღდგები, – ანუგეშებს იგი ქალს, ხმამაღლა გამოთქვამს რა თავის აზრს. იგი მსუბუქ დარტყმებს აყენებს ქალს თავზე, რომელსაც იგი თავისი სუსტი ხელებით იფარავს. – შენ რომ მსხვერპლი არ ყოფილიყავი, მსხვერპლი ვერც გახდებოდი! იგი აწვალებს ერიკას და თან ეკითხება, თუ რას უზამს ის (ერიკა) ახლა თავის ამ სულელურ წერილს? ქალი პასუხს არ აძლევს.

უფროსი ქალბატონი კოხუტი შიშობს კარსუკან, რომ საკუთარი ზოოპარკის პატარა ბინადარს ცუდი რამ შეემთხვევა. ერიკა ტირილით ახსენებს მოსწავლეს იმ სიკეთეს, რომელთაც იგი მისი გულისთვის აკეთებდა, – სახელდობრ კი, მის დაუღლელ და შეუპოვარ მცდელობას კლემერის მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებასა და მოსწავლის მუსიკალურ სრულყოფაში. ფროილაინ კოხუტი კვლავ ცდილობს მბრძანებლობა შეინარჩუნოს, მაგრამ მას აფერხებს და აჩერებს შიშველი ძალადობა. მამაკაცი უფრო ძლიერია. ერიკა სიბრაზით ყვირის, რომ კლემერის უპირატესობა მხოლოდ მის ფიზიკურ ძალაშია; ამისათვის მამაკაცი ძლიერი დარტყმებით უმასპინძლდება.

კლემერის სიძულვილის გამოვლენას ერიკა გახევებული შეჰყურებს. ამ „ხეს“ ტოტები უნდა შეაჭრა, შეკვეცო და ამტანობას შეაჩვიო. მამაკაცის ხელისგული ყრუდ ხვდება ქალის სახეს; კარს

უკან მოყურყუტე უფროსმა ქალბატონმა კოხუტმა არ იცის, რა ხდება მისი ქალიშვილის გარშემო და აღელვებული ერიკასთან ერთად ტირის; იგი კიდევ ერთხელ მიეშურება უკვე ნახევრად დაცარიელებული პატარა კარადისაკენ, სადაც ლიქიორი ეგულება და რომელიც მათ პაწია შინაურ ბარს წარმოადგენს. დედა ვერც ვერავის უხმობს საშველად, ტელეფონი ხომ წინა ოთახში დგას.

კლემერი შეურაცხყოფას აყენებს და კიცხავს ერიკას მისი ასაკის გამო. ასეთ ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი ქალი, – რაც სიყვარულს შეეხება, კლემერისგან მაინცდამაინც ბევრს არ უნდა მოელოდეს. – მამაკაცი მხოლოდ თამაშობდა მასთან, ეს ერთგვარი სამეცნიერო ექსპერიმენტი იყო, – ცრუობს კლემერი, უარყოფს რა თავის პატივსაცემ მოთხოვნილებებს. – რა იქნა, სად დაიკარგა შენი ცნობილი თოკები? - გამჭოლი და გამკივანი ხმით ეკითხება იგი ქალს. – შენ შენს თანატოლ ან შენზე უფრო ასაკოვან ადამიანებთან უნდა იქონიო ურთიერთობა, – ურჩევს იგი ერიკას და მუჯლუგუნს ჰკრავს მას. მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაში უმეტესწილად კაცია უფროსი, ვიდრე ქალი. კლემერი მორიგი დარტყმებითა და მუჯლუგუნებით უმასპინძლდება ქალს. მამაკაცის ბრაზი და რისხვა არ არის გამოწვეული მისადმი მიყენებული შეურაცხყოფით ან უსამართლობით, პირიქით, ეს განრისხება განაპირობა ქალისადმი სიყვარულის საბაბმა, რაც ნელა, მაგრამ თან გარდუვალად ყალიბდებოდა. დაუქვემდებარა რა მამაკაცი საფუძვლიან გამოცდასა და შემოწმებას, ერიკამ მას თავისი სიყვარული გაუმხილა, და ახლა კი რა ხდება?

თავისი ცხოვრებისა და გრძნობების გამო მან ეს ქალი უნდა მოსპოს და გაანადგუროს, ქალი, რომელმაც გაბედა და დასცინა მას; თანაც იგი დასცინოდა კლემერს იმ დროს, როცა ქალი ადვილად აღწევდა გამარჯვებებს! ფროილაინ კოხუტი მიიჩნევდა, რომ მამაკაცს შეუძლია შეკრას და შებორკოს იგი, პირში ჩვარი ჩასჩაროს და ასე გააუპატიუროს.

ჰოდა, ახლა იმკის იმას, რასაც იმსახურებს. – იყვირე ახლა, იყვირე, – მოითხოვს კლემერი. ქალი ხმამაღლა ტირის. დედამისიც ტირის კარსუკან, თუმცა კარგად არ იცის, რატომ.

ერიკა კოხუტი იკრუნჩხება, წელში იზნიქება და სახეზე სისხლი სდის. მამაკაცი განაგრძობს თავის დამთრგუნველ საქმიანობას. ვალტერ კლემერი ერიკაში ხედავს მრავალ სხვა პიროვნებას, რომელთა თავიდან მოცილებაც მას ოდესმე სურდა. კლემერი ქალს პირდაპირ სახეში ახლის იმას, რომ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. – მე მთელი ცხოვრება კიდევ წინა მაქვს, ჩემთვის ყველაფერი ახლა იწყება! სწავლის დამთავრების შემდეგ ხანგრძლივი შვებულებით წავალ საზღვარგარეთ, – სატყუარას უგდებს კლემერი ქალს, – წავალ მარტო! შენზე, არა მგონია, თქვან, ერიკა, ახალგაზრდაა. თუ კლემერი ახალგაზრდაა, ქალი ხანშესულია. თუ იგი მამაკაცია, ის ქალია. ვალტერ კლემერი ქალს ნეკნებ ქვეშ მსუბუქად ურტყამს, რამე მოტეხილობა რომ არ მიაღებინოს თავის მასწავლებელს. კლემერი თავის სხეულსაც მუდმივად უწევდა ხოლმე კონტროლს. ვალტერ კლემერი გადააბიჯებს ზღურბლზე – „ერიკა“, რომლის იქით თავისუფლებაა. რაც მოხდა, ყველაფერი ფროილაინ კოხუტმა გამოიწვია. იგი ცდილობდა ებატონა მამაკაცსა და მის ვნებებზე. ამიტომაც ეზღვება სამაგიერო, ამიტომ აღმოჩნდა ამ დღეში. მას რაღაც უსიამოვნო შეგრძნებები და ეჭვები აღეძრა ამ ქალის მიმართ. იგი ხმამაღლა ჩივის და გამოხატავს თავის საყვედურს მამაკაცის სიძულვილისა და უხეშობის გამო მხოლოდ იმიტომ, რომ ფიზიკურად იტანჯება მისგან. ერიკა გამკივანი ხმით წამოიყვირებს და არეული სიტყვებით სთხოვს მას შეჩერდეს. ეს წამოყვირება დედასაც ესმის და მას ყრუ გულისწყრომით უერთდება. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ამ კაცმა აღარაფერი დატოვოს თავისი ქალიშვილისაგან ისეთი, რაც დედის განკარგულების ქვეშ მოექცევა. უფროს ქალბატონ კოხუცს ცხოველური შიში ეუფლება, მის ქალიშვილს რაიმე ცუდი არ დაემართოს. იგი მუქარით აღსავსე

სიტყვებს ამბობს და სურს კარს იქით გავიდეს, მაგრამ კარი არ ემორჩილება ისე, როგორც ადრე ემორჩილებოდა. დედა შეშფოთებას გამოხატავს და რაღაცას ლაპარაკობს, მაგრამ მისი სიტყვები გარკვევით არ ისმის დაკეტილ კარს იქით. იგი გაჰყვირის სალანძღავ სიტყვებს ბინაში ძალად შემოჭრილი მამაკაცის მისამართით. დედა მიუთითებს თავის ქალიშვილს მამაკაცური სიყვარულის შედეგებზე, რომელზეც ადრე აფრთხილებდა მას, მაგრამ ერიკას არაფერი ესმის. ფროილაინ კოხუტი ხმამაღლა ტირის და მუცელში კვლავ ფეხი ხვდება. ვალტერ კლემერი ტკბება თავისი საქციელით, იცის რა, რომ ქალები გმობენ მის ასეთ მოქმედებას და თან უხარია, რომ ყურადღებას არ აქცევს მათ საყვედურებს. მამაკაცს სურს აღგავოს და ყოველგვარი კვალი წაშალოს იმისა, რასაც ერიკა ადრე წარმოადგენდა, მაგრამ ეს არ ხერხდება. ქალი მას განუწყვეტლივ ახსენებს, თუ რა იყო იგი ადრე მისთვის. – გთხოვ, გეევედრები, - მიმართავს ქალი. დედა კარსუკან შეშფოთებას გამოთქვამს, რომ მისი ქალიშვილი შიშის გამო თავს იმცირებს მამაკაცის წინაშე. – სხეულზე რაიმე დაზიანება არ მიაყენონ ერიკას, – შიშობს იგი. უფროსი ქალბატონი კოხუტი ლოცვას აღავლენს ღვთისა და მის ძის მიმართ. დედას აუნაზღაურებელი დანაკლისი ელის, და მას შიში იპყრობს ქალიშვილის დაკარგვის გამო. შეუპოვარი წვრთნა და ამ წვრთნის შედეგი წყალში იყრება. მის ადგილს იკავებს და ყოველივე ამას ცვლის კაცის უხეშობა. დედა ჩაის ადუღებს, თუკი მას ოთახიდან გამოუშვებენ და თუკი ვინმე ჩაის დალევას მოისურვებს. იგი გამკივანი ხმით ამბობს რაღაცას შურისძიების შესახებ და ასევე იმაზეც, რომ ყველაფერს განაცხადებს შესაბამის ორგანოებში! ერიკა მწარედ ტირის იმის გამო, რომ მისი სიყვარული უფსკრულმა შთანთქა. ფროილაინ კოხუტი აღიარებს, რომ მისი წერილობითი თხოვნა, რომელიც მამაკაცისადმი იყო მიმართული, ძალზე ფრივოლური იყო. აქამდე ქალი არასოდეს ყოფილა ასე დიდხანს საზოგადოებრივ სამსჯავროზე და თვლიდა, რომ ამით იგი

ყველაზე უკეთესად წარდგებოდა საზოგადოების წინაშე. აღმოჩნდა რა ცხოვრების პირისპირ, მან შენიშნა, თუ რა უბადრუკია მასში მისი წილი. და მალე ყოველივე გვიან იქნება. ერიკა იატაკზე წევს, წინა ოთახში დაფენილ, უკვე მინგრეულმონგრეულ ხალიჩაზე. – შემიბრალე, – ეუბნება იგი კლემერს, – მე არ დამიმსახურებია ასეთი სასჯელი მხოლოდ ამ ერთი წერილის გამო. კლემერს ხელები გახსნილი აქვს. ერიკა შეკრული არ არის. მამაკაცი ხელს არტყამს და ირონიულად ეკითხება, რა იქნა ის შენი წერილიო. - ყოველივე ამის გამო გჭირს, – ეუბნება მას კლემერი. – არავითარი თოკი საჭირო არ ყოფილა, როგორც ხედავ. რაში გამოგადგა შენი წერილი? აი, რა მიიღე მაგ შენი წერილის გამო. იგი მსუბუქ დარტყმებს აყენებს ქალს და უხსნის, შენ ყველაფერი სწორედ ასე გსურდა ყოფილიყო და არა სხვაგვარადო. ერიკა ტირილით პასუხობს, ასე სულაც არ მინდოდა, არამედ სულ სხვანაირადო. – მაშინ სხვა დროს უფრო სწორად უნდა გამოთქვა შენი აზრი, – ურჩევს მას ვალტერ კლემერი და ქალს მორიგ მუჯლუგუნს ჰკრავს. იგი ერიკას ფეხებს არტყამს და უყვირის: – მე ვარ, მე. და მე ამის არა მრცხვენია და ამას ვაკეთებ. კლემერი მუქარით ეუბნება ქალს, მიმიღე სწორედ ისეთი, როგორიც ვარო. – მე ისეთი ვარ, როგორიც ვარ, – ამტკიცებს ის. ერიკას სტკივა ცხვირი და ნეკნი ფეხის დარტყმისაგან. იგი ხელებით იფარავს სახეს; კლემერი ეუბნება, რომ ქალი სწორად იქცევა, რადგან მისი სახე არაფერ განსაკუთრებულს არ წარმოადგენს. - არსებობს უფრო ლამაზი სახეები, – ამბობს ის და ელოდება, რომ ქალი ეტყვის, არსებობენ უფრო მახინჯებიცო. ერიკას ღამისპერანგი ჩამოუცურდა და კლემერი ფიქრობს, ხომ არ გავაუპატიურო. სურს რა დაამციროს მისი ქალური სექსუალობის ხიბლი, კლემერი ამბობს: ჯერ მე ერთ ჭიქა წყალს დავლევ. მას ახლა ერიკა უფრო ნაკლებად იზიდავს, ვიდრე დათვს ხის ფუღურო, რომელშიც ფუტკრების გუნდი ბინადრობს. ერიკა არასოდეს ხვდებოდა მას თვალში თავისი სილამაზით, არამედ თავისი მუსიკა-

ლური ნიჭითა და შესაძლებლობებით და მას ახლა შეუძლია ცოტა ხანი დააცადოს. – მე პრობლემა ჩემებური წესით გადავჭერი, – ამბობს ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. კარს უკან დედა იწყევლება. ფროილაინ კოხუტი გაქცევაზე ფიქრობს. ამ ქალს ფიქრი ეხერხება, მაგრამ არა საქმის კეთება და მოქმედება. ჰერმეტულმა სივრცემ მას წარმატება ვერ მოუტანა.

სამზარეულოში წყალი დიდხანს მოდის, მამაკაცს ცივი წყალი უყვარს. იგი ფიქრობს იმაზე, რომ შეიძლება მის საქციელს ცუდი შედეგი მოჰყვეს. ვალტერ კლემერი ამ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს, როგორც მამაკაცი. წყალს არასასიამოვნო გემო აქვს. – ისიც მიიღებს თავისას, მასაც მოუწევს პასუხისმგებლობის ატანა, – ფიქრობს მამაკაცი კიდევ უფრო მეტი სიხარულით. მისი მუსიკალური მეცადინეობები დამთავრდა; სამაგიეროდ, იგი უფრო სერიოზულად ივარჯიშებს თავის სპორტულ სახეობაში. არავის აქ დამსწრეთაგან ყოველივე ეს განსაკუთრებულ სიამოვნებას არ ანიჭებს. მაგრამ ეს მაინც უნდა გაკეთდეს. არავინ ცდილობს გადადგას ნაბიჯი შერიგებისაკენ. ვალტერ კლემერი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, სურს თუ არა ფროილაინ კოხუტს, რომ პასუხისმგებლობის ნაწილი მაინც თავის თავზე აიღოს. – ცოტათი შენც დამნაშავე ხარ, ეს უნდა აღიარო, – ეუბნება იგი ქალს. – არ შეიძლება ადამიანი უკიდურესობამდე აღაგზნო, ცეცხლი მოუკიდო და შემდეგ გაქრე, წახვიდე.

ახლა ფროილაინ კოხუტი კვლავ სთავაზობს მას: – მოდი, ყველაფერზე მოვილაპარაკოთ. ქალი უკვე დანაშაულის ნაწილს თავის თავზეც იღებს. ვიდრე კლემერი აქ არის, ერიკას მაინც რაღაცის იმედი აქვს. იგი სთხოვს მამაკაცს, არ წახვიდეო. ქალს სურს წამოდგეს, მაგრამ ვერ ახერხებს და კვლავ იატაკზე ეშვება. უფროსი ქალბატონი კოხუტი თავისი ბარიკადებიდან, რომელიც მას არ აუგია, ყვირის: – როგორ ხარ? ქალიშვილი პასუხობს: გმადლობ, არა მიშავს, ყველაფერი მოგვარდება. ერიკა ეხვეწება კაცს, დედა შემო-

უშვიო. დედა-დედას ძახილით იგი კარისკენ მიბობღავს, ხოლო დედა თავის მხრივ უფრო ხმამაღლა ეძახის თავის ქალიშვილს. უფროსი ქალბატონი კოხუტი წამსვე ერიკას ლანძღვას იწყებს, როგორც მას სჩვევია. კლემერი ცივმა წყალმა მოაღონიერა, ახალი ძალა შემატა. ცივმა წყალმა იგი გააგრილა და გამოაცოცხლა. ერიკამ თითქმის მიაღწია დედის ოთახის კარამდე, მაგრამ მოსწავლემ იგი კვლავ უკან გადააგდო. ქალი ხელახლა სთხოვს, თავზე და ხელებზე არ დამარტყაო. კლემერი ეუბნება მას, – ასეთ მდგომარეობაში ქუჩაში ვერ გავალ, ასე ხომ გამვლელ-გამომვლელს შევაშინებო. მისი აზრით, იგი ასეთ მდგომარეობაში ქალის გამო აღმოჩნდა. – იყავი ჩემდამი ცოტათი მაინც ალერსიანი, ერიკა, გთხოვ, – ამბობს კლემერი. იგი ქალს ზემოდან მოექცევა და მთელ სახეს უკოცნის, ულოკავს და სიყვარულს სთხოვს. ვინ დაასაჩუქრებს მას სიყვარულით უფრო გულუხვად და უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე საყვარელი ქალი? იგი განაგრძობს ვედრებით სიყვარულზე ლაპარაკს და თან შარვალს იხსნის და ქვემოთ იწევს. სთხოვს რა სიყვარულსა და თანაგრძნობას, იგი უყოყმანოდ და გაბედულად აშიშვლებს ქალს და ეუფლება მას. კლემერი დაჟინებით მოითხოვს ქალისგანაც საპასუხო სასიყვარულო მოქმედებას. ამის მოთხოვნის უფლება ყველას აქვს, თვით ყველაზე ცუდ ადამიანსაც კი. ადამიანი კლემერი ქალს გამეტებით აწვება და ბურღავს. მამაკაცი მისგან ვნებიან კვნესას მოელის. ერიკა ვერაფერს გრძნობს. მასში არაფერი მოძრაობს და არაფერი ხდება. ქალი აცხადებს, რომ ის, ეტყობა, სიცრუის, შეცდომის მსხვერპლია, რადგან ვერაფერს გრძნობს. ეს სიყვარული თავის არსშივე განადგურებაა, დაღუპვაა. ერიკა იმედოვნებს, რომ კლემერს სურს, ქალს უყვარდეს. მამაკაცი მსუბუქად ურტყამს მას რამდენჯერმე სახეში, რათა მისი კვნესა გამოიწვიოს. არსებითად, მისთვის სულერთია, რისგან და რის გამო კვნესის ქალი. ერიკას სურს ვნებების განცდა, მაგრამ იგი ვერაფერ გრძნობს და ვერაფერს განიცდის. ამიტომ ფროილაინ კოხუტი

სთხოვს მამაკაცს, ახლავე შეწყვიტეო! იმის გამო, რომ კლემერი ახლა უფრო ძლიერ დარტყმებს აყენებს, არ წყვეტს რა თავის მომაბეზრებელ და გაუთავებელ სასიყვარულო მოთხოვნებს, ყველაფერი სრული და გამოკვეთილი ძალადობის ელფერს იღებს. ქალი არ ნებდება და არ ეძლევა ვნებიან თავდავიწყებას, მაგრამ მამაკაცს სურს მისგან სიყვარული და თანხმობა მიიღოს. კლემერი არ საჭიროებს იმას, რომ ქალი აიძულოს. იგი უყვირის ქალს, სიხარულით უნდა მხვდებოდეო! მამაკაცი ხედავს ერიკას უძრავ და უსიცოცხლო სახეს, რომელზეც მოსწავლის სიახლოვე არავითარ კვალს არ ტოვებს, გარდა ტკივილისა, – ნიშნავს ეს, რომ შენთვის სულერთია, დავრჩები მე თუ წავალ? – ეკითხება კლემერი და თან ერიკას ცემას განაგრძობს. კლემერი ცდილობს მთელი თავისი ძალ-ღონე შეალიოს ამ ქალს, რათა ბოლოს და ბოლოს მისადმი ვნება დაიცხროს. – ერთხელ და სამუდამოდ, – ემუქრება იგი ფროილაინ კოხუტს. ერიკა სლუკუნებს, – შეწყვიტე, მტკივაო. – ინერტულობის თუ დაზარების გამო კლემერი ვერ ახერხებს მოსცილდეს ქალის სხეულს, ვიდრე თავის ხორციელ ვნებასა და ჟინს არ დაიკმაყოფილებს. მამაკაცი სთხოვს: შემიყვარე, და თან კოცნითა და დარტყმით სახეს უფარავს. იგი აწვება ქალს, თავს თავზე უხახუნებს და სახე რისხვისგან აქვს აწითლებული. კარსიქით დედა მოითხოვს, ახლავე ყველაფერი შეწყვიტონ. იგი მთელი ძალით უბრახუნებს კარს, აღარც მეზობლების ერიდება. კლემერი ტემპს უმატებს, ჩქაროობს, მიზანს არ ასცდეს და ზუსტად მიზანში არტყამს. სპორტის ოსტატმა თავისას მიაღწია. კლემერი ეუბნება ერიკას, რომ მან ამის შესახებ არავის არაფერი უთხრას, მისთვისვეა უკეთესი. იგი ბოდიშს იხდის თავისი საქციელისათვის. მოსწავლე ასე უხსნის თავის საქციელს ერიკას, რაღაც გრძნობა შემიჩნდა და შემიყოლიაო. – ასეთი რამ ხდება, ზოგჯერ ადამიანს მოსდის ასეთი რამ, – უხსნის კლემერი. იგი რაღაცას გაურკვევლად ჰპირდება ერიკას, რომელიც იატაკზე წევს, – სამწუხაროდ, ახლა მეჩქარება, – თავისებურად იხ-

დის ბოდიშს კლემერი. – ახლა უნდა წავიდე, – ასეთნაირად სურს გამოსთხოვოს მან პატივისცემა და სიყვარული ამ ქალს. მას რომ ახლა ერთი წითელი ვარდი ჰქონდეს, იგი მას პირდაპირ ერიკას მიართმევდა. დარცხვენილი კლემერი ქალს ემშვიდობება და გასაღებების ასხმულას იღებს წინა ოთახის მაგიდიდან. იგი ბოლოს სასარგებლო რჩევას აძლევს ერიკას, რომელიც მას ცხოვრებაში გამოადგება: ცუდია, როცა ორი ქალი ასე მარტო რჩება ერთმანეთთან. ვალტერ კლემერი სადავეს სწევს. ერიკამ ყოველგვარი ცრურწმენის გარეშე უნდა იფიქროს ასაკობრივ სხვაობაზე! იგი ურჩევს ქალს უფრო ხშირად გაერიოს ხალხში, თუ კლემერთან ერთად არა, მარტო მაინც. მამაკაცი სთავაზობს მას იმ ღონისძიებებზე წასვლას, რომლებზეც, როგორც მან ძალიან კარგად იცის, ერიკასთან ერთად არასდროს არ წავა. კლემერი აღიარებს, რომ ყველაფერი დამთავრდა. – გააკეთებ ასეთ რამეებს სხვა მამაკაცთან? – ეკითხება იგი ქალს ინტერესით. კლემერი თვითონვე იძლევა ერთადერთ ლოგიკურ პასუხს: არა, გმადლობთ. იგი, გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ეშმაკს ხატავს კედელზე, რათა თავიდან მოიშოროს ბოროტი სულები, რომელიც თვითონვე გამოიწვია და გამოიძახა. კლემერი ამაზე იცინის, – ხედავ, როგორ ხდება ეს ყველაფერი? იგი ურჩევს: – ფხიზლად იყავი! დადე ახლა რაიმე ფირფიტა და გული გადააყოლე, დამშვიდდი. კლემერი შეუმჩნევლად, გამოუმშვიდობებლად არ წავა, რადგან უკვე მერამდენედ ხმამაღლა გამოემშვიდობა მას. იგი ეკითხება, ხომ არაფერი გაწუხებსო და თვითონვე პასუხობს თავის შეკითხვას: ყველაფერი კარგად იქნება! ქორწილამდე ყველაფერი გაგივლის, – იშველიებს ხალხურ სიბრძნეს კლემერი. მისთვის ამჯერადაც არ უკოცნიათ და ისე მიდის სახლში, მაგრამ სამაგიეროდ მან აკოცა. იგი საფასურის გარეშე არ მიდის. მან გადაახდევინა თავისი საფასური და ქალმაც შესაფერისი ჯილდო მიიღო. – ვისაც არ სურდა, იმან მიიღო, – რეაგირებას ახდენს კლემერი ერიკაზე, მას შემდეგ, რაც ქალმა არანაირი რეაგირება არ მო-

ახდინა მასზე. იგი კიბეებზე ჩარბის, აღებს სადარბაზოს შესასვლელის კარებს და ისევ შიგნით აგდებს გასაღებების ასხმულას იატაკზე. მაცხოვრებლები დაუცველი რჩებიან თავიანთ ღია სახლში, მაშინ, როცა კლემერი თავის გზაზე მიაბიჯებს. სიარულის დროს მას ებადება აზრი, რომ გამვლელებს, თუკი ასეთები შეხვდებიან, უტიფრად და ქედმაღლურად უმზიროს. იგი დღეს ცოცხალი პროვოკაციის განსახიერება იქნება და ყველაფერს დაწვავს, რაც გზაზე გადაეღობება. კლემერი მიიჩნევს, რომ ქალები არაფერს იტყვიან მომხდარი ამბის შესახებ თავიანთი ინტერესებიდანვე გამომდინარე. იგი მხოლოდ მოკლე ხანს ფიქრობს შესაძლო შედეგებზე, რომელთა გადახდაც აუცილებლად მოუწევს. ქუჩაში თითქმის აღარ დადიან მანქანები და თუ რომელიმე გამოჩნდა, კლემერი, რომელსაც შესანიშნავი რეაქცია აქვს, სწრაფად გახდება ხოლმე განზე. ახალგაზრდა და სწრაფი კლემერი არავის დაუდებს ტოლს! იგი ამბობს: დღეს ღამით მზად ვარ ძირფესვიანად ამოვთხარო ხეები! იგი მშვიდდება, რადგან ახლა გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე აქამდე. კლემერი შეგნებულად მხოლოდ პოზიტიურ ამბებზე ფიქრობს. ამაშია მისი წარმატების მთელი საიდუმლო. მისი ტვინი თითქოს ერთმხრივი მოძრაობის ქუჩაა! ერთხელ გამოიყენე და შემდეგ დაივიწყე. კლემერს არ სურს თან ათრიოს მძიმე ტვირთი, ასეთ გადაწყვეტილებას იღებს ის თავისთვის. იგი გამომწვევად მიაბიჯებს შუა ქუჩაში.

ახალ დღეს ერიკა მარტო ეგებება, მაგრამ მთლად გაჟღენთილა დედობრივი მზრუნველობის სალბუნებით. მას შეეძლო ამ დღეს მამაკაცთან ერთადაც შეხვედროდა. ქალი ცუდად მომზადებული ხვდება ახალ დღეს. არავინ მიმართა პოლიციას, რათა ვალტერ კლემერი დაეპატიმრებინათ. სამაგიეროდ ამინდია შესანიშნავი. უფროსი ქალბატონი კოხუტი დუმს, რაც მისთვის სრულიად უჩვეულოა, – ეს მას არ ახასიათებს. იგი კეთილი განზრახვით ცდი-

ლობს გააკეთოს ერთი-ორი საცდელი ტყორცნა, მაგრამ ვერ ახ-ვედრებს კალათს, რომელიც მან თავისი ქალიშვილის გამო ძალიან მაღლა ჩამოჰკიდა. მრავალი წლის განმავლობაში კალათს უფრო და უფრო მაღლა ჰკიდებდნენ. ახლა ის თითქმის აღარ ჩანს. დედა აცხადებს, რომ ქალიშვილმა უფრო ხშირი კონტაქტი უნდა იქონი-ოს ხალხთან, უფრო ხშირად უნდა გამოჩნდეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რათა მეტი ახალი სახე, შპალერი და მოხა-ტულობები ნახოს. მისი ქალიშვილი ისეთ ასაკშია, რომ სწორედ ასეც უნდა მოიქცეს. უფროსი ქალბატონი კოხუტი მათემატიკუ-რად უხსნის და უმტკიცებს თავის მდუმარე ქალიშვილს, რომ არ არის კარგი, ახალგაზრდა ქალი მუდამ მასთან, – მოხუც ქალთან იმყოფებოდეს. დედის აზრით, ერიკა, რომელიც ცუდად ერკვევა ადამიანებში, – რაც სულ ახლახანს ნათლად გამოჩნდა, – შეიძლება წელიწადში მეორედაც მისთვის შეუფერებელ მამაკაცს გადააწ-ყდეს. დედა ამბობს იმას, რაც ერიკასთვის საჭირო და სასარგებ-ლოა. თუ ქალიშვილი ამას მიხვდება, ეს იქნება პირველი ნაბიჯი თვითშეცნობის გზაზე. – სხვა მამაკაცებიც არსებობენ, – ამბობს დედა და არცთუ მთლად მშვიდად გრძნობს თავს, ფიქრობს რა თა-ვისი ქალიშვილის ბუნდოვან მომავალზე. ერიკა დუმილით შეჰყუ-რებს დედას. უფროსი ქალბატონი კოხუტი შიშობს, რომ ერიკა ახ-ლა რაღაცაზე ფიქრობს და თავის შეშფოთებას გამოთქვამს კიდეც. ის ვინც არ ლაპარაკობს, რაღაცას ფიქრობს და ვინ იცის რაზე. ამი-ტომ დედა მოითხოვს აზრის ხმამაღლა გამოთქმას და არა დუმილს. თუ მისი ქალიშვილი რამეს ფიქრობს, ის, პირველ რიგში, დედას უნდა გაანდოს, რათა იგი საქმის კურსში იყოს. დედას აკრთობს სი-ჩუმე და დუმილი. მისი ქალიშვილი შურისძიების გრძნობამ ხომ არ შეიპყრო? იქნებ უსირცხვილო გამონათქვამებსაც არ მოერიდოს?

მზე ამოდის და მტვრიან, უკაცრიელ ქუჩებს ანათებს. მისი სხი-ვები ვარდისფრად აჩენს ფასადებს. ხეები მწვანედ შემოსილან. ყვა-ვილებს კოკორი გაფურჩქვნია, ისინიც იღებენ მონაწილეობას დი-

ლის ზეიმში. ქუჩებში ადამიანები გამოჩნდნენ, მათი პირიდან სიტყვები იფრქვევა.

ერიკას მთელი სხეული სტკივა, იგი ნელა და ფრთხილად მოძრაობს. დედამ მას სახვევები დაადო, არცთუ მთლად მოხერხებულად, მაგრამ დიდი მზრუნველობით. დილა აქეზებს ერიკას გაარკვიოს იმის მიზეზი, თუ რატომ იყო იგი მოწყვეტილი მთელი ამ წლების განმავლობაში ყველასა და ყველაფრისაგან? მხოლოდ იმისთვის, რომ ერთხელაც გასცდენოდა ამ სახლის კედლებს და ყველასთვის ეჯობნა? და რატომ ახლა არა? იქნებ დღეს? ფროილაინ კოხუტი იცვამს ძველ კაბას, რომელიც მოდიდან გასულია. ეს კაბა ისეთი მოკლე არ არის, როგორც ეს მაშინ იყო მიღებული. ის ძალიან ვიწროა და ზურგზე მთლად კარგად არ ადგას. კაბა ძალიან დაძველდა. არც უფროს ქალბატონ კოხუცს მოსწონს ეს კაბა, – მისი აზრით, ის მეტისმეტად მოკლეა და ვიწრო, ხან ერთგან აქვს გამოშვერილ-გამობზეკილი ბოლო და ხან მეორეგან.

ერიკა კოხუტი გავა ქუჩაში, რათა ყველა განაცვიფროს, ამისათვის მხოლოდ მისი გამოჩენაც საკმარისი იქნება. საგარეო ურთიერთობათა სამინისტრო, რომელსაც ფროილაინ კოხუტი განაგებს, ძველებური ტანსაცმლით იმოსება, რასაც ზოგიერთი გამვლელი დაცინვით უყურებს. დედა სთავაზობს ერიკას ქალაქში გაისეირნოს, რათა იგი ცოტა მაინც გაერთოს და გული გადააყოლის. – მაგრამ ამ ტანსაცმლით არსად არ გაგიშვებ, – ეუბნება მას უფროსი ქალბატონი კოხუტი. ქალიშვილს მისი სიტყვები არ ესმის. ერიკას დუმილით გულმოცემული დედა სამარშრუტო რუკას იღებს. ამ რუკას იგი ძველი დამტვერიანებული ყუთიდან იღებს, რომლებშიც ერთ დროს ჯერ კიდევ მამა იჩხრიკებოდა ხოლმე; იგი თითს აყოლებს სამარშრუტო ხაზებს, ეძებს შესაბამის ადგილებსა და გზებს, მსჯელობს, რა გზით შეიძლება წასვლა და სად შეიძლება შესვენება. ამ დროს კი მისი ქალიშვილი სამზარეულოში მალულად დებს ბასრ დანას თავის ხელჩანთაში. მას ჩვეულებრივ დაკ-

ლული ცხოველების გამოსაშიგნავად ხმაროობენ. ფროილაინ კოხუტმა ჯერ არ იცის, ჩაიდენს იგი მკვლელობას, თუ ფეხებში ჩაუვარდება ამ კაცს კოცნითა და ალერსით. იგი შემდეგ გადაწყვეტს, ჩასცემს მას დანას, თუ მგზნებარე და მხურვალე ხვეწნა-მუდარას დაუწყებს. მას არ ესმის დედის სიტყვები, რომელიც დაწვრილებით აღწერს მარშრუტს.

ქალი ელოდება მამაკაცს, რომელიც უნდა მოვიდეს და მას ხვეწნა-მუდარა დაუწყოს. იგი ხმაამოუღებლივ ჯდება ფანჯარასთან და ფიქრობს, ანგარიშობს, წავიდეს თუ სახლში დარჩეს. ჯერ იგი დარჩენას ამჯობინებს. – შეიძლება ხვალ წავიდე, – ვარაუდობს ქალი. იგი ქუჩაში იხედება და ამის შემდეგ იმწამსვე სახლიდან გადის. მალე დაიწყება დილის ლექცია ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც კლემერი სწავლობს. ერთხელ ქალმა გამოჰკითხა მას ამის შესახებ. სიყვარულია მისი გზის მაჩვენებელი, სურვილი კი მისი უმეცარი მრჩეველი.

ერიკა კოხუტი უკვე წავიდა და დედა მარტო დატოვა, რომელიც ცდილობს მიხვდეს, რა ჩაიფიქრა ერიკამ. უფროსმა ქალბატონმა კოხუტმა უკვე კარგა ხანია იცის, რომ დრო უკიდურესად ავი და ნადირივით ხორცის შემმუსვრელი შხამიანი მცენარეა, მაგრამ განა ჯერ ძალიან ადრე არ არის, მისი დარტყმის ქვეშ მოქცევა?

ქალიშვილი ჩვეულებრივ თავის დღეს მოგვიანებით იწყებს, ამიტომ თვითონ დღეც შედარებით უფრო გვიან იწურება ხოლმე.

ერიკა კოხუტი ხელს უჭერს თბილტარიან დანას ჩანთაში და ქუჩაში მიაბიჯებს. იგი უჩვეულო შთაბეჭდილებას ტოვებს, - თითქოს იმისთვის არის მოწოდებული, რომ ხალხს გაურბოდეს. გამვლელები მას მისჩერებიან. ისინი მისკენ ბრუნდებიან და შენიშვნებს ეუბნებიან. მათ არ რცხვენიათ თავიანთი აზრის გამოთქმა, პირდაპირ ეუბნებიან, თუ რას ფიქრობენ მის შესახებ. თავისი ძველებური, ნახევრად მოკლე კაბით ფროილაინ კოხუტი მთელი ტა-

ნით იმართება და წელში სწორდება, მკვეთრად და აშკარად უპირისპირდება რა ახალგაზრდობას. ახალგაზრდები, მრავლად რომ ჩანან გარშემო, დაუფარავად დასცინიან და მასხარად იგდებენ მასწავლებელს. ახალგაზრდები იცინიან ერიკას გამომეტყველების გამო. ფროილაინ კოხუტი კი იცინის ახალგაზრდების ღარიბი შინაგანი ბუნების გამო. ვიღაც მამაკაცის მზერა აგრძნობინებს ერიკას, რომ იგი არ უნდა იცვამდეს ასეთ მოკლე კაბას. მას ხომ არცთუ ისე ლამაზი ფეხები აქვს! ქალი მიაბიჯებს და ხმამაღლა იცინის, კაბა არ უხდება მის ფეხებს, თუ ფეხები არ უხდება კაბას, – როგორც მოდელიერები ამბობენ ხოლმე. ერიკა მაღლდება თავის თავზე და სხვებზე. ქალი შიშობს, არ იცის, გაართმევს თუ არა თავს პრობლემას ამ კაცთან დაკავშირებით. ქალაქის ცენტრში მიმავალ ერიკას კვლავ დასცინიან ახალგაზრდები. ფროილაინ კოხუტი ხმამაღალი დაცინვით პასუხობს მათ. რაც ახალგაზრდებს შეუძლია, ის ერიკას გაცილებით უკეთ შეუძლია. იგი უკვე კარგა ხანია აკეთებს იმას, რასაც ეს ახალგაზრდები ახლა აკეთებენ.

ერიკა მიდის ფართო მოედანზე მუზეუმების გასწვრივ. მტრედების გუნდი წამოიშლება, მათაც აფრთხობს ქალის სიმტკიცე და გაბედული ნაბიჯები. პირდაღებული ტურისტები ჯერ იმპერატრიცა მარია ტერეზას მისჩერებიან, შემდეგ კი ერიკას აშტერდებიან, შემდეგ ისევ იმპერატრიცას. ისმის მტრედების ფრთების ტყლაშუნი. ფირფიტებზე აღნიშნულია მუზეუმების მუშაობის განრიგი. ბურგგარტენის ბაღის გისოსებს უკან ახალგაზრდა დედები სეირნობენ. ისმის მათი ხმამაღალი შენიშვნებისა და ბავშვების გამყინავი შეპასუხების ხმები. ყველგან, მთელ პარკში ორი ან მეტი ადამიანი ერთმანეთს ესაუბრება. კოლეგები ერთმანეთს ხვდებიან, მეგობრები რაღაცაზე კამათობენ. გამვლელები მაღაზიაში შედიან, მას შემდეგ, რაც გარედან კარგა ხანს ათვალიერეს: ზოგიერთი სრულიად უმიზნოდ დაეხეტება, უსაქმოდ დალაყუნობს. საკონდიტრო მაღაზიაში დედები ლაპარაკობენ თავიანთ ქალიშვილებზე და მათ

პირველ სქესობრივ ურთიერთობებზე მამაკაცთან, რაც მათ სახიფათოდ და ნაადრევად მიაჩნიათ. ისინი ლაპარაკობენ თავიანთი ვაჟების წარმატებებზე, რომელიც სკოლასა და სპორტში მოიპოვეს.

დანა, რომელიც ერიკას ჩანთაში უდევს, მას თავგზას უბნევს. იმოქმედებს დანა თავისი დანიშნულებისამებრ, თუ ერიკა პატიებას სთხოვს მამაკაცს? ფროილაინ კოხუტმა ეს ჯერ კიდევ არ იცის, იგი ამას ადგილზე გადაწყვეტს. დანა ჯერ კიდევ ფავორიტია, წინა პლანზე დგას. მან უნდა იცეკვოს! ქალი „სეცესიონის“ მხარეს მიდის და მსუბუქად სწევს თავს ზემოთ, ფოთლების გუმბათისაკენ. ამ გუმბათის ქვეშ დღეს მთელ ქალაქში ცნობილი ხელოვანი ისეთ რამეს აჩვენებს, რის შემდეგაც ხელოვნებას აღარ შეუძლია იყოს ის, რაც აქამდე იყო. აქედან უკვე ჩანს შენობები, სადაც ბატონობს ტექნიკა, რომელიც ხელოვნების საპირისპირო პოლუსია. ფროილაინ კოხუტმა მხოლოდ მიწისქვეშა გასასვლელიღა უნდა გაიაროს და გადაჭრას რასელის პარკი. დროდადრო ქარი უბერავს. ერიკას სმენამდე უკვე აღწევს სწავლას მოწყურებული ახალგაზრდების ჟივილ-ხივილი. ერიკას მზერას აგებებენ ხოლმე, იგი მას არ გაურბის. როგორც იქნა, მეც მაგებებენ მზერას, – უხარია ერიკას. ასეთ შემოხედვას იგი მრავალი წლის განმავლობაში არიდებდა თავს. მაგრამ, რაც დიდხანს გრძელდება, ის ბოლოს მკვეთრად გეცემა თვალში. ფროილაინ კოხუტი უმიზნოდ არ ხვდება ამ მზერასა და შემოხედვას. მასთანაა მისი ერთგული დანა. ვიღაც იცინის. ყველა არ იცინის ასე ხმამაღლა. უმეტესობა არ იცინის. ისინი არ იცინიან იმიტომ, რომ თავიანთი თავის გარდა ვერავის ამჩნევენ. ისინი ვერ ამჩნევენ ერიკა კოხუტს. ახალგაზრდები პატარ-პატარა ჯგუფებად მოდიან, გამოეყოფიან რა საერთო ნაკადს, ისინი მოწინავე რაზმებსა და არიერგარდს ქმნიან. ახალგაზრდები თანდათან და მტკიცედ ეუფლებიან გარკვეულ გამოცდილებას. ისინი განუწყვეტლივ ლაპარაკობენ ამაზე. ზოგიერთს სურს თვითონ, თავისით

მიიღოს გამოცდილება, ზოგს კიდევ სურს სხვებთან ერთად გააკეთოს ეს, ვისაც როგორ უნდა.

ტექნიკური უნივერსიტეტის ფასადის წინ სვეტებზე მოჩანს ამ ინსტიტუტის ცნობილ ბუნებისმეტყველთა და მკვლევართა ბიუსტები, რომელთაც გამოიგონეს ბომბები და ააგეს კაშხლები.

გომბეშოსავით დასკუპებულა ვეებერთელა წმინდა კარლოსის ეკლესია ცარიელი მოედნის შუაგულში, სადაც მას აღარ ემუქრება ავტომობილთა გამონაბოლქვი. გარშემო ხმაურით ჩუხჩუხებს წყალი. მთელი სივრცე მოფენილია ქვის ფილებით, გარდა რასელის პარკისა, რომელიც მწვანე ოაზისის განსახიერებაა. სურვილისამებრ შესაძლებელია მეტროთი სარგებლობაც.

ერიკა კოხუტი ამჩნევს ვალტერ კლემერს თავის თანამოაზრე სტუდენტების ჯგუფში, სხვადასხვა კურსზე რომ სწავლობენ. ისინი რაღაცაზე ხმამაღლა იცინიან, მაგრამ არა ერიკაზე, რომელსაც სტუდენტები საერთოდ ვერ ხედავენ. ხმამაღლა ხდება იმის დემონსტრირება, რომ დღეს ვალტერ კლემერს ლექციები არ გაუცდენია. მას არ დასჭირვებია იმ ღამის შემდეგ უფრო მეტხანს დაესვენა, ვიდრე ჩვეულებრივ სხვა ღამეების შემდეგ. ერიკა ითვლის: იქ სამი ბიჭია და ერთი გოგონა, – რომელიც, ეტყობა, ასევე ტექნიკურ საგნებს სწავლობს და ამდენად, ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს. ვალტერ კლემერი მხიარულად ეხვევა გოგონას მხრებზე. გოგონა ხმამაღლა კისკისებს და თავის ქერათმიან თავს წამით კლემერს ყელზე ადებს, რომელსაც ასევე ქერა თმები აქვს. გოგონა ხმამაღალი სიცილისგან ფეხზე ვეღარ დგას, იგი თავის მხიარულებას მოძრაობით გამოხატავს. იგი კლემერის მხარს ეყრდნობა. სხვებიც ხმამაღლა იცინიან. ვალტერ კლემერიც მთელი ხმით იცინის და თავის გაქნევისას თმები უფრიალებს. ტანზე მზის სხივები დასთამაშებს. მისი სიცილი მკვეთრად ისმის, სხვებიც უერთდებიან. – რა გაქვთ ამდენი სასაცილო? – კითხულობს ვიღაც ახალმოსული და იმწამსვე

მათ ჰყვება სიცილში. სიცილი გადამდებია. მას უხსნიან სიცილის მიზეზს და ახლა იცინის.

ახალმოსული სტუდენტი სხვებზე უფრო მეტს და ხმამაღლა იცინის, რადგან სურს დაეწიოს მათ, მასზე უფრო ადრე რომ დაიწყეს სიცილი. ერიკა კოხუტი იქ დგას და მათ უყურებს. მზიანი ამინდია. ერიკა მათ შეჰყურებს. როდესაც სტუდენტებმა სიცილით გული იჯერეს, ისინი მიბრუნდნენ და ტექნიკური უნივერსიტეტის შენობისკენ გაემართნენ. გზადაგზა გულიანად იცინიან, თან სიცილით აწყვეტინებენ ხოლმე ერთმანეთს ლაპარაკს.

ფანჯრის მინებზე მზის სხივები ელვარებს. მათი დარაბები არ იღება ამ ქალის შესაგებებლად. ისინი ყველასთვის არ იღება. არ არის იგი კარგი ადამიანი, თუმცა ადამიანად იწოდება. ბევრს უნდა დახმარება, მაგრამ ამას არავინ აკეთებს. ქალი ძალიან განზე სწევს ყელს და ავადმყოფი ცხენივით კრეჭს კბილებს. არავინ აშველებს მას ხელს, არავინ უმსუბუქებს ტვირთს. იგი სისუსტეს გრძნობს და უკან იხედება. დანა უნდა შეერჭოს შიგ გულში და იქ მოტრიალდეს! ქალი კარგავს ძალის იმ დარჩენილ ნაწილსაც, ამის გასაკეთებლად რომ იქნებოდა საჭირო. მას მზერა ეყინება და ყოველგვარი ბრაზის, გაბოროტებისა და ჟინის გარეშე დანას მხარში ირჭობს, საიდანაც იმწამსვე მოედინება სისხლი. ეს ჭრილობა უწყინარია, ოღონდ შიგ რაიმე ჭუჭყი და სიბინძურე არ უნდა შევიდეს. სამყარო უვნებლად დგას ადგილზე, სიცოცხლე ჩქეფს. ახალგაზრდები დიდი ხანია შენობაში შევიდნენ. ერთი შენობა მეორეს აკრავს. იგი დანას ჩანთაში იდებს. ერიკას მხარზე ჭრილობას პირი დაუღია, ნაზი ქსოვილი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაიხსნა. მასში ფოლადი შევიდა და ერიკა იქიდან მიდის. იგი ტრანსპორტში არ ჯდება. ის ჭრილობაზე ხელს იდებს. მას უკან არავინ მიჰყვება. მრავალი ადამიანი მოემართება მისკენ და გარს ევლება ერიკას, როგორც წყალი მკვდარი გემის ჩონჩხს. იგი არ გრძნობს საშინელ და

ყოველ წამს მოსალოდნელ ტკივილს. მზე აელვარდა ავტომობილის შუშაზე.

კაბის შესაკრავი ოდნავ გაეხსნა და ერიკას ზურგი უთბება. მზე, რომელიც უფრო და უფრო აცხუნებს, მას ზურგს უთბობს. ერიკა მიდის და მიდის, არ ჩერდება. მისი ზურგი მზის სხივებით თბება. მას სისხლი სდის. ხალხს მისი დაჭრილი მხრიდან სახეზე გადააქვს მზერა. ზოგიერთი კი მისკენ ბრუნდება. ყველა არა. ერიკამ იცის, საითაც უნდა წავიდეს. ის სახლში მიდის. იგი მიდის და თანდათანობით უჩქარებს ნაბიჯს.